ლუდვიგ რენი

# ᲨᲐᲠᲘᲜᲘ

ამბავი ინდიელი ბიჭისა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ · 1971

И (тем)
83-93
ф 422

7-6-3

თარგმანი გერმანულიდან
ო. ხუციშვილისა

## ძვირფასო საბჭოთა გავშვებო!

ჩემმა წიგნმა „ტრინიმ" დღის სინათლე იხილა თუ არა, მკითხველები დაინტერესდნენ: ლუდვიგ რენი ხომ მდიდარი ფეოდალის ოჯახში დაიბადა და აღიზარდა და როგორ მოხდა, რომ კომუნისტი გახდაო? ამ ძველ კითხვას ახალიც დაემატა: როგორ მოხდა, რომ მწერალმა ახლა დაიწყო საბავშვო წიგნების წერა, როცა სამოც წელს გადააბიჯაო?

მართლაც, მე ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე ემსახურობდი გერმანიის არმიაში, მისი ერთ-ერთი გვარდიული პოლკის ოფიცერი ვიყავი. ომი რომ ატყდა, მშვიდ საგარნიზონო ცხოვრებას, გართობასა და დროსტარებას გამოვეთხოვეთ და მალე გავიგეთ, რა იყო შიში, შიმშილი, სიკვდილი. დამთავრდა ომი. ბევრი ჩვენგანი ცდილობდა, ისევ ძველებურად ეცხოვრა და არაფერზე ეფიქრა. ჩემთვის კი ასე ცხოვრება უკვე შეუძლებელი იყო და დავწერე ის, რაც მაწუხებდა. ასე შეიქმნა ჩემი პირველი წიგნი „ომი". მწერალი გავხდი. მაგრამ სინდისი ამ წიგნის დაბეჭდვის შემდეგაც არ მასვენებდა, გამუდმებით მქენჯნიდა და ყურში ჩამძახოდა: არ შეიძლება ორ წყალშუა იდგე, ფეხი ერთ-ერთ ნაპირზე უნდა მოიკიდო.

მაგრამ სახელდობრ რომელზე? ანდა როგორ? კინაღამ სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. ერთმა მახლობელმა მირჩია, ამა და ამ წიგნის მაღაზიაში მიდი, იქ მარქსისტული ლიტერატურა იყიდებაო. მართლაც, იმ მაღაზიაში ვიპოვნე ის, რაც მაკლდა. მალე მტკიცე რწმენით აღჭურვილი კომუნისტი გავხდი და დიდი ხნის დაბნეულობის შემდეგ ვიგრძენი ფეხქვეშ მყარი ნიადაგი.

ეს ნიადაგი ფეხქვეშ არც მაშინ გამომცლია, როცა ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, 1936—1939 წლებში, ერთ-ერთი ინტერნაციონალური ბრიგადის რიგებში ფაშისტების წინააღმდეგ ვიბრძოდი

მაგრამ დამარცხების შემდეგ მეც ისევე, როგორც ბევრი სხვა, დიდსანს დაეხეტებოდი უცხო ქვეყნებში. არც ერთი ბურჟუაზიული ქვეყანა არ მიღებდა, ბოლოს თავშესაფარი მექსიკაში ვპოვე, სადაც რვა წელიწადი გავატარე.

მექსიკაში ყოფნისას მიამბეს გლეხთა დიდი ომის, გლეხების გაბრწყინებული ბელადის — ემელიანო საპატასა და მექსიკელი ქალების ამბები. მექსიკელმა ქალებმა ძალიან ბევრი გააკეთეს გლეხთა რევოლუციური არმიისათვის. მაგრამ მაშინ არც კი მიფიქრია ამაზე წიგნი დამეწერა. და, აი, ერთხელ, სამშობლოში უკვე კარგა ხნის დაბრუნებული ვიყავი, გერმანელმა მწერლებმა თავი მოვიყარეთ ბერლინში, განათლების სამინისტროში. აქ ვისაუბრეთ, რომ საჭირო იყო, ჩვენი ბავშვებისათვისაც შეგვექმნა კარგი საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურა. სწორედ მაშინ ვიფიქრე, საპატას არმიის ერთი მამაცი მებრძოლის, ინდიელი ბიჭის თავგადასავალი დამეწერა. რაც მეტს ვფიქრობდი, მით უფრო მომწონდა ეს აზრი და თანდათან გამიტაცა. მართლაც, ძალიან საინტერესოა ბავშვებისათვის წერა! თვითონ მეც, როცა ბავშვი ვიყავი, სულ წიგნებში ვიყავი ჩაფლული.

აი, ასე დაიწერა „ტ რ ი ნ ი“.

ლ უ დ ვ ი გ რ ე ნ ი

## ნაწილი პირველი

# აჯანყება

### სახალხო ზეიმი

ტრინიდადი ესპანური, კათოლიკური სახელია და სამებას ნიშნავს. კუევასების ოჯახმა კარგად იცოდა ამ სიტყვის ზნეშვნელობა და ამიტომაც დაარქვა 1904 წელს დაბადებულ ბიჭს ეს სახელი. კუევასების მშობლიური ენა ინდიური იყო, მაგრამ ცოტა ესპანურიც იცოდნენ, რადგან მათ მხარეში ესპანური სახელმწიფო ენად ითვლებოდა. ტრინიდადი პატარა ბიჭისათვის, ცოტა არ იყოს გაზვიადებული სახელია და ამიტომ ტრინის ეძახდნენ. საერთოდ, ინდიელების სოფლებში ყველა ტრინიდადს ასე ეძახდნენ.

კუევასები ლაპარაკის მოყვარულები არ იყვნენ. მხოლოდ დიდ დიდედას უყვარდა ხოლმე ამბების თხრობა. კარგადაც ყვებოდა. დიდ დიდედას თავისუფალი დრო ბევრი ჰქონდა, დაუჯდებოდა ტრინის და უყვებოდა მთისა და ბარის ამბებს, საოჯახო საქმეებს კი ტრინის დიდედა ამბროსია და დედა ლუპე აკეთებდნენ. მამა ვაჟიშვილის გაჩენის შემდეგ მალე გარდაიცვალა. დიდედა სიმინდს ღერღავდა, ცომს ზელდა და გუნდებს ხელების ტყაპუნით ათხელებდა, ამ გათხელებულ გუნდას კი ტრინის დედა თუნუქის ნაჭერზე აცხობდა. მათი ყოველდღიური საკვები ცხელი მჭადები და ყავისფერი ლობიო იყო. ზედაც რაღაც ბალახისმაგვარი მცენარის გამხმარი ფოთლებიდან შემზადებული ჩაის დააყოლებდნენ ხოლმე. ქოხს ერთი მუდამ მღვრიე და ჭუჭყიანი ღელე ჩამოუდიოდა. მღვრიე

იმიტომ იყო, რომ ნახირს წყალს აქ ასმევდნენ, ამასთან კიდევ სარეცხსაც ამ ღელეში რეცხავდნენ. ამიტომ დიდმა დიდედამ ტრინის პირველად ის ასწავლა, ღელის წყალი არ დალიოო. „რომ მოგწყურდეს, დიდედა ამბროსიასთან მიდი, — ეტყოდა ხოლმე დიდი დიდედა ტრინის და ნაოჭებით დაფარული სახე სიყვარულით გაუნათდებოდა, — ის ჩაის დაგალევინებს. კეთილი ქალია დიდედა ამბროსია“.

ტრინის მაინცდამაინც არ სჯეროდა, რომ დიდედა ამბროსია კეთილი ქალი იყო. არ უყვარდა მკაცრი, სიტყვაძვირი დიდედა ამბროსია, მისი მაგრად მოკუმული პირისა და შავი თვალების მკაცრი გამოხედვისა კიდეც ეშინოდა. პატარა გული მხოლოდ დიდი დიდედასაკენ მიუწევდა. დედისადმი საკმაოდ გულგრილი იყო, თუმცა არც მას უყვარდა ძალიან ვაჟიშვილი, რადგან ტრინი სოფლის სხვა ბავშვებს ჰგავდა: იმათსავით ყავისფერი კანი, მრგვალი შავი თვალები და მოკლე ხელ-ფეხი ჰქონდა, ერთი სიტყვით, შეხედავდით თუ არა, იტყოდით, პირწავარდნილი ინდიელიაო. ხოლო სახის კანი სხვა ბავშვებზე უფრო მუქიც კი ჰქონდა. „რის მაქნისია ასეთი ბავშვი? — ფიქრობდა დედამისი ლუპე, —ოტა თეთრი კანი რომ ჰქონოდა, ესპანელი ეგონებოდათ და იქნებ კაცი გამოსულიყო“. თუმცა დედა ცუდად არ ეპყრობოდა, მაგრამ ტრინი გრძნობდა, რომ დედას არ მოსწონდა. ინდიელი დედები შვილებს ცუდად არასოდეს არ ექცევიან.

სოფელში ცხოვრება ერთფეროვნად მიედინებოდა. მამაკაცების უმეტესობა გრაფ არიოლას დიდ მამულ „სან ბარტოლდოში“ მუშაობდა და მათხოვრულ ხელფასს იღებდა, ხოლო რამდენიმე კაცი ხელისგულის სიფართე მიწას ამუშავებდა.

ასეთ ერთფეროვან, მოსაწყენ ცხოვრებაში ერთი-ორი საზეიმო დღე თუ გამოერეოდა. მათ შორის მკვდრების შესაწყალებელი დღესასწაული გამოირჩეოდა. ამ დღეს მთელი ოჯახი სასაფლაოზე მიდიოდა. დიდ დიდედას ტრინი ხელჩაკიდებული მიჰყავდა. დედას და დიდედას ჯამები და აგავას წვენით, პულკეთი სავსე კოკა მიჰქონდათ.

პაპა და მხიარული ბიძა იერონიმო თავისუფლად მოდიოდნენ. აბა, კაცები ჭურჭელს ხომ არ ათრევდნენ! ბიძა ჰყვე-

ბოდა, დღეს დილას დამავალეს, გრაფის ბაღში გრაფინიასათვის ყვავილები დაკრიფეო.

— ვერ გამიგია, რად უნდა ყვავილები, ღმერთმა უწყის მისი წინაპრები სად მარხია! სვეტებიან ტალანში რომ შევედი, ისიც ჩემკენ გამოემართა და ყვავილების თაიგული ისეთი თვალებით გამომართვა, თითქოს ყვავილები კი არა, თვით მამაღმერთის გული ყოფილიყოს. ახლა როგორი გაკრულ-შეკოჭილი იყო! მსახური გოგო ამბობს, მაგის ტანთ ჩაცმა მთელი ტანჯვააო. კორსეტის დუგმების შებნევას თუ მოვრჩი, მერე ზონრების შეკვრა თითებს მაჭრისო.

პაპას სიტყვა არ უთქვამს, თავი გადააქნ-გადმოაქნია. ტრინიმ დიდ დიდედას შეშფოთებით შეხედა და უთხრა:

— მერე შუაზე რომ გაწყდეს?

ტრინის სიტყვებზე ყველამ გადაიხარხარა. სასაფლაოზე ტრინის დედამ სხვა ქალებს წასჩურჩულა, როგორ შეეშინდა მის ვაჟიშვილს გრაფინიას გამო. მაგრამ სანამ თავშეყრილ ქალებს მიუახლოვდებოდა ამის სათქმელად, ირგვლივ ფრთხილად მიიხედ-მოიხედავდა ხოლმე, რომ ახლო-მახლო გრაფის მსახურთაგანი ან მათი ცოლები არ ყოფილიყვნენ. იერონიმომ ტრინის ნათქვამი მამაკაცებში გაავრცელა, კაცებმა კი თავის მხრივ ამას უსიამოვნო ამბები დაურთეს, რადგან გრაფინია არავის უყვარდა.

ბეჭებში მოხრილმა მოხუცმა დიდმა დიდედამ ამასობაში თავისი ქმრის საფლავზე დადგმულ ხის უბრალო ჯვარზე ფერად-ფერადი ქაღალდები ჩამოჰკიდა. სიხარულით სახე გაუბრწყინდა: მიცვალებულს ვასიამოვნეო. დანარჩენებმაც ასე შეამკეს თავ-თავიანთი მიცვალებულების საფლავები. ახლა დიდედა ამბროსია მიუახლოვდა თავის მამის საფლავს და ზედ ჯამი დადგა. ამბროსიას შვილიშვილი ჰყავდა, თორემ ისე დიდედას სულაც არ ჰგავდა, ჯერ ორმოცი წლისაც არ იყო.

დანარჩენი ქალებიც ასე მოიქცნენ და როცა ყველამ მიცვალებულის საფლავზე მოხარშული ლობიოთი სავსე თითო ჯამი დადგა, ერთად შეიკრიბნენ და ქვეყნის ამბებზე მხიარული საუბარი გააბეს.

ერთბაშად ყველა მიჩუმდა და სასაფლაოს შემოსასვლელს

მიაჩერდა. კარებში გამოჩნდა მოურავი და მისი ცოლი, რომელიც სანახევროდ ქალაქურ მოდაზე გამოწყობილიყო. მათ დანახვაზე გლეხებმა ქუდები მოიხადეს. მოურავმა ინდიელები უნდობლად შეათვალიერა და გვერდით ისე ჩაუარა, თავის დაკვრის ღირსიც არ გახადა.

მოურავის ცოლიც ინდიელი იყო, ამავე სოფლელი. გრაფინიას წაპაძვით უშნო თეძოებზე მასაც კორსეტი შემოეკრა. როცა იგი მამისა თუ პაპის საფლავს ბიბა იერონიმოს მიერ მიტანილი ყვავილებით ამკობდა, ზურგზე კორსეტის ძვლები ამოეჩრებოდა ხოლმე.

ტრინი დიდ დიდედას კაბის კალთაში შეუძვრა და იქიდან ყველაფერს ჩუმ-ჩუმად თვალს ადევნებდა. მოურავმა, ეტყობოდა, ცოლს რაღაც გაჯავრებით უთხრა. ქალი გაცხარებით შებრუნდა და ქმარს თავი დაუქნია.

„ნეტავ ეგენი რატომ არ მხიარულობენ? — ფიქრობდა ტრინი, — მკვდრებთან ხომ ყველა მხიარულობს?“

ტრინი აკვირდებოდა მოურავისა და მისი ცოლის ყოველ მოძრაობას, თვალს ადევნებდა აგრეთვე გლეხების გამომეტყველებას, რომლებიც მათ მტრულად შესცქეროდნენ, ცოლქმარი სასაფლაოზე დიდხანს არ დარჩენილან და უკმაყოფილო სახით მალე იქაურობა დატოვეს.

რამდენიმე ნაბიჯი არც კი ექნებოდათ გადადგმული, რომ სასაფლაოს ისევ მხიარული ხმაური და ლაპარაკი მოეფინა. ინდიელები საფლავის ბორცვებზე ჩამოსხდნენ და მჭადის ჭამას შეუდგნენ, თან იმ ლობიოსაც ატანდნენ, ჯამით რომ მიცვალებულებს მოუტანეს. დროდადრო თითო ყლუპ პულკესაც მოსვამდნენ ხოლმე. პულკემ ისინი უფრო გაამხიარულა. ბავშვები საფლავებს გარს უვლიდნენ და თამაშობდნენ. ერთმა ბიჭმა სახეზე თავის ქალას ნიღაბი აიფარა. ღანარჩენები გარს შემოეხვივნენ.

— სად იშოვე?

— ბიძაჩემმა ხუანამ მომიტანა ქალაქიდან. ვიღაც მდიდრის ბავშვს გადაუგდია, რადგან ნიღაბს ცხვირი გაფუჭებია. ბიძაჩემს აუღია და ახლა მე დამასაჩუქრა.

— ცოტა ხანს გვათხოვე. რა! — შეეხვეწა რამდენიმე ბიჭი.

ყველამ რიგრიგობით მოირგო. ზოგი მშვიდად იკეთებდა

და იხსნიდა, ზოგი შეშლილივით დარბოდა და იგრიხებოდა, ვითომ ავსულები ვართო. როცა ნიღაბი ტრინის ერგო, მტვრისა და წებოს სუნმა ისე გააოცა, კუნტრუშიც კი დაავიწყდა.

ასე მხიარულად გაატარეს დრო სასაფლაოზე ბავშვებმაცა და დიდებმაც. საღამომდე დარჩნენ. ზოგ შამაკაცს მეტი მოუვიდა დალევა და ვინ იცის, რას როშავდა. ტრინი მეზობლის პატარა გოგო ხუანიტას ეთამაშებოდა. ისინი რიგრიგობით ჩამორბოდნენ ერთი საფლავის ბორცვიდან, რომელსაც ბალახი მაღლად მოსდებოდა. ბოლოს მოშივდათ და თავისიანებისაკენ გაქცნენ. ჭამის შემდეგ ტრინიმ ღაღლა იკრძნო, დიდი პაპის საფლავზე მიწვა და ისე ღრმად ჩაეძინა, ისიც აღარ გაუგია, სახლში როგორ წაიყვანეს.

ეს ყველაზე მხიარული სახალხო ზეიმი ყოველ წელიწადს იმართებოდა. შემდეგ ტრინის აღარ უკვირდა, როცა სასაფლაოზე მოურავის გამოჩენას ინდიელები მდუმარედ ხვდებოდნენ ხოლმე. ამას მიეჩვია, გაგებით კი მოგვიანებით გაიგო. რატომ ხვდებოდნენ ასე. დიდი დიდედასაგან მრავალჯერ მოესმინა ერთი და იგივე ამბავი, ახლა ეს მონაყოლი უკვე ზეპირად ახსოვდა და ხშირად გაახსენდებოდა ხოლმე. ასე გაიგო მან ამ სოფლისა და დიდი მამულის ამბავი.

## სასაფლაზე ჩაკულ ტვინეკის გვირი ვიცვლი

სან ბარტოლდოში გრილი ღამეები იცოდა. ეს არც იყო გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ სოფელი ზღვის ღონიდან ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობდა. ამ სოფლის მცხოვრებნი, დაბნელდებოდა თუ არა, მაშინვე წვებოდნენ და შინნაქსოვ შალის საბნებში ეხვეოდნენ. მაგრამ თბილი ღამეებიც გამოერეოდა ხოლმე. როგორც კი მთვარე ამოვიდოდა. მთელი ოჯახი ქოხის წინ მოიკალათებდა და თვალწინ გადაშლილი მიდამოს მზერით ტკბებოდა. მთვარის შუქით განათებული მთა-გორები ტრინის რაღაც მომაჯადოებლად ეჩვენებოდა. ჯერ ისევ ჩამუქებულ ცაზე შავად გამოიყურებოდა შორეული მთაგრეხილები. დაისს თანდათან ღამე

სჯაბნიდა და საბრძანებელი მთვარეს რჩებოდა. ასეთ დროს მთაგრეხილის თავზე ხშირად მოჩანდა თეთრი ქულები, რომლებიც სხვადასხვაგვარ ფორმას იღებდნენ.

დიდი დიდედა ტრინის უხსნიდა, ეს ბოლის ბოლქვები დიდი ცეცხლისმფრქვეველი მთიდან ამოდისო.

— მერე, როგორ ამოდის? — დაინტერესდა ტრინი. — მთა გახვრეტილი ხომ არ არის?

— როგორ არა, დიდი ყელი აქვს და ბოლიც იქიდან ამოდის. მე ასე მითხრეს, მაგრამ ჩვენი ოჯახიდან იქ არავინ ყოფილა. მაგ მთაზე ღმერთი ცხოვრობს. ჩვენი მოძღვარი, პადრე ფელიქსი ძალიან გაბრაზდება. ასეთი რამ თუ გაიგონა. ის ამბობს, ის ძველებური, ინდიური ღმერთია და ქრისტიანმა არ უნდა ახსენოსო. მაგრამ ხალხს მაინც ეშინია მისი და იქ ასვლას ვერავინ ბედავს; განსაკუთრებით მაშინ ეშინია, როცა მთას სქელი ღრუბლები შემოადგება და ქარიც ვერ ფანტავს ხოლმე.

— უფრო მეტად რატომ სწორედ მაშინ ეშინიათ? — იკითხა ტრინიმ.

— ამბობენ, ამ დროს ღმერთი თავისი ცოლის სანახავად მიდისო. ღმერთის ცოლი მეზობელ მთაზე წევს და ზევიდან თოვლის საბანი ახურავს. შენ, რასაკვირველია, ეს მთა დაგინახავს, მას „მწოლარე ქალი“ ჰქვია.

დიახ, ტრინის უნახავს ის მთა. ისევ გადააკლო თვალი თეთრი ღრუბლის ქულებს, მთას თავზე რომ დასდგომოდა. ეს ქულები ახლა ნაფლეთ-ნაფლეთად მოჩანდნენ.

— ერთხელ, — წყნარად განაგრძო დიდმა დიდედამ, — ბავშვობისას, ამ მთაზე ავედი. ეს დიდი ხნის წინათ მოხდა, წარსული საუკუნის ნახევარში. აღარ მახსოვს, რა მინდოდა იქ. ის კი მაგონდება, მთელი დღე მთებზე ვიხეტიალეთ და ძალიან დავიღალე. მერე მამაჩემის ნათლიმამასთან შევიარეთ, მაგრამ ვერც იქ დავისვენეთ. ჩვენი მისვლისას სოფელში სწორედ იმაზე მსჯელობდნენ, ხომ არ სჯობია, ავიყაროთ და მთებში გავიხიზნოთო, რადგან ჩრდილოეთ ამერიკელთა ჯარი სულ ახლო მოსულიყო.

— რატომ მოსულიყო ჩრდილოეთ ამერიკელთა ჯარი? — იკითხა ტრინიმ.

— მე თვითონაც არ ვიცი, რატომ მოსულიყვნენ იმ შორეული ქვეყნიდან, — მიუგო დიდმა დიდედამ.

— მაგას რა დიდი ცოდნა უნდა! — უთხრა დიდედა ამბროსიამ. — მუდამ გაუმაძღარ ამერიკელებს მექსიკის გაძარცვა მოესურვათ. ამის გამო მაშინ ომი წამოიწყეს. დაიპყრეს რიო გრანდეს მთელი გაღმა მხარე და დღემდე იქ პარპაშობენ ეგ ყაჩაღები!

— ჰო, ამბროსია, — წყნარად უთხრა დიდმა დიდედამ, — ასეთ ამბებში შენ ჩემზე უკეთესად ერკვევი. — მერე ისევ განაგრძო: — მეორე დღეს ამერიკელები ვნახე. მშვენიერ სამხედრო ფორმაში გამოწყობილიყვნენ. ჩვენს ჯარისკაცებს კი დაფლეთილი სამოსი ეცვათ. ყველას ძალიან გვიკვირდა, რომ ამერიკელ ჯარისკაცებს ნამდვილი ფეხსაცმელები ეცვათ. მამაჩემის ნათლიმამამ გვითხრა, ჩვენი გენერალი ძალიან მდიდარი მემამულეაო, ჯარის შესამოსად და გამოსაკვებად უამრავ ფულს იღებს, მაგრამ სულ თვითონ იჯიბავს. ჯარისკაცები კი ეგრე დაფლეთილები და მშივრები დაუდისო.

— მერე ის ამერიკელები თქვენთან დარჩნენ? — იკითხა ტრინიმ.

— არა, ქალაქ მეხიკოში წავიდნენ. დამაცადე, ყველაფერს თანმიმდევრულად გიამბობ. ქალაქის ერთ გარეუბანში, მაღალ მთაზე, იდგა ძველისძველი სასახლე ჩაპულ ტეპეკი. რადგან ჩვენი გენერალი მონდომებით არ იბრძოდა, ოფიცერთა სკოლის მოაწავლეებმა გადაწყვიტეს, ამ სასახლეს ჩვენ დავიცავთო, და იქ გამაგრდნენ. თუმცა მთლად ბავშვები იყვნენ, მაგრამ გადაწყვიტეს, მედგრად ებრძოლათ და მტერი ქალაქში არ შემოეშვათ. სასახლიდან გახურებული სროლა ატეხეს, მაგრამ ეს ბავშვები ამერიკელთა ამდენ ჯარსა და მათ გამოცდილ გენერალს რას გაუმკლავდებოდნენ? გრინგოები სასახლეში შეუცვივდნენ და ცოცხლად დარჩენილებიც ერთიანად გაჟლიტეს.

ტრინის სიძულვილისაგან თვალები გაფართოვებოდა.

— მერე და... სიტყვას ვეღარ პოულობდა იგი.

— აი, ტრინი, — წყნარად განაგრძო კვლავ დიდმა დიდედამ. — ეს ბიჭები ნამდვილი გმირები იყვნენ. სწორედ გმირ ბიჭებს უწოდებდნენ. ყველანი ამერიკელებმა ამოხოცეს. ამიტომ არ უყვარს ჩვენს ხალხს ამერიკელები.

— ჩვენს ხალხს არა მარტო არ უყვარს ამერიკელები, სძულს კიდეც, — მკაცრად თქვა ამბროსიამ.

შორეული ვულკანის თავზე წამომდგარმა ღრუბლებმა კვლავ ფორმა შეიცვალეს.

## უცხოელი იმპერატორი და მისი ოჯროს ეტლი

მეორე საღამოს დიდმა დიდედამ ისევ ძველი ამბების თხრობა განაგრძო:

— ცხოვრება ძალიან გვიმძიმდა. ბატონების სახლში ახალგაზრდა გრაფი ცხოვრობდა. ძალიან გაჭიანურებული სახელი ჰქონდა: ფელიქსი გრაფი არიოლა ი მირაფლორესი. მოხდენილი და მხიარული ბატონი ბრძანდებოდა და ფულების

ფლანგვა უყვარდა. ფლანგვა კი უყვარდა, მაგრამ ფულებს ვინ აძლევდა? რასაკვირველია, თავისი ყმები, ჩვენ. არაფრის დარდი არ აწუხებდა. მის მოურავს შეეძლო, რასაც კი მოისურვებდა, ყველაფერი გაეკეთებინა, ოღონდ ბატონისათვის ნადირობისა და ქალაქში მდიდრული ცხოვრებისათვის საკმაო ფულები ეძლია. მოურავი ხელფასს გვინახავრებდა, უბრალო რამისთვის ჯარიმას გვახდევინებდა, ზოგჯერ ხელფასს გვიკავებდა.

ხანდახან ლამაზ ცხენებზე ამხედრებული სტუმრები მოუვიდოდა ხოლმე. ზოგს მოქარგული კოსტუმები ეცვა, ზოგს — ვერცხლის ყაითნით მორთული მუნდირები და ვიწრო რეიტუზები. ცხენებზე გადამჯდარ ქალებს ძალიან გრძელი კაბები ეცვათ და ორივე ფეხი ერთ მხარეზე გადაედოთ. ძალიან თეთრები იყვნენ და მიწაზე ორი ნაბიჯიც რომ გაევლოთ, მაშინვე ქოლგებს გაშლიდნენ, რომ მზეს ჩვენსავით არ დაეწვათ. ბატონის გაჩახჩახებულ სახლიდან შუადამემდე ღრიანცელი ისმოდა. მაშინ მათი სასახლის ახლოს, ქოხში ვცხოვრობდით. ვიწექით ბნელში და თავს ვიმძინარებდით. ფიქრი და აზროვნება ჩვენც შეგვიძლია. თუმცა უფრო ნელა, ვიდრე კეთილშობილ ესპანელებს, უმაღლეს სკოლებში რომ სწავლობენ. რატომ ვფიქრობდით იმ დროს იმდენს, ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. სწორედ მაშინ ახალი პრეზიდენტი — ბენიტო ხუარესი აირჩიეს. ეს ამბავი ძალიან გვიკვირდა, რადგან ის არც გენერალი იყო და არც სასახლის პატრონი, უბრალო ადვოკატი გახლდათ. თანაც მთლად ინდიელს ჰგავდა, ჩვენსავით შავი კანი და ფართო პირი ჰქონდა. ჩაცმით კი ჩვენსავით არ იცვამდა, სულ შავ სამოსში გამოწყობილი დადიოდა. ერთხელ მეც ვნახე, ჩაფსკვნილი და ბეჭებგანიერი კაცი იყო. ეტლში იჯდა, მაგრამ ეს ეტლი ისეთი მშვენიერი როდი იყო, რომლებითაც ბატონები დადიან, ერთი პატარა ორთვალა იყო, ისეთივე ღარიბული გადასახსნელი სახურავი ჰქონდა, როგორი ტანისამოსიც ეცვა. ასე მოგზაურობდა ის მტვრიან გზებზე. ხალხს ძალიან უყვარდა. დიდ ესპანელ მემამულეებს კი სძულდათ, სძულდათ ეპისკოპოსებსაც — ისინი ხომ დიდი ესპანელ ბატონების ძმები ან ბიძები არიან. მღვდლებს იმიტომ არ უყვარდათ, რომ მას სურდა ეკლესიისათვის უზარმაზარი მამუ-

ლები ჩამოერთმია და ჩვენთვის, გლეხებისათვის დაერიგებინა. ამის გამო ეკლესიებში ხუარესის წინააღმდეგ ქადაგებდნენ და მას ქრისტიანობის მტერსა და ბაბილონურ მხეცს უწოდებდნენ. დიდი მამულებისათვისაც უნდოდა მიწების ნაწილის ჩამორთმევა. ამას ხალხში რეფორმას უწოდებდნენ. მაშინ ყველა ამ რეფორმაზე ლაპარაკობდა.

ერთ დღეს ჩვენი სოფელი ძალიან გამოცოცხლდა, მემამულეს მდიდარი ბატონები ეწვივნენ. გეგონებოდათ ჯიბრზე, ცხენებს პირდაპირ ჩვენს ყანებზე მოაჯირითებდნენ, თითქოს სხვა გზა არ ყოფილიყოს. ამ დროს სიმინდი უკვე შემოსული იყო. მაგრამ იმ ბატონებს აბა რა ადარდებდათ, თუ მათი ცხენები ყანას გადაქელავდნენ და მშივრებს დაგვტოვებდნენ. ცხენოსნებს კარეტები მოსდევდნენ. ერთ-ერთში ეპისკოპოსი იჯდა. დანარჩენებში — მღვდლები და ეკლესიის მსახურნი. ეპისკოპოსი ძალიან მსუქანი იყო, კარეტიდან ძლივს ჩამოგორდა და ბატონის სახლის კიბეზე ორ საფეხურს რომ აივლიდა, ისვენებდა, ხვნეშოდა და სული ყელში ებჯინებოდა. მის შესახვედრად გრაფინია გამოემართა, ღრმა რევერანსით მიესალმა და მსუქან ხელზე გაკეთებულ ბეჭედზე ეამბორა. ცოტა ხნის შემდეგ ბატონის სახლიდან საეკლესიო სიმღერები და ზარის წკარუნი გაისმა. ბატონებისთვის სწირავდნენ. მერე რა მოხდა, ველარ გავიგეთ, რადგან ბატონები ჩაიკეტნენ და ფანჯრებიც მაგრად მოხურეს. კართან ბატონის ორი ზედამხედველი გუშაგობდა თოფებით ხელში. ორივე ზედამხედველი მთელ ოლქში განთქმულები იყვნენ სისასტიკით, ცემით რამდენიმე ყმა სიკვდილის პირას მიიყვანეს. ამის გამო მსახურები კარებთან მიახლოვებას და ყურის დაგდებას ვერ გაბედავდნენ. მაგრამ ისედაც კარგად მივხვდით, რაც ბატონის სახლში ხდებოდა. ჩვენებიც ჯვუფ-ჯგუფად შეიკრიბნენ, რათა ბატონს თვალში არ მოხვედრილიყვნენ. ეჭვი არ იყო, ეპისკოპოსსა და ბატონს არ უნდოდათ ჩვენთვის იმ მიწის მოცემა, რომელსაც პრეზიდენტი ხუარესი დაგვპირდა.

ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ ჩვენს ქვეყანას საფრანგეთის ჯარი შემოესია. მათ ხუარესს ომი გამოუცხადეს. ხმები დადიოდა, ფრანგებმა თან ერცჰერცოგი მაქსიმილიანე ჩამოიყვანესო.

ერთ ღამით, როცა ყველას გვეძინა, ჩვენს ქოხს რამდენიმე კაცი მოადგა, რომელთაც მე არ ვიცნობდი. ისინი შიგნით შემოვიდნენ, ჩაცუცქდნენ და ინდიურ ენაზე ჩურჩულს მოჰყვნენ. ჩვენი სოფლელებიც მალე აქ გაჩნდნენ და ქოხი ხალხით აივსო. სოფლელები მოსულებს შეეკითხნენ, ერცჰერცოგის მოსვლა რას ნიშნავსო. უცხოთაგან ერთ-ერთმა განმარტა, რომ ერცჰერცოგი იმპერატორად დასვეს და მათ უნდათ პრეზიდენტ ხუარესს ხელი შეუშალონ, რათა მან ბატონების მიწა ჩვენ არ დაგვირიგოსო. „ამის ჩადენა ხომ გრაფსა და სხვა ბატონებსაც შეეძლოთ“, — თქვა მამაჩემმა. უცხომ კი ასე უპასუხა: „მოსულმა ერცჰერცოგმა ჩვენი გაჭირვებისა ◆რაფერი იცის, ამიტომ ჩვენი ბატონები და ეპისკოპოსები ფიქრობენ, რომ ის ხალხს უფრო მეტად დაიმონებს“.

მართლაც ასე მოხდა. იმპერატორმა ფრანგი ჯარისკაცები ჩვენი პრეზიდენტ ხუარესის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა. თვითონ მაქსიმილიანე კი მეხიკოსაკენ გაეშურა. მაქსიმილიანესა და მის ცოლს ჩეპულ ტეპეკის სასახლე ძალიან მოეწონათ. სასახლე შეაკეთებინეს და იქ დასახლდნენ. ჩვენი ბატონი მაქსიმილიანესთან ხშირად დაიარებოდა — ისიც მისი ჯიშისა იყო. მოურავების მეშვეობით გრაფი უკანასკნელ ლუკმასაც პირიდან გვგლეჯდა, ხოლო ერცჰერცოგი მინისტრებისაგან თავისი მშენებლობისა და მდიდრული ცხოვრებისათვის თანდათან მეტ ფულს მოითხოვდა. იმას კი არ კითხულობდა, ფული საიდან მოდიოდა. მეტისმეტი სიყოყოჩის გამო დიდი, მთლად ოქროს კარეტის გაკეთება შეუკვეთა. გვერდებზე ფანჯრები და ძვირფასი მორთულობა უნდა ჰქონოდა. მართლაც, თვალისმომჭრელად ბრწყინავდა კარეტა. ჩასხდებოდნენ შიგ ორდენებით მოჭედილ მუნდირში გამოწყობილი იმპერატორი და ფარჩეულობაში გახვეული მისი ცოლი და სასახლიდან ქალაქისაკენ დაეშვებოდნენ. ამბობდნენ, ამას ხალხის საჩვენებლად აკეთებენო. ერთხელ მეც ვნახე იმპერატორი თავის ოქროს კარეტაში. კოფოზე ერთიანად ვერცხლის ყაითნებში ჩამჯდარი მეეტლე უჯდათ, გვერდით რაღაცნაირ ჭრელ ტანისამოსში გამოწყობილი კაცი. ჩექმები სარკესავით ულაპლაპებდა. ორივე უცხოელი იყო და ცისფერი თვალები ჰქონდათ. სარკის სარკმლის იქით თვალი მოვკარი ერცჰერცოგს,

რომელსაც თევზის ბოლოსავით ორად გაყოფილი დიდი ქერა წვერი დაეყენებინა. ერცჰერცოგის მეუღლეს ყელზე ბრილიანტის ყელსაბამი ჩამოეკიდა. მისალმებაზე თავს მოწყალედ იქნევდნენ. მინდოდა, გავჩერებულიყავი, რომ კარგად დამენახა, მაგრამ მამაჩემმა ხელი ჩამავლო და მახლობელი შესახვევისაკენ წამათრია. „რას უცქერი მაგათ, ეგენი უცხოელები არიან", — მითხრა მამამ. ჩვენი ხალხიც ამასავე ფიქრობდა.

ცუდად წაუვიდა საქმე ერცჰერცოგს. მისი ფრანგი ჯარისკაცები ზღვის ვაღმა გაემგზავრნენ, საკუთარი ჯარისკაცები კი ცოტა ჰყავდა. პრეზიდენტმა ხუარესმა ჩაიცვა ძველი სერთუკი, ჩაჯდა თავის ეტლში და დედაქალაქში დაბრუნდა. მისი ჯარი ერთგულად იბრძოდა. ჩვენს სოფელს რომ ჩამოუარეს, გრაფის სახლში დიდი ალიაქოთი ატყდა. გრაფინიამ ზედამხედველი გამოგზავნა და დამიბარა, ჩემთან ერთად წამოდიო. წასვლა არ მინდოდა, მაგრამ რას გავხდებოდი? ჩვენ ხომ სინამდვილეში ყმები ვიყავით, თუმცა ბატონები ამტკიცებდნენ, ბატონყმობა აღარ არსებობსო. გრაფი და მისი მეუღლე რამდენიმე სხვა ბატონთან ერთად ეტლებით მიჰქროდნენ, მე კი ტვირთაკიდებული მივრბოდი. ერთი ბატონის ეზოს რომ მივადექით, უკვე მკვდარივით ვიყავი, მაგრამ ეტლებიც მეუნდა გადმომეტვირთა, ლოგინი გამეშალა და მათთვის ტანისამოსი დამეწმინდა. ასე ვშრომობდი, მაგრამ ჩემთვის ერთხელ რიგიანადაც არ შემოუხედავთ. ასე ჩავედით ქალაქ კერეტაროში. ერცჰერცოგიც ამ ქალაქში დაგვიხვდა. მისი ცოლი ხლვის ვაღმა გამგზავრებულიყო, რათა რომში პაპისათვის დახმარება ეთხოვა. ერცჰერცოგის მეუღლემ იქ რა ჩაიდინა, არ ვიცი, იქნებ ყვირილი მორთო. ჰოდა, ისიც აიღეს და ციხეში გამოჰკეტეს. მერე ხმა დაირხა, ჭკუაზე შეირყაო.

ტრინიმ თავი ვეღარ შეიკავა და იკითხა:

— ერცჰერცოგი კერეტაროშიც ოქროს კარეტით დასეირნობდა?

ყველამ გაიცინა.

— რის ოქროს კარეტა, — უთხრა დიდმა დიდედამ, — ფეხით დადიოდა. ძალიან ცუდ დღეში იყო. ჩვენც საკმაოდ ვიწროდ ვცხოვრობდით. ერთხელ კარებში ვიდექი. მოვიდა ცისფერთვალება ვიღაც ბატონი და დამტვრეულ ესპანურ

ენაზე მითხრა: ხომ არ შეგიძლია, გრაფს ჩემი მოსვლა შეატყობინოთ, მე იმპერატორის ლაიბ-ექიმი ვარო. გრაფმა ის, რასაკვირველია, მაშინვე მიიღო. ერთმანეთს რომელიღაც უცხო ენაზე მიესალმნენ. ის რომ წავიდა, გრაფინიამ მიმიხმო და რაც მასთან ვიყავი, პირველად ახლა მომმართა თავაზიანად. იმპერატორის ჯარები დამარცხდნენ და არ ვიცი, ახლა რა გველისო. მერე მთხოვა, კარებში გაჩერდი, ქალაქში პრეზიდენტის ჯარები რომ შემოვა, დაგინახავენ და იფიქრებენ, აქ ინდიელები ცხოვრობენო. კაი ეშმაკი ბრძანებულხარ-მეთქი, — გავიფიქრე,—ახლა ინდიელად სურს თავი მოაჩვენოს, ადრე კი მხოლოდ გვაფურთხებდა. ჯარისკაცებისა მეც მეშინოდა, მაგრამ უარი ვერ ვუთხარი და კარებისაკენ გავემართე. რამდენიმე ხანს ვიდექი. უცბად ერცჰერცოგმა გვერდით ჩამიარა. ახლა მას უცხოური მუნდირი როდიღა ეცვა. ფართოფარფლებიანი შლაპა დაეხურა და ისეთივე მოქარგული კოსტუმი ეცვა, შექსიკელი მემამულეები რომ იცვამენ. გვერდით ლაიბ-ექიმი მისდევდა. მე გამიკვირდა, ნუთუ ამ მემამულის კოსტუმში ლომ გამოწყობილა, იმით უნდა პრეზიდენტის ჯარს თავი მოაწონოს-მეთქი? იმიტომ გამიკვირდა, რომ თითქმის ყველა ჯარისკაცი თავის დროზე გლეხი იყო და ყველა მათგანს მიწის მიღება და ბატონების გარეკვა სურდა. მაგრამ პრეზიდენტის ჯარი ამ ქალაქში არ შემოსულა. ისინი რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდნენ. ერცჰერცოგსა და მის ორ გენერალს სიკვდილი მიუსაჯეს. ჩვენ სახლის ბანზე ავედით და სიკვდილით დასჯას ვუყურებდით. მოიყვანეს ერცჰერცოგი თავის გენერლებიანად. წინ პრეზიდენტ სუარესის ჯარისკაცები მოუძღოდნენ, უკანაც ისინი მოჰყვებოდნენ. უჰ, რა საშინელი სანახავები იყვნენ! ჯარისკაცებს მუნდირები კი არა, პერანგებიც არ ეცვათ. ფეხშიშველებსა და ტანშიშველებს მხოლოდ ტოტებშემოფლეთილი შარვლები ეცვათ. აი, ასეთები იყვნენ ეს ჯარისკაცები, რომლებმაც გაიმარჯვეს. დასჯა მაინც ვერ დავინახეთ, მხოლოდ გასროლის ხმა გავიგონეთ.

— გრაფიც დახვრიტეს? — იკითხა ტრინიმ.

—არა, — უთხრა დიდმა დიდედამ. — ახლა უკვე გვიანარის. დღეს ვეღარ მოვასწრებ იმის მოყოლას, რაც ერცჰერცოგის დასჯის შემდეგ მოხდა.

# დიდი დიდედა ავად ხდება

ერთ დილით დიდი დიდედა ფეხზე ვეღარ ადგა, ისევ ჭილობზე იწვა.

ტრინის დედამ მამამთილი ლეღვის ხესთან მიიყვანა, ქოხისაკენ გაახედა და უთხრა:

—დიდედა დიდხანს ვეღარ გააღწევს. ნათლიდედა მარიანა ხომ არ მოვიყვანო? მან ყველაფრის წამლობა იცის.

ტრინი სასიმინდის უკან იდგა და მათი ლაპარაკი ესმოდა.

— წადი მარიანასთან, თუკი საჭიროა, — უთხრა პაპამ.

— მერე ამბროსიას რა ვუყოთ? — ჩუმად თქვა დედამ.

— ამბროსიას რაღა დაემართა?

— ხომ იცი, ამბროსია მარიანას ვერ იტანს, ჯადოქარს ეძახის: ხალხს ატყუებს და ფულებს სძალავსო.

— მაშ ნუ წახვალ. სიბერეს ვარავინ დასძლევს. ერთი-ორი დღე კიდავ მოვიცადოთ. იქნებ დედაჩემს წოლამ უშველოს.

მერე რძალი და მამამთილი ერთმანეთს დასცილდნენ. ტრინიმ არ იცოდა, რას ნიშნავდა სიტყვა სიბერე, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ შეიძლებოდა მისი საყვარელი დიდი დიდედა მომკვდარიყო. საჭირო იყო შველა, მაგრამ დიდედა თურმე წინააღმდეგი ყოფილა. ტრინის არ უყვარდა დიდედა ამბროსია. მაგრამ ეს ვერასგზით ვერ წარმოედგინა, რომ მისი საყვარელი დიდი დიდედის მორჩენას ხელს შეუშლიდა. „იქნებ მარიანასთან ჩუმად გავიქცე და ვკითხო, რითი ვუშველო ჩემს დიდ დიდედას, მაგრამ ფული რომ მომთხოვოს? მართლა ჯადოქარი რომ იყოს, მაშინ ხომ ისიც შეიძლება...“ — ფიქრობდა ტრინი.

ტრინიმ არ იცოდა, რის გაკეთება შეეძლო ჯადოქარს, სწორედ ამიტომაც ეშინოდა მარიანასი. დეიდა მარიანა თითქოს ავ ქალს არა ჰგავდა, მაგრამ თუკი ჯადოქარია!..

სასიმინდეს ამოფარებულმა ტრინიმ თვალი შეავლო დიდედა ამბროსიას, რომელიც ქოხისაკენ მიეშურებოდა. რა მოხდა? შეშინებული ტრინიც ქოხისაკენ გაიქცა და შიგ შეიჭყიტა. ამბროსია ჭილობისაკენ დაიხარა და იკითხა:

— ჩაის ხომ არ დალევდი? კარგია, გაგათბობს.

— არა, — წყნარად უპასუხა მოხუცმა. — სჯობს, ტრინი მოვიდეს.

კარებში მდგარ ტრინის გულში სითბო ჩაეღვარა. თვალებზე ცრემლები მოადგა. დიდ დიდედას მისი ნახვა ენატრებოდა, მხოლოდ მისი! უცებ ქოხში შევარდა და ჭილობისაკენ დაიხარა. თავისი ჩვილი ლოყა მოხუცის დანაოჭებულ ლოყას მიადო.

— ჩემი დიდი დედა! — წარმოთქვა აქვითინებულმა ტრინიმ.

მოხუცმა ტრინისაკენ მიიხედა. დანაოჭებულ სახეზე სითბო და სიყვარული დასთამაშებდა.

— ასე ძალიან მიფრთხილდები მოხუც დიდედას?

მწუხარებისაგან გულდათუთქული ტრინი სმას ვერ იღებდა. მოხუცმა განაგრძო:

— ჯერ ძალიან ცუდად არა ვარ. ასე ძალიან ნუ წუხხარ. როდესმე ყველა დაიხოცება. მუდამ ასე იყო და ასეც იქნება.

ტრინის გული უფრო ამოუჯდა. ახლაღა მიხედა, რა ძალიან ჰყვარებია დიდი დიდედა.

მოხუცმა თავი შეაბრუნა და ჩაბნელებული ქოხის ჭერს მიაშტერდა.

— ტრინი, — წყნარად წარმოთქვა დიდმა დიდედამ. — ძველი დროის ამბები ზოგი_რამ უკვე მოგიყევი. ჩვენ ყმები ვიყავით...

— ყმები რა არის?

— ყმა ის არის, გლეხი რომ ბატონს ეკუთვნის. აი, ჩვენც გრაფს ვეკუთვნოდით. რასაც მოინდომებდა, იმას გვიზამდა. თუ რომელიმე ყმა აუტანელ შრომას ვერ გაუძლებდა და გაიქცეოდა, უკან ძალით აბრუნებდნენ. ზოგჯერ გაქცეულებს გზაშივე ჰკლავდნენ. მერე იტყოდნენ, ისეთ გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდა, იძულებული ვიყავით, თავი დაგვეცვაო. ეს, რასაკვირველია, ტყუილი იყო. ზოგჯერ მკვლელობის გამო თავის გამართლებას არც ცდილობდნენ. ჩვენ შესაშინებლად იტყოდნენ ხოლმე, ყველა ასეთ ნაძირალას სიკვდილი ელისო.

— დიდედო, — წამოიწყო ტრინიმ, — ამასწინათ რომ ბიძია მელჩორა დაიჭირეს, მე თვითონ ვნახე, დრაგუნებმა როგორ გაუკოჭეს თასმებით ხელ-ფეხი.

— შენ ის გინდა თქვა, რომ დღესაც არ გვეპყრობიან უკეთესად? თუმცა ბატონები ამტკიცებენ, ბატონყმობა გადავარდაო, მაგრამ შენ მართალი ხარ, ჩვენ ახლაც ისეთივე ყმები ვართ, ადრე რომ ვიყავით... — მოხუცი ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე ოდნავ გასაგონი ხმით განაგრძო: — დღეს თავს ცოტა სუსტად ვგრძნობ, მაგრამ მსიამოვნებს, ასე რომ ვწევარ და ამბებს გიყვები. მოდი, საბანში შემომიწექი, შენი ბებერი დიდედა ცოტა გაათბე.

მოხუცი ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე განაგრძო:

— ბიძაშენი იერონიმო გრაფთან მებაღედ მუშაობს. ის ჭკვიანი ყმაწვილია, ხალხის ლაპარაკსაც ყურადღებით უსმენს. იცი, გუშინ საღამოს ჩვენთან რომ იყო? არ გეცოდინება, შენ გეძინა. იმიტომ მოვიდა, რომ შეეტყობინებინა, — მეხიკოში დიდი არეულობააო. მიზეზი თვითონაც კარგად არ იცოდა. გაზეთებში წერენ და მოითხოვენ, მიწა ბოლოს და ბოლოს გლეხობას დაუბრუნდესო. ქალაქიდან გრაფი ძალიან ცუდ ხასიათზე დაბრუნდაო. ყველას უღრენდა, ვინც გზაზე შეხვდებოდა. „ის, რაც ბატონებს აბრაზებს, ჩვენთვის კარგია. ყური მახვილად გქონდეთ, რაღაც ამბები იწყება“, — თქვა იერონიმომ.

მოხუცი ისევ ჭერს შეაცქერდა.

— იერონიმოს ნათქვამმა ძველი დრო გამახსენა, ტრინი,— დაიწყო ისევ დიდმა დიდედამ. — მაშინაც, პრეზიდენტ ხუა-

რესის დროს, დაახლოებით ამ სამოცი წლის წინ, ასეთი ამბები ხდებოდა. ხალხში ათასნაირი ხმები დადიოდა, გლეხები ერთად იკრიბებოდნენ და ჩურჩულებდნენ. მერე ომიც მალე დაიწყო. ჩვენი სახნავ-სათესი გავერანდა, ყველგან შიმშილი მძვინვარებდა. როცა ბოლოს, ერცჰერცოგი მაქსიმილიანე დახვრიტეს, გვეგონა, ახლა კი გვეშველაო. პრეზიდენტმა ხუარესმა ეკლესიას მიწა წაართვა. მაგრამ ეპისკოპოსებმა ამის გამო მას სამაგიერო მიუზღეს. ერთ ღამეს სახლიდან მინისტრი მელჩორა ოკამპო გამოათრიეს და დახვრიტეს.

— ეპისკოპოსებმა? — ჩაეკითხა ტრინი. — აი, იმათ, გრძელი ანაფორები რომ აცვიათ?

— არა, თვითონ ეპისკოპოსებმა არა, მაგრამ მათ ოფიცრები შეაგულიანეს, რადგან მელჩორა ოკამპოს დახმარებით წაართვა ხუარესმა მიწები ეკლესიას. ამის შემდეგ ცოტა ხანმა რომ განვლო, შევატყვეთ, რომ რაღაც შეიცვალა. თუმცა პირველად კარგად ვერ გავიგე, რაში იყო საქმე. მაშინ მე გრაფინიასთან ვმსახურობდი. ერცჰერცოგის დახვრეტის შემდეგ ძალზე ალერსიანად მეპყრობოდა. სრულიად მოულოდნელად გრაფინიამ გამანთავისუფლა. ეს ამბავი ძალიანაც გამეხარდა, რადგან სწორედ იმ ხანებში გათხოვებას ვაპირებდი. მაგრამ ძალიან გამიკვირდა, რომ განთავისუფლების ამბავი გრაფინიამ კი არ მითხრა, თავისი მოახლის პირით შემომითვალა. მისი მოახლე თეთრკანიანი იყო და ჩვენ, ინდიელებს, ზემოდან დაგვყურებდა. რამდენიმე დღის შემდეგ გრაფის მთელი ოჯახი ქალაქში გადასახლდა. ეს იმ დროს მოხდა, როცა მექსიკის პრეზიდენტად პორფირიო დიასი აირჩიეს, რომელიც დღესაც ჩვენი ქვეყნის მმართველია. არც ერთ გლეხს ის არ უყვარს. ჯერ არ ვიცოდით, რა კაცი იყო და იმის იმედიც კი გვქონდა, რომ ის მაინც მოგვცემდა დაპირებულ სან ბარტოლდოს მამულს. ეს იმიტომ გვჯეროდა, რომ დონ პორფირიო ხუარესთან ერთად ებრძოდა ერცჰერცოგს. ძალიან კი მოვტყუვდით! მაგრამ არ უნდა მოვტყუებულიყავით. ადრევე უნდა გვცოდნოდა, რა შვილი იქნებოდა ეს დონ პორფირიო, რადგან ჩვენი გრაფი მასთან მაშინ მივიდოდა, როცა სურდა, ხოლო დონ პორფირიო მას საუკეთესო მეგობარივით ეპყრობოდა. ისინი დედაქალაქში ქეიფობდნენ და დროს ატარებდნენ, ჩვენ კი

მოურავი ქამარს თანდათან მაგრად გვაჭერინებდა. ეს საზიზღარი საწყალ მუშებს ისედაც მათხოვრულ ხელფასს უმცირებდა და უმცირებდა, რაც კი შეეძლო. ერთხელ ერთ-ერთმა მუშამ შეკამათება გაბედა. მოურავი ნელა წამოდგა, დაკეცა ციფრებით სავსე დავთარი და თქვა: „შენი წყალობით დღეს ფულს აღარც ერთ მუშას აღარ მივცემ. ათი დღის შემდეგ მობრძანდით“.

ათი დღის შიმშილის შემდეგ ნახევარი გასამრჯელო მოგვცა. რომ იჭირვეულეთ, ეგრე მოგიხდებათო, — გვითხრა მოურავმა. ამჯერად ხმის ამოღება ვერავინ გაბედა, რადგან ერთი კვირით ადრე, ვინც პირველად შეეკამათა, წაიყვანეს, ჯარისკაცებს გადასცეს და მას შემდეგ თვალით აღარავის უნახავს.

დიდი დიდედა გაჩუმდა, გვერდი იბრუნა და ტრინის უთხრა:

— გადი, ტრინი, გარეთ, ნახე როგორი ამინდია!

ცა ლურჯად ბრწყინავდა, მზე აცხუნებდა, მაგრამ ჰორიზონტზე რუხი ღრუბლები შემოჯარულიყვნენ. ტრინიმ იცოდა, რომ მალე ცას ღრუბლები დაფარავდა და ჭექა-ქუხილი ატყდებოდა. ასე იცოდა ყოველთვის, როცა წვიმების სეზონი დადგებოდა. ახლაც სწორედ წვიმების სეზონი იყო. ტრინი ქოხში შებრუნდა და ეს ამბავი მოხუცს უთხრა.

— სანამ გაწვიმდება, მარტო დამტოვე, — უთხრა მან ტრინის. მერე კარგად გავხდები.

ტრინი მომწვანო-ტალახისფერი კაქტუსების ღობეში დარჩენილ თავისუფალ ადგილას გაძვრა და სოფლის გზას გაუყვა. ორი გლეხი ინდაურებს მოერეკებოდა. მათ ხელში გრძელი წკეპლები ეჭირათ და ეზოებისაკენ გაფრენილ ინდაურებს უკან აბრუნებდნენ. მხარზე თოხგადებული პაპა მინდვრიდან ბრუნდებოდა. ტრინი რომ დაინახა, ჰკითხა:

—როგორ არის დიღი დიდედა?

— ძველი დროის ამბები მომიყვა, — მიუგო ტრინიმ.

— ალბათ გამოკეთდა, — ჩაილაპარაკა პაპამ.

ამასობაში ცის ნახევარს უკვე ღრუბელი მოსდებოდა, თუმცა მზე ისევ იკბინებოდა. უცბად ქარმა წამოუბერა და სოფლის ორღობე წამოგავა. ტრინიმ ქარს ზურგი აქცია, მტვერი რომ თვალებში არ შეჰყროდა. პირველად რამდენიმე

მსხვილი წვეთი ჩამოვარდა. ორღობეში ძაღლმა გაირბინა და თავი საიმედო ადგილას შეაფარა.

ტრინი ქოხში დაბრუნდა. შინ მისვლა ძლივს მოასწრო, რომ წვიმამ დაუშვა. სახურავებიდან ისეთი წყალი წამოვიდა, თითქოს ვედროებიდან ასხამენო.

— აქ მო! — დაუძახა მოხუცმა. — მოდი, ისევ ლოგინში შემომიწექი. ეს შხაპუნა წვიმები ბავშვობიდან მახსოვს, მაგრამ ყოველთვის რაღაც უცნაურად მეჩვენებოდა. უმაგისოდ ალბათ ვერ ვიცოცხლებდით. წვიმის წყალი სასმელადაც კარგია და მცენარეებისთვისაც სულზე მისწრებაა. ამ თავსხმამ ერთი ამბავი გამახსენა. როცა გრაფინია თავისი მამულიდან გაქცევის შემდეგ უკან პირველად დაბრუნდა, წვიმების სეზონი იწყებოდა. ბავშვებიც თან მოიყვანა. ძალიან შეცვლილიყო. თუმცა მის ქედმაღალ მოახლეს ჩვენ ძალიან ვეზიზღებოდით, მაგრამ ისეთი ლაქლაქის მოყვარული იყო, ხან აქ გაჩერდებოდა, ხან იქ, რომ ყბა ცოტა მაინც მოექავებინა. მისგან გავიგეთ, რაც მომხდარიყო. როგორც, საერთოდ, ბატონებს სჩვევიათ, გრაფიც თურმე ცოლს მანამდე სცემდა პატივს, ვიდრე ის ახალგაზრდა და ლამაზი იყო. მერე უმისოდ დაუწყია აქეთ-იქით ხეტიალი და გართობა. ქალაქის სხვადასხვა რაიონში გაიჩინა ქალები, რომლებსაც მისგან შვილები გაუჩნდათ. გრაფი მათ დიდძალ ფულს აძლევდა. მოახლე ამას „პატარა ოჯახებს“ უწოდებდა და ამტკიცებდა, ასეთი „პატარა ოჯახი“ გრაფს ოთხი ჰყავსო. ეს ამბავი, რასაკვირველია, გრაფინიამაც იცოდა. ამის გამო იგი სხვათა მწუხარების მიმართაც მგრძნობიარე გახდა. ახლა ის ხშირად დადიოდა ეკლესიაში და კარგა ხანს ლოცულობდა. ზოგჯერ ავადმყოფ გლეხის ქალებსაც კი მოინახულებდა და წმინდანებისა და იესო ქრისტეს ამბებს უყვებოდა. ეს ამბავი ბევრს არაფერს გვრგებდა, რადგან ჩვენს მოურავს ქრისტე და წმინდანები აინუნშიაც არ მოსდიოდა. სიარულით მოურავიც მუდამ დადიოდა წირვა-ლოცვებზე, მაგრამ ეკლესიიდან რომ გამოვიდოდა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს იქ ახალი ვერაგობა მოეგონებინოს. სახეზე მუდამ ისეთი სიმკაცრე და ბოროტება ეხატებოდა, მისი შეხედვა შეგზარავდათ.

დიდი დიდედა ინდიელთა გასაჭირის თხრობას განაგრძო-

ბდა, ხოლო წვიმა კვლავ ასხამდა. ტრინი მას ჩახუტებოდა და უკვე კარგა ხანი იყო, ჩასძინებოდა. ეს ამბავი დიდედამ გვიან შეამჩნია და გაეცინა. „კარგი ბავშვია, საზრიანი. ოღონდ რა ვიღონოთ, რომ ჩვენნაირი მძიმე ცხოვრება არ ჰქონდეს? მართალია, ჯერ არ მოშივნია, მაგრამ ესეც მოსალოდნელია“, — გაიფიქრა მან და თვითონაც ჩაეძინა. ძილი მისთვის გაცილებით უკეთესი წამალი იყო, ვიდრე ნათლია მარიანას შელოცვა.

ზეცა წვიმის უწყვეტ ნაკადს უგზავნიდა დედამიწას. ქოხში მიწისა და მცენარეთა სურნელებით გაჟღენთილი მაცოცხლებელი ჰაერი იჭრებოდა.

## „მუავე“ გრაფი წესრიგს ამყარებს

დიდმა დიდედამ მართალი თქვა, იგი ჯერ არც ისე ცუდად იყო. ორი დღის შემდეგ კვლავ ფეხზე წამოდგა და იმ საღამოსაც კარებთან იჯდა. უხვმა წვიმებმა მიდამო ააბიბინა და ააყვავა. ტრინიმ დიდ დიდედას ბუგანვილიის წითელი ყვავილი მიართვა და გამოჯანსაღების აღსანიშნავად, შეევრცხლილ თმებში გაკეთება დაუპირა, მაგრამ მოხუცმა თავი გვერდზე გადასწია და ტრინის უთხრა:

— ეგ ახალგაზრდა გოგონებს ამშვენებს, მოხუცს არ შეჰფერის!

ტრინი დარცხვენილი იდგა, ლამაზ ყვავილს ხელში ატრიალებდა და არ იცოდა, რა ექნა.

უბერხულობიდან ისევ დიდმა დიდედამ გამოიყვანა:

— ხელში მომეცი, ყმაწვილქალობას გამახსენებს, გამეხარდება. დღეს კი ძველ ამბებს აღარ მოგითხრობ. ახლა იმ დროის ამბავს გადმოგცემ, როცა მე უკვე დიდედა ვიყავი.

დადგა 1900 წელი. ამბობდნენ, ამ წელს წარღვნა იქნებაო. მაგრამ არ ყოფილა, მოხუცი გრაფი კი მოკვდა. მანამდე მისი ცოლი და ვაჟიშვილი დაიხოცნენ. თვითონ ქალაქში გადასახლდა და მთლად გამოსულელდა. ქონების გაჩუქება დაიწყო და ხალხი უფრო მეტად მიაწყდა. მთელი ოჯახი გაანიავა. ხალხმა

ბოლოს ავეჯის გაზიდვას მიჰყო ხელი, ის კი იქვე იდგა და იღიმებოდა.

— ჩვენთვის მას არაფერიც არ უჩუქებია! — ჩაერია საუბარში ამბროსია. — ვინც იმ მოხუც ბოთეს ატყუებდა, მადლობასაც იმას ეუბნებოდა, ჩვენ კი მისი მოურავი ცხრაპირ ტყავს გვაძრობდა.

—მართალია, — განაგრძო დიდმა დიდედამ. — მოურავი გვეუბნებოდა, მოხუც ბატონს მეტი ზრუნვა სჭირდებაო, სინამდვილეში კი ფულის უმეტეს ნაწილს თვითონ იჯიბავდა. ბოლოს, როცა გრაფი გამოფხეკილ სახლში დარჩენილი ერთ ხელ ლოგინში ჩაკვდა, გავიგეთ, რომ მის მემკვიდრეობას მისი შვილიშვილი მიიღებდა, რომელიც საზღვარგარეთ იზრდებოდა. მას არავინ არ ვიცნობდით.

დასაფლავება ძლივს მოასწრეს, რომ მისეულ მამულში ვიღაც უცნაური ყმაწვილი გამოჩნდა. მშვენიერ, დიდ ცხენზე გაჭიმული იჯდა ტანადი ჭაბუკი. მის გვერდით მომავალ საწყალ, გაძვალტყავებულ ჯაგლაგზე ვიღაც სქელი, სათვალიანი

კაცი იჯდა. მაღალი, ეტყობოდა, კეთილშობილი ბატონი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მან გრაფის სახლს გვერდი აუარა და პირდაპირ მოურავისაკენ გაემართა. მოურავი შეაშინა მოულოდნელი სტუმრების მოსვლამ, კარში გამოვიდა და აჩქარებით მოიწმინდა გაქონილი ულვაშები. ეტყობოდა, საჭმელს სჭამდა. ჭამა კი ისეთი იცოდა, მთელ ქონსა და ცხიმს გულზე ისხამდა. მე იქვე ახლო ვიდექი და დავინახე, მაღალი, სახეგაყინული კაცი ცხენიდან ჩამოხტა და მოურავს უთხრა: „მე გრაფი სეხისმუნდო არიოლა გახლავართ. ჩემთან ერთად მოვიდა დოქტორი ედუარდო არისტა, რათა შევამოწმოთ მამულის ანგარიშსწორების დავთრები. დოქტორი ჩემი საქმეთა რწმუნებულია. წავიდეთ კანტორაში.“

ეს მაღალი, გაჭიმული კაცი თურმე ჩვენი ახალი ბატონი იყო.

მოურავს მკვდრის ფერი დაედო სახეზე. თავი დაბლა დახარა და გაღიმებას შეეცადა. მაგრამ ეტყობოდა, შიშისაგან ცახცახებდა.

„მანამდე გრაფი ჭამას ხომ არ ინებებდა, მზად მაქვს...“

ბატონმა სიტყვის გაგრძელება აღარ აცალა და ბოროტად შეხედა: „ჯერ ანგარიში ჩამაბარეთ“, — უთხრა მკაცრად.

ჩემს გვერდით ერთ-ერთი მუშა იდგა, მან ყურში ჩამჩურჩულა: „ჩვენი მოურავის დღეები დათვლილია, მაგრამ ჩვენ თუ გვეშველება რამე?“

რამდენიმე ხნის შემდეგ გრაფი მოურავის სახლიდან გამოვიდა და მამულის გულდასმით დათვალიერებას შეუდგა. სახეზე ერთი ძარღვიც არ შეთრთოლებია. ვერავინ გაიგებდა, უკმაყოფილო იყო, თუ სულ ასე მოღუშული სახე ჰქონდა. მერე გრაფისეული სახლი დაათვალიერა. აქ უკვე მრავალი წლის მანძილზე აღარავინ ცხოვრობდა. ფანჯრის ჩარჩოები ცუდად იყო მორგებული და არ იხურებოდა. სიარულისას იატაკი იღუნებოდა, ღამ-ღამობით ოთახებში ვირთაგვები დარბოდნენ, საწოლები არსად ჩანდა.

გრაფმა ბრძანება გასცა, ღამის გასათევად ერთი ოთახი მომიმზადეთო. მოურავს უბრძანა: მოპარული ავეჯიდან ზოგი რამ მოიტანე და აქ დაალაგეო.

იმ საზიზღარ მოურავს შიშით ფერ-ფური მისდიოდა. თავისი სახლიდან ბატონისაში საჭირო ავეჯი გადმოატანინა. გრაფს გულხელი დაეკრიფა და მოურავის საქმიანობას თვალს ადევნებდა, სქელ-სქელი რწმუნებული კი ცდილობდა, როგორმე გრაფთან ახლოს მისულიყო. ეტყობოდა, ანგარიშსწორების დავთრებში ისეთი რამ აღმოეჩინა, რასაც არ მოელოდა. გრაფს სახეზე ნირიც არ შესცვლია. მხოლოდ ერთხელ დაუქნია თავი ალისტას და უთხრა: „მაშასადამე. უნდა ჩავსვათ“.

საქმეთა რწმუნებულმა თითის წვერებზე აიწია და გრაფს რაღაც უჩურჩულა.

„კი, ხვალ.“ — მიუგო გრაფმა.

ეს ორი სიტყვა „კი, ხვალ“ მაშინვე მთელ სოფელს მოედო. გლეხებს ეგონათ, ხვალ მოურავს დაიჭერდნენ. მოურავიც, ეტყობოდა. აზრისა იყო, რადგან მეორე დღეს აღარსად გამოჩენილა. გაქცეულიყო. ცოლი კი შინ დაეტოვებინა. საშიშროება რომ იგრძნო, მისი ცოლი ჩვენ მოგვეკედლა, მანამდე კი ზეზეაც არ გვიყურებდა. ჩვენიანები გაურბოდნენ. ჩვენსავით ემუშავა მაინც. მხოლოდ ერთი ქალი — მოძღვრის ყბედი მზარეული სწყალობდა. ორივენი გვიანობამდე ისხდნენ სამზარეულოში. ერთი ჯამი ლობიოსა და მწადის სანაცვლოდ მოურავის ნაცოლარს მზარეულისათვის ახალ-ახალი ამბები უნდა მიეტანა. მერე ამ ამბების სოფელში გავრცელებაზე უკვე მზარეული ზრუნავდა. მამულის შემოსავლის ნაწილს მოურავი წლების მანძილზე ქალაქში გზავნიდა. შემდეგ, როცა ცხადი გახდა, რომ გრაფი დიდხანს აღარ გაატანდა, მოპარული ფული საზღვარგარეთ გაგზავნა და ალბათ თვითონაც ამ ფულის კვალს გაჰყვა, თუმცა საით წავიდა, დიდხანს არავინ იცოდა. მოურავის ნაცოლარს ის კი არ აბრაზებდა, რომ ქმარმა მიატოვა, ის უფრო ჰგვრიდა ცოფს, რომ თურმე უკვე კარგა ხანი იყო, რაც სხვა, უფრო ლამაზ ქალზე სცვლიდა. მდიდრები ჩვენში ასე იქცევიან. რამდენიმე წლის შემდეგ გაიგეს, სად შეეფარებინა თავი მოურავს. ნაცოლარმა მუდარით სავსე წერილები მისწერა, მაგრამ მან არც ერთზე არ უპასუხა. ამბობდნენ, გრაფიც გაფაციცებით დაეძებსო, მაგრამ იპოვა თუ ვერა, ეს ვერ გავიგეთ.

მოურავის გაქცევის შემდეგ მალე გრაფინია ჩამოვიდა.

ღია ეტლში განცხრომით გადაწოლილს თავზე ხელოვნური ყვავილებით მოფენილი ვეებერთელა ქუდი დაედო. კაბის სახელოები ზემოთ ისე ფართოვდებოდა, რომ უზარმაზარ ბურთულებს წააგავდა და მოჭიდავესავით ფართო მხრები მოუჩანდა. სამაგიეროდ წელი ისე გაეკოჭა, რომ ბზიკივით მოჩანდა. ეტლი რომ გაჩერდა, მოახლე მარდად გადმოხტა და გრაფინიას ხელი შეაშველა. ქალბატონმა მარაოთი სახე გაიგრილა, ცხვირი მაღლა ასწია, ტუჩები დაამრგვალა და თვალებმილულულმა თქვა: „ასეთი მგზავრობა საშინლად დამქანცველია. თავი ამტკივდა. ორი საათი დამასვენე, არავინ შემაწუხოს.“

იცოცხლე, მერე კი გაუფართოვდა თვალები, როცა გაჩანაგებულ სახლში შევიდა, სადაც გაქცეული მოურავის რამდენიმე ნივთიღა იდგა. გრაფის სახლში სიმდიდრე და ფუფუნება გვიან დამკვიდრდა. ჩემს ახალგაზრდობაში აქ ისეთი ლხინები იმართებოდა, სოფლელები მთელ ღამეს თვალს ვერ ხუჭავდნენ. ახლა კი ყაირათიანობის გამო ისეთ ლამპებს ანთებდნენ, ჩვენს ზეთის ჭრაქზე ცოტა უკეთესი თუ იყო. პირველად მოგვეჩვენა, რომ ეს არც ისე ცუდი იყო. გრაფი ყოველდღე მიდიოდა თავის ახალ მოურავთან და მთელი დღეები დავთრებს უჯდა. თუ რომელიმე მუშას ხელფასიდან რამეს დაუქვითავდნენ, ის წინასწარ გრაფს უნდა სცოდნოდა. ეს ჩვენთვის, რასაკვირველია, კარგი იყო. თუ ვინმეს რამე საჩივარი ჰქონდა, ის ჩვენს მოსმენას კადრულობდა, თუმცა უგრძნობლად, და მოღუშული სახე ჰქონდა. მაგრამ მომჩივანს აღარ აჯარიმებდნენ. ასე გვეგონა, ახლა კი უკეთესი, სამართლიანი დრო დაგვიდგაო. მაგრამ, როგორც ანდაზა ამბობს: რბილად დამიგეს, ხმელად მეძინაო. ჩვენი საქმეც ეგრე იყო.

გრაფმა სხვა ზედამხედველები დაიქირავა. ისინი წინამორბედთა მსგავსად არ ლოთობდნენ. ზედამხედველებს ის მკაცრ, გარკვეულ მითითებებს აძლევდა. მათ მინდორში ჩვენი მუშაობისათვის თვალი უნდა ედევნებინათ და არავითარი შეღავათი არ მოეცათ. ერთი კვირის შემდეგ გრაფმა ერთი ზედამხედველი გააგდო, რადგან მან ცოტა დასვენების უფლება მოგვცა. ეს სხვებისათვის გაფრთხილება იყო. ადგილების დაკარგვის შიშით ზედამხედველები ინდიელებს ამოსუნთქვის ნებას არ

გვაძლევდნენ. ისე თავაუღებლად გვამუშავებდნენ, რომ ძველი, უყაირათო გრაფის დროს ასეთ შრომაზე წარმოდგენაც არ გვქონდა. ინდიელი ხომ ბუნებით მუყაითი და გულკეთილია, მაგრამ ამის მოთმენა არ შეეძლო. გაჭირვებას მანამ ითმენს, სანამ ყელში ამოუვიდოდეს. ჩვენც ასე დაგვემართა.

გრაფი ძალიან გამდიდრდა. თავის ნახევრადდანგრეულ სახლში ცხოვრებას შეეგუა და რემონტისათვის ფულს ვერ იმეტებდა. ხელგაშლილ სუფრებს არ მართავდა, თუმცა მის მეზობელ მემამულეებს ამის გამო იგი არ მოსწონდათ. თვითონ ხელგაშლით ცხოვრობდნენ და არაფერი ადარდებდათ. ჩვენს გრაფზე კი ამბობდნენ — მაგის მამულში მუშაობა ნამდვილი კატორღაა. ასე იმიტომ კი არ ამბობდნენ, რომ ჩვენი ჯავრი ჰქლავდათ. გრაფის საქციელი იმას მოაგონებდათ, რომ თავიანთ მეურნეობაზე უნდა ეზრუნათ. ამას გარდა, გრაფი არიოლა, სარგადაყლაპულივით რომ დადიოდა, ისეთი მოსაწყენი კაცი იყო, მალე მეზობლებმაც თავი დაანებეს მასთან სტუმრობას.

მსახურები მისი ჭამის წესებს გვიყვებოდნენ.

სუფრის ერთ თავში გრაფი იჯდა, უკან მსახური ედგა, მეორეში — გრაფინია. მასაც მოახლე ამოსდგომოდა უკან. მათ შორის ბავშვები და მათი ფრანგი გუვერნანტი ქალი სხდებოდნენ. თუ ოჯახის უფროსები არ გამოელაპარაკებოდნენ, ისინი ისე ხმას ვერ ამოიღებდნენ. ერთხელ ბატონი ტორესი — ტეპოტლის მამულების მფლობელი, ესტუმრათ. ამის შემდეგ ტორესმა ჩვენი გრაფის აუგი ქვეყანას მოჰფინა. მან ფრანგული არ იცოდა და ამიერიდან გრაფს აღარ სტუმრებია.

დილდილობით გრაფინია მოახლეს თმას ახვევინებდა, მაგრამ რისთვის? ვინ უყურებდა? მათ სანახავად აღარავინ დადიოდა. სვეტებიან აივანზე სარწეველა სავარძელში ჩაეშვებოდა და ლოცვებსა და ათასგვარ წიგნებს კითხულობდა. ასეთი ადამიანისათვის კი ჩვენ ხალხს შრომით წელი უნდა მოეწყვიტა. ეს საქმე კეთილად არ დამთავრდებოდა.

ქოხის ბნელი კუთხიდან ამბროსიას ხმა გაისმა:

— არც დამთავრდება! ავ სალამზე ავად პასუხობენ.

დიდედას მკაცრმა ხმამ ტრინი შეაშინა.

დადგა 1910 წელი. ტრინი უკვე ექვსი წლისა გახდა. ახლოვდებოდა ზეიმი, რომელიც ბავშვებს ყველაზე ძალიან უყვარდათ — ცხოველთა კურთხევა, რაც ეკლესიის ეზოში ეწყობოდა ხოლმე. შარშან ტრინის დედამ ეკლესიის ეზოში თიკანი მიიყვანა, თვითონ ტრინიმ კი—კისერზე წითელბაფთაშებმული თეთრი მამალი. კურთხევა, ჩვეულებრივ, მოსაღამოებულზე იწყებოდა ხოლმე, ამ დროს კი ცხოველი განსაკუთრებული ხალისით დახტის და დაკუნტრუშობს ხოლმე. ტრინის ძალიან ართობდა პირუტყვების ცქერა, ერთმანეთს რომ სუნავდნენ და გარშემო უვლიდნენ, თიკნები კუნტრუშებდნენ, ლეკვები ყეფდნენ. ხალხიც და ცხოველებიც სუფთად განბანილ-ჩაცმულები ჩანდნენ. ყველა მხიარულობდა, რადგან კურთხევა მკაცრ ეკლესიაში კი არ მიმდინარეობდა, სადაც გაცინება არ შეიძლებოდა, არამედ ეკლესიის ეზოში.

ტრინი ხუანიტოსთან ერთად გეგმებს აწყობდა, ზეიმი როგორ გავატაროთო, და შინ გვიან დაბრუნდა. დიდედა ამბროსიას მისთვის ჭკადი შეენახა. ტრინიმ ფეხი მოიბრუნა და ჭამას შეუდგა. ერთი რამ ძალზე უკვირდა, რატომ იყო ქოხში მხოლოდ დიდედა ამბროსია, მაგრამ ვერ გაბედა ეკითხა, სხვები სად წავიდნენო. განსაკუთრებით ის აოცებდა. დიდი დიდედა რომ არ იყო, რადგან, რაც თავი ახსოვდა, საღამოობით გარეთ გასული არ უნახავს. ჩაი რომ დალია, იფიქრა, ახლა დაეძინებო. მაგრამ ამბროსიამ მას მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— ქოხში ფრთხილად შედი, არ იხმაურო. იმათ არ შიოდათ და დაიძინეს.

— დიდი დიდედა ავად ხომ არ არის? — იკითხა ტრინიმ.

— ჯერ არ ვიცი.

ტრინის არც დედა ადარდებდა და არც პაპა, ოღონდ დიდი დიდედა ჰყოლოდა კარგად. ნეტავ იმას არ სტკიოდეს არაფერი! დიდი დიდედა დაჰპირდა, ბიძა იერონიმოს ამბავს მოგიყვებიო, თუ რა უყო ერთ ზედამხედველს, როცა მან როსარიას — იერონიმოს საცოლეს — ხელის მოკიდება მოუნდომა. აქამდე ტრინიმ მხოლოდ ის იცოდა, რომ იერონიმო-

საც და იმ ზედამხედველსაც ერთმანეთი ძალიან სძულდათ. მაგრამ ავი საქმის ჩადენას ვერც ერთი ვერ ბედავდა, რადგან ბიძას გრაფის მებაღის ადგილის დაკარგვა ენანებოდა, ზედამხედველმა კი იერონიმოს ვერაფერ დანაშაულზე ვერ წააწყრო. ხოლო გრაფს ერთი ძალიან უსიამოვნო ჩვეულება ჰქონდა, რაც ზედამხედველებს არ მოსწონდათ, — წაკინკლავების დროს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამას ცხვირ-პირის მტვრევაც მოჰყვებოდა ხოლმე, დაწვრილებით გაძოეძიებინა მიზეზი და გაეგო, ვინ იყო დამნაშავე. ამ ამბავს უეჭველად მოუყვებოდა დიდი დიდედა ტრინის, მაგრამ ავად რომ იყო!

ტრინი ქოხში შევიდა. ქოხში სიბნელე იყო. ფეხით ჭილობის კიდე მოსინჯა, დაიხარა და ნელა მიწვა, სადაც წვებოდა ხოლმე

— ტრინი ხარ? — მილეული ხმით იკითხა დიდმა დიდედამ.

— დიდი დიდედა ხარ? — კითხვითვე გაეპასუხა ტრინი.

— ღღეს ვერაფერს მოგიყვები, მაგრამ ხვალ... ან ზეგ კი მოგიყვები...

მოხუცმა სხვა აღარაფერი თქვა და ტრინი ფრთხილად შეუძვრა დიდ დიდედას ლოგინში, რომ პატარა ჩქამიც არ გამოელო. დაძინებამდე კიდევ ერთხელ დააფიქრა დიდი დიდედის ბედმა, მერე კი მალე ჩაეძინა.

დილით ტრინიმ ერთბაშად ვერ გაიღვიძა, მაგრამ გუშინდელი საღამო გაახსენდა და თვალები გაახილა. გაღებულ კარებში მზის სხივები შემოჭრილიყო. ტრინის გვერდით საბანში გახვეული დიდი დიდედა იწვა. პაპა ოთახში დაფათურობდა და კრესუნებდა. გაბრუებული ტრინი გარეთ გაძვრა. ფეხზე რომ წამოდგა, მთვრალივით შეტორტმანდა.

— ავად ხარ, შვილო! ახლავე დაწექი! — უთხრა ამბროსიამ. — იქნებ პური გშია?

— არაო, — უპასუხა.

თავი ისე დამძიმებოდა, დიდედას აღარ ათქმევინა, ქოხში შემობრუნდა და ჭილობზე დაწვა. თავს ძალიან ცუდად გრძნობდა.

●

კანტორაში გრაფი მაგიდას მიჯდომოდა. მოურავი ზურგს უკან დასდგომოდა და ციფრებით აჭრელებულ წიგნში წარმოდგენილ გრძელ ანგარიშს განუმარტავდა. უცბად კარებში გრაფის მებაღე იერონიმო გამოჩნდა და ქუდი მოიხადა. გრაფმა თავი მაღლა აიღო და იერონიმოს გაფართოვებული თვალებით შეაცქერდა.

— ბატონო, — დაიწყო ახალგაზრდა მებაღემ ესპანურად, რადგან გრაფმა ინდიური ენა არ იცოდა, — დღეს მარტო მომიწია ბაღში მუშაობა.

— რატომ?.. ჰო, მართლა, უკვე მითხრეს, რომ სამუშაოზე ბევრი არ გამოსულა. გაფიცვა ხომ არ მოგიწყვიათ? აქაც მოაღწია ამ იდეებმა? გაიფიცეთ, რომ ამითი დაიკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნილებანი?

გრაფმა გრძელი ხელი დაარტყა გადაშლილ დავთარს.

— არა, ბატონო, — მიუგო იერონიმომ წყნარად, — კი არ გაიფიცნენ, ავად არიან.

— სისულელეა! — შეჰყვირა გრაფმა,—მუშაობა არა სურთ და ეგაა. ისე კი, ყველა მოვალეა იმუშაოს, მათ შორის მეც!

მებაღე ქუდს ხელებში სრესდა.

— ბატონო, ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან.

გრაფმა მას ბოროტი მზერა ესროლა.

— არ შეიძლება, ქალაქიდან ექიმი გამოგვიძახოთ?

— აი, ეგ მაკლდა, სწორედ... — გაცხარდა გრაფი.

იმის გამო, რომ გრაფს სიტყვა შეაწყვეტინა, მებაღემ ბოდიშის მოსახდელად თავი დახარა.

— ასეთი რამ სად გაგონილა! ორიოდ ინდიელი ავად გახდა და ექიმი მიართვით! მერედა, ექიმს ფულს ვინ გადაუხდის? გაქვს სამაგისო ფული?

გრაფი თითქოს რაღაცას ფიქრობდა. მერე თავი ასწია და იერონიმოს უთხრა:

— რაზე ეტყობათ ავადმყოფობა? ახველებთ, თუ სიცხე აქვთ?

— არ ახველებთ მაგრამ დიდი სიცხე აქვთ და გონებაზეც არ არიან.

— ეს ხომ ჩვეულებრივი მალარიაა! მალე გაუვლით! ბევრია ავად?

—ჩვენთან არ არის ბევრი, — მშვიდად მიუგო იერონიმომ. — წლის ამ დროს ჩვენთან ავადმყოფობა არ იცოდა.

გრაფი ფეხზე წამოდგა და ოთახში აჩქარებით გაიარ-გამოიარა. მერე ერთბაშად იერონიმოს წინ შეჩერდა:

— კეთილი. წადი შენს ბაღში, რამეს მოვიფიქრებ.

იერონიმომ ვერ გაიგო, გრაფი რის მოფიქრებას აპირებდა. რაღა თქმა უნდა, ექიმს არ გამოიძახებდა. თუნდაც ამოწყვეტილან, ინდიელები რაში ენაღვლება, მაგრამ დამაცადე! ეგ კარგი აზრი ჩამაგონე, რომ შეგვიძლია სამუშაო მივატოვოთ და აქედან გაგაძევოთ, როგორც ეს წასულ კვირას ლაგუნის ბამბის პლანტაციებში მომუშავე ინდიელებმა უყვეს თავიანთ ბატონს. გვიფრთხილდი, სისხლის მსმელო წურბელავ!

❁

გრაფი უგემურად გამოემშვიდობა მოურავს და აჩქარებით გაემართა შინისაკენ. კოლონადების ჩრდილში, ჭრელქსოვილგამოკრულ ფართო, რბილ საეარძელზე მისი მეუღლე გადაწოლილიყო. ჩვეულებისამებრ, თმა გულმოდგინედ დაევარცხნა და ფრანგულ რომანს კითხულობდა.

— ჩემო კარგო, — ფრანგულად მიმართა მეუღლეს გრაფმა. — რასაც ახლა გეტყვი, ჯერ ჩვენს მეტს ნურავის ეცოდინება. დღესვე ბავშვებიანად ქალაქში უნდა გაემგზავრო და თან წაიყვანო მასწავლებელიც, გუვერნანტი ქალიც და ყველა, ვინც გჭირდება.

შემკრთალმა ქალმა ქმარს შეხედა:

— რაშია საქმე? მართლა რევოლუცია ხომ არ იწყება? გუშინ არ ამბობდი. ასეთი საშიშროება არ მოგველისო? ხომ არ აჯობებდა. ჯარისკაცები გამოგვეთხოვა, ქალაქამდე უვნებლად მიგვიყვანდნენ!..

გრაფს გაეღიმა.

— არა, ჯერ საქმე აქამდე არ მისულა. ჩვენმა მებაღემ, იერონიმომ, შემატყობინა, ბევრი ინდიელი ავად გახდაო!

— ოჰ, მეც არა ვთქვი, რა მოხდა-მეთქი! — წამოიძახა უკვე

დამშვიდებულმა ქალმა და პირი ნაზად მოკუმა, ამაზე ეტყობოდა წმინდა ესპანური წარმომავლობა. ინდიელ ქალებს დიდი პირი აქვთ. — ეს ხალხი სარეველასავით არის გამრავლებული, ასე იოლად რა დახოცავს. — განაგრძო გრაფინიამ.— ფაშფაშა მარიანა უშველის იმათ. იგი ხომ განთქმული ექიმბაშია და ათასნაირი ბალახ-ბულახიც აქვს.

— მე სულ სხვაგვარად ვფიქრობ, ჩემო კარგო, — უკმაყოფილოდ მიუგო გრაფმა მეუღლეს. — მარიანას მკურნალობისა არაფერი მწამს. მე ინგლისში გავიზარდე და თანამედროვე მედიცინისა უფრო მჯერა, ვიდრე მაგ კუდიან მარიანასი.

— კარგი, კარგი, მაგრამ ჩვენი წასვლა რა აუცილებელია?

— მეშინია, ეს ავადმყოფობა რამე საშიში სენი არ იყოს და, რაკიღა ამათ ჰიგიენაზე წარმოდგენა არა აქვთ, ყველას არ გადაედოს. ამიტომ ჯობია, წახვიდეთ.

— მაგ იერონიმოს ყბედობას ყურს რას უგდებ, შენ თვითონ არ ამბობდი, ხალხს მიჯანყებსო?

— ეგრე არ მითქვამს. დამამტკიცებელი საბუთი რომ მქონოდა, კარგა ხანია გამომწყვდეული მეყოლებოდა. ამჯერად მისი მადლობელიც კი ვარ, რადგან თქვენი აქედან გაგზავნა იმან მაფიქრებინა. აქ მოხუცი მანუელა დამიტოვე და ჩემზე ის იზრუნებს.

გრაფინიამ ქმარს გამომცდელად შეხედა, ხომ არ ხუმრობსო. მიხვდა, შეკამათება ამაო იყო, მაგრამ ახლავე ხომ არ აიკრავდა გუდა-ნაბადს. წამოდგა და მოახლეს დაუძახა.

გრაფი თავის ოთახში შევიდა და საწერ მაგიდას მიუჯდა. ყოველი გამგზავრების წინ მარშრუტს ზუსტად შეადგენდა ხოლმე. ამას გარდა, ცოლისთვის ბანკიდან ფულის მისაღებად მინდობილობა უნდა მიეცა და ისიც გაერკვია, მთლიანი ანგარიშიდან რამდენი უნდა მიეღო.

ავადმყოფი ინდიელები მას აღარ ახსოვდა.

## ჯადოქარი მარიანა

დიდედა ამბროსიას თავისი შვილებიდან ყველაზე ნაკლებ ჰგავდა ცოცხალი და დაუდგრომელი იერონიმო. მან საოცრად დამაჯერებელი და გულში ჩამწვდომი ლაპარაკი იცოდა. თუმცა ვაჟიშვილი დედამისს ნაკლებად ჰგავდა, მკაცრი, ჩუმი ამბროსია იერონიმოს მეტ ანგარიშს უწევდა და ზოგჯერ მის რჩევასაც ყურს უგდებდა.

— როგორ არის საქმე, დედა? — ჰკითხა იერონიმომ ამბროსიას.

— ცუდად, — მიუგო ამბროსიამ. — მამაშენი, ეტყობა, დაუძვრა ავადმყოფობას, დიდი დიდედა ცარიელი ძვალი და ტყავილაა. ტრინი და დედამისი ჯერაც ისევ უგონოდ წვანან. სულ ერთთავად წყალს ითხოვენ, სხვა მხრივ სიცოცხლის ნიშანს ვერ შეატყობ.

კარგა ხნის დუმილის შემდეგ იერონიმომ თქვა:

— გუშინ გრაფთან ვიყავი და ვთხოვე ექიმი მოგვიყვანეთ-მეთქი, იმან კი თავისი ცოლ-შვილი ქალაქში გადახვეწა. ჩვენი თავის გარდა ვერავის იმედს ვერ ვიქონიებთ. ჩვენ კი რა შეგვიძლია? ფაშფაშა მარიანა ხან ერთ ქოხშია, ხან მეორეში...

— და რაღაც აბდაუბდა ლოცვებს ჩმახავს, არა? — შეაწყვეტინა გაჯავრებულმა ამბროსიამ.

— შეიძლება აბდაუბდასაც ჩმახავს, მაგრამ, მომისმინე, დედა!

— ჰო, რაღა გინდა?

— რახან სხვა მშველელი არა გყავს, მარიანას მაინც დავუძახოთ? — ამბროსია დაფიქრდა და მერე თქვა:

— კარგი, მოიყვანე. ვნებით მაინც ვერაფერს გვავნებს.

მეორე დილას მარიანა მოვიდა, სამზარეულოსთან შეჩერდა და ამბროსიას მიესალმა.

— დილა მშვიდობისა, — ცივად მიუგო დიდედამ.

— შეიძლება ავადმყოფთან შევიდე? შენი ნებართვის გარეშე არ შევალ, — თქვა მარიანამ.

— ნებას გაძლევ.

მკლავზე წამოცმულ კალათაში მარიანას პატარა ქილა და ათასგვარი ხარახურა ეყარა. ძველი ჩვეულების მიხედვით, ზე-

დიზედ რამდენიმე ქვედა კაბა ეცვა, რის გამოც ძალიან ზორ-ზოხა ჩანდა. ყავისფერი ფეხები მოკლე და მსხვილი ჰქონდა. მრგვალ პირისახეზე კეთილი თვალები უციალებდა. მარიანა ქოხში შევიდა და პაპის ჭილობის წინ ჩაიჩოქა.

პაპამ მარიანას შეხედა და გაუღიმა:

— გამარჯობა, მარიანა. მე უკვე კარგადა ვარ. თუ შეგიძ-ლია, ქალებსა და ტრინის მიხედე.

მარიანა ტრინის დედას მიუჩოჩდა და ხმადაბლა უთხრა:

— გღვიძავს, ლუპე? აი, წამალს მოგცემ, სიცხეს დაგივ-დებს, კარგად გახდები. — მარიანამ ქოთნიდან რაღაც მოყავი-სფრო მალამო ამოიღო და ლუპეს შუბლზე წაუსვა. მალამოს ბალახეულის სუნი ასდიოდა. მერე თეთრი ქსოვილის ნაჭერი ამოიღო და შუბლზე დაადო. თავი ფრთხილად აუწია და შე-უხვია.

ლუპე ერთბაშად გამოფხიზლდა და რაღაც გაუგებარი წა-ილუღლუღა.

— კარგად გახდები, ლუპე, — ალერსიანად უთხრა მარი-ანამ. — ნუ გეშინია.

მერე დიდ დიდედასთან მივიდა. მოხუცს თვალები ფარ-თოდ გაეხილა და კარებიდან შემოსული სინათლის ზოლზე უჩვეულოდ შავი მოუჩანდა. ჩამომხმარ სახეზე ყვრიმალის ძვლები ამოსჩროდა. მილეული ხმით ძლივს უთხრა მარიანას:

— ტყუილად ნუ მაწვალებ. მე აღარაფერი მეშველება. ტრინის უშველე.

— დიდედო, ტრინის, რაღა თქმა უნდა, ვუშველი, მაგრამ რატომ შენც არ უნდა გიშველო? შენი მონაყოლი ამბები ხშირად მომისმენია.

მარიანამ თეთრ ქსოვილზე მალამო წააცხო და დიდ დიდე-დას შუბლზე დაადო. მოხუცმა უიმედოდ ჩაილაპარაკა:

— არა, ამბების მოყოლა მე უკვე აღარ მიწერია.

საბანში ტრინი შეინძრა. მარიანამ საბანი გადახადა. ტრინიმ მარიანას შეხედა და შეშინებულმა ჰკითხა:

— შენ მართლა ჯადოქარი ხარ?

— არა, ბიჭრკო, — უთხრა მარიანამ. — ეგ, ალბათ, უფ-როსებმა გითხრეს. შენ ნუ გაიმეორებ! შენ ხომ არც კი გესმის, რას ამბობ?

ტრინიმ მარათლაც არ იცოდა, რას ამბობდა. ის კი იგრძნო, რომ მარიანამ ფაქიზად და სიყვარულით დაადო თავზე სალბუნი. ამის შემდეგ ბიჭი გვერდზე გადაბრუნდა და თავისუფლად ამოისუნთქა.

მარიანა მეზობელი ქოხისაკენ რომ გაემართა, შორიდან მომავალი მოძღვარი ფელიქსი დაინახა. მოძღვარი სრულ რელიგიურ შესამოსელში გამოწყობილიყო, გვერდით ხელზე მოსამსახურე ბიჭი მისდევდა. ეტყობოდა, მიიჩქაროდა, რომ მომაკვდავისათვის მიესწრო!

მარიანა კაქტუსების ღობეს უკან ამოეფარა და ფარღალალა ადგილებიდან მოძღვარს შეაცქერდა. მოძღვარი ფელიქსი გვარიანად ჩამრგვალებულიყო. ამჟამად ის ძალიან შეფიქრიანებული ჩანდა. როგორც ხალხი ამბობდა, უკანასკნელი ზიარების დროს წარა-მარა ხელი ცხვირთან მიჰქონდა, ეტყობოდა, ეშინოდა, ავადმყოფობა ცხვირით არ შევისუნთქოო. დილი-

დან შუადღემდე თავისი სამწყსოს ჯანმრთელობას შესთხოვდა ღმერთს და ლოცვა-კურთხევას აღავლენდა.

როცა მოძღვარმა მარიანას წინ გაუარა, ქალმა მას შავი თვალებით გახედა; ეს თვალები ისეთი კეთილი აღარ ჰქონდა, როგორიც მაშინ, როცა ავადმყოფის საწოლთან დაიხრებოდა.

— მოძღვარი მარტო თავის თავზე ზრუნავს, — ჩაილაპარაკა მარიანამ. — მომაკვდავებთან შიშითა და ცახცახით როდი უნდა მიდიოდე. ავადმყოფის მკურნალობისას მე ცხვირზე ხელს არ ვიჭერ. — მარიანამ თავი გაიქნია და ორღობეში გამოვიდა.

ეს მოძღვარი იყო პირველი, ვინაც მარიანას კუდიანი უწოდა. მაგრამ მოძღვრის მზარეული ჩუმად მაინც სქელ მარიანასთან დაიარებოდა „ცოფის საწინააღმდეგო ფხვნილის საყიდლად". ამ ავადმყოფობისა მზარეულს ძალიან ეშინოდა.

— ბევრი კაცი კვდება ცოფით, განსაკუთრებით პატარები, — ამბობდა ის. მერე დაჯდებოდა და დაწვრილებითა და მონდომებით ჰყვებოდა იმათზე, ვინც იმ ღამით ცოფით მომკვდარიყო.

მარიანას მოძღვრის ჭორიკანა მზარეულზე დიდი წარმოდგენა არა ჰქონდა, მაგრამ, მისი აზრით, ის თავის ბატონზე ჭკვიანი მაინც იყო. მრავალი წლის წინათ მარიანას პაპამისმა უთხრა:

— მარიანა, ერთი რამ დაიმახსოვრე: ინდიელები სხვა ხალხია, ესპანელები — სხვა. რაც ესპანელებმა ჩვენს ქვეყანაში შემოიტანეს, ყველაფერი ავია და ბოროტი. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ წინაპართა სიბრძნე და მას მივყვეთ.

მარიანაც ცდილობდა ამ სიბრძნის შენარჩუნებას. მან მოხუცებს გამოჰკითხა, თუ რა სამკურნალო ბალახებს ხმარობდნენ მათი წინაპრები. ასე ისწავლა სამკურნალო მცენარეების ცნობა-გამოყენება, მათი საიდუმლოებანი. ავადმყოფთა ალერსიანი მოპყრობაც მისი მუშაობის ერთ-ერთ მთავარ კანონს წარმოადგენდა. სწყინდა, როცა ვინმე კუდიანს უწოდებდა. „კუდიანი ხომ ბოროტი ზრახვებით გულავსებული ქალია, — ამბობდა ნაწყენი მარიანა, — მე კი არავისი ბოროტი არა მსურს. მე კუდიანი არა ვარ".

## ᲘᲔᲠᲝᲜᲘᲛᲝᲡ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

როცა ტრინი იმდენად გამოკეთდა, რომ გონებაზე მოვიდა, შეამჩნია, დიდი დიდედა მის გვერდით აღარ იწვა. ვეღარც დედა ნახა. იქნებ ეზოში მუშაობს? მაგრამ მისუსტებულს მალევე მიეძინა. ეძინა დიდხანს, ღრმა ძილით. სულაც არ გაუგია, როგორ დაიხარა მისკენ ფაშფაშა მარიანა და სახეზე დააკვირდა. მარიანამ დიდხანს უსმინა ავადმყოფის სუნთქვას, ექვსი წლის ბავშვისათვის საკმაოდ მშვიდსა და ღრმას. სახეზე ტრინის ერთი კუნთიც არ ერხეოდა.

კმაყოფილი მარიანა ამბროსიასთან გავიდა და წყნარად უთხრა:

— თუ არ ვტყუვდები, ბიჭი გამოჯანმრთელების გზაზეა. შენს ადგილზე მას საჭმელს მანამდე არ მივცემდი, სანამ თვითონ არ მოითხოვდა. ახლა მისთვის ყველაფერს ძილი სჯობს. როცა ჭამას მოითხოვს, ჯერ ცოტა მიეცი, მერე თანდათან მოუმატე.

ამბროსია დაჩოქილიყო და ქვის როდინში სიმინდს ნაყავდა. სანაყ ქვას ხან წინ წასწევდა, ხან უკან, ხან წინ, ხან უკან. ასე ნაყავენ ინდიელი ქალები სიმინდს.

მარიანა დასცქეროდა სიტყვაძუნწ ამბროსიას და მოთმინებით უცდიდა, როდის ამოიღებდა ხმას.

— თანდათან მოვუმატო? — ყრუდ იკითხა ამბროსიამ. — შენ უკვე იცი, რომ სახლში ორი მჭამელი მოგვაკლდა, მაგრამ ჩვენმა ბატონმა მთელი სიმინდის მარაგი წაგვგლიჯა იმ ყმაწვილებისათვის, ეს რამდენიმე დღე მის სახლში რომ ცხოვრობენ. თან იმას გვეუბნებოდა, ამათ თქვენ ყაჩაღებისაგან უნდა დაგიცვანო. ესენი ხომ ყველა მემამულეთა შვილებია. მერე როდის იყო, მემამულეები ყაჩაღებისაგან გვიცავდნენ? თვითონ ეგენი არ გვძარცვავდნენ და გვძარცვავენ ახლაც? განა მაგ ბანდისთვის სიმინდის წართმევა გაძარცვა არ არის? — ამბროსიამ ბაგეები მკაცრად მოკუმა.

— სიმინდი თქვენც გამოგელიათ? — იკითხა მარიანამ და სახეზე კეთილი ღიმილი გაუქრა. — ჩემს სახლში თაგვიც ვერაფერს იშოვის.

ამბროსიამ ზემოთ აიხედა.

— შენ ნუ ინაღვლებ, მარიანა. რაც ავადმყოფების მოვლისათვის გერგება, მიიღებ კიდეც, თუნდაც ჩვენ აღარაფერი დაგვრჩეს. ვინც მუშაობს, გასამრჯელოც უნდა მიიღოს. ჩვენ სახლში მუდამ ასეთი კანონი იყო. მხოლოდ იმ დიდ სახლებში მობინადრე ბატონები ფიქრობენ სხვანაირად. ხვალაც მოდი. შენს წილ სიმინდს გაგიმზადებ, — ამბროსიამ მარიანას ჩვეულებრივზე გაცილებით ალერსიანად დაუკრა თავი და გაუღიმა.

მოძღვარ ფელიქსზე დაკვირვების შემდეგ ამბროსიამ მარიანაზე აზრი შეიცვალა. მოძღვარი ფელიქსი მათთან დიდი დიდედისა და ტრინის დედის საზიარებლად მოვიდა. მაგრამ ამ დროს მას ისეთი სახე ჰქონდა, აშკარად ეტყობოდა, ინდიელებთან ყოფნა სულაც არ ეპიტნავებოდა. აჩქარებით ჩაილუღლუღა რამდენიმე ლათინური სიტყვა და ქოხიდან ფაცხაფუცხით გავარდა. ამბროსიამ გაიფიქრა, — მაგას უთუოდ ავადმყოფების სულისა ეშინია, თუმცა კი ამტკიცებს, ასეთი სული არ არსებობსო. მოძღვრის შემდეგ მალე ავადმყოფების სანახავად მარიანა მოვიდა.

— ადრე მოვიდოდი, — თქვა მარიანამ, — მაგრამ ყველა გზაზე წინ მოძღვარი ფელიქსი მეღობება. მისი დანახვა კი მაინცდამაინც არა მსიამოვნებს და ვერიდები, თორემ კიდევ დამიწყებს ლაილაის, — მოეშვი მაგ ბალახ-ბულახის წვენებსო. ავადმყოფებზე ვინ ზრუნავს? ეგა თუ? ეგ ხომ ავადმყოფთან მაშინღა მიდის, როცა თითქოს სული ამოსდის?!

ამბროსია დიდხანს ფიქრობდა მარიანას ნათქვამზე. „ეგებ ჯადოქარიცაა, — უთხრა ბოლოს ამბროსიამ საკუთარ თავს. — მაგრამ ხალხისთვის ავსა და ბოროტს არ ფიქრობს. სჯობს თვალით ნახულს ენდო, ვიდრე ხალხის გადმოცემულს“.

ბევრ სხვა ამბებზეც ფიქრობდა ამბროსია სიმინდის ფქვის დროს. ხვდებოდა, რომ მისი ვაჟიშვილი იერონიმო რაღაც საქმეს აკეთებდა. გუმანით ესეც იცოდა: ღამღამობით იერონიმო გლეხების ქოხებში დაიარებოდა და მათ წყნარად და გასაგებად ელაპარაკებოდა გრაფსა და მის მამულში თავმოყრილ მემამულეთა შვილებზე.

— რისთვის მობრძანდნენ ეს ჯეელები გრაფის მამულში? მათი მშობლები ლაღად ცხოვრობენ. თუკი ვინმე ერთხელ

მაინც ესტუმრა ძაგ უცხვირპირო გრაფს, მეორედ სათოფეზეც აღარ ეკარება. არც გრაფინია და მისი პატარა, მოკუმული პირი მოსწონს მაინცდამაინც ვინმეს. მისი ლაპარაკიდან ხომ სულ ვერაფერს გაიგებ. ხანდახან ყვავილების თაობაზე რაღაცას მკითხავს, მე კი კუნძივით ვაგდივარ, ხმას ვერ ვიღებ, არაფერი მესმის. ის განზე გადგება და თვითონაც ყვავილის მსგავსად, ტკბილად იტყვის: „ოჰ, შენ ხომ ლათინური არ იცი". საიდან უნდა ვიცოდე? აი, ასე ტკბილად და კეთილშობილად მოგაჩვენებს თავს. თაღლითი ხალხია სან-ბარტოლდოში. სხვა მამულებში ასე ეშმაკურად არ იქცევიან, დადიან სანადიროდ, უგონოდ გაილეშებიან და მერე ჩვენს ქალიშვილებზე იწევენ. ლაპარაკობენ ინდიურად და არა ლათინურად, მაგრამ სულ უწმაწურად და უზრდელად. ხანდახან შეგრცხვება კიდეც, როცა გაიგონებ, რა სიტყვებით ელაპარაკებიან ჩვენს გოგოებს. ახლა მე თქვენ გეკითხებით, რისთვის შეიკრიბნენ ამ არაკეთილშობილი ბატონების შვილები აქ, სადაც მათ გრაფინიასთან ისე შეუძლიათ ილაპარაკონ, როგორც... აი, სიტყვაც ვერ მიპოვნია, რომ ვთქვა! რად შეუყვარდათ მოულოდნელად ჩვენი თავაზიანი გრაფი ასე ძალიან?

— მათგან სიკეთეს არ უნდა ველოდეთ! — თქვა ერთერთმა ხმადაბლა. მის ხმაში გაბოროტება ისმოდა.

— რასაკვირველია, არ უნდა ველოდეთ! — დაუდასტურა იერონიმომ, — მათი თავმოყრა რას ნიშნავს?

იერონიმო არასოდეს უცბად არ იტყოდა, რასაც ფიქრობდა. ღამის მსმენელებს ეხმარებოდა, ფიქრი იქით წარემართათ, საითაც საჭირო იყო, რომ ყველაფერს თვითონვე მიმხვდარიყვნენ.

— ლაგუნაში, — ფრთხილად დაიწყო ისევ იერონიმომ,— თქვენ კარგად იცით, რომ ეს მხარე განსაკუთრებით უხვმოსავლიანია, იქ თითქმის მთელი მიწები უცხოელ ბატონებს ეკუთვნით და ბამბა მოჰყავთ, — ჰოდა, ამ ლაგუნაში ინდიელებმა ამ ცოტა ხნის წინათ თავიანთი კეთილშობილი ბატონები გაყარ-გამოყარეს.

— ჩვენც რომ ერთმანეთს მხარი მივცეთ, შეგვიძლია ჩვენი ბატონიც მივაბრძანოთ, — თქვა ერთმა გლეხმა.

— შეგვიძლია? — იკითხა იერონიმომ. — მერედა, აქ თავ-

შეყრილ ვაჟიშვილებს რა ვუყოთ? საუკეთესო შაშხანებით ყოველდღე მიზანში სროლას რომ სწავლობენ? მელჩორას შუა ნაკვეთში სამიზნე დადგეს და მთელი ნათესი გაუქელეს.

სიჩუმე ჩამოვარდა. იერონიმომ იცოდა, მისი ნათქვამი ინდიელებს თავში ჩაუჯდებოდათ და თავის საქმეს გააკეთებდნენ.

იერონიმოს ნათქვამი ამბროსიას თავშიც ჩაჯდა. გულმოდგინედ ადევნებდა თვალს ყველაფერს, რაც სოფელში ხდებოდა, და მოსმენილ ამბებზე დიდხანს ფიქრობდა. ხალხს მისი არ ეშინოდა, რადგან იცოდნენ, ლაპარაკი არ უყვარდა და არავის არაფერს ეტყოდა. ამიტომ ის ხალხი, ვისაც რაღაც დარდი აწუხებდა და უნდოდა ვინმესთვის გაეზიარებინა, სათქმელად ამბროსიასთან მიდიოდა.

ამბროსია დაჩოქილიყო, სიმინდს ხარშავდა და თავის საფიქრალს ფიქრობდა: „ნეტა იერონიმო ისეთ ხალხს მაინც არ გადაეკიდოს, ვინც მოურავთან ან იმ მოძღვარ ფელიქსთან დაბეზღებს“.

მოძღვარის გახსენებაზე ამბროსიას სოფლის მკურნალი მარიანაც მოაგონდა. „მოძღვარ ფელიქსს მარიანა თავის მტრად მიაჩნია, თუმცაღა მარიანა კათოლიკური ეკლესიის ქადაგებას მკაცრად იცავს. ნეტავი, იერონიმო ღამით მის ქოხშიც ხომ არ დადის? შეიძლება თუ არა ამ ქალს ვენდოთ? მისი ვაჟები ბატონის მამულში მუშაობენ და ცუდად ცხოვრობენ. მე მგონი, შეიძლება, იერონიმო მათ ქოხშიც შევიდეს. მარიანასაც კეთილი სახე აქვს. დრო დადგება და მარიანა ჩვენთან იქნება, თუმცა მისმა ბალახებმა ვერც დიდი დიდედა განკურნა და ვერც ტრინის დედა. ტრინის ხომ უშველა!“ ამბროსია ფეხზე წამოდგა, ხელები მუქ-წითელ ქვედატანზე შეიწმინდა, კუთხეს შემოუარა და კარები გამოაღო.

ტრინის გაღვიძებოდა და ამბროსიას დანახვაზე შესძახა:

— დიდედო!

ეს ისე უბრალოდ თქვა, რომ ამბროსიას მოეჩვენა, ბიჭი ამჟამად სრულიად ჯანმრთელიაო.

— რა გინდა? გშია?

— დიდი დიდედა სად არის? — იკითხა ტრინიმ.

დროის მოსაგებად ამბროსია ჭილოფზე დაჯდა. „ჯობს პირდაპირ ვუთხრა“, — გაიფიქრა მან.

— ტრინი, დიდი დიდედა მოკვდა, დედაშენიც. ორივე უკვე დავასაფლავეთ.

ბიჭს არაფერი უთქვამს, ჩაბნელებულ ჭერს მიაშტერდა. ახლა ტრინი მარტო დიდედა ამბროსიასა და პაპის ამარა დარჩა. ორივე ისეთი ჩუმი იყო, თითქოს პირში წყალი აქვთ ჩაგუბებულიო.

## წიწაკა ყვავილების ქოთანში

სახადმა რომ გაიარა, გრაფინია ქალაქიდან დაბრუნდა. ქმარს წერილები ჩამოუტანა. ერთი წერილი რამდენიმე ლუქით საიმედოდ დაებეჭდათ. მისამართი საგანგებოდ დაგრეხილი ასოებით დაეწერათ:

„ჰო, ეს გუბერნატორის პასუხია ჩემს წერილზე, რომელშიც მებაღე იერონიმო კუევასის დაპატიმრების ნებას ვთხოვდი“,— გაიფიქრა გრაფმა და წერილი გახსნა.

„ღრმად პატივცემულო, ძვირფასო მეგობარო და მფარველო ჩემო!

წარმოიდგინეთ რაოდენ დიდი პატივი იყო ჩემთვის, რომ თქვენგან, ესოდენ პატივცემული ბატონ გრაფისა და მარკიზისაგან, საკუთარი ხელით დაწერილი წერილი მივიღე.

ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველთვის არ შეგვიძლია გულის კარნახით მოვიქცეთ და ჩვენს კეთილისმსურველს მისი მეგობრობის დამადასტურებელ კეთილ საქმეზე სამაგიერო გულწრფელად მივუძღვნათ. ვითარება ისე წარიმართა, მეტად მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვისა და თქვენთვისაც, ვისაც ესოდენ გვეწვის გული საყოველთაო სიკეთისათვის.“

ეს წინადადება თვით გრაფსაც უკვე მეტისმეტად თავხედურად ეჩვენა. ყველამ კარგად იცოდა, რომ გუბერნატორი უსირცხვილოდ ფცქვნიდა ხაზინასაც და ყველა იმ პირს, ვისაც უბედურება ეწვეოდა.

გრაფმა კითხვა განაგრძო:

„ძალიან გთხოვთ, რასაც ახლა გაგიზიარებთ, დრომდე, სანამ, საერთოდ, ცნობილი გახდებოდეს, ნურავის ეტყვით. ჩვენი პატივცემული პრეზიდენტი დონ პორფირიო დიასი, სამი ბედნიერი ათწლეულის მანძილზე წლევანდელ 1910 წლამდე სახელმწიფოში სიმშვიდესა და წესრიგს რომ იცავდა, უპასუხისმგებლო ელემენტებმა აიძულეს მიეტოვებინა თავისი დედაქალაქი. ვერაკრუსში გემში ჩაჯდა და საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც მან კარგა ხანია გადაგზავნა თავისი დირექტორის დროს დაგროვილი დიდძალი ქონება...“

„რა საზიზღარია! — ჩაილაპარაკა გრაფმა თავისთვის. — რა ვერაგულად წიხლავს ჩამოგდებულ დიქტატორს.“

„ყოველ შემთხვევაში, — განაგრძო გრაფმა წერილის კითხვა, — ამ არეულ-დარეულ დროში მართებული არ იქნებოდა ისეთი რამის გაკეთება, რაც ახალ, ლიბერალურად განწყობილ პრეზიდენტ მადეროს ჩვენს წინააღმდეგ განაწყობდა...“

წერილის დანარჩენი ნაწილი, რომელიც სავსე იყო მარადიული მეგობრობისა და მადლობის გამომხატველი ბრტყელი ფრაზებით, გრაფმა უგულოდ გადაიკითხა, მით უფრო, რომ კოლონადის მხრიდან აჩქარებული ნაბიჯების ხმა მოესმა.

შემოვიდა გრაფინია. მას ხელში ყვავილების ქოთანი ეჭირა. მას მოჰყვნენ მოახლე, ფრანგი გუვერნანტი ქალი და მოხუცი, სქელი მანუელა. სამივეს შიშისაგან თვალები გაფართოებოდათ. ქალებს ბავშვები შემოჰყვნენ, — ბიჭი და გოგონა, — ამათ, ეტყობოდათ, ართობდათ უფროსების აღელვება.

— აბა, ამას შეხედე! — შესძახა გაბრაზებულმა გრაფინიამ და ქმარს ყვავილების ქოთანი გაუწოდა.

— არ მესმის, რაშია საქმე? — ცივად თქვა გრაფმა. — წიწაკას მანდ რა უნდა? ან ეგ წითელი ბანტი რად შემოგიჭერიათ?

— საქმეც სწორედ ეგაა, რომ ჩვენ არ შემოგვიჭერია. — უფრო გაცეცხლდა გრაფინია.

— თუ სხვამ ჰქნა, რა მოხდა, ლამაზიც კი არის! ეს ალბათ ინდიელთა რაიმე ჩვეულებაა.

გრაფინიამ ენერგიულად გადააქნია ხვეულთმიანი თავი:

— არა! ეს რაღაც ჯადოქრობაა!

— ოჰ მომეშვით ერთი თქვენი ინდიური ცრუმორწმუნეობით. მნიშვნელოვანი საქმე მაქვს გასაკეთებელი, — თქვა გრაფმა და კვლავ წერილის კითხვა განაგრძო.

მაგრამ გრაფინია არ მოეშვა, ქოთანი გუბერნატორის წერილზე დადგა და ხმას აუწია:

— მე მგონი, ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ იერონიმო ჩემს მოჯადოებას ცდილობს.

იერონიმოს სახელის გაგონებაზე გრაფმა ყურები ცქვიტა.

— ჰო, კარგი, მოყევი, რა მოხდა!

— თქვი, მანუელა! — უბრძანა გრაფინიამ. ასე აბუჩად აგდებით ელაპარაკებოდა ხოლმე უბრალო ხალხს.

— ბატონო, — დაიწყო მოხუცმა ინდიელმა, — მოწყალე ქალბატონმა გრაფინიამ მიბრძანა: „მანუელა, ეს ყვავილი სხვა ქოთანში გადარგე, იერონიმომ გამოგზავნა ჩემი დაბრუნების აღსანიშნავად, მაგრამ ხომ ხედავ, რა უბრალო ქოთანშია ჩარგული. განა შეიძლება ეს ქოთანი ჩემს ბუდუარში დავდგა?“

— მე, რასაკვირველია, „ბუდუარში“ ვუთხარი, — მიუბრუნდა გრაფინია ფრანგ გუვერნანტ ქალს, რომ მას არ ჰგონებოდა, გრაფინია ასე დამახინჯებით გამოთქვამს ფრანგულ სიტყვებსო. გუვერნანტს კი არც ინდიური ენა ესმოდა და არც ესპანური. არც ის იცოდა, რაზე ლაპარაკობდნენ.

— კარგი, მერე? — მოუთმენლად იკითხა გრაფმა.

— მე გრაფინიასათვის მისი სახელობის დღეს ნაჩუქარი ქოთნებიდან ერთ-ერთი საუკეთესო შევარჩიე და გრაფინიას ვკითხე: „აქ დავრგა, ქალბატონო?“ — ისევ განაგრძო მანუელამ.

— მანუელა იმ ჩინურ ქოთნებს გულისხმობს, შენ რომ მიძღვენი, — ჩაურთო გრაფინიამ.

— მე ვკითხე: აქ დავდგა-მეთქი, ქალბატონო? გრაფინიამ მითხრა: ჰო, მანდაო. ავდექი და ცარიელი ქოთანი ყვავილიანის გვერდით დავდგი და ყვავილის ერთი ქოთნიდან მეორეში გადარგვას შევუდექი.

— კარგი, კარგი, ეგ ვიცი, ეგრე იქნებოდა. შენ ის მითხარი, მერე რა მოხდა?

— ბატონო, ყვავილი რომ გადავრგე და ქოთნიდან ნარჩენი მიწა ლამაზ ქოთანში გადავყარე, უცებ რაღაც შევამჩნიე და მაშინვე კონჩას გავძახე სამზარეულოში და ვუთხარი: „კონჩა, ამას ხედავ?“ მან მიპასუხა: „ჰო, ვხედავ, მანუელა, ეგ საშინელებაა“.

— რა იყო საშინელება? — იკითხა გრაფმა. იგი ველარ ითმენდა ამ ყბედობას. — რა იყო საშინელება? წიწაკა? წიწაკის მეტს სამზარეულოში რას ხედავს?

მანუელა დაბნეული შესცქეროდა გრაფს.

— მაგრამ მის წიწაკას არც წითელი ბანტი აქვს შემოკრული და არც ქოთანშია ჩარგული!

გრაფს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო და მკაცრად თქვა:

— კარგი, გეყოფათ! თქვენთვის არ მცალია.

ამჯერად კი გრაფინიამ აღარ დაუთმო და ხმამაღლა უთხრა:

— ეგ იერონიმომ იმიტომ გამომიგზავნა, რომ ჯადო გამიკეთოს!

— როგორ უნდა გაგიკეთოს ჯადო, ძვირფასო?

— ნუთუ არ გესმის? ნუთუ ინგლისში ჭკვიანური არაფერი არ გასწავლეს? ყოველმა ჭკვიანმა კაცმა აქ, მექსიკაში, იცის, რას ნიშნავს წიწაკა. თანაც ეს წიწაკა შიგნიდან გამოსუფთავებულია, კირით ამოტენილი, გარედან ბანტით შეუკრავთ. აი, ესაა ჯადო!

— კარგი, ეგრე იყოს! — ოდნავ დაცინვით უპასუხა ქმარმა. — მერე რას გავნებს შენ ეგ ჯადო, როგორ გგონია?

გრაფის გულგრილობამ გრაფინია ისე ააღელვა, რომ კინაღამ ქმარს ჰკითხა, წმინდა წირვა-ლოცვისა გწამს თუ არა რამეო, მაგრამ მარტონი არ იყვნენ და იფიქრა, ამას სხვა დროს ვკითხავო.

— კარგი და ისე რომ ჩამოვხმე, რომ ხმელ ფოთოლს დავემსგავსო, ეგ შენ არ გაინტერესებს? — იკითხა გრაფინიამ.

სქელი მანუელა შეშფოთებით ისმენდა.

— ბატონო, — დაიწყო მან, — მე ერთი მოხუცი ქალი ვარ, არაფერი მისწავლია, მაგრამ აი, ეს, — მან ყვავილის ქოთანზე მიუთითა, — დიდი დანაშაული და შეცოდებაა.

— ოჰ! — გრაფი სავარძლის საზურგეზე გადაწვა, — დი-

დი დანაშაულია? შეცოდებაა? სხვებიც ასევე იტყვიან, ეს ამ-ბავი რომ გაიგონ?

— სუყველა! — მიუგო მანუელამ, — სუყველა ასე იტ-ყვის!

— ნამდვილად? ჰო, კარგი. ახლა ის მითხარი, მაგის ჩამ-დენი როგორ დავსაჯოთ?

ახლა კი შეკრთა გულკეთილი მანუელა.

— ძალიან გთხოვთ, ბატონო, ისიც ადამიანია! ამის გული-სათვის ნუ დახვრეტთ! ახალგაზრდაც არის. ასეთ რამეს აღარ ჩაიდენს, თუ ცოტათი დასჯით.

მანუელა გრაფს მუდარით შესცქეროდა.

— კარგი, — დაეთანხმა გრაფი, — დახვრეტით არ დავ-ხვრეტ, მაგრამ სამახსოვრო ამბავს კი დავმართებ.

მანუელა გრაფის ხელს წაეტანა და აკოცა. მერე მიწიანი ქოთანი გუბერნატორის წერილიდან აიღო და გარეთ გამოი-ტანა.

გარეთ გამოსვლისას გუვერნანტმა ნატიფი ფრანგულით ჰკითხა გრაფინიას, რაზე ლაპარაკობდითო. ჯერაც ისევ აღელ-ვებული გრაფინია შეეცადა გუვერნანტისათვის აეხსნა. გა-ოცებულ ფრანგს სიტყვის თქმა ვერ მოეხერხებინა. იგი პა-რიზში იყო გაზრდილი, ხოლო პარიზელები ჯადოქრობაზე ასეთ ლაქლაქს ყურსაც არ ათხოვებენ, მხოლოდ დაცინვით გაიღიმებენ.

გუბერნატორის წერილი გრაფმა გვერდზე გადასდო. მას აღარც უნდოდა ეფიქრა ამ თაღლითსა და გაიძვერაზე. რომე-ლიც თავს ისე იკატუნებდა, თითქოს ყველაფერს მუდამ კანო-ნის მიხედვით აკეთებდა. მას ახლაც, ლიბერალური პრეზიდენ-ტის მანდეროს დროსაც, თავისი შემოსავლიანი საგუბერნა-ტოროს შენარჩუნება აინტერესებდა.

„ეგ წუნკალი ძაღლი აღარც მჭირდება, — ფიქრობდა გრაფი. — იერონიმოს დასასჯელად ამჟამად ისედაც საკმარი-სი მიზეზი და საფუძველი გამაჩნია. თვითონ ხალხი მაძლევს ნებას, რომ ჯადოქრობისათვის დავსაჯო. საკვირველია, ზოგი რამ ჩემმა ცოლმა როგორ ვერ შეამჩნია: თუნდაც ეს ბანტი, წიწაკისათვის რომ შემოუკრავთ, ინდიელს საიდან ექნება? ეტყობა, მას გამოართვეს. ალბათ, რომელიმე მსახურმა წიწა-

კა ქოთანში შემთხვევით ჩასდო, ამას ქალი იზამდა და არა მამაკაცი. მე კი მადლობა უნდა შევწირო იმ უცნობ ადამიანს, იმან მომცა იერონიმოს დასჯის საბაბი. ისე უნდა დავსაჯო, იმ ბუნტისთავს მთელი სიცოცხლე არ დაავიწყდეს.“

## ჩამოკიდებული

შუადღე გადასული იყო. ტრინი და პატარა ხუანიტა მეზობლის ეზოში თამაშობდნენ. იმ ადგილს ნამდვილი ეზო არც ეთქმოდა. ქოხისა და პატარა სასიმინდეს ირგვლივ ბუჩქები ამოზრდილიყო. მიწა ქვებით იყო მოფენილი.

ხუანიტას ხელში შეშის ნაპობი ეჭირა და ბავშვსავით არწევდა. მერე ფრთხილად მიწაზე დააწვინა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ძუძუს აღარ წოვს, მჭადები უნდა დავუცხო.

ტრინიმ უცბად თავი მაღლა აიღო და თავიანთი ქოხისაკენ ხელი გაიშვირა:

— რაღაც ამბავია, გავიქცეთ, ხუანიტა!

ორივენი იქით გაიქცნენ.

ვიღაც კაცი ამბროსიას გაცხარებით ელაპარაკებოდა.

— სასროლი მოედნისაკენ წაათრიეს. ფეხი შეუკრეს, ალბათ დახვრეტა უნდათ!

ამბროსიამ მაშინვე მიატოვა სამუშაო:

— იქ უნდა გავიქცე!

— ნუ წახვალ, — გააფრთხილა იმ კაცმა. — მაინც ვერაფერს უშველი.

ამბროსიამ გაჯავრებით შეხედა კაცს. ჩააფიქრა მისმა სიტყვებმა. „ვინ დაუშლის დედას, საკუთარი შვილის დარღმა რომ შეაწუხოს? მე თვითონაც არ ვიცი, რას ჩავიდენ, მაგრამ წასვლით აუცილებლად წავალ“. თავზე შავი შალი მოიხვია და აჩქარებით გაემართა.

ტრინი გაიქცა უცნობისაკენ, ჩაფიქრებული რომ გასცქეროდა მიმავალ ამბროსიას. ეტყობოდა, აოცებდა ქალის ენერგია.

— ბიძია, — უთხრა მას ტრინიმ.

— რა გინდა? — ჰკითხა უცნობმა.

— ვინ უნდა დახვრიტონ! ბიძია იერონიმო? — შიშით იკითხა ტრინიმ.

— მებაღე იერონიმო. ეს ამბროსიას ვუთხარი, შენთვის არ მოუქვამს. იცოდე, ხმა ჩაიწყვიტე, არსად არაფერი წამოგცდეს.

— მე ლაპარაკი არ მიყვარს. — ტრინის ეწყინა, ეს კაცი რომ არ ენდობოდა. მერე უცბად მოსწყდა ადგილს და გაიქცა.

— ბიჭიკო, ბიჭიკო! — გასძახა უცნობმა, — დაიცა, ნუ მირბიხარ!

ტრინი ალარ უსმენდა იმ კაცს, რომელიც არ ენდო. ასეთი კაცი მისთვის არ არსებობდა. უნდოდა, დიდედას დასწეოდა. ამბროსია, მართალია, შორს იყო, მაგრამ ტრინიმ გრაფის მამულისაკენ მიქავალი გზა კარგად იცოდა.

უცბად შორიდან სროლის ხმა შემოესმა და შეშინებული შედგა. მერე რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გაიქცა. ძალიან უყვარდა ბიძია იერონიმო, დიდ დიდედასავით იმანაც კარგი ამბების მოყოლა იცოდა.

კიდევ გაისროლეს.

ტრინიმ დაინახა, დიდედა ამბროსია ღობესთან იდგა და ვიღაცას გაცხარებით ელაპარაკებოდა. რომ არავის დაენახა, ბუჩქს ამოეფარა და დიდედას წასვლას დაელოდა. ამასთან კიდევ, ნაავადმყოფარს სირბილი უჭირდა და სული უნდა მოეთქვა.

ისევ გაისმა რამდენიმე გასროლა.

„ალბათ, ბიძია იერონიმოს არ ესვრიან, თორემ კარგა ხანია მკვდარი იქნებოდა“, — გაიფიქრა ტრინიმ.

ამბროსია კი ამასობაში სოფელს გასცილებოდა და პატარა გორაკზე ადიოდა, რომლის უკანაც მემამულის კუთვნილი შენობები იდგა. ტრინი ჩუმად მისდევდა ცოტა მოშორებით. სროლის ხმა კიდევ ისმოდა. ამბროსია გორაკს მიეფარა. ტრინი გაიქცა, მაგრამ დიდედას კი არ მიჰყვა, განზე გადაუხვია, მარცხნივ, საიდანაც გზა ბაღისაკენ მიდიოდა. ამ ადგილებს

კარგად იცნობდა და თუ საჭირო გახდებოდა, დამალვასაც ადვილად მოახერხებდა.

უცებ ყვირილი და სიცილი შემოესმა. ესენი, ალბათ, მემამულის შვილები იყვნენ. ინდიელები ასე არ იცინიან. ტრინიმ ფრთხილად გაიხედა ეკლიანი ღობის გადაღმა. კედლისაკენ ზურგშექცევით ხელებით ეკიდა კაცი. ფართოფარფლიანი ჩალის ქუდი ძირს ჩამოვარდნოდა. ალბათ ეს იყო ბიძია იერონიმო. მარჯვნივ კარგად ჩაცმული ახალგაზრდები მიმოდიოდნენ და ხმამაღლა ლაზღანდარობდნენ. ცოტა მოშორებით, გზაზე, ამბროსია იდგა, კაქტუსივით გაუნძრევლად. ამბროსია არც მაშინ განძრეულა, როცა დაინახა, მხარზე თოფებგადებული რამდენიმე ახალგაზრდა უახლოვდებოდა.

ტრინიმ გორაკს მარცხნივ შემოუარა, რომ შეიარაღებულ ახალგაზრდებს არ დაენახათ და ჩამოკიდებულ კაცთან უფრო ახლოს მისულიყო. ამბროსია ალბათ იმ ბატონების ვაჟიშვილებს ელაპარაკებოდა, ისინი გარს შემოხვეოდნენ.

ტრინიმ ცოტა კიდევ წაიწია და ნათლად დაინახა, რომ იგი მართლაც ძია იერონიმო იყო. მისთვის თოკი მაჯებში ჩაებათ და კედელზე ასე ჩამოეკიდათ. მარჯვენა მხართან რაღაც შავ ლაქასავით ემჩნეოდა. რა იყო ნეტავ? ვერ გაეგო ტრინის და ძალიან სწუხდა. ეშინოდა, მაგრამ ბუჩქებში ცოტა კიდევ გახოხდა ფრთხილად. ახლა კი იერონიმოს სახეც მკაფიოდ დაინახა. მას თვალები დაეჭყიტა და აქეთ-იქით იხედებოდა. მაშასადამე, მკვდარი არ იყო. მხარზე რომ ლაქასავით ჩანდა, ეს ალბათ სისხლია. მართლაც, ხამის თეთრ პერანგზე გახვრეტილი ყურიდან სისხლი წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა.

უფრო წინ წასვლა ტრინიმ ვეღარ გაბედა. სისუსტე იგრძნო, არც ის იცოდა, ბიძიას როგორ დახმარებოდა.

ამბროსია ისევ გზაზე იდგა გახევებული, ახალგაზრდები კი მემამულის ალაყაფის კარებისაკენ მიემართებოდნენ. ტრინი უკან უნდა გამობრუნებულიყო, სანამ დიდედა შეამჩნევდა. ბიჭი უკან გამოიქცა, თან ბუჩქებს ეფარებოდა და უკან-უკან იხედებოდა. აღელვებული და შეშინებული მიადგა სოფელს. გზაზე როსარიას შეხვდა. იერონიმოს საცოლეს. როსარიას ტირილისაგან თვალები დასიებოდა, ტრინის შეშფოთებული პაპა კი გვერდით ამოსდგომოდა.

ტრინი მათკენ გაექანა.

— პაპა, კედელზე ბიძია იერონიმო ჰკიდია. ყურიდან სისხლი სდის!

როსარია მივარდა ტრინის:

—ისევ იქა ჰკიდია? ცოცხალია?

— ჰო. თვალებს ატრიალებდა.

— ოჰ! — შეებით აღმოხდა როსარიას. — შენ რა იცი? იქ იყავი? — ჰკითხა მან.

— ჰო, სულ ახლოს.

— კიდევ ისვრიან? — იკითხა ახლა პაპამ. — ხმა აღარ ისმის.

— არა, წავიდნენ. მათ დიდედა ელაპარაკებოდა.

— ამბროსია? — შიშით იკითხა პაპამ. — დიდედაშენი იქ არის?

— არ ვიცი... ჰო, აი, მოდის!

ყველამ იქით მიიხედა, საიდანაც ამბროსია მოდიოდა.

— იმათ ელაპარაკებოდი? — ახლა ამბროსიას ჰკითხა პაპამ.

— ჰო, ვკითხე, რატომ ესროდით-მეთქი ჩემს შვილს. ამ ბანდიტებმა მიპასუხეს, იერონიმოს კი არ ესროდნენ, არამედ მის გარშემო ისროდნენ, მის ირგვლივ, ახლო-მახლო. ერთ-ერთმა მათგანმა კიდეც დაიტრაბახა, ჩვენი ამხანაგები ისე კარგად ისვრიან, ჩამოკიდებულს ყური გაუხვრიტეს, თავს კი არაფერი ზიანი არ მოსვლიაო. რომ უფრო შეშინებულიყო და ეფიქრა, აღსასრულის დღე დამიდგაო, იერონიმო არც კი გაუფრთხილებიათ, რომ მის მოკვლას არ აპირებდნენ. — ამბროსიამ პირი მკაცრად მოკუმა და სივრცეს გახედა. მერე სერიოზული, შავი თვალები როსარიას მიაპყრო და თქვა: — იმუქრებიან, ვინც მის ჩამოხსნას გაბედავს, დაისჯებაო. ჩვენ თვითონ ჩამოვხსნით, როცა იმდენ ხანს ეკიდება, რომ მთელ სიცოცხლეს დაამახსოვრდესო.

— რა უნდა დაამახსოვრდეს? — იკითხა როსარიამ.

— არც მე ვიცი, — მიუგო ამბროსიამ. — იმათ თქვეს, იერონიმოს გრაფინიასათვის ჯადო გაუკეთებიაო.

— ამას იერონიმო როგორ იზამდა! — წამოიყვირა როსარიამ.

— რასაკვირველია, არ იზამდა, — უგულოდ თქვა ამბროსიამ. — მაგრამ, რა უნდა ვქნათ? კარგი იქნებოდა, მთელი სოფელი გრაფის სახლის წინ შევკრებილიყავით.

— ჩვენ თოფები არა გვაქვს, ისინი კი კარგად არიან შეიარაღებულნი.

— მაშ... — დაიწყო ამბროსიამ, აღარ დაამთავრა და სახე-მოღუშული ქოხისაკენ გაემართა.

ნეტავი კიდევ რამდენ ხანს უნდა ეკიდოს? — იკითხა შეწუხებულმა როსარიამ.

პაპამ მხრები აიჩეჩა:

— ჩიაპასში მემამულეები ინდიელებს ამგვარად ხშირად ჰკიდებენ ხოლმე. ისინი ჩამოკიდებულს მთელი ღამე ასე სტოვებენ და მხოლოდ მაშინღა ჩამოხსნიან, როცა საწყალს გაძრევის თავი აღარ ექნება და ძირს დაეცემა.
როსარია კვლავ აქვითინდა.

— ნუ სტიოი! — ტკბილად უთხრა პაპამ სარძლოს. — მერე მისი მოვლა შენ მოგიწევს.

მზე ჩადიოდა. ტრინიმ უცბად იგრძნო, ძალ-ღონე ეცლებოდა, მაგრამ თავი შეიკავა, არ უნდოდა, ვინმეს შეემჩნია. ფაშფაშა მარიანამ უთხრა, ერთ-ორ დღეს მშვიდად იყავი, სანამ ღონეს მოიკრეფდეო. ტრინი ნელა გაემართა ქოხისაკენ. უცბად თვალთ დაუბნელდა და გული შიშით შეეკუმშა.

ამბროსიამ თვალი შეასწრო, როგორ დაეცა ტრინი და მის ასაყენებლად გაიქცა. ტრინი გონს მალე მოეგო და საჭმელიც მოითხოვა, მაგრამ ისე იყო დათეთქვილი, დამჯდარს ჩაეძინა. ამბროსიამ ბიჭი ჭილოფზე დააწვინა და საბანი წააფარა. ამბროსიას არ გაჰკვირვებია, ბიჭს რომ ღონე გამოელია.

## მთვარიანი ღამე

იმ ღამეს ამბროსია ჩუმად წამოდგა და თავისი ქმრის ხელსაწყოების ყუთში ფათურს მოჰყვა. ხმაურზე ქმარს გამოეღვიძა. „რა ამბავია?“ — იფიქრა მან. „ნადირი ხომ არ შემოჭრილა ქოხში?“. ქურდზე არც კი უფიქრია, რადგან მათ სოფელში ქურდი არავინ ეგულებოდა.

ჭილოფიდან წამოიწია და დაინახა, ცოლი თავის ადგილას აღარ იწვა. გარეთ გამოვიდა და ამბროსიას ჩრდილს მოჰკრა თვალი.

— ამბროსია, მანდ რას აკეთებ?

ქალმა პასუხი დააგვიანა.

— ისეთ რამეს ვეძებ, რითაც იერონიმოს ჩამოვხსნი.

— მეც ვიფიქრე, მაგრამ ძალიან მაღლა ჰკიდია. თოკი

კი კედლის შიგნითა მხარეს არის დამაგრებული. იქ ვერ მივწვდებით.

— ჯოხს რომ ნამგალი მივამაგროთ და იმით ჩამოვჭრათ?— შეეკითხა ამბროსია.

— ივარგებს. მაგრამ მარტო ხომ არ წახვალ?

— მაშ რა ვქნა, მისი დარდი სხვას ვის აქვს?

— მეც წამოვალ.

— წამოდი. სულ ერთია, მარტო მაინც ვერ ვზიდავ. გაშეშებული იქნება, სიარულს ვერ შეძლებს.

იარაღი აიღეს და სიბნელეში გაუჩინარდნენ. ჩაბნელებულ ცაზე ირიბად ეკიდა მთვარის მილეული ნამგალი. გზიდან ძაღლი წამოხტა და გვერდზე გახტა. უპატრონო ძაღლები შებინდებისთანავე წვებოდნენ თბილ მტვერში და იძინებდნენ.

სოფლის განაპირას ჩამიჩუმი არ ისმოდა. შიშველი ფეხი ხმას არ გამოსცემდა. მთვარის სუსტ შუქზე ერთ ნაბიჯზე აღარაფერი ჩანდა. ჩაბნელებული მიდამო შიშს მოგგვრიდათ. ახლა სმენას უფრო უნდა დანდობოდნენ, ვიდრე თვალებს.

სანამ ბორცვს მიაღწევდნენ, მარცხნივ გადაუხვიეს და ხელის ცეცებით ბილიკს გაუყვნენ. ბორცვის კიდეს რომ გაუსწორდნენ, კედელზე მაინც ვერაფერი შეამჩნიეს. ისევ ფრთხილად განაგრძეს გზა, რადგან, ხმაურის ატეხვის გარდა ფეხში ეკლის შერჭობისაც ეშინოდათ. გზაზე მოჭრილი ეკლებიანი ტოტები ეყარა. უცბად რაღაც ხმაური გაიგონეს და შედგნენ. ხომ არავინ ჩაახველა?

ამბროსიამ ქმარს ანიშნა, შეჩერდიო, თვითონ კი წინ გაძვრა. უნდოდა გაეგო, რა იყო. ნამგლიანი ჯოხი იქვე დატოვა.

ერთბაშად ფეხჩაცმული კაცის ნაბიჯი გაისმა და ისევ მიწყდა.

პაპა ხასინტომ წარმოიდგინა როგორ ეკიდა მისი ვაჟიშვილი, მხიარული იერონიმო კედელზე, როგორ ეტკივებოდა მაჯები, მხრები! ალბათ. მკლავები მთლად გაუშეშდებოდა. ვინ აიტანს ამ ტანჯვას, ამდენ ხანს კედელზე ხელებით ჩამოკიდებას? ნეტა ყურიდან სისხლი კიდევ სდის?

უცბათ პაპამ ვიღაცის ჩრდილი შეამჩნია. ამბროსია? ჰო, ის ყოფილა. ამბროსიამ გვერდით ჩაუარა. ხასინტო უკან მიჰყვა. რად ბრუნდება, განზრახვაზე ხელი ხომ არ აიღო?

ამბროსია შედგა და ჩურჩულით წარმოსთქვა:

— თოფიანი ყარაული უდგას.

— იერონიმო სადღაა?

— კედელს ჩრდილი ადგას და ვერაფერი შევამჩნიე. თითქოს მძიმე-მძიმე სუნთქვა შემომესმა.

ხასინტოს სიბრაზით თავში სისხლი აუვარდა, მაგრამ თავი მალე შეიკავა.

— მაშ, რა ვქნათ, უკან დავბრუნდეთ?

— ასე ვქნათ, ხასინტო: — თქვა ამბროსიამ, —შენ ქუჩაზე გადი და ხმამაღლა ლაპარაკი დაიწყე, თითქოს რამდენიმე კაცი მოდის, ყარაული თქვენსკენ წამოვა, მე კი ამასობაში თოკს გადავჭრი და იერონიმოს გავათავისუფლებ.

ხასინტო ჩაფიქრდა და მერე თქვა:

— ეგ ვაუბატონები დედას ბიჭები არიან, ღამე გარეთ გამოსვლისა ეშინიათ. ყარაული ხმას რომ გაიგონებს, თოფის სროლას ატეხს და სხვებსაც გააღვიძებს. იერონიმო რომ ჩამოხსნა კიდეც, ხომ ვერ გაიქცევა, შენ კი ყარაულის მოსვლამდე შორს ვერ წაიყვან.

ბნელში იდგნენ, აქეთ-იქით იყურებოდნენ. იერონიმოსთან ახლო დგომით სატკივარი მათაც აშლოდათ. საკუთარი უსუსურობა სტანჯავდათ.

უხმოდ დაბრუნდნენ მოხუცები და ფრთხილად დაწვნენ, რომ ტრინი არ გაეღვიძებინათ. შვილის დარდით მათ თვალებს ძილი არ ეკარებოდა. დილას უთენია წამოდგნენ, რომ მუშაობაში ჩაეკლათ დარდი.

## საუზმე ბატონის სახლში

ბებერი მანუელა გრაფის საშზარეულოში ტრიალებდა. დიდი ქურა შეშით გამოეესოთ და ცეცხლს ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა. ქურის წინ მანუელას თანაშემწე კონჩა იდგა და ლერწმის მარაოთი ცეცხლს აჩაღებდა. ერთი კერის წინ თვითონ მანუელა მიმდგარიყო და გაჩქარებით აქნევდა მარაოს, რომ ნაკვერჩხალი კარგად გაღვივებულიყო. მრგვალმუცლიანი

ყავისფერი ქოთნები ცეცხლში ჩაეფგათ. სადაც იყო, წყალი ადუღდებოდა.

გრაფი ჩაის სვამდა ხოლმე, გრაფინია. გუვერნანტი და ბატონების ვაჟიშვილები კი ყავას მიირთმევდნენ, ხოლო ბავშვებს, ინგლისური ჩვევის მიხედვით, ფაფას უხარშავდნენ. ამიტომაც გახდა საჭირო დილაადრიან სამივე კერიის გაჩაღება.

თუ ასე გაცხარებული საქმე არა ჰქონდა, გულკეთილი და მუდამ მხიარული მანუელა იჯდა და ჰყვებოდა ათას ამბავს, ნანახსა თუ გაგონილს.

დღეს კი ხმას არ იღებდა. გული საშინლად უკვნესოდა, რომ იერონიმოს დასჯაში ბრალი მას მიუძღოდა. რა ქაჯმა და ეშმაკმა შეაცდინა და ჩაერია ამ წიწაკის ამბავში. მით უფრო, ახლა ეჭვიც კი ეპარებოდა, მართლა იერონიმომ მოინდომა თუ არა გრაფინიასათვის ჯადოს გაკეთება.

მანუელას აზრადაც არ მოსვლია, რომ ამ საქმისა თვითონ გრაფსაც არა სჯეროდა, რომ მხოლოდ ჭკუის სასწავლად დასჯა, რათა იერონიმოს გლეხები აღარ წაექეზებინა.

გრაფი თავის კაბინეტში საუზმეს მიუჯდა. შუბლი შეეკმუხნოდა. უსიამოვნო ამბები მოსდიოდა. ერთ-ერთ პროვინციაში გლეხები აჯანყებულიყვნენ.

მალე მემამულეთა შვილებმაც თავი მოიყარეს და ყაყანი დაიწყეს. გრაფის გამოჩენაზე ისინი უცბად გაჩუმდნენ და თავდახრით მიესალმნენ. ერთი ახალგაზრდა გრაფს მიესალმა და მოახსენა:

— მებაღე კედლიდან ჩამოვახსნევინეთ და ჭკუის სასწავლად ყურები და ცხვირიც დავაჭერით. მაგრამ ჭრილობიდან ისე ძალიან სდის სისხლი, მეშინია, არ მოკვდეს. თვითონ არაფრის თავი არა აქვს.

— მისი სიკვდილი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება,— თქვა გრაფმა. — მაშინ დასჯის ეს სახე თავის მნიშვნელობას დაკარგავს და ჩვენც ზიანს მოგვიტანს. რომელიმე თქვენგანი ახლავე სოფელში წავიდეს და ინდიელებს უთხრას, იერონიმოს წაღება შეგიძლიათ-თქო. თუ მისიანები ყურადღებას არ მიაქცევენ და არ აჩქარდებიან, მებაღის სიკვდილი, დაე, მათ დაბრალდეს.

მერე დანარჩენთ მიუბრუნდა და სუფრასთან მიიპატიჟა:

— აბა, ბატონებო, ახლა კი ვისაუზმოთ!

ამოქარგულ კოსტუმებში გამოწყობილი ყმაწვილები გრძელი მაგიდის გარშემო სკამებთან ფეხზე გაჩერდნენ. გრაფი ოთახში შეპოსულ მეუღლეს მიეახლა, მისი ხელი ტუჩებთან მიიტანა და ფრანგულად თავაზიანად მიმართა:

— იმედი მაქვს, ძვირფასო, კარგად გეძინა. წუხელ გვიან ვერანდაზე გამოვედი. უჩვეულოდ წყნარი და მომხიბვლელი ღამე იყო.

ასეთი ცერემონიული მისალმების შემდეგ გრაფინია ყველა იქ დამსწრეს ოდნავი თავის დაკვრითა და ნაზი ღიმილით მიესალმა. გრაფი უკვე თავის სკამთან იდგა და როგორც კი გრაფინიამ დაჯდომა ინება, გრაფიც დაჯდა. ორივეს უკან მსახურები ედგა და მაგიდასთან სკამები მათ მიუწიეს. ყმაწვილებმაც მათ მიბაძეს.

სუფრასთან სხდომის ისეთი მკაცრი წესები არსებობდა, ვერც ერთი ყმაწვილკაცი ვერ ბედავდა ხმის ამოღებას, სანამ გრაფი ან მისი მეუღლე არ დაელაპარაკებოდნენ.

ამის თაობაზე ფრანგმა გუვერნანტმა საკმაოდ ირონიული წერილი მიუწერა თავის ძმას პარიზში:

„ხანდახან ასე მგონია, ჩემმა აქაურმა უფროსებმა მზეღმერთის, ლუდოვიკო XIV-ის დრო გააცოცხლეს. იმ მოსაწყენი პიესის გმირებივით ცხოვრობენ, ხანდახან პარიზის სცენაზე რომ ვნახულობდით. სუფრასთან საუბარს რომ გააბამენ, ასე მგონია, რომელიმე ძველი ფრანგი კლასიკოსის თხზულება დაუზეპირებიათ და აქ ღირსებით, მაგრამ უსულგულოდ წარმოთქვამენ“.

გუვერნანტი დღეს სულაც არ იყო ხუმრობის გუნებაზე. ამ დილას უთხრეს, მებაღე იერონიმო კედელთან უპატრონოდ გდია და სისხლისაგან იცლება. ხელის განძრევის თავიც არა აქვსო. ეს საშინელ მხეცობად და უადამიანობად მიაჩნდა.

— ყოველ დილას სიხარულს მგვრის, როცა ასეთ სიცოცხლით სავსე, მზით განათებულ, მომხიბლავ ბუნებას ვუმზერ.— უთხრა გრაფინიამ მარჯვნივ მჯდომ ეხეში გარეგნობის ყმაწვილს.

ყმაწვილკაცმა მხოლოდ დიახო, უპასუხა, რადგან ასეთი ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი არ ეხერხებოდა.

გრაფი თავს იტყუებდა, როცა ყური უგდო მოხუც მანუელას ლაპარაკს და ფიქრობდა, ინდიელებს სამართლიანად მიაჩნიათ იერონიმოს დასჯა ჯადოქრობისათვისო. ვერც ერთი ინდიელი ვერ დაიჯერებდა, რომ ქოთანში წიწაკა მართლა იერონიმომ ჩარგო. როცა სოფელში ერთი მემამულის ვაჟიშვილი მოვიდა და შეატყობინათ, იერონიმო სისხლისაგან იცლებაო, ისინი ძალიან გაბრაზდნენ. როსარია ყვირილით გაიქცა გრაფის მამულისაკენ. ამბის მომტანმა მაშინვე მოჰკურცხლა, ინდიელების გაავებული სახეების შეხედვამ შეაშინა.

როსარიას თითქმის მთელი სოფელი დაედევნა: თეთრ ქურთუკებიანი, ჩალის ფართოქუდებიანი მამაკაცები და ყავისფერთავსაფრიანი ქალები და ბავშვები.

ტრინის ხუანიტასათვის ჩაევლო ხელი. ხუანიტა ძალიან მგრძნობიარე ბავშვი იყო და ახლა ტირილს ვეღარ იკავებდა. უცბად რაღაც მოაგონდა, ტირილი შეწყვიტა და თქვა:

— ტრინი, გუშინდელივით შორს ნუ წახვალ, თორემ კიდევ დაეცემი. მეც შენთან ვიქნები.

ხუანიტამ ტრინი როსარიას ეზოში შეიყვანა. მართლაც, ტრინი თავს ისე სუსტად გრძნობდა, რომ ხუანიტას დაუჯერა და მორჩილად მიჰყვა.

ხუანიტა მაღალი, ბავშვური ხმით ტიტინებდა, როგორ მოუვლიდა და რას გაუკეთებდა როსარია იერონიმოს. გოგონას უცბად მოაგონდა, ნეტავ ქოხში წყალი თუ არისო. იერონიმოს ხომ წყალი ეწყურებოდა.

ხუანიტამ ლერწმის მარაოთი ცეცხლი გააღვივა და ქურაზე ჩაისათვის წყალი შედგა, როგორც ამას დედამისი აკეთებდა ყოველდღე. ტრინი უყურებდა და აოცებდა ხუანიტას სიმარჯვე და მოფიქრებულობა.

— აბა, ქუჩაში გაიხედე, ტრინი, ხომ არ მოდიან? — თქვა ხუანიტამ.

— მოდიან, მოდიან, — დაიძახა ტრინიმ, — წამო, შეეგებოთ!

— არა, — წარმოთქვა სადიასახლისო საქმეებში გართულმა გოგონამ. — ყველაფერი უნდა მოვამზადო, თბილი წყალიც

დავახვედრო ჭრილობების მოსაბანად. აბა, სადა მცალია!

ტრინი შესცქეროდა ნელა მომავლებს, რომლებსაც ისეთ სახე ჰქონდათ, თითქოს მიცვალებულს მოასვენებენო. „ხომ არ მოკვდა ბიძია იერონიმო?“ — გაიფიქრა მან და ხალხისაკენ გაიქცა შეშინებული.

კაცების ერთ ჯგუფს ჯოხებზე დასვენებული იერონიმო მოჰქონდათ. ერთ კაცს მისი თავი ეჭირა. ყურებთან და ცხვირთან ბანდი გასისხლიანებოდა. იერონიმომ უცბად ტრინის თვალი მოჰკრა და მიაშტერდა.

კაცებმა იერონიმო განგრეულ ღობეში გაიტანეს და ფრთხილად დააწვინეს ძირს.

ამ დროს როსარიამ თავის სამზარეულოში პატარა ხუანიტა შენიშნა.

— შენ აქ რა გინდა?

— აი, წყალი გაგითბე, ჭრილობების მოსაბანად, — დაიწრიპინა ხუანიტამ. — საცაა ჩაის წყალიც ადუღდება. ბიძია იერონიმოს ალბათ ეწყურება.

როსარიას ცრემლები მოერია, ხუანიტა ხელში აიყვანა და აკოცა. გოგონას კი მისი კოცნა სულაც არ ეპრიანებოდა, პატარა დიასახლისს ჯერ ისევ საქმე ჰქონდა და ფეხებს ასხმარტალებდა, რომ ხელიდან გასხლტომოდა.

წამომჯდარ იერონიმოს ორი კაცი იჭერდა, თვითონ თავს ვერ იკავებდა. მარიანამ ხელის სწრაფი მოძრაობით სახიდან ფრთხილად ჩამოხსნა ბანდი. ბიძის დამახინჯებული სახის შეხედვაზე ტრინი ძალზე შეშინდა. იერონიმოს აღარც ყურები ჰქონდა, აღარც ცხვირი. სახე მთლად სისხლით ჰქონდა მოსვრილი.

ჭრილობებზე მარიანამ გამხმარი ფოთლები დააფინა და უთხრა:

— მობანა არ შეიძლება. ჯერ სისხლი უნდა შევუჩეროთ, ძალიან გტკივა?

იერონიმომ პირი რომ გააღო, ტრინიმ შენიშნა, ტუჩები გასიებოდა.

— თავი არა მტკივა, — ძლივს ამოღერღა იერონიმომ. — მხრები და ხელები ძალიან.

— გეტკივება, აბა, რა! — მიუგო მარიანამ. — როსარია

წყალს გაგონობს. ოღონდ წყალი ცხელი არ იყოს. შიგ ხელებს ჩააწყობ. თუ დაკისივდეს, ნუ შეგეშინდება. ტკივილი თანდათან იკლებს და დაქანცულობას იგრძნობ. მაშინ ეცადე დაიძინო, ძილი შენთვის წამალია!

თავშეყრილ ინდიელებში უცბად ჩოჩქოლი ატყდა. გზაზე გრაფის ერთი ზედამხედველი გამოჩნდა. ფართო ქამარზე უზარმაზარი პისტოლეტი ეკიდა. სწორედ ეს კაცი ბრძანდებოდა, როსარიას რომ სდევდა. სახეზე ნაძალადევი გულგრილობა აესახა და თავი ისე ეჭირა, თითქოს ინდიელთა სიძულვილით სავსე გამოხედვას ვერ ამჩნევსო.

— ბატონმა დამავალა გადმოგცეთ.—დაიწყო ზედამხედველმა და ტუჩების კუთხეები დაბლა ჩამოუშვა. — ახლავე სამუშაოზე გამოდითო.

ინდიელები არც განძრეულან, არც ხმა ამოუღიათ.

— ჰა. რაღას ადგახართ? — მუქარით იკითხა მან, თუმცა მის ხმას რიხი აკლდა.

ამბროსიამ ახლა კი ვეღარ მოითმინა, ერთი მამაკაცი გვერდზე გასწია. ზედამხედველს წინ დაუდგა და თვალით აწონ-დაწონა. ჭერე გლეხებს მიუბრუნდა:

— მომეცალეთ! — და ხელით ანიშნა, გვერდზე მიდექ-მოდექითო.

გლეხები მიუხვდნენ ამბროსიას, რაც უნდოდა. აქეთ-იქით მიდგნენ და გზა დაუტოვეს. თავში ზედამხედველი იდგა, ბოლოში კი სუფთა ჩვრებით თავშეხვეული იერონიმო იწვა, მარტო თვალები და პირიღა მოუჩანდა, ქურთუკი და შარვალი სისხლით ჰქონდა მოსვრილი.

ამბროსიამ კვლავ შეხედა ზედამხედველს და ხელით იერონიმოზე აჩვენა:

— აი, რა ჩაიდინეთ! ჩვენ კი თქვენთვის ვიმუშაოთ?! მიბრძანდი მაგ შენს ბატონთან და მოახსენე, თავისას რომ ეძახის, ის ჩვენი მიწაა, ინდიელებისა! ურჩევნია მემამულეების ვაებატონები ამუშაოს, იმათ ხომ მუქთად აჭმევს იმ მჭადს, ჩვენ რომ წაგვგლიჯა. მაშ ჩვენ რიღასთვის ვიმუშაოთ?

ამბროსია გაჩუმდა მაგრამ ზედამხედველს თვალს არ აცილებდა.

ზედამხედველი გუნებაზე ვერ იყო. სხვა რომ ვერაფერი

მოახერხა, სულელურად გაიღრიჭა და ამბროსიას შეუტია:

— გაჩუმდი, ბებერო! დაგიჭერენ! შენც დაგიჭერენ და თქვენც, — ხალხს მიუბრუნდა, — მთელ სოფელს... მანამდი კი, აბა, სამუშაოზე!

ხმა არავის ამოუღია, არც განძრეულან. ამბროსია ინდიელებს მიუბრუნდა:

— არავის გინდათ ხმა ამოიღოთ? იერონიმოს შემხვედვარეს კიდევ გინდათ გრაფისათვის იმუშაოთ? მე ასე მგონია, ახლა სამუშაოზე აღარ შეგვიძლია გავიდეთ. მებატონეთა ვაჟიშვილებმა გუშინ იერონიმო ჩამოჰკიდეს და ცხვირი და ყუ-

რები დააჭრეს, ხვალ სხვას უზამენ ამას. თუ გრაფი გარეკავს იმ ვაუბატონებს, მერე გავალთ სამუშაოდ. აი, მე ასე ვფიქრობ, ქალი. თქვენ რას იტყვით, ბაბაკაცები?

— სწორია! — დაიძახა ვიღაცამ.

აქამდე გაჩუმებული ინდიელები ახლა აყაყანდნენ. ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, მაგრამ ყველა არ ეთანხმებოდა ამბროსიას.

იერონიმო შეინძრა და წამოდგომა სცადა. მიეშველნენ და წამოაყენეს.

— მე აქ აღარ ვმუშაობ, ეს მტკიცედ გადავწყვიტე. თუ თქვენ იმუშავებთ, კეთილი, მე კი აქ აღარ გავჩერდები, დღესვე წავალ. აი, მაგ ყმაწვილსაც ესმის ჩემი სიტყვები,—იერონიმომ სცადა ზედამხედველისაკენ გაეშვირა ხელი, მაგრამ ვერ ასწია. ეტყობოდა, ძალიან ეტკინა. — თუ თქვენ სამუშაოდ გახვალთ, დედაჩემსაც სხვა არა დარჩენია, უნდა გაეცალოს აქაურობას, თორემ, როგორც წამქეზებელს, დაიჭერენ და შეიძლება დახვრიტონ კიდეც. გინდათ ასე მოხდეს? თუ დღეს არ გადაგიწყვეტიათ, ხვალ მაინც უნდა გადაწყვიტოთ! მაგრამ მაშინ თქვენს შორის აღარ იქნებიან დედაჩემისნაირი გამბედავი ინდიელები.— ძალდატანებით და ტკივილებით გატანჯული იერონიმო ძირს დაეშვა.

ახლა როსარია წამოდგა წინ და გამწარებულმა იყვირა:

— იერონიმო ვერსადაც ვერ წავა. მაგას თვითონაც ხედავთ. გააგდეთ ეგ ზედამხედველი, ეშმაკსაც წაუღია მაგისი თავი. რა დარჩენია მაგას ჩვენს სოფელში? ეგეთ მაიმუნებთან ჩვენ რა საერთო გვაქვს.

— კარგი, გეყოფა! — ბოროტი ღიმილით დაიღრიალა ზედამხედველმა. — თორემ...

— შენ თვითონ გეყოფა! — შეუძახეს აქეთ-იქიდან. ზოგიერთმა მისკენაც წაიწია. ზედამხედველი მაშინვე გაეცალა იქაურობას.

— მებატონეთა შვილები რომ შემოგვესიონ? — იკითხა ერთმა.

იერონიმო ისევ წამოდგა დიდის გაჭირვებით. თუმცა აქეთ-იქიდან ეჭირათ, მაგრამ თავს ვერ იჭერდა.

— ისინი თუ მოვლენ, ჩვენ წავალთ აქედან. მათზე მეთვალთვალენი უნდა დავაყენოთ, რომ შეგვატყობინონ მათი წამოსვლა. მოემზადეთ წასასვლელად. — იერონიმო. ძალაგამოლეული ჩაიკეცა.

ხალხი ჯერაც ყოყმანობდა. ახლა მარიანა გაცხარდა და ხალხს ეცა:

— წადით, რაღას უდგეხართ, ხომ ხედავთ იერონიმოს მეტი აღარ შეუძლია? ავად არის, მოსვენება სჭირდება!

მოსვენება ტრინისაც სჭირდებოდა. ხუანიტამ მას ხელი ჩა-

ჰკიდა, სახლისაკენ წაიყვანა და დიდი გამოცდილი ქალივით გაუბა საუბარი. როგორც ფაშფაშა მარიანა, ისე ექცეოდა ავადმყოფს.

## ტეპოტლელი ბატონი ტორესი

მემამულის ფართო ეზოში ორმა მხედარმა შეაჭენა ცხენი. ნაქარგ კოსტუმში გამოწყობილი მებატონე ცხენიდან ჩამოხტა და შეიარაღებულ მხლებელს აღვირი მიუგდო.

კოლონადიდან მის შესახვედრად ერთი ყმაწვილკაცი გამოეშურა და შესძახა:

— მამა, შენ აქ რა გინდა?!

— გრაფი შინ არის? — იკითხა მოსულმა და როცა ვაჟიშვილმა თავი დაუქნია, მიაძახა: — ახლავე მასთან მიმიყვანე!

იმათ ხმამაღალ ლაპარაკზე გრაფიც გამოვიდა.

— საყვარელო მეზობელო, საჩქარო საქმე გაქვთ?

— სამწუხაროდ, ძალიან სასწრაფო, — მიუგო სტუმარმა. — შეიძლება ჩემი ვაჟი ჩვენს საუბარს დაესწროს? მინდა იცოდეს, რაც ტეპოტლაში მოხდა.

— რასაკვირველია. გთხოვთ, აქეთ მობრძანდეთ. სიგარა ინებეთ! პირდაპირ კუბიდან მიგზავნიან.

ეს უცხო მემამულე ბატონი ტორესი იყო. ტეპოტლაში შემოსავლიანი მამული ჰქონდა. სიგარას მოუკიდა, შეისუნთქა, ბოლი ჩაფიქრებით გამოუშვა და დაიწყო:

— მინდა იცოდეთ, ბატონო გრაფო! სოფლის მცხოვრებნი მოვალენი არიან ჩემს დუქანში შეიძინონ მათთვის საჭირო საქონელი. პაპაჩემიდან მოკიდებული ასეა დაკანონებული. ეტყობა, ჩემი მუშების ყურამდეც მიაღწია ქალაქელი ლიბერალების წაქეზებამ. ეს შფოთისთავები ამტკიცებენ, დიდ სოფლებში არათუ ბატონყმობა, მონობაც არსებობსო. მემამულური დუქნები ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ყველაზე უსინდისო ფორმაა. ჩემი მუშები, იმის მაგივრად, რომ მადლობლები იყვნენ, სამუშაოს რომ ვაძლევ, გაფიცვით იმუქრებიან. მე რომ არ ვყოფილიყავი, შიმშილით ამოწყდებოდნენ. აი, უცხოეთიდან შემოტანილ იდეებს რა შედეგი მოაქვთ. გაფიცვაო!.. წარმოგიდგენიათ, რა უსწავლიათ? ჩვენს მამა-პაპას

კი ეს სიტყვა გაგონებითაც არ გაეგონა. — ტორესი ისე იყო გააფთრებული, სულს ძლივს ითქვამდა. — გუშინ სამუშაოზე სამი კაცის მეტი არ გამოსულა, ეს სამიც საღამოთი სოფელში რომ დაბრუნებულან, გაფიცულებს ისე უცემიათ, სიკვდილის პირას მიუყვანიათ. დღეს, სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, ინდიელები თურმე ჩემს მამულში შემოჭრას აპირებენ, რომ რაც სიმინდი გამაჩნია, წამართვან. კაცმა რომ თქვას. მართალია, სიმინდი აღარა აქვთ და უჭირთ, მაგრამ გატაცება რაღაა? ეს ხომ აჯანყებაა, თითქმის რევოლუციაც! ამიტომ, ბატონო გრაფო, მინდა გთხოვოთ, დღესვე აქ თავშეყრილი ყმაწვილკაცებით ჩემს მამულში მოხვიდეთ. ეგენი ხომ ასეთი შემთხვევის გამო შეკრიბეთ აქ, როცა სხვა პროვინციებში მღელვარების ხმები დაირხა. ერთი ვნახოთ, თავს როგორ დაგესხმიან, თუ ტყვიებს დავუშენთ.

—თქვენი დახმარება, რაღა თქმა უნდა, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, — მიუგო გრაფმა. —იქნებ თქვენმა ვაჟიშვილმა ეს ამბავი თავის ამხანაგებს შეატყობინოს, რომ ისინი გაემზადონ?

—რაღა თქმა უნდა, შეატყობინებს! — დაეთანხმა ტორესი. — პირდაპირ გულიდან მძიმე ლოდი ჩამომაცალეთ!

ტორესის ვაჟი ოთახიდან გავარდა. მამამ თვალი გააყოლა და ღიმილით თქვა:

— ჯერ პირზე რძეშეუშრობელი ყმაწვილები ხარან, თავგადასავლები ენატრებათ!

გრაფი ტორესს მიუბრუნდა:

— ასეთ ამბებს ველოდი და ამიტომ ზოგიერთი რამ უკვე ვიღონე. ერთი ჭაბუკი, ჩემს ხალხს რომ აჯანყებდა, ხელებით მთელი ღამის განმავლობაში კედელზე გვეკიდა, მერე ცხვირი და ყურები დავაჭერით, როგორც შფოთისთავს ეკუთვნოდა. მე მგონია, ჩემო ძვირფასო მეზობელო, ეს მაგალითი თქვენს სოფლელებსაც გამოადგებათ, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაეკარგოთ აჯანყების მადა.

— ჩინებულია! — შესძახა სტუმარმა და სიგარის ბოლი პირიდან ბოლქვა-ბოლქვად გამოუშვა.

კარებში გრაფის ზედამხედველი გამოჩნდა, რომელიც მან სოფელში ვაგზავნა.

— რა ჰქენი? — შეეკითხა გრაფი. — ბოლოს და ბოლოს გამოვიდნენ სამუშაოზე?

— არა, ბატონო, — ხმადაბლა თქვა ზედამხედველმა.

— რაო? — გრაფი შეშინებული წამოხტა. — წამო ერთი, ყველაფერი დაწვრილებით მიამბე! — გრაფი მაშინვე გავიდა ოთახიდან. სტუმარი ისევ სიგარას აბოლებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ოთახში აღელვებული გრაფი შემოვიდა.

— ცუდადაა საქმე, — დაიწყო მან. — ჩემმა ხალხმა სამუშაოზე გამოსვლის პირობად მებატონეთა შვილების ჩემი სახლიდან დათხოვნა მომთხოვა. რაღა თქმა უნდა, უეჭველად გამოვუშვებთ, ბატონო ტორესო! მაგრამ ჩვენს წასვლაზე ჩემი ხალხი რას იფიქრებს? ეგონებათ შევაშინეთო. — გრაფმა წარბები შეჰყარა, — ამ შფოთში კი ძალიან სახიფათოა.— გრაფი ფეხზე წამოხტა და შესძახა: — რა ვქნა! ყოველ შემთხვევაში, ოჯახი ქალაქში უნდა გავაგზავნო.

## სტუმარი ტეპოტლიდან

იერონიმოს მთელ დილას ეძინა. შუადღე გადასული იყო, რომ გამოეღვიძა. ჯერ ფეხები გაანძრია ფრთხილად. ფეხები არ სტკიოდა. მერე ხელის აწევა მოინდომა, მაგრამ მხარი საშინლად ასტკივდა. მერე მაჯები შეარხია, ახლა ტკივილები არ უგრძვნია. მაშ მარიანას სწორი უთქვამს, ტკივილები თანდათან გაივლისო. ფეხზე კვნესით წამოდგა, რადგან მხრებმა კვლავ ტეხვა დაუწყო. სიარული კი თავისუფლად შეეძლო.

ნელ-ნელა გარეთ გავიდა და უცბად როსარია დაინახა. შეშინებულმა როსარიამ წამოიკივლა:

— იერონიმო! — მაგრამ რაკიღა შეამჩნია, რომ იერონიმო იღიმებოდა და ფეხებზედაც მაგრად იდგა, ისევ გაუხარდა, ზედიზედ მიაყარა: — ყველაფერი მოგიმზადე, ყველაფერი; მჭადებიც დავაცხვე, ლობიოც მზად არის. ჭამ საჭმელს?

— ჰო, როსარია. მაგრამ შენ ეს მითხარი, კიდევ ხომ არ გამოუგზავნია გრაფს კაცი, სამუშაოდ გამოდითო?

—არა, არაფერი არ გამიგონია, — როსარიამ თიხის ჯ ჭ-
ში ლობიო ამოუღო და აკოკოლავებული მჭადები მიაწოდა.

იერონიმო დაჯდა და ჭამას შეუდგა. პირს ძლივს ანძრევ-
და და ნელა-ნელა ჭამდა. ჭამას რომ მორჩა, ჩაფიქრებული
კვლავ ჩუმად იჯდა, იქნებ ასე იმიტომაც იჯდა, ცოტათი რომ
განძრეულიყო, მხრები საშინლად სტკიოდა. მაღლა მაშინღა
აიხედა, როცა გზაზე მამაკაცების ჯგუფი გამოჩნდა. მათაც
შეათვალიერეს იერონიმო და კაქტუსის ღობის მხრიდან ეზო-
ში შემოვიდნენ.

— უკვე ჯდომაც შეიძელი? — ჰკითხა მამამ იერონიმოს.

— ჯდომა კი, მაგრამ მუშაობა არ შემიძლია. ხელებს ძლივს
ვანძრევ, — მიუგო იერონიმომ.

— რა გასაკვირია! — მიუგო მამამ. —როგორც შენ გვირ-
ჩიე, მთაზე მეთვალყურენი დავაყენეთ. შუადღე იქნებოდა,
ერთი მოვიდა და შეგვატყობინა, თავისი ამალით გრაფი სად-
ღაც წავიდაო. ამასობაში ისიც გავიგეთ, რომ გრაფინიას სა-
ჩქაროდ ბარგი ჩაულაგებია და ორი ზედამხედველის თანხლე-
ბით ქალაქში გაქცეულა. ნეტავ რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

იერონიმო საგონებელში ჩავარდა. სწორედ ახლახან ფი-
ქრობდა, გრაფი თავისი ბანდით სოფლის წინააღმდეგ რაღაცას
იღონებსო. მემამულეები ყველანი ერთნაირები არიან. გლე-
ხების ყოველი აღელვების დროს თავს ესხმოდნენ მათ, ხოლო
თუ გლეხები თავს უშველიდნენ, სოფელს ცეცხლის ალში
გახვევდნენ და ულმობლად ანადგურებდნენ.

— არა მჯერა! — თქვა იერონიმოს მამამ.

— უნდა გავიგოთ, სად წავიდნენ მებატონეთა ვაჟები, —
თქვა იერონიმომ.

— ყველაზე ლაქლაქა ბატონის მსახურებში მოხუცი მზა-
რეული მანუელა არის, — თქვა როსარიამ.

— რაიმე მიზეზით როსარია გრაფის სახლში რომ წავი-
დეს? — იკითხა ხასინტომ.

— მე? იქ მივიდე, სადაც ის ზედამხედველი ჩასაფრებულა
და ჩემს ხელში ჩაგდებას ნატრობს? — აღშფოთებით იკით-
ხა როსარიამ.

ყველა მიხვდა, რომ როსარიას წასვლა არ ივარგებდა.
ვერც ვერაფერი საგულისხმო მიზეზი გამონახეს ბატონის სახ-

ლში მისასვლელად და ისე დაიშალნენ, რომ არაფერი გადაუწყვეტიათ.

ის დღე და ღამე მშვიდად გავიდა. გათენების ხანს ძაღლები აღავღაედნენ და ცოტა ხნის შემდეგ იერონიმოს ხმადაბალი ძახილი შემოესმა. თუმცა მხრები ისევ ძალიან ტეხდა, მაგრამ მაინც ზეზე წამოდგა.

— გამო ცოტა ხანს! — მოესმა ამბროსიას ხმა.

გარეთ დედის გარდა ვიღაც ჩალისქუდიანი უცნობი მამაკაცი დაინახა. ისინი ქოხის გვერდით მიდგნენ და ჩაცუცქდნენ.

— მე პაკო მქვია, — თქვა უცნობმა. — ტეპოტლადან მოვდივარ. იცით, რომ თქვენი ბატონი თავისი ბანდით ჩვენს სოფელში ჩამობრძანდა?

— თქვენთან არიან? მერე რისთვის მოვიდნენ? — გაიოცა იერონიმომ.

— ძალიან ცუდად გვაქვს საქმე. ერთი მარცვალი სიმინდი არ მოგვეძევება. რამე თუ არ ვიღონეთ, ბავშვები და მოხუცები შიმშილით ამოგვიწყდებიან. ჩვენს ბატონს კი ყველა სასიმინდე საკსე აქვს და ფასების აწევას უცდის, რომ მერე მოგვყიდოს. ამას იმიტომ აკეთებს, რომ ის ორიოდე კაციც, ვისაც საკუთარი მიწის ნაგლეჯი შერჩა, აიძულოს და მათი ნაკვეთი ორიოდ ტომარა სიმინდად ჩაიგდოს ხელში. გუშინწინ გადავწყვიტეთ, მემამულის ეზო-მიდამოზე იერიში მიგვეტანა და სიმინდი გაგვენაწილებინა.

— ბიჭოს! მაგრამ ახლა ამას ვეღარ იზამთ, რადგან ეგ თოფიანი ბანდიტები ჩაგისახლდნენ, — თქვა იერონიმომ.

პაკო მძიმედ სუნთქავდა:

— შიმშილით ვიხოცებით, სიმინდი გვინდა. ვის მივმართოთ დახმარებისათვის? აი, მე აქ გამომგზავნეს.

— ჩვენთან? — შეეკითხა ამბროსია. — ორ კვირაში ჩვენც თქვენი დღე დაგვადგება.

— არა, თქვენ არაფერს არა გთხოვთ. ბატონებისაგან წავიღებთ. — მიუგო პაკომ.

— მაშ ჩვენი დახმარება გჭირდებათ? — იკითხა იერონიმომ. — სიამოვნებით დაგეხმარებოდით, მაგრამ როგორ?

— ჩვენ ვოვიფიქრეთ, — მიუგო პაკომ. —ბატონის სახლში შეიარაღებული ხალხი თუ დარჩა კიდევ?

— ვიცი, მხოლოდ პისტოლეტებით შეიარაღებული ორი ზედამხედველი დარჩა.

— თქვენ რომ მის სახლ-კარს დაესხათ და ის სიმინდი წამოიღოთ, რაც გრაფმა წაგართვათ, მებატონეთა შვილები თქვენსკენ წამოვლენ, მაშინ კი შეეესევით ჩვენს ბატონს და ის ვაჟბატონები ისევ ჩვენკენ გამოეშურებიან. ამასობაში სხვა სოფლებსაც დავუკავშირდებით, რომ იმათაც მხარი მოგვცენ.

იერონიმოს არაფერი უთქვამს.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ამბროსიამ თქვა:

— ბატონი სოფელს გადაგვიწვავს.

— მანამდე აქედან უნდა გახვიდეთ და სიმინდიც თან წაიღოთ. ახლო-მახლო სადმე მთა არა გაქვთ, თავი რომ შეაფაროთ? ალბათ, სიმინდის შესანახი საიმედო ადგილიც გექნებათ.

— დასამალი ადგილი კი გვაქვს.

— აი, ხედავთ! — დაიწყო ისევ პაკომ. — ბევრი-ბევრი ქოხები გადაგიწვავ, დამშევით კი ვერ დაგამშევენ.

კვლავ დუმილი ჩამოვარდა. აღმოსავლეთით ცისკიდური შეფერადდა.

— ძნელი გადასაწყვეტია. მე ამაზე პასუხს ვერ გაგცემ,— თქვა ბოლოს იერონიმომ. — ან მთელი სოფელი მხარს დაგვიჭერს, ანდა არაფერი გამოვა.

— რასაკვირველია. ასე იქნება, — დაეთანხმა პაკოც.

ცოტა რომ ინათა, ნახეს, სტუმარს ჭკვიანი სახე ჰქონდა და აღარც თუ ახალგაზრდა ეთქმოდა.

— ეს ჩანაფიქრი, — დაიწყო იერონიმომ, — მაშინ არ იქნება ამაო, როცა ბატონებს... — აღარ დაამთავრა სიტყვა.

— როცა ბატონებს უკან დაბრუნების საშუალება მოესპობათ, — მის მაგივრად დაასრულა პაკომ. — ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთივე შეიარაღებული რაზმები, როგორიც მებატონეებმა შექმნეს. შენ რას ფიქრობ, ვერ შევძლებთ?

— როგორ ვერ შევძლებთ, — მიუგო იერონიმომ. — მაგრამ ჩვენ ხალხს ვინ გააგებინებს, რომ ეს საჭიროა? ძალიან ძნელია მათი აყოლიება, ქედის მოხრას მიეჩვევნენ.

— მართალს ამბობ, — დაეთანხმა პაკო.

თანდათან ინათა. სოფელი მალე გაიღვიძებდა.

— დედა, — მიმართა იერონიმომ ამბროსიას, — ამ საკითხზე პირველად ვის მოველაპარაკოთ?

— მამამენს. მაგრამ სტუმარიც აქ იყოს, რომ ყველაფერი თვითონ აუხსნას.

— თუ საქმეს სერიოზულად მოვკიდებთ ხელს, დავრჩები.

— რაღა თქმა უნდა, სერიოზულად მოვკიდებთ ხელს, — იერონიმოს მაგივრად უპასუხა ამბროსიამ.

პაკო მას გაკვირვებით მიაცქერდა.

## ბჭობა

ამ დილით სოფელი თითქმის მთლად ჩამკვდარიყო. გლეხები თითქოს სამუშაოზე უნდა გამოსულიყვნენ, რაღგან მემამულეთა რაზმი სოფლიდან წავიდა. მაგრამ ყველას რაღაცის ეშინოდა, ემანდ არაფერი გვიხიმანონო.

პაკო და იერონიმო ამბროსიას და ხასინტოს ეთათბირებოდნენ. ტრინი ჭოხის ბნელ კუთხეში მიკუნჭულიყო და ყველაფერი ესმოდა, თუმცა ისინი ჩუმად ლაპარაკობდნენ. პაკოს წინადადებით, გლეხები მეორე დღეს მინდორში უნდა გასულიყვნენ, თითქოს მუშაობას აპირებდნენ, ზედამხედველებს თავს უნდა დასხმოდნენ და იარაღი წაერთმიათ. მერე კი დამშვიდებით გაუნაწილებინათ სიმინდი.

— ო, ძნელი საქმეა, — დაიწყო იერონიმომ. — სწორედ გრაფთან ვომუშავე ხალხია ყველაზე მეტად დაშინებული. მე მგონი, შეეშინდებათ შებრძოლებისა.

დუმილი ჩამოვარდა.

საუბარში ამბროსია ჩაერია:

— მამაკაცებს ქალები არასოდეს არ გახსოვთ!

ამბროსიას გაკვირვებით შეხედეს, რისი თქმა გინდაო.

— ვის უფრო მეტად აინტერესებს სიმინდის საქმე? — დაიწყო ისევ ამბროსიამ. — ქმარ-შვილს სასმელ-საჭმელს ხომ ჩვენ ვუმზადებთ.

— მაშ, შენი აზრით, ქალები გავგზავნოთ გრაფის მამულში? — იკითხა პაკომ.

— არა, ყველანი ერთად წავალთ. საჭმლის საკითხში კაცებმა დათმობა იცით, ჩვენ კი კერპები ვართ, სიმინდს მოვითხოვთ და მამაკაცებს წავაქეზებთ. მაგრამ მანამდე ქალებს

უნდა ავუხსნათ, რომ გრაფი თავისი ბანდის შესანახად ისევ მალე მოგვთხოვს სიმინდს.

სამი კაცი ამბროსიას შესცქეროდა. მისი წინადადება გონივრული ეჩვენათ.

— მაშასადამე, მთელი სოფელი წავიდეს, არა? მაგრამ ჩვენ ქალებს ამას ვინ ჩააგონებს?

— მე, მარიანა და, ალბათ, როსარიაც დაგვეხმარება. მათ მოველაპარაკები, ხოლო შემდეგ სამივენი სოფელში გავნაწილდებით, — თქვა ამბროსიამ და წასვლაც დააპირა, მაგრამ პაკომ შეაჩერა.

— კარგი გეგმაა, ოღონდ სწრაფად უნდა განხორციელდეს, თორემ ამ ამბავს გაიგებენ და მერე გაძნელდება შესრულება. ზედამხედველებს საშუალება არ უნდა მივცეთ, რომ თავდაცვისათვის მოემზადონ, თუმცა ორნი კი არიან.

— ერთი წინადადება მაქვს, — თქვა იერონიმომ. — მოდი, ზედამხედველები საუბარში გავართოთ, რომ სოფლიდან ამდენი ხალხის გამოსვლა ვერ შენიშნონ.

— მერე, ეს საქმე ვის მივანდოთ?

— მამულში მომუშავეთ, — უპასუხა იერონიმომ. — ისინი ჯერ იკითხავენ, მემამულეთა შვილები აქედან მართლა თუ წავიდნენ, საით წავიდნენ, შემდეგ ეტყვიან, სამუშაოდ გვინდა გამოვიდეთო და საუბარს მანამდე გააჭიანურებენ, სანამ სოფელი შეიკრიბებოდეს. მერე კი როსარია დაიწყებს ლაპარაკს. კარგადაც მოახერხებს! მე იმასთან სად მოვალ, — გაეცინა იერონიმოს.

ხასინტომ თავი გააქნ-გამოაქნია:

— რას ამბობ? ჩვენ უნდა დავიწყოთ ასეთი ეშმაკური ლაპარაკი? არა, ეს არავის არ შეუძლია.

— შენ თვითონ რომ ითავო? — მიუბრუნდა პაკო იერონიმოს. — შენ ხომ მებაღე ხარ. წაყევი მაგათ და რაც გინდოდეს, ის მიუკიბ-მოუკიბე ზედამხედველებს. შენ კარგად შესძლებ.

— მე რომ არ მენდობიან! — მიუგო იერონიმომ. — აბა, ჩემს თავსაც შეხედე, როგორა მაქვს შებანდული, შორიდანვე მიცნობენ და იფიქრებენ, სამაგიეროს მოსაზღვევლად მოდიანო.

— შენც რა დაგემართა?! — შესძახა პაკომ. — ადექი და

თავშალი მოიხვიე. თუ გინდა, სახეზეც ჩამოიფარე. წინ ნუ გამოეჩხირები, ხალხს ამოეფარე.

— თავშალიანი იერონიმო! — ამაზე ყველას გაეცინა. იერონიმოს ეს წინადადება მოეწონა, თავზე როსარიას თავშალი მოიხვია და სალაპარაკოდ მოემზადა.

ეზოში ტეპოტლელი პაკოლა დარჩა. ქოხის კუთხეში მიყუჟული ტრინის დანახვაზე წარბები უკმაყოფილოდ შეჰყარა და ბიჭს უთხრა:

— აქ რას უზიხარ, ყურს გვიგდებდი?

— მე ამბროსიასთან ვცხოვრობ, — უპასუხა შემკრთალმა ტრინიმ.

პაკო დამშვიდდა.

— ამბროსია შენი დიდედა არის? ალბათ ადრე თუ გათხოვდა, თორემ ეგრე ბებერი არა ჩანს. ამას გარდა, — ჩაფიქრებით დაუმატა მან, — დიდებული ქალია, ჭკვიანიცაა და, როგორც ჩანს, გაბედულიც.

— დიდედაჩემი ამბროსია ძალიან გაბედულია! — თქვა ტრინიმ ჩვეულებისამებრ ხმამაღლა. — გუშინწინ კედლიდან ბიძია იერონიმოს ჩამოხსნა მოიწადინა.

— მართლა? — ჩაეკითხა პაკო და ტრინის გვერდით ჩაჯდა. — ბიძაშენ იერონიმოზე რაღას იტყვი?

ტრინი ბიძას აღმერთებდა, მაგრამ ამას სიტყვებით ვერ გამოხატავდა.

— ბიძაჩემს იმათ ცხვირი და ყურები დააჭრეს.

პაკომ ტრინის სიტყვებითაც გაიგო, რაოდენ პატივს სცემდა იგი ბიძამისს.

„ხშირად ბავშვები უფრო კარგად იგებენ ადამიანის ავკარგს, ვიდრე უფროსები“, — გაიფიქრა პაკომ.

## იერიში სან ბარტოლდოს მამულზე

რადგან ამ დილით არავინ არ მუშაობდა, მთელი სოფელი ერთბაშად აჩოჩქოლდა. ქალებს ამბროსია ისე ნელა და მკაფიოდ, გასაგები სიტყვებით ელაპარაკებოდა, რომ მამაკაცე-

ბიც მოკრძალებით უსმენდნენ. როსარიამ ახალგაზრდებს მოუყარა თავი და მგზნებარე სიტყვებით მიმართა. გაიხსენა იერონიმო, როგორ ჩამოკიდეს კედელზე და აწამეს.

— მანამდე ძალიან ლამაზი ვაბუკი იყო, ახლა კი რას ემგვანება, სახეევებს რომ მოიხსნის? აი, ასეთები არიან მეპატონეები! ასე გვამახინჯებენ! შიმშილით კუჭებს გვიხმობენ. რამდენ ხანს გეყოფა ბავშვებისათვის საჭმელი, პანჩა? ჩვენ მოვითხოვთ: რაც გრაფმა სიმინდი წაგვართვა, უკანვე დაგვიბრუნოს.

მარიანა კი სულ სხვაგვარად ლაპარაკობდა. ავადმყოფებთან საუბარი შეეძლო, მაგრამ ახლა თავშეყრილი ქალების წინაშე დაიბნა. კინაღამ ტირილი დაიწყო, როცა სიტყვა შუაზე გაუწყდა და ვეღარ დააბოლოვა, მაგრამ არავის გაუცინია. მაინც კარგად უგებდნენ, საოცარიც იყო, სიტყვას სიტყვაზე რომ ვერ აბამდა, ამან უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე.

— წავიყვანოთ ქმრები და წავიდეთ, — განაცხადა ერთმა პირგამეხებულმა დედაკაცმა. — ბავშვები კი სოფელში დავტოვოთ.

მარიანას ჯგუფმა სოფელში ჩამოიარა და ყველა ეზოში შეიძახა:

— წავიდეთ! შენ თავის დაძვრენას ხომ არ აპირებ? ვინც არ წამოვა, სიმინდის გაყოფისას ვერაფერს მიიღებს.

ტეპოტლის დესპანი პაკო თვალს ადევნებდა, როგორ გამოდიოდა ხალხი კაქტუსების ღობის გადაღმიდან და სოფლის ბოლოსაკენ მიეშურებოდა.

ტრინი პაკოს შესცქეროდა.

—ძია პაკო, ერთი ისეთი ადგილი ვიცი, საიდანაც ყველაფერს კარგად დაინახავ, — უთხრა მან.

— ჰეო, ძალიან კარგი, წამიყვანე!

ისინი შორიახლო მისდევდნენ გლეხების პროცესიას. რომელიც თანდათან მტვრის კორიანტელში გაეხვია.

ბორცვთან რომ მივიდნენ, ტრინიმ იმ ადგილისაკენ გაუხვია, საიდანაც სამი დღის წინ ბიძია იერონიმო დაინახა კედელზე ჩამოკიდებული

გლეხების პროცესიის თავი უკვე გრაფის ალაყაფს მიადგა

და მი-ჭალა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. უცბად სროლის ხმა გაისმა.

— ვეტა ვინ გაისროლა, ძია? — იკითხა ტრინიმ.

— გაჩუმდი! სხვა არაფერი არ გესმის?

ჯერ ხალხის ყაყანი გაისმა, მერე ძაღლის ყმუილი და ჭახანი.

— წადი, ბიჭიკო, სახლში! — ალერსით უთხრა პაკომ ტრინის. — აქედან გზას თვითონაც გავიგნებ.

— წავიდე? — იკითხა ტრინიმ.

— ჰო, აქ ყოფნა შენი საქმე არ არის, — უთხრა პაკომ.

ტრინი შებრუნდა და უკან გაძვრა. ძალიან გულნატკენი იყო, რომ უკან დააბრუნეს.

პაკო რიყეზე გავიდა. ეკლნარში გზას ძლივძლივობით იკვლევდა.

ეს რა არის? ეზოდან ცხენზე ამხედრებული კაცი გამოვარდა.

— ტეპოტლისაკენ მიაჭენებს, — ჩაილაპარაკა პაკომ. — ალბათ ერთ-ერთი ზედამხედველია. ბატონს აქაურ ამბებს გააგებინებს. მეც უნდა წავიდე ტეპოტლაში, რომ ჩვენებს აქ მომხდარი ამბები ვაცნობო. მაგრამ რა ვუთხრა, ჯერ ხომ არაფერი ვიცი, რა მოხდა?

შეეცადა ნაბიჯი აეჩქარებინა.

უცბად ეზოდან ინდიელები გამოვარდნენ, მხრებზე გადებული საკაცით ადამიანი მოჰქონდათ. ახლოს რომ მოვიდნენ, დაინახა, ქალი იყო. პაკო ბილიკზე გამოვიდა და იქით გაეშურა.

რაც უფრო უახლოვდებოდა გრაფის ეზოს, მით უფრო მკაფიოდ ესმოდა ხალხის ყაყანი. მალე კარებში აჩოჩქოლებული ხალხი დაინახა, ზოგი შიგნით შერბოდა, ზოგი გარეთ გამორბოდა. საპარადო შესასვლელში ინდიელები ჩამდგარიყვნენ, ჭურჭელს გარეთ ისროდნენ და ამსხვრევდნენ. მარჯვნივ სიმინდს ინაწილებდნენ. იერონიმოც აქ ტრიალებდა. მას შორიდანვე კარგად იცნობდით, — თავი შეხვეული ჰქონდა და სახვევებს შორის შავი თმა მოუჩანდა.

უცებ შედგა და მამას გაცხარებით უთხრა:

— დალეწონ ყველაფერი, რაში გვჭირდება მაგათი ავეჯი და ნივთები?

— ბატონი რომ უკან დაბრუნდეს? — ფრთხილად იკითხა ერთმა მოჯამაგირემ, — ჩვენ აგვანაზღაურებინებს.

— სანამ ის დაბრუნდება, ტეპოტლელებიც მიანგრევენ თავიანთი ბატონის სახლ-კარს. — მიუგო იერონიმომ. — მერე მოახლოვებულ პაკოს მიუბრუნდა: — ხომ სწორს ვამბობ, პაკო? თქვენც ხომ მზადა ხართ?

პაკომ შეამჩნია, როგორ უცნაურად უელავდა იერონიმოს თვალები. ალბათ, ღელავს და იმის ბრალიაო, — გაიფიქრა მან.

— გასაჭირში არ მიგატოვებთ, მე ტეპოტლაში გავბრუნდები. თუ თქვენი გრაფი თავისი შეიარაღებული ბატონებით აქეთ გამოემარჯება, ჩვენ ტეპოტლის მამულს შევესევით. მაგათ ახლა ერთი წუთით არ უნდა მივცეთ მოსვენება. მაგრამ სანამ წავალ, შენ უნდა მოგელაპარაკო, იერონიმო!

— ახლა არა! — ისე მოუჭრა იერონიმომ, პაკოს ცოტა

გაუკვირდა. — აქ ზოგი ისეთი გლეხიც გვყავს, რომელსაც არ სურს გაიგოს, რა ხდება. ზოგ მათგანს გრაფის საკუთრების დაცვაც კი უნდა. ხოლო თუ ყველაფერს არ გავანადგურებთ, გრაფი ისევ დასახლდება. აქ აღარაფერი არ უნდა დაუხვდეს, არც ლოგინი, არც ჭერი, არც მარცვალი სიმინდი, არც სამზარეულო!

— შენ გააფთრებული ხარ, იერონიმო! — უთხრა მამამ.— ამის მიზეზი, რასაკვირველია, შენი როსარიას მოკვლაა, მაგრამ...

ახლა კი გაიგო პაკომ, რატომ უელავდა იერონიმოს ასე თვალები. ისე კი იერონიმო სწორს ამბობდა და ამიტომ მას გამოექომაგა:

— გაიტანეთ სიმინდი აქედან, მთელი მამული გადავწვათ. თუ ასე არ ვიზამთ, ხვალ ყველას დაგხვრეტენ.

ყველა ერთად აყაყანდა და ერთმანეთს აღარ აცლიდნენ ლაპარაკს. იერონიმოს მამამ პაკოს შეხედა და წყნარად და გარკვევით თქვა:

— პაკო მართალს ამბობს, მამული უნდა გადავწვათ.

— შეგვიძლია მოვილაპარაკოთ, იერონიმო? — კვლავ ჰკითხა პაკომ.

—ახლა კი, დაეთანხმა იგი და პაკო გვერდზე გაიყვანა.

მიწაზე მკვდარი კაცი ეგდო. ფეხსაცმელები და გამაშები ეცვა.

— ვინაა?

— ზედამხედველი, — მიუგო იერონიმომ. —მაგან მოკლა როსარია. როსარიას ეგ ძალიან სძულდა და, როგორც კი დაინახა, პირში ეცა, სოფელს სიმინდი მიეცით. მაგან პისტოლეტი ამოიღო და ესროლა.

—ახლა შენ რას იზამ?

— მე თვითონაც არ ვიცი! — გაშმაგებით წამოიყვირა იერონიმომ.

— წამოდი ჩემთან!

— რისთვის? — გაკვირვებით შეხედა მან.

— საშიშროება მოგელის. ბატონებს ხუმრობა როდი უყვართ! ჩვენ უნდა დავასწროთ. როგორც კი აქეთ გამოეშურებიან, ჩვენ ტეპოტლის მამულს გადავწვავთ. ხოლო თუ ისევ

ტეპოტლაში დაბრუნდნენ, სხვა სოფლებიც უნდა ავაჯანყოთ. ამისათვის კი ისეთი კაცია საჭირო, ვინც ამბები თავისი თვალით ნახა და ლაპარაკიც შეუძლია. მაგათ შენ ცხვირი და ყურები დაგაჭრეს. სოფლელები შენ მოგისმენენ. — პაკომ ცოტა ხანს იყუჩა და რაკიღა იერონიმომ არაფერი უპასუხა, ისევ განაგრძო: — ყველა ჩვენგანს ესმის შენი მწუხარება, მაგრამ მწუხარებამ არ უნდა გაგტეხოს. ისე უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ ამგვარი მწუხარება აღარ დაგვატყდეს თავს.

იერონიმომ თავი მაღლა ასწია:

— ნაღრძობი მკლავებით მუშაობას ჯერ მაინც ვერ შევძლებ. შენთან წამოვალ.

## სროლა ღამით

როგორც კი ტეპოტლაში მივიდნენ, ორივე მებატონემ მაჰულის შენობებით წარმოქმნილ უზარმაზარ ოთხკუთხედის მნიშვნელოვან პუნქტებში შეიარაღებული ყარაულები დააყენა. სადილობისას ყარაულები ერთმანეთს რიგრიგობით ცვლიდნენ.

— თითქოს მთელს სოფელს სძინავს, — უთხრა ტორესმა გრაფს, — რაღაც საეჭვო სიმშვიდეა. სწორედ ახლახან მაცნობეს, ინდიელები, დაღამდება თუ არა, თქვენს მამულზე თავდასხმას აპირებენო. მათ გეგმას ვიცნობ, ეშმაკურად არის მოფიქრებული, მაგრამ ეშმაკობაში არც ჩვენ ჩამოვრჩებით.

ის კი არ იცოდა ტორესმა, რომ მისი მზვერავი, ერთ-ერთი ზედამხედველი, რომელმაც მას ეს ამბავი მოუტანა, სოფელში ისე სულელურად იქცეოდა, რომ გლეხებმა მაშინვე შეატყვეს, რისთვისაც იყო მოგზავნილი. მას უნდობლად შეხედნენ, დრო რომ მოეგოთ, კითხვებზე მიკიბულ-მოკიბულად და გაჭიანურებით პასუხობდნენ. მისი მოსვლისთანავე ბიჭი მამასთან გაიქცა და უთხრა, სოფელში საჯაშუშოდ ბატონმა ზედამხედველი გამოგზავნაო. მამამისი ცოტახანს ჩაფიქრდა და მერე უთხრა:

— შეგიძლია ეშმაკურად მოიქცე?

— რატომაც არა, — უპასუხა ბიჭმა და მამას ყური მიუ-

გდო, რას მეტყვისო. როგორც ჩანდა, მისთვის სერიოზული დავალება უნდა მიეცათ.

სანამ ბიჭი დავალებას მიიღებდა, მზვერავი სოფელში დაეხეტებოდა და ხან ერთს გამოელაპარაკებოდა, ხან მეორეს, მაგრამ ვერაფერი გაეგო, რა განეზრახათ ინდიელებს. ბოლოს უკან გაბრუნდა. გზად მჩხვლეტავი. ხორციანი აგავებით მორგულ მინდორზე უნდა გაევლო. ეს მინდორი ბატონს ეკუთვნოდა. აგავებისაგან შემაჭრებულ პულკესა და ერთგვარ არაყს — ტეკილს ამზადებდნენ. ამ სასველებით ვაჭრობა მემამულეთათვის ძალზე მომგებიანი საქმე იყო.

უცბად ერთი დიდი აგავის უკნიდან თავშიშველი ინდიელი ბიჭი წამოიმართა. მზვერავი შეკრთა და ხელი პისტოლეტზე წაავლო. ბიჭმა მას მეგობრულად დაუქნია ხელი. აქეთ მოდიო. ტორესის კაცი მისკენ უნდობლად გაემართა და უხეშად ჰკითხა:

— რა გინდა?

— ცუდი არაფერი. ოღონდ არავის უთხრათ, რასაც ახლა გეტყვით.

— რა უნდა მითხრა?

— ძალიან მინდოდა ბატონთან მემსახურა და თქვენნაირი შარვალი და დეზებიანი ჩექმები მქონოდა.

— ჩვენ არავინ არ გვჭირდება, — შეუღრინა ზედამხედველმა.

— იქნებ ახლა არ გჭირდებათ, მაგრამ როცა ერთ მნიშვნელოვან ამბავს გეტყვით?

— რა ამბავს?

— შენ რომ გელაპარაკები, ხომ არავინ გაიგებს? იმათ თუ რამე გაიგეს, — ბიჭმა ხელი სოფლისაკენ გაიშვირა, — მომკლავენ.

— კარგი, ჰო, თქვი, რისი თქმაც გინდა! — დაინტერესდა მზვერავი.

ბიჭმა გარშემო მიმოიხედა და ხმადაბლა დაიწყო:

— გლეხები გატყუებენ. კარგად ვიცი, რომ გატყუებენ. დღეს, როგორც კი დაბნელდება, მამულს სამი მხრიდან დაესხმიან თავს. ჩემი ყურით გავიგონე, ასე ამბობდნენ.

ზედამხედველმა ბიჭს დაწვრილებით გამოჰკითხა ინდიელთა გეგმები, მერე მხარზე ხელი დაარტყა და უთხრა:

— თუ შენი ნათქვამი მართალი აღმოჩნდა, ბატონი ალბათ თავის სამსახურში მიგიღებს.

მზვერავი ძალიან გახარებული იყო — ბატონს კარგ ცნობებს მივუტანო. შუადღისას აგავების პლანტაციაში იმ ბიჭს კიდევ შეხვდა. ახლა ბიჭმა აცნობა, სანამ შეტევას დაიწყებდნენ, გლეხები მცველების მოსატყუებლად ალაყაფის ზარს დარეკავენ, სინამდვილეში კი იერიშს დანგრეული კედლიდან და გვერდითა ჭიშკრიდან მიიტანენო.

ყველაფერი ეს ჯაშუშმა მებატონეს მოახსენა, ორივე ბატონმა პოსტები ერთხელ კიდევ შეამოწმა და გუშაგებს სასტიკი მითითება მისცეს, არავითარ შემთხვევაში, რაც უნდა მოხდეს, თქვენი პოსტები არ მიატოვოთო.

სასლისკენ რომ მობრუნდნენ, ალაყაფთან გრაფმა თავისი ერთ-ერთი ზედამხედველის ცხენი შეიცნო. ცხენი შეუკაზმავი და ოფლში გახვითქული იყო.

— რაღაც მოხდა, — მიმართა მან ტეპოტლის მფლობელს.— ჩემი ერთი ზედამხედველი ისე აჩქარებით გამოქცეულა, ცხენისათვის უნაგირის დადგმაც ვეღარ მოუსწრია.

ამასობაში გრაფის ზედამხედველიც მოვარდა:

— ბატონო, ინდიელებმა მამული გაძარცვეს!

— მერე, თქვენ ცეცხლი არ დაუშინეთ?

— მარგარიტომ ესროლა და ინდიელებმა მოკლეს. მე პისტოლეტის ამოღებაც ვერ მოვასწარი, მეცნენ, იარაღი წამართვეს და გამიშვეს.

გრაფი ზედამხედველს თვალებით ხვრეტდა. მერე ბატონ ტორესს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— შეიძლება, ჩვენი ხალხი ნახევარი წავიყვანო?

— თქვენ თვითონ იფიქრეთ, საყვარელო გრაფო, — უთხრა მან გრაფს. — მაცნე, სულ ცოტა, ერთ საათს მაინც მოუნდა აქ მოსვლას. სანამ თქვენ ხალხით სან-ბარტოლდომდე მიხვალთ, რამდენიმე საათი კიდევ გავა. ამასობაში გლეხები თავიანთ საქმეს მორჩებიან კიდეც. იქ ვეღარაფერს ვეღარ უშველით და აქაც ყველაფერი თავდაყირა დადგება.

გრაფმა კბილები გააკრაჭუნა და მასპინძელს შინ შეჰყვა. რბილ სავარძელში ჩაეშვა და განერვიულებულმა სიგარას მოუკიდა.

საღამოს ტორესმა პოსტებზე გუშაგის ხელით ბატონების სამზარეულოდან რძიანი ყავა გაგზავნა, რადგან პოსტების მიტოვება არ შეიძლებოდა. ყმაწვილკაცები ფეხზე დიდი ხნის დგომით ძალზე დაიღალნენ, ამას გარდა, ბრძოლის მოლოდინში აღელვებულნიც ჩანდნენ. ზოგმა რძიანი ყავა აჩქარებით გადაჰკრა, ზოგმა კი პირიც არ დააკარა.

რაც უფრო ბნელდებოდა, პოსტებზე მდგომი მებატონის შვილები უფრო მეტი მღელვარებით აკვირდებოდნენ მიდამოს. ორივე ბატონმა მხარზე თოფი გადაიკიდა და სადარბაზო კიბით ეზოში დაეშვა.

ტორესის მეუღლე სამზარეულოსაკენ შეშფოთებით გაეშურა და შუქი ჩააქრობინა. ახლა შინამოსამსახურეები სიბნელეში ისხდნენ. ზოგიერთს გლეხების ძალიან ეშინოდა. ერთმა ახალგაზრდა ინდიელმა ტირილც მორთო.

უცბად, რაღაც უცნაური ხმაური შემოესმათ, თითქოს ზა-

რის რეკვას მიაგავდა. ეს ინდიელებში გავრცელებული თიხის ზარის ხმა იყო.

ტორესმა სტუმარს მიმართა:

— გესმით! აი, ეს არის შეტევის ნიშანი! თუ გინდათ, მოდი, დანგრეული კედლისაკენ წავიდეთ. ის ყველაზე ადგილია.

მათ თავლის უკან გაიარეს და დაინახეს, რომ პოსტებზე გუშაგები შაშხანამომარჯვებულები გამზადებულიყვნენ. ძალიან ბნელოდა.

უცბად თოფმა დაიქექა. მას მეორე მოჰყვა და შემდეგ ხათქახუთქი ატყდა.

— რაიმე დაინახეთ? — დაუყვირა ტორესმა ერთ დამცველს.

დამცველმა არაფერი უპასუხა და სროლა განაგრძო.

— რა დაინახეთ? — ისევ დაიყვირა ტორესმა.

— იქ რაღაც შეირხა, — გაცხარებით მიუგო ყმაწვილმა კაცმა და საჩქაროდ შაშხანა გატენა.

სროლა ახლა ბატონმა ტორესმა და გრაფმაც ატეხეს. ვაზნები რომ შემოელიათ, ბატონებს გაახსენდათ. რომ ტყვია-წამალი თან არა ჰქონდათ.

სროლა არ ცხრებოდა.

— ბატონო გრაფო, ბატონო გრაფო! — იყვირა ვიღაცამ.

— რა ამბავია?

ზედამხედველი გრაფთან მიიჭრა.

— აი, იქ. სან ბარტოლდოს ცაზე წითელი დაფიონი ჩანს!

—საიდან შეიძლება დავინახოთ? — თოფების გრიალში ხმამაღლა შეეკითხა გრაფი.

— აი, იქიდან!

მაშინვე ბატონის სახლისკენ გაიქცნენ, კიბე აირბინეს და სახლის ბანზე ავიდნენ.

აქედან გორაკს იქით ცაზე მკრთალი დაფიონი დაინახეს. გრაფი უყურებდა გახურებულ ცას, მაგრამ ცდილობდა, თავი დაერწმუნებინა, ჩემი მამული არ იწვისო. ვერც კი გაიგო, როგორ მინელდა სროლა. როცა სულ მიწყდა, კიბე ჩამოირბინა და ეზოში ჩავიდა. „ყოველ შემთხვევაში, იერიში აქ

მაინც მოვიგერიეთ“, — გაიფიქრა გრაფმა. უცბად გაცხარებულ ლაპარაკს მოჰკრა ყური.

— ვიღაც ხომ უნდა გავიდეს გარეთ და ნახოს დაჭრილები და დახოცილები, — იძახდა განრისხებული ბატონი ტორესი.

— მე ვერ გავალ, — მიუგო ერთმა ჭაბუკმა. — ერთი ვაზნაც აღარ დამრჩენია.

— ვერც მე, — თქვა მეორემ. — ტყვია-წამალი მთლად შემოგვეხარჯა.

— ღმერთო ჩემო, — გაისმა ისევ ტეპოტლის მებატონის ხმა, — რა უნდა ვქნათ, ინდიელებმა რომ კიდევ შემოგვიტიონ?!

— ხანჯლები ხომ გვაქვს! — თქვა ვიღაცამ.

— ხანჯლები, თორემ... — შეეკამათა მეორე, — ხანჯლებით რას გახდები იმათ გრძელ შუბებთან.

ყველანი უმწეოდ იდგნენ ეზოში. უტყვიაწამლოდ პოსტებზე დგომას არავითარი აზრი არ ჰქონდა, ბატონმა ტორესმა ახლაღა შეამჩნია, რომ გვერდით გრაფი უდგა.

— სად წახვედით ასე უცბად? ვშიშობდი, რამე ხომ არ შეემთხვა-მეთქი!

გრაფმა ცოტა ხანს იყუჩა და მერე თქვა:

— როგორც ჩანს, ჩემი მამული იწვის!

ყველამ მას შეხედა. თუმცა სიბნელეში მის სახეს ვერ ხედავდნენ.

— ყოველ შემთხვევაში, ინდიელებმა აქ ისეთი მწარე გაკვეთილი ნახეს, კარგა ხანს ვეღარ გაბედავენ ასეთ რამეს. — უკმაყოფილო კილოთი დაიწყო გრაფმა. — ნახევარი ხალხი რომ გაწყდეს კიდეც, სანბარტოლდოელები სახლს მაინც ამიშენებენ.

გრაფი ნელა გაემართა სადარბაზო გასასვლელისაკენ, ზემოთ ავიდა და იქიდან ტორესს გადმოსძახა:

—ძვირფასო ბატონო ტორეს, მე მვონია, შუქის ანთება ახლა მაინც შეიძლება, თორემ აქაურობა ძალიან ჩაბნელებულია.

## გზად ტეპოტლისაკენ

ტეპოტლელების დესპანი პაკო იერონიმოსთან ერთად გაუდგა გზას. მოსაღამოვებული იყო, როცა ისინი ხეობას გაუყვნენ. მარჯვნივ გორაკი აღმართულიყო.

— აქედან უკანასკნელად შეგვიძლია სან-ბარტოლდოს მოვავლოთ თვალი, — თქვა იერონიმომ.

ისინი დაქანებულ, თითქმის შიშველ ფერდობს დაუყვნენ და მალე გორაკს თავზე მოექცნენ. უკან რომ მიიხედეს, შავი კვამლით დაფარული ზეცა დაინახეს.

— კარგად იწვის, — თქვა იერონიმომ. იგი დღეს ლაპარაკის გუნებაზე ვერ იყო. მართალია, ბატონების ბუნაგს ცეცხლი ნთქავდა, მაგრამ აღარც მისი ცხოვრება იყო დალაგებული. დაენგრა როსარიასთან ოჯახის შექმნისა და შვილების გაჩენის იმედი, ბავშვები კი მას ძალიან უყვარდა. აღარაფერი აიმედებდა, მომავალს უიმედოდ ელოდა. კიდევ შეძლებს მებაღედ მუშაობას? მას აღარც ერთი მებატონე მებაღედ აღარ აიყვანდა. ამიტომ იყო, რომ ცხვირი და ყურები დააჭრეს. მთელი სიცოცხლე შფოთისთავის დაღით უნდა ევლო.

ისე შორს იყვნენ, ხანძარი აღარ ჩანდა.

პაკო თავის სოფელზე ფიქრობდა. კიდევ კარგი, რომ ბევრი მჭადი წამოიღეს. სან-ბარტოლდოში ქალებმა ყველა ქოხიდან გამოუტანეს საჭმელი. ეს იერონიმოსათვის გამოსამშვიდობებელი საჩუქარიც იყო და როსარიას მოსაგონარიც, რომელმაც სიცოცხლე გასწირა, რომ თანასოფლელებს ახალ მოსავლამდე საჭმელი ჰქონოდათ.

უცბად სროლის ხმა შემოესმათ.

— ოჰ, ჩვენი გლეხები მამულს თავს დასხმიან, — შეშფოთებით თქვა პაკომ. — ნეტა, რატომ არ მოიცადეს?

ფეხს აუჩქარეს. სანღლები ქვებზე უცურდებოდათ.

„რამდენი ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავს ეს შეტევა?— ფიქრობდა პაკო. — დახოცილები რაღას გრძნობენ, მაგრამ ცოცხლები? ვინ მისცემთ მათ ლუკმას, ვინ დაუამებს ტკივილებს? ასეთი სისხლისღვრის შემდეგ ვერ გავიმარჯვებთ, ვეღარასოდეს ვერ გავიმარჯვებთ“.

თუმცა გრილი ღამე იყო, ისინი ოფლში ცურავდნენ. სრო-

ლა მალე შეწყდა. ჩქარ სიარულში იერონიმოს მხრები საშინლად ასტკივდა.

უკვე გამოჩნდა პირველი ქოხი, მაგრამ სოფელს მღელვარება არაფერზე ეტყობოდა.

აღელვებული პაკო კაქტუსების ღობეში გაძვრა და ეზოში გავიდა. ქოხში გამეფებულმა სიჩუმემ ის უფრო მეტად შეაშინა.

— შინ არის ვინმე? — იკითხა ხმადაბლა.

— ო, პაკო ხარ! — გაისმა მამაკაცის ხმა. — რა ცეცხლი ანთია, პაკო, შენ ხომ იქიდან მოდიხარ?

— აქ რა ამბავია? — მოუთმენლად იკითხა პაკომ. — მამულს რატომ დაესხით თავს? ხომ მოვილაპარაკეთ, რომ დამელოდებოდით?

სამზარეულოში ხარხარი გაისმა.

—არავინ არ დასხმია. ბენიამინოს უფროსმა ბიჭმა ბატონის ჯამუში მოატყუა, გლეხები დაღამებისთანავე მამულზე თავდასხმას აპირებენ და ნიშნად ალაყაფის კართან თიხის პატარა ზარს აარაკუნებენო. მერე ალაყაფის კართან თვითონვე მიიმალა და ზარი აარაკუნა. ამიტომ არაკუნე შევარქვით. მე ვუთხარი, ეგ რა ბავშვობა მოგიგონია-მეთქი, მაგრამ შენ რა გგონია, რა გამოვიდა? როგორც კი ბიჭმა დაარაკუნა, ისეთი სროლა ატყდა, ყურთასმენა აღარ იყო. არ ვიცით, ბატონის შვილებს რა ეშმაკი მოელანდათ. ემილია ამბობს, ალბათ წმინდა ვიტმა გონება აურიათო. სოფლიდან იქ იმ არაკუნეს მეტი არავინ წასულა. თუმცა ტყვია არ მოხვედრია, მაგრამ შიში კი იცოცხლე, ჭამა! აი, ახლა ჩემს გვერდით ზის და კუჭკუჭებს. ხომ კოხტად მოახერხა, ჰა? სანამ გავიგებდით რაშიც იყო საქმე, სიცილისათვის არავის გვცხელოდა, მერე კი სიცილით გავიგუდენით. ახლა მთელი სოფელი ამაზე იცინის, თუმცა კუჭი შიმშილით გვიხმება, შენ რა ჰქენი? რა ცეცხლი მოჩანს იქით?

— სან-ბარტოლდოს მამული იწვის, — თქვა პაკომ. — მებატონეთა შვილები რომ აქეთ გამოემართნენ, გლეხებმა მამულზე იერიში მიიტანეს და სიმინდი დაინაწილეს.

— რაო? — შეჰყვირა ბნელში მდგომმა, — მაგათ სიმინდი აქვთ? ახლა ალბათ მაგათი ბატონი იქით მოქუსლავს თავისი რაზმით, არა? ეს ამბავი ახლავე სოფელს უნდა გავაგებინოთ!..

მოდი, პაკო, მოგეხვიო!.. ეგ ვიღა გიდგას გვერდით? თავი რატომ შეუხვევია?

— ბატონების ვაჟბატონებმა დააჭრეს ცხვირი და ყურები. მაგან წაიყვანა სოფლელები სან-ბარტოლდოს მამულზე შესატევად.

— ძმაო! — შესძახა დამხვდურმა და იერონიმოს მიესალმა. — კეთილი იყოს შენი მოსვლა ჩვენს სოფელში! რაც რომ სოფელში მოგვეძევება, გინდა სიმინდის უკანასკნელი მარცვალი იყოს, ისიც შენთვის დაგვილოცნია!

## ბანდა იშლება

ღამე იწურებოდა და განთიადის მოახლოებასთან ერთად ტეპოტლას დამცველი ახალგაზრდები ღელავდნენ. თავიანთი პოსტებიდან ფეხს არ იცვლიდნენ, მაგრამ რა მიზანი ჰქონდა ამას, ვერ ხედავდნენ, რადგან უმრავლესობას ერთი ტყვიაც აღარ გააჩნდა. ზოგს თითო-ოროლა თუ შემორჩენოდა.

ორი-სამი კაცი წარამარა ავიდოდა ბანზე და სან-ბარტოლდოსაკენ გაიხედავდნენ ხოლმე. ხანძარი არ ნელდებოდა.

— შინ მივდივარ, — თქვა ერთმა. — აქ მაინც აღარაფერში ვარგივარ. ჩვენმა გლეხებმა კი, ის რომ გაიგონ, რა ადვილად დაარბიეს სან-ბარტოლდოში გრაფის მამული, რას იტყვიან? ჩვენ ხუთი ზედამხედველი გვყავს, მამაჩემიც მივათვალოთ — ექვსი, მეც რომ დავბრუნდები — შვიდი. ტყვია-წამალი ბლომად გვაქვს. შვიდი შაშხანა მაგათ გასაჟუჟად სრულიად საკმარისია.

— სწორი ხარ, — უთხრა ამხანაგმა. — მაგრამ აი, მადეროს მთავრობამ ზურგში ხაჯალი რომ ჩაგვცეს? გლეხები რომ გაიფიცონ, თოფებით მაშინაც კი ვერას დააკლებ.

— ძირს ჩავიდეთ! — თქვა მესამემ. — მცივა, მაკანკალებს. გუშინღამაც პოსტზე ვიდექი, წუხელაც, ისე დავიღალე, საცაა დავეცემი.

ინათა. ყველა პოსტზე შეამოწმეს, დაჭრილები ან დახოცილები ხომ არ ეყარა სადმე. ჯერჯერობით ზარალი არ ჩანდა.

მზე რომ ამოვიდა, ორივე მებატონე ალაყაფს მიადგა. მოკ-

ლულის ან დაჭრილის კვალიც არსად ჩანდა. ამიტომ ორ ზედამხედველს დაავალეს ახლო-მახლო მიდამო მოჩხრიკეთ, ეგ-ებ სადმე დაჭრილს ან მოკლულს წააწყდეთო.

საუზმეს ჩუმად მიუსხდნენ. ვერც ერთი ვერ ბედავდა გამოტეხილიყო, რომ ტყუილად ისროდნენ და ამდენი ვაზნა ფუჭად დახარჯეს.

ზედამხედველები მალე დაბრუნდნენ. მხოლოდ ერთი რამ იპოვნეს: დამსხვრეული თიხის ზარი, რომელსაც გუშინ არაკუნებდნენ. მებატონეები მდუმარედ დააცქერდნენ გამხმარი თიხის ნამტვრევებს, რომელიც ზედამხედველმა გაუწოდა მათ.

აი, როგორ გაასულელეს ინდიელებმა!

შუადღისას გაცხარებული დავა ატყდა: მებატონეთა ვაჟიშვილებს თავთავიანთ სახლებში წასვლა სურდათ.

— ასე როგორ შეიძლება? — გაიძახოდა ბატონი ტორესი. — ჩვენი სოფლელებიც სწორედ იმას ელიან, თქვენ როდის მიიფანტ-მოიფანტებით! მხოლოდ სამი გასროლაღა დამრჩა. თქვენ თუ წახვედით, მეც რაღა დამრჩენია, აქედან ოჯახიანად უნდა ავიყარო.

— რომ არ წავიდეთ, რას გარგებთ? — იკითხა ერთმა ყმაწვილმა. — ერთი ვაზნაც კი არ დამრჩა, შინ კი ბევრი ტყვია-წამალი გვაქვს.

— მაშ, ტყვია-წამალს რომ მოიმარაგებ, უკანვე დაბრუნდები?

ყმაწვილკაცმა პასუხი დააყოვნა, მერე თქვა:

— უკანვე? ამდენ აჯანყებულებში ერთი კაცი როგორღა გამოვაღწევ?

ტორესმა უმწეოდ შეხედა გრაფს.

— წუხელ, ჩემს ცეცხლწაკიდებულ მამულს რომ გავცქეროდი, ბევრი რამ ვიფიქრე,—დაიწყო გრაფმა, — ახლა ისიც გავარკვიეთ, რომ ქაჯებს ვესროდით. ჩემი ოჯახი ამჟამად ქალაქში იმყოფება, მე იქაც ბევრი საქმე მელის. ნუ მიწყენთ, თუ ჩემი ერთადერთი შეიარაღებული კაცით ქალაქისაკენ მიმავალ გზას დავადგები.

— მაშ, ყველაფერი დამთავრდა! — წამოიძახა ტორესმა და შეუღლისაკენ გაემართა, რომელიც სავარძელში იჯდა და მას

შემოსცქეროდა, — გაიგონე, კარლოტა? ბარგი-ბარხანა ჩაალაგებინე, დაღამებამდე უნდა გავეცალოთ აქაურობას.

გრაფი, როგორც შეჰფეროდა მასპინძელს, თავაზიანად გამოემშვიდობა, ეზოში ჩავიდა და ზედამხედველის მიერ მორთმეულ ცხენს მოახტა.

უხმოდ გამოვიდნენ ალაყაფიდან. ქალაქისაკენ მიმავალი გზა სან-ბარტოლდოს შორიახლო გადიოდა. გრაფის სახლ-კარი კვამლის შავ ღრუბლებში იყო გახვეული. რომ მოუხვიეს, კარგად გამოჩნდა გრაფის მამული. აქა-იქ ისევ მოჩანდა ცეცხლის ენები. ნანგრევები ხრჩოლავდა. გრაფმა თვალი მოავლო ნახანძრალს და გზა განაგრძო.

კვამლსა და ნაღვერდალს მეორე მხრიდან სხვა უთვალთვალებდა. ეს იყო ტრინი. მიმჯდარიყო აგავის ძირას და იმ კედელს შესცქეროდა, რომელზეც რამდენიმე დღის წინ ბიძია იერონიმო ეკიდა.

იერონიმო კი ამ დროს სხვა სოფელში იყო. ბანდები, რომლითაც ჭრილობები ჰქონდა შეხვეული, გაჭუჭყიანებოდა. მამაკაცები, ქალები, ბავშვები გარს შემოხვეოდნენ და ყურადღებით უსმენდნენ მის საუბარს სან-ბარტოლდოსა და ტეპოტლაში ნანახსა და გადატანილზე. მათ ჯერ არ იცოდნენ, რომ მებატონეთა შვილები თავიანთ სახლებში წასულიყვნენ.

ნაწილი მეოთხე

# იავარქმნილი მამულის ბაღები

## მანუელას ნალაყბევი

სან-ბარტოლდოში გრაფის მამულის გადაწვის მეტი საყურადღებო აღარაფერი მომხდარა. მხოლოდ ტრინის დიდედის და პაპის მეზობლად მოხდა ცვლილება. პატარა ხუანიტას დედა მოუკვდა, ხოლო მის მაგივრად ხუანიტას მამამ ქოხში მოხუცი მანუელა შეიყვანა. გრაფის მსახურთაგან მხოლოდ მანუელაღა დარჩა სოფელში. მოურავი და ყველა ზედამხედველი გაიქცა. ერთი კი იერონიმოს საცოლის დახვრეტის გამო გლეხებმა მოკლეს.

მანუელას არავინ საყვედურობდა, რადგან თავის საქციელს თვითონვე იმდენს ჰკიცხავდა, აღარავის სურდა მისი დაუსრულებელი ბოდიშების მოსმენა.

— ღმერთს გეფიცებით, — დაიწყებდა ხოლმე მანუელა, — მე რომ არ მეთქვა ბატონისათვის, იერონიმოს წიწაკით გრაფინიას მოჯადოება უნდოდაო, გრაფი მას კედელზე არ დააკიდებინებდა. მე გამოტუტუცებულ ბებერს ის კი დამავიწყდა, მამაკაცებმა ჯადოსნობა არ იციან. ახლა მთელი სიცოცხლე ეს ცოდვა უნდა ვზიდო. პადრე ფელიქსმა მითხრა, შენი დანაშაული ის არის, წმინდა ეკლესიის მცნებანი სწორად რომ არ გესმისო. „ჯადოქრობა ეშმაკის ცთუნებაა“. მერე მივხვდი, რომ ასეთი რამ არ მოხდებოდა. ჯადოქარს, ვინც ქოთანში წიწაკა ჩასდო, რასაკვირველია, ის უნდოდა, ვიღაც ხის ფოთოლივით გამხმარიყო, მაგრამ რატომ მაინცდამაინც გრაფინია უნდა გამხმარიყო? მე მგონია, მას გრაფინიას მოახლის მოჯა-

დოება უფრო უნდოდა, რადგან ეს მკვეხარა მოახლე ყველას სძულდა. მაგრამ, ვინ იყო ის ჯადოქარი, ეს რომ ჩაიდინა? მოახლე არც მე მიყვარდა, მაგრამ ამის გამო მისი ფოთოლივით ჩამოხმობა არ მომიწადინებია. ნეტა ვინაა ასეთი ბოროტი ადამიანი, ვინც ასეთ ვერაგობას ჩადის?

ხუანიტა და ტრინი უსმენდნენ მანუელას დაუსრულებელ ლაქლაქს. მანუელა ლაპარაკობდა ყველაზე, ვისაც იცნობდა, ყველას ახასიათებდა, უნდოდა გამოერკვია, ვინ იქნებოდა ჯადოქარი. პირველად ტრინის მისი ლაქლაქი აინტერესებდა, რადგან მათ ქოხში ასეთ რამეებს არავინ ლაპარაკობდა. ძალიან უნდოდა დიდედა ამბროსიასათვის ეკითხა, რა აზრისა იყო ჯადოქრობაზე, მაგრამ რატომღაც ვერ ეკითხებოდა. მისი ძალიან ერიდებოდა. ადრე ტრინი დიდედას მხოლოდ სიმკაცრეს ამჩნევდა და მის მიუკარებელ ხასიათს დიდი დიდედას გულღიაობას ადარებდა. მაგრამ მისმა ზრუნვამ ბიძია იერონიმოზე და სოფლის ბატონის წინააღმდეგ ამხედრებისას გამოჩენილმა გამბედაობამ ტრინზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მას უნდოდა, როცა გაიზრდებოდა, დიდედასნაირი მტკიცე და გაბედული ყოფილიყო. მაგრამ უაზრობად მიაჩნდა ჯადოქრობაზე რამე ეკითხა.

შემდეგ მანუელას ლაპარაკს ყურს ვეღარ უგდებდა. აზრი უფანტებოდა.

— ერთი ეს მითხარი, დეიდა მანუელა, ნეტა, ზედამხედველები ახლა რაღას აკეთებენ, როცა ჩვენ გლეხებს ვეღარ უყვირიან?

— აბა, მე რა ვიცი? — მიუგო მან. — ძალიან ცუდი ყმაწვილები იყვნენ, მაინცდამაინც ჭკუაც არ უჭრიდათ. ქალაქში ზედამხედველები არ სჭირდებათ. ერთ-ერთს ბატონი პისტოლეროდაც კი იყენებს.

— პისტოლერო რაღაა?

— დიდი ბატონები ერთმანეთში დაუსრულებლად ჩხუბობენ. ერთ ბატონს თავისუფლად შეუძლია მეორეს მკვლელი მიუგზავნოს. ამიტომ ბატონები ქალაქში შეიარაღებული ხალხის თანხლებით დადიან, იმათ ქამრებზე პისტოლეტები ჰკიდიათ. ამიტომ მათ პისტოლერებს ეძახიან. ბატონებს ეტლშიც ერთი ან ორი პისტოლერო უზით წინ.

— მე არასოდეს პისტოლერო არ გავხდები! — თქვა ტრინიმ.

მანუელამ გაიცინა.

— რასაკვირველია, ეს ძალიან ჭუჭყიანი საქმეა. ძალიან ბევრ ავ საქმეს სჩადიან.

— მაშ შენ ფიქრობ, რომ ის ზედამხედველები, აქედან რომ გაიქცნენ, ქალაქში პისტოლეროები გახდებიან?—იკითხა ისევ ტრინიმ.

— ან პისტოლეროები, ან ჯარისკაცები.

— ჯარისკაცობაც ჭუჭყიანი საქმეა?

— ოჰ, ბიჭო, რა ყველაფერი გაინტერესებს? არც ერთი ჩვენი სოფლელი თავისი ნებით ჯარისკაცად არ გამხდარა. ჯარში ისეთებს გზავნიან, რომლებიც ბატონებს ან მოურავებს არ მოსწონთ.

ტრინი უცებ ფეხზე წამოიჭრა.

— საით? — შეეკითხა წრიპინა ხმით ხუანიტა.

— გარეთ, — მიუგო ტრინიმ და ორღობეში გავარდა.

სოფლის ბოლოს რომ გავიდა, ტრინი მაშინღა შედგა და თავის თავს ჰკითხა, სად მივდივარო. მაგრამ თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა. რაღაც აწუხებდა და ერთ ადგილს ვერ მოესვენა — ალბათ ის აწუხებდა, რაც ქალაქელებზე გაიგო. წარმოიდგინა გულქვა გრაფი და ტუჩებმოკუმული გრაფინია, პისტოლეროები და მკვლელები. წარმოიდგინა ის ინდიელებიც ჯარში ძალად რომ ერეკებიან. მაგრამ მარტო ეს როდი აღელვებდა მას. სოფელშიც ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ვერ გაეგო, რაში იყო საქმე. ყველა ჩაფიქრებული და რაღაცით უკმაყოფილო ჩანდა.

## ბატონი ტორესი გახარებულია

ბატონი ტორესი და მისი ვაჟიშვილი ის იყო გამგზავრებას აპირებდნენ, რომ პროვინციული ქალაქიდან შიკრიკმა დაბეჭდილი პაკეტი მოუტანა. ბატონი ტორესი კაბინეტში ავიდა და პაკეტი გახსნა. წერილით ატყობინებდნენ, რომ ახალი პრეზიდენტი მადერო გლეხების საქციელს არ იწონებდა.

„გლეხები უკულტურო ხალხია, — ეწერა წერილში, — ბარბაროსებივით იქცევიან. საჭიროა შევისწავლოთ, სამართლიანია თუ არა მათი მოთხოვნები. მაგრამ რახან ჩვენი ნებართვის გარეშე ძალადობას მიმართავენ, რასაკვირველია, სასტიკად დაისჯებიან.

ამის გამო მიწათმფლობელებს ვურჩევთ, გლეხებთან არსებული უკმაყოფილებანი მოაწესრიგონ და აღელვებული ხალხი დაამშვიდონ. სადავო საკითხებზე კი ორივე მხარეს შეუძლია თავიანთი თვალსაზრისი წერილობით ჩამოაყალიბონ და წარმოგვიდგინონ, რათა ყველაფერი ზემოდან მოვაგვაროთ“.

ბატონი ტორესი სკამიდან წამოიჭრა და ვაჟიშვილს გასძახა.

შემოვიდა ახალგაზრდა ტორესი. მის ქცევაში თავის თავისადმი ურწმუნობა, მაგრამ მომავალი მემამულის ყოყოჩობა იგრძნობოდა.

— დაჯექი, — უთხრა მამამ. — ეს-ესაა წერილი მივიღეახლა შეიცვალა ჩვენი მდგომარეობა.

— გაუარესდა?

— არა, პირიქით. გლეხები უნდა გავაცუროთ. დროის მოსაგებად გლეხებს ცოტაოდენი სიმინდი იაფად უნდა მივყიდოთ.

— მერე, გლეხებს ფული სადა აქვთ, მამა? — შეაწყვეტინა ვაჟმა ბატონ ტორესს. — სიმინდში რას მოგვცემენ?

— ჰო, მართლა, — დაეთანხმა მამა. — მაშ, რა ვქნათ? აი, რა მოვიფიქრე! სიმინდს სესხად მივცემ, სამაგიეროდ, ისინი მერე იმუშავებენ და სიმინდის საფასურს გადაიხდიან. შენ მოელაპარაკე მაგათ.

— რატომ მაინცდამაინც მე?

ბატონ ტორესს გაეცინა.

— მაშ მე? არ იცი, გლეხები მე რას მეძახიან?

— როგორ არა, წურბელას, — მიუგო ვაჟმა.

მამა გაბრაზდა:

— ეგ არ უნდა გაიმეორო. საკმარისია, მარტო გონებაში გაივლო. მაგრამ ჯობს საქმეზე ვილაპარაკოთ. რამდენიმე გლეხს დაუძახე და უთხარი, ვიცი, რა გაჭირვებული ხართ, მამაჩემი დავითანხმე, სიმინდი იაფად მოგყიდოთ-თქო. თავა-

ზიანად მოექეცი, დაუყვავე. — მამამ გამომცდელად შეხედა ვაჟიშვილს. ვაჟმა თავი ჩაღუნა, სახე მოეღუშა.

— მოველაპარაკები კი არა, სიამოვნებით მივახვრეტდი ყველას.

— მაგის ძალა, შვილო, ჩვენ ჯერ არ გაგვაჩნია, მით უმეტეს, ახლა. უნდა მოვილაპარაკოთ, შემდეგ როგორ მოვიქცეთ. თუ კიდევ რამეს მოინდომებენ, ვეტყვით, რომ მთავრობამ აგვიკრძალა რაიმე შეღავათები მივცეთ, მათ კი ნება ეძლევათ, თავიანთი მოთხოვნები გუბერნატორს წერილობით გაუგზავნონ.

ბატონმა ტორესმა გადაიხარხარა, ფეხზე წამოხტა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

— შეუძლიათ წერილობით ჩამოაყალიბონ! ხომ წარმოგიდგენია, როგორც „ჩამოაყალიბებენ“! სოფელში წერა-კითხვა ერთმა კაცმაც არ იცის. დიდებული, ნამდვილად დიდებული იდეა მოსვლიათ თავში! პრეზიდენტი მადერო, ეგ ლიბერალი ღორი, ნამდვილად ოქროს კაცი ყოფილა! — ისევ ახარხარდა, კარებისაკენ გაემართა და სამზარეულოში გასძახა: მოიტათ ტეკილი და ორი ჭიქა! — მერე კვლავ ვაჟს მიუბრუნდა: — ამ მიზეზით დღეს არყის გადაკვრა გვეპატიება. გუშინ ყველაფერი დაღუპული გვეგონა, უცბად კი ასეთი გამოსავალი ვნახეთ.

## ტეპოტლელი გლეხები დათმობაზე მიდიან

მეტისმეტად აღელვებული პაკო, თანასოფლელებმა სანბარტოლდოში დახმარების სათხოვნელად რომ გაგზავნეს, სოფლის ბოლოში მცხოვრებ მოხუც პანჩოსაკენ გაეშურა. პანჩოს სიმინდი ჰქონდა მოსატანი და დიდ, ნამგლისებურ დანას ლესავდა.

— ნათლიმამ, — დაიწყო პაკომ, — მებატონეთა შვილები წავიდნენ, ბატონმა კი ჩვენი შიშით ცოლი ქალაქს გაგზავნა. რატომ არ გინდათ, მის მამულს დავესხათ? ხომ ასე გქონდათ გადაწყვეტილი... ახლა იქ ბევრი თოფი აღარ დაგვხვდება.

— სწორი ხარ, პაკო... მაგრამ იცი, რა... — გააგრძელა პანჩომ, — ჩემთან ხუცესი იყო. მან მითხრა: სწორი ხართ, რომ არ გინდათ იშიმშილოთ. მაგრამ რახან ჩვენ სამართლიანობას მოვითხოვთ, სხვის მიმართაც სამართლიანები უნდა ვიყოთ და სხვის კუთვნილებას თავს არ უნდა დავესხათ და ვიტაცებდეთ. საკუთრება წმინდა რამ არისო. ეს ბიბლიაშიც წერია და უფლება არა გვაქვს ბატონის კუთვნილი სიმინდი გავიტაცოთო.

— მაშ ჩვენმა შვილებმა უნდა იშიმშილონ? — აღშფოთდა პაკო. — ჩვენმა შვილებმა იმიტომ უნდა იშიმშილონ, რომ ბატონმა ჩალის ფასად ჩაიგდოს ჩვენი კუთვნილი მიწის ნაგლეჯი?

პანჩო ჩაფიქრდა. მერე დაიწყო:

— პაკო, შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ და არ გეცოდინება, რა გვიანდერძეს ჩვენმა წინაპრებმა. პაპაჩემი მუდამ ამას მეუბნებოდა: ჩვენ გვინდა, ბატონი სამართლიანად გვექცეოდეს, ამიტომ ჩვენც სამართლიანები უნდა ვიყოთ. ნურასოდეს ნუ მოიქცევით უსამართლოდო.

— ისე მიყვები, თითქოს ეგ ამბავი ჯერ არც კი გამეგონოს, — თქვა პაკომ, —მაგრამ...

ჭიშკარში ბატონის ერთი ზედამხედველი შემოვიდა. ეტყობოდა, თავს უხერხულად გრძნობდა, მათ მიესალმა.

— გამარჯობა, პანჩო!

ორივეს გაუკვირდა მისი სალამი, რადგან გლეხებს ზედამხედველები სალმის ღირსად არ ხდიდნენ. გლეხებმა სალამზე უპასუხეს და დაელოდნენ, რას გვეტყვისო.

— ახალგაზრდა ბატონმა გამომგზავნა, იმას უნდა სოფლის წარმომადგენელს — ერთ ან რამდენიმე კაცს ესაუბროს.

გლეხები ჩაფიქრდნენ. იქნებ ახალგაზრდა ბატონს ისა სურს, გლეხები მამულში მიიტყუოს, დააპატიმროს, მძევლად დაიტოვოს და ამით სოფელი დაიმორჩილოსო.

— რა საქმე აქვს ჩვენთან? — იკითხა ბოლოს პანჩომ.

— ახალგაზრდა ბატონმა მამამისი დააჯერა, რომ იაფად შოგყიდოთ სიმინდი.

მოხუცმა პანჩომ პაკოს ნიშნის მოგებით გადახედა. პაკოს სახეზე უკმაყოფილება ემჩნეოდა.

— წახვალ, პაკო? — შეეკითხა პანჩო.

— არა, ასე არ ივარგებს, — უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა პაკომ. — თუ სოფელი არ დაგვავალებს, სოფლის სახელით ვერ ვილაპარაკებთ.

ეს პანჩოს ჭკუაში დაუჯდა, მაგრამ ცოტა არ იყოს, ჩააფიქრა კიდეც.

— კარგი, პაკო, მაგრამ ამ ზედამხედველს რა დავაბაროთ?

— თუ სოფელი მოიწონებს ამ აზრს, მამულში მხოლოდ მაშინ გავაგზავნით ვინმეს.

ზედამხედველი სიტყვის უთქმელად გაბრუნდა უკან. მიდიოდა და გულში ფიქრობდა: ახლა ბატონი გამირისხდება, გადაწყვეტილი პასუხი რატომ არ მოიტანეო.

●

მამა-შვილი ტორესები სარწეველა სავარძლებში ისხდნენ, სიგარებს აბოლებდნენ და გაგზავნილი კაცის დაბრუნებას ელოდნენ.

ზედამხედველი ბატონებთან კიდევ მეტ უხერხულობას ვრძნობდა, ვიდრე გლეხებთან. პასუხი რომ შეატყობინა, ბატონებმა ისე დაითხოვეს, არც საყვედური უთქვამთ და არც მადლობა.

— მშვიდად მაინც შეგვიძლია ვისადილოთ, — თქვა ბატონმა ტორესმა. — რაღაც დათმობას ხომ მივაღწიეთ. ინდიელები ჩვენზე თავდასხმას თუ აპირებდნენ, დავთრები ხომ ავურიეთ. სანამდე არ მოითათბირებენ, მანამდე ვერაფერს გადაწყვეტენ.

სადარბაზო კიბეზე შემკრთალი გოგონა ამოდიოდა.

ხუცესის მზარეულის გოგონაა, — ეშმაკური ღიმილით წასჩურჩულა მამამ ვაჟიშვილს. ვაჟმა სახე მიიბრუნა, რომ ღიმილი დაეფარა. ყველამ იცოდა, მზარეულს გოგონა ხუცესისაგან ჰყავდა.

შემკრთალმა გოგონამ სვეტებიანი ტალანი გაიარა და ბატონ ტორესს წერილი გაუწოდა.

— მიბრძანეს, მისი უწმინდესობის წერილი საკუთარ ხელში გადმოგცეთ.

ბატონმა ტორესმა წერილი გადაიკითხა. იგი მხოლოდ ორიოდე წინადადებისაგან შედგებოდა.

— კარგი, გოგონი, აი, ეს სიგარები მიართვი ხუცესს. საუკეთესო მარკისაა, და მადლობაც მოახსენე.

როცა გოგონა მოშორდა და ნათქვამს ვეღარ გაიგონებდა. ტორესი შვილისაკენ გადაიხარა:

— კარგი საქმეა! ხუცესს ჩემი თხოვნით რამდენიმე გლეხთან მოულაპარაკნია. ისინი სულაც არ ყოფილან ისე საჩხუბრად განწყობილნი, მე რომ მეგონა. სხვათა შორის, ხუცესს ეპისკოპოსმაც დაავალა, ინდიელებზე იმოქმედე, მემამულეებზე თავდასხმები შეწყვიტონ და სადავო საკითხების მოსაგვარებლად სახელმწიფოს მიმართონო.

ბატონ ტორესს გაეცინა.

სუფრასთან ტორესის ვაჟი ცოტას ჭამდა, რადგან ღელავდა გლეხებთან მომავალი მოლაპარაკების გამო. თავს დამცირებულად გრძნობდა და გლეხები უფრო მეტად სძულდა. კარგი, დღეს როგორმე დაიჭერს თავს, მაგრამ როცა საკმარის ძალას იგრძნობს, მაშინ აცალონ!

ერთი ზედამხედველი ოთახში შემოვიდა და შეატყობინა, ინდიელთა დელეგაცია მოვიდაო.

ტორესი წამოხტა.

— აბა, ჭკვიანად მოიქეცი, — გააფრთხილა მამამ ვაჟიშვილი, — შეურაცხყოფას ნუ შეიმჩნევ, ვითომ არც გაგეგონოს. მე კი აქედან წავალ, რადგან ჩემი დანახვა ისე გადარევთ, როგორც წითელი ნაჭრის აფრიალება აგიჟებს ხარებს.

მამა ტორესი კაბინეტში აჩქარებით გავიდა და სავარძელში ჩაჯდა. „ერთხელ რომ სიმინდი იაფად გავყიდო, ამით დიდ ზარალს არ ვნახავ. ის უარესი არ არის, სახლ-კარი რომ გადამიწვან. მაგრამ ნეტავ რაზე თათბირობდნენ ეგ ეშმაკის კერძები? წარმოგიდგენია, გლეხები და თათბირი?! თაობების მანძილზე ვკრძალავდით თათბირებისა და კრებების მოწყობას. თუ გავიგონებდით, მოთავეებს ვხვრეტდით. ახლა კი? ახლა მე თვითონ მოვთხოვე ჩემთან გამოსაგზავნი დელეგატები აერჩიათ! — გახელებულმა ტორესმა პირიდან ბოლი გამოუშვა. — არა და სხვა რა გზა მქონდა? ესმით სხვა მემამულეებს, ან ეპისკოპოსებს, რა საშიშროება გველის ჩვენ აქ? ეს ლამის ხალხისათვის საარჩევნო უფლების მიცემას ნიშნავს. ალბათ მაგათ დემოკრატ მადეროსაც ამის მიღწევა უნდა!“

სანამ ტორესი ამ უსიამოვნო აზრებს ებრძოდა, პაკო უარეს დღეში იყო. მებატონის ვაჟიშვილთან მოლაპარაკება ძალიან ხანმოკლე გამოდგა. ახალგაზრდა ტორესმა დელეგატებს უთხრა, განკარგულებას გავცემ, სიმინდი ახლავე დაგირიგონო, და თითქოს სხვათა შორის თქვა, მერე თქვენი შრომით ამინაზღაურებთო. ამაზე ორივე მოხუცმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. პაკოს უნდოდა უარი ეთქვა და წინასწარ გაეგო, ცენტნერი სიმინდის საფასურში რამდენ ხანს უნდა ემუშავათ.

— რახან შრომით უნდა ავანაზღაუროთ, წინასწარ უნდა ვიცოდეთ... — დაიწყო პაკომ, მაგრამ მოხუცებმა ისე გაბრაზებით შეხედეს, მიხვდა, ისინი მხარს აღარ დაუჭერდნენ. რაღა ექნა? წინადადება შუაზე გაწყვიტა და სახემოღუშული ჩუმად უსმენდა მოხუცებს, რომლებიც ბატონს სიკეთისა და დახმარებისათვის მადლობას უხდიდნენ.

— სიმინდი დღესვე შეგიძლიათ წაიღოთ, — თქვა ახალგაზრდა ტორესმა საეჭვო, თვითკმაყოფილი ღიმილით.

უკან მომავალი პაკო ჩუმად დასცქეროდა მიწას. „როგორ გავაგებინო ჩვენს ხალხს, რომ ბატონს ამაზე უსინდისოდ არასოდეს მოეუტყუებივართ? ისიც კი არ ვიცით, თვითეული ოჯახი რამდენ სიმინდს მიიღებს. ხოლო როცა სიმინდის საფასურად ვიშრომებთ, ერთ მარცვალსაც ვეღარ მივიღებთ. რასაც ახლა მოგვცემენ, მალე შევჭამთ და ისევ უნდა ვიშიმშილოთ. ეჰ, იერონიმო რომ აქ ყოფილიყო, რამეს მირჩევდა. სან-ბარტოლდოელი გლეხები კარგად მოიქცნენ, სიმინდი გაინაწილეს, მამული კი გადაწვეს. ჩვენ?“

ნაშუადღევს ტეპოტლელებმა ტომრებსა და კალათებს დაავლეს ხელი და მემამულისაკენ გაემართნენ. ხალხი გუნებაზე იყო და მოურავს, მწერალსა და ზედამხედველებს, რომლებიც მათ სიმინდს ურწყავდნენ, ალერსიანად შესცქეროდნენ.

მამა-შვილმა ტორესებმა იმდენი არაყი სვეს, რომ თვალები აცა-ბაცა გაურბოდათ, სიტყვებს ერთმანეთს ვეღარ აბამდნენ და წინადადებას ვეღარ ასრულებდნენ.

— შენ, — ღრიალებდა მამა, — კარგად მოიქეცი! .. დალიე, ჰა... აი, ნახავ... ვინც კარგად ლაპარაკობს... კარგი სმაც უნდა იცოდეს!

ორმა მსახურმა მათ მშვენივრად დაბრაწული შნიცელი მიართვა, მაგრამ ბატონებს ჭამის მადა აღარ ჰქონდათ. გალეშილი მამა-შვილი ერთმანეთს გადაეხვია, შნიცელიანი თეფშები მაგიდიდან გადმოყარეს, მერე ბნელი ოთახისაკენ გაიქცნენ და იქაურობა მილეწ-მოლეწეს.

— ტეკილი! — გაიძახოდა მამა ტორესი.

მსახურებმა არაყი კიდევ შემოიტანეს. გზადაგზა თვითონაც იწრუპებოდნენ.

როცა მსახურებმა გალეშილი ბატონები ლოგინებში ჩააწვინეს, თვითონაც კარგად იყვნენ გამობრუჟულები.

## იერონიმო უკან გრუნდეგა

მეზობელ ეზოში ტრინი ხუანიტას ეთამაშებოდა. ეზოს გადაღმიდან ვიღაცამ დაუძახა. იერონიმოს ხმა ხომ არ მოესმა?

ტრინი წამოხტა. დიახ, ბიძამისი იყო. იერონიმო ხელს უქნევდა და იცინოდა, მაგრამ საშინელი იყო მისი სიცილი. ცხვირის ადგილას ორი ფართო შავი ხვრელი მოუჩანდა. ტრინიმ პირი დააღო და „ბიძია იერონიმოს“ დაძახება დააპირა, მაგრამ ისე შეაშინა მისმა შეხედულებამ, ხმა ჩაუწყდა.

— სად არიან დიდედა და პაპა? — იკითხა იერონიმომ.

— ყანაში წავიდნენ, ვნახავთ, მოსატეხი ხომ არ არისო.

— ჰოო, მაშ, შენ ჩემთან წამოდი, ტრინი!

იერონიმო ამბროსიას ფარდულში შეავიდა და ჩაცუცქდა.

— მითხარი, გრაფი ხომ არ გამოჩენილა?

— არა, მეხიკოშიაო. სხვა არაფერი გამიგონია.

— არც არავინ გამოუგზავნია?

— არა, არავინ.

— პროვინციის სამმართველოდანაც არავინ მოსულა?

— არა.

— ჰო... ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, ტრინი! — იერონიმომ ბიჭს სერიოზულად შეხედა.

ტრინიმ მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ბიძამისს წინანდებურად კეთილი თვალები ჰქონდა. ისიც ძალიან გაუხარდა, რომ ბიძა ტოლივით ელაპარაკებოდა, ფრთხილად უნდა ვიყოთო. ტრინი, რასაკვირველია, იფრთხილებდა.

— ხუცესი? — იკითხა იერონიმომ, — პადრე ფელიქსი რაღას შვრება?

— დიდედა ამბროსია იმაზე გაჯავრებულია, რადგან ის სულ ახალ იდეებს აგინებს და გაიძახის, საკუთრება წმინდა რამ არისო.

იერონიმო გამოცოცხლდა:

— რა ახალ იდეებს?

— დიდედა ამბობს, ხუცესი სოციალიზმს ლანძღავს, ჩვენ კი არ ვიცით, რა არის ეს სოციალიზმი.

იერონიმომ თავი ისე ჩაჰკიდა, რომ ჩალის ფართო შლიაპამ მთელი სახე დაუფარა.

რამდენიმე ხნის შემდეგ თავი ასწია და იკითხა:

— ბატონის ბაღს რა დაემართა?

— არ ვიცი. სარეველა ბალახი მოედო.

— მაშ აქ არავინ მუშაობს?

— არა, არავინ.

— კარგია, — თქვა იერონიმომ. — მაშ, ისევ მე ვიმუშავებ.

— ბატონი ხომ გაიქცა, ფულს ვიღა გადაგიხდის? — იკითხა დაბნეულმა ტრინიმ.

— ბოსტანში ძალიან კარგი ბოსტნეული მოდის, ახლა ამას ჩვენ თვითონ მივირთმევთ, — გაეცინა იერონიმოს, — მაგრამ აი, ერთი მშველელი რომ მყავდეს! მუშაობა ჯერ ისევ მიჭირს, მხრები მაწუხებს.

ეზოში ამბროსია გამოვიდა. იერონიმო ფეხზე წამოდგა და დედას შესცინა. ამბროსიას მკაცრ სახეს ისეთი ნაზი გამომეტყველება ჰქონდა, რაც ტრინის წინათ არასოდეს შეუნიშნავს. „როგორ უხარია შვილის ნახვა“, — გაიფიქრა ტრინიმ.

მაგრამ ამბროსია უმალ საქმეზე გადავიდა.

— აქ რჩები? — ჰკითხა შვილს.

— ვრჩები, დედა!

ერთმანეთისთვის სხვა არაფერი უთქვამთ. საღამოს კი, როცა დიდედა, პაპა, იერონიმო და ტრინი ქოხის წინ დასხდნენ, ამბროსიამ ვაჟს ჰკითხა:

— ამ ხნის მანძილზე რას აკეთებდი?

იერონიმომ უცბად არ უპასუხა. ეტყობოდა, ააღელვა ამ კითხვამ.

— ეჰ, დედაჩემო, — დაიწყო ბოლოს მან, — რა გვიჭირდა, ჩვენი გლეხობა ასე გაუნათლებელი რომ არ იყოს. შენა გგონია ჩვენსავით ვინმე მოიქცა? მებატონეები ცოტა რამეს შეჰპირდნენ და ახლა ისინი ძველებურად მორჩილად დგანან მათ წინაშე, ქუდები ხელში დაუჭერიათ და ხმის ამოღებას ძლივს ბედავენ.

ტრინიმ დიდედას შეხედა, მაგრამ ბნელში მისი სახის გამომეტყველება ვერ შეამჩნია.

— ყველგან ერთნაირი ამბებია, — დაიწყო ისევ იერონიმომ. — ქალაქიდან ვიღაც მწერალი და ვექილები მოდიან და ხალხს ჩასჩიჩინებენ: — ახალ მთავრობას გლეხების სიკეთე უნდაო. ცოტა ხანს დაიცადეთ და თქვენ თვითონ ნახავთო.

— ჰო, მოვიცადოთ! — მიუგო ამბროსიამ, — ჩვენ სულ

უნდა ვიცადოთ. მაგრამ თუ ბატონისა გვმართებს რამე, დაცდა მაინ კი აღარ შეიძლება.

— ხუცესები ბატონების მოკავშირეები არიან, თუმცა ყველგან არა. უმეტესობა ბატონების გულკეთილობაზე ლაპარაკობს, გვეუბნებიან, შიმშილით არავინ არ მოკვდება, ზეცამ თუ არ ინებაო. ჰო, მართლა, რა მინდოდა შენთვის მეკითხა: ტრინიმ მითხრა, პადრე ფელიქსი სოციალიზმს აგინებსო.

— ჰო, იერონიმო, აგინებს და რომში მჯდარ წმინდანს იმოწმებს. მაგრამ ერთი ეს მითხარი, ეს სოციალიზმი რაღაა?

— მე თვითონაც არ ვიცი.

— რაც არ გინახავს, როგორ დაგესიზმრებაო, — თქვა პაპა ხასინტომ.

— ეს რაღაც კარგი რამ უნდა იყოს ჩვენთვის, თორემ ხუცესი ასე გაჯავრებული არ იქნებოდა, — თქვა ამბროსიამ და ხმადაბლა განაგრძო: — დიდხანს ვიფიქრე. ხუცესი ბატონების მხარეზეა, ამას მტკიცება არ უნდა, თან სოციალიზმს აძაგებს და გვაფრთხილებს, რამეში არ გაერიოთო. ამიტომ ვფიქრობ, სოციალიზმი ჩვენთვის კარგი რამ უნდა იყოს. იერონიმო, შენ ჩვენს მხარეში ბევრს იცნობ, ვერ გაიგებ, რა არის ეს სოციალიზმი?

— ვნახოთ, — თქვა იერონიმომ.

ყველა გაჩუმდა და ჩაფიქრებულმა გახედა სიბნელეს.

ცოტა ხნის შემდეგ იერონიმომ თქვა:

— ბაღში ვაპირებ ისევ მუშაობას, ამით გავიტან თავს. ხომ არავინ გეგულებათ, რომ მომეხმაროს?

— საცაა სიმინდიც მოსატეხი იქნება, ბევრი მუშახელი დაგვჭირდება, — თქვა ხასინტომ.

— ჰო, ღონიერი მუშახელი. ჩემთან იოლი სამუშაო იქნება, — სარეველა ბალახების გამომარგვლა.

— რა ვიცი, ვინ გირჩიო... — თქვა ამბროსიამ.

— ძია! — წამოიყვირა უცბად ტრინიმ.

— რა იყო?

— ბალახის გამომარგვლა მეც შემიძლია!

ამბროსიას გაეცინა:

— ბოსტნეულსაც ზედ მიაყოლებ, არა?

იერონიმომ ტრინის მეგობრულად გადახვია მხარზე ხელი.

— არა, დედა, მჯერა, ტრინი კარგად დამეხმარება, თუ რამე არ ეცოდინება, მე მკითხავს.

— კარგი, ეგრე იყოს. მაგას რა სჯობია, ბიჭი ბავშვობიდანვე მიეჩვევა საქმეს, — თავი დაუქნია ამბროსიამ.

— ხვალვე წამოვალ, კარგი? — უთხრა ტრინიმ იერონიმოს. ბიჭს ძალიან გაუხარდა, რომ დიდი კაცივით იმუშავებდა.

— თუ გინდა, ხვალვე წამოდი, — დაეთანხმა ბიძა.

## იავარქმნილ მამულის ბალში

ტრინი ბიძია იერონიმოსთან მუშაობდა. რამდენიმე დღის მარგვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბოსტნეულს მშვენივრად ეხარა. იერონიმომ ერთი კალათა სხვადასხვა ბოსტნეულით გაავსო, დაქანცულ ტრინის ხელი ჩაჰკიდა და სოფლისაკენ გზას გაუდგნენ: გრაფის მამული რომ გადასწვეს, მაშინ იერონიმოს ქოხიც დაიწვა და ჯერჯერობით მშობლებთან ცხოვრობდა, სოფელში.

გზაში ბიძამ ტრინის საუბარი გაუბა.

— აი, ტრინი, როგორც ხედავ, ბოსტნეული ბევრია, მაგრამ სიმინდი არა მაქვს. რომც მქონდეს, რას ვეზამდი, ცოლი არ მყავს და სიმინდს ვინ დამიღერღავს ან ვინ გამომიცხობს?

— ძია, ცოლს რატომ არ ირთავ? — ჰკითხა ტრინიმ.

ეს არ უნდა ეკითხა ბიჭს, რადგან კარგად იცოდა, მისი საცოლე როსარია ზედამხედველმა მოჰკლა. ეს ამბავი ტრინის გვიან გააგებინდა.

იერონიმომ ცოტა ხანს იყუჩა და მერე უთხრა:

— ვინ გამომყვება? აი, ხომ ხედავ, როგორ დამამახინჯეს?

— მაგრამ მაინც კარგი კაცი ხარ! — გულწრფელად წამოიძახა ტრინიმ.

იერონიმომ ნაღვლიანად გაიღიმა.

— ვნახოთ, — ჩაილაპარაკა მან და მერე გაცხარებით წარმოთქვა: — შენა გგონია, ეგრე ადვილია ადამიანის დავიწყება?

დარჩენილ გზა სოფლამდე ჩუმად განვლეს.

ეზოში შესულებს ამბროსიამ შესცინა. რა უცბად გამოიცვალა დიდედამ ხასიათი. ჰაპა ხასინტოსაც კი უკვირდა. „როგორ უყვარს იერონიმოცა და ტრინიც. მათზე ზრუნავს, მათი დანახვაც ასე ახარებს", — გაიფიქრა მან.

არასოდეს მჭადი ასე გემრიელად არ სჩვეულებია ტრინის, როგორც ამ საღამოს. საკუთარი შრომით იყო ნაშოვნი ეს ლუკმა. თუმცა ისე დაიღალა, მაშინვე დასაძინებლად მიწვა.

იერონიმო და მისი მშობლები ქოხის წინ ბნელში დასხდნენ და ოჯახურ საქმეებზე ლაიწყეს საუბარი.

— რა ვუყო ამდენ ბოსტნეულს? — იკითხა იერონიმომ. — გლეხებს ყვავილოვანი კომბოსტოსი, სტაფილოსი, კიტრისა და მუხუდოსი არაფერი ესმით. რა ბოსტნეულსაც ჭამენ, თვითონვე მოჰყავთ. ვის გავუცვალო ჩემი ბოსტნეული სიმინდში, რომ გვალვების დროს, როცა ბოსტნეული აღარ იქნება, რამე საჭმელი შემორჩეს? იქნებ ასე ვქნათ, ჭოღი, მე ყოველდღე ორ კალათა ბოსტნეულს მოვიტან, ისა ეჭამოთ, სიმინდი კი დავზოგოთ, ჰა?

— ორ ისეთ საკვეს კალათას მოიტან, დღეს რომ მოიტანე? — იკითხა ამბროსიამ. — ეს ბევრიც კი არის. შენ ხელები გტკივა, მძიმე იქნება.

— ქალაქი რომ ახლოს იყოს, შეიძლებოდა ბაზარზე გაგვეტანა. იქნებ ხუცესმა მაინც აიღოს რამე?

— ალბათ სიამოვნებით აიღებს, — თქვა ამბროსიამ. — მაგრამ იგი იტყვის, ბოსტნეული გრაფს ეკუთვნისო.

— ვერაფერსაც ვერ იტყვის, ბოსტნეულს მისი მზარეული იყიდის, ის კი არა.

— შენ რომ მიუტანო, ხუცესი მაშინვე მიხვდება, საიდანაა ეს ბოსტნეული, შემოგხედავს თუ არა, მაშინვე მიხვდება, — გააფრთხილა ამბროსიამ შვილი.

— მაშინ ტრინი მიუტანს.

— ტრინი ჯერ პატარა არ არის?

— არა, დედა. დღეს უკვე დავრწმუნდი, რომ ტრინი ყველაფერს მალე სწავლობს.

მეორე დილას იერონიმოს ტრინისათვის პირდაპირ არ უთქვამს, ხუცესის მზარეულთან წადიო. სადილობამდე ბიჭი ბიძასთან მუშაობდა ბოსტანში.

— დაიღალე? — ჰკითხა ბიძამ.

ტრინის არ უნდოდა გაემხილა, დავიღალეო. ამაყობდა, დიდი კაცივით რომ შრომობდა, და მტკიცედ მიუგო— არაო.

— მოდი, მაინც დავისვენოთ... ახალი ქოხი უნდა ავაშენოთ აი, იქით, ხედავ, ძველი ქოხის ნანგრევებია. ახლა სადმე სხვა ადგილას უნდა ავაშენო. აი, იქ გალავნის კედელი მტკიცედ შემონახულა. ქოხი რომ იმ კედელს მივადგათ, ერთი კედელი უკვე გვექნება და ამას გარდა, ქარის მხრიდანაც დაცული ვიქნებით. აბა, მიშველე, ქოხისათვის კარგი ადგილი შევარჩიოთ!

ქოხისთვის გამოსადეგი ადგილი მალე შეარჩიეს. იერონიმომ ორი ქვა დასდო იმ ადგილას, სადაც ქვის კედლები უნდა ამოეშენებინა. მერე ქვების მოგროვებასა და მოტანას შეუდგნენ. იერონიმოს დიდ-დიდი ქვები მოჰქონდა, ტრინის — პატარა. ეს ქვები ერთმანეთზე დაალაგეს. მერე ბიძამ ტრინის კალათაში ბოსტნეული, ფორთოხალი და ლიმონი ჩაუწყო, ხუცესის მზარეულთან გაატანა და თან დააბარა, ეს ღირს, ამდენი და ამდენი გამოართვიო. დიდხანს უმზერდა, როგორ მიდიოდა ტრინი კალათით ხელში. ბიჭი შვილივით უყვარდა და იერონიმოს გული სტკიოდა, ამხელა კალათს რომ ათრევინებდა. როსარია რომ ცოცხალი ყოფილიყო, თუმცა იერონიმო დაამახინჯეს, მაინც არ უღალატებდა მას. თავი მწარედ გადაიქნია და მამულის ალაყაფისკენ გაემართა. აქ უცბად თვალი მოჰკრა ტეპოტლელ პაკოს.

— საღამო მშვიდობისა, იერონიმო, — მიესალმა პაკო.

— ჩამოჯექი. აი, ხედავ, კედელი ამოგვყავს. ახლავე ფორთოხლებს მოგიტან. ალბათ, გეწყურება.

პაკო ჩამოჯდა. მზე თვალებს სჭრიდა და სახეზე ნაოჭები უჩანდა. ლაპარაკის ხასიათზე არ ჩანდა. როცა იერონიმომ ფორთოხალი მოიტანა და პაკოს გაუწოდა, არც მაშინ ამოუღია ხმა. ბოლოს დაიწყო:

— ინდიელებს თავზე ქარიშხალი დაგვატყდება და ეს ჩვენივე ბრალია.

იერონიმოს ხმა არ ამოუღია. დააცადა ბოლომდე ეთქვა სათქმელი.

— მე და შენ თავი დავირწმუნეთ, გლეხებს იოლად ავიყო-

ლიებდით და საქმეს ხელს მოჰკიდებდნენ. მაგრამ საუკუნეობით მონობამ მათ ნებისყოფა გამოაცალა. სოფელ ტეპოტლაში გლეხებმა ისევ ბატონს წაუხარეს ქედი. ჩვენმა ბატონმა კარგად იცის, რომ გლეხებს მე მოვუწოდებდი მის მამულზე იერიშის მიტანას, თუმცა თავს ისე იკატუნებს, თითქოს არაფერი იცოდეს. მაგრამ როდემდე შეიკავებს თავს? ვიცი, სოფლიდან წასვლა მომიწევს.

— ჩემთან გადმოსახლდი, — შესთავაზა იერონიმომ.

— შენ რომ აქ არ იყო?

— რატომ არ უნდა ვიყო?

— ვის მიწაზე აშენებ ქოხს? ვისი მიწით იკვებები?

— ბატონის მიწით, მაგრამ ის ხომ გაიქცა?

— რომ მობრუნდეს, თქვენი გლეხები მას ისევ ქედს მოუხრიან.

— საცაა სიმინდს მოვტეხთ. ალბათ ორშაბათიდან დავიწ-

ყებთ, — თქვა იერონიმომ. — ის ინდიელები, რომლებიც წინათ ბატონთან მუშაობდნენ, ისევ მის მინდვრებზე აიღებენ მოსავალს, აბა, ხომ არ დაკარგავენ?!

— მერე, სად წაიღებენ? — იკითხა პაკომ.

— ბატონის ბეღლები გადამწვარია. მაშასადამე, თავიანთ ქოხებში შეინახავენ.

— თვითონ გლეხები რას ამბობენ ამაზე?—იკითხა პაკომ.

— არაფერსაც არ ამბობენ. როგორც ყოველთვის, ახლაც გაჩუმებულები არიან.

— ჰოდა, აი, საქმეც ეგ არის, იერონიმო! — წამოიძახა პაკომ. — არც ხმას იღებენ და არც არაფერს ფიქრობენ. ბატონები კი კიდეც ფიქრობენ და საქმესაც აკეთებენ.

— მერე, შენ რისა გეშინია? — იკითხა იერონიმომ.

პაკო დაჟინებით შესცქეროდა წიწაკის ბუჩქს, რომელსაც წვეტიანი ნაყოფები ესხა, ეს იყო ცნობილი ცხარე წიწაკა „ჩილე“.

— მე თვითონ რომ ვიცოდე, სხვა რაღა მინდა! — თქვა პაკომ. — საქმეც სწორედ ეგაა, რომ არაფერი არ გვისწავლია. ჩვენთან ბატონმა გამოაცხადა, თუ მიწის მიღება გინდათ, გუბერნატორს წერილობითი განცხადება უნდა მისცეთ და ყველაფერი დაწვრილებით ჩამოაყალიბოთო. ჩვენ კი წერაც არ ვიცით. შენ შეგიძლია წერა?

იერონიმომ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— ქალაქში რომ წავიდეთ ვექილთან? —განაგრძო პაკომ.— ის ფულსაც მოგვთხოვს და თანაც მოგვატყუებს.

კარგა ხანს ისხდნენ უხმოდ, რახან ვერაფერი გამოსავალი ნახეს. ბოლოს იერონიმომ თქვა:

— ამაღამ დედაჩემთან გაითიე. ხვალ უკან რომ გაბრუნდები, რამე წაიღე. ერთ კალათა ბოსტნეულს გაგატან. შენმა ცოლმა ყვავილოვანი კომბოსტოს შემზადება არ იცის?

— ცოლი არა მყავს, იერონიმო. უკანასკნელ მშობიარობას გადაყვა, ბავშვიც მოკვდა. შვილებში მარტო ერთი ვაჟიშვილი — ბრაულიო შემომრჩა. ჩვენი, ინდიელების, ბავშვები ბუზებივით იხოცებიან. ესეც იმის ბრალია, რომ არაფერი ვიცით და ასეთი ღარიბები ვართ. უნდა ვისწავლოთ, აუცილებლად უნდა ვისწავლოთ.

## სოფელში მოსამართლე მოვიდა

ისედაც მსუქანი მოსამართლე, დოქტორი ედუარდო არისტო ბოლო წლებში თანდათან ბურთს დაემსგავსა. ცხენით მგზავრობა ძალიან უჭირდა. ამიტომ მაინცდამაინც არ ეპიტნავა გრაფის დავალება, — წადი სან ბარტოლდოში და გლეხები აიძულე, მოსავლის ბეტი წილი მე გადამიხადონო. ამ გაგანია სიცხეში მინდორ-მინდორ ყანყალს გრილ ოთახში ჯდომა და სასამართლოში ან სხვა დაწესებულებებში არზების წერა ერჩია. ყანყალს რომ თავი დავანებოთ, საღილი საღღა ეჭამა? იქნებ ხუცესს გამოედო თავი?

აი, უკვე გამოჩნდა მამულის შავი ნანგრევები. როგორ შეცვლილა იქაურობა. წინათ ბატონს მშვენიერი სახლი ედგა, ახლა კი ამ ნანგრევებში ვირთხები თუ დაიბუდებენ!

თვინიერ ცხენზე ამხედრებულ. მოსამართლეს სიმსუქნისაგან მუცელი ეთახთახებდა. იგი ნანგრევებს მიუახლოვდა და უცბად მწვანედ გადახასხასებულ ნაკვეთს მოჰკრა თვალი.

„ოჰო, აქ, ეტყობა, მებაღე ბიჭუნაა.“

პრეზიდენტ მადეროს მსგავსად, დოქტორი არისტაც ლიბერალი იყო, ესე იგი წინააღმდეგი იყო, ხელისუფლება მემამულეების, ოფიცრებისა და ეკლესიის ხელში ყოფილიყო და ფიქრობდა, უმჯობესია იგი ჩემსავით განათლებული კაცის ხელთ იყოსო. ინდიელებისადმი ერთგვარ სიმპათიასაც კი გრძნობდა, თუკი მათთან ძალიან ახლო ურთიერთობა არ ექნებოდა. მაშინ კი ინდიელთა სიღატაკე გულს ურევდა.

— ბიჭუნა, — ესპანურად უთხრა მან ტრინის, — ერთი მითხარი, ვისია ეს მამული?

ტრინი ფეხზე წამოიჭრა, ბურთივით მხედარს უნდობლად შეხედა და ინდიურად თქვა:

— წავალ, ბიძაჩემს დავუძახებ.

მოსამართლემ ტრინის ნათქვამი ვერ გაიგო და ისევ იკითხა:

— არ იცი, ეს მამული ვისია?

ტრინიმ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს მისი შეკითხვა ვერ გაიგო და ალაყაფისაკენ გაიქცა. იერონიმო აქ გვერდებჩამოთლილ ქვებს არჩევდა ქოხისათვის.

— ძია, — წასჩურჩულა ტრინიმ მას, — ვიღაც სქელი ბატონი მოვიდა და მეკითხება, შენი მიწა ვისიაო.

— ოჰო! — თქვა იერონიმომ, პირში ფოთოლი ისე ჩაიდო, სანახევროდ უფარავდა სახეს და მშვიდად გავიდა ალაყაფიდან. მოჰკრა თუ არა თვალი ჩამრგვალებულ კაცს, მიხვდა, საშიში არ იქნებოდა. არც იარაღი ჰქონდა და, ცხენიდან რომ ჩამომხტარიყო, სხვის დაუხმარებლად ვეღარც შეჯდებოდა.

— გამარჯობათ, ბატონო, — უთხრა იერონიმომ, — რას მიბრძანებთ?

— ამ მიწას თქვენ ამუშავებთ?

იერონიმომ თავი დაუქნია.

— მერედა, მიწა ვისია?

— ბატონი გაემგზავრა, — უპასუხა იერონიმომ.

— მაშ მიწა გრაფისა ყოფილა და თქვენ ღალას უნდა იხდიდეთ, — საჩქაროდ თქვა მოსამართლემ.

იერონიმოს მაშინვე არ უპასუხნია.

— სად გავყიდო ეს ბოსტნეული?

— ბაზარზე, — მიუგო დოქტორმა არისტამ.

— უახლოესი ბაზარიც კი შორსაა აქედან. ანდა ვინ გავგზავნო? ბატონის ხალხმა საცოლე მომიკლა, ახლა ბატონმა თვითონვე იფიქროს, სად გაყიდის.

„ოჰ, აი, საქმე როგორ ყოფილა! — გაიფიქრა დოქტორმა არისტამ. — საცოლეც მოუკლეს და ცხვირი და ყურებიც დააჭრეს. რა ბარბაროსობაა! ეტყობა, კარგი მაგარი ამრევი ყოფილა, ასე რომ დაუსახიჩრებიათ.

— მეგობარო, —ალერსით მიმართა იერონიმოს და ცხვირსახოცით სახე შეიწმინდა, — დასალევი არაფერი გაქვთ?

იერონიმო მიხვდა, რომ მოსული მას არაფერს ჰკითხავდა.

— ახლავე მოგიტანთ ჭის წყალს, მაგრამ სჯობდა, ფორთოხალი გეჭამათ.

— კი, კი, ძალიან მადლობელი ვიქნები!

იერონიმომ რამდენიმე ფორთოხალი მოიტანა, დანა ამოიღო და ერთი დაჭრა.

როცა მუცელზე მჭიდროდ შემოკრულ ქილეტზე ფორთოხლის მოწითალო წვენი ჩამოეღვარა, მოსამართლემ მაშინღა

იფიქრა, უმჯობესი იქნებოდა ინდიელისათვის გამასპინძლების საშუალება არ მიმეცა: ის ფორთოხლები გრაფისაა და არა ინდიელისო. მაგრამ სიცხისა და უჩვეულო მგზავრობისაგან არისტა ისე დაქანცულიყო, ეს იურიდიული ხასიათის შეცდომა მაშინვე გადაავიწყდა, იერონიმოს მადლობა გადაუხადა და ხელის ჩამორთმევაც კი ინება. ამ საშინლად დამახინჯებულმა კაცმა მასზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. „ამ მეგატონეებზე ვერაგი ხალხი ქვეყანაზე არ მოიძებნება", — გაიფიქრა დოქტორმა არისტამ.

როგორც კი მოსამართლემ აღვირს მოსწია, ცხენს ფერდებში ფეხები დასცხო და შეაბრუნა, იერონიმომ ტრინის წაავლო ხელი და აჩქარებით წასჩურჩულა:

— ახლა შენ უნდა დაგვიხსნა ტრინი. ამ ბილიკით ჩქარა ამბროსიასთან გაიქეცი და უთხარი, გრაფის მოგზავნილი კაცი მოვიდა, გლეხებისაგან გადასახადის აკრეფა სურს-თქო. უმჯობესია, სოფელში კაციშვილი არ დაუხვდებოდეს. გაიგე?

— ჰო, ძია, გავიქეცი!

სირბილი კი, იცოცხლეთ, ტრინის მაგარი შეეძლო. ბილიკი გადაირბინა და ბორცვზე ავარდა. აქედან დაბლა გადაიხედა. ბურთივით კაცი თავის ზანტ ცხენზე მოღვენთილიყო და გარშემო ვერაფერს ამჩნევდა. არისტა ქალაქში გაიზარდა და სოფელი ჭამისათვის აუცილებელ, სხვა მხრივ კი მოსაწყენ და ცუდ საცხოვრებელ ადგილად მიაჩნდა. სხვათა შორის, მის ცხენს გზის სწავლება არც კი სჭირდებოდა, ერთხელ გავლილ გზას თვითონვე მიუყვებოდა ყურების პარტყუნით.

გზაში დოქტორი არისტა იმას ფიქრობდა, გლეხებს როგორ მივმართოო. ერთი რამ ცხადი იყო, თუ უნდოდა, გრაფის დავალება შეესრულებინა, მათ ისე ვერ დაელაპარაკებოდა, როგორც იერონიმოს. ერთხელ ვილაცამ უთხრა, გლეხებს რომ ელაპარაკები, პირველად ყოველთვის ის უნდა ჰკითხო, მოსავალს რა პირი უჩანსო, და საერთოდ, მოთმინებით უნდა აღიჭურვოო. ამას კი დიდი დრო სჭირდებოდა, დოქტორი არისტა კი დღესვე აპირებდა უკან გაბრუნებას, მაგრამ გრაფი აკრეფილი გადასახადიდან კარგა გვარიან პროცენტს რომ შეჰპირდა? თავის შეწუხება ღირდა.

მაგრამ ტყუილად აწყობდა გეგმებს. სოფელში სამარისე-

ბური სიწყნარე იდგა. სოფლისაკენ მიმავალ გზაზე შუადღის თაკარა სიცხე იდგა. ერთი ხის ჩრდილში ძაღლი მიგდებულიყო, მოსამართლის დანახვაზე თავი წამოსწია, ულონოდ წამოიყმუვლა და ისევ მისდო.

ბოლოს, მარცხნივ, სახურავის ჩრდილქვეშ თავშეფარებული გადაყრუებული დედაბერი დაინახა.

— მამაკაცები სადღა არიან, დიდედა! — შესძახა არისტამ.

დედაბერმა ინდიელთა ენაზე რაღაც უგემურად წაილუღლუღა. რაღა უნდა ექნა მოსამართლეს? ადგა და ისევ გზა განაგრძო.

სოფლის ბოლოში თვალი მოჰკრა ქალს. იგი კაქტუსის ღობიდან შუაგზაზე გამოვიდა და მოსამართლეს ჯიქურ დაუწყო ცქერა.

— დედილო, — ალერსიანად მიმართა არისტამ მას, თუმცა ქალი დედობრივად კი არა, საშინლად განრისხებული შესცქეროდა. — სოფლის მამაკაცები სად არიან?

— სამუშაოზე, —ესპანურად მიუგო ქალმა.

— ეგ ეგრე იქნება, მაგრამ მაინც სად, შორს არიან?

— ჩემი ქმარი თავის ნაკვეთშია, სხვებისა კი არ ვიცი.

— გრაფის მიწაზე მუშაობს?

— არა, თავისი საკუთარია, — ქალი ისევ მტრულად შესცქეროდა.

აბა, ამისთვის რაღა ეთქვა, თუკი მისი ქმარი საკუთარ მამულში მუშაობდა და არა გრაფისაში? გმადლობთო, — მიუგდო ქალს და იმედგაცრუებულმა ცხენი სოფლისაკენ შემოაბრუნა, მაგრამ ახლა რაღა ექნა?

გადაწყვიტა, ხუცესთან მისულიყო და ცოტა ხანს გრილ ოთახში დაესვენა. იქნებ სადილადაც მიეწვიათ.

ტრინი იქვე დაიმალა და თავიდან ბოლომდე მოისმინა დოქტორ არისტასა და დიდედა ამბროსიას საუბარი. მოსამართლე რომ გაბრუნდა, ისევ დიდედასკენ გაემართა, თან გზადაგზა იკრიჭებოდა.

— ტრინი, — უთხრა დიდედამ, — ახლა თვალი ადევნე, საით წავა.

— ადვილი საქმეა, — დაიჩემა ტრინიმ და უკან გაჰყვა. ამბავიც მალე შეიტყო და დიდედას აცნობა:

— ის ბატონი ჩვენს ხუცესთან მივიდა, ცხენი ახლაც გარეთ უბია. ამბროსია ცოტა ხანს დაფიქრდა, მერე თქვა:

— ტრინი, წადი ხუცესის მზარეულთან, ვითომ შემთხვევით მიხვედი, და ჰკითხე, დღეისათვის ხილი ან ბოსტნეული ხომ არ გჭირდებათ-თქო. ეცადე დიდხანს დარჩე, ეგებ რამეს მოჰკრა ყური.

გახარებულმა ტრინიმ თავი დაუქნია, ეს იოლი დავალება იყო, და ხუცესისაკენ გაფრინდა. მათ სახლს რომ მიუახლოვდა, მოიწყინა. პადრე ფელიქსს ინდიელებისნაირი ქოხი კი არ ედგა. კარგი, ყვითელი, ბანიანი სახლი იყო, სწორედ ისეთი, ქალაქებში რომ არის. სამზარეულოს კარი ღია იყო, შიგ მზარეული ფუსფუსებდა.

— არა, მცალია, — უთხრა მზარეულმა და ცეცხლის გაჩაღებას შეუდგა.

— ხომ არ გიშველო, დეიდა? — ჰკითხა ტრინიმ.

— შენ, რა, გოგო ხარ?

— მერე რა ვუყოთ, გოგო რომ არა ვარ. ცეცხლის დანთება მეც ვიცი.

ბებიას რომ არ გამოეგზავნა, სხვა დროს ტრინი გოგოს საქმეს მართლაც ხელს არ მოჰკიდებდა.

მზარეულმა ბიჭს დასაბერად მარაო გადასცა და კმაყოფილი დარჩა, გამომლაპარაკებელი რომ იშოვნა, ახლა კი გულს მოიჯერებდა ლაქლაქით. მაშინვე მოხსნა გუდას თავი.

— უცბად ვიღაც მოსამართლე არ მოგვადგა კარს, სოფელში კი კაცის ჭაჭანება არ არის. წარმოდგენა არ მაქვს, სად არიან. ორ დღეში მოსავლის აღება დაიწყება და სად გადაიკარგნენ? მოსამართლე სიცხემ კინაღამ გაადნო. მისმა უწმინდესობამ უთხრა, ბლეხები ვერაფერს მოგცემენ, ყურგახვრეტილი კაპიკიანიც არა აქვთო. სიმინდს, აბა, ქალაქში ვინ წაუღებს? ეგლა აკლიათ, ქალაქში ტომრების თრევა დაიწყონ. ზოგი იტყვის, სახედარი დამიკოჭლდაო, ზოგი — დამიბერდაო, ზოგი—მომიკვდაო, მორჩა და გათავდა. ბლეხებმა კარგად იცან, როგორ აარიდონ თავი...

მზარეული შეუსვენებლივ ლაქლაქებდა.

როცა ტრინიმ ყველაფერი გააკეთა და ბატონებიც სადილად დასხდნენ, უცბად გაახსენდა. საწყალი ცხენი წყურვილით

კვდებოდა, მაგრამ მისთვის წყლის დალევინება იოლი როდი იყო. სამზარეულოში წარამარა შერბოდა და კითხულობდა, წყალი რომელი ვედროთი დავალევინოო. ამას გარდა, სხვაც ბევრი საკითხავი მოიგონა, მაგრამ ბოლოს ეს შეკითხვებიც გამოელია. მერე ადგა და ისღა იკითხა, ახალმოკრეფილი ლიმონები ხომ არ მოგიტანოთო.

— აი, ისეთი თხელკანიანი, ტკბილი ლიმონები, გრაფინია ჩაიში რომ ყრიდა.

ტრინი ისე გულიანად ლაპარაკობდა ამ ლიმონებზე, მზარეულს პირზე ნერწყვი მოადგა. მერე ბიჭმა ფორთოხლებზე დაუწყო ლაპარაკი. ბოლოს სალაპარაკო თემა გამოელია და აღარ იცოდა, რა ექნა.

უცბად კარი გაიღო.

— ბატონო დოქტორო, ძალიან მოხარული გახლავართ, რომ ამ ყრუ სოფელში ერთხელ მაინც გავხდი ქალაქელი სტუმრის მიღების ღირსი. ახლა რას იზამთ? — ჰკითხა პადრე ფელიქსმა მოსამართლეს.

— ერთხელ კიდევ გავივლი სოფელში, მაგრამ თქვენთან საუბარმა დამარწმუნა, რომ აქ დიდი ხეირი არ იქნება.

ხუცესმა სტუმარი იქამდე მიაცილა, საცა ცხენი იყო დაბმული, მაგრამ ცხენზე როგორღა შემჯდარიყო? ხუცესმა მზარეულ ქალს დაუძახა.

„მეც ხომ არ გამოვჩნდე? რატომაც არა?“ — გაიფიქრა ტრინიმ და სამზარეულოდან სწორედ იმ დროს გამოვარდა, როცა მოსამართლე რამდენჯერმე ეცადა, მაგრამ მსხვილი ფეხი ვერა და ვერ ასწია უზანგამდე. ტრინიმ ბურთივით კაცს ფეხი უზანგში გააყოფინა და უზანგი დაუჭიმა, ხოლო მზარეული და თვით ხუცესი კი მოსამართლეს მსხვილ უკანალზე მიაწვნენ და, როგორც იქნა, ცხენზე ასვეს. ძალდატანებისაგან სტუმარი ხვნეშოდა და ოფლში ცურავდა. აღვირი აკრიფა და ცხენს შეუძახა, აბა, ვიაროთო. ცხენი მხედარს დაემორჩილა და გზას გაუყვა.

— ეს ბიჭი ვინ არის? — იკითხა ხუცესმა.

— ამბროსიას შვილიშვილია, — მიუგო მზარეულმა. — ყოველთქის კარგი ხილი მოაქვს ხოლმე ჩემთან.

— ოჰ, ამბროსიასი? — ჩაფიქრდა ხუცესი. მას დღემდე

ვერ გაეგო ამ ქალის ბუნება. დიდ ღვთისმმოსავად არ მიაჩნდა, მაგრამ მისი ჩუმი ხასიათი პატივისცემას აღუძრავდა ამ ქალისადმი. თავისი მზარეულის გადამკიდეს ყბედი ქალები ჭირის დღესავით სძულდა.

— აბა, ბიჭუნა, — უთხრა მან ტრინის, — დიდედაშენს მიბაძე ყველაფერში.

ახლა ტრინის ის უნდა გაეგო, წავიდა თუ არა სტუმარი

სოფლიდან. მზარეულს უთხრა, ტკბილ ლიმონებს მოგიტანო, და გაიქცა.

მოსამართლეს სოფელში ძაღლების მეტი არავინ დახვედრია და სოფელს გაშორდა. მეტი ჭკუა რომ ჰქონოდა, შეამჩნევდა, გავიდა თუ არა სოფლიდან, სოფელი ხალხით აივსო და სიცილით კვდებოდნენ, რა კარგად გავაცურეთო.

ამ ამბავმა ამბროსიასი და იერონიმოს ავტორიტეტი ძალიან ასწია თანასოფლელთა თვალში და განსაკუთრებით გრაფის ყოფილ მოჯამაგირეებში, რომლებმაც ორი დღის შემ-

დეგ ბატონის მიწაზე მოსავალი აიღეს და საკუთარ სასიმინდეში შეინახეს. ტრინისაც კი ესალმებოდნენ, რის გამოც ბიჭი ჯერ ძალიან დარცხვენილი დადიოდა, მაგრამ მერე მის საქციელზეც იმოქმედა. ტრინი ახლა თავის გარშემო ყველაფერს აკვირდებოდა და ბიძია იერონიმოს ხან მცენარეებზე ეკითხებოდა, ხან სხვა რამეზე.

## ამაღელვებელი ამბები

ტეპოტლელებმა მალე გაიგეს, რომ მთელი სან ბარტოლდო დაიმალა, როცა იქ ღალის ასაკრეფად მოსამართლე ჩავიდა. იერონიმოს ტეპოტლაში კარგად იცნობდნენ, დიახაც ადვილი გასაცნობი და დასამახსოვრებელი იყო. ბევრს ლაპარაკობდნენ დედამის ამბროსიასა და უფრო მეტს ტრინიზე, რომელიც ისე ქარიანით დაჰქროდა, ცხენიან კაცს მიასწრო სოფელში მისვლა.

ტეპოტლელმა ბავშვებმა ხელად ახალი თამაში მოიგონეს. ერთი ბავშვი გაიქცეოდა და დაიყვირებდა: „დაიმალენით!“, დანარჩენები თვალის დახამხამებაში უნდა მიმალულ-მომალულიყვნენ. ამ თამაშში გოგონებიც მონაწილეობდნენ, რადგან სან ბარტოლდოში ქალებიც ხომ იმალებოდნენ. მერე დაცარიელებულ ორღობეში რომელიმე გაბღინძული ბიჭი ჩამოივლიდა ნელი ნაბიჯით. ამ როლის შემსრულებელს ხალათში რამე უნდა შეეტენა, რომ სიმსხოთი მოსამართლეს დამგვანებოდა. ამის გამო მბურვალე მზეზე გასული ბავშვი ოფლში იწურებოდა. მას უნდა შეემჩნია ბუჩქებსა და ღობეებს უკან მიმალული ბიჭები, „მოსამართლეს“ რომ ეღრიჯებოდნენ და სიარულში აჯავრებდნენ. ვინც თავს ვერ შეიკავებდა და გაეცინებოდა, ის გახდებოდა „მოსამართლეც“ და დაცინვის საგანიც. ეს ცოტათი შეცვლილი ძველებური ინდიური თამაში იყო და ბავშვებს არ უნდა გასცინებოდათ. ბავშვებს ძალიან მოსწონდათ და დაუსრულებლად თამაშობდნენ, ხოლო მათი მშობლები თანდათან სიტყვაძუნწნი ხდებოდნენ. ისინი თავიანთ სოფელს სან ბარტოლდოს ადარებდნენ. რაც ტორესისა-

გან სიმინდი მიიღეს, თითქოს სულ გამოჭამეს, ასანაზღაურებლად კი დღედაღამ უნდა ემუშავათ. კვლავ შიმშილის აჩრდილი დასტრიალებდათ თავს. ამას გარდა, ხმები დადიოდა, ვიღაც გენერალ უერტას თავდასხმაზე. მისი ჯარისკაცები ცეცხლს უკიდებდნენ იმ სოფლებს, რომლებიც მემამულეთა წინააღმდეგ აჯანყებას აწყობდნენ. არბევდნენ სხვა სოფლებსაც და ხოცავდნენ ყველას, ვინც თვალში არ მოუვიდოდათ.

ტორესმა, ტეპოტლის მებატონემ, თავისი ვაჟიშვილი მოიხმო და ცოლის ოთახში შევიდა.

— ძალიან მნიშვნელოვანი ამბები მოვიტანე, — ხმადაბლა თქვა მან, რომ მსახურებს არ გაეგონათ. ერთმა მათგანმა მაინც გაიგონა. მეზობელ ოთახში ხუანი გარინდულიყო სმენადქცეული. აქაურმა მსახურებმა ბევრად მეტი იცოდნენ, ვიდრე იმათ ბატონებს ეგონათ. წერა-კითხვის უცოდინარებს თვალი და ყური უმახვილდებათ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცუდად ეპყრობიან. — გენერალ უერტას არმია ახლოვდება, — განაგრძო ტორესმა.

— მადლობა ღმერთს, — თქვა ტორესის ცოლმა, — როგორც იქნა! ახლა კი ინებებენ ინდიელები, პატივი გვცენ.

— მამა, ნება მომეცი მათ არმიაში შევიდე, მოელაპარაკე ოფიცრებს, ჰა? — წამოიძახა თვალებგაბრწყინებულმა ტორესის ვაჟმა.

— შვილო, — უთხრა ტორესმა ვაჟიშვილს, — შენ გინდა ამ ბანდაში გაერიო? ნუთუ ვერა ხვდები, რომ შენ, ჩემი მემკვიდრე, მაღლა დგახარ მაგ ოფიცრებზე? შენ კი, კარლოტა,— ტორესი ცოლს მიუბრუნდა, — უნდა იცოდე, ამ არმიის შემოჭრა ჩვენს სოფელში სასიკეთოს არაფერს გვიქადის. ჯარისკაცები ოფიცრებისაგან უმეტესად არავითარ გასამრჯელოს არ იღებენ და ნაქურდალ-ნაძარცვით ცხოვრობენ. ყველაფერს გადაჭამენ. მათ მოსვლას მე, რაღა თქმა უნდა, გამოვიყენებ და შფოთისთვე პაკოსაც ბოლოს მოვუღებ, მაგრამ როგორც კი ისინი წავლენ, ეს დამშეული სოფელი ჩემი გამოსაკვები გახდება, რადგან საჭმელს აღარავის შეარჩენენ.

— ეგ ინდიელები როგორმე თვითონვე ირჩენენ თავს. საოცარია, რა სიცოცხლისუნარიანია ეგ ხალხი, — მიუგო ამაყად ცოლმა.

— ეგ სულაც არ არის საოცარი! — უხეშად თქვა ტორესმა. — თუ სადმე რამე არის, მხოლოდ იქ შეუძლიათ რამის შოვნა. აი, თუნდაც ჩვენს მამულში. როცა შენ ამბობ, ინდიელები როგორმე თავს გაიტანენო, ალბათ გგონია, ჩვენ მოგვპარავენ. არა, ეს უჭკუობაა. იძულებული ვიქნები მე გამოვკვებო, სხვა რა გზა მაქვს.

— მამა, — დაიწყო ვაქმა, — მე მესმის, ჩვენს მოჯამაგირეებს საჭმელი უნდა მივცეთ, მაგრამ იმ გლეხებს რაღაზე უნდა მივცეთ, ვისაც თავისი მიწა გააჩნია? განა შენთვის უფრო სარფიანი არ იქნება, შენთან სამათხოვროდ მოვიდნენ? მიწას წაართმევ და საფასურად ცოტა სიმინდს მისცემ!

— სისულელეა! ეს ამბავი სხვებმაც სინჯეს, მაგრამ რა გამოუვიდათ? მერე გლეხებმა მიწა სულ მიატოვეს და აჯანყებულებს შეუერთდნენ. პარტიზანების ამბები ხომ გაგიგონია?

— ჰო, აი, ის პანჩო ვილა და მისი ბანდა, არა? — უპასუხა ვაქმა.

მარტო ბანდა რომ ყოფილიყო, რა უშავდა, ეს ლამის უკვე არმიაა. მეორე მეთაური კი, ემილიანო საპატა, უფრო საშიშია, ვიდრე ეგ პანჩო ვილაა. ის არც ისეთი ველურია და ჭკუაც მეტი აქვს.

— შენ, რა, ეგ მეთაურები სერიოზულად გაფიქრებენ? — იკითხა ვაქმა.

— მაგათ, რასაკვირველია, გარკვეული გეგმები არ გააჩნიათ, — მიუგო ბატონმა ტორესმა, — კითხვაც კი არ იციან, მაგრამ ახლა ეგ არ არის საფიქრალი, იმას უნდა ვეცადოთ, უერტასა და მის ჯარს რაც შეიძლება მცირე ზარალით გადავურჩეთ. მე ვფიქრობ, გენერალი მოვიწვიოთ, კარგად გავუმასპინძლდეთ და ვთხოვოთ, ჯარი ჩვენს სოფელში არ დააბანაკოს.

## ახალგაზრდები მეგობრდებიან

მსახურ ხუანს უნდოდა ბატონების სახლში გაგონილი ახალი ამბები მაშინვე სოფლისთვის შეეტყობინებინა, მაგრამ ბატონებისთვის ვახშამი უნდა მიერთმია, ნავახშმევს კი მამა-

შვილმა ტორესებმა არყის სმა გააბეს და შუაღამისას ძლივსღა გათავისუფლდა. მაშინვე პაკოსთან გაიქცა, გააღვიძა და ყველაფერი უამბო, რაც გაიგონა. პაკოს ვაჟიშვილმა ბრაულიომ თავი მოიმძინარა, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი მოისმინა.

მსახური გაჩუმდა თუ არა, სიბნელიდან ბრაულიოს ხმა გაისმა:

— მაშ, სოფლიდან უნდა წავიდეთ, მამა?

— მანამდე მამა ბენიამინს უნდა მოველაპარაკო. ხვალღამ კი წავიდეთ.

— აჰა, ეს თან წაიღე, — თქვა მსახურმა და პაკოს ტყავის ნაჭერი მიაწოდა.

— რა არის? — ჰკითხა პაკომ.

— ეს ჯადო ბედნიერებას მოგიტანს. ამის მეტი არაფერი ვამაჩნია, მაგრამ ახლა შენ ჩემზე მეტად გჭირდება.

●

ბრაულიო ტრინიზე რამდენიმე წლით უფროსი იყო. დედისა და და-ძმის სიკვდილის შემდეგ მათ ქოხში სიჩუმემ დაისადგურა. მამა-შვილს ერთმანეთთან ბევრი სალაპარაკო არა ჰქონდათ. უბრალოდ ცხოვრობდნენ, უსიტყვოდაც ესმოდათ ერთმანეთისა. არც მამას და არც შვილს აზრადაც არ მოსდიოდათ, როგორ ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს.

იმ დღეს ბრაულიო დიდხანს დაფათურობდა სამზარეულოში. ყოველ ნივთს დაკვირვებით სინჯავდა, ღირდა თუ არა მისი წაღება. დარჩენილი რამდენიმე ჯამი სიმინდი პარკში ჩაყარა. ბოძზე ჩამოკიდულ მოკაკვულ სიმინდის საჭრელ ორ დანას რამდენჯერმე შეხედა. ამაზე ძვირფასი ნივთი აღარ მოეძებნებოდათ. დაღამდა თუ არა, მამა-შვილი მიწვა და მთვარის ამოსვლას დაუწყეს ლოდინი. მთვარის ამოსვლისთანავე წამოდგნენ.

— ჭილოფი? — ჰკითხა ბრაულიომ.

— არ გვინდა, — მიუგო მამამ.

ბიჭს უკვირდა, რატომ თქვა მამამ, ჭილოფი არ გვინდაო? მაგრამ სოფელს რომ გასცდნენ, მაშინღა ჰკითხა მამას:

— მამა, სად მივდივართ?

— იერონიმოსთან.

— იმ იერონიმოსთან, ცხვირი და ყურები რომ დააჭრეს?

— ჰო, ბრაულიო. მაგრამ რომ მივალთ, დაჟინებით არ დაუწყო ყურება.

— იმ ფეხმარდ ტრინისაც ვნახავ?

— მგონი ვნახავთ. ის შენზე პატარაა.

— მერე რა, — ბრაულიოს ეს ამბავი კიდევაც გაუხარდა. სანამ და-ძმა ჰყავდა, იმათზე ზრუნავდა, ახლა კი ტრინის ქომაგი გახდებოდა.

ინდიელისათვის დამახასიათებელი სწრაფი და ფრთხილი ნაბიჯით გაუდგნენ გზას. გათენების ხანს ერთი ბორცვის ძირას შეისვენეს და შინიდან წამოღებული ფინიკები შეჭამეს. ასეთი საუზმე საზეიმო დღეებში ჰქონდათ ხოლმე.

დღეს პაკო რაღაც გულდახურული იყო. ნეტავ როდისმე ეღირსება თავისი სოფლისა და ქოხის ნახვას? თუ იმ გენერალ უერტას ბანდა ამ მხარეს შემოესია, არც იმათ უწერია სან ბარტოლდოში დიდხანს დარჩენა.

მზე უკვე კარგად აცხუნებდა, მამა-შვილი გრაფისეულ ბაღს რომ მიადგა და ლიმონისა და მანდარინის ხეებქვეშ მომუშავე თეთრხალათიანი იერონიმო და ტრინი დაინახეს. ბრაულიო ისე მოიქცა, როგორც მამამ დაარიგა, დასახიჩრებულ იერონიმოს კი არ შეხედა, ტრინის დაუწყო ცქერა. ბრაულიოს მოეწონა მისი დიდი, მოციმციმე თვალები. ტრინიმ ფორთოხლები მოიტანა, მერე ორივენი ჩამოსხდნენ და უფროსების საუბარს ყურს უგდებდნენ.

იერონიმო დინჯად და დაფიქრებით ლაპარაკობდა:

— ამაღამ აქ გაათევთ. ჯობია, სოფელში არავინ დაგინახოთ, სანამ ჩემს მშობლებს მოველაპარაკებოდე. ჯობია, აქ მოვიყვანოთ. ტრინი, დიდედასთან წადი და უთხარი, ძიამ შემოგითვალათ, აქ მოდით, პაპაია დამწიფდა-თქო, თან თვალიც ჩაუკარი და მიხვდება, რომ რაღაც სხვა ამბავია.

— ახლავე გავიქცევი.

— არა, ნელა წადი. ისე მოიქეცი, რომ ყურადღება არავინ მოგაქციოს.

— მეც წავყვები, მამა! — თქვა ბრაულიომ.

— არა, შენი წასვლა არ შეიძლება. ვინმე დაგინახავს.

— ძია იერონიმო, ისეთი გზა ვიცი, დიდედას ქოხამდე ვერავინ დაგვინახავს. იქ ბრაულიო დაიმალება და დამიცდის.

— ჰო, კარგი, — დაეთანხმა იერონიმო. — ცუდი არ იქნება, ბრაულიომაც იცოდეს ეგ გზა.

პაკომ და იერონიმომ თვალი გააყოლეს ბიჭებს. ისინი ხელიხელგადახვეულები მიდიოდნენ და თან მეგობრულად საუბრობდნენ.

— ასეთ საქმეებში ბავშვები ძალიან გონივრულად იქცევიან, ოღონდ უნდა ვენდოთ, — თქვა პაკომ.

●

პაკო იერონიმოს კარტოფილის ამოღებაში ეხმარებოდა, როცა მათ წინ, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, ტრინი და ბრაულიო შედგნენ..პაკო უცებ შეკრთა, რამაც ბიჭები ძალიან გაამხიარულა. თვით პაკო კი ნაღვლიანი ჩანდა. ბრაულიომ რომ ამხანაგი იპოვა, ახარებდა, მაგრამ თავიანთი მდგომარეობაც არ ავიწყდებოდა.

— დიდედა და პაპა მალე მოვლენ? — იკითხა მან.

ბრაულიოს არც კი უპასუხნია, გვერდზე გაიხედა. პაკო შებრუნდა და გზაზე მომავალი ამბროსია და ხასინტო დაინახა. ბიჭები ჩუმად მიჰპაროდნენ პაკოს და ალყაც შემოერტყათ.

— ყოჩაღ, ბიჭებო! — შეაქო პაკომ, — თქვენ მზვერავებადაც გამოდგებით.

ამ სიტყვებმა ძალიან გაახარა ბიჭები, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო ნამდვილი მზვერავობა!

ამასობაში იერონიმოც მოვიდა.

— რა მოხდა? — შეშფოთებით იკითხა ამბროსიამ. — პაკოც აქ ყოფილა?

— ჯერ დასხედით, — უთხრა იერონიმომ.

პაკო მოჰყვა, რაც ტორესის მსახურმა უამბო. დიდხანს ისხდნენ და ბჭობდნენ.

— გადამწვარ მამულს რომ ნახავენ, არ დაგვინდობენ. არმიის მოახლოება დროულად უნდა გავიგოთ. ამისათვის კი მზვერავებია საჭირო, — თქვა ამბროსიამ.

ბრაულიო და ტრინი გულისყურით უსმენდნენ.

— თუ ცნობებს დავუჯერებთ, — განაგრძობდა ამბროსია, — ჯარი ტეპოტლაზე მოდის. იქიდან კი ჩვენს სოფელზე წამოვა. პაკო, ტეპოტლას დასაზვერავად ხომ ვერ წახვალ?

— არა, დედა, — შეაწყვეტინა იერონიმომ, — მაგისი იქ გაგზავნა არ შეიძლება. ტეპოტლის მებატონე სწორედ მაგაზე აპირებს ჯავრის ამოყრას.

— მზვერავი აუცილებლად გვჭირდება, — დაჟინებით ამბობდა ამბროსია.

— მამა, მე ვიქნები მზვერავი! — მაშინვე თქვა ბრაულიომ.

უფროსები ბრაულიოს შეაცქერდნენ. სახეზე ეტყობოდათ, არც ერთი არ იყო თანახმა.

— არავის დავენახვები, — თქვა ბრაულიომ. — სიმინდებში ჩავიმალები და ყველაფერს იქიდან ვუთვალთვალებ.

— არა, ასე არ ივარგებს, — თქვა პაკომ. — არავინ იცის, არმია როდის მოვა. იქნებ რამდენიმე დღე ან მთელი კვირა მოგიხდეს ყანაში ჯდომა, მაგრამ ერთი აზრი მომივიდა თავში. იქ, ტეპოტლაში, ბენიამინს ჰყავს შვილი, არაკუნეს ეძახიან. — პაკო ამბროსიას მიუბრუნდა: — ეს სწორედ ის ბიჭია, მაშინ ის ზედამხედველი რომ გააცურა და ღამით ალაყაფის კართან თიხის ზარს რომ არაკუნებდა. აი, ბრაულიო, იმასთან მიდი და უთხარი...

— ჰო, კარგი, გავიგე, — უპასუხა ბრაულიომ. — არაკუნეს რამდენიმე ბიჭი ჰყავს შეკრებილი, მეთაური ის არის. სწორედ ისინი გაგვაგებინებენ უერტას ბანდის გამოჩენას.

ბრაულიოს ნათქვამი ისე მოეწონა. იერონიმოს, დასახიჩრებულ სახეზე ღიმილმა გადაურბინა. პაკოც კმაყოფილი ჩანდა, რადგან თვითონ ამდენი ვერ მოეფიქრებინა.

— ახლავე წავიდე? — იკითხა ბრაულიომ.

— ცოტა მოიცა, სხვა ამბებზეც უნდა მოვილაპარაკოთ, — მიუგო პაკომ.

ახლა იმაზე დაიწყეს მსჯელობა, სად გადაეტანათ სიმინდის მარაგი, რადგან ბოლო წუთებში ამას ვეღარ მოასწრებდნენ. იერონიმოს წინადადება იყო, თიხიან ხევში შეენახათ.

— არა, — თქვა პაპამ. — იქ ორიოდ დღის მარაგი თუ შეინახება. დანარჩენი სჯობს, მთაში წავიღოთ, ინდიელთა ცი-

ხე-სიმაგრეში. იქ ჯერ კიდევ ჩვენი წინაპრები იმალებოდნენ, ესპანელებმა რომ შემოგვიტიეს.

ამ საუბარს რომ ისმენდა, ტრინი მოუსვენრად იყო. ძალიან უნდოდა ბრაულიოს წაყოლოდა ტეპოტლაში. არაკუნეს ნახვაც აინტერესებდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ბრაულიოს ხელით ნიშნება დაუწყო. ბრაულიომ უცბად ვერ გაიგო, რას ანიშნებდა. მერე მეგობრულად გაუღიმა, თავი დაუქნია და დაამშვიდა, — ნუ გეშინია, ჩემი იმედი გქონდესო.

ბრაულიომ დრო რომ იხელთა, ტრინის წასჩურჩულა:

— გათენებისას წავალთ, მთვარე რომ შეიმაღლებს, შენც ადექი და წამომყევი, ნურავის ნურაფერს ეტყვი, მერე კი ვთქვათ, თქვენ ასე არ გვითხარით-თქო!

## სტუმრად ტეპოტლელი ალალგაზრდეგის რაზმთან

არაკუნეს ბიჭების ჯგუფი ერთი საიდუმლო რაზმი იყო. ასეთ რაზმებს კარგად იცნობენ მამაკაცები, ქალებს კი, ალბათ, ზოგიერთი რამ თუ გაუგიათ მათზე. შეკრების ადგილებისაკენ ბიჭები სხვადასხვა გზით მიდიოდნენ. ყველაზე საიმედო საიდუმლო შესაკრები თიხის გამოქვაბული იყო, სადაც ზოგიერთი წმინდა საგნებიც ინახებოდა, მაგალითად, ატლი-ატლი. ასე ეძახიან ისინი სასროლ მშვილდს. ამ მშვილდს ინდიელები ცეცხლმსროლელი იარაღის შემოღებამდე ხმარობდნენ და ახლაც იმითი ნადირობენ ფრინველებზე. ბიჭები აქვე ჭამდნენ ბატონის ყანაში მოტეხილ ტაროებს. ტეპოტლელი მამაკაცები თავიანთ ბავშვებს ასეთ გართობას იმიტომ არ უშლიდნენ, რომ ბავშვობაში თვითონაც აყალიბებდნენ ამგვარ საიდუმლო რაზმებს და ახლა სიამოვნებით იგონებდნენ ბავშვობის უზრუნველ დღეებს. რაზმეულების კავშირი მათ უკვე ტრადიციულ ამბად მიაჩნდათ. ასეთი კავშირები ძველი დროის მემკვიდრეობას, სოფლის თემის გამოსახულებას წარმოადგენდა. რამდენჯერ აღდგომია წინ თემი მემამულეთა და კათოლიკური ეკლესიის ბატონობას!

არაკუნე ინდიელს არც კი ჰგავდა. საოცრად მაღალი ბიჭი

იყო. ხმა თანდათან უბოხდებოდა. უკვე რამდენიმე წელი იყო, მინდორში მუშაობდა.

როცა კაქტუსის ღობის გადაღმა ბრაულიოს მოკრა თვალი, არაკუნეს ძალიან გაუკვირდა, რადგან ისა და მამამისი სოფლიდან მოულოდნელად სადღაც გადაიკარგნენ. ბრაულიომ ანიშნა, არაკუნე მიუხვდა და ამხანაგების ჩუმად მისკენ გაემართა.

ბრაულიო კაქტუსის ღობეში გაძვრა და მიტოვებულ ქოხში შევიდა. როგორ გაუკვირდა არაკუნეს, იქ რომ მეორე ბიჭიც დაუხვდა.

— ეს სან ბარტოლდოელი ფეხმარდი ბიჭია, — უთხრა ბრაულიომ არაკუნეს.

არაკუნე ძალიან გაახარა სახელგანთქმული ტრინის გაცნობამ და გაიცინა, მაგრამ ტრინის ხელი არ გაუწოდა, რადგან ასეთი გულჩვილობის გამომჟღავნება ნამდვილი ბიჭისათვის სირცხვილად ითვლებოდა.

— საიდუმლო დავალება გვაქვს, — თქვა ბრაულიომ. — ეს თქვენს რაზმს უნდა ვუთხრათ.

ნახევარი საათის შემდეგ სოფლიდან რამდენიმე ბიჭი გამოვიდა და სხვადასხვა მიმართულებით გაეშურა. ბრაულიომ ტრინი რამდენიმე ღობეში გააძვრინა და ლარში დარგულ ჩხვლეტია აგავებით მოფენილ ვრცელ მინდორზე გავიდნენ. კლდოვან ბორცვს რომ მიაღწიეს, გვერდით შემოუარეს და მწვანე ბუჩქნარში შეძვრნენ. აი თიხის გამოქვაბულიც, აქ უკვე რამდენიმე ბიჭი დაუხვდათ. ყველანი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ ტრინის.

როგორც კი მთელმა რაზმმა თავი მოიყარა, არაკუნემ დაიწყო:

— ეს ბიჭები სან ბარტოლდოდან მოვიღნენ და ისეთი ამბავი მოგვიტანეს, რაც სხვებს არ შეიძლება ვუთხრათ, დაიწყე, ბრაულიო!

ბრაულიო ბალახის ღერს ძიძგნიდა, არ იცოდა, როგორ დაეწყო.

— გაგონილი გექნებათ, ბატონების არმია გვიახლოვდება, — დაიწყო მან ბოლოს. ბიჭებმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიეს. — ჯარისკაცები გამოჩნდებიან თუ არა, სან ბარტოლდოელ გლეხებს გადაწყვეტილი აქვთ სოფელი მიატოვონ.

ხოლო იმათი მოახლოვება რომ დროზე შეიტყონ, ჩვენ დაგვაყალეს, — ბრაულიომ ტრინიზე მიუთითა, — აქაურობა დავზვეროთ. ამ საქმეში კი თქვენი დახმარება გვჭირდება.

ბრაულიომ შენიშნა, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბიჭებზე მისმა სიტყვებმა, რომ უცხო სოფელი მათ რაზეს დახმარებას სთხოვდა.

— რაში დაგეხმაროთ? — იკითხა არაკუნემ.

— ჯარისკაცების მოახლოვება უნდა შეგვატყობინოთ, — აუხსნა ბრაულიომ.

— სად ცხოვრობთ? — ისევ იკითხა არაკუნემ.

— ერთ ან ორ ბიჭს გზას ვასწავლით, რომ ღამეც მოგვაგნოთ.

— მინდორში გამავალი ბილიკიც უნდა გვიჩვენოთ,—თქვა ჩხირივით გამხდარმა ბიჭმა. — თუ ჯარისკაცები გზაზე გავიდნენ, სხვა ბილიკებიც უნდა ვიცოდეთ, რომ მათ ვერ შეგვაშინონ.

— ჰოდა, შენ წაყევი და გზასაც გასწავლიან, — თქვა არაკუნემ.

— მერე ჩვენებს რა ვუთხრა, სად მივდიეარო? — იკითხა გამხდარმა ბიჭმა.

— ეს მართლაც რომ ძნელი მოსაფიქრებელი იყო.

— უფროსების გარეშე ვერას გავხდებით, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თქვა ერთმა.

— ყველას ვუთხრათ ჩვენი ამბავი? — იკითხა მეორემ და უარის ნიშნად თავი გადააქნია, — ყველა ჭშობელს ვერ ვენდობით, ზოგი ბატონებს ელაქუცება.

— მამაშენს რომ ვუთხრათ, არაკუნე? — იკითხა კნაჭამ. — მამაშენს სოფელში პატივსა სცემენ. იმას გავენდოთ და დაგვეხმარება. როგორ გგონია, აქ არ მოვიდოდა?

— რა ვიცი, ვსინჯოთ.

ეს აზრი ყველას მოეწონა და არაკუნე გაიქცა, რომ რაიმე საბაბით მამა აქ მოეყვანა.

ამასობაში ტრინისთან ორი ბიჭი მისულიყო.

— შენ ვინა ხარ?

— ტრინი.

— ფეხმარდი? — წამოიძახა ერთ-ერთმა.

— ჰო, ფეხმარდი, — ტრინის მაგივრად მიუგო ბრაულიომ. იგი ამაყობდა თავისი ახალი მეგობრით.

— ის ბატონი მართლა ეგრე მსუქანი იყო? — დაინტერესდა ერთი რაზმელი.

ზოგიერთები ამ დროს გაცხარებით დაობდნენ, როგორ მოვიქცეთ, ჯარისკაცების მოსვლა რომ დროულად გავიგოთო.

— ეს შეიძლება სხვა სოფლელმა ბიჭებმა გვითხრან, — თქვა გამხდარმა. — ჩვენც ამათსავით მოვიქცეთ, ყოველ სოფელში ორ-ორი კაცი გავგზავნოთ და იქაურ ბიჭებს დახმარება ვთხოვოთ.

●

არაკუნეს მამას, ბენიამინს გამოქვაბულში სოფლის რჩეული ბიჭების დახვედრა ძალიან გაუკვირდა. სიცილი საერთოდ უყვარდა და ახლაც ძალიან სასაცილოდ მოეჩვენა, რომ სწორედ ბავშვებმა გადაწყვიტეს სოფლის დაცვა. მერე სერიოზული სახე მიიღო, ჩალის ქუდი მოიხადა, კეფა მოიფხანა, ქუდი ისევ თავზე დაიდო და იქვე ფეხი მოირთხა. ბიჭები მის საქციელზე მიხვდნენ, რომ ბენიამინი მათ მოსმენის ღირსად თვლიდა.

კნაჭამ დაიწყო, ახლო-მახლო სოფლებში შიკრიკები გავგზავნოთო. ბენიამინი მეტად გააოცა ბიჭების საზრიანობამ, პატარები სწორედ იმას აკეთებდნენ, რაც უფროსებს უნდა მოეფიქრებინათ და გაეკეთებინათ. რაც უფრო მეტ ხანს იჯდა აქ და უსმენდა ბიჭებს, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ შიკრიკები მათაც, უფროსებსაც უნდა გაეგზავნათ. ეს, რაღა თქმა უნდა, რამდენიმე სანდო კაცს უნდა სცოდნოდა. ამ მიზნით ბიჭებიც შეათვალიერა, ვაითუ მათ შორისაც ყველა სანდო არ იყოსო. არა, ბიჭებს ყველას სერიოზული და პატიოსანი გამომეტყველება ჰქონდა. მერე თავისი ბავშვები გაახსენდა. დიახ, აქ მყოფი ყველა ბიჭი სანდო იყო.

— მამაშენს მოველაპარაკები, — უთხრა ბენიამინმა კნაჭას, — რომ სან ბარტოლდოში შენ გაგგზავნოს. მაგრამ დედაშენს რა უთხრას?

— ძია, — წამოიძახა ტრინიმ, — ბოსტნეული ან ხილი არ

გინდათ? ჩვენ ბევრი გვაქვს, თქვენ კი არ გაგაჩნიათ. წამოვიდეს და გამოვატანთ.

აი, ასე წამოიყვანეს ტრინიმ და ბრაულიომ სან ბარტოლდოში ორი ბიჭიც. რამდენიმე დღეში სოფლებს შორის ნამდვილი საფოსტო კავშირი დამყარდა.

## უცნაური ბატონი მარიო

უერტას არმიამ რაც სოფლები გადაიარა, ცეცხლის ალში გაახვია. მრავალ ადგილას პარტიზანული რაზმები ბატონებსა და მათ ყაჩაღურ ბრბოს ებრძოდნენ. ერთი სამხრეთში მოქმედებდა და ხელმძღვანელობდა — ემილიანო საპატა, მეორე კი ჩრდილოეთში — პანჩო ვილას მეთაურობით. რაზმები სწრაფად იზრდებოდნენ, რადგან გენერალ უერტას მიერ შევიწროებული ინდიელები უერთდებოდნენ.

ერთი ხანობა უერტა თითქოს ტეპოტლასა და სან ბარ-ტოლდოს მიმართულებით მოდიოდა. მერე სხვა მხარეს გაუ-ხვია. გადიოდა თვეები, უერტას ჯარი თანდათან შორს იხევდა.

პრეზიდენტმა მადერომ შეიტყო, რა მხეცობაც ჩაედინა მის არმიას. რამდენჯერმე სცადა ამ უმსგავსობისათვის ბოლო მოეღო, მაგრამ ამა რას გააწყობდა, სანამ თავის საკუთარ ხალხს ებრძოდა და ისიც ასეთი ვერაგი გენერლის მეთაუ-რობით, როგორიც უერტა იყო?

გადამწვარი მამულის ნანგრევებთან გაშენებულ ბაღში ამბავი მოვიდა, საპატა და პანჩო ვილა ახლა გლეხთა რაზმებს კი აღარ მეთაურობენ, გლეხების მთელი არმიები ჰყავთო. რიცხობრივად უკვე უერტას არმიას აჭარბებდნენ, თუმცა ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი. ამის გამო მათთან პირდაპირ შეტაკებას ერიდებოდნენ.

პირველ ხანებში პაკო ფიქრობდა, იერონიმოსთან მე და ბრაულიო ერთ ორ დღეს დავრჩებითო. მაგრამ გადიოდა დღე-ები და იერონიმოს ქოხიდან გამოსვლას ვერ ბედავდა. ერთ საღამოს იერონიმოს გაუმჟღავნა თავისი საფიქრალი, რაც კარგა ხანია აწვალებდა:

— რამდენი თვეა შენს მიწაზე ვცხოვრობ, იერონიმო?

— ჩემს მიწაზე? გაქცეულ გრაფს კი სულ სხვანაირად ჰგონია, — სიცილით მიუგო იერონიმომ.

— გრაფი რამდენი ხანია აღარ გამოჩენილა. ამ ბაღს მე შენად ვთვლი. ასლა მე მგონი, შეიძლება ტეპოტლაში დავ-ბრუნდე.

პაკოს ნათქვამი იერონიმომ ისე გაიგო, თითქოს ეკითხე-ბოდა, და ჩაფიქრდა. ფორთოხლის ხის ძირას ისხდნენ. სავსე მთვარე დაჰნათოდა ხეებს და მწიფობაში შესულ ფორთოხ-ლებს მთვარის შუქზე საოცრად ყვითელი ფერი დასდებოდათ.

— პაკო, შენ ხომ მითხარი, ტეპოტლაში ძალიან პატარა მიწის ნაკვეთი მაქვს და ნახევარი წლის სარჩოც ძლივს მომ-დისო. ჩვენ მიწა ბევრი გვაქვს. ტრინი შენსავით ვერ მომეშვე-ლება მიწის დამუშავებაში. უმეგობროდ ტრინიც მოიწყენს.

— შენ გინდა, რომ აქ დავრჩეთ? სიამოვნებით დავრჩებით, ოღონდ შენი ქოხის გვერდით ქოხს ავიშენებ. სოფლებიდან ხშირად მოგდიან სტუმრები და ვერ დავეტევით.

— კარგი, აიშენე, ჩვენც მოგეხმარებით.

ასე გაჩნდა ამ ადგილას მეორე ქოხი, ერთი წლის შემდეგ, 1912 წელს კი — მესამეც.

ერთხელ, გათენებისას, იერონიმოსა და ტრინის თავიანთი ქოხის წინ ფეხის ხმა და ხმადაბალი ლაპარაკი შემოესმათ. ხმაზე ეტყობოდა, ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. იერონიმომ გარეთ გაიხედა. დილაბნელში თვალი მოჰკრა ორ ბიჭს. რომ დააკვირდა, გვერდით მესამეც შენიშნა. ტრინი იერონიმოს უკან ამოსდგომოდა, მან პირველად მესამე შეამჩნია. ტრინის ძალიან გაუკვირდა: ბიჭები ჩვეულებრივად ორ-ორი მოდიოდნენ ხოლმე, ისიც ამ ბოლო ხანებში დღისით, რადგან საშიშროებამ გაიარა.

— გამარჯობა, იერონიმო,—მიესალმა ერთი. ტრინიმ ხმით იცნო, ეს კნაჭა იყო. — ერთი საკითხავი გვქონდა. ჩვენთან ერთი საოცარი კაცი მოვიდა...

— ვინ? — ჰკითხა იერონიმომ.

— ჩვენც არ ვიცით, ვინ არის, — მიუგო ბიჭმა, — ვიღაც ქალაქელია...

— გადასახადის ასაკრეფად ხომ არ მოსულან?

— არა, სულ სხვა ვინმეა. ტუსპანელმა ემილიომ იპოვა.

— იპოვა? — იკითხა პაკომ. ამასობაში ისიც გამოსულიყო თავისი ქოხიდან.

— ჰო, — კვერი დაუკრა ტუსპანელმა ბიჭმა. — გუშინ დილით აგავების ძირში მძინარს წავაწყდით. ქალაქურად ეცვა, მაგრამ ძალიან გათხვრილი ჩანდა. ჩვენებმა სოფელში დამალეს და დაანაყრეს, შიმშილით სული სძვრებოდა. მერე სოფელში მაინც არ გააჩერეს, არ ენდობოდნენ და იმიტომ.

— აქ ხომ არ გინდათ მოიყვანოთ? — იკითხა პაკომ. — ცუდი კაცი რომ გამოდგეს?

— არა, ცუდი კაცი არა ჩანს,—თქვა ემილიომ.—ტუსპანელ ბიჭებს ეგ ცუდ ადამიანად არ მიგვაჩნია, მაგრამ ახირებული ვინმე კია. ჩვენმა ბიჭებმა მოინდომეს მისი გამასხარავება, მაგრამ მან არც კი შეიმჩნია. არც ინდიელები სძულს. ჩვენმა მშობლებმა არ მოინდომეს მისი სოფელში გაჩერება და ტეპოტლაში წავიყვანეთ. მაგრამ შიგ სოფელში კი არ შეეიყვანეთ, სოფლის განაპირას დავმალეთ.

— ჰო, — საუბარში გამხდარი ბიჭი ჩაერია. — ტუსპანელი

ბიჭები მოვიდნენ ჩვენთან, ჩვენ მამა ბენიამინს ვკითხეთ, როგორ მოქცეულიყავით. ბიჭებო, — გვითხრა მან, — ისეთ საქმეში ნუ ჩაერევით, რაც არ იცით. ამას გარდა, საჭმელი ჩვენთვისაც არ გაგვაჩნია და ისეთი კაცი როგორ შევინახოთ, ვინც მუშაობა არ იცისო. რაღა გვექნა?

— ამაღამ ვერაფერს გადავწყვეტთ. შინ შემოდით, ბიჭებო, გამოიძინეთ, კარგა ხანია გათენებამდე, — თქვა იერონიმომ, თვითონ კი პაკო გვერდით გაიხმო და რაღაცაზე საუბარი გაუბა..

დილით ბრაულიო და ტრინი რომ წამოდგნენ, ღამე ნასიარულევ, დაღლილ ბიჭებს ისევ ეძინათ. ორივეს ძალიან აინტერესებდა, რა გადაწყვიტეს იერონიმომ და პაკომ. მაგრამ ისინი ჩვეულებისამებრ საქმეს შესდგომოდნენ და ბიჭების გამოღვიძებამდე თავაუღებლად იმუშავეს. ყველამ ერთად ისაუზმა, მერე პაკომ თქვა:

— ბრაულიო და ტრინი, თქვენ აქ დარჩით, ჩვენ კი წავალთ. თუ მანამდე ვერ მოვედით, ხვალ დილას მაინც დავბრუნდებით.

ხელსახოცში ცოტა საჭმელი გამოიკრეს და გზას გაუდგნენ. ბრაულიო და ტრინი დიდხანს გასცქეროდნენ. ისინიც სიამოვნებით გაჰყვებოდნენ, მაგრამ რომ არ გაიყოლეს?

მთელ დღეს ბაღჩაში მუშაობდნენ. ჭიდან წყალს ეზიდებოდნენ. რომ დაღამდა, ორივე იერონიმოს ქოხში დაწვა.

დიდი ხანი არ გასულა, ბიჭები ხმაურმა გამოაღვიძა. ერთი ხმამაღლა ლაპარაკობდა ესპანურად. ნაბიჯის ხმაზე მიხვდებოდით, ფეხსაცმელი უნდა სცმოდა. ორი კაცი ფეხშიშველა უნდა ყოფილიყო. ბიჭები კართან მიცოცდნენ და როგორ გაუხარდათ, პაკო და იერონიმო რომ დაინახეს. ვიღაც მესამეც ახლდათ. ისიც მათი სიმაღლისა ჩანდა.

— ჩუმად ილაპარაკეთ, — გააფრთხილა პაკომ, — ბიჭებს სძინავთ.

— არა გვძინავს, — თქვა ბრაულიომ და მოულოდნელად ორივე ბიჭი კარებში ჩადგა.

უცხო კაცს ძალიან გაუკვირდა, ეს ბიჭები ასე უცბად საიდან გამოჩნდნენო. ის ქალაქელი იყო და გლეხების ცხოვრება

უცხოდ და უცნაურად ეჩვენებოდა. არ იცოდა, ბიჭებს როგორ მისალმებოდა, ხელი გაუწოდა და უთხრა:

— მე მარიო პუენტე მქვია.

ბიჭებმა გაიცინეს, რადგან ხელის ჩამორთმევა ინდიელებს წესად არა ჰქონდათ.

მალე ყველა დასაძინებლად მიწვა.

ხეირიანად ბიჭებმა მხოლოდ დილას შეათვალიერეს სტუმარი. უფრო უკეთესი წარმოდგენა ჰქონდათ მასზე. შავი კოსტუმი სულ ერთიანად მტვერში ამოსვროდა და დალაქავებოდა. საკმაოდ გაჭუჭყიანებულ თეთრ საყელოზე მომწვანო ჰალსტუხი მოღრეცოდა.

ისაუზმეს, მერე მამაკაცები და ბავშვები მუშაობას შეუდგნენ. მარიო შორიახლო გაჩერებულიყო, ინდიელებს შესცქეროდა და თვალებს უხერხულად ახამხამებდა. მერე ნელი ნაბიჯით იერონიმოსკენ გაემართა. ამ ნაწამები კაცისადმი განსაკუთრებულ სიმპათიას გრძნობდა, მისი ბედი საკუთარ ბედს აგონებდა.

— ბატონო კუევასო, შეიძლება მეც ვიმუშაო? — ჰკითხა მარიომ.

— მაგ კოსტუმით? — განცვიფრებით შეხედა იერონიმომ.

დარცხვენილი მარიო ქოხისკენ გაემართა. გაიხადა კოსტუმი, ფეხსაცმელები, მოიძრო საყელო და ჰალსტუხი. წინდები თურმე დახეული ჰქონოდა და ისიც გაიძრო. ახლა ჭუჭყიანი ფეხების დანახვამ შეაწუხა, სულ არ უგავდა ინდიელების მზეზე დამწვარ, დაკუნთულ ფეხებს. იჯდა ჭილოფზე და არ იცოდა, რა ექნა. ასე დამცირებულად თავი ჯერ არ უგრძვნია.

ქოხიდან ფრთხილად გამოვიდა და შიშველი ფეხები მიწაზე დაადგა. ეგონა, ვერ გავიქცეო, მაგრამ ფეხშიშველი სიარული არც ისე ძნელი ყოფილა და ისევ იერონიმოსაკენ გაემართა.

— ფეხები სად დავიბანო?

— უჩვენე, ტრინი! — გასძახა მარიოს ამგვარი შესახედაობით გაოცებულმა იერონიმომ ტრინის. მან ისევე ცოტა რამ იცოდა ქალაქელთა ცხოვრებაზე, როგორც სტუმარმა გლეხების ყოფაზე.

ტრინიმ მარიოს ასწავლა ჭისკენ მიმავალი გზა. ეს გზა მებატონის გადამწვარ ეზოზე გადიოდა. ჭიდან ხის სათლით კამკამა ცივი წყალი ამოიღო და ჭის კიდეზე დადგა.

— ეს ხომ სასმელი წყალია, — თქვა მარიომ. — ფეხებს ამაში ხომ ვერ დავიბან!

ტრინი გაოცებული შესცქეროდა.

— თქვენ როგორ იბანთ ფეხს? — ჰკითხა მარიომ.

— სულაც არ ვიბანთ, — მიუგო ტრინიმ.

— მაშ ეგეთი სუფთა როგორა გაქვთ?

— მტვერზე ამბობთ? თავისით ცვივა. ზოგჯერ წვიმაც მოდის.

ბატონ მარიოს ისეთი ხარხარი აუტყდა, თვალებზე ცრემლები მოადგა. ტრინი გაოცებული იდგა და ვერ გაეგო, რა აცინებდა ამ უცნაურ ბატონს. გლეხებს ხომ არ დაგვცინისო, გაიფიქრა.

ტრინის ისეთი გაჯავრებული სახე ჰქონდა, მარიომ იფიქრა, ალბათ რამე ვაწყენინეო.

— თქვენც რომ როგორმე ჯადოქრობის წყალობით ქალაქში მოხვდეთ, ბევრ რამეზე ალბათ გაგეცინებოდათ.

— ჯადოქრობის წყალობით? — იკითხა ტრინიმ. — მერე ჰაერში ფრენა შეიძლება?

მარიო დაეინებით ჩააცქერდა ტრინის: „თურმე როგორ სწამთ ჯადოქრობისა. როგორ ავუხსნა, რომ ჯადოქრობა არ არსებობს?

— იცი, რა, — უთხრა მან ტრინის, — მოდი, შენ ნელ-ნელა წყალი დამისხი, მე კი დავიბან.

სანამ მარიო ფეხებს იბანდა, ტრინი ჯადოქრობაზე ფიქრობდა და ერთი სული ჰქონდა, როდის ჰკითხავდა, ადამიანს როგორ აჯადოვებენო. თავის მხრივ მარიოც იმის ფიქრში იყო, თუ ტრინისათვის როგორ დაემტკიცებინა, რომ ჯადოქრობა არ არსებობდა. თავის მოწოდებად მარიოს ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლა მიაჩნდა.

— ბატონო, — წარმოთქვა ტრინიმ ენის ბორძიკით, — ამბობენ, ბიძაჩემ იერონიმოს გრაფინიას მოჯადოება სურდაო, მაგრამ მე არა მჯერა.

ბატონი მარიო ნელა წამოდგა და ტრინის დააკვირდა. რაღაც მოაგონდა.

— რომელი გრაფინიასი? — იკითხა მან.

— აქაური ბატონის ცოლის, — მიუგო ტრინიმ.

მარიომ ბატონის გადამწვარი კარ-მიდამოს ნანგრევებს თვალი მოავლო.

— რა ჰქვია ბატონს?

— გრაფი არიოლა!

— სეხისმუნდო.არიოლა? — იკითხა გაოცებულმა მარიომ.

— დიახ, სეხისმუნდო. იცნობთ?

— ვიცნობო? ვიცნობ რომელია, ბიჭო! მაშ აქ ბატონობდა ეს არამზადა? შენ რა გქვია, ბიჭიკო?

— ტრინიდად კუევასი, ბატონო.

— ოჰ, მოეშვი ერთი მაგ ბატონს! ძია დამიძახე ან მარიო ანდა როგორც მოგეხასიათოს. მაშ აქ მებაღე იერონიმოც უნდა იყოს?

ტრინიმ დააპირა ეთქვა, ეგ ხომ ჩემი ბიძააო, მაგრამ უცბად შეეშვდა, საიდან იცნობს იერონიმოს? ან მისი ცნობა რად

სჭირდება? უცბად ვედროში ჩარჩენილი წყალი დაასხა და თვითონ ბიძისკენ გაიქცა.

მარიო გაქცეულ ბიჭს გასცქეროდა და ვერ გაეგო, რა დაემართა. „კიდევ რაღაც ვაწყენინე. ალბათ ვერასოდეს ვერ ვისწავლი გლეხებთან თავის დაჭერას, მაგრამ სხვაგან სად წავიდე?“

ნირწამხდარი გამოვიდა ნანგრევებიდან და ჩრდილში დაჯდა. ვერ შეამჩნია, ტრინი იერონიმოს რომ ეჩურჩულებოდა, და თავი მხოლოდ მაშინ ასწია, როცა იერონიმომ ჰკითხა:

— თქვენ იცნობთ გრაფ არიოლას?

— რა თქმა უნდა, მე ხომ მის კანცელარიაში ვმუშაობდი!

ამ ოთხ კაცში არც ერთმა არ იცოდა, კანცელარია რას ნიშნავდა და ამიტომ უფრო მეტი ეჭვის თვალით დაუწყეს მარიოს ცქერა, მაგრამ, საბედნიეროდ, მარიომ ისევ განაგრძო:

— სწორედ ახლა ვეკითხებოდი ტრინის, აქ სადმე მებაღე იერონიმო ხომ არ ცხოვრობს-მეთქი. გრაფის ზედამხედველმა მითხრა, თურმე მებაღე მთელი ღამე კედელზე ჩამოკიდებული ჰყოლიათ, მერე ცხვირი და ყურები დაუჭრიათ. — უცბად მარიომ თვალები დააჭყიტა და იერონიმოს შესცინა:

— ეს ხომ შენა ხარ, ძმაო იერონიმო!

რახან იერონიმომ თავი დაუქნია, მარიო მოეხვია და მხრებზე მეგობრულად ხელი დაუტყაპუნა. იერონიმო ჩუმად იდგა და არ იცოდა, რა ექნა. მას ენახა, ესპანელები ზოგჯერ ერთმანეთს რომ ეხვეოდნენ, მაგრამ ინდიელებში ასეთი რამ მიღებული არ იყო. საერთოდ, ინდიელები ერთმანეთის მიმართ მეგობრულად არიან განწყობილნი, გამომჟღავნებით კი ვერას ამჟღავნებენ.

ბატონმა მარიომ იერონიმოს ხელი გაუშვა და ახლაღა შეამჩნია, რომ ის მაინცდამაინც დიდად ალერსიანად არ შესცქეროდა. მარიომ თავზე ხელი იტაცა:

— რა მიუხვედრელი ვინმე ვარ, იმის მაგივრად, რომ განვუმარტო, რაშია საქმე, ხალხს ვაშინებ. ახლავე ვიტყვი ყველაფერს. მეც შენსავით მდევნიდა და მავიწროვებდა გრაფი.

— თუ არ დაგიჯერეთ? — იკითხა პაკომ.

— მაშინ აქედან გამაგდეთ, დამტკიცება კი არაფრით არ

შემიძლია. თქვენს თვალში დიდი ფასი მაინც არა მაქვს, რადგან თქვენსავით არც შრომა შემიძლია და, ალბათ, ვერც ვისწავლი, — თქვა და თავი ჩაჰკიდა მარიომ.

ისე სასოწარკვეთილი იდგა საწყალი მარიო, რომ იერონიმოს შეეცოდა.

— ახლა ვიმუშაოთ, ამ საღამოს კი ყველაფერი გვიამბე.

იერონიმომ ეს უფრო დროის მოსაგებად თქვა.

ოთხივე ინდიელი შებრუნდა და მუშაობას შეუდგა. მარიო მარტო დარჩა.

„რა ვქნა, თუ გამაგდებენ, ჩემსავით, ალბათ, ბევრი სხვაც მომკვდარა უპატრონოდ. მაგრამ საქმე ალბათ აქამდე ჯერ არ მისულა. ღამე გამათევინეს, მაჭამეს, მასვეს, არც მუშაობას მაძალებენ. კარგი ხალხი ჩანს“. მერე რაღაც გაახსენდა.

ტრინი მცენარეების გადარგვაში იყო, რომ მარიოს ძახილი შემოესმა:

— ბიჭუნა, მეც მასწავლე, როგორ რგავ, და მოგეხმარები.

პირველად მარიოს ცოტა გაუჭირდა და ტრინიმ რამდენჯერმე უჩვენა, როგორ უნდოდა მცენარის გადარგვა.

პაკო და იერონიმო შორიდან ადევნებდნენ თვალს. მარიო ხმას არ იღებდა და კვლებში გაცხარებით მუშაობდა. „ბატონები, სულიც რომ ამოსძვრეთ შიმშილით, არ იმუშავებენ!,— ფიქრობდნენ ისინი. ამან ცოტათი შეუცვალა მათ შეხედულება ქალაქელ სტუმარზე და ახლა უფრო ნდობით უცქეროდნენ.

## მარიოს ნაამგზები

საღამოხანს მარიოს კვლებში მუშაობა ძალიან გაუჭირდა. წელში რომ გასწორდა, მუხლებისა და წელის ტკივილი იგრძნო. იერონიმომ დაინახა, რომ მარიომ მტკივან წელზე ხელი მოისვა და ღიმილით უთხრა:

— არა უშავს, შეეჩვევი. დღეს კი გეყოფა.

სტუმარს სიხარული მოჰგვარა იერონიმოს მეგობრულმა ტონმა. იოლად გაუტყდებოდა გული რამეზე, მაგრამ ისევე იოლად გამხნევდებოდა ხოლმე. ახლაც იერონიმოს გულთბი-

ლობამ გაამხნევა მარიო. სწორედ ამ თვისებით გამოირჩეოდა იგი გლეხებისაგან და ეს თვითონაც კარგად იგრძნო. ფორთოხლის ძირში მიჯდა და ღრმად ამოიოხრა. მთელ სხეულში დაღლას გრძნობდა. „საიდან დავიწყო ჩემი თავგადასავლის თხრობა? — ფიქრობდა მარიო. — ამათ ისე ვერ მოუყვები, როგორც ქალაქელებს, უბრალოდ და გასაგებად უნდა უამბო“.

ვახშმობისას იერონიმომ შეამჩნია, რომ მარიო ბევრ წყალსა სვამდა.

— ჯერ საჭმელი ჭამე და მერე დააყოლე წყალი, — უთხრა იერონიმომ. — ბატონისეული ჭის წყალი კარგია, სოფლის წყალს კი არა ჰგავს, მაგრამ ძალიან ცივია, შენ კი გახურებული ხარ.

მარიოს უნდოდა თავი გაემართლებინა და გაცხარებულ ლაპარაკს მოჰყვა. მაგრამ მერე ისიც შეამჩნია, რომ ინდიელები ჭამის დროს არ ლაპარაკობდნენ. როცა ნავახშმევს ქოხის წინ დასხდნენ და ჩამავალ მზეს დაუწყეს ცქერა, მარიოს ხმა მანამდე არ ამოუღია, სანამ პაკომ არ ჰკითხა:

— შენ იმის მოყოლას აპირებდი, გრაფი როგორ გაიცანი?

— ჰო, მაგრამ მანამდე ის უნდა გითხრათ, თვითონ ვინ ვარ. წარმოშობით ჩრდილოეთიდან ვარ, ამერიკისა და მექსიკის საზღვარზე დავიბადე. მამაჩემი საბაჟოზე მსახურობდა და ჩვენ ესპანურად და ინგლისურად ერთნაირად ვლაპარაკობდით. მამა კარგ ფულს შოულობდა, ესე იგი... — მარიო უცბად დაიბნა. ცოტა ხანს იყუჩა და მერე ისევ განაგრძო. — სჯობს, ყველაფერი დაწვრილებით მოგიყვეთ, თუნდაც მწარე იყოს ჩემთვის ამ სიმართლის მოგონება.

ტრინიმ ვერ გაიგო, რატომ უნდა ყოფილიყო მწარე სიმართლის თქმა.

— თქვენ, ალბათ, იცით, — განაგრძო მარიომ, — იქ როგორი წესრიგია. საბაჟოს მოხელეები ისე მცირე ხელფასს იღებენ, რომ ამით ვერც ოჯახს არჩენ და ვერც ისე ჩაიცვამ, როგორც საბაჟოზე ითხოვენ. თუ დაბალი ჩინის კაცი უფროსთან ამაზე საჩივარს იტყოდა, ის უპასუხებდა: „ერთი თქვენცა ყოფილხართ, აი! არ იცით, ფული როგორ იშოვოთ?“ საბაჟოს მოხელეებს პირდაპირ თაღლითობისაკენ უბიძგებდნენ. ამერიკელები მამაჩემს ქრთამს აძლევდნენ, რომ მათი საქონელი

უბაჟოდ გაეტარებინა. შინ არ ამბობდა, რამდენს აძლევდნენ, მაგრამ დედაჩემი მიუსვდა, რომ არასოდეს სიმართლეს არ ეუბნებოდა. როცა ერთხელ ამაზე სიტყვა ჩამოუგღო, მამაჩემმა უხეშად უპასუხა. ამის შემდეგ მამა თანდათან უფრო უხეშად ექცეოდა დედას. ბავშვებს კი დედა ძალიან გვიყვარდა. კარგი ადამიანი იყო დედაჩემი. ხშირად თვითონ არაფერს არ ჭამდა, რომ ჩემი სწავლის ფული გადაეხადა. ჩემი და-ძმანი უფროსები იყვნენ და მშობლებს შორის უსიამოვნების გამო სახლი მიატოვეს. ხანდახან, როცა იცოდნენ, მამა შინ არ იქნებოდა, მაშინ მოგვინახულებდნენ, თან ცოტაოდენ ფულს ან საჭმელს მოგვიტანდნენ ხოლმე. სხვა დროს კი მე და დედაჩემი მარტონი ვიყავით. ერთ საღამოს დედა საოცრად გულგატეხილი მეჩვენა. მან მითხრა: მარიო, ისეთ სამსახურში ნურასოდეს ნუ ჩადგები, სადაც არამზადა გახდებიო. ეს სიტყვები არასოდეს დამვიწყებია.

მაშინ კი, აბა, რა ვიცოდი, რომ ამის მეტს დედა აღარაფერს აღარ მეტყოდა. რამდენიმე დღის ძებნის შემდეგ მისი გვამი სასაზღვრო მდინარეში იპოვეს.

მარიო დედის დაკარგვით განცდილ სიმწარეს ახლაც ძლიერ განიცდიდა და დამწუხრებული სდუმდა. ოთხივე მსმენელი ღრმად თანაუგრძნობდა და განძრევას ვერ ბედავდა.

რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ მარიომ ისევ განაგრძო:

— ალბათ გაინტერესებთ, მამაჩემს რა დაემართა. ეს მე თვითონაც არ ვიცი. მხოლოდ დედაჩემის დასაფლავების დღეს ვნახე ფხიზელი. შვილები დედის კუბოს მივდევდით. დედა რომ დავასაფლავეთ, უფროსმა ძმამ მკითხა, ახლა რას აპირებო. მე ვუპასუხე, გზის ფული რომ მქონდეს, მეხიკოში წავიდოდი-მეთქი. და-ძმებმა მაშინვე შემიგროვეს ფული. მაშინ თვრამეტი წლისა ვიყავი.

რამდენიმე დღე-ღამე მატარებლით ვიმგზავრე. მგზავრობაში ერთი სასიამოვნო შესახედაობის ბატონი გავიცანი. მეხიკოში რომ ჩავედით, მან ერთ კაფეში წამიყვანა. ამ კაფეში თურმე ლიბერალები იყრიდნენ თავს. მაშინ ეს, აბა, რა ვიცოდი, სიტყვა ლიბერალიც არ გამეგონა. კაფეში მოსამართლეები, ექიმები და მწერლები დამხვდნენ. ყველანი ხმამაღლა ლა-

პარაკობდნენ დიქტატორ პორფირიო დიასისა, მემამულეთა და ეკლესიის წინააღმდეგ.

— დღევანდელი პრეზიდენტი მადეროც ხომ ლიბერალია? — იკითხა იერონიმომ.

— ლიბერალია. ამ კაფეში ისიც მოდიოდა ხოლმე. ყველა აღშფოთებული იყო სახელმწიფოში გაბატონებული მექრთამეობით. ვუსმენდი მათ და მიხაროდა, რადგან სწორედ ეს ბოროტება აღშფოთებდა დედაჩემს. ამ კაფეში გავიგე, რომ გრაფი არიოლა თავის კანცელარიისათვის ისეთ კაცს ეძებდა, ინგლისურად წერილების დაწერა რომ შესძლებოდა. მე უკვე გითხარით, ჩვენ სასაზღვრო ზონაში ვცხოვრობდით, გადახვიდოდით ხიდს და უკვე ჩრდილო ამერიკაში ამოჰყოფდით თავს. რამდენიმე ხანს იქ ვსწავლობდი კიდეც. რახან ინგლისური კარგად ვიცოდი, გრაფმა მაშინვე შემომთავაზა ადგილი.

— რაში სჭირდებოდა გრაფს ინგლისურის მცოდნე? — იკითხა იერონიმომ.

— თქვენ, ალბათ, არ გაგიგიათ, რა საქმეებს ატრიალებდა. თქვენი ბატონი, — თქვა მარიომ.

— ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ აქ ინდიელ მოჯამაგირეებს სიცოცხლეს უმწარებდა. ტანჯვა იყო მასთან მუშაობა. არ ვიცით, რას უშვრებოდა აქ მოწეულ იმდენ სიმინდს.

— სპეკულაციას ეწეოდა.

— ეგ რას ნიშნავს? — ჰკითხა პაკომ.

— ასე ადვილად ვერ აგიხსნით, — ჩაფიქრებით თქვა მარიომ. — ჩვენთან სიმინდი იაფია. გრაფს ის სხვაგან გაჰქონდა, ისეთ ქვეყნებში, სადაც ძვირად ფასობდა. ამით ბევრ ფულს შოულობდა და პაჩუკის ოქროს საბადოების აქციებს ყიდულობდა.

— ეს აქციები რაღაა? — ისევ ჰკითხა პაკომ.

— იქ, პაჩუკაში, არის მაღაროები, სადაც მუშები ოქროს, ვერცხლს და კიდევ სხვა რაღაცეებს იღებენ, თვითონ კი საშინელ სიღატაკეში ცხოვრობენ. ბევრი მუშა ავადმყოფობს, მაღაროების მფლობელები კი იქვე არყის სავაჭრო დუქნებს ხსნიან. ამ დუქნებში ინდიელი მუშები, თუ კიდევ შერჩათ ჯანი, არყით იწამლავენ. ამ მაღაროების მეტი ნაწილი უცხოელებს ეკუთვნით, უმეტესად ინგლისელებს. მის ექსპლოატა-

ციაში გრაფიც იღებს მონაწილეობას. ეს საქმე მე კარგად ვიცი, რადგან ინგლისელ ბატონებს წერილებს მე ვწერდი, ისიც კარგად ვიცი, რა შემოსავალიცა აქვს გრაფს. ამ მამულში მუშებს კატორღულ სამუშაოში მათხოვრულ ხელფასს აძლევდა, სიმინდს კი ძვირად ჰყიდდა. სწორედ ამით შეიძინა მან ოქროს მაღაროების ნაწილი. ხოლო ინდიელები იქ რა შემოსავალს აძლევენ, თქვენ წარმოდგენაც კი არა გაქვთ.

— მაშასადამე, გრაფი მაინცდამაინც ძალიან არ გაღარიბებულა ამ მამულის გადაწვით, არა? — იკითხა დაფიქრებულმა იერონიმომ.

— არიოლა ისე მდიდარია, ეს მამული დღეს მისთვის თითქმის აღარაფერს წარმოადგენს. მაგრამ ერთხელ მაინც სცადა აქედან ღალა მიეღო. თქვენთან მოსამართლე გამოგზავნა. ეს კი აღარ ვიცი, რა ქნა.

ოთხივე მსმენელმა გადაიხარხარა.

— სამაგიეროდ, ჩვენ ვიცით, — თქვა იერონიმომ. — სოფელში ტრინი გავაგზავნე და დავაბარე, ყველანი დაიმალენით-მეთქი. სოფელში იმ ზორზოხა ბატონს ერთი დედაბრის მეტი არავინ დახვედრია. ისიც ცოტა შერეკილია და მარტო ინდიურად ლაპარაკობს. მერე დედაჩემი ამბროსია შეხვდა, მაგრამ პირველსავე კითხვაზე მან ისე კუშტად უპასუხა, რომ მოსამართლეს ლაპარაკის მადა დაეკარგა.

— რას ამბობ, ასე შეხვდით? — წამოიძახა მარიომ. — უკან დაბრუნებულ მოსამართლეს გრაფმა უთხრა, სოფელში მეორედ მაშინ გაგგზავნი, როცა იქ გენერალი უერტა წესრიგს დაამყარებსო.

— ეგ ხვალ გვიამბე, — უთხრა პაკომ. — თორემ ჩვენს ბიჭებს საცაა ჩაეძინებათ.

— არა, არ გვეძინება, — თქვა ბრაულიომ.

მარიო ჭილოფზე რომ მიწვა, გაახსენდა, ამ დილას გაგდებას რომ უპირებდნენ, მაგრამ რახან სთხოვეს, ამბავი ხვალ გააგრძელეო, მაშ ეჭვით აღარ უყურებენ.

მეორე დღეს მარიოს მთელი სხეული ტეხდა, მაგრამ ისევ ტრინისთან ერთად მუშაობდა, თუ რამე არ იცოდა, რჩევასაც მას ეკითხებოდა.

ნასადილევს იერონიმო სოფელში წავიდა და რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნდა.

— მარიო, — დაუძახა მან. — ცოტა ხანს ქოხში შემოდი!

მალე ისევ გამოვიდნენ ქოხიდან და ყველამ ერთად გადაიხარხარა. მარიო გლეხად გადაქცეულიყო: თავზე ჩალის ფართო ქუდი ეხურა, ტანზე თეთრი შარვალი და ქურთუკი ეცვა. თავისი თავი კარგად რომ შეათვალიერა, მარიომ იკითხა:

— ახლა ხომ ვგავარ თქვენებურ გლეხს?

— ცოტა ფერმკრთალი ხარ, თუმცა მალე ჩვენნაირი ფერი დაგედება. შენი ქალაქური ტანსაცმელი ყველას თვალში ეცემოდა. ახლა გაკვირვებით აღარავინ დაგიწყებს ცქერას.

ამ დღიდან მარიოს ინდიელები თავისიანად თვლიდნენ. სიამოვნებით მოეხვეოდა ყველას, მაგრამ იცოდა, გრძნობების ასეთი გამომჟღავნება ინდიელებს არ სჩვეოდათ.

საღამოს მარიომ ისევ განაგრძო:

— წუხელ იმ ადგილას შევჩერდით. გრაფი არიოლა გენერალ უერტაზე დიდ იმედს ამყარებდა. ჩემთან გრაფი მხოლოდ ინგლისურად ლაპარაკობდა, ეს ენა კი მისმა მსახურებმა არ იცოდნენ, ამიტომ გრაფი თავისუფლად და გულახდილად მელაპარაკებოდა. გენერალ უერტას გრაფი ყოველთვის მექრთამე გაიძვერასა და ყოყლოჩინა ჯალათს ეძახდა. მაგას წესიერი კაცი სალამს არც კი უნდა აძლევდესო, ამბობდა გრაფი, ამიტომ იყო, რომ გამიკვირდა, როცა უერტაზე აზრი შეიცვალა... მაგრამ მანამდე სჯობს უერტას არმიაზე გიამბოთ, ან იქნებ უკვე იცით ეს ამბავი?

— ვინც ჩვენს სოფელში ბატონს ან მის მოურავს არ მოსწონდა, ჯარში უკრეს თავი და აღარც ერთი ცოცხალი აღარ დაბრუნებულა.

— აი, ხომ ხედავთ! არც ის იცით, რატომ არ დაბრუნდნენ. ვთქვათ, ერთი ინდიელი, ვინმე ხოსე მივიდა მოურავთან და იჩივლა, ხელფასში მომატყუესო. რამდენიმე დღის შემდეგ

ხოსეს წაიყვანენ, ზურგსუკან ხელებს გადუგრეხენ, შეუკრავენ და ერთს მაგრად მიასიკვდილებენ, მერე უახლოეს ქალაქში გადააგზავნიან და ყაზარმაში უკრავენ თავს. ასე გახდება ჯარისკაცი. მაგრამ რამდენ წელს უნდა იმსახუროს, ეს მან არ იცის. რა გასამრჯელოს მისცემენ, არც ამას ეუბნებიან, რა სვას, რა ჭამოს, არც ამაზე იწუხებს თავს ვინმე. გამოუცდელობის გამო ყველა დასცინის. შიმშილობს და თავი ყველასაგან მიტოვებულად მიაჩნია, მაგრამ თანდათან შეეჩვევა მდგომარეობას. თუ უნდა ხელფასი მიიღოს, ნახევარი მის გამომწერს უნდა შეპირდეს, ხან იქნებ ნახევარზე მეტიც იყოს საჭირო. ხელფასის გამომწერი, რასაკვირველია, ნაწილს ხაზინადარს აძლევს, ხაზინადარი — მაიორს, მაიორი — პოლკოვნიკს, პოლკოვნიკი — გენერალს. ამ საწყალმა ხოსემ კი რიღათი ჭამოს პური? ამას გარდა, ვინ დაუღერღავს სიმინდს, ვინ გამოუცხობს მჭადს? ისიც სხვებივით იქცევა: მოჰყავს სოლდადერი, ესე იგი ცოლი. პირველ ხანებში მას მარტო ვერ არჩენს. ამიტომ რამდენიმე ჯარისკაცს ერთი ცოლი მოჰყავს. ქალმა მათთან უნდა იცხოვროს, ყაზარმაში. სოლდადერობაზე ძალიან ღატაკი ქალები თანხმდებიან, ცხოვრების სხვა საშუალება რომ არ გააჩნიათ. ყაზარმა ფართოა და დიდი. იქ ძონძებისაგან პატარა კარავივით რაღაც თავშესაფარს აიგებენ. ორიოდე ჭილოფი, პატარა ღუმელი, ორი-სამი ქოთანი და საცხოვრებელიც მზადაა. რამდენიმე დღის შემდეგ მოდის ფელდფებელი, ახალ კარავს თვალს დაადგამს და ბრძანებს, ახლავე აიღეთ, ყაზარმაში კარვის გაშლა აკრძალულიაო. თუმცა გარშემო ასეთი კარვები მრავლად დგას, მაგრამ რა ქნას ხოსემ? ადვილი გასაგებია: ფული უნდა მისცეს. ფელდფებელიც დათანხმდება — მარტო შენი კარავი დარჩესო. ფელდფებელმა, რაღა თქმა უნდა, ნაწილი კაპიტანს უნდა მისცეს და ასე გენერლამდე. ხოსეს მიცემული ქრთამი აბა რა არის, მაგრამ გენერალს ხოსესნაირი ბევრი ჰყავს და ჯიბეც უსქელდება. ხოსეც ამ სისხლისმსმელებს უკანასკნელ გროშს აძლევს. რითი უნდა იცხოვროს მან და იმის მსგავსებმა? ცოლის გარდა შვილებიც ეყოლება. ზოგიერთები ღამღამობით ქუჩაში ჩუმად მარიჰუანას ჰყიდის. თქვენ იცით, რომ მარიჰუანას გაყიდვა აკრძალულია?

— რატომ არის აკრძალული? — ჰკითხა ბრაულიომ.

— ეჰ, შენ რა იცი, ეგ რა საშიში რამ არის, — თქვა მარიომ. — ვინც მარიჰუანას მოსწევს, დაღლილობას ვერ იგრძნობს და აღარც ჭამა გაახსენდება. კარგი იქნებოდა, ხალხი მარიჰუანას არ ეჩვეოდეს, რადგან ვინც მას ერთხელ მიეჩვევა, მორჩა, ვეღარც გადაეჩვევა. როცა მწეველს მარიჰუანა შემოელევა, თავს უბედურად სთვლის და მის საშოვნელად ყოველ ღონეს ხმარობს, მძიმე დანაშაულზეც კი არ დაიხევს უკან. ბევრი ჯარისკაცი არა მხოლოდ ვაჭრობს იმით, ამ საშიშ საწამლავს ეწევა კიდეც. თუ პოლიციელმა წაასწრო, ფული ახლა მასაც უნდა მისცეს. ასე ეცნობა ჯარისკაცი ხოსე ცხოვრების ავ-კარგს და თუ არ უნდა შიმშილით სული ამოსძვრეს, ისიც უნდა ჩაებას ცხოვრების ფერხულში. რა თქმა უნდა, მარიჰუანათი ვაჭრობა ყველას არ შეუძლია. ზოგი ქურდობას იწყებს ან მიყრუებულ ქუჩებში ძარცვა-გლეჯას ეჩვევა. სხვები დაქირავებული ჯალათები ხდებიან.

— ეს რაღა არის? —ჰკითხა პაკომ.

— წარმოიდგინე ასეთი რამ, გაზეთის თანამშრომელთაგან რომელიმემ ვინმე მდიდარ კაცზე დაწერა, საშინელი თაღლითიაო. მდიდარი დაიქირავებს რამდენიმე თავზეხელაღებულ კაცს, ისინი ღამით თავს დაესხმიან გაზეთის თანამშრომელს და ცემით სიკვდილის პირს მიიყვანენ. ასე ხდება არჩევნების დროსაც. როცა ერთ ასარჩევ კანდიდატს წინასაარჩევნო სიტყვის თქმა უნდა, მისი მოწინააღმდეგე ღამით ამ ავარებს მიუგზავნის და ისე აცემინებს, რომ მეორე დღეს ხმას ვეღარ ამოიღებს. ზოგი მკვლელებსაც დაიქირავებს. ამჟამად მათ დასაქირავებლად დიდი ფული როდია საჭირო, რადგან გლეხთა აჯანყების შემდეგ ბევრი ზედამხედველი, მოურავი და კანცელარიის მექრთამე მოხელე უმუშევარი დარჩა. გრაფმა არიოლამ ორი ზედამხედველი მსახურად დაიყენა, რადგან მასაც ბევრი მტერი ჰყავს და არ უნდა ვინმემ ჩააძაღლოს ან მათრახით აუჭრელოს გვერდები. ყველა დიდ ბატონს ჰყავს ასეთი პისტოლეროები. მაგრამ გრაფის ორივე პისტოლერო ისეთი სულელი და მწვირიანი იყო, ბატონმა მალე დაითხოვა. სამაგიეროდ, ერთი აიყვანა, მაგრამ ისეთი გაიძვერა, ღმერთმა დაგიფაროს! რა გგონიათ, ავკაცობას გარეგნულად შეატყობთ?

სულაც არა! ახალგაზრდაა და ყოველთვის კარგად იცვამს, ვინც კი გზად შეხვდება, ყველას პირში უცინის. იარაღსაც ვერ დაუნახავთ. ქამარზე იმოდენა პისტოლეტი როდი ჰკიდია, პისტოლეროებმა წინათ რომ იცოდნენ. შარვლის ჯიბეში პატარა ამერიკული რევოლვერი უდევს. იცით, რა დაემართათ სან ბარტოლდოელ ზედამხედველებს? ორი გენერალ უერტას არმიაში შევიდა, მესამეს კი ერთხელ ქალაქში შევხვდი და ისე თავხედურად, თან ისე შეშფოთებით შემომხედა, ეჭვი არ მეპარება, წმინდა გზით ვერ შოულობს საარსებო ლუკმაპურს.

მარიო გაჩუმდა და ბნელ ღამეს ჩაფიქრებით გახედა. ტრინის შეეშინდა, ამქვეყნად რა ბევრი ბოროტება ყოფილაო. ასე ეგონა, რამე საფრთხე ელოდა. ბრაულიოს შეხედა. ისიც ტრინივით შეშფოთებული ჩანდა:

— ეს ამბავი იმიტომ მოგიყევით, რომ წარმოიდგინოთ, — განაგრძო მარიომ, — რა მდგომარეობა იყო, როცა დიქტატორი დონ პორფირიო დიასი ჩამოაგდეს. ეს ერთ ღამეში მოხდა. როგორც არჩევნების დროს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, იმ ღამესაც ქალაქის სხვადასხვა უბანში სროლა ატყდა. მერე ხმა დაირხა, დიქტატორი გაიქცაო. გვიან ღამით მეგობართან მივედი და გახარებული ვოცნებობდით, ახლა კი კარგი დრო დაგვიდგება, მექრთამე გენერლებს გადააყენებენ და ადამიანურად ვიცხოვრებთ-მეთქი. მართლაც, ზოგიერთი რამ ჩვენი მოსაწონი გაკეთდა და მე მეგონა, ჩვენს სახელმწიფოში თანდათან მოისპობოდა ეს სიბინძურე და სიბილწე. ცუდი ვერც მაშინ ვიაზრე, როცა გრაფმა თქვა, ჩემს მამულზე მაშინ ვიზრუნებ, გენერალი უერტა წესრიგს რომ დაამყარებსო. მერე გაჩაღდა წერილების მიწერ-მოწერა. ხან მეხიკოში მცხოვრებ ინგლისელ საქმოსნებს წერდა, პაჩუკის ოქროს საბადოების მოზიარეებს, ხან ლონდონში წერდა. ერთ დღეს გრაფს ერთი ინგლისელი ეწვია. გრაფმა იგი მეტისმეტად თავაზიანად მიიღო. მათ მოლაპარაკებას მე არ დავსწრებივარ. მერე სტუმარმა ქალაქ მეხიკოს შემოვლა მოისურვა და მე გავყევი. ვაჩვენე ინდიელთა კაპელა და სამი ეკლესია. ამის შემდეგ ცხენებით ძველ ინდიელთა ტეოტიუაკანის პირამიდები დავათვალიერეთ. ამასობაში გავიგე, ინგლისელი მოლაპარაკებას

აწარმოებდა პრეზიდენტ მადეროსა და გენერალ უერტასთან. ამ დროს გრაფის მამული უკვე დამწვარი იყო და ვიცოდი, პრეზიდენტი გლეხების გამოსვლებისა და მემამულეთა სახლ-კარის გადაწვის გამო ინდიელებზე გაჯავრებული იყო. ამის შემდეგ ისიც გავიგე, მადეროს გენერალი უერტა მთავარ-სარდლად დაენიშნა, რომ გლეხთა აჯანყება ჩაეხშო. ეს ვერაფ-რით ვერ გავიგე, რადგან ვიცოდი, უერტა საზიზღარი არამზა-და იყო, თავის ჯარისკაცებს ფულებს ართმევდა, მათ კი დანა-შაულისაკენ უბიძგებდა. ერთ დღეს გრაფი შინ არ იყო და ამ ინგლისელს რაღაც მოლაპარაკებაზე სასწრაფოდ დასჭირდა თარჯიმანი. ინგლისელს ჩავუჯექი ავტომანქანაში და გავემ-გზავრეთ. მანქანა ერთ დიდ სახლთან გაჩერდა, ჩვენ გადმოვე-დით და ჯარისკაცმა მდიდრულად მოწყობილ ოთახში შეგვი-ყვანა. ჩემს თავს ვეკითხები, სად ვართ, აქ ალბათ ვილაც დი-დი ბატონი ცხოვრობს-მეთქი. შევედით თუ არა, გენერალი უერტა გამოგვეგება. საზიზღარ, უხეშ სახეზე ღიმილმა გა-დაურბინა. გენერალმა ხელი ჩამოგვართვა. ინგლისელს უკვე იცნობდა და პირდაპირ ჰკითხა:

— ჰო, აბა, რა ჰქენით, მოიფიქრეთ? იარაღის შესყიდვისას მე რამდენი დამრჩება?

ლამის სული შემეხუთა, როცა იძულებული გავხდი ინგლი-სელისათვის მისალმების ნაცვლად ეს სიტყვები მეთარგმნა. მაგრამ ამ ვაჟბატონ მთავარსარდალს ინგლისელიც კარგად იცნობდა და ნირი არ შესცვლია.

მერე დაიწყო გახურებული ვაჭრობა, და მე გავიგე, თუ რა საშინელი თაღლითობა ხდებოდა.

„ასე ცოტა? — ყვიროდა უერტა. — გადაყრილ იარაღს ვი-ძენ და ასე ცოტას იმეტებთ? თუ წილს გვარიანად არ მომცემთ, იცოდეთ, მიმღებ კომისიას იარაღს დავუბრუნებ“.

„კომისიას იარაღის მისაღებად თქვენი პრეზიდენტი, ბატო-ნი მადერო დანიშნავს“, — მიუგო ინგლისელმა.

„მადერო? მაგ კაცმა მთელი არმია ჩამაბარა, თვითონ კი რამდენიმე ჩამოძონძილი პოლიციელი დაიტოვა“.

„მიუხედავად ამისა, იარაღის მიმღებ კომისიას მაინც ის დანიშნავს“, — უთხრა ინგლისელმა.

უერტამ როყიოდ გაიცინა და თქვა:

„ის დანიშნავს? მერე ამ კომისიისათვის ოფიცრებს ვინ შეურჩევს? და ეგეც არ იყოს, თქვენ რა, გენერათ, რომ პრეზიდენტის მრჩეველებს ეს არ უყვართ?“ — გენერალმა ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს გაუსვა და ამით ანიშნა ფული.

ინგლისელი წელში გასწორდა და ხმას აუწია:

„ბატონო გენერალო, რახან თქვენ ასე დიდ ქრთამს ითხოვთ... — ინგლისელი მე მომიტრიალდა და მითხრა, ახლავე თარგმნე ჩემი ნათქვამი და სიტყვა ქრთამს ხაზი გაუსვიო, მერე ისევ განაგრძო: — რახან თქვენ ასე დიდ ქრთამს ითხოვთ, ეტყობა, გავიწყდებათ, რომ ჩვენს ხელთ არის ბომბი და იგი შეგვიძლია ყოველ წუთს ვისროლოთ“.

„რომელი ბომბი?“ — იკითხა უერტამ.

„გაგცემთ, რომ ინგლისელებისაგან ფულს იღებთ და მისი მოსყიდული აგენტი ხართ“.

უერტამ გადაიხარხარა.

„ბატონო ჩემო, თქვენ ალბათ გგონიათ, ეს ამბავი ინგლისელების ავტორიტეტს ძალიან ასწევს. როგორც გენებოთ. უერტა სიცილით წამოდგა და დაუმატა: ფაქტიური ძალაუფლება მექსიკისა ჩემს ხელთ არის და უფლება მაქვს იარაღი თქვენი კონკურენტებისაგან, გერმანელებისაგან ვიყიდო“.

ინგლისელი იძულებული გახდა დაეთმო და უერტასათვის მოგების დიდი წილი მიეცა. მაგრამ გენერალზე ისე გაბრაზდა, უკან რომ ვბრუნდებოდით, ჩემთანაც თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა ლანძღა. ახლა გავიგე, გრაფი იარაღის ამ თაღლითურ შესყიდვაში თურმე მთავარ როლს თამაშობდა. ამან ძალიან აღმაშფოთა და ეს ამბავი ჩემს მეგობარს გავუზიარე. ამხანაგმა მითხრა, პრეზიდენტი ჩვენი კაცია და უნდა ვენდოთო. ასე მანუგეშებდა ყველა. მე კი გაჩუმება არ შემეძლო და ყველას ვეუბნებოდი, რახან გენერალი უერტა ტრაბახობს, სახელმწიფო ხელისუფლება მე მეკუთვნისო, და რახან გრაფ არიოლასნაირ ადამიანებთან, მსხვილ მიწათმფლობელებთან, შახტების პატრონებთან და სპეკულანტებთან არის დაკავშირებული, ჩვენი ქვეყნისათვის საშიში კაცი არის-მეთქი.

არავინ მისმენდა. მეც პირში წყალი ჩავიგუბე და ვიცდიდი, რა მოხდებოდა. ერთ საღამოს ჯარისკაცი გამომელაპარა-

კა. მაშინვე შევატყვე, რომ მარიჰუანას შემოთავაზება უნდოდა. მარიჰუანა არ გამომირთმევია, ჯარისკაცს ფული ისე მივეცი და ვუთხარი:

— ჩემი ძმა ჯარში წაიყვანეს, ძალიან მაინტერესებს, როგორ ცხოვრობენ, ან სამხედრო სამსახურიდან რა გზით დავიხსნა-მეთქი.

ეს, რასაკვირველია, მოვატყუე, მინდოდა გამეგო, როგორ ცხოვრობდნენ. ჩინელთა კაფეში შევედით. ჩვენს მეტი შიგ არავინ იყო. ტკბილი ნამცხვარი მოვატანინე და ჩაის სმას შევუდექით. ჯარისკაცმა მოყოლა დაიწყო. არმიაში ახლა ძალიან ბევრი კანცელარიის მწერალიაო, ჩიოდა იგი. მე გამიკვირდა, მერედა, რა იყო ამაში ასე საშინელი. ჯარისკაცმა ამიხსნა, ისინი და ალკალდები ახალმა მთავრობამ გარეკაო. მაშინ კი მივხვდი, ჩემს საძულველ მექრთამეთა ბანდაზე ლაპარაკობდა. ის კანცელარიის ვირთხები თავის ნებაზე ათამაშებდნენ წერა-კითხვის უცოდინარ ძველ ჯარისკაცებს. „აი, როგორი ხალხი ყოფილა უერტას არმიაში“, — გავიფიქრე მე და სახლში გულდათუთქული დავბრუნდი. მისი ჯარისკაცები კალიებივით მოედებოდნენ სოფლებს, სძარცვავდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ. ყველგან ამაზე ლაპარაკობდნენ.

ჩვენს კაფეში კი ჩემი მეგობარი ლიბერალები კვლავ რეოლუციის მონაპოვარზე ლაპარაკობდნენ. მათ ყბედობაზე გული მერეოდა. მივხვდი, არ უნდოდათ დაენახათ პრეზიდენტ მადეროს უნიათობა, სამოქალაქო ხასიათის რეფორმების გატარებას აპირებდა, მაგრამ ამის ნაცვლად საკუთარ ხალხს ომი დაუწყო. ამან ისე აღმაშფოთა, აღარ ვიცი, როგორღა გავძელი იქ კიდევ რამდენიმე თვეს. შინ ჩავიკეტე და აღარავის ნახვა აღარ მინდოდა, ბევრს ვკითხულობდი, მაგრამ აღარც წიგნები მაკმაყოფილებდა. ბოლო ხანებში შევამჩნიე, გრაფი შეშფოთებული დადიოდა. ერთ დღეს პრეზიდენტ მადეროსთან მიიწვიეს. საეკვოდ მოუხშირა ინგლისელ ელჩთან და მის დამქაშ ინგლისელებთან სიარულს, თუმცა არ ვიცოდი, რისთვის დადიოდა.

ერთ საღამოს ქუჩაში შევხვდი ჩემს ყოფილ მეგობარს, „ლიბერალთა“ კაფეში დავდიოდით ერთად. იმან შემაჩერა და მკითხა: „რას გეუბნება შენი გრაფი იარაღის თაობაზე ატეხილ სკანდალზე?“

გაოცებული შევყურებდი: „რა სკანდალი, რის სკანდალი?“ — ვკითხე მე.

მან კუთხეში მიმიყვანა და წამჩურჩულა: „განა არ იცი, იარაღი, გრაფმა და მისმა დამქაშებმა ინგლისიდან რომ შემოზიდეს, გამოუსადეგარი აღმოჩნდა? ერთხელ მაინც შემოიარე კაფეში, იქ ყველაფერს გაიგებ“.

მეორე დღესვე წავედი კაფეში. ყიჟინით მომესალმნენ და მაშინვე ისა მკითხეს, შენ ხომ გრაფთან მუშაობ, რა იცი მის საქმეებზეო? ახლა კი სიამოვნებით დამიგდებდნენ ყურს.

მე ვუამბე, გენერალი უერტა ინგლისელთა მოსყიდული აგენტია და გამოუსადეგარი იარაღის შესყიდვაში მონაწილეობას იღებდა-მეთქი. „ეს ამბავი დღესვე უნდა გამოვაქვეყნოთ გაზეთში!“ — დაიძახა ერთმა ჟურნალისტმა.

შევამჩნიეთ, რომ კაფეში რამდენიმე უცხო ბატონი იჯდა, ისინი ავი თვალით გვიმზერდნენ. ფული უცბად გადაიხადეს და გარეთ გავიდნენ. ვინ იყვნენ, დღესაც არ ვიცი. ჟურნალისტი იმავე ღამეს მოჰკლეს. შინისაკენ მიმავალი გზად ერთ ჩემს მეგობარს შევხვდი. მან მირჩია, ამ საღამოსვე დასტოვე ქალაქი და თავი სადმე შეაფარეო. „მადერო ხომ ჩვენი პრეზიდენტია!“ — ვუთხარი მე. „ჰო, ჩვენია,“ — მოუთმენლად მიპასუხა მან, — „მაგრამ გენერალი უერტა დასაჭერად დაგდევს“.

შინ რომ მივედი, მსახურმა ქალმა მითხრა, ნახევარი საათის წინ გრაფის პისტოლერომ გიკითხაო. წინათ არასოდეს პისტოლეროს ჩემთან საქმე არ ჰქონია. ახლა კი მივხვდი, საჩქაროდ უნდა გავცლოდი აქაურობას. დანარჩენი უკვე იცით. ახლა როგორ მოვიქცე?

— ჯერჯერობით გლეხი ხარ,— სიცილით თქვა იერონიმომ.

— ნამდვილი გლეხი რომ ვიყო, რაღა მიშავს! — დანანებით თქვა მარიომ. — ახლა კი ვის რა ვარგო?

## მარიო მასწავლებლობას იწყებს

შემდეგ საღამოს იერონიმომ ჰკითხა მარიოს:

— კიდევ მოგვიყვები რამეს?

— აბა, რაღა მოგიყვეთ, მთელი ჩემი თავგადასავალი უკვე იცით.

ყველა დუმდა. უცბად ტრინიმ მარიოს ერთი შეკითხვა მისცა, ეს კითხვა მას შემდეგ არ ასვენებდა, რაც მოხუცმა მანუელამ ყურები გამოუჭედა ჯადოქრობაზე ლაპარაკით.

— ძია მარიო, მფრინავი ჯადოქრები თუ არსებობენ?

მარიომ მაშინვე ვერ უპასუხა. როგორ აუხსნას ბიჭს ეს?

— დაფრინავენ თუ არა ჯადოქრები? შენ ეს მითხარი: ჯადოქარი როდისმე გინახავს? — ჰკითხა ახლა მარიომ.

მაშინ მარიოს უამბეს წიწაკის ამბავი, იერონიმოს გრაფინიას მოჯადოება რომ უნდოდა ვითომ. მერე ფაშფაშა მარიანაზეც ილაპარაკეს და ისიც თქვეს, ბევრს ჯადოქრად მიაჩნიაო.

— მერე იცით, რამ დახოცა თქვენს სოფელში ამდენი ხალხი? — იკითხა მარიომ.

— სახადმა, — თქვა იერონიმომ.

— სხვადასხვანაირი სახადი არსებობს, — უპასუხა მარიომ და ინდიელებს მოუყვა წყალში მცხოვრებ პაწაწა არსებებზე. აუხსნა, რა იყო მიკროსკოპი და რომ იმ პაწაწა არსებებს მი-

კროსკოპით უთვალთვალებენ. ეს ამბები პირველად მოისმინეს ინდიელებმა და მეორე დღესაც სულ მარიოს მონაყოლზე ფიქრობდნენ.

იერონიმომ დედას უამბო მარიოს ამბავი. ამბროსიას ეჭვმა გაჰკრა გულში და მისი ნახვა მოინდომა. შეუმჩნევლად მივიდა გრაფისეულ ბაღში და დიდხანს უმზირა მარიოს, ტრინის გვერდით რომ მუშაობდა. ბიჭი უჩვენებდა, როგორ უნდა დაერგო მცენარე. მარიომ ერთ ნერგს ხელი წაავლო და ხან აქეთ შეაბრუნა, ხან იქით, თან, ეტყობოდა, ტრინის რაღაცას უყვებოდა. ბიჭი ყურადღებით უსმენდა.

ამბროსიამ იერონიმო მონახა და დიდხანს ესაუბრა. მერე ორივენი პაკოსთან და მარიოსთან მივიდნენ და საუბარი გაუბეს. ბიჭები შორიდან უმზერდნენ.

მეორე დღეს პაკო და მარიო სადღაც წავიდნენ და დაიბარეს, მალე მოვალთო. ბრაულიოსა და ტრინის ძალიან აინტერესებდათ გაეგოთ, სად მიდიოდნენ, მაგრამ მიჩვეულები იყვნენ, ზედმეტი შეკითხვები არავისთვის მიეცათ. მეორე დღეს ორივე ბიჭი იერონიმოს გვერდით მოსჯდომოდა და ჩუმად გასცქეროდნენ მიდამოს.

ბოლოს სიჩუმე იერონიმომ დაარღვია:

— ქალაქში არის სკოლები, ჩვენ კი აქ ვერაფერს ვერ ვსწავლობთ. ბატონები რომ გვატყუებენ, ვხვდებით, მაგრამ არც წერა ვიცით და არც წიგნის კითხვა.

— მარიომ ხომ იცის, — თქვა ბრაულიომ. — თუ საჭირო გახდება, ის დაგვეხმარება.

იერონიმომ თავი გადაიქნია.

— არა, წერა-კითხვა ჩვენ თვითონ უნდა ვისწავლოთ. პაკო და მარიო ამის გამო წავიდნენ ქალაქში. მარიომ თქვა: ბიჭებს წერა-კითხვის სწავლა თუ უნდათ, წიგნი და რვეულები უნდა ვიშოვოთო. პაკო ხილს გაყიდის და იმ ფულით საჭირო ნივთებს იყიდიან.

იერონიმო გაჩუმდა. ბიჭებიც დუმდნენ, თუმცა ძალიან უხაროდათ, მალე წიგნის კითხვას ვისწავლით და ბევრ საინტერესო რამეს გავიგებთ, რაც აქამდე არ ვიცოდითო.

●

მალე მთელმა სოფელმა გაიგო, რომ მამულის ნანგრევებთან აშენებულ ქოხებში მესამე კაციც ცხოვრობდა. იგი თუმცა ინდიელივით იცვამდა და მუშაობდა, სინამდვილეში ქალაქელი იყო. გლეხებს ყველა ქალაქელი მდიდარი ეგონათ. ბაღში მცხოვრებმა ხუთივე კაცმა მოილაპარაკა. მარიოს იქ ყოფნის მიზეზი არავისთვის გაემხილათ. მარიო პირველად გრაფის სახლ-კარის ნანგრევებთან მოსულმა ოთხმა სოფლელმა ბიჭმა ნახა. მარიო ბრაულიოსა და ტრინის წიგნს აკითხებდა ხმამაღლა. ესპანურად დაწერილს ბიჭები კარგად ვერ იგებდნენ და ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობას მარიო უხსნიდა.

სოფლელი ბიჭები მოშორებით გაჩერდნენ. ეს რა საიდუმლოებით მოცული წიგნი იყო? მათ ეჭვს ისიც უღრმავებდა, რომ ტრინი რაღაც უცნაურ კილოზე კითხულობდა. აბა რა იცოდნენ, რომ სკოლებში ყველა ბავშვი ასე კითხულობდა წიგნს, მათ ხომ სკოლის ახლო-მახლოც არ გაევლოთ. გადაწყვიტეს, შეუმჩნევლად ეთვალთვალათ.

ამასობაში ბრაულიომ და ტრინიმ რაღაც სხვა საქმეებს მიჰყვეს ხელი. სკამის წინ, აქამდე დასაჯდომად რომ ხმარობდნენ, ჩაიჩოქეს, ზედ თეთრი ქაღალდი დადეს და შავად მოლაპლაპე რაღაც საგანი დაადეს. ამ საგანში ბრაულიომ მოწითალო ჩხირი ჩაჰყო და ისევ ამოიღო. ასევე მოიქცა ტრინიც. მერე იმ ჩხირებით ქაღალდის კაწვრას მოჰყვნენ, მარიო კი ნელ-ნელა ლაპარაკობდა.

ჩასაფრებულ ბიჭებს იერონიმო წამოადგა თავს.

— რას იმალებით აქ, გეგონებათ ეშმაკს ულოცავენო? შეხედეთ, ბიჭები როგორ სწავლობენ წერას. ისა სჯობია, წერა-კითხვა თქვენც ისწავლოთ.

ბიჭები მოკრძალებით წავიდნენ მარიოსაკენ. მარიომ ბიჭებს შეხედა და უთხრა:

— თქვენც სასწავლად მოხვედით?

— არა, — მორცხვად თქვა ერთმა ბიჭმა. — ისე გამოვიარეთ.

— არაო? სწავლა არ გინდათ? — ჩაეკითხა ისევ მარიო.

ბიჭებმა უფრო დაირცხვინეს.

— გვინდა, როგორ არა. მაგრამ შეიძლება აქ წერა-კითხვა ვისწავლოთ? — გაბედა ერთმა.

მარიო იერონიმოს მიუბრუნდა.

— შენ რას იტყვი? შეიძლება მაგათაც ვასწავლოთ?

— მოვიფიქროთ, როგორ აჯობებს, — თქვა იერონიმომ. — ბოლოს მთელი სოფელი რომ მოგვადგეს, ყველა როგორ დაეტევა? სკოლის შენობა არ გვაქვს. მაგიდასაც ვერსად იპოვნი წამლად. დაწოლილებმა უნდა ისწავლონ წერა.

მარიოს გაეცინა. რაც ბრაულიოსა და ტრინის წერა-კითხვის სწავლება დაუწყო, აქ თავს ზედმეტად აღარ გრძნობდა. რომ წარმოიდგინა, როგორ გაწვებოდნენ მის გარშემო ბიჭები, თავი ვეღარ შეიკავა და გაეცინა.

— ეს, ცოტა არ იყოს, სასაცილო იქნება, — უთხრა იერონიმოს, — მაგრამ წარმოიდგინე, ჩვენი ხალხი სწავლას დაეწაფება! სხვაგვარად თავისუფლებას ვერ მიაღწევს.

იერონიმომ პაკო მოიხმო და აზრი გაუზიარა. სანამ ისინი მსჯელობდნენ, ოთხი ბიჭიც ერთმანეთს გაცხარებით ელაპარაკებოდა. მერე იერონიმოს მიმართეს:

— მერე რა უშავს, მუცელზე გავწვებით და ისე ვწერთ. ჩვენც გვინდა ბრაულიოსა და ტრინისთან ერთად ვისწავლოთ.

— ერთი წიგნი ექვს ბავშვს როგორ გეყოფათ? — თქვა იერონიმომ. — საწერი ქაღალდიც საჭიროა. ამას კი ფული უნდა.

— ძვირია? — დაინტერესდნენ ბიჭები.

— არა, მაგრამ მამები განა მაგისთვის ფულს მოგცემენ?

— ვკითხავთ, — თქვეს ბიჭებმა.

პაკო აქამდე ჩუმად უსმენდა, ახლა კი თქვა:

— თუკი ბიჭებს სწავლა უნდათ, ჩვენ ხელს როგორ შეეუშლით, იერონიმო?

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მარიომაც დაუმატა:

— იერონიმო, შენ ხომ გინდა, ტრინიმ ისწავლოს, სხვა ბავშვებსაც აქვთ ამის უფლება.

იერონიმომ შეხედა ბიჭების გაბადრულ სახეებს და გაეღიმა:

— კარგით, კარგით! — დაეთანხმა იგი. — მაგრამ, ბავშვებო, იცოდეთ, ამ ამბავს მთელ ქვეყანას ნუ გააგებინებთ. არ დაგავიწყდეთ, ბევრი მტერი გვყავს.

იერონიმო სწორი აღმოჩნდა: ბაღში გახსნილ „სკოლაზე“ მალე მთელი სოფელი ალაპარაკდა, განსაკუთრებით მამაკაცებმა ატეხეს დავა. თავიდან მოეწონათ, ჩვენი შვილები ისწავლიანო. მერე კი მოულოდნელი ამბავი მოხდა. სოფელში ერთი ობოლი გოგონა ცხოვრობდა, სახელად როზას ეძახდნენ. იგი დიდედასა და პაპასთან იზრდებოდა. დიდედას არ უყვარდა ეს ტანწვრილი გოგონა, თუმცა ძალიან ყოჩაღი ბავშვი კი იყო, რა გინდოდა, რომ ხელიდან არ გამოსვლოდა, მაგრამ ოჯახში ტრიალს პაპასთან ყანაში მუშაობა ერჩივნა. პაპას მუშაობა უჭირდა, განსაკუთრებით სიმინდის თოხნა და მისი მოჭრა ეძნელებოდა. ამიტომ როზას ძალიან ემადლიერებოდა და ცდილობდა ცოლი დაემშვიდებინა, როცა იგი როზას ლანძღვას მოჰყვებოდა: ეგ რა გოგოა, ლობიოს სარივით გამხმარია, მინდორში მამაკაცივით შლაპით დადისო.

ერთ დღეს როზა ბაღში მივიდა. პირდაპირ მარიოს მიადგა და მკვახედ უთხრა:

— ბატონო, მინდა კითხვა ვისწავლო!

მარიო გააოცა გოგონას ასეთმა მკვახე ლაპარაკმა.

— ჰო, — შეყოყმანდა მარიო, — კარგი იქნებოდა, ქალებსაც რომ ესწავლათ.

როზამ ასეთი პასუხი უარად ჩასთვალა და ხმაც არ ამოუღია, ისე წავიდა ბაღიდან. ამან მარიო კიდევ უფრო გააოცა. „ეს რა უცნაური ბავშვია?“

ერთი საათის შემდეგ ამბროსია და მისი ქმარი მოვიდნენ. ამბროსია პირველად მარიოს უნდობლად უყურებდა, მაგრამ მერე პატივისცემით განიმსჭვალა მისდამი, ისიც შეამჩნია, რომ ტრინი ძალიან შეეჩვია მას. ვახშმობის დრო იყო და ამბროსიას ცხელი მჭადებიც მოეტანა.

ნავახშმევს ამბროსიამ იკითხა, როზას რა დაემართაო. იერონიმომ უპასუხა, რაღაც უცნაურად იქცეოდა და უცბად გაბრუნდაო.

ამბროსიამ თავი უკმაყოფილოდ გადაიქნია.

— რა დაუფიქრებლები ხართ მამაკაცები. ასეთი შეუბუმბლავი ბუკი რომ მოვა თქვენთან და თავისი გულის საფიქ-

რალს გადაგიშლით, როგორ შეიძლება, ეგრე გულგრილად შეხვდეთ? ისე კი თავდაჯერებულები ბრძანდებით, ძლიერები ვართ და ქალებისათვის დახმარების გაწევაც ყოველთვის შეგვიძლიაო. მეტი ყურადღებით უნდა მოექცეთ როზას. იმ ნატანჯი გოგოსთვის ვინმეს რომ დახმარება ეთხოვა, უარს არ იტყოდა. იერონიმო, შენ უფრო გონიერი მეგონე. როზას ხვალ მე მოვიყვან. იმასაც უნდა ასწავლოთ!

იერონიმომ თავი ჩაკიდა:

— დედა, ეს მარიოს უნდა ვკითხოთ. ის არც ბაღში მუშაობას იკლებს, მერე ბავშვებს ასწავლის. ჩვენ კი რითი ვუხდით?

სანამ ამაზე ამბროსია რამეს იტყოდა, გულაჩუყებულმა მარიომ უპასუხა:

— რას ამბობ, იერონიმო?! არაფერი არ მინდა. შენთან ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. წინათ ცუდი ხალხისათვის ვმუშაობდი და ცხოვრებითაც ცუდად ვცხოვრობდი. უძლურების გამო ჯავრს გულში ვიკლავდი. ახლა კი? თქვენ საკუთარ ძმასავით მიმიღეთ. არ მეშინია საკუთარი აზრის გამოთქმისა. აქამდე მხოლოდ ვოცნებობდი, როდისმე უკეთესი საზოგადოება შეიქმნება-მეთქი, ის კი არ ვიცოდი, ეს საზოგადოება თურმე უკვე ყოფილა შექმნილი.

— მონების საზოგადოება, არა? — უკმაყოფილოდ ჩაურთო ამბროსიამ.

მისმა გაჯავრებულმა კილომ ყველა შეაშფოთა.

— ამბროსია მართალია, — თქვა პირველად პაკომ, — ბევრი რამ, რაც მარიოს ჩვენთან მოსწონს, ჩვენც გვიყვარს. მაგრამ, მარიო, შენ ხომ იცი, მე ტეპოტლიდან გამოვიქეცი? მერე რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი გლეხები ბატონის წინაშე მუცელზე ხოხავენ. შენ, ეტყობა, მოგწონს, რომ ასე ვუხრით ქედს. ეშმაკმა დასწყევლოს ასეთი სისუსტე. თუ ასეთ უძლურებას ვუჩვენებთ, ბატონები ათას წელიწადს კიდევ გვასხდებიან კისერზე.

ტრინი შესცქეროდა ჩამავალ მზეზე აწითლებულ პაკოს სახეს, მის მოელვარე შავ თვალებს. ტრინი აღტაცებით შეჰყურებდა მას, მაგრამ მარიოც ეცოდებოდა, ასე რომ უტევდნენ. მარიოსი კარგად ესმოდა ტრინის. ორიოდ კვირაში ეს ადამია-

ნი მთლად შეიცვალა. პატიოსან ხალხში ყოფნამ ძალიან გაამ-ხიარულა.

დუმილი ამბროსიამ დაარღვია:

— მარიო, მაშ ასწავლი როზას? იმას წიგნისა და ქაღალ-დის ყიდვა არ შეუძლია. დიდედა და პაპა ღარიბები ჰყავს. დი-დედას ისედაც სძულს გოგო.

— გამომიგზავნე, დედა ამბროსია, — თქვა მარიომ.

-- კიდევ ერთი რამ მინდოდა მეთქვა, — განაგრძო ამბრო-სიამ. — თქვენ, მამაკაცები, რას ფიქრობთ? ბიჭებს ასწავლით და თქვენ კი გინდათ სულელებად დარჩეთ?

ტრინიმ და იერონიმომ ერთმანეთს გადახედეს. ტრინიმ თავი დახარა, რომ სიცილი დაეფარა. მაგრამ ამბროსიამ ამას ყვალი შეასწრო და იკითხა:

— თქვენ რა საიდუმლო გაქვთ, მანდ?

იერონიმოს შერცხვა, თვალი მარიოსაკენ გააპარა და ხმა-დაბლა თქვა:

— სწორი ხარ, დედა, მართლაც საიდუმლო გვქონდა. მა-რიოსაც ვუმალავდით. ყოველდღე მე და ტრინი სადმე მივიმა-ლებით ხოლმე და ტრინი ყველაფერს მიხსნის, რასაც მარიო ასწავლის. პაკო და მისი ვაჟიშვილი ბრაულიოც ასე შვრებიან.

— ერთი ამათ უყურე! ამიტომ იკარგებოდით ხოლმე? — გადაიხარხარა მარიომ. — ეს რა სისულელე მოგიფიქრებიათ? განა სწავლა სასირცხვილო საქმეა?!

ამბროსიამ თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია.

— არაფერი სირცხვილი არ არის! მეც სიამოვნებით ვის-წავლიდი, მაგრამ, აბა, სადა მცალია? ყანიდან მოსულ მშიერ კაცს საჭმელი უნდა დავახვედრო. მაშ ასე, ხვალ როზას მოვი-ყვან. გინდაც არ მოგეწონოთ, მაინც უნდა დაეხმაროთ.

აბის შემდეგ როზა ყოველდღე დადიოდა სამეცადინოდ. ძა-ლიან ცდილობდა, მაგრამ კარგად ვერ სწავლობდა. მარიო მას გაცილებით მეტ დროს ანდომებდა, ვიდრე სხვა მოსწავლეებს. ბაღში და მინდორში რომ მუშაობდა, მაშინაც იმაზე ფიქრობ-და, ეს თავის თავში ჩაკეტილი გოგო ასე ძნელად რატომ ითვი-სებსო. მარიომ შემდეგ გაიგო, შინ რომ დაბრუნდებოდა, თურმე რა დღეში აგდებდა დიდედა. ცემით არ სცემდა, მაგრამ დაუსრულებლად ლანძღავდა და თათხავდა. როზას თითქოს არ

ეამოდა დიდედას ლანძღვა, დაავლებდა ხელს მამაკაცის ქუდს, ზონარს ნიკაპქვეშ მაგრად შეიკრავდა და პაპასაკენ გაეშურებოდა, ამოუდგებოდა გვერდით და ხმის ამოუღებლად მუშაობდნენ.

ერთ დღეს დიდედამ ჰკითხა შვილიშვილს:

— შენ თვითონ მითხარი, აბა, შენ რა ქალიშვილი უნდა იყო? — მერე გრძელ ქადაგებას მოაყოლებდა, თუ როგორი უნდა იყოს ქალი. მუხლებზე ჩაცუცქული როზა კი სიმინდს ფშვნიდა. დიდედას გახედა, მერე წამოდგა და თქვა:

— ახლავე გიჩვენებ!

— სიტყვასაც მიბრუნებ? — უყვირა მოხუცმა.

როზამ ყური აღარ უგდო, ფართო კალათას დაავლო ხელი და შიგ თავისი დაკონკილი საცვლები და სიმინდის საჭრელი ჩააგდო.

გაბოროტებული დიდედა თვალს ადევნებდა.

— საით აპირებ?

— შორს აქედან! — თქვა როზამ და წავიდა.

დიდედა ერთხანს გაშტერებული შესცქეროდა მიმავალ შვილიშვილს, მერე აცახცახებული ხმით დაუძახა როზაო, მაგრამ გოგონა აღარ მობრუნებულა.

ნახევარი საათის შემდეგ ის უკვე ბაღში იყო. იერონიმო გაკვირვებით შესცქეროდა გოგოს, კალათით ხელში ამ დროს რამ მოიყვანაო.

— შეიძლება აქ დავრჩე? — იკითხა როზამ. — ვიმუშავებ და საჭმელსაც მოგიმზადებთ.

— მერე თქვენები?

— ისინი ჩემები აღარ არიან, — მტკიცედ განაცხადა გოგონამ.

იერონიმო მიხვდა, უარი აღარ გაუვიდოდა, და თავისი ნივთების დასაწყობი ადგილი მიუჩინა.

საღამოთი როზას პაპა მოვიდა და ეხვეწებოდა, შინ წამოდიო, მაგრამ როზა აღარ გაჰყვა.

## დავა სოფელში

ამ ამბავმა ისედაც მოთმინებადაკარგული მთელი სოფელი ერთბაშად ააყაყანა. როზას დიდედა მეზობლებში დარბოდა და იერონიმოსა და მის სკოლას წყევლა-კრულვას უგზავნიდა. ახალგაზრდობას ეს ამბავი ჯერ სასაცილოდ არ ეყო, მაგრამ ორი დღის შემდეგ გორაზე მათ კრება მოიწვიეს და იმ ოთხ ბიჭს დაესხნენ თავს, ბაღში რომ სწავლობდნენ.

— ვერა ყოფილხართ კარგი ამხანაგები. რატომ ჩვენც არ გვითხარით? გინდათ ნასწავლი ბატონები გახდეთ, ჩვენ კი ისევ სულელებად დავრჩეთ?

ბიჭები ისე ყვიროდნენ, იქვე ყანაში ერთი გლეხი მუშაობდა, მივიდა მათთან, რა დაგემართათო. ბიჭები გაჩუმდნენ, გლეხი კი ისევ უკან გაბრუნდა. ახლა უფრო ხმადაბლა განაგრძეს დავა.

— აბა, ჩვენ რა გვექნა? — ამბობდა იმ ოთხიდან ერთ-ერთი. — იერონიმომ ასე გვითხრა, მთელ ქვეყანას არ გააგებინოთო. წესიერი ადამიანი ბევრს არ ლაქლაქებს.

— კარგი, იერონიმოს მოველაპარაკოთ, — თქვა ერთმა.

— მოველაპარაკოთ, მოველაპარაკოთ, — აყაყანდნენ სხვებიც.

— ჩვენც გვინდა სწავლა.

— ბაღში წავიდეთ!

იქაურობა რომ მიყუჩდა, გლეხმა თავი ასწია და დაინახა, რომ ბიჭების გრძელი რიგი ბუჩქებსა და აყვავებულ კაქტუსებში მიიკლაკნებოდა, ტანთ ჭუჭყიანი თეთრი სამოსი ეცვათ და თავზე ჩამოძონძილი ჩალის ქუდები ეხურათ.

— ნეტა რა მოიგონეს ამ ყვინჩილებმა, — ჩაილაპარაკა გლეხმა.

●

ბიჭები იერონიმოსაკენ რომ გარბოდნენ, ამ დროს სოფელში ქალები ერთი ქოხის წინ შეკრებილიყვნენ და გაცხარებით ლანძღავდნენ მარიოს.

— ბავშვებს გვისულელებს, — ამბობდა ერთი ქალი, — ეგ... მას სიტყვა ექიმბაშმა მარიანამ შეაწყვეტინა:

— ინდიელებმა ჩვენი წინაპრების სიბრძნე არ უნდა დაკივიწყოთ. ეგ საიდანღაც მოთრეული მარიო კი ბავშვებს იმას ასწავლის, რასაც ესპანელები სწავლობენ. ბავშვებს უთხრა, ჩვენს სხეულში, — მარიანამ თავის მუცელზე დაიდო ხელი,— პატარ-პატარა ცხოველები ცხოვრობენო. ამიტომ რაღაც ფხვნილები უნდა ვყლაპოთ, ის ცხოველები რომ დაიხოცონო. წარმოგიდგენიათ, ხალხმა შხამი უნდა დალიოსო! მე გირჩევთ, არ გაგზავნოთ მასთან ბავშვები.

— ჩემი როზა იმან მოაჯადოვა! — დაიკვნესა როზას დედამ. — ვინ იცის, ხალხს როგორ აჯადოვებს! ალბათ, სწორედ ამის გამო გარბიან მასთან ბავშვები. იმის თავდები ვინ იქნება, ბევრ ბავშვს რომ გადაიბირებს, ისინი სადღაც არ გაიტაცოს?

აღელვებული მზარეული პადრე ფელიქსს ბაღის ამბებს მოუყვა. ბოლო ხანებში ხუცესი თავისთვის წყნარად იყო. ბატონის გაქცევის შემდეგ მისი სამრევლო ახლო-მახლო ყველაზე მშვიდობიანი გახდა. ამის გარდა, ტრინის მისთვის ყოველდღიურად საუკეთესო ხილი და ქორფა ბოსტნეული მიჰქონდა, რასაც უწინ გრაფის ოჯახი მიირთმევდა. ხუცესმა რამდენჯერმე იფიქრა, აეყვანა ეს ლამაზი და საზრიანი ბიჭი და ესწავლებინა. ამისგან, ალბათ, კარგი მოძღვარი და მჭევრმეტყველი გამოვაო. ინდიელი მქადაგებლები მექსიკელთა ეკლესიებში აქა-იქ თუ შეგხვდებოდათ. პადრე ფელიქსის სულიერი ძმები ხშირად აუტანელ სისულელეებს ქადაგებდნენ კათედრებიდან. ამიტომ გასაკვირი როდი იყო, რომ წირვა-ლოცვაზე მხოლოდ ქალები დადიოდნენ. მაგრამ ხუცესმა ვერ იქნა და ვერ მოაბა საქმეს თავი. ახლა კი გაიგო, რომ ტრინი თურმე უკვე სწავლობდა, თანაც ვიღაც საეკვო კაცთან. ნეტავი სოციალისტი ხომ არ არის?

ამან მოძღვარი ისე ააღელვა, რომ სიზარმაცეს სძლია, გრძელი, შავი ანაფორის ღილები შეიბნია, რასაც იშვიათად აკეთებდა ხოლმე, ხელში ჯოხი დაიჭირა და მტვრიან ორღობეში გავიდა. გზად რამდენიმე ქალი შემოხვდა. ისინი მორჩილად მიესალმნენ. მამაკაცები ჯერაც მინდორში იყვნენ. ოფლისღვრით მიაღწია ბრტყელთავიან ბორცვს. დაბლა რომ გადაიხედა, ბაღების მხარეს კარგა ბლომად ხალხს მოჰკრა

თვალი. მათ ჩალის ქუდები ეხურათ და მისკენ მოეშურებოდნენ. ხუცესმა სოფლის ბიჭები იცნო. წინ მომავალმა ბიჭმა, ეტყობოდა, უცბად შეამჩნია ბორცვზე მომდგარი ხუცესი და გვერდზე გადაუხვია. ამაში პადრე ფელიქსი ალბათ ცუდს ვერაფერს დაინახავდა, თავისი მზარეულისაგან ასე გაზვიადებულად რომ არ მოესმინა, რა გამხრწნელ მოქმედებას ახდენდა მარიო ბავშვებზე. ბავშვების დანახვამ ეჭვები კიდევ უფრო გაუძლიერა. ბიჭებმა აშკარად აარიდეს თავი მოძღვართან შეხვედრას.

ხუცესი ფელიქსი ისე გაიტაცა ფიქრებმა, რომ აყვავებული ბაღნარი ვერც კი შენიშნა. დაბლა კარგად გამარგლული

ბოსტნეულის კვლები ჩანდა, ლიმონისა და ფორთოხლის მუქმწვანე ფოთლებში მრგვალი, ოქროსფერი ნაყოფი ანათებდა. ყველაფერს კაცის მზრუნველი ხელი ეტყობოდა. ღიამწვანე ფოთლებიან ლეღვის ხეებს ტოტები განზე გაეწრათ, ერთი ქოხის გვერდით კი მანგოს დიდი ხე იდგა. ირგვლივ ნოტიო მიწისა და მცენარეთა სურნელება ტრიალებდა.

ხის ჩრდილიდან ტრინი გამოვიდა და ხუცესს თავაზიანად მიმართა:

— საღამო მშვიდობისა, ბატონო მოძღვარო. თქვენ თვითონ ხომ არ ინებებდით ბოსტნეულის შერჩევას? აი, ეს კოლასისა სულ ქორფაა, უმადაც კი შეიძლება მისი ჭამა. ძალიან გემრიელია. მოგართვათ, გასინჯავთ?

ხუცესი ბავშვის ასეთმა თავაზიანმა მისალმებამ და გამოლაპარაკებამ სულ დააბნია, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა აქაურებს მკაცრად მოპყრობოდა და მაშინვე ეკითხა, რა აზრისანი იყვნენ ქრისტეს წმინდა საყდარზე.

— გმადლობთ, შვილო ჩემო, — უფრო თავაზიანად უპასუხა ხუცესმა, ვიდრე აპირებდა. — ხილისა და ბოსტნეულისათვის არ მოვსულვარ. — ხუცესი კოლრაბს ათვალიერებდა. ამით ისარგებლა ტრინიმ და თვალი შეასწრო იერონიმოსა და მარიოს. ისინი კედლის უკან მიიმალნენ.

— აქ მცხოვრებ კაცებს მინდოდა მოვლაპარაკებოდი, — თქვა ხუცესმა.

— აქ არავინ არის, — ძალიან თავაზიანად უპასუხა ტრინიმ. ასეთ თავაზიანობას უფრო იმიტომ იჩენდა, რომ სიცილს ძლივს იკავებდა.

— ეს სოფლის ბიჭები სადღა წავიდნენ, აქ არ იყვნენ? — დაეჭვდა ხუცესი.

— მართალია, იყვნენ და კაცებიც სწორედ იმათ გაჰყვნენ.

— სად წავიდნენ?

ამაზე კი ალალბედზე უპასუხა:

— ჩემს დიდედასთან.

— მაშ მეც იქ წავალ, — გაჯავრდა ხუცესი და ორღობეში გამობრუნდა.

ტრინი შორიახლო მიჰყვა და ბუჩქებში შეუხვია, სადაც ბიჭები იმალებოდნენ. ბიჭები სიცილ-ხარხარით მიეგებნენ და ჰკითხეს, პადრე რისთვის მოსულაო.

— ახლა რა ვქნათ? — იკითხა პაკომ. — ეგ ამბროსიასთან მივა, ჩვენ კი იქ არ დაგხვდებით.

— მე გავიქცევი დიდედასთან, — თქვა ტრინიმ, — როგორც მაშინ, ის ზორზოხა მოსამართლე რომ მოვიდა.

— კარგი, — თქვა იერონიმომ.— იმას დედაჩემი მოუვლის.

— მეც გავყვები, რა? — დაიღრიჯა ბრაულიო.

— მეც მინდა, — დაუმატა როზამ.

ყველამ როზას შეხედა.

— შენც წახვალ, გოგო?

— ჰო, კარგით, სამივენი წადით, — დაეთანხმა იერონიმო სიცილით. — ოღონდ ეცადეთ, ხუცესი ამბროსიასაგან სადმე სხვაგან გაგზავნოთ. იმდენი უნდა არბენინოთ, ჩვენთან მეორედ მოსვლის მადა დაეკარგოს. ეგენი ყველანი ბატონების მეგობრები არიან. ხუცესები ბატონების მეკავშირენი არიან და ცდილობენ ჩვენ ჩაგვაგონონ, ბატონს ღალა აძლიეთო. ყველა სოფელში ასეა. ახლა კი ამბროსიასაკენ მოუსვით! — შეუცაცხანა ბავშვებს იერონიმომ.

ბიჭებს დიდად არ ეპიტნაევებოდათ გოგოსთან ერთად სირბილი, მაგრამ როზა ორივეზე ბევრად უფრო დიდი იყო და იმათ არ ჩამორჩენია. ტრინიმ ახლა შეამჩნია, რომ როზა არცთუ ისე მოუხეშავი იყო, როგორც წინათ ეჩვენებოდა. სირბილისაგან სახე შეეფაკლა და ახლა ლამაზი გოგონა გამოჩნდა.

გორაკზე რომ ავიდნენ, დაბლა ორღობეს გააყოლეს თვალი. შავანაფორიანი ხუცესი სოფლისაკენ ნელა მიაბიჯებდა. ამბროსიას ქოხამდე მისვლას კიდევ კარგა ხანი მოუნდებოდა. ბავშვები სულისმოსათქმელად შედგნენ.

— იცით, რა ვიფიქრე? — თქვა ბრაულიომ. — რა კარგი იქნება, იქაც რომ არავინ დახვდეს და უფრო შორს გაგზავნონ. დაე, საღამომდე ირბინოს!

— მერე ვინ შეხვდება? — იკითხა ტრინიმ. — მე ვერ შევხვდები. სწორედ ახლა ველაპარაკე ბაღში.

— ვერც მე, — თქვა როზამ, — კარგად მიცნობს და დიდედასთან წაყვანას მომინდომებს.

— მაშ, მარტო შენ უნდა შეხვდე, ბრაულიო, მაგრამ სად წაიყვან?

— რამეს მოვიფიქრებ, — მიუგო ბრაულიომ.

— რომ გკითხოს, ვინა ხარო, რას ეტყვი? — ჰკითხა როზამ.

— ტრინის პაპის დის შვილიშვილი ვარ-მეთქი.

პაპის დის შვილიშვილზე ბავშვებმა ბევრი იცინეს და სოფლისკენ სირბილით დაეშვნენ. ბრაულიო წინ გარბოდა, შუაში როზა და სულ ბოლოს პატარა ტრინი მირბოდა.

●

სახეზე ალმურმოდებული და ოფლში გაღვრილი ხუცესი, როგორც იქნა, მიადგა ამბროსიას ქოხს. ფარდულის უკანიდან, ვითომ შემთხვევით, ბრაულიო გამოვიდა.

— კუევასები შინ არიან? — იკითხა ხუცესმა.

— არა, ყველა წასულია.

— სად წავიდნენ?

— აი, იქ, გორაზე ერთი ორმოა. ქვებს აგროვებენ.

— შორსაა ეგ ორმო?

— არა, ბატონო მოძღვარო. თუ გინდათ, გამოგყვებით.

ბრაულიომ ხუცესი ჯერ სოფლის განაპირას გაიყვანა, გზაში თავისი თავიც გააცნო, დაწვრილებით უამბო თავიანთი ოჯახის ამბები. უთხრა და-ძმების სახელები, ვინ როდის და რით გარდაიცვალა. ხუცესს მისი ლაქლაქი მალე მობეზრდა. ბრაულიომ მერე გზიდან გადაახვევინა და ოღრო-ჩოღრო ბილიკზე გაიყვანა. ერთხანს ეკალბარდებსა და ქვებში მიდიოდნენ და უკან დაბრუნება მოუხდათ.

ბოლოს პადრე ფელიქსმა იკითხა:

— მალე მივალთ?

— აი, ამ პატარა გორაკის უკანა არის, აქვე...

მაგრამ ეს პატარა გორაკი პატარა სულაც არ აღმოჩნდა. ხუცესი მალ-მალე იხდიდა შლიაპასა და ცხვირსახოცით ოფლს იწმენდდა.

ბოლოს, როგორც იქნა, გორაზე ავიდნენ და გარშემო მიიხედ-მოიხედეს. ბრაულიო ისე იქცეოდა, თითქოს გზა დაებნა. ხან აქეთ გარბოდა, ხან იქით, ვითომ გზას ეძებდა. ხუცესმა მოთმინება დაკარგა. სქელი ტანსაცმელი ეცვა და საშინლად გაოფლიანდა, თან წყურვილი ახრჩობდა. ისე დაიღალა, ფეხზე ძლივს იდგა.

მზე გადაიხარა. ბრაულიომ მშვენივრად იცოდა, როგორ უნდა გასულიყვნენ გზაზე, მაგრამ უნდოდა, ხუცესისათვის გზა-კვალი აებნია და სულ სხვა მხარეს წაიყვანა. ხუცესი მხოლოდ თავის ფეხებზე იყურებოდა და ვერაფერს მიხვდა.

●

ამბროსია ბაღში გაჯავრებული მოვიდა. გაჯავრების მიზეზი ქმრისთვის არც უთქვამს. ხასინტო გულკეთილი და პრაქტიკულ საქმიანობაში დიახაც მარჯვე კაცი იყო, მაგრამ ასეთ ამბებში...

ამბროსიამ მაშინვე იერონიმო მოძებნა და უთხრა:

— სალაპარაკო მაქვს შენთან.

— ბავშვებიც იყვნენ?

— სწორედ მაგათზე მინდა გელაპარაკოთ.

მანგოს ძირში ჩამოსხდნენ.

— სოფელში თქვენი გულისთვის ერთი დავაა ატეხილი, — დაიწყო ამბროსიამ. — მარიანა და სხვებიც ამტკიცებდნენ, როზა წაიყვანეს და მოაჯადოვესო. მარიოზე ამბობენ, ჩვენს შვილებს რასაც ესპანელები სწავლობენ, იმას ასწავლის, უნდა ისევ ესპანელი ბატონის ხელში ჩაგვყაროსო. — ამბროსიამ შავი თვალები მიანათა მარიოს, პასუხს ელოდა.

— დედილო ამბროსია, — დაიწყო მარიომ. — არის მეცნიერება, რომელიც ესპანელებმა მხოლოდ იმიტომ შემოიტანეს აქ, რომ ინდიელები მონებად გაეხადათ. ეს მეცნიერება ეკლესიის მეცნიერებაა.

პაკომ თავი დაიქნია და დაუმატა:

— ეკლესია ბრძანებს, დაემორჩილეთ ბატონებს და ქედი მოუხარეთო. ამიტომ გამოვიქეცი ტეპოტლიდან. იქაური გლეხები ისევ ბატონის ყმებად იქცნენ. მარიოც ჩემსავით წინააღმდეგია ეკლესიისა.

— ისინიც სწორედ ამას გაბრალებენ,—თქვა ამბროსიამ.— მათი აზრით, თქვენ ერეტიკოსები ხართ. ავსულებსაც კი გიწოდებენ.

— დედა, შენ ხომ კარგად გვიცნობ, რა ავისულებიცა ვართ, — გულღიად თქვა იერონიმომ.

— საქმეც სწორედ მაგაშია და მეც ამიტომ ვბრაზობ. მარიო, შენ თითქოს გითქვამს, ჩვენს სხეულში პაწაწა მხეცები ცხოვრობენ და ის მხეცები შხამით უნდა მოვწამლოთო. მაშინ ხომ ჩვენც მოვიწამლებით?

— შენთვის, დედილო ამბროსია, ყველაფერი არ უთქვამთ.

— ყველაფერი არ უთქვამთ?

— თვითონ ბავშვებმა მკითხეს, — დაიწყო მარიომ, — მარიანა მართლა ჯადოქარიაო? ისიც მკითხეს, მართლა თუ შეუძლია ჩიტად ან მხეცად გადაიქცეს, ან ამას როგორ ახერხებსო. აი, ხომ ხედავ, დედილო ამბროსია, ბავშვები როგორ სერიოზულ შეკითხვებს იძლევიან? ასეთ დროს სერიოზულადაც უნდა უპასუხო. მე ხომ ვიცი, ჟამიანობის დროს მარიანა როგორ მკურნალობდა ავადმყოფებს. ბალახის ღერებს ხარშავდა და ასმევდა, თავს ხელსახოცით შეუკრავდა. მექსიკაში ყველა ექიმბაში ასე აკეთებს. ბავშვებს ვუთხარი, ხელსახოცით თავის შეკვრა ვერაფერს უშველით, რადგან ავადმყოფის სხეულში პაწაწინა არსებანი ცხოვრობენ. ისინი მხოლოდ მიკროსკოპში ჩანს. აი, სწორედ მათ უნდა შევებრძოლოთ-მეთქი.

— ახლა გავიგე, — მიუგო ამბროსიამ, — მაგრამ როგორ უნდა მოვწამლოთ ისინი ჩვენს სხეულში?

მარიო ჩაფიქრდა. ყველა მას მისჩერებოდა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მარიომ დაიწყო:

— განა ცხოველებს ყველაფერი სწყენთ, რაც ადამიანს კლავს? აი, მაგალითად, ჩვენ იონჯას ვჭამთ? არა, ძროხა კი იმას რომ ჭამს, ჯიქანი ნოყიერი რძით ევსება. სხვაც ბევრი რამაა, რაც ადამიანს რგებს, ცხოველებს კი ვნებს. თევზი რომ წყლიდან ამოვიყვანოთ, მოკვდება, ადამიანი კი უჰაეროდ ვერ ცოცხლობს. აი, ასე, ჩვენმა ექიმებმა იპოვნეს ისეთი ნივთიერებანი, ადამიანს რომ არაფერს ვნებს, მისი სხეულიდან კი ავადმყოფობას სდევნის.

ამბროსია ყურადღებით მისჩერებოდა მარიოს. მერე ურწმუნოდ თქვა:

— მაშ შენ ექიმების მომბრე ხარ, ჩვენი მკურნალობისა კი არაფერი გჯერა, არა? მე ჯერ ერთი ექიმიც კი არ მინახავს.

— საქმეც სწორედ მაგაშია, — საუბარში მაშინვე ჩაერია იერონიმო. — ნახევარი სოფელი ლოგინად რომ იყო ჩავარდნილი, გრაფს ვთხოვე, ექიმი მოიყვანეთ-მეთქი, იმას კი ყურიც არ გაუპარტყუნებია. ესპანელებმა ეკლესია გაგვიხსნეს, ექიმის მოყვანა კი, დროულად რომ გვიშველოს, აზრადაც არ მოსდით. სწორს არ ვამბობ? ჩვენ ჩვენი საკუთარი ექიმები უნდა გვყავდეს, რომ ინდიელებს დაეხმარონ. აი, მაგალითად, ტრი-

ნის რომ მოენდომებინა ექიმი გამხდარიყო, წერა-კითხვის უსწავლელად შესძლებდა ამას? მაშასადამე, უნდა ვისწავლოთ, აუცილებლად უნდა ვისწავლოთ.

წარბშეკრული ამბროსია შორს იყურებოდა. ვერ იქნა და ეპვი თავიდან ვერ მოიცილა.

მაშინ პაკომ მტკიცედ თქვა:

— თქვენ იცით, რომ უერტას არმია ჩვენს ქვეყანას აოხრებს. ეს არმია ბატონებს იცავს. ბატონები კი უნდა გავრეკოთ. თუ ასე არ მოვიქეცით, არასოდეს არ გვეღირსება მშვიდობა. რატომ ვცხოვრობ მე აქ, იერონიმოსთან? იმიტომ, რომ ჩემს საკუთარ სოფელში დაბრუნება არ შემიძლია. მარიოს რაღა დარჩენია აქ? თავის ქალაქში ეგეც ვერ დაბრუნდება. — პაკო ცოტა ხანს შედგა და მერე ისევ განაგრძო: — ერთი რამე გამახსენდა. აი, როგორ უნდა მოვუღოთ მარიოზე სულელურ ლაპარაკს ბოლო. ავდგეთ და ვუთხრათ ხალხს, რამ მოიყვანა მარიო ჩვენთან. ეგეც ხომ ბატონების წინააღმდეგია. ამბროსია, სწორედ ასე უთხარი ხალხს! ჰოდა, თუ მაშინაც რაიმე მარიოს საწინააღმდეგო თქვეს, ადექი და პირში მიახალე, — გეტყობათ, თქვენ ბატონების მომხრე ყოფილხართ-თქო.

ამბროსიამ თავი ასწია და მტკიცედ თქვა:

— სწორედ ასე ვეტყვი!

●

ტრინის დიდედა და პაპა სოფელში შებინდებისას დაბრუნდნენ. ეკლესიას რომ მიუახლოვდნენ, ერთი ქალი გამოიქცა მათკენ. იგი ხუცესის მზარეული იყო.

— იერონიმოსთან იყავით?

ამბროსია ჩაფიქრდა, ეს საიდანღა გამოტყვრაო.

— ჰო, ვიყავით.

— მისი უნეტარესობა ისევ იქ არის?

— არა, კარგა ხანია წამოვიდა.

— ოჰ, რა უბედურებაა! — ამოიგმინა მზარეულმა. — ნეტავ, რაიმე ხიფათს ხომ არ გადაეყარა?! წმინდაო მარიამ, რძე გადმომივა! ბატონ ხუცესს ურძეოდ ხომ ვერ დავტოვებ! ნე-

ტავ რა დაემართა? — მზარეული ისევ ფაცხა-ფუცხით შევარდა სახლში.

ამბროსია ქმარს მიუბრუნდა:

— მაგას ხუცესის დაკარგვა ისე არ ჰკლავს, როგორც ადგილის დაკარგვა აწუხებს. არა მჯერა, ახალმა ხუცესმა ეგ ყბედი დედაკაცი ისევ მზარეულად დაიყენოს. მაგრამ ეგ ხუცესი სად დაიკარგა, ნეტავ?

●

ბრაულიომ პადრე ფელიქსს ხელი მიაშველა და ბილიკზე ფრთხილად წაიყვანა. ხუცესს გრძელი ანაფორა რამდენიმე ადგილას გაეხა. ხუცესს იმისი შიში ჰკლავდა, გზა რომ ვეღარ ვიპოვოთ, რა გვეშველებაო. გაეგონა, ამ მხარეში მგლები და ვეფხვები იცისო, და ძალიან ეშინოდა, მაგრამ გონს რომ მოიკრებდა, გაახსენდებოდა, შინაური ცხოველებიდან აქ მხოლოდ ბოცვერსა და სვავს თუ შეხვდებოდით. იმას კი ვერ ხვდებოდა, რომ ბრაულიომ მშვენივრად იცოდა გზა და კარგადაც გაიკვლევდა. ცა ვარსკვლავებით იყო მოფენილი, გლეხის ბიჭები კი ვარსკვლავების მიხედვით ჩინებულად იგნებენ გზას.

ბრაულიო უკვე ხედავდა გზის თეთრ ზოლს, რომ ხუცესი ფელიქსი შეჩერდა:

— საით მიგყავარ? იცი, ამჟამად სად ვიმყოფებით?

— კარგად ვიცი, აი, ახლავე გავალთ გზაზე.

— არა მჯერა, — ურწმუნოდ თქვა ხუცესმა, მაგრამ ბრაულიოს მაინც მიჰყვა და ძალიან გაუკვირდა, როცა გზაზე მართლა მალე გავიდნენ. ხუცესს იმედი მოეცა, რძიანი ყავის დალევას ახლა აუცილებლად ვეღირსებიო. თუკი როდესმე კარგი მეგზური დასჭირდებოდა, უთუოდ ამ ბიჭს წაიყვანდა, მაგრამ სახელი რა ჰქვია? ჰო, ძალიან უცნაური სახელი ჰქვია: ბრაულიო.

## სოფლის ახალგაზრდობას სწავლა სურს

ბაღში არსებული სკოლის წინააღმდეგნი მხოლოდ ქალები როდი იყვნენ, მათ ფეხის ხმას რამდენიმე მამაკაციც აჰყვა: წინათ გლეხებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ და არც ახლა გვეჭირდებაო. ახალგაზრდობას კი სწავლა სურდა.

ერთ დილას მათთან ტეპოტლიდან ოთხი ბიჭი მოვიდა კნაჭას მეთაურობით და მარიოს სთხოვეს, რამდენიმე დღით ჩვენ სოფელში წამოდი და წერა-კითხვა გვასწავლეო.

მარიო პაკოს მოელაპარაკა, როგორ მოვიქცეო.

— ფრთხილად იყავი, — უთხრა პაკომ, — მაგ სოფელში ბატონია. ბატონ ტორესს შეუძლია თავისი ზედამხედველები მოგისიოს. მე არ მინდა, ტეპოტლაში რომ წახვიდე.

საუბარში კნაჭა ჩაერია.

— ამაზე ჩვენც ვიფიქრეთ. ჩვენი სოფლის ახლოს მეორე სოფელია, იმ სოფელს ბატონი არა ჰყავს. იქ ახლოს ერთი ღრმა ხევია. ამბობენ, წინათ იქაც სოფელი იყო, მაგრამ ესპანელმა ბერებმა დაანგრიესო. ამ ხევში მარიოს ქოხს ავუშენებთ. ამ ქოხში ასწავლოს ორივე სოფლის ახალგაზრდობას. იქ კარგი წყალია, საჭმელსაც ყოველდღე მივუტანთ.

— რამდენი ბიჭი მოვა? — ჰკითხა მარიომ.

— სულ ცოტა სამოცი, — თქვა კნაჭამ.

— ჩვენ სულ რამდენიმე წიგნი გვაქვს, — სინანულით თქვა მარიომ.

— კარგია, ბავშვებმა რამე ისწავლონ, მაგრამ იმას რაღა აჯობებს, თუ სხვადასხვა სოფლელი ბიჭები ერთად შეიყრებიან, — თქვა იერონიმომ. — წინათ ახლო-მახლო მდებარე სოფლებს არ ვიცნობდით და იქაურები ყაჩაღები გვეგონა. ჩვენ კი უნდა გაერთიანდეთ ბატონების წინააღმდეგ.

— სწორი ხარ, — მიუგო მარიომ, — მაგრამ, როგორ მოვიქცეთ?

უცბად როზამ წამოიძახა:

— იმ ხევში მე წავალ!

— შენა? — ჰკითხა გაოცებულმა იერონიმომ. — მერე რას გააკეთებ?

— ბავშვებს ვასწავლი, რაც მე ვისწავლე. მერე ისევ მა-

რიოსთან მოვბრუნდები. კიდევ ვისწავლი ახალსა და ისევ იმათთან წავალ.

მარიომ გულიანად გაიცინა.

— ყოჩაღ, როზა, კარგი რამ მოიგონე, ჩვენ უფრო უკეთ გავაკეთებთ...

მარიო კნაჭას მიუბრუნდა:

— სხვა სოფლის ბიჭებთან ხომ ამხანაგობთ?

— დიახ.

— ყოველი სოფლიდან ორ-ორი გონიერი ბიჭის მოყვანა ორი კვირით ხომ არ გაგიჭირდებათ?

— მე მგონი, არა.

— რამდენი მოგროვდება?

— მოგროვებით ბევრი მოგროვდება, მაგრამ თავი რითი გავიტანოთ? ხომ მთელი ბაღი გადავჭამეთ.

მარიოს ამაზე არ უფიქრია და იერონიმოსი შერცხვა, იერონიმომ კი გაიცინა და თქვა:

— ბიჭები ერთი კვირით შევკრიბოთ. ერთი კვირის სამყოფი მჭადები მოიტანონ, მაგრამ მთლად მშრალ საჭმელზე რომ არ იყვნენ, ცოტ-ცოტა ბოსტნეულსა და ხილს ჩვენ მივცემთ. ერთი კვირის შემდეგ თავთავიანთ სოფლებში დაბრუნდნენ და ასწავლონ ბავშვებს, რაც თვითონ ისწავლეს. მერე ისევ მოვლენ, მაგრამ ბიჭებს ჩვენთან მუშაობაც მოუწევთ. ქოხები უნდა ავუშენოთ, საცაა წვიმები დაიწყება.

●

ორი დღის შემდეგ ორი სრულიად უცნობი ბიჭი მოვიდა. პაკოს მოკრძალებით ქუდი მოუხადეს და თავები ჩაქინდრეს.

— ქუდებს რად იხდით, — სიცილით უთხრა პაკომ, — ჩვენ ხომ ბატონები არა ვართ? საიდან მოსულხართ?

— ტუსპანიდან.

— ასე შორიდან? ვინ გამოგგზავნათ?

— ტეპოტლელმა კნაჭამ.

— ბიჭებო, — გასძახა მან ბრაულიოს, — აბა, სტუმრებს შეხვდით.

ათი წუთიც არ გასულიყო, რომ სტუმრები და როზა, ბრაულიო და ტრინი სანახევროდ აშენებული ქოხის სახურავისათვის ბამბუკის მოსატანად წავიდნენ. ახალგაზრდები ყველგან ადვილად უგებენ ერთმანეთს.

ორი დღის შემდეგ კიდევ ექვსი ბიჭი მოვიდა.

მარიომ როზას დაუძახა. მოვიდა ერთი უშნო და უგერგილო გოგო. მარიოს ეჭვიც კი შეეპარა, ეს რას ასწავლისო, მაგრამ რაღა ექნა, რახან დაუძახა, უკან ხომ აღარ გააბრუნებდა!

— შენ ხომ გინდოდა, ბავშვებისათვის გესწავლებინა? ჰოდა, აი, იმ ტუსპანელებს შენ ასწავლე, ამ ექვს ახალმოსულს კი მე ჩავუჯდები.

როზამ თავი დაუქნია და ტუსპანელებთან წავიდა.

საქმეში გართულ მარიოს როზა სულ გადაავიწყდა და რამდენიმე საათის შემდეგღა გაახსენდა.

როზა ისევ ბიჭებს უჯდა და აწერინებდა. მარიომ მათ რვეულებში ჩაიხედა და დაინახა, რომ როზა მათ ისევე ასწავლიდა, როგორც თვითონ ასწავლა.

მარიო ერთხანს გაოცებით უგდებდა როზას ყურს, მერე კი უთხრა:

— კარგი, როზა, ეყოფათ, ერთ დღეში ამდენს ხომ ვერ ისწავლიან! ისე კი კარგად ასწავლი, ყოჩაღ!

როზამ მარიოს შეხედა და ყურებამდე გაწითლდა.

„საწყალი ბავშვი, ალბათ ჯერ არავის შეუქია!“ — გაიფიქრა მარიომ.

როცა სწავლის მსურველები კიდევ მოემატა, რამდენიმე მოსწავლე მარიომ ბრაულიოს გადასცა. ამ საქმეს ბრაულიოც კარგად გაუძღვა.

ერთ დღეს, მზე უკვე საშუადღეოს გადასცილებოდა, მარიო კვლებში მომუშავე იერონიმოს გვერდით ჩაცუცქდა და უთხრა:

— დიდი გეგმები მაქვს. ახლა მინდა მასწავლებლებს ვასწავლო, ყველას ასე გავაფრთხილებ: იმ პირობით გასწავლით, თუ მერე ორ კაცს მაინც ასწავლით, ისინი კი თავის მხრივ ორ-ორს. სულ ცოტა ხანში ყველა სოფელში ახალგაზრდა მასწავლებლები გვეყოლებიან!

იერონიმომ არაფერი უპასუხა, რადგან მარიოსთვის ხა-

სიათის წახდენა არ უნდოდა. გაეგო, უერტას არმია მათ პროვინციას უახლოვდებოდა.

საღამოს, ტეპოტლიდან კნაჭა მოვიდა. ცოტა ხანს პაკოსა და იერონიმოს ეთათბირა, მერე პაკოსთან ერთად გზას გაუდგა.

ბრაულიო მამას გაეკიდა:

— მეც წამოვალ!

— არა, ბრაულიო!

— საიდუმლოს შენახვა შემიძლია, — უთხრა ბიჭმა.

— ვიცი, შეგიძლია, მაგრამ ახლა ნუ გვაყოვნებ!

ბრაულიო მიხვდა, რაღაც მნიშვნელოვანი საკითხი წყდებოდა.

ბაღში დარჩენილი იერონიმო ჩუმად მუშაობდა, თან ყურს უგდებდა, როგორ კითხულობდნენ ბავშვები ხმამაღლა. რასაც ისინი კითხულობდნენ, მას უკვე ბევრჯერ მოესმინა და ზეპირად იცოდა.

ყველა თავისი სამუშაოთი გართულიყო და პადრე ფელიქსის მოსვლა მაშინღა შეამჩნიეს, როცა იგი ბაღს მოადგა.

— საღამო მშვიდობისა, შვილო ჩემო! — მიესალმა ხუცესი იერონიმოს.

— საღამო მშვიდობისა, ბატონო მოძღვარო! — მიუგო იერონიმომ და იმის მაგივრად, რომ ქედი მოეხარა, წელში გასწორდა. მიწიანი ხელები ზურგზე დაილაგა.

ხუცესმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერც კი შეამჩნია, რომ იერონიმომ ქუდი არ მოუხადა. „აი, სადამდე მივიდნენ!“ — გაიფიქრა შეშფოთებულმა ხუცესმა, მაგრამ არ შეიმჩნია:

— ამდენ ბავშვს რატომ მოუყარე აქ თავი?

— ჩემი მეგობრების შვილები არიან, — მიუგო იერონიმომ. არ უნდოდა, სიმართლე ეთქვა ამ გაიძვერა ხუცესისათვის.

— წერა-კითხვას სწავლობენ? — არ ეშვებოდა ხუცესი. — სახელმძღვანელოებად რას იყენებთ?

— განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდებულ სახელმძღვანელოებს, — მიუგო ამ სიტყვებზე მოსულმა მარიომ.

— ხელისუფლებამ ნება დაგრთოთ სკოლის გახსნისა? — იკითხა ხუცესმა და მარიოს თვალებში შეაცქერდა.

— ჩვენ რომ მთავრობას დავუწყოთ ცდა, როდის გახსნის სკოლებს, ეს ბავშვები ვერასოდეს ვერაფერს ეღირსებიან, — ღიმილით მიუგო მარიომ. — რახან თქვენ ამდენ რამეს გეკითხებით, ნუ გვიწყენთ და ჩვენც გვინდა ერთი რამ გაგიბედოთ: ბატონო მოძღვარო, გეტყობათ, თქვენი თავი მთელი სამრევლოს სულიერ მამად მიგაჩნიათ, მაშ რატომ ერთხელ მაინც არაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ თქვენი მრევლის

ბავშვებს რამე ესწავლათ? უსწავლელად ხომ ისინი ბატონის მონები არიან.

ბავშვები უფროსებს შემოხვეოდნენ. აინტერესებდათ, რას იტყოდა პადრე.

— შენს სიტყვებს, შვილო ჩემო, სოციალიზმის სუნი ასდის, — თქვა სახემოღუშულმა ხუცესმა.

— სოციალიზმის სუნი? — გაოცებით იკითხა მარიომ. — ჩვენი პრეზიდენტი ლიბერალია, სოციალიზმთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ ერთხელ მას მოვუსმინე. ის ამბობდა: „მას შემდეგ, რაც ესპანელებმა დაიპყრეს ეს მიწა და კათოლიკური

რელიგია თავს ძალით მოახვიეს, ამ ეკლესიას ჩვენი ხალხის გასულელების მეტი არაფერი გაუკეთებია". ამ სიტყვებზე უფრო მაგარი მე ხომ არაფერი მითქვამს ეკლესიისათვის.

ხუცესი გრძნობდა, რომ ყველას მარიოს მხარე ეჭირა. მასთან დავა უსარგებლო იყო, მაგრამ ურწმუნოთა ამ შეჩვენებული ბუდიდან თავი როგორ დაეღწია?

საუბარში ახლა იერონიმო ჩაერია:

— ბატონო მოძღვარო, თქვენ არა სთქვით, მარიოს სიტყვებს სოციალიზმის სუნი უდისო. თქვენს ქადაგებებში ხშირად ლანძღავთ სოციალიზმს, ბარემ გვითხარით, ეგ სოციალიზმი რაღა არის?

ხუცესმა ფელიქსმა ხელი ისე ასწია, თითქოს კათედრაზე იდგა და დიდად მნიშვნელოვან რაღაცას ამბობდა.

— სოციალიზმის, ამ ცრუ მოძღვრების მიხედვით, თითქოს მთელი მიწა ხალხს ეკუთვნის. მოერიდეთ ფარისევლებს, ჩვენს ქვეყანას რომ შემოესივნენ და შფოთს თესავენ, მათი წყალობით ხალხი აღვირახსნილი გახდა, სადღაა სიყვარული და ზნეობა. მექსიკაში უკვე კაცი კაცს ებრძვის, მამას შვილი უსაფრდება!

ეს ბოლო სიტყვები ბიჭებმა ვერ გაიგეს, რადგან თვითონ თავიანთ მამებთან ძალიან მშვიდობიანად და სიყვარულით ცხოვრობდნენ.

— სწორად გავიგე? — იკითხა იერონიმომ, — ბატონებმა ჩვენს წინაპრებს მიწები წაართვეს. თუ ჩვენს წართმეულს უკანვე მოვითხოვთ, ეს სოციალიზმი იქნება, არა?

— ხელს ნუ ახლებთ სხვის საკუთრებას! — შეჰღაღადა ხუცესმა. — ვინც ხელს მოკიდებს მახვილს, მახვილივე განვმირავს. ვინც ხანძარს ანთებს, თვითონვე დაიწვის შიგ! მე ვხედავ, სატანამ აგირიათ ჭკუა-გონება. ღვთის განგებისა აღარა გესმით! — ამ სიტყვებით ხუცესი იქაურობას ნელი ნაბიჯით გაეცალა.

ამ ამბის შემდეგ მეცადინეობა, რაღა თქმა უნდა, აღარ გაუგრძელებიათ. ახალგაზრდები მარიოს შემოეხვივნენ და კითხვები ზედიზედ დააყარეს. სურდათ გაეგოთ, როგორ მოხდა, რომ მიწის უმეტესი ნაწილი ბატონებს ეკუთვნოდათ.

— დიდი ხანია, რაც ესპანელებმა ინდიელებს მიწა წაართვეს? — იკითხა ერთმა.

— წინათ მართლა მთელი მიწა ჩვენ გვეკუთვნოდა? — სურდა გაეგო მეორეს.

— წამო, ხის ძირში დავსხდეთ, — უთხრა მარიომ. — ყველაფერს მოგიყვებით, როგორც მოხდა.

## ღამის საუბარი ეპისკოპოსის ემბაზთან

პაკო და კნაჭა პატარა ნაკადულის გასწვრივ ვიწრო, თიხიან ბილიკზე მიაბიჯებდნენ. ბილიკს ორივე მხარეს ხშირი ბუჩქნარი მიუყვებოდა. ბინდდებოდა. ისინი მიადგნენ პატარა ხიდს — ნაკადულზე გადებულ ხის ორ მორს. გადაიარეს თუ არა ხიდი, გაღმა ორი ყმაწვილი გამოეგება.

— გუშაგად დგახართ? — იკითხა პაკომ.

— დიახ. კარგა ხანია შეგამჩნიეთ, რომ მოდიოდით.

რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგეს, ბილიკმა მარჯვნივ მოუხვია. ბუჩქნარის მერე მაღალ-მაღალი ხეები იწყებოდა. უკან კი ლელიანში ჩაფლული შავად მოლაპლაპე გუბურა მოჩანდა. ამ ადგილს ეპისკოპოსის ემბაზი ერქვა, თუმცა არავინ იცოდა, ვინ შეარქვა და რატომ.

ბიჭები ბალახით დაფარულ გუბურის მარცხენა მხარეს გაუყვნენ. ჭაბუკობაში პაკოს აქ ხშირად უბანავია და კარგად იცოდა, ლერწმიანში პატარა მდელო იყო, სადაც შეყვარებული წყვილები ხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს.

ამ ბილიკზე მზიან დღესაც კი ბინდ-ბუნდი იდგა. ახლა ხომ სულ აღარაფერი ჩანდა. მდელოზე რომ გავიდნენ, მათ ბენიამინის ხმა შემოესმათ:

— საღამო მშვიდობისა, პაკო!

პაკო ბენიამინის გვერდით ჩაცუცქდა. ახლა სხვა მამაკაცებიც შეამჩნია.

— ალბათ იცი, საპატასაგან კაცი მოგვივიდა, — დაიწყო ბენიამინმა. — სხვადასხვა სოფლებიდან ხალხი უკვე მოვიდა. შენლა გიცდიდით. ახლა კი შეგვიძლია საქმეს შევუდგეთ. ჯერ შენ მოჰყევი, ხუან!

— მეგობრებო, — წამოდგა ტორესის მსახური, — გუშინ

ჩვენს ბატონს ერთი ოფიცერი ეწვია ორი თანმხლებით. მათი საუბრიდან ყველაფერი ვერ გავიგე, მაგრამ ის კი დამამახსოვრდა, რომ რამდენიმე დღეში გენერალ უერტას ჯარი მოგვადგება. ისინი ამას აჯანყებულთა დამსჯელ რაზმებს უწოდებდნენ. აჯანყებულებს კი იმ გლეხებს ეძახიან, ბატონისათვის ღალის მიცემაზე უარი რომ განაცხადეს. ბატონმა ტორესმა ოფიცერს უთხრა, ასეთი ხალხი ტეპოტლაში არ არისო. ასე იმიტომ უთხრა, რომ ეს ყაჩაღები როგორმე თავიდან მოეშორებინა. ეს ამბავი ჩემი ყურით გავიგონე. ადრე თავის ვაჟიშვილს რომ ელაპარაკებოდა. მაშინ ასე თქვა: ამ ყაჩაღებისა და მძარცველთა ბანდისაგან თავი, რაც შეიძლება, შორს უნდა დავიჭიროთ, დაე, სან ბარტოლდოში წავიდნენო. ამის გამო მან ოფიცერს უთხრა: გენერალს გადაეცით, ჩვენთან ყველაფერი წესრიგშია. მაგრამ სან-ბარტოლდოში გლეხები უკვე რამდენიმე წელია მებატონის მიწებს ამუშავებენ და ღალას აღარ იხდიანო. იქ ჯარისკაცებისათვის სასმელ-საჭმელსაც ბლომად იშოვნით. მე ჩემს ზედამხედველს გაგატანთ და ის გზას მიგასწავლითო. ეს რომ გავიგონე, კინაღამ ყვირილი აღმომხდა. წარმოგიდგენიათ ასეთი გაიძვერობა?! — ხუანმა აღშფოთებით ამოიოხრა.

— დაასრულე, ხუან? — ჰკითხა ბენიამინმა.

— არა, ჯერ არა! ბატონი ტორესი ოფიცერს სხვა ამბებსაც მოუყვა. სან ბარტოლდოში ბაღებია. იქ ერთი ჩემი გლეხი იმალება, სახელად პაკო. შფოთისთავი და წამქეზებელია და იქ გაიქცა. ამ ბაღებში, საერთოდ, იმისნაირი ხალხია თავშეფარებული. ეს ინდიელთა თავშეყრის ადგილია. ის კი არა, იქ ბავშვებს წერა-კითხვასაც კი ასწავლიან და ბატონებისა და ეკლესიის წინააღმდეგ ამხედრებენო. ოფიცერმა ამაზე უპასუხა: მაგნაირ ხალხს ჩვენ მოვუვლითო, და იქაურობას გაშორდა.

პაკომ გაიგონა, როგორ აწრიალდნენ სიბნელეში გლეხები. ერთმა თქვა:

— შენ იქ აღარ დაგედგომება, პაკო.

— ახლა შორიდან მოსულმა გვითხრას, რაც საპატამ დაბარა, — მშვიდად თქვა ბენიამინმა.

— ძმებო, — დაიწყო წარმოგზავნილმა, — ვხედავ, რო-

გორცაა თქვენი საქმე. ასეთი მდგომარეობაა ჩვენს ქვეყანაში. მერე რატომ? იმიტომ, რომ ინდიელები ძალიან გულკეთილი ხალხი იყო. მხოლოდ იმით დაკმაყოფილდნენ, რომ ყველაზე საზიზღარი ბატონები მოიშორეს თავიდან, ხოლო ვინც ცოტა დაუთმო, იმისთვის ხელი არ უხლიათ. ისევ მორჩილად უხდიან ქუდსა და ღალას აძლევენ. ალბათ გახსოვთ, ემილიანო საპატაც თქვენნაირი გლეხი იყო, ისიც ბატონთან მუშაობდა. თქვენსავით არც მას უვლია სკოლაში, მაგრამ ფიქრი შეეძლო. ამიტომ დამაბარა თქვენთან: ჩვენ, ინდიელები, მხოლოდ მაშინ მოვიპოვებთ თავისუფლებას, როცა ბატონებს ყველანი ერთად დავამარცხებთო. ბატონებს, რაღა თქმა უნდა, იარაღი აქვთ, მაგრამ ისინი ცოტანი არიან, ჩვენ კი ბევრნი ვართ. ამიტომ, თქვენ უნდა აღსდგეთ და ორი რამ მოითხოვოთ: მიწა და თავისუფლება! საპატას წითელ დროშას სწორედ ასეც აწერია: მიწა და თავისუფლება! ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მოვითხოვთ იმ მიწის დაბრუნებას, ბატონებმა რომ წაგვართვეს. მთელი მიწა დაგვიბრუნონ, იმათ აღარაფერი აღარ უნდა დავუტოვოთ, რადგან რაც გააჩნიათ, სულ მიტაცებული აქვთ. მოშორდნენ აქაურობას, ეშმაკსაც წაუღია მაგათი თავი. თავისუფლება. რაღას ნიშნავს? თქვენ ყმები ხართ?

— ჰო, ყმები.

— მაშასადამე, — განაგრძო საპატას ვამოგზავნილმა კაცმა, — თუნდაც ყმები იყოთ, ნუ მისცემთ ბატონებს ნურც ერთ მარცვალ სიმინდს, ნურც ერთ მარცვალ ლობიოს, აღარ იმუშაოთ იმათთვის, არც ქუდი მოუხადოთ, ურტყით, სადაც კი შეგხვდეთ! აი, მაშინ მოიპოვებთ თავისუფლებას! მზადა ხართ თუ არა საპატასთან ერთად იბრძოლოთ მიწისა და თავისუფლებისათვის?

ბენიამინმა უპასუხა:

— აქ მე ერთი კაციც არ მეგულება, მიწისა და თავისუფლების მომხრე რომ არ იყოს. მაგრამ, აი, მეგობარო, შენ თვითონ ხედავ, ჩვენი სოფლებისაკენ მძარცველთა არმია მოდის. შეგიძლიათ დაგვეხმაროთ?

— მე საპატამ წინ-წინ გამომგზავნა. თანდათან ახლოვდება და სურს იცოდეს, ჰქონდეს თუ არა თქვენი იმედი. შეგიძლიათ

თუ არა ყველა სოფლიდან გაუგზავნოთ მეგზურები, ვისაც ყოველი ბილიკი ეცოდინება?

ბენიამინმა უპასუხა:

— მეგზურები ჩვენ გვყავს. ყველაზე კარგი მეგზურები სან ბარტოლდოს ბაღებშია. ახლა შენ ილაპარაკე, პაკო!

პაკო წამოდგა და დაიწყო:

— თქვენ მოისმინეთ, რომ ყაჩაღების არმიას ჩვენი განადგურება მოუნდომებია. შენ როგორ გგონია, იმათ გაგზავნამდე მოასწრებს საპატა მოსვლას?

— ამაზე არ შემიძლია გიპასუხოთ. დღე და ღამ შეუსვენებლად რომ ვირბინო, საპატამდე ხვალ ან ზეგ თუ მივაღწევ.

— მაშ, ვინც ბაღებში ვცხოვრობთ, სხვა გზა აღარ დაგვრჩენია, გავიქცეთ. ის ბიჭებიც უნდა გაიქცნენ, ჩვენთან რომ სწავლობენ. რა იქნება, საპატასთან რომ წავიყვანოთ, მეგზურებად გამოდგებიან.

— რატომაც არ უნდა წავიყვანოთ? — თქვა ერთმა.

— ნუ გეშინია, მათ მშობლებს გავაფრთხილებთ, — თქვა მეორემ.

— კარგი, — დაეთანხმა პაკო. — მაგრამ სანამ უკან გავბრუნდები, მინდა ვიცოდე, ბანდა რომ მოახლოვდება, რას იზამენ სხვა სოფლები? მთაში გაიქცევით? იარაღი გაქვთ?

## ბაღებთან გამოთხოვება

პაკო ღამითვე დაბრუნდა შინ. იერონიმო გააღვიძა. ბავშვების გაღვიძება კი დაენანათ, ამ დღეებში ისედაც დაიქანცებიანო.

დილას, ბავშვები ქოხებიდან რომ გამოვიდნენ, იერონიმომ თქვა:

ახლავე ვისაუზმოთ. დღეს განსაკუთრებული დავალება გელით.

ბავშვებს გაეხარდათ და სულ იმის ფიქრში იყვნენ, ნეტა რა უნდა დაგვავალონო.

— დღეს ხუცესს ვეწვევით, — თქვა ერთმა. — იმან ხომ

გვინახულა, ახლა ჩვენ ვესტუმრებით, როგორც განათლებულმა ბატონებმა იციან.

ბავშვებმა იცინეს, ზოგს მართლა ეგონა, შავ ბატონთან მივალთ და გავაბრაზებთო.

— მოდით, ხის ქვეშ დავსხდეთ, — გასძახა იერონიმომ.

ბავშვები შემოუსხდნენ პაკოს, მარიოსა და იერონიმოს. ისინი მანგოს ქვეშ ერთმანეთის გვერდით ჩაცუცქულიყვნენ. რაღაც საზეიმო დუმილი იდგა. მერე პაკო წამოდგა და ქუდი მოიხადა. ამან ბავშვებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან მიხვდნენ, აქ ნამდვილი კრება იყო და მათ დიდებივით ექცეოდნენ.

პაკომ მათ უერტას მძარცველთა არმიის მოახლოება ამცნო და ისიც უთხრა: პირველად თავს სან ბარტოლდოს ბაღებს დაესხმიანო.

რამდენიმე ბიჭს შეეშინდა და სახეზე მკვდრისფერი დაედო. აღელვებულები პაკოს შესცქეროდნენ და თვალს არ ახამხამებდნენ. პაკომ იერონიმოს შეხედა და ჩაცუცქდა.

ახლა იერონიმო წამოდგა.

— ბიჭებო, — დინჯად დაიწყო მან, — ჩვენი, უფროსების გადაწყვეტილებით, თქვენ საპატას გლეხთა არმიის მეგზურებად ხართ დანიშნული. გლეხთა არმიას, ჩვენს ძმებს, უახლოესი და ფარული გზებით წამოიყვანთ, რომ თავს დაესხან მძარცველების არმიას. პაკო წაგიყვანთ საპატასთან, მაგრამ... — იერონიმო შედგა, — მზადა ხართ ამ საქმისათვის?

ბავშვების გონებაში ათასი აზრი აირდაირია. ერთმანეთს შეხედეს და თავები სერიოზულად დაიქნიეს.

— რაიმეს თქმა ხომ არ გინდათ? — იკითხა იერონიმომ.

მაშინვე სამივე ბიჭი წამოხტა. გაიცინეს. ორი ისევ დაჯდა. ტუსპანელმა ბიჭმა წამოიძახა:

— ყველას გვინდა, ყველას... — ენა დაება და გაწითლდა.

იერონიმომ ალერსიანად შეხედა და თქვა:

— საპატას გლეხთა არმიის ლოზუნგია „მიწა და თავისუფლება". ბავშვებო, თქვენც გინდათ უფროსებთან ერთად მონაწილეობა მიიღოთ ამ ბრძოლაში? თუ გინდათ, ჩემთან ერთად გაიმეორეთ: „მიწა და თავისუფლება".

— მიწა და თავისუფლება! — დასძახეს ბიჭებმა წკრიალა ხმით.

ახლა მარიო წამოდგა ფეხზე, გაიღიმა და უბრალოდ თქვა:

— მეც ხომ არ წამიყვანთ? მართალია, გზების ჩვენება არ შემიძლია, რადგან თავადაც არ ვიცი, მაგრამ, ალბათ, სხვა რამეში მაინც გამოვდგები.

ბიჭებს გაეცინათ. პაკო ფეხზე წამოხტა და მხარზე ხელი დაჰკრა.

— წამოდი, წამოდი!

სულ ეს ორი სიტყვა თქვა, მაგრამ ისე გულწრფელად, რომ მარიომ დაირცხვინა და თავის გლეხურ ქურთუკზე ღილებს დაუწყო წვალება.

— მაშ გადაწყდა, წავსულვართ, — დაიძახა პაკომ.—გრძელი გზა გველის! იერონიმო, ბიჭებს ფორთოხლებს ხომ არ დაურიგებდი?

— აუცილებლად: წაიღეთ, ბიჭებო, რამდენსაც მოერევით, ყველაფერი წაიღეთ, რაც მოგეწონებათ. არა სჯობია, თქვენ ჭამოთ, ვიდრე მძარცველები გაანიავებდნენ?

— შენ არ მოდიხარ? — გაკვირვებით ჰკითხა ბრაულიომ. რაც აქ იყო, იერონიმო მამასავით შეჰყვარებოდა.

— არა, ბრაულიო, ტრინი და როზაც აქ დარჩებიან.

— ისინი ხომ დაგხოცავენ! — იყვირა ბრაულიომ.

ტრინიმ შიშით სავსე თვალებით ახედა ბიძას. ნუთუ ბიძია მას არ გაგზავნის საპატასთან?

იერონიმოს გაეცინა.

— ნუ გეშინიათ, ბავშვებო! რაღა თქმა უნდა, ბაღებში არც ჩვენ დავრჩებით. არც ჩვენ დავხვდებით გულხელდაკრეფილები, სანამ ისინი თავს დაგვესხმიან. აქ სხვა საქმეები გველოდება.

ბავშვები ფორთოხლის ხეებზე ავიდნენ და ძირს მდგომებს ჩაყვითლებული ნაყოფი ჩამოუყარეს.

როზა და ტრინი ნაღვლიანად გასცქეროდნენ მიმავალ ბავშვებს. ბრაულიომ ეს შეამჩნია, თვითონაც ძალიან ენანებოდა ტრინის დაშორება. იერონიმო იდგა და მდუმარედ შესცქეროდა, სანამ ისინი გადამწვარი ეზოს გალავანს მოეფარებოდნენ. მერე მობრუნდა და ალერსით თქვა:

— აქ მოდით, ბავშვებო! მე სოფელში წავალ, თქვენ აქ დარჩით. ჩვენი ჩანაფიქრი არავინ არ უნდა გაიგოს. თუ ვინმე

მოვა და გვიკითხავს, თქვენ უთხარით, — ნამჯის მოსაჭრელად წავიდნენ, ჭილოფები უნდა მოექსოვოთ-თქო. ფხიზლად ადევნეთ თვალყური, ყურადღებიდან არაფერი გამოგრჩეთ.

— როდის დაბრუნდები, ძია? — ჰკითხა ტრინიმ.

— არ ვიცი.

იერონიმომ ყველაზე დიდი კალათა სიმინდით აავსო. ზედ მოღუნული სიმინდის საჭრელი დანა დაადო, მერე ფორთოხლები, ლიმონები და ნესვები დაალაგა, სულ ზემოდან კი დიდი წითელი პაპაია.

— აბა, თქვენ იცით, ყურადღებით იყავით. თუ რამე საეჭვო შეამჩნიოთ, ამბროსიასთან მიდით ჩუმად. სიმინდის საჭრელები თან წაიღეთ. — მძიმე კალათს გარედან ბადე შემოახვია. — აბა. მიშველეთ! — თქვა მან და დაიჩოქა. ბავშვებმა კალათა დიდი გაჭირვებით ასწიეს და ბეჭებზე დაადგეს. იერონიმომ ქუდი მოიხადა და ბადის შეკრული ბოლოები შუბლზე გადაიტარა, მერე წამოდგა და წინ წაზნექილი, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით გზას გაუდგა. თავის მობრუნება არ შეეძლო და გამოსამშვიდობებლად ცალი ხელი დაუქნია. მეორე ხელში ქუდი ეჭირა. გზიდან გადაუხვია, გვერდით ბილიკს გაუყვა.

როზა ტრინის გვერდით იდგა. ის უკვე კარგა დიდი გოგო გამხდარიყო, ტრინი კი ცხრა წლის კუნთმაგარი, მზით დამწვარი ბიჭუნა იყო.

— ახლა მჭადებს დავაცხობ, — თქვა როზამ.

— რათ გვინდა? — იკითხა ტრინიმ. — საჭმელი საკმარისად გვაქვს.

— იცი, რა შორს ისმის ტყაპა-ტყუპი, როცა მჭადის ცომს ათბელებ? ხალხს ეგონება, ბაღში ყველაფერი ძველებურად მიდისო. ამას გარდა, მარაგიც ხომ გვჭირდება. ხომ იცი, ხვალ სად უნდა ვიყოთ?

— როგორ არ ვიცი, — ტრინიმ თავი დაუქნია. — ახლა კი დავზვერავ იქაურობას.

მთელი დღის მანძილზე მათ საეჭვო არაფერი შეუმჩნევიათ. მინდორზე ერთი გლეხიც არ გამოჩენილა. ნავახშმევს ლეღვის ხის ძირას ჩამოსხდნენ და ღამის სიჩუმეს ყური მიუგდეს. შეიძლება დასაძინებლად დაწვნენ? ნეტა, ბიძია იერონიმო თუ დაბრუნდება?

უცბად რაღაცამ გაიტკაცუნა, მაგრამ ვარსკვლავების მკრთალ შუქზე ბავშვებმა ვერაფერი შეამჩნიეს.

— ტრინი! — მოისმა ძახილი. ბიჭის ხმა იყო.

— აქ მოდი! — გასძახა ტრინიმ.

ოთხი სან ბარტოლდოელი ბიჭი გზაზე იდგა.

— იერონიმომ დაგვაბარა, ტრინი და როზა თქვენ გამოგყვნენ და რაც ჭილოფებია, სულ თან წამოიღონო. წამოღებაში ჩვენ მოგეხმარებით.

ჭილოფები ერთმანეთზე დააწყვეს და დაახვიეს. კალათაში როზამ სიმინდი, ლობიო და მჭადები ჩააწყო, არც ბოსტნეული და ხილი დავიწყნია. იმდენი ტვირთი დაუგროვდათ, ექვსი ბავშვი ძლივს მიათრევდა. ტრინიმ და როზამ ზონრები შუბლზე შეიკრეს, როგორც იერონიმომ ქნა, და სიბნელეში ხელფეხის ცეცებით მძიმე-მძიმედ გაუდგნენ გზას.

## ინდიელთა ციხე-სიმაგრე

იმ ღამეს სან ბარტოლდო, ჩვეულებრივ, სიწყნარეს მოეცვა, მაგრამ დიდი ამბები ხდებოდა. გლეხები განსაკუთრებით ხუცესის სახლის წინ ცდილობდნენ ფრთხილად და უჩუმრად გაევლოთ. ტვირთმოკიდებული ქალები და მამაკაცები მთისკენ მიემართებოდნენ. დიდ-დიდ ფუთებში ტომრები, მჭადის საცხობი თუნუქის ნაჭრები და სიმინდითა და ლობიოთი სავსე ქილები გამოეკრათ. ბავშვებს თოხები და სიმინდის საჭრელი დანები მიჰქონდათ. სახედრებისთვისაც სავსე ტომრები აეკიდათ.

როზა, ტრინი და მათი ოთხი ამხანაგი უკან სიბნელეში ჩუმად მიაბიჯებდნენ. იმ ადგილს, საითაც მათ გეზი ჰქონდათ აღებული, უხსოვარი დროიდან ინდიელთა ციხე-სიმაგრე ეწოდებოდა. ხანში შესულების გადმოცემით, ინდიელები ყოველთვის აქ აფარებდნენ თავს, როცა კი ესპანელები მათ დამსჯელ რაზმებს შეუსევდნენ ხოლმე. „ბატონებს ჯერ არ გაუბედიათ, აქ ამოგვყოლოდნენ. წყარო ხომ ბევრად უფრო დაბლაა და იქამდეც ვერ ბედავდნენ მოსვლას“, — ამბობდნენ ისინი, მაგ-

რამ ინდიელები აქ თავს მხოლოდ მანამდე შეაფარებდნენ, სანამ საჭმელი არ შემოელეოდათ, მერე კი ისევ მინდვრებს უნდა დაბრუნებოდნენ.

როზას ერთი სული ჰქონდა ციხე-სიმაგრის ნახვამდე. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ლტოლვილთა ფეხის ხმა და ხმადაბალი ლაპარაკი ესმოდა. მათ ზურგს უკან მთვარე ამოიწვერა. ბავშვები ცოტა ხანს შეჩერდნენ, რომ გვერდით მიმავალნი გაეტარებინათ. ამ ადგილიდან ზემოთ მხოლოდ ერთი გზა მიდიოდა, მას ორივე მხარეს მაღალი ტყე ერტყა.

ტრინიმ და როზამ ჩაიჩოქეს, ტვირთი მიწაზე დადეს და შუბლიდან ზონრები მოიცილეს. ტვირთის ტარებას არ იყვნენ მიჩვეულები და ვერც ზონრები მოირგეს შუბლზე რიგიანად. დაბლიდან თანდათან მეტი ხალხი მოაწყდა.

აი, უკანასკნელი კაციც თვალს მოეფარა. ბავშვებმა როზასა და ტრინის თავ-თავიანთი ტვირთი აჰკიდეს და მერე თავიანთი ტომრები და კალათები მოიბეს ზურგზე. ცოტა მანძილი რომ გაიარეს, გზა თითქმის შვეულად დაეკიდა. მათ წინ უცბად მიდამო განათდა: ტყემ უკან დაიხია და მთვარის შუქზე ველი გამოჩნდა.

ერთმა ბიჭმა როზას ხმადაბლა უთხრა:

— აი, იქ, ხის უკან, გზა დაბლა მიდის, წყაროსაკენ, ჩვენ კი მარცხნივ უნდა წავიდეთ, ზემოთ.

ისინი კვლავ ტყეში შევიდნენ. ბილიკი თავში კარგი სავალი იყო, მერე თანდათან ციცაბო გახდა. წინიდან ხმაური ისმოდა: ვულკანური წარმოშობის ფენები გამვლელს ფეხქვეშ ეცლებოდა და რახრახით მიექანებოდა ძირს. ტრინი ჯერ ფეხის დასადგმელ ადგილს მოსინჯავდა და ნაბიჯს ისე გადასდგამდა, რადგან სულ ადვილად შეიძლებოდა წაქცეულიყო. თავის წლოვანებასთან შედარებით მეტისმეტად მძიმე ტვირთი ეკიდა. ტორტმან-ბარბაცით მიდიოდა. ძალიან უნდოდა მცირე ხნით მაინც შეესვენა, მაგრამ უკან სხვები მოდიოდნენ, გზის აქცევა კი არ შეიძლებოდა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, შუბლიდან ცხვირის კიდეებს ჩასდევდა და ტუჩებზე მლაშედ ედინებოდა. სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, ენით ილოკავდა და მერე აფურთხებდა. სულს ძლივს ითქვამდა, არაქათი ელეოდა. ფეხქვეშ ქვა ეცლებოდა და უკანასკ-

ნელ ძალ-ღონეს იკრებდა, რომ არ დაცემულიყო. ერთ წამს შედგა და ღრმად ამოისუნთქა, მაგრამ ზურგს უკან ქვები ახრიალდა: ორ ნაბიჯზე სხვა მოდიოდა. ისევ წინ, გაჩერება არ შეიძლება! ამ გზაზე დღისით ბევრჯერ გაევლო, მაგრამ ახლა, სიბნელეში, მაინც უცნობად და დაუსრულებლად ეჩვენებოდა.

უცბად ზემოდან ხმაური მოესმათ. ეტყობოდა, ხალხი მორბოდა, სოფელში მოდიოდნენ, რომ დარჩენილი საჭმლის მარაგი აეტანათ. ტრინი უცბად პირდაპირ შეეჯახა როზას კალათს. შეჩერდნენ, რომ ზემოდან მომავალი ხალხი გაეტარებინათ.

ტრინი ერთი-ორჯერ კიდევ შეჩერდა სულის მოსათქმელად. მერე გზაზე მარჯვნივ მოუხვია და გაივაკა. გამოჩნდა მთვარის შუქით განათებული ქვის ყორე. ეს ინდიელთა ციხე-სიმაგრე იყო. ბევრ ხალხს მოეყარა თავი: ყოველი მხრიდან ისმოდა მათი გაბმული ლაპარაკი.

— თქვენ ვინა ხართ? — იკითხა ვიღაც კაცმა.

— ბაღებიდან ვართ! — მიუგო როზამ.

— ამბროსია ზემოთაა. შენ ხომ როზა ხარ! შენს დიდედასა და პაპას დახმარება სჭირდება. ძალიან დაბერდნენ.

— ისინიც აქ არიან? — იკითხა როზამ.

— იყვნენ და ისევ ქვევით ჩავიდნენ.

როზამ თავისი კალათა ზემოთ წაიღო. იქ ქვების გროვებს შორის ამბროსია და ფაშფაშა მზარეული მანუელა მიმდგარიყვნენ და რაღაცას ფუსფუსებდნენ.

ბიჭებმაც თავ-თავიანთი ბარგი მიალაგ-მოალაგეს და ინდიელთა მიერ მრავალი წლის წინ დახორავებულ ქვებს შორის თავშეფარებულ შინაურებს დაუწყეს ძებნა.

მთვარის შუქზე ამბროსიამ ტრინის შუბლზე წითელი ზოლი შეამჩნია.

— მოდი, ტრინი, აქ დაჯექი, — ალერსიანად უთხრა შვილიშვილს ამბროსიამ.

— პაპა სად არის? — იკითხა ტრინიმ.

— ქვემოთ წავიდა, კიდევ ამოიტანს რამეს.

ქვების ქოხში აჩქარებით შემოვიდა იერონიმო და ტრინის უთხრა:

— რა კარგია, რომ მოხვედი. ბაღში საეჭვო ხომ არაფერი შეგიმჩნევია?

— არა, არაფერი, მინდორში ერთი კაციც არ გამოსულა.

იერონიმო ჩაფიქრდა.

— ცუდია. ეს უცბად მოხვდებათ თვალში. დედა, ხვალ შენ სოფელში არ ჩახვალ? გავიგეთ, მძარცველების არმია ჯერ ორი დღის სავალზეა.

— საპატას გლეხები?

— მისი ადგილ-სამყოფელი ჯერ არ ვიცით. ახლა ტრინი მჭირდება.

— სოფელში უნდა ჩაგზავნო? — ჰკითხა ამბროსიამ. — ესესაა მძიმე ტვირთი ამოიტანა.

— არა, დედა, ზემოთ წავიყვან მიდამოს დასაზვერად.

იერონიმო წინ წავიდა. აქ სიარული მთვარის შუქზეც კი არ იყო იოლი. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ზურგზე ფუთებაკიდებული ინდიელები. დაქანცულები ძლივს ხვნეშოდნენ. იერონიმომ კიდევ ერთი ბიჭი იპოვა და სამივენი ქვახერგილებში ზემოთ აუყვნენ. ალაგ-ალაგ ოთხზე ფორთხვა უხდებოდათ. უცბად იერონიმო შედგა.

— ბავშვებო, დღეს მამაკაცებს ბევრი საქმე აქვთ. ამიტომ მიდამოზე თვალყურის დევნება თქვენ უნდა მოგანდოთ. როგორც კი რაიმე საეჭვოს შეამჩნევთ, მაშინვე მაცნობეთ. მძარცველების მოახლოებას შორიდანვე შეატყობთ, ეგ ბანდიტები ყველაფერს ცეცხლს უკიდებენ, რაც კი გზად შეხვდებათ.

ორივე ბიჭი ჩაცუცქდა. სოფლის მხარეს მხოლოდ სამრეკლო და რამდენიმე ქოხის სახურავი ჩანდა, მეტს ვერაფერს ხედავდნენ.

დაბლა დაბანაკებულები თანდათან ჩაჩუმდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოთვალთვალეებს კიდევ სამი ბიჭი შეუერთდა. ერთმა ბიჭმა დაიწყო:

— რაც სიმინდი გაგვაჩნდა, თითქმის სულ ამოვზიდეთ. ხუცესის სახლს რომ ჩავუარეთ, მისი მზარეული გამოვიდა და გვკითხა: — აქ რას აკეთებთო. ჩემმა უფროსმა ძმამ ხმადაბლა უთხრა: „ჩუმად, ჩუმად, დეიდა, ამაღამ ავსულები დადიან სოფელში. უმჯობესია, სახლში შეხვიდე, ჩვენც ახლავე გავეცლებით აქაურობას და სადმე მივწვებით, რომ ავსულებმა არ

შეგვამჩნიონ“. მერე მზარეულთან სულ ახლოს მივიდა და ყურში ჩასჩურჩულა: „აი, გესმის?“ სწორედ ამ დროს ახლო გაიარეს ტვირთაკიდებულმა სოფლელებმა. თქვენ რა გგონიათ, რა ჰქნა მზარეულმა? აჩქარებით წაილაპარაკა, ღმერთო შენ გვიშველეო, პირჯვარი გადაიწერა და ადგილს მოწყდა. ამაღამ გარეთ ცხვირს აღარ გამოყოფს.

ბიჭებმა გულიანად იცინეს.

უცბად ტრინი ზეზე წამოიჭრა, ხელი შორს გაიშვირა და წამოიძახა:

— შეხედეთ!

## თავდასხმა

ორივე ოფიცერმა, მხედრებს რომ მოუძღოდნენ, გზის მოძებნა ბატონ ტორესის ზედამხედველს დაავალა. მათ ეგონათ, ჩუმად ვლაპარაკობთო, მაგრამ როგორც ცხენით მგზავრობისას ხშირად ხდება ხოლმე, ისე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, მათ უკან მომავალ კავალერისტებს თითქმის ყველაფერი ესმოდათ.

— ამაზე რას იტყვით? — ღიმილით იკითხა კაპიტანმა. — მაშასადამე, აქ ვიღაც ლიბერალი ღორი იმალება, ჰა?

— მითხრეს, გრაფ არიოლას მდივანი იყო და მის ინგლისურ მიწერ-მოწერას ის აწარმოებდაო.

— მაშ იმ ყმაწვილს უფრო მეტი საიდუმლო ეცოდინება, ვიდრე გრაფი ფიქრობს. სხვათა შორის, იცით თუ არა, მაგ გრაფმა ისეთი იარაღი შეიძინა, რითაც ყველაფერი შეიძლება გააკეთო, ოღონდ ტყვიას კი ვერ გაისვრი. მისგან გამოქცეულ მდივანს ამ საქმისაც ბევრი რამ ეცოდინება. თუმცა ეგ ყოყლოჩინა გრაფი არ მიყვარს, მაგრამ მის მდივანს კი პირი უნდა მოვაკეტინოთ. უფრო გარკვევით რომ გითხრა, ისე უნდა მოვაკეტინოთ, შემდეგ ხმა, საერთოდ, ვეღარც ამოიღოს. მაგ ბაღებში რომ საქმეს მოვათავებთ, მერე სოფელს შევესიოთ. პოლკოვნიკმა მიბრძანა, სოფელი მანამდე უნდა დაიკავოთ, სანამ მისი მკვიდრნი სასმელ-საჭმელის გადამალვას მოასწრე-

ბენო. მართლაც, უბედურებაა, სადაც მივედით, გლეხები აღარსად დაგვხვედრია, ყველგან მთებში გაქცეულან!

— კარგი დაზვერვა აქვთ, ბატონო კაპიტანო!

— რა დიდი ამბავი ეგაა, გლეხებსაც ხომ თვალები აქვთ. სადაც შევედით, ყველა სოფელი გადავწვით, ისინი, რა, ვერ ხედავენ იმხელა ხანძრებსა და ცაში ასულ კვამლის სვეტებს? დღეს კი ერთ პატარა ნაპერწკალსაც ვერსად დაინახავენ. რა ხანია დროა, ერთი გემრიელად გამოვძღეთ.

ზედამხედველმა ცხენი შეაყენა.

— ბაღებში აქედან სჯობს მიპარვა.

— კარგი, — თქვა კაპიტანმა. — უბრძანე, ჩამოქვეითდნენ. პირველი ოცეულის ყოველმა მეორე კაცმა ცხენი ამხანაგს გადასცეს და თვითონ აქ მოვიდეს.

მერე კაპიტანმა ხმადაბლა ბრძანება გასცა. ლეიტენანტი თავისი ხალხით ბაღებისკენ წავიდა. თუმცა მთვარიანი ღამე იყო, მალე გაუჩინარდნენ.

კაპიტანი ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა და მოთმინებადაკარგული წინ და უკან დადიოდა. ერთი თამბაქოს გაბოლება სიცოცხლეს ერჩივნა, მაგრამ ნება არ ჰქონდა. დისციპლინა ჯარისკაცთა შორის ისედაც მოშლილი იყო. მარტო მარიჰუანას წევა რად ღირდა! ზოგჯერ ჯარისკაცები მარიჰუანათი ისე გაბრუვდებოდნენ, რომ ვეღარაფერს გააგონებდით. კაპიტანი ამას ებრძოდა. თუ რომელიმეში ეჭვი შეეპარებოდა, უბრძანებდა, წყალი დალიეო. მარიჰუანათი გაბრუებულს კი წყალი საშინლად ეზიზღება და პირს ვერ დააკარებს. როცა ჯარისკაცი ამაზე უარს იტყოდა, ისე გააწკეპლინებდა, რომ ცხენზე ძლივსღა იჯდა. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ჯარისკაცებისადმი ფაქიზი დამოკიდებულების ნიმუშად ვერ გამოდგებოდა. ზოგიერთი ოფიცრის აზრით, მარიჰუანას წევას თავისი უპირატესობა ჰქონდა. გაბრუებული ჯარისკაცი ვეღარც შიმშილს გრძნობდა და ვერც დაღლილობას. მაშასადამე, საკვების დაზოგვა შეიძლებოდა.

ამან კაპიტანს გენერალი უერტაც მოაგონა. მას ეჭვი ეპარებოდა, რომ მარიჰუანათი ვაჭრობას ჩუმ-ჩუმად თვით გენერალი უწყობდა ხელს და ამით საკმაო თანხასაც იჯიბავდა.

უცბად ჯარისკაცმა მოირბინა:

— ბატონო კაპიტანო, აი, იქ, რაღაც იწვის!

კაპიტანი იქითკენ შებრუნდა, საითაც ჯარისკაცი უჩვენებდა.

მართლაც, ხეებისა და ბუჩქნარის თავზე ცეცხლი ავარდა. დაბნეული კაპიტანი ერთ ადგილს მიეყინა. მერე სწრაფად შებრუნდა და დაიღრიალა:

— ცხენებზე! აბა, წინ!

ახლა კი მოხვდება მაგ ლეიტენანტს! ან იქნებ გლეხებმა დაანთეს ცეცხლი და სოფელი გააფრთხილეს? ყოველ შემთხვევაში, საჩქაროდ სოფელში უნდა შევცვივდეთ!

გზის იქითა მხარეს, მარჯვნივ, მამულისაკენ, ცეცხლწაკიდებულ ქოხს მოჰკრა თვალი. გზაზე კაპიტანს წინ ვიღაც გამოუხტა. ზედამხედველი ყოფილა!

— სოფელი საითაა? — შესძახა კაპიტანმა.

— პირდაპირ, ჩვენს წინ!

ზედამხედველმა უცბად უკან დაიხია, კაპიტანმა ისე გახელებით გააქანა ცხენი, რომ კინაღამ ზედ შედგა.

●

ერთი ბიჭი იერონიმოსთან მივარდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— ხანძარია!

— სად?

— ტრინი ამბობს, ბაღი იწვისო.

— ეშმაკები ხომ არ მოგელანდა, ბიჭო?

— არა, ჩვენც ეგრე გვგონია, ბაღი იწვის. აქეთ რომ გამოვრბოდი, ისე მომეჩვენა, სამი ქოხი იწვოდა, წამო ზემოთ, ხეებშიც კარგად მოჩანს.

ამასობაში ხანძარი სხვებმაც კარგად შეამჩნიეს. მაგრამ ნეტა ვინ წაუკიდა?

— იქნებ წამოსვლისას კერიაში ცეცხლი არ ჩააქრეს? — იკითხა ვიღაცამ.

— მაშინ ერთ ქოხს წაეკიდებოდა, — თქვა მეორემ.

იერონიმო გონს პირველი მოეგო:

— სოფელში ჩვენი ხალხი კიდევ დარჩა. რაც ბაღში მოხ-

და, უნდა შევატყობინოთ. ახლა მთავარია, ჩვენები გავაფრთხილოთ. ვინ წამომყვება.

ისინი დაღმართზე დაეშვნენ. რაც შეეძლოთ, ჩქარობდნენ.

ჩავაკებაზე, საიდანაც მინდერები იშლებოდა, ორი კაცი და ერთი ქალი შემოხვდათ.

— რა ჩოჩქოლია სოფელში. თითქოს ჭენების ხმაც გავიგონეთ.

კაპიტანმა და ორმა ჯარისკაცმა ეკლესიასთან შეიცადეს. მათთან სერჟანტი მივარდა:

— სოფელში ერთი კაციც ვერ ვიპოვეთ.

— შეუძლებელია! — წამოიყვირა კაპიტანმა.

მეორე მხედარიც უცებ გაჩნდა.

— ბატონო კაპიტანო, მხოლოდ ერთი კაცი ვნახეთ. სოფელი ცარიელია. სიმინდებში აღარაფერი ჩანს.

— ის კაცი სადაა? მომგვარეთ!

— მკვდარია. ჩვენზე სიმინდის საჭრელი მოღუნული დანით მოიწია და...

— ოხ, თქვე ნადირებო! — დაიღრიალა კაპიტანმა. — რას ფიქრობთ, რას? ერთი ცოცხალი კაცი მაინც მომიყვანეთ. როგორ შეიძლება სოფელში ერთი კაცი აღარ იყოს?!

სოფელში ხალხი მართლაც იყო. ამტყდარმა ხმაურმა ხუცესი ფელიქსი გააღვიძა, ტანთ ჩაიცვა და ის იყო გარეთ გამოსვლას აპირებდა, იმის გასაგებად, რა ხდებაო, რომ ორი კავალერისტი ოთახში შეუვარდა. ოთახში ბნელოდა და ხუცესი მათ ძლივს დაინახეს. მაშინვე ხელი ჩასჭიდეს და კარისკენ წაათრიეს. ხუცესმა პირი დააღო, მაგრამ არაფერი ათქმევინეს, ერთმა სახეში იმისთანა მისცხო, მაშინვე ტუჩები დაუსივდა. გამწარებული ხუცესი კარის ჩარჩოს ჩაეჭიდა.

კავალერისტები ხმამაღლა იგინებოდნენ. ხმაურზე კაპიტანი ცხენიდან ჩამოხტა და სახლში შევიდა. სიბნელეში ვერაფერი გაარჩია, მხოლოდ კვნესა და ბრძოლის ხმაური ესმოდათ.

— მორჩით მაიმუნობას! — დაიყვირა მან. — სად არის სოფლის მოსახლეობა! თქვი ჩქარა!

— მე მღვდელი ვარ, — ძლივს ამოთქვა ხუცესმა.

— ჰოდა, უნდა იცოდეთ, სად არიან თქვენი გლეხები!

— მე თვითონ ვერ გამიგია, — თქვა ხუცესმა. — თავთავიანთ ქოხებში იქნებიან.

— გაფრთხილებთ, ასეთი აბდა-უბდა ბევრი გაგვიგონია,— გაიჭაჭა გაცეცხლებული კაპიტანი, — იცოდეთ, რომ...

გაისმა ქალის ყურთწამღები კივილი, მერე ბრაგვანი მოჰყვა. ეს ხუცესის მზარეული იყო.

ხუცესი გონს მოეგო და სასულიერო სემინარიაში ნავარჯიშევი ბოხი ხმით იყვირა:

— ვინც გინდა იყავით, უდანაშაულო წვალება სწორი არ არის! არც ღვთისა და არც კაცის სახელით არ შეიძლება ასეთი საქმის ჩადენა. მაგისთვის მამა ღმერთი შეგაჩვენებთ!

კივილი ქვითინში გადავიდა.

— თქვენი ქადაგება არა გვჭირდება, — ცივად თქვა კაპიტანმა. — მოსაფიქრებლად ერთ წუთს გაძლევთ. თუ გონს არ მოეგებით, ამ სახლს მივატოვებ. თქვენი უწმინდესობა ალბათ მიხვდება, რას ნიშნავს ეს!

ხუცესმა ფელიქსმა ამაზე ასე უპასუხა:

— მე უბრალო მოკვდავი ვარ და არ შემიძლია ის გითხრათ, რაც არ ვიცი. თუმცა უბრალო მოკვდავი ვარ, მაგრამ ღვთის კურთხევით თქვენ...

— კარგად მესმის თქვენი, — ირონიულად უთხრა კაპიტანმა. — შენ, გეტყობა, იმ გლეხებთან კავშირი შეგიკრავს! ასეთი მღვდლები კი ჩვენს ბატონებს არ გამოადგებათ.

კაპიტანი გავიდა. ხუცესმა ახლალა შეამჩნია, რომ ის ოფიცერი იყო. მიხვდა, გენერალ უერტას არმია მოსულიყო. სიტყვის თქმა დააპირა, მაგრამ გვიანღა იყო.

●

იერონიმო და ახალგაზრდების ჯგუფი იქ შეჩერდნენ, სადაც სოფლიდან მომავალი ორი ბილიკი ერთდებოდა. ამ ადგილიდან ტყიან მთაზე, სადაც ინდიელთა ციხე-სიმაგრე მდებარეობდა, დაკიდული აღმართი იწყებოდა.

თითო-თითოდ და ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ მძიმე ტვირთაკიდებული ინდიელები, სიჩქარისა და დაძაბულობისაგან ხვნეშოდნენ და სულს ძლივს ითქვამდნენ. სოფელში ამტყდა-

რი ხმაურით შეშინებულნი მთვარის ამოსვლამდე ცდილობდნენ აქაურობას გასცლოდნენ.

იერონიმო ყველას აჩქარებდა და ეკითხებოდა, სოფელში რა ამბავიაო, მაგრამ სწორი პასუხის გაცემა არავის შეეძლო. არავინ იცოდა, იქ რა ხდებოდა.

უცბად ბუჩქებიდან ქალი და კაცი გამოძვრნენ და იერონიმოსაკენ აჩქარებით გასწიეს. არაფერი არ მოჰქონდათ. ტყისპირას თავმოყრილი კაცები რომ შეამჩნიეს, შეეშინდათ, მაგრამ იერონიმოს ხმა რომ გაიგონეს, დამშვიდდნენ. სირბილისაგან სუნთქვა ეკვროდათ და ხმა ერთბაშად ვერ ამოიღეს. ამიტომ შესვენება აცალეს.

აღელვებული ქალი მოჰყვა:

— დარჩენილი ლობიოთი და წიწაკის ასხმულათი ტომრებს ვავსებდით, როცა ცხენების თქარათქური შემოგვესმა. ვიღაცეები კაქტუსის ღობეში გამოძვრნენ კიდეც.

— ორი ცხენოსანი იყო. მივიდნენ და ქოხში შეიძახეს: „ჰეი! აბა, ადექით!“ ამ დროს ჩვენ სასიმინდეში ვიყავით და შეუმჩნევლად გავძვერით ლეღვის ხეებში. ერთი მათგანი ცხენიდან ჩამოხტა, მეორე გზაზე გავარდა. უცბად ყვირილი შემოგვესმა, მამაშენის ხმას ჰგავდა. ვერ გავიგეთ, რას ყვიროდა. ცხენოსნებმა ლანძღვა-გინება ასტეხეს. ის კაცი, ცხენიდან რომ ჩამოხტა, სასიმინდესთან მივიდა და ჩვენ მიერ მიტოვებული ნახევრად სავსე ტომარა მოსინჯა. მთვარის შუქზე ჩვენ კარგად დავინახეთ, მაგრამ ისინი ბევრს ხმაურობდნენ და დაკვირვებით არ ათვალიერებდნენ იქაურობას. ამით ვისარგებლეთ, მინდორზე გამოვედით და, როგორც კი შეგვეძლო, მოვქუსლეთ.

— მამაჩემს რა დაემართა?

— ჩვენ მხოლოდ ყვირილის ხმა გავიგონეთ, — თქვა კაცმა.

იერონიმო ჩაფიქრდა. „ხომ არ წავიდე და ჩვენების ეზოში ჩავიპარო? თუ მამაჩემი დაიმალა, რომელიმე ბილიკით აქ მოვა, თუ...“

იერონიმო გაუნძრეველად იდგა და მიდამოს დაკვირვებით ათვალიერებდა. ბაღებში მდგარ სამ ქოხს ცეცხლი ისე აღარ ეკიდა, ჩამცხრალიყო. მთვარის მდებარეობის მიხედვით შეიძ-

ლებოდა დაგესკვნათ, რომ საცაა გათენდებოდა, ვიღაცამ იერონიმოს მხარზე ხელი შეახო:

— აღარავინ აღარ მოვა.

— გათენებამდე აქ გუშაგი უნდა დავტოვოთ, — თქვა იერონიმომ. — დღისით ყველაფერს ზემოდან დავხედავთ.

ინდიელთა ციხე-სიმაგრეში უმეტესობა დასაძინებლად მიწვა. იერონიმოს მამის მეტი ყველა იქ იყო. ქვის წალოსთან ტომრებს, კალათებსა და ქილებს შორის მიმჯდარ ამბროსიას თვალი გაშტერებოდა. კაცს ეგონებოდა, ასე ზეზე დამჯდარი მომკვდარაო.

## გლეხთა არმია ახლოვდება

კავალერისტებმა ღამე ქოხებში გაათიეს. დილით, წამოდგნენ თუ არა, სოფლის ყოველი კუთხე-კუნჭული გადაქექეს. აქა-იქ საპმლის ნარჩენები იპოვეს.

სამრეკლოდან გუშაგი იმზირებოდა. გარშემო სამარისებური სიჩუმე სუფევდა. კავალერისტებმა იცოდნენ, რომ გლეხებს თავი მთებში შეეფარებინათ, მაგრამ უღრან ტყეში არაფერი ჩანდა, ალაგ-ალაგ ლოდებს თუ მოჰკრავდით თვალს.

ინდიელთა გამჭრიახი თვალი კი კარგად ხედავდა სამრეკლოს შეფარებულ გუშაგს და მის თითოეულ მოძრაობას აკვირდებოდნენ.

დილაადრიან სამი მხედარი ტეპოტლის გზას გაუდგა. იქიდან უერტას ფეხოსანთა ნაწილებს ელოდნენ.

შუადღე გადავიდა. იერონიმომ ცოტა წაიძინა. ფაშფაშა მანუელა თავის ქოთნებს დასტრიალებდა, თუმცა ვერაფერს მოხარშავდა, რადგან ცეცხლის დანთება აკრძალული იყო.

ტომრებითა და ფუთებით გამოვსებულ წალოში ტრინი შემოვიდა, იერონიმოსთან მივიდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— რაღაც დავინახეთ.

იერონიმო მიხვდა, რომ ტრინის არ უნდოდა ლაქლაქა მანუელას თანდასწრებით ეთქვა, და გარეთ გაჰყვა.

ძმისწულმა ბიძა იქვე ბუჩქებთან მიიყვანა და უთხრა:

— ახლა აღარ ჩანან.

— ვინ იყვნენ?

— ორნი იყვნენ, ეტყობოდა, ბიჭები, მაცნეებად თუ გამოგზავნეს.

იერონიმომ თითი გაიშვირა:

— იქიდან? შეიძლება სოფლებიდან გამოგზავნეს? ნეტავი ჩვენს სოფელში მაინც არ ჩამოვიდნენ. როგორმე უნდა გავაფრთხილოთ, ტრინი! საჩქაროდ ორი-სამი ბიჭი იშოვე!

ორიოდე წუთის შემდეგ იერონიმო, ორი სხვა კაცი და სამი ბიჭი დაღმართზე მიექანებოდნენ. გზა იმ ველზე გადიოდა, სადაც ლტოლვილების საქონელი ძოვდა. მერე ხევს დაუყვნენ. ტყის პირას გასულნი შედგნენ.

სამრეკლოზე ჩასაფრებულმა გუშაგმაც შენიშნა ორი ბიჭი. მათ ტანთ გლეხური ხალათები ეცვათ. თავზეც გლეხური ქუდები ეხურათ. მათ შესაპყრობად ოთხი ცხენოსანი გაგზავნეს. ამათ ცხენები ერთხანს გზაზე აჭენეს, მერე ბილიკზე გაუხვიეს, საიდანაც ორივე ბიჭი ცოტა ხნით თვალიდან დაეკარგათ.

●

ზემოდან, მთიდან, გუშაგები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს მაცნედ გამოგზავნილ ბიჭებს. ისინი ისევ გამოჩნდნენ. ეს ბიჭები კი ვერც მათ შესახვედრად გაგზავნილ სამ ბიჭს ხედავდნენ და ვერც იმ მხედრებს, მარცხნიდან რომ უახლოვდებოდნენ, თუმცა მთლად იმ მხრიდან არ მოდიოდნენ, საიდანაც ისინი. მთაზე გადმომდგარი ინდიელი გუშაგები ძალიან ღელავდნენ, ისინი ხედავდნენ, რომ სამივე ჯგუფი გზას ასცდა და სხვადასხვა მხარეს მიდიოდა.

ორივე მაცნეს უკვე შეემჩნია კვამლი, ბაღებში მდგარი სამი ქოხიდან რომ ხრჩოლავდა, ამიტომ ფრთხილობდნენ. გეზი პატარა ბორცვისკენ აეღოთ და აქედან ფიქრობდნენ სან ბარტოლდო მოეთვალიერებინათ.

უცბად მათ მუზარადჩამოფხატული თავები შეამჩნიეს და მაშინვე მიიმალნენ.

ციხე-სიმაგრიდან მოთვალთვალეებმა შეამჩნიეს, რომ ბი-

ჭებმა მიმართულება შეიცვალეს და პირდაპირ მთისკენ აუხვიეს. მაგრამ ახლა იმის საშიშროება შეიქმნა, რომ მათ შესახვედრად გაგზავნილი სამი ბიჭი არ გადაჰყროდა კავალერისტებს. კიდევ კარგი, გზაზე იმდენი ქვები ეყარა და ეკლიანი ბუჩქნარი იყო მოდებული, კავალერისტები იძულებულნი იყვნენ, უფრო მეტად გზას დაკვირვებოდნენ, ვიდრე მიდამოს. ამიტომ, როცა სამი ბიჭი უცბად კინაღამ მათ გადააწყდა, კავალერისტებმა ვერ შენიშნეს. მეკავშირეებმა კი სწორედ ამ დროს ცხენოსნებს გარდა ის ორი მაცნეც შეამჩნიეს.

მთიდან მოთვალთვალეებმა სიხარულისაგან ყიჟინა ასტეხეს.

— შეხე, შეხე, ახლა კი მიხვდნენ, როგორც მოიქცნენ. აი, გარბიან კიდეც. ახლავე შეხვდებიან ჩვენებს! ახლავე!.. ეს რა არის, რად დაწვნენ?.. არა, ისევ გარბიან.

როცა შეამჩნევდნენ, მხედრები შეჩერდებოდნენ, მეთვალთვალეთ სიხარულის ყიჟინა ამოხდებოდათ ხოლმე. ბიჭები კი ტყეს სწრაფად უახლოვდებოდნენ.

მაღალი ხის ჩრდილში იერონიმო და ვიღაც ორი კაცი იდგნენ. სამთავეს ხელში გაშლილი სიმინდის საჭრელი დანები ჩაებღუჯათ და თუ საჭირო გახდებოდა, მზად იყვნენ, ბიჭებს დახმარებოდნენ. მალე ბიჭები ისე მოახლოვდნენ, იერონიმომ ერთი მათგანი იცნო, ეს ბრაულიო იყო. ნეტა გლეხთა არმიის ამბავი ხომ არ მოიტანეს?

ოთხი მხედარი აღარსად ჩანდა. იერონიმომ ბიჭები დაბურულ ტყეში შეიყვანა და იქ ჰკითხა, საიდან მოდიხართო.

— მამაჩემმა პაკომ დამაბარა, წუხელ ხანძარი შევამჩნიეთ და რას ნიშნავსო? — დაიწყო ბრაულიომ.

— საპატასთან უკვე იყავით? — ჰკითხა იერონიმომ.

— თვითონ საპატა ჯერ არ გვინახავს, მის ერთ-ერთ რაზმს შევხვდით. გლეხთა არმია აქეთ მოიწევს.

— აქ როდის იქნება?

— მამაჩემმა თქვა, ალბათ, ხვალ ვიქნებითო.

იერონიმომ შეამჩნია, ბრაულიოს თვალები ჩაღამებოდა და ჰკითხა:

— რამდენი ხანია გზაში ხარ?

— რაც ბაღებიდან წავედით, სულ გზაში ვართ.

— ყოჩაღ! — ალერსიანად უთხრა იერონიმომ. — ჯერჯერობით უკან აღარ გაგაბრუნებ. პაკოსთან სხვას გავგზავნით. შენზე კი ტრინი იზრუნებს. ისიც ორი დღეა ფეხზე დგას და ერთი გემრიელი გამოძინება არც იმას აწყენს.

ბრაულიოს გამოჩენამ ტრინი ძალზე გაახარა. ორივე მაცნე ისე მოქანცულიყო, აღმართზე წელს ძლივსღა მიათრევდნენ.

●

ტრინის მოუსვენრად ეძინა, შეშფოთებულმა რომ გამოიღვიძა, უცბად ვერ მიხვდა, სად იმყოფებოდა. კალათებსა და ქილებს შორის იწვა და ზემოდან მთვარე დაჰნათოდა. მის გვერდით საბანში გახვეული ბრაულიო იწვა. იქვე ახლოს ვიღაცეები ლაპარაკობდნენ. ეს რა უცნაური შუქია? ცეცხლი ხომ არ დაანთეს? მაგრამ ცეცხლის დანთება ხომ აკრძალული იყო? ტრინი ფრთხილად წამოდგა, რომ ბრაულიო არ გაეღვიძებინა.

წალოდან რომ გამოვიდა, ხეებს იქით გადაწითლებული ზეცა დაინახა. მათი სოფელი ხომ არ იწვოდა?

ტრინი მაღალ ქვაყრილზე აძვრა და მიიხედ-მოიხედა. დიახ, მათი სოფელი იწვოდა. მონუსხულივით შესცქეროდა ალმოდებულ სახურავებს. მერე იერონიმო და ამბროსია გაახსენდა. ისინიც თავშეყრილ გლეხებთან იდგნენ და მდუმარედ შესცქეროდნენ ცეცხლმოკიდებულ სოფელს. მათ არ იცოდნენ, კავალერისტები ისევ იქ იყვნენ, თუ წავიდნენ. მხოლოდ დილას გაიგეს, ავაზაკები წასულიყვნენ, მაგრამ საით, ეს აღარ იცოდნენ.

მამაკაცები ფრთხილად შეიპარნენ ახრჩოლებულ სოფელში. მღვდლის სახლში ჯერ მკვდარ მზარეულს გადააწყდნენ, მერე ხუცეს ფელიქსს. ქუდმოხდილები იდგნენ მიცვალებულის გვამთან და ვერ გაეგოთ, ავაზაკები ხუცესს რაღას ერჩოდნენ. ამბროსია თავისი ქოხისაკენ წაბარბაცდა. კარებში მისი ქმარი, გულკეთილი ხასინტო იწვა. ხელში სიმინდის საჭრელი დანა ჩაებღუჯა. სახე დაესახიჩრებინათ.

ამბროსია არ ტიროდა, თავჩაქინდრული დიდხანს იდგა და ხმას არ იღებდა. ვერც კი გრძნობდა მზის მწვავე სხივებს.

# ღრეობა

პაკოსა და ბრაულიოს სოფელში — ტეპოტლაში — ორი დღის წინ ტუსპანიდან ლტოლვილები მოვიდნენ. გენერალ უერტას არმიაზე ათას საშინელებას ჰყვებოდნენ. ტუსპანელებს გვიან მოუფიქრებიათ სოფლის მიტოვება. ამის გამო გლეხების უმრავლესობა და სიმინდის მთელი მარაგი ჯარისკაცებს ჩავარდნოდათ ხელში. ამას გარდა, ადგილობრივ ხუცესს ჯარის მეთაურებთან რამდენიმე ინდიელი დაებეზღებინა, რომლებიც, მისი აზრით, ახალ იდეებს ავრცელებდნენ. დაბეზღებულთაგან ზოგი მაშინვე დაეხვრიტათ, ზოგი კი მხეცურად ეწამებინათ. საწყალი ტუსპანელები ჯერაც ისევ შიშით ცახცახებდნენ და ცოტა მაშინღა დამშვიდდნენ, როცა ტეპოტლელებმა უთხრეს, ჩვენთან ნუ გეშინიათ, საიმედოდ დაგმალავთო.

ტეპოტლელმა მღვდელმაც გაიგო უერტას არმიის მიერ ჩადენილი საშინელებანი, მაშინვე სახედარზე შეჯდა და უახლოეს ქალაქს მიაშურა. თავის მრევლს მაინცდამაინც ვერ ენდობოდა, მაგრამ არც მებატონე ტორესი ეხატა გულზე. მაშ რა ექნა? მართალია, ინდიელებთან დიდი მეგობრობა არა ჰქონდა, მაგრამ არც მძარცველთა არმიის მხეცური სისასტიკე მოსწონდა. ამიტომ, როგორც უნდა მოქცეულიყო, სულ ერთია, სინდისის ქენჯნას ვერ გაეცქეოდა. მზარეული ქალი და პატარა ქალიშვილი სოფელში მიატოვა. ეკლესიის კანონების მიხედვით, იმათზე იმდენსავე ვალდებულებას გრძნობდა, რამდენსაც სამწყსოს რომელიმე წევრზე.

დაღამებისას დამფრთხალმა მზარეულმა რაღაც ხმაურს მოჰკრა ყური. ჩუმად გაიხედა გარეთ და დაინახა, ბარგი-ბარხანააკიდებული ხალხი და სახედრები სადღაც მიეშურებოდნენ. მზარეულმა შვილი გააღვიძა, რაც აუცილებლად სჭირდებოდა, ბოღჩაში გამოკრა და გლეხებს გაჰყვა. თუმცა, სად მიდიოდნენ, არ იცოდა, რადგან თვითონ ტეპოტლელი არ იყო და ინდიელთა ამბავიც ნაკლებად იცოდა.

ტეპოტლელები მთას შეუდგნენ. თავშესაფრად ერთი ადგილი ეგულებოდათ, „თხის სახტომად“ წოდებული. ვინც კი ერთადერთი, მთლად ჩამორეცხილი და დაკიდული ბილიკი დი-

დის გაჭირვებით აიარა, გაოცებისაგან პირს აღებდა, როცა მწვანე მოლიან ტაფობს გადაადგებოდა. იგი ამჟამად ჩამქრალ ვულკანის კრატერს წარმოადგენდა. როცა ტვირთაკიდებული ხალხისა და პირუტყვების გრძელი ქარავნის თავმა კრატერის ნაპირს მიაღწია, შორს ხანძარი დაინახეს. ეტყობოდა, სან ბარტოლდო იწვოდა. მიხვდნენ, მძარცველები სან ბარტოლდოს შესეოდნენ. თითქმის იმავე დროს „თხის სახტომს“ მეორე სოფლიდან გამოქცეული ლტოლვილებიც მოადგნენ.

სანამ ტეპოტლიდან გამოიქცეოდნენ, ბატონ ტორესის მოჯამაგირეებში დავა ამტყდარა. ზოგს მოუნდომებია, მეორე დღეს მამულში დაბრუნებულიყო და მუშაობას შესდგომოდა. მაგრამ ახალგაზრდობას ეს არ უნდოდა. მათ აზრს არაკუნე გამოსთქვამდა, თუმცა ჯერ ყმაწვილი იყო, მაგრამ სიმაღლითა და, ჯან-ღონით გამოირჩეოდა. ამას გარდა, ენაწყლიანიც იყო და ისიც კარგად იცოდა, ბაღში მიღებული ცოდნა როგორმე გამოეყენებინა.

არაკუნემ როგორც კი ხანძარს თვალი მოჰკრა, ამხანაგებს მოელაპარაკა და საბრძოლო რაზმი ჩამოაყალიბა, ხელში გაშლილი სიმინდის საჭრელები დაიკავეს და იმ ადგილას ჩასაფრდნენ, სადაც ვიწრო, დაქანებული ბილიკი „თხის სახტომის“ ფართო ტაფობში გადადიოდა.

არაკუნემ ამხანაგებს უჩვენა, როგორ უნდა დახვედროდა ალმართში ამომავალ ჯარისკაცს და მოქნეული დანით მიწაზე წაექცია. სწორედ ამ დროს ბილიკზე ხუცესის მზარეული და მისი გოგონა გამოჩნდნენ. შეძრწუნებულმა მზარეულმა შეამჩნია, რომ სიბნელიდან მისკენ მოქნეული დანით გადმოხტა მაღალი არაკუნე. მზარეული უკან გადახტა და მძიმე ტვირთქვეშ მოხრილ ბილიკზე ამომავალ გლეხს გადააწყდა. ინდიელი წყევლა-კრულვას მოჰყვა.

არაკუნემ გაიღრიჭა და ხელი დაუშვა. უცბად აენთებოდა, მაგრამ ზოგჯერ მოუფიქრებლად გამოუდიოდა.

შეშინებული მზარეული ბანაკის მეორე მხარეს გაემართა. მისი გოგონა უხმოდ ტიროდა და შიშით ცახცახებდა. მეორე დღეს მათ უკვე იცოდნენ, რომ ინდიელები ამ ქალაქურად გამოწყობილთა მიმართ მტრულად არ იყვნენ განწყობილნი და, საერთოდ, მათ ყურადღებასაც არ აქცევდნენ.

არაკუნეს საჩვენებელმა თავდასხმამ ახალგაზრდების რაზმი დაარწმუნა, რომ აქ თავდაცვა ადვილი საქმე იყო, გინდაც იერიშზე შაშხანებით შეიარაღებული ჯარისკაცები წამოსულიყვნენ. ღამით მეორე სოფელმაც შექმნა საბრძოლო რაზმი. ამის შემდეგ ხანშიშესულმა მუშებმაც გადაწყვიტეს, ბატონის საქმეზე სამუშაოდ აღარ წასულიყვნენ და „თხის სახტომში“ დარჩნენ. ოღონდ საჭირო იყო, საკმარისი რაოდენობით წყალი ამოეზიდათ, რადგან მთაზე წყალი არ იყო. წყალზე მიმავალი ქალები გრძელ რიგად დაწალიკდნენ. ყველას თავზე კოკა ედგა.

●

ბატონი ტორესი და მისი ვაჟიშვილი იმ ღამეს დიდხანს ფხიზლობდნენ, ბანზე ავიდნენ და ხანძრით განათებული ჰორიზონტისკენ იცქირებოდნენ.

— აი, ხომ ხედავ, უერტას რაზმებმა გვერდი აგვიქციეს. მეც ამას არ ვამბობდი? — წაიტრაბახა ბატონმა ტორესმა, — მაგრამ ეს კი მიკვირს, ასე მალე როგორ მივიდნენ იქ.

სხვა აღარაფერი გამოჩენილა და მამა-შვილი კარგა ხანს არაყს სვამდა. არყის სახდელი რომ ჰქონდა, ამან ტორესი ძალიან წაახდინა: ამ ბოლო ხანებში ყოველ საღამოს ილეშებოდა. გვიან დგებოდა და თუ დილას ადრე გააღვიძებდნენ, ძალიან ბრაზობდა.

შეშფოთებული ზედამხედველები დილით ეზოში დაწრიალებდნენ და ალაყაფის კარებისაკენ იცქირებოდნენ. ან ახლა გამოჩნდებიან მოჯამაგირეები, ან ახლაო. თავგასიებული ბატონი, როგორც იქნა, ლოგინიდან წამოდგა და ნახა, რომ მამულში ერთი მუშაც არ გამოცხადებულიყო. ტორესი საშინლად გაცეცხლდა, სკამი გვერდით მოისროლა და ზედამხედველებს ლანძღვა დაუწყო:

— ეგ ცხენები რისთვისა გყავთ! — ყვიროდა ტორესი. — წადით სოფელში და ყველას უთხარით, ხვალ უერტას არმია აქ იქნება. მე რომ ერთი სიტყვა დამცდეს, თქვენ ყველას ამოგჟლეტენ-თქო. აბა, გაქუსლეთ!

ზედამხედველები უგემურად შებრუნდნენ და ძლივს მოი-

ცვალეს ფეხი. ამის შემხედვარე ტორესი უფრო გაანჩხლდა. ზედამხედველები კარგად ხედებოდნენ, გლეხები სადაც დაიმალებოდნენ.

ზედამხედველები მალე მობრუნდნენ და ამბავი მოიტანეს, სოფელში კაცის ჭაჭანება აღარ არისო, მღვდელიც კი ვერსად ვნახეთო. ამაზე ტორესი ისევ აყვირდა, მაგრამ მერე კი ჩაფიქრდა. უერტას ხალხმა რომ გაიგოს, ჩემი გლეხები აღარ მუშაობენ, ეშმაკმა უწყის ეს ბანდიტები რას იზამენო.

ტორესმა ტეკილი მოითხოვა და ორი ჭიქა ზედიზედ გადაჰკრა.

უცბად მისმა ვაჟმა მოაგდო ცხენი:

— მამა, ვიცი ეგ ვაჟბატონები სადაც არიან. დურბინდით დავინახე, „თხის სახტომს“ შეფარებიან.

ბატონი ტორესი ბანზე ავიდა. აქედან კარგად მოჩანდა მუქი ნაცრისფერი ციცაბო მთა. გეგონებოდათ, ვეებერთელა თავი წაუჭრიათო. ფერდობები ღვართქაფებს დაეღარათ და ჩამოერეცხათ. ტორესმა თვალებთან დურბინდი მიიტანა და კრატერის პირას ჩასაფრებული ინდიელების თავები მკაფიოდ გაარჩია.

— რა ვიღონოთ? — ჰკითხა ვაჟმა.

— აბა, რას იზამ? — მიუგო დანაღვლიანებულმა ტორესმა. — იქ არმიით ვერ შეუტევ, კარგად ვიცი ეგ „თხის სახტომი“. ამ ტაფობში კარგი ბალახი იზრდება და ინდიელთა ვირებს საძოვარი არ შემოაკლდებათ. ჩამსხდარან შინ და ზემოდან დაგვცინიან.

გვიან ღამით მთელი ოჯახი ვახშამს უჯდა, როცა მსახურმა ხუანმა ბატონს შეატყობინა, ზედამხედველი მოვიდაო. ტორესს არ უყვარდა ამ გაუნათლებელი ხალხის შეშვება თავის ოთახში და გარეთ გამოვიდა.

— ბატონო, — დაიწყო ზედამხედველმა, — სან ბარტოლდოს მხარეს ცა გადაწითლებულია. ალბათ, სოფელი იწვის.

— მაგის სათქმელად მოხვედი? — ჩაეკითხა მებატონე. მან იცოდა, უერტას ჯარისკაცები სოფელს გაძარცვავდნენ და მერე გადასწვავდნენ. „ახლა კი, ალბათ, სხვა სოფელს შეესიენ.“ — გაიფიქრა თავისთვის.

ტორესის ცოლი და ქალიშვილი დასაძინებლად წავიდნენ,

თვითონ და ვაჟიშვილი კი ბანზე ავიდნენ. სან ბარტოლდოს ამბები ისე არ აინტერესებდა, როგორც მისი მოპირდაპირე მხარის ამბები, საიდანაც უერტას არმიას ელოდებოდა.

— ძალიან მიკვირს, იმ მხარეს ხანძარი რომ არ მოჩანს, — უთხრა თავის ვაჟიშვილს. — აბა, რას ემგვანება, მაგ არმიამ სოფლები ცეცხლს რომ არ მისცეს. ავაზაკი თავის ჩვეულებას ვერ დაივიწყებს. შიკრიკი მაინც გაგეგზავნათ! იმათ უფროსს დავპატიჟებდი ოჯახში. ეს ყველაზე უკეთესი საშუალება იქნებოდა ჩემი ოჯახის თავდაცვისათვის. მალე მთვარე შეიცვლება, ამას ყოველთვის რაღაც მოჰყვება ხოლმე, ოღონდ ვერ გაიგებ, კარგი თუ ცუდი.

უცბად ქუჩიდან ხმაური მოისმა.

— ცხენოსნებია! — წამოიძახა ვაჟიშვილმა და მთვარის შუქზე ორიევმ კავალერისტები დაინახა.

მამა-შვილმა მაშინვე ეზოში ჩაირბინა. სვეტებიან შესასვლელთან ორი ოფიცერი შედგა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — შესძახა ბატონმა ტორესმა. — ჩემი სახლის კარი ღიაა თქვენთვის. გვეწვიეთ!

კაპიტანს ცხენიდან ჩამოხტომა არ დაუპირებია, ტორესს ისე უპასუხა:

— მანამდე პატარა ანგარიშები გავასწოროთ! მე მეპატიჟებით, მაგრამ აი, ჩვენი ლეიტენანტი კარგა გვარიანად გააცურეთ, თავბრუ დაახვიეთ, სან ბარტოლდო მდიდარი სოფელიაო! მდიდარი კი არა, კინაღამ შიმშილით სული ამოგვძვრა, მღვდელსაც პირი შეეკრა გლეხებთან. მაგრამ სამუდამოდ შევუკარით პირი. — კაპიტანმა ბოლო წინადადება განგებ გააჭიანურა და მერე ისევ განაგრძო: — თქვენ კი, კეთილშობილო ბატონო, ალბათ ჩვენი თავიდან მოცილება გნებავდათ, არა? თქვენც ლიბერალი ხომ არ ბრძანდებით ჩვენს პრეზიდენტ მადეროსავით? იგი სწორედ ახლა ათასგვარ დაბრკოლებას გვიქმნის. მალე დაიღუპავს თავს. თქვენც ხომ არ გინდოდათ მისი ბედი გაგეზიარებინათ?

ბატონმა ტორესმა ვაჟიშვილს ჩასჩურჩულა:

— ახლავე გააღვიძე ყველანი და ბლომად ტეკილი მოიტანე!

კაპიტანს, რასაკვირველია, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მე-

მამულე ლიბერალი არ იქნებოდა, მაგრამ მისი დაშინება უნდოდა, იქნებ რაიმე დაეცინცლა.

ბატონი ტორესი სადარბაზოს კიბეზე დაეშვა, თაღლითური ღიმილით კაპიტანს თავი მდაბლად დაუკრა და უთხრა:

— ძალიან ვწუხვარ, რომ სან ბარტოლდოში ვერ იპოვეთ, რასაც ეძებდით, სამაგიეროდ აქ დაგაჯილდოვებთ.

ბატონმა ტორესმა კაპიტანს თითლიბაზური საუბარი გაუბა, სანამ მსახური ხუანი ლანგრით ტეკილსა და ჭიქებს შემოიტანდა.

— ბატონო კაპიტანო, ნება მომეცით, — უთხრა სტუმარს ტორესმა, — თქვენი მოსვლის სადღეგრძელო შევსვა. ჩემი საკუთარი ქარხნისაა. ამ ტეკილს თვით მეხიკოში ვაწვდი მუშტარს.

შემდეგ კაპიტანს აღუთქვა, მთელი ესკადრონის დანაყრებას მე ვკისრულობო. მანამდე კი ბლომად არაყი შემოატანინა. ბატონის სამზარეულო ერთბაშად ხომ ვერ მოამზადებდა მთელი ესკადრონისათვის საჭმელს, ამიტომ ზოგი კავალერისტი ისე გამოიბრუჟა, ჭამის თავიც აღარ ჰქონდა.

ცოტა ხნის შემდეგ კაპიტანი და ბატონი ტორესი სავარძელში ხელიხელგადახვეულნი ისხდნენ და ენის ბორძიკით რაღაცას ბურტყუნებდნენ. ტორესის ცოლი მათ ტკბილი ღიმილით შესცქეროდა.

— ძვირფასო ძმაო, — ლუღლუღებდა ტორესი, — ერთი თხოვნა მაქვს შენთან!

— რაც გინდა, მთხოვე.

— ჯარისკაცები სოფელში გააგზავნე, მთვრალები არიან!

— ლეიტენანტო, — დაიღრიალა კაპიტანმა, — სერჟანტს უთხარი, ყველანი სოფელში წავიდნენ, ყველანი!

ქალბატონმა ტორესმა მოსაჩვენებლად ტუჩებთან ჭიქა მიიტანა, მერე წამოდგა და როგორც კი მთვრალებს გაეცალა, მის სახეს ნაძალადევი ღიმილი მოშორდა.

— ხუან, — მკაცრი კილოთი უთხრა მსახურს, — გადი და ეგ მთვრალი ჯარისკაცები ეზოდან რომ გავლენ, ალაყაფი მაშინვე ურდულით ჩაკეტე.

— ქალბატონო, თუ გინდათ, ჯარისკაცები უკან აღარ მობრუნდნენ, სოფელში არაყიც უნდა გაატანოთ, — ურჩია ხუანმა.

— კარგი, სამყოფ არაყს გავუგზავნი სოფელში, — უპასუხა ქალბატონმა ტორესმა.

ეზოდან კავალერისტების გაყვანა ეგრე ადვილი როდი იყო. სერჟანტმა ბრძანების შესასრულებლად კარებში დაყენებული გუშაგები გამოიყვანა, რომ გამობრუჟული ჯარისკაცები როგორმე ეზოდან გაეყვანათ ან გაეთრიათ. გუშაგები ხელის კვრითა და პანღურებით ერეკებოდნენ ეზოდან, ბოლოს ცემატყეპა ატყდა, რაც სოფელშიაც კარგა ხანს გაგრძელდა და მაშინღა დასრულდა, როცა მათთან ერთმა ზედამხედველმა პულკეთი სავსე ორი კასრაკიდებული სახედარი მიიყვანა. პულკე ჯერ კიდევ არ დადუღებულიყო და თავზე ქაფი მოეგდო. ზოგიერთს სწორედ ამ დროს უყვარს პულკეს სმა, თუმცა შემდეგ საშინლად მოქმედებს. ხელჩართულ ჩხუბში ჩაბმულმა კავალერისტებმა შერიგების სადღეგრძელოები დალიეს და ზედამხედველს მერე ტეკილიც მოსთხოვეს.

გათენებამაც მოაწია, სანამ სოფელში ტეკილი მოიტანეს. ისევ ასტეხეს ლოთობა და ღრიალი. მთელ ესკადრონში ცხენებიღა დარჩა ფხიზელი.

## არაკუნე ტორესის მამულში

ბატონი ტორესის ლოთობის გამო მისმა მსახურმა ხუანმაც მიჰყო ხელი სმას. როგორც კი დროს ისელთებდა, თითოოროლა ჭიქას გადაჰკრავდა ხოლმე. წუხანდელ ღრეობაში თვალყურს აღარავინ ადევნებდა, ვინ რამდენს სვამდა. ამით ხუანმა კარგად ისარგებლა. მის მეგობარ გლეხებს ხომ უნდა სცოდნოდათ, რა ხდებოდა ბატონის სახლში, ჰოდა, სხვა ვინ შეატყობინებდა მათ ამ ამბებს, თუ არა ხუანი? ამის გამო ამჯერად ხუანს აღარ დაულევია.

გათენებისას მსახურებმა დივანზე მიძინებული ბატონი თავის ოთახში შეიყვანეს და ლოგინში ჩააწვინეს. გაცილებით ძნელი აღმოჩნდა ტყვიასავით მძიმე კაპიტნისა და გახელებული უმცროსი ტორესის ლოგინში ჩაწვენა. ბოლოს, როგორც იქნა, ხუანმა მოიცალა. ახლა კი შეეძლო მთაში ინდიელებთან წასვლა. ბანცალ-ბანცალით, ხელების ქნევით ჩამოვიდა კიბეზე და ეზო გადაიარა. ეზოში კაცის ჭაჭანება არ იყო. ალაყაფის კარებს მძიმე ურდული გამოაცალა და იქაურობა სწრაფად მიათვალ-მოათვალიერა. გარეთაც არავინ ჩანდა. სოფლიდან გალეშილი კავალერისტების ღრიანცელი მოისმოდა.

ხუანი ეზოდან გაიპარა და ჭიშკარი მიხურა, მერე თავის წინ აღმართულ რუხ ციცაბო მთას შეხედა და გაიფიქრა, იქ რა ავაო, მაგრამ მოვალეობამ სძლია დაღლილობას და მთისკენ მიმავალ დაკლაკნილ ბილიკს შეუდგა. ნახევრად ძილ-ბურანში მყოფი ხუანი თავჩაქინდრული მიდიოდა.

— ბიძია ხუან! — მოესმა უცბად ჩუმი ხმა.

ხუანი შეკრთა. მიიხედ-მოიხედა. კაქტუსის ძირას შავქოჩორა, თვალებგაბრწყინებული ბიჭი დაინახა.

— ბიძია ხუან, — თქვა არაკუნემ, — გეტყობა, გემრიელად გადაგიხუხავს. ჩვენთან მოდიხარ? თუ ასეა, უკვე მოსულხარ.

ბუჩქებს უკან მიმალული ბიჭები ნელ-ნელა გამოლაგდნენ. აქ თითქმის მთელი ტეპოტლას ახალგაზრდობას შეეყარა თავი. ხელში ყველას გაშლილი სიმინდის საჭრელები ეკავათ. გაოცებული ხუანი მათ თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა.

ხუანმა უამბო მათ, მთელი ესკადრონი გალეშილია, ტორესთან მხოლოდ ოფიცრები, უფროსი სერჟანტი და ორიოდ ჯარისკაცი დარჩენილა.

— ალაყაფის კარებში გუშაგები არ უყენიათ? — იკითხა არაკუნემ.

— მოსულთაგან არავინ, ზედამხედველთაგან კი არ ვიცი, შეიძლება რომელიმე იდგეს. მათთვის ქალბატონს სასმელი არ მიუცია, მაგრამ ცოტას მაინც გადაჰკრავდნენ სადღაც.

— შენ ხომ არ შეგიძლია, ხუან, ისინიც გამოათრო?

— ეგ იოლი საქმეა. ჭიშკარი მარტო მიხურული იქნება.

— სჯობია, ჩაკეტო, — თქვა არაკუნემ. — კედელში განგრეული ხვრელიდან გადმოვალთ.

●

ზემოთ, „ოხის სახტომის" კრატერის თავიდან, მზვერავები დილიდანვე უთვალთვალებდნენ ტეპოტლაში კავალერისტების ფუსფუსს, მაგრამ ვერ გაიგეს, რას აკეთებდნენ. ცოტა ხნის შემდეგ დაინახეს, მემამულის ეზოდან ვიღაც გამოვიდა. მას გლეხურად არ ეცვა და შორიახლო ჩასაფრებული არაკუნეს რაზმისაკენ გასწია. მერე შეჩერდა და თითქოს მათ გამოელაპარაკა. დიდი ხანი არ გასულა, ისევ უკან შებრუნდა და მებატონის სახლ-კარისაკენ გაემართა. ახლა კი არაკუნეს რაზმიც აიშალა და სოფელსა და ტორესის მამულს შორის მიმავალ გზაზე დაწალიკდნენ. ეზოს რომ მიუახლოვდნენ, შეჩერდნენ, მერე ერთიმეორის მიყოლებით გზა აჩქარებით გადაირბინეს, ეზოში გადაძვრნენ და აქაც სასწრაფოდ ხეებს მიეფარნენ.

— რაღაცას აპირებენ, — მიუბრუნდა ბენიამინი თავის კბილა ხალხს, — უნდა მივეშველოთ. ვინ გამომყვება?

●

სან ბარტოლდოელებმა თავიანთი გადამწვარი სოფელი ფრთხილად მიჩხრიკ-მოჩხრიკეს. მათ ეგონათ, ესკადრონი თავისი გზით წავიდა და ახლა მას უერტას მძარცველთა არმია მოჰყვებოდა. ამიტომ გლეხები შუადღისას უკანვე გაბრუნდნენ ინდიელთა ციხე-სიმაგრისაკენ.

ამასობაში ყველაზე მაღალი ქვის ყორიდან ბრაულიომ და ტრინიმ სამხრეთით რაღაც საყურადღებო შენიშნეს. ნეტა რა იყო? ან იქნებ თვალმა მოატყუათ? მზისგან ძლიერ გახურებული ჰორიზონტი მკაფიოდ კი არ გამოიკვეთებოდა, ორ ზოლს ჰქმნიდა და მათ შორის სიცარიელე იდგა. ეს მოვლენა მათთვის ბავშვობიდანვე იყო ცნობილი და ისიც კარგად იცოდნენ, რომ ასეთი ორმაგი ჰორიზონტი თვალს ატყუებდა. მაგრამ ამგვარი უცნაური ზოლები ბავშვებს არასოდეს დაუნახავთ და ამიტომ მათ თვალი ვერ მოაცილეს.

ტრინიმ ბრაულიოს იდაყვი წაჰკრა, ჰორიზონტზე უფრო ახლოს რაღაც დაინახა და ამხანაგებს ანიშნა.

— ჰო, — კვერი დაუკრა ბრაულიომაც, — ვიღაც მოდის. არა, ერთი კი არა, ორია!

— არა, სამია! — წამოიძახა ტრინიმ. — გავიქცევი, ძია იერონიმოს შევატყობინებ.

ტრინის ათი ნაბიჯიც არ ექნებოდა გავლილი, რომ ბრაულიომ შეამჩნია, სამზე ბევრად მეტნი იყვნენ. ჰორიზონტზე ზოლები გაქრა, მათ მაგივრად ბრაულიომ დაინახა, რომ მრავალ ადგილას გლეხურ ქურთუკებში გამოწყობილი ადამიანთა რიგები ინდიელთა ციხე-სიმაგრისაკენ მოემართებოდნენ.

— ჰეი! — ჩასძახა ბრაულიომ ქვემოთ.

— რა მოხდა? — გამოეპასუხნენ დაბლიდან.

— აი, იქიდან ჩვენკენ ბევრი ხალხი მოდის, გლეხები მოდიან!

რამდენიმე კაცი ყორეზე აფორთხდა და მალე მათაც დაინახეს მთაგორებიან მიდამოზე ციხე-სიმაგრისაკენ მომავალი გამწკრივებული გლეხები.

— საპატა მოდის, — თქვა ერთმა ჩუმად.

— საპატა, საპატა! — ყიჟინა დასცეს გახარებულმა ინდიელებმა.

●

არაკუნემ გალავანში განგრეულ ხვრელში თავი გაჰყო და ეზო მიათვალიერ-მოათვალიერა. იქ არავინ ჩანდა და ხვრელში გადაძვრა. სხვებიც მიჰყვნენ. ხელში გაშლილი სიმინდის საჭრელები ეჭირათ. თავლას რომ ჩაუარეს, შიგნიდან ჯაჭვის ჩხა-

რუნი, ცხენის ფლოქვების ბრაგუნი და კაცის ხვრინვა მოესმათ.

არაკუნე შეჩერდა. ორი კაცი შესავალში დააყენა. დანარჩენებს ანიშნა, შიგ შევიდეთო. თავლაში თივაზე სამი კაცი გაშოტილიყო. კარაბინები და სატყვიაწამლე კედელზე დაეკიდათ. ინდიელებმა კარაბინები ფრთხილად ჩამოხსნეს და მხარზე გადაიკიდეს, სატყვიაწამლე წელზე შემოირტყეს. გულის ძილში მყოფ მთვრალებთან დანებით შეიარაღებული რამდენიმე ინდიელი დასტოვეს. დანარჩენები მთავარ ეზოში გადაიპარნენ. აქ მათ მზარეულის თანაშემწემ შეასწრო თვალი და შეშინებული გაიქცა, მაგრამ მისმა ნაცნობმა არაკუნემ ტუჩებზე თითი მიიდო. ამიტომ მაშინვე დამშვიდდა, აღარ დაუყვირია და ორიოდე ნაბიჯი რომ გაიარა, ისევ შედგა. სვეტებიან შემოსასვლელში ხუანი და მეორე მსახური გამოჩნდნენ. მათ ინდიელებს ნიშანი მისცეს და ესენიც სადღესასწაულო კიბისაკენ გაემართნენ.

ქალბატონი ტორესი და მისი ქალიშვილები საუზმეს შეექცეოდნენ.

— ნეტავ ეს ჯარისკაცები რომ გადაშენდებიან, ტეკილიც აღარ... — ქალბატონმა თვალი მოჰკრა და სიტყვა გაუწყდა.

ქალების წივილ-კივილზე ბატონ ტორესს არც კი გაღვიძებია და ორიოდ სიტყვა მაშინღა ამოილუღლუღა, როცა ინდიელებმა ხელები ზურგზე გაუკრეს.

ერთი ზედამხედველის მოთოკვა ცოტა გაუჭირდათ, მაგრამ ისიც უიარაღოდ დარჩენილიყო და მალე დაიმორჩილეს. ინდიელთა ნადავლი ხუთ კარაბინს, სამ სანადირო თოფსა და შვიდ პისტოლეტს შეადგენდა.

ხუანმა არაკუნე განზე გაიხმო:

— უერტას არმია რომ მოვიდეს, ჩვენ რა ვქნათ? — იკითხა ხუანმა.

— რა უნდა ქნათ? ჩვენთან წამოდით „თხის სახტომზე“.

— არაკუნე! — მოისმა ჭიშკრიდან ძახილი. — სამი მხედარი ცხენებს აქეთ მოაჭენებს!

— რომელი მხრიდან?

— ტუსპანიდან!

— დაიმალეთ! ხუანი შეეგებება. მე რომ დავუსტვენ. გა-

მოხტით, გარს შემოერტყით და იარაღი ავართვათ. ჯერ კიდევ ბევრი იარაღი გვჭირდება.

უცებ ყველა მიიმალ-მოიმალა.

ამასობაში ხუანი თითქმის სულ გამოფხიზლებულიყო და როცა სამი მხედარი ეზოს მოადგა, ჭიშკარი გააღო.

— კაპიტანი კასტრო აქ არის? — იკითხა ერთმა მხედარმა.

— აქ არის, მაგრამ სძინავს.

— სასწრაფო წერილია.

ხუანმა ეშმაკურად ჩაიცინა.

— გუშინ იმანა და ჩვენმა ბატონმა ბევრი დალიეს და გაღვიძება გაუჭირდება. მანდ რასა დგახართ. შიგნით შემოდით!

სამივე შიგნით შევიდა და ხუანი ეჭვით აათვალ-ჩაათვალიერეს, როცა იმან ჭიშკარი მიკეტა.

— რატომ კეტავ?

— ბატონმა კაპიტანმა ბრძანა, ჭიშკარი არ გააღოთ, თორემ ხალხი ტეკილის სათხოვნელად მომაწყდებაო.

— თქვენ აქ არყის სახდელი გაქვთ?

— გვაქვს და მერე როგორი! — ხუანს თავში ერთი აზრი მოუვიდა და მხედარს წასჩურჩულა: — თუ არ გამცემთ, სანამ კაპიტანი გაიღვიძებდეს, სამივეს რაღაცას მოგიტანთ. ანკარა წყაროსავით წმინდაა და კამკამა.

მხედრები ჩამოქვეითდნენ. ხუანის ცოლმა ხონჩა შემოიტანა და სამი ჭიქა არყით პირთამდე შეავსო. კავალერისტებმა ჭიქები ასწიეს და ის იყო პირთან უნდა მიეტანათ, რომ სტევენა გაისმა.

ყოველი მხრიდან სიმინდის საჭრელებმომარჯვებული ინდიელები გამოცვივდნენ. ერთი მხედართაგანი შიშით კინაღამ ჩაიკეცა. ინდიელებმა სამივეს თვალის დახამხამებაში წაართვეს იარაღი.

— წერილი სადაა? — ჰკითხა ხუანმა უფროსს.

— წერილი კაპიტანს უნდა გადავცე. — ჩაილუღლუღა დაბნეულმა.

— რას მიედებ-მოედები! — შეუყვირა არაკუნემ. — ვერა ხედავთ, უფროსები აქ ჩვენა ვართ, გლეხები?

უფროსმა მხედარმა წერილი ნელ-ნელა ამოიღო.

არაკუნემ წერილს დახედა და სახეზე სიწითლემ გადაჰკრა:

ასოებს ძლივს არჩევდა. არც სხვას შეეძლო წაკითხვა. ინდიელები იდგნენ დარცხვენილები და ხმას ვერ იღებდნენ.

ბოლოს ერთმა თქვა:

— წერილი საპატას უნდა გავუგზავნოთ.

შეპყრობილებმა მას შიშით შეხედეს.

— რაო, გეშინიათ საპატასი? — დაცინვით შეეკითხა მათ არაკუნე. — ჯერ ძარცვა-გლეჯვასა და მკვლელობას ეწევით, მერე კი შიშით შარვალში ისვრით?

ამან არაკუნეს უცბად გაახსენა, რომ სოფელში მძარცველთა მთელი ესკადრონი იდგა, ჭიშკართან კი ერთი გუშაგიც არ დაუყენებია!

— ხუან, სად შეიძლება ეს პატიმრები საიმედოდ ჩავამწყვდიოთ?

— წამოდი, გიჩვენებ!

არაკუნემ თავისი ხალხი ორ არათანაბარ ნაწილად გაჰყო და მცირე ნაწილი პატიმრებს დაუყენა ყარაულად. როცა მათთან უგონოდ გამოლეშილი კაპიტანიც შეათრიეს, სამივე შიკრიკი დარწმუნდა, რომ კაპიტანი მართლაც აქ იყო. ისიც კარგად შეამჩნიეს, რომ გამოლეშილი ვერ ხვდებოდა, მის თავს რა ამბავი ტრიალებდა. მეორე მხრივ, რაკიღა იმაშიც დარწმუნდნენ, რომ ინდიელებს ოფიცრებიც დაეპატიმრებინათ, უფრო მეტად შეშინდნენ, რადგან იფიქრეს, დიდი ძალები ჰყოლიათო.

— რაც ჩვენ სიმინდი წაგვგლიჯეს, სულ ტორესს აქვს შენახული, — უთხრა არაკუნემ ამხანაგებს. — იმ სიმინდს უნდა ვუყარაულოთ. ჭიშკართან შეიარაღებულები დავდგეთ, სხვაგან არა უშავს. თუ ძლიერი დაცვა არ იქნა.

— არაკუნე! — უთხრა ერთმა თოფიანმა ინდიელმა, — ამის ხმარება რომ არ ვიცით?

— გვასწავლიან!

ამ ლაპარაკს ტორესის ზედამხედველებმა მოჰკრეს ყური. სწორედ იმ დროს ჩაატარეს მათ გვერდით.

— მე გასწავლით, — თქვა ერთმა.

არაკუნეს უხეში, მაგრამ კეთილი სახე მოეღუშა.

— შენა? იქნებ გგონია, დაგვავიწყდა, ლორენცოს ცემით სული კინაღამ რომ ამოხადე? წაიყვანეთ ეს ავაზაკი!

— მე გასწავლით, — თქვა ერთმა კავალერისტმა.

ამ ახალგაზრდა გლეხს კი ვეღარ უთხრეს უარი, იგი ცოტა ხნის წინათ იძულებით წაეყვანათ ჯარში. ეს ყმაწვილი მაშინვე ტეპოტლელი გლეხების მხარეზე გადავიდა და უამბო, რაც თავს გადახდენოდა. ისიც ტეპოტლელი გლეხების დღეში იყო.

— თქვენს არმიაში მიმიღეთ! — ითხოვა მან.

— რა არმიაში?! — გაიკვირვეს ინდიელებმა.

— თქვენ საპატას არმიიდან არა ხართ?

ინდიელებს გაეცინათ.

— იქნებ გავხდეთ კიდეც!

•

## ტეპოტლას აღება

თეთრ ცხენზე ამხედრებული საპატა რამდენიმე თანმხლებით ვიწრო ბილიკს მიუყვებოდა. ტანზე გლეხური სამოსი ეცვა, შიშველი ფეხები სანდლებში წაეყო. შავ სახეს დაფიქრებული თვალები ალერსიან იერს აძლევდა. გრძელი, შავი ულვაშების ბოლოები დაბლა დახროდა. საპატა დაკვირვებით უმზერდა გლეხთა არმიის ნაწილებს, მინდვრებსა და ბუჩქნარით მოფენილ ბორცვზე რომ გაშლილიყო და წინ მოიწევდა. იმ ცნობების მიხედვით, რაც საპატას გააჩნდა, უერტას არმიის ფეხოსნები ტუსპანში იდგნენ, ხოლო ესკადრონს სან ბარტოლდომდე მიეღწია. საპატას უნდოდა, მტრის გაუფრთხილებლობით ესარგებლა და ესკადრონს თავს დასხმოდა. მისი საპოტეკების დიდი ნაწილი ბალთასარის მეთაურობით ამიტომ მიიწევდა სან ბარტოლდოსაკენ, ხოლო არმიის ძირითად ნაწილს გეზი ტეპოტლაზე ჰქონდა აღებული, რათა ესკადრონისათვისაც გზა მოეჭრა და, თუ საჭირო გახდებოდა, ავაზაკთა არმიაც შეეჩერებინა.

ეს გეგმა საპატამ ერთი ბედნიერი შემთხვევის წყალობით შეიმუშავა. როცა ის თავისი არმიით ამ ადგილებში შემოვიდა, მასთან სხვადასხვა სოფლიდან შიკრიკები, — უმეტესად მოზარდები, — გამოცხადდნენ და აუწერეს თავიანთი მდგომარეობა. ეს თავდადებული ბიჭები საპატას ძალიან მოეწონა და კარგა ხანს ესაუბრა. საუბრისას გლეხთა არმიის მეთაურმა

შეიტყო, რომ შიკრიკები მასთან შემთხვევით არ მოსულიყვნენ, ამ მხარეში სოფლებს შორის საქმიანი კავშირი იყო დამყარებული. ბიჭებმა მეთაურს სან ბარტოლდოელ მებაღე იერონიმოზედაც ბევრი რამ უამბეს, ბატონმა ცხვირი და ყურები დააჭრაო. ჩვენც დავდიოდით სან ბარტოლდოს ბაღებში, იქ ვიღაც მარიო წერა-კითხვას გვასწავლიდაო. ეს მარიო ქალაქელია და ინგლისურად ლაპარაკობსო.

სან ბარტოლდოს ბაღების ამბები რომ მოისმინა, საპატამ დაასკვნა, აქ მარტო უბრალო სკოლა არ იქნებოდაო და გადაწყვიტა, გაეცნო და თავის მხარეზე გადმოებირებინა იერონიმო, რომელმაც გლეხები ბატონების წინააღმდეგ აამხედრა. ენერგიული და ჭკვიანი ხალხი საპატას ჯერ კიდევ ცოტა ჰყავდა.

იმავე საღამოს მასთან მიიყვანეს ორი გლეხი და ბიჭების მთელი რაზმი. გაოცებით უმზერდა მათ საპატა. ნეტავი რა უნდათ ამ ბავშვებს, გაღიმებული თვალებით დაჟინებით რომ შესცქერიან მხედართმთავარს? შეშინებულ ლტოლვილებს არ ჰგვანდნენ. საპატამ რომ შეიტყო, ეს ბავშვები სან ბარტოლდოელი მოსწავლეები არიანო და ახლა მასთან მეგზურებად მოსულიყვნენ, სიხარულისაგან სიცილი აუტყდა.

— ის ყურებდაჭრილი სადღაა?

— იერონიმო და მთელი სოფელი სან ბარტოლდოსთან ახლო მდებარე ინდიელთა ძველ ცისე-სიმაგრეშია თავშეფარებული, — მიუგო პაკომ.

საპატა ხან ერთს შეხედავდა მეგობრული ღიმილით, ხან მეორეს.

— ბიჭებო, ახლავე გამოგიჩენთ სამუშაოს, თქვენ კი. — საპატა პაკოსა და მარიოს მიუბრუნდა, — ჩვენთან დარჩით.

პაკო და მარიო ფეხით მისდევდნენ საპატასა და მის მხლებლებს, რომლებიც, მართალია, ცხენებზე ისხდნენ, მაგრამ იმ ვიწრო ბილიკზე ჩქარა ვერ მიდიოდნენ.

ნაშუადღევს საპატას დაგზავნილმა მზვერავებმა ამბები მოიტანეს. პირველად მათ წინ აღმართულ რუხ მთაზე გაგზავნილი მზვერავი მოვიდა.

— აი, იქ, მაღლა, ორი სოფლის მოსახლეობაა თავშეყრილი ერთ მიუდგომელ ადგილას, რომელსაც „თხის სახტომს“ ეძახიან. დაბლა ტეპოტლაში მძარცველთა არმიის კავალერისტთა ერთი ესკადრონი გამოლეშილა, ისევ ლოთობენ. მე ასე მგონია, ბრძოლის თავი სულ არა აქვთ.

ორმა ბიჭმა კიდევ სხვა ცნობები მოიტანა. იმათ დანახვაზე პაკო შესაგებებლად გაიქცა.

— თქვენა ხართ, ბრაულიო და ტრინი?! ჰო, აბა, გვიამბეთ, რა ნახეთ!

ბიჭებმა ცხენებზე ამხედრებულ გლეხებს შეხედეს.

— იერონიმომ შემოგითვალათ...

— ყურებდაჭრილმა მებაღემ? — იკითხა საპატამ.

— დიახ, იმან. ჩვენი სოფელი სან ბარტოლდო მიესალმება გლეხთა არმიას. გუშინდლამდე ჩვენს სოფელში კავალერის-

ტები იდგნენ. ღამით სოფელი გადაწვეს. მერე გაქრნენ, ვერ გავიგეთ, საით წავიდნენ.

— მე მგონია, სწორედ მაგ კავალერისტებმა გადაწვეს თქვენი სოფელი. ახლა ტეპოტლაში რომ ლოთობენ. ამადორ,— მიუბრუნდა იგი ერთ თავის მეთაურს, — ბალთასართან წადი, იგი ახლა თავისი საპოტეკებით სან ბარტოლდოსაკენ მიემართება, და უთხარი, რახან სოფელში არავინ არის, ტეპოტლისკენ შებრუნდეს, მაგრამ ყოველი მხრიდან უნდა შემოვერტყათ სოფელს. — მერე ეს თეთრ ცხენზე ამხედრებული გლეხი პაკოს მიუბრუნდა: — ამ ბავშვებს საიდან იცნობ?

— უფროსი ჩემი ვაჟია, ბრაულიო ჰქვია.

საპატამ უფრო ალერსიანად შეხედა გლეხებს.

— ყოჩაღ, ბიჭებო, კარგი ამბავიც მოგვიტანეთ და დროზეც. — უთხრა ბავშვებს და ცხენს მათრახი შემოჰკრა.

— ეგ ვინ არის, მამა?

— საპატაა.

ტრინიმ ლამის წამოიყვირა:

— თვითონ საპატა?! — და პირზე ხელი მიიფარა.

ძალე მესამე ცნობაც მოვიდა, რამაც პაკო ძალიან ააღელვა. ტეპოტლას ახალგაზრდების მებრძოლმა ჯგუფმა არაკუნეს მეთაურობით მებატონის მამული დაიკავაო. მათ ხელში იარაღი ჩაიგდეს და ბატონი ტორესი, ესკადრონის ოფიცრები და ერთი სერჟანტი დააპატიმრესო.

— მამული ისევ ჩვენს ხელთაა, — თქვა შიკრიკმა, — მაგრამ მთავარი ის არის, რომ, აი, ეს წერილი ჩავიგდეთ ხელში.

— რა წერილი, შიგ რა წერია? — იკითხა საპატამ.

— კითხვა არ ვიცით, ვერ წავიკითხეთ.

საპატამ გარშემო მიიხედ-მოიხედა, შველას ელოდა.

წინ წამოდგა მარიო:

— მომეცი, მე წავიკითხავ.

„ბატონ კაპიტან პორფირიო კასტრო ვალდესს!

გაცნობებთ შემდეგს:

1. პრეზიდენტი მადერო დაამხო გენერალმა უერტამ და ხელისუფლება თვითონ აიღო.

2. მოსალოდნელია, ლიბერალურმა პარტიამ ქალაქებში ხელისუფლება უბრძოლველად არ დასთმოს. არმიის მიზანია

ყოველგვარი მღელვარება ჩაახშოს. ამ საქმეში სამხედრო სარდლობამ მეტად ენერგიულად უნდა იმოქმედოს.

3. თქვენი ესკადრონი დაუყოვნებლივ გადაიყვანეთ ტუსპანაში და იქ დაელოდეთ შემდგომ ბრძანებას“.

წერილს რომ კითხულობდა, მარიო მთლად გააფთრდა.

საპატამ სერიოზული კილოთი თქვა:

— მადერო სამი წელი გვებრძოდა. ამ საქმეში უერტა გამოიყენა. ახლა კი თვითონ ის ჩამოაგდო საკუთარმა გენერალმა. ეს ჩვენ არ გვახარებს, რადგან უერტა გაცილებით საშიში მტერია. ახლა მის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ. ამას ტეპოტლაში დაბანაკებული ესკადრონი დღესვე გამოსცდის.

●

მაღლა „თხის სახტომზე“ მყოფი ორივე სოფლის მოსახლეობა ერთად შეიკრიბა და დაძაბული ინტერესით თვალს ადევნებდა საპატას გლეხთა არმიის სვლას ტეპოტლისაკენ, ხოლო სოფელში მყოფი მტრის ესკადრონი გერმანიაშიც არ იყო. იმ მთის ორივე მხრიდან, სადაც ინგლისელებს თავი მოეყარათ, ვიწრო ბილიკებით თეთრ ქურთუკებში გამოწყობილი გლეხები მოდიოდნენ. სან ბარტოლდოს მხრიდანაც მოდიოდნენ გლეხთა ნაწილები და ტეპოტლას თანდათან ალყაში აქცევდნენ.

უცბად „თხის სახტომში“ ყველა აღელდა. ერთბაშად ყველანი იმ ადგილისაკენ გაეშურნენ, სადაც ბილიკი თავდებოდა. აქ შიკრიკი ამოსულიყო და სოფლელებს ეუბნებოდა, არაკუნემ მამული დაიკავა და ბატონი ტორესი და ოფიცერი დააპატიმრაო.

ახლა მეორე სოფლის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს, დაბლა დაშვებულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ ტეპოტლას იერიშში.

●

სოფელში ერთმა კავალერისტმა უცბად დაინახა, რომ დაქანებულ ბილიკზე გამწკრივებული გლეხები ქვემოთ ჩამორბოდნენ და აზრადაც არ მოსვლია, რომ მათი რისხვა — საპა-

ტას გლეხთა არმია, ასე ასლო იქნებოდა. ბილიკზე ჩასაფრებული გლეხის დანახვაზე გული გაუსკდა. შეშინებული სერჟანტისაკენ გაიქცა, ლელვის ძირას ნებივრად რომ ხერინავდა. კავალერისტმა დიდხანს აჯანჯღარა თავისი უფროსი, მაგრამ ვერ გამოაფხიზლა, თუმცა ყურში ჩასძახოდა:

— თავს დაგვესხნენ, გლეხები მოდიან!

სერჟანტი ბოლოს გონს მოეგო, თვალები დაქაჩა და დაიღრიალა:

— მამულში გაიქეცი, შეატყობინე!

კავალერისტი სოფლიდან მამულისაკენ გაიქცა. ასიოდე მეტრიც არ ექნებოდა გავლილი, რომ გზის პირას, მარჯვენა მხარეს, თეთრ გლეხურ ქურთუკს მოჰკრა თვალი. ახლა უფრო ჩქარა გაიქცა.

საოცარი იყო, მის მიახლოებაზე ალაყაფის კარი თავისთავად გაიღო. კავალერისტი შიგ შევარდა და უკან მიხედვაც ვერ მოასწრო, რომ მხრებში ხელი ჩაავლეს.

თავზარდაცემულმა ტყვემ დაინახა აყლაყუდა ახალგაზრდა ბიჭი. მან ღიმილით თქვა:

— აი, ერთიც ჩავიგდეთ ხელთ!

●

სოფელში ყვირილი ატყდა: „განგაშია! ცხენებზე! აქეთ მოგროვდით!“

ბარბაც-ბარბაცით ზოგი კარაბინს ეძებდა, ზოგი ცხენის შეკაზმვას ცდილობდა.

ორღობეში თოფების სროლა გაისმა. ერთი ქოხის უკნიდან დანებით შეიარაღებული ტეპოტლელი გლეხები გამოცვივდნენ.

## ბატონ ტორესის გასამართლება

ტეპოტლის აღების შემდეგ საპატა სოფელში მივიდა. აქ, ბატონისეულ სამზარეულოში, დიდი მღელვარება იდგა. არაკუნეს რაზმის დანახვაზე დამშვიდდნენ, რადგან მათ იცნობ-

დნენ, მაგრამ საპატას გლეხებისა ზოგ მზარეულ გოგონას ძალიან ეშინოდა.

— რას წრიალებთ და ვიშვიშებთ? — შეუტია მათ ხუანის ცოლმა. — ჯარისკაცებმა რამხელა გზა გამოიარეს, მოშიებულები იქნებიან. საქმეს შეუდექით და რაც შეგიძლიათ მეტი საჭმელი მოამზადეთ. ნუ გეშინიათ, ხელს არავინ გახლებთ!

მაშინვე დაეთანხმნენ და კედლიდან კედლამდე გადაჭიმულ ქურაზე მწადის ცხობასა და ხორცის შეწვას შეუდგნენ.

ეზო და ოთახები ხალხით გაივსო. გლეხები სხდებოდნენ ამერიკულ სარწეველა სავარძლებში. ასეთი სავარძლები თვალითაც არ ენახათ და სიცილით ქანაობდნენ. ზოგი ბატონების აბრეშუმგადაკრულ დივნებსა და სავარძლებში სხდებოდა. სოფლიდანაც ბევრი გლეხი მოვიდა, რომ ერთხელ მაინც ენახათ ბატონის სახლის ავეჯეულობა და სახელგანთქმული საპატასთვისაც შეეკლოთ თვალი. გლეხებს ეგონათ, საპატას ვერცხლით მოსირმული ტანსაცმელი ეცმოდა. საპატას უბრალო ტანსაცმლის შემხედვარეთ ცოტა იმედი გაუცრუვდათ, მერე კი მიხვდნენ, ეს უბრალოება მათთან უფრო აახლოვებდა. მაგრამ ახლოს მისვლას ვერავინ ბედავდა და ინდიელთა ჩვეულებისამებრ მოშორებით იდგნენ და მდუმარედ აკვირდებოდნენ. ჰაკო ბენიამინსა და არაკუნეს ეთათბირებოდა. არაკუნე ისე ყოჩაღად მოიქცა, ისე სწრაფად აიღო სოფელი, ყველას დიდ მხედართმთავრად მიაჩნდა. სამივე ერთ საკითხზე ბჭობდა, გავხსნათ თუ არა ბატონის დიდი სასიმინდეები და გლეხებს სიმინდი დავურიგოთ თუ არაო. ბენიამინს ეს არ უნდოდა, ჯერ დავიცადოთ, გარშემო დიდი უწესრიგობააო.

ერთი საკითხიც იყო გადასაწყვეტი და რჩევა საპატას ჰკითხეს:

— ემილიანო, ამ ბატონს რაღა ვუყოთ?

— ეგ თქვენ შეიპყარით და თქვენვე გეკუთვნით, — მიუგო საპატამ.

— ჰო, მაგრამ გლეხთა არმია ასეთ ბატონებს როგორ ეპყრობა?

— საერთოდ, სოფლებს ბრძოლებით ვიღებდით და ეგ ავაზაკები დამალვას ახერხებდნენ. ასე მშვიდობიანად ჯერ არც

ერთი ბატონი არ შეგვიპყრია. შეჰყარეთ სოფელი და მოითათბირეთ.

— ეს ამბავი შეიძლება სულელურად დასრულდეს,—თქვა ბენიამინმა. — ჩვენი მოხუცები სამართლიანობას უჭერენ მხარს და სამართლიანობის გულისათვის მზად არიან ბატონს ისევ ქედი მოუხარონ.

საპატას გაეცინა.

— მერე ახალგაზრდები არა გყავთ? ერთი აქა დგას, — და ხელი არაკუნესკენ გაიშვირა.

არაკუნემ ზემოდან დახედა საშუალო ტანის საპატას და უცბად თქვა:

— ჩვენმა მოხუცებმა თუ ისევ ბატონისათვის მოინდომეს მუშაობა, ამ ბატონს მაშინ ჩვენ, ახალგაზრდები, მოვუღებთ ბოლოს.

— ასე არ ივარგებს, — თქვა საპატამ. — ამაზე სოფელში დავა ატყდება. თუკი სოფლის შეკრებაზე მოხუცები სისულელეების როშვას მოჰყვებიან, შენც თქვი რამე. შენც ხომ გაქვს ხმის უფლება?

ბენიამინმა თავი გააქნია:

— ჩვენი გლეხები ჯერ ისევ ყმები არიან. ვაფიქრებისაც კი ეშინიათ. შენ კი, ემელიანო, ჩვენნაირი კაცი ხარ, მაგრამ ფიქრი არ გაშინებს. მოდი, შენც დაესწარი ჩვენი სოფლის კრებას!

საპატას გარშემო თავშეყრილმა გლეხებმა თანხმობის ნიშნად თავები დაუქნიეს.

— ეს უფრო სწორი იქნება, — დაუმატა ერთმა გლეხმა, — ბევრი რამ ჯერაც არ გვესმის.

— მაშ ახლავე შეკრიბეთ ხალხი, აქვე, ბატონისეულ ეზოში, — თქვა საპატამ.



სანამ მთელ სოფელს შეკრებდნენ, ამასობაში დაღამდა კიდეც. ტრინი მოქანცული იყო, ბოლო წანებში სულ რამდენიმე საათს ეძინა. მაინც არ დაწვა, ძალიან აინტერესებდა გაეგო, რას გადაუწყვეტდა სოფელი ბატონ ტორეს.

სვეტებიან შესასვლელში ხუანმა ზეთის ლამპები დაჰკიდა. ხალხს მქრქალი მოწითალო შუქი დაეფინა სახეზე. სადღესასწაულო შესასვლელის კიბეზე საპატა, პაკო და ბენიამინი დასხდნენ. მათ უკან მარიო, ბრაულიო და ტრინი ჩამოსხდნენ.

ბენიამინი ფეხზე წამოდგა და ერთი მოხუცებული მიიწვია, გამოდი და ორიოდე სიტყვა თქვიო. მოხუც კაცს შერცხვა, თვალები აახამხამა. ხალხში ლაპარაკისა ეშინოდა. ამას მიჩვეულები არ იყვნენ. თვითონ პაკომაც არ იცოდა, კრება როგორ გაეხსნა. აქ იერონიმოსთანა კაცი იყო საჭირო.

საპატას არ გაჰკვირვებია გლეხების ასე შეკრთომა, წამოდგა და ქუდი მოიხადა. სხვებმაც მას მიბაძეს.

— ტეპოტლელო მეგობრებო! — დაიწყო საპატამ ესპანურად, რადგან აქაური ინდიელების ენა არ იცოდა. — ძალიან ყოჩაღი ახალგაზრდობა ჰყავს თქვენს სოფელს. მათ დღეს მემამულე და ოფიცრები შეიპყრეს. გთხოვთ, ოფიცრები მე გადმომცეთ, რადგან მძარცველთა არმია ჩვენს ხალხს იჭერს და აწამებს. ოფიცრებს მათ ჩვენს ხალხში გავუცვლით. სხვა საქმეა მემამულე, მისი ოჯახის წევრები და ზედამხედველები. თქვენ თვითონვე გადაწყვიტეთ, რასაც მაგ ავაზაკებს უზამთ.

— დავხოცოთ! — იყვირა არაკუნემ. — ხელში რომ ჩავვარდნოდით, ჩვენც თავებს დაგვაყრევინებდნენ.

გლეხებში ხმაური და ჩოჩქოლი ატყდა.

— ისა სჯობია, ბატონმა სიმინდი დაგვირიგოს! — წამოიძახა ერთმა ინდიელმა.

პაკო ფეხზე წამოიჭრა.

— სიმინდის დარიგებას მაგას აღარავინ ეკითხება. ამას ჩვენც შეეძლებთ. თქვენ ისა თქვით, მაგასა და მაგის ოჯახს რა მივუსაჯოთ! ისევ აქ დავტოვოთ საცხოვრებლად?

— არა, გავრეკოთ, — დაიძახა ვიღაცამ ხალხიდან.

— ჰო, გავრეკოთ, გავრეკოთ!

ახლა შეშფოთებული მარიო წამოდგა.

— მეგობრებო, მე გლეხი არა ვარ, მაგრამ თქვენ დამიხსენით შიმშილით სიკვდილისაგან. თქვენ შემიფარეთ და შემინახეთ. ამიტომ თქვენი სატკივარი მეც მაწუხებს. ის მიწა, მებატონისათვის რომ ამუშავებთ, ამ მებატონემ ანდა მისმა წინაპრებმა თქვენვე წაგგლიჯეს მოტყუებით. ამიტომ მიწაც და ეზო-

მიდამოც ისევ თქვენ უნდა დაგიბრუნოთ და ხელწერილი დაგიდოთ, რომ მათზე უარს აცხადებს.

მარიო დაჯდა. გლეხები ისევ ალაპარაკდნენ.

პაკომ ხმადაბლა რაღაც ჰკითხა საპატას და მერე წამოდგა.

— მეგობრებო, მარიო სწორს ამბობს, მაგრამ განა საკმარისია, მაგ სისხლის მწოველებს მამულზე ხელი ავაღებინოთ, აქედან თავისუფლად გავუშვათ? განა არ გახსოვთ, კაქტუსზე შესულ მღილებივით როგორ გვწოვდნენ სისხლს? ჩემი რჩევაა: მემამულე აქ მოვიყვანოთ. მარიო დაწერს ხელწერილს, რომ მამულზე ხელს იღებს. თუ ეგ ვაქბატონი ხელის მოწერაზე უარს იტყვის, მაშინ დავხვრიტოთ. თუ მოაწერა, ტორესიცა და მისი ოჯახის წევრებიც საპატას გადავცეთ, ჩვენიანებზე გადაცვალოს.

წინ წამოდგა თეთრთმიანი, თეთრწვერა, სახედანაოჭებული ბერიკაცი და თქვა:

— პაკო, შენი ბაგეები ჩვენი წინაპრების სიბრძნეს ღაღადებენ. დეე, ეგრე იყოს, როგორც შენა სთქვი!

— ეგრე იყოს! — დაიძახეს სხვებმაც.

პაკომ შეკრებილთ თვალი მოავლო. კუპრივით შავთმიანი და გარუჯულსახეებიანი ინდიელები დიდრონი თვალებით მშვიდად შეჰყურებდნენ პაკოს. ეტყობოდა, ყველა თანახმა იყო.

— დაწერა მარიომ ხელწერილი? — იკითხა პაკომ. — არაკუნე, წადი მემამულე შემოიყვანე!

●

ბნელ, ვიწრო ოთახში შეხუთული ჰაერი იდგა. ტყვეები იატაკზე ისხდნენ და სდუმდნენ. წინა დღის არყით გალეშილებს წყურვილი ჰკლავდათ.

უცბად კარი გაიღო და ჭრაქის სუსტ შუქზე ტყვეებმა იცნეს არაკუნე, რომლის უზარმაზარი ჩრდილი თეთრ კედელს დაეფინა.

— ბატონო ტორეს, წამომყევით! — თქვა მან.

ქალბატონი ტორესი ფეხზე წამოხტა და არაკუნეს წინ მუხლებზე დაეცა.

— იესო ქრისტეს გაფიცებთ, არ დამსვრიტოთ! გთხოვთ, სან ბარტოლომეოდან პადრე ფელიქსი მოაყვანინოთ, რადგან ჩვენი გაიქცა. უზიარებლად ნურავის მოკლავთ!

— საიდან მოგიყვანოთ პადრე ფელიქსი? — უპასუხა არაკუნემ. — აი, მაგ ვაუბატონმა მოაკვლევინა, — არაკუნემ კაპიტანზე მიუთითა, და მერე ტორესს მიუბრუნდა, — წამოდი, მომყე!

ტორესის ცოლმა დაბნეულად შეხედა არაკუნეს.

ბატონმა ტორესმა თავი მაქინდრა და გარშემო შემოხვეულ ინდიელებს მდუმარედ ჩაუარა. როცა სადარბაზოს კიბესთან მივიდა, პაკო წამოდგა:

— ბატონო ტორეს!

საპატამ ხმამაღლა გაიცინა.

— რა სასულელეს ამბობ! ეგ ისევ თქვენი ბატონია, თქვენ კი მაგისი ყმები?

მემამულემ საპატას შეშინებული თვალებით გადახედა. ნეტა ეგ ვიღაცაო? ყველა სოფლელს კარგად იცნობს და აქ კი ამდენი უცხო ხალხი შემოსულია. გლეხთა არმიის მოსვლის ამბავი ჯერ არ იცოდა.

— ამ ქაღალდს ხელს მოაწერ? — ჰკითხა პაკომ ტორესს.

მემამულეს უნდოდა, როგორმე დრო მოეგო. ამიტომ იკითხა:

— ეგ რა არის?

წინ წამოდგა მარიო და ქაღალდი გაუწოდა.

— ეს იმის განცხადებაა, რომ თქვენ ყველაფერზე უარს ამბობთ, რასაც აქ ფლობდით!

მარიოს ლაპარაკზე ტორესი მისვდა, რომ ეს გლეხურად ჩაცმული კაცი განათლებული ადამიანი უნდა ყოფილიყო. ამან სულ დააბნია. ერთხანს ხმა არ ამოუღია. მერე კი იკითხა:

— ხელი რომ მოვაწერო, მერე რას იზამთ?

— აღარ დაგხოცავთ.

ტორესმა შეხედა პაკოს, თავის ყველაზე დაუძინებელ მტერს. პაკოს როგორც ნამდვილ ინდიელს, ღირსეულად ეჭირა თავი. მან კარგად იგრძნო, რომ გარშემოხვეული ინდიელები თუმცა ხმას არ იღებდნენ, პაკოს აზრს იზიარებდნენ და

შეეცადა, მარიოსათვის დამშვიდებით ჩამოერთმია კალამი, მაგრამ ხელი უკანკალებდა.

უცბად პაკომ ხელი მბრძანებლურად მაღლა ასწია და დაიძახა:

— შეჩერდი! — მერე გარშემო მიიხედ-მოიხედა და განაგრძო: — ბიჭებს დამიძახეთ! — როცა ოთხი ჭაბუკი ტორესსა და მარიოს შემოეხვია, პაკომ თქვა:

— გლეხებმა წერა-კითხვა არ იციან. ჩვენ, უფროსები, მალე დავიხოცებით, ამიტომ ყოფილმა ბატონმა ამ ბიჭებს ხმამაღლა წაუკითხოს, რაც მაგ ქაღალდში წერია. თქვენ კი, ბიჭებო, ყურადღებით მომისმინეთ და დაიმახსოვრეთ, რასაც გაიგონებთ. წაიკითხე, ყოფილო ბატონო!

ტორესმა აიღო ქაღალდი და ტუჩების ცახცახით ხმამაღლა წაიკითხა:

— „მე, იგნასიო ტორეს ბელტრანი ჩემი და ჩემი შთამომავლობის სახელით სამუდამოდ უარს ვაცხადებ მთელ მამულსა, შენობებსა და დანარჩენ ქონებაზე, რაც ტეპოტლაში მქონდა და აქამდე ჩემს საკუთრებად მიმაჩნდა. ამ განცხადებას ბიბლიაზე და ჯვარზე დაფიცების ძალა აქვს“.

— მოისმინეთ, რაც წაიკითხა? — ჰკითხა პაკომ ბიჭებს.

— დიახ, მოვისმინეთ, — ერთხმად უპასუხეს ბიჭებმა.

— მაშინაც ხომ გემახსოვრებათ, ღრმად რომ მოხუცდებით?

— გვემახსოვრება!

— მაშ ხელი მოაწერე! — ბრძანა პაკომ.

როცა ყოფილმა ბატონმა მარიოს კალამი დაუბრუნა, პაკო წინ წამოდგა, ტორესს მხრებში ხელი ჩაავლო და ხმამაღლა გამოაცხადა:

— ამიერიდან კი ეს კაცი, მისი ოჯახის წევრები და ამალა ტეპოტლელების ნებით გლეხთა არმიის ბელადის ემილიანო საპატას განკარგულებაში იქნება.

თავზარდაცემულმა ტორესმა საპატას შეხედა. ახლა მიხვდა, ვინ იყო ეს უცხო ხალხი.

საპატა წამოდგა, კიბე ნელა ჩაიარა და ტორესს უთხრა:

— გეშინია, სისხლისმსმელო? რომელიმე ჩვენგანი ჩვენზე მოსეულ თქვენს ბანდას რომ ჩაუვარდეს ხელში, საქმე ცუდად წაუვა, მაგრამ დაიმახსოვრე, ჩვენ გლეხები ვართ და მიწისა და თავისუფლებისათვის ვიბრძვით!

# საპატას გლეხთა არმიაში

## ამბროსიას გადაწყვეტილება

იერონიმო ინდიელთა ციხე-სიმაგრიდან აკვირდებოდა გლეხთა არმიას, რომლის მარცხენა ფრთა ჯერ სან ბარტოლდოსაკენ მიემართებოდა, მერე კი ტეპოტლასკენ შეუხვია. საღამო ხანს ციხე-სიმაგრეში თავშეფარებულებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ. რომ მძარცველთა არმიის ესკადრონის ნაწილი გაანადგურეს, ნაწილი კი ტყვედ ჩაიგდეს. იმას კი ყველა მიხვდა, რომ სან ბარტოლდოში დაბრუნება საშიში აღარ იყო. გლეხების ნაწილი ქვემოთ დაეშვა, რომ ღამე სოფელში, გადამწვარი ქოხების მახლობლად გაეთიათ.

იერონიმომ მიატოვა თავისი სათვალთვალო პუნქტი—ქვის მაღალი ყორე და დედისკენ გაემართა. ამბროსია გულხელდაკრეფილი იჯდა მანუელას გვერდით, მანუელა სიმინდის ცომის გუნდას აბრტყელებდა. ნეტა ამ ქალის ლაქლაქს ხომ არ უგდებდა ყურს? იგი ახლაც ხუცესის მკვლელობის ამბებს ყვებოდა. ვერ მიხვდებოდით, უსმენდა თუ არა, თვალები დაეხარა და მიწას ჩასცქეროდა.

იერონიმო დედის შორიახლო გაჩერდა, ამბროსიამ ვერ შეამჩნია იგი. მერე იერონიმო წინ ჩაუცუცქდა და ალერსიანად უთხრა:

— დედა, ახლა რას ვიზამთ?

ამბროსიას ესიამოვნა, შვილმა ეს რომ ჰკითხა.

— გინდა შენთან გადმოვიდე, ბაღში?

— ისევ ავაშენო ქოხი?

„ეტყობა, ჯერაც არ დავიწყნია თავისი როსარია“, — გაიფიქრა ამბროსიამ და შვილს ნაღვლიანად უთხრა:

— სადმე ხომ უნდა ვიცხოვროთ.

— მაშ სოფელში აღარ აპირებ ცხოვრებას? — ჰკითხა იერონიმომ დედას.

— იქ თქვენთან ერთად, ტრინის დედ-მამასა და დიდ დიდედასთან ერთად ვცხოვრობდით, — მიუგო ამბროსიამ.

ამბროსიას ხასინტო აღარ უხსენებია და იერონიმო მიხვდა, უჭირდა ქმრის სიკვდილზე ლაპარაკი.

— აბა, რას იზამ, ბაღში აღარ დაბრუნდები? — ნაღვლიანად ჰკითხა ამბროსიამ.

— საპატასთან წავალ, — მიუგო იერონიმომ. — მარტო თქვენი დარდი მაწუხებს. შენი და ტრინისა.

— მერე იქ ვინ მოგივლის? მჭადს ვინ გამოგიცხობს, სარეცხს ვინ გაგირეცხავს? გამიგონია, საპატას არმიაში ქალებიც არიან და ჯარისკაცებს უვლიანო. მეც წამოგყვებოდი, სანამ შენ ბრძოლაში იქნებოდი, საჭმელს მოგიმზადებდი.

— ტრინის რაღა ვუყოთ?

— ისიც წამოვა. სულ ერთია, სოფელში მაინც ველარაფერს ისწავლის. ეგებ გზაში მაინც ისწავლოს რამე.

— კარგი, დედა. მაშინ ამაღამვე უნდა წავიდეთ. ტრინი ხომ უკვე საპატასთან არის.

— წავიდეთ! ღამით სიარული ადვილიც არის და... აღარც სოფელში მინდა დავბრუნდე, — დაეთანხმა დანაღვლიანებული ამბროსია.

## მარიოს დავალების შესასრულებლად გზავნიან

ტეპოტლას აღებაზე რამდენიმე გლეხი თუ დაიღუპა. სამაგიეროდ ასამდე კარაბინი იგდეს ხელთ. საპატას არმიას ძალიან სჭირდებოდა ცეცხლმსროლელი იარაღი. ამ იარაღის ხელში ჩაგდება მათთვის პირდაპირ სულზე მისწრება იყო. გლეხთა არმიას ახალი მებრძოლები შეუერთდა: აყლაყუდა

არაკუნე თავისი ტეპოტლელებით, თითქმის იმდენივე სან ბარტოლდოელი და რამდენიმე ჯგუფი სხვადასხვა სოფლებიდან. მეორე დილით იერონიმო და დედამისიც გამოჩნდნენ. შეხედა თუ არა, საპატამ მაშინვე იცნო.

— ჩემთან მოხვედი, იერონიმო? — კითხვით მიმართა მას საპატამ.

— მოვედი, თუ გჭირდები, ემილიანო!

— ძალიან მჭირდები. ამ მიდამოებში ყველგან ვგრძნობდით, რა საქმე უკეთებია შენს ხელსა და შენს ჭკუას.

იერონიმო გააკვირვა დიდი საპატას ესოდენმა ქებამ, რადგან თვითონ სულ არ ფიქრობდა, თუ რამე გაეკეთებინა.

ტეპოტლაში ავაზაკთა არმიის ესკადრონის განადგურების შემდეგ საპატა გზას გაუდგა. ნაალაფარი ცხენებიდან ერთი იერონიმოსათვის მოაყვანინა.

— იერონიმო, — მიმართა საპატამ მას, — ამ მხარეს კარგად იცნობ და ყველა სოფელში გყავს შიკრიკები, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, მეკავშირე ბიჭები.

— საით მივდივართ? — ჰკითხა იერონიმომ.

— დიდია მექსიკა, — მიუგო საპატამ, — გლეხი კი ყველგან დამონებულია. სადაც მივდივართ, გლეხებს ყველგან ვათავისუფლებთ. ახლა მინდა, ფეხდაფეხ ვსდიოთ უკან დახეულ ავაზაკთა არმიას. თუ ისევე გაუფრთხილებლად მოიქცევიან, როგორც აქ, ტეპოტლაში მოიქცნენ, თანდათან გავანადგურებ. ხოლო თუ მაგრად შემოგვიტიეს, მათ თვალწინ მემამულეებს სახლ-კარს გადავუწვავთ და თვალს მივეფარებით. თავს რომ დაგვანებებენ, ისევ გამოვჩნდებით. ამით მტერს ხელ-ფეხს შევუბორკავთ. რახან სოფლებს ანადგურებენ და ყველგან მხეცურად იქცევიან, გლეხები ჩვენსკენ გამოიქცევიან, როგორც თქვენა ჰქენით. ამრიგად, მტერი თანდათან სუსტდება, ჩვენ კი ძალებს ვიკრებთ. მათ ჯარისკაცებს ბრძოლა არა სურთ, რადგან აშიმშილებენ, ჩვენი გლეხები კი ხალისით იბრძვიან მუქთახორების მოსაცილებლად.

საღამო იყო, საპატა რომ ერთ პატარა ქალაქში შეიდა.

როცა ქალები მოცვივდნენ, რომ საპატასთვის ხელზე ეკოცნათ, მისი თეთრონი ატ[illegible], [illegible] [illegible]ედარმა მალე მოთოკა იგი.

ამბროსია და სხვა ქალები, გლეხთა არმიას რომ ახლდნენ, სახლებში მიმოიფანტნენ და ვახშმის თადარიგს შეუდგნენ.

ის იყო საპატა, იერონიმო და რამდენიმე სხვა კაცი ვახშამს მიუსხდნენ, რომ კარებში მარიო გამოჩნდა და ერთი შეშინებული სახის ბატონი შემოიყვანა. იგი ქალაქის ნოტარიუსი იყო.

— ბევრი საინტერესო ამბავი იცის, რაც ქალაქ მეხიკოში ხდება, — თქვა მარიომ და ნოტარიუსზე უჩვენა.

ნოტარიუსმა საპატას თაყვანი სცა, თავაზიანად გაიღიმა და თითქოს მომართული არისო, დააყარა:

— ჩემი სახლი თქვენი სახლია, ბატონო გენერალო. იგი მდებარეობს ნინოს-ეროს ქუჩაზე, ნომერ 22-ში. ქალაქის მოსახლეობა და, პირველ რიგში მე, ძალიან კმაყოფილები გახლავართ, რომ თქვენი მობრძანების ღირსი გაგვხადეთ. იმედი მაქვს, ყველგან თქვენი დამსახურების შესაფერის შეხვედრას მოგიწყობენ.

ეს ფორმალური თავაზიანობა საპატას ყელში ამოუვიდა და მოუთმენლად ელოდა, საინტერესო ამბავს როდის იტყვისო. ბოლოს ნოტარიუსი საქმეზე გადავიდა:

— ბატონებო! — ასეთ მიმართვაზე საპატას გაეღიმა. — ალბათ უკვე იცით, გენერალმა უერტამ პრეზიდენტი მადერო დაამხო. როგორც ახლა გამოირკვა, უერტა თავისი ნებით კი არ მოქმედებდა, არამედ უცხოელთა ელჩების დავალებით, განსაკუთრებით კი, ინგლისელი ელჩისა. ეტყობა, სწორედ იმან დაავალა მადეროს მოკვლა.

— განა მადერო მოკლეს? — იკითხა გაოცებულმა საპატამ.

— დიახ. უერტამ იგი მეხიკოს ერთ გარეუბანში მოაკვლევინა. ამის ჯილდოდ ელჩებმა იგი პრეზიდენტად გახადეს.

— მერე, ეს როგორღა შესძლეს? — იკითხა საპატამ.

— ოჰ, ბატონო საპატა, თითქოს ეს ძალიან ძნელი საქმე იყოს. გასულ საუკუნეში ხუარესი, ამ სამი წლის წინ კი მადერო აირჩიეს. უერტას ამბავი სხვაგვარად მოხდა: როგორც კი მადერო მოკლეს, ელჩები მთავრობის სასახლეში შეიკრიბნენ. იქ უკვე ყველაფერი მზად იყო. ისინი მიიღო უერტამ. ელჩები

თავთავიანთი მთავრობის სახელით მიესალმნენ. როგორც ახალ პრეზიდენტს.

საპატა წინ წაიხარა და გესლიანად თქვა:

— მაშ მეც შემიძლია უერტა მოვაკვლევინო, მთავრობის სასახლეში უცხოელი ელჩები მოვიწვიო და პრეზიდენტი გავხდე?

— არა, თქვენ უცხოელი ელჩები არ გეახლებიან. თავიანთი მიზნების მისაღწევად იმათ მთავრობას ხომ არ მოუსყიდიბართ.

— ასეა საქმე? — თქვა საპატამ. — მართლაც ასე იქნება. მაგრამ ერთი ეს მითხარი, ნუთუ ქალაქში ყველა კმაყოფილია, რომ ეგ პირსისხლიანი ქოფაკი და ლოთი უერტა ხელისუფლებას დაეპატრონა?

— არა! — წამოიძახა აღელვებულმა ნოტარიუსმა. — ყველა აღშფოთებულია, მაგრამ უერტა ყველას ხვრეტს, ვინც მის წინააღმდეგ რამეს იტყვის.

— მაშ ლიბერალებიც მის წინააღმდეგ იქნებიან?

— რასაკვირველია, მთელი გულითა სძულთ.

— მთელი გულით? — იკითხა ჩაფიქრებულმა საპატამ. — ერთხელ ერთი ლიბერალი მეუბნებოდა, თავისუფლება მთელი გულით მიყვარსო. მაგრამ ლიბერალების მთავრობა მაინც ჩვენ გვებრძოდა. თუმცა ჩვენც თავისუფლების მომხრენი ვართ. თქვენც ასე ამბობთ, ხალხის მხარეზე ვარო. მაგრამ ეს ხალხი ვიღაა? ეგ ხალხი ჩვენა ვართ, გლეხები, ვისაც თქვენ ებრძოდით.

— ხალხი მარტო გლეხებისაგან არ შედგება, — თქვა ნოტარიუსმა.

— მართალია, მარტო გლეხებისაგან არა, მაგრამ მე მეუბნებოდნენ. ჩვენს ქვეყანაში ყოველი ათი მცხოვრებიდან ცხრა გლეხიაო. მაშასადამე, ერთ ქალაქელს ცხრა გლეხის დამონება სურს. განა ასეთი არ იყო თქვენი ლიბერალი მადეროს პოლიტიკა?

ნოტარიუსმა თავი ჩაჰკიდა.

— ალბათ მადერომ თავისი შეცდომა ძალიან ინანა, როცა საკუთარი გენერლის ჯარისკაცებმა წამება დაუწყეს და მერე თოფის ლულები მიუშვირეს, — თქვა მან.

— ალბათ, ინანა კიდეც, მაგრამ მაშინ, როცა უკვე ძალიან გვიან იყო, — ტუჩი აიბზუა საპატამ. — რისთვის სწავლობდა იმდენ ხანს უნივერსიტეტში, თუკი თავის შეცდომას აღრე ვერ განშვრეტდა? უჭკუო ხომ არ იყო?

საუბარში მარიო ჩაერია. იგი აქამდე ჩუმად იდგა:

— ამას მე უფრო აგიხსნით, ემილიანო. მადეროც ჩემსავით ქალაქში აღიზარდა. იმანაც, როგორც სხვა ქალაქელებმა, თქვენზე არაფერი იცოდა. ჩვენს სკოლაში "სიტყვა „გლეხს" აოც კი ახსენებდნენ. ლათინურს გვასწავლიდნენ, ნამდვილ ცხოვრებას კი — არა. სან ბარტოლდოს ბაღებში რომ მივედი, სირცხვილისაგან ოფლში ვიწურებოდი, რადგან არაფრის გაგება არ შემეძლო. პატარა ბიჭი, იერონიმოს ძმისწული, ტრინი მასწავლიდა ბარით მუშაობას.

— ახლა ხომ გესმით ჩვენი? — ჰკითხა მას საპატამ.

— როგორ არა, თქვენ მიწისა და თავისუფლებისათვის იბრძვით, — მიუგო მარიომ.

აქამდე მოღუშული სახე საპატას გაუცისკროვნდა.

— თუმცა ქალაქში ხალხს ხვრეტენ, მაგრამ იმდენი ვაჟკაცობა შეგწევს, იქ წახვიდე და შენს მეგობრებს აუხსნა. ვისთვის გვჭირდება მიწა და თავისუფლება? მერე კი უკან მობრუნდე და გვითხრა, გადმოვლენ თუ არა ჩვენს მხარეზე?

ამ სიტყვებმა მარიო ძალიან ააღელვა. „როგორ მენდობა ეს გლეხი საპატა!" — გაიფიქრა მან.

— ემილიანო, — დაიწყო მან, — თქვენ დიდ ნდობას მიცხადებთ, მაგრამ არა მგონია, ასე დიდი გავლენა მოვახდინო მათზე. არ მესმის, ის ლიბერალები როგორ არიან ასე მოკლეჭკუანი. არ ვიცი, შევძლებ თუ არა მათთან საერთო ენის გამონახვას. ქალაქში კი უსათუოდ წავალ და როგორც კი შემიძლია, შევეცდები თქვენს სასარგებლოდ ვილაპარაკო.

●

ბრაულიომ და ტრინიმ ცარიელ ოთახში იატაკზე სამი ჭილოფი გაშალეს, ერთი — ამბროსიასა და როზასათვის, მეორე — იერონიმოს, პაკოსა და მარიოსათვის, ხოლო მესამე — თავიანთთვის. მერე ქალაქის დასათვალიერებლად გავიდნენ.

აქამდე მათ სოფელში მხოლოდ ერთადერთი კარფანჯრიანი

სახლი ენახათ. ამ სახლშიც ხუცესი ცხოვრობდა. აქ კი ასეთი სახლები ბევრი იყო. ქალაქის ცენტრში, მოედანზე, სვეტებიანი სახლები იდგა. მათ ჩრდილში რამდენიმე დუქანი მიყუჟულიყო: ერთში სიმინდის ცომს ჰყიდდნენ. დუქნის გვერდით, ცეცხლზე იდგა უზარმაზარი ტაფა. ირგვლივ საშინელი სუნი ტრიალებდა. მაღალი, ზორზოხა კაცი ტაფას ჯოხით ურევდა. აქ ქალაქელებისათვის ნუგბარ საჭმელს ამზადებდნენ — შიგნეულობას წვავდნენ. გლეხთა არმიის ჯარისკაცებს შიგნეულობის დანახვაზე პირში ნერწყვი მოსდიოდათ, მაგრამ ჯიბეში გახვრეტილი კაპიკიც არ უჭყაოდათ. საწყლები ისე ჩამომხმარიყვნენ, ძვლები ამოსჩროდათ.

ზეცას ბინდი შეეპარა. პატარა სავაჭროში, სადაც მწვანილსა და რკინა-კაევეულობას ჰყიდიდნენ, თიხის სანათი აანთეს. მეორე კუთხეში რამდენიმე კაცი დახლზე პულკეს სვამდა და ყაყანებდა. ამ პატარა ქალაქის სხვა უბნები კი ბინდის ჩამოდგომისთანავე ჩაკვდა.

ტრინი იმედგაცრუებული იდგა. ქალაქი დიდებულ სანახაობად წარმოედგინა. ბრაულიოც იმასვე განიცდიდა, რასაც ტრინი, თუმცა ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ, არც სახეზე შეტყობიათ რაიმე. ამბროსიასთან დაბრუნდნენ, იგი ერთი პატარა სახლის კართან დამდგარიყო. ამბროსიას აკლდა ყოველდღიური წვრილმანი საოჯახო საქმე. საღამოობით უყვარდა ხოლმე სიბნელეში ჩამოჯდომა და ცქერა. აქ დასაჯდომი ადგილიც არსად იყო. ბიჭებმა არ იცოდნენ, ქალაქელები როგორ ცხოვრობდნენ. მათთვის მიჩენილ ბინაში სკამები არ იყო, ჭილოფებზე მიწვნენ და შალის საბნებში გაეხვივნენ.

იერონიმო, პაკო და მარიოც მალე დაბრუნდნენ საპატას თათბირიდან. მარიოს სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა და ხმას არ იღებდა. მეხიკოში წასვლის დავალებამ მრავალი საფიქრალი გაუჩინა.

— ხვალ გზას განვაგრძობთ, — უთხრა იერონიმომ დედამისს და ჭილოფზე მიწვა. როცა საპატას ჰკითხა, რომელ ნაწილში გამგზავნიო, მან უპასუხა: შენა და პაკო ჩემთან დარჩებითო. იერონიმოს განცვიფრებაზე: „რატომ?“ საპატამ მიუგო: „გლეხებს ჰგონიათ, მებრძოლი ის არის, ვინც თოფს ისვრის, მაგრამ თქვენ თვითონ დაინახავთ, სხვა საქმეც ბევრია“.

იერონიმოს წარმოდგენაც არა ჰქონდა, სხვა რა საქმე უნდა ჰქონოდათ. მებრძოლის მოვალეობად მასაც თოფითა და სხვა იარაღით ბრძოლა მიაჩნდა.

●

მეორე დილას როზამ ქოთნები და დანარჩენი ხარახურა ჩაალაგა. ამბროსია მეორე ქალს მოელაპარაკა, საქმის კეთებაში ერთმანეთს ხელი წავაშველოთო. ეს მეორე ქალი საპოტეკების მეთაურის ბალთასარის ცოლი კანდელარია იყო. ამ ქალს ტრინიმ გუშინ მიაქცია ყურადღება, როცა თავის სახედარს ჩუმად მისდევდა. თითქოს სხვა ინდიელებისაგან არაფრით განსხვავდებოდა, მაგრამ ტრინიმ მას თვალი მაინც ვერ მოსწყვიტა, ძალიან ლამაზი ეჩვენებოდა, თუმცა ქალი, ეტყობოდა, არაფრად აგდებდა თავის სილამაზეს. კანდელარიამ ალერსიანად უთხრა ამბროსიას, ჩემი სახედარი გამოიყენეთო. ტრინისა და ბრაულიოს უნდა აეკიდებინათ სახედრისათვის საოჯახო ხარახურა და საბან-ჭილოფები.

მარიო რომ მოვიდა, ბიჭები ამ საქმით იყვნენ გართულნი.

— ცოტა ხანს უნდა დაგტოვოთ, — თქვა მან.

მარიომ აღარ იცოდა, როგორ გამომშვიდობებოდა ტრინის. მთელი ღამე იმას ფიქრობდა, როგორ შეესრულებინა დავალება. განა საშიში არ იყო მეხიკოში წასვლა, იქ ხომ ხალხი იცნობდა? ამის გამო კი უნდა მიეტოვებინა ეს ოჯახი, გაჭირვების ჟამს რომ შეიფარა. მარიომ ტრინის თავზე ხელი გადაუსვა და უცბად ამბროსიასაკენ მიტრიალდა:

— საპატამ ერთი დავალება მომცა. კარგად მენახეთ!

ამბროსიამ წარბები ოდნავ ასწია, მარიოს შეხედა და თავი დაუქნია. მარიოს მოეჩვენა, რომ ეს მეგობრული თავის დაქნევა არ იყო.

უცბად ვილაცამ მხარზე ხელი დაჰკრა. იერონიმო იყო.

— აი, ეს გზაში გამოგადგება, მარიო. საპატამ გამოგიგზავნა. მშიერი ხომ ვერ ივლი?

იერონიმომ რამდენიმე ქაღალდის ფული გაუწოდა.

მარიო წესიერებას იყო მიჩვეული და იერონიმოომ ფული რომ მისცა, იფიქრა: „საინტერესოა, გლეხთა არმია როგორ აგვარებს თავის ფინანსურ საქმეებს? ყველას ასე აძლევენ ფულს? ასე არ ივარგებს!“

გლეხთა არმიამ კარგა ხანს შეისვენა. გზის პირას, ტრიალ მინდორზე დაბანაკდნენ. თვალუწვდენ, გადახრუკულ მინდორზე ერთ მწვანე ბუჩქსაც კი ვერ მოჰკრავდით თვალს, რომ კაცს ეფიქრა, სადმე მახლობლად ოაზისი იქნებაო.

შორ მანძილზე გაჭიმული კოლონის თავიდან იერონიმო აღალთან მივიდა.

— ბიჭებო, — უთხრა მან ბრაულიოსა და ტრინის, — ნოპალაზე არაფერი ცნობა არ მოგვეპოვება. იგი აქედან შორს აღარაა. ჩვენთან ხომ გახსოვთ, ნოპალადან ერიბერტო სწავლობდა. არ შესმის, რატომ არაფერს გვატყობინებს. იქნებ ჩვენი მოახლოება ვერც შეიტყვეს? წადით ნოპალაში — ოღონდ, იცოდეთ, იფრთხილეთ და გამოიკითხეთ, რა იციან მძარცველურ არმიაზე.

— აქედან ნოპალამდე რა მანძილია? — იკითხა ბრაულიომ.

— ჩვენი მეგზური ამბობს, ორი საათის სავალიაო.

— ძია იერონიმო, მაჩეტეები წავიღოთ?

— არა. საომრად ხომ არ მიდიხართ. საშიშროებას თუ რასმე შეამჩნევთ, დაიმალენით.

იერონიმომ ბიჭები კოლონის თავამდე გააცილა. გზის პირას ჩამომჯდარმა საპატამ იერონიმოს თვალით ანიშნა, აქ მოდიო.

აქედან ბავშვები მარტო გაემართნენ. როგორც იქნა, ახდა მათი ოცნება — ისინი არმიის ნამდვილი მზვერავები იყვნენ. მაგრამ სწორედ ახლა თავს გმირებად აღარ თვლიდნენ, გადახნულ მინდვრებსა და გადამწვარი ბალახით დაფარულ ველზე საგმირო და სათავგადასავლო არაფერი ჩანდა. მიდამოს თვალი მოავლეს. შორს, საკმაოდ დიდ მანძილზე, გაშიშვლებული ქედები მოჩანდა, საითკენაც ღია ცისფერი მტვრიანი ბილიკი მიუყვებოდა. მიწის პირას მზით გახურებული ჰაერი თრთოდა. გარშემო არაფერი იძვროდა. მარჯვნივ, ცაზე სვავები ტრიალებდნენ. ზოგჯერ რომელიმე მათგანი ქვემოთ დაეშვებოდა, მერე ისევ ლილისფერ ზეცას გაეკვროდა.

გზა თანდათან მაღლა-მაღლა მიუყვებოდა. ბექობზე რომ ავიდნენ, ბიჭებმა პატარა ტაფობი დაინახეს, ირგვლივ ბუჩქ-

ნარი შემოფენოდა. წვიმების დროს ყვითელ ქვებზე ალბათ წყალი მიჩხრიალებდა, ახლა კი ამომშრალიყო. მარცხნივ, შორ მანძილზე, პატარა გუბე შემორჩენილიყო, რომლის ნაპირები ხასხასა ბალახით გადამწვანებულიყო.

ბიჭებიც იქით წავიდნენ. წყალი ისე წმინდა იყო, კლდის ფსკერი მკაფიოდ მოჩანდა. მეგობრებმა ნაპირთან ჩაიმუხლეს და წყალს მუჭით დასწვდნენ. ბანაობა ძალიან უნდოდათ, მაგრამ დროის დაკარგვა ენანებოდათ. მალე ერთ ქედს გადაადგნენ, საიდანაც სოფელი ნოპალა გამოჩნდა. კაქტუსის ღობეებს იქით მიწისფერი ქოხები მოჩანდა, იმათ პირდაპირ — დაბალი სამრეკლო.

— აი, იქით წავიდეთ, მარცხნივ! — ჩუმად თქვა ბრაულიომ. — შორიდან შეგვამჩნევენ, მაგრამ არ გაუკვირდებათ. იფიქრებენ, ჩვენებურები არიან და მინდვრიდან შინ ბრუნდებიანო.

ბორცვიდან წყნარი ნაბიჯით დაეშვნენ. სოფლის განაპირას ქალი ორ თხას მოერეკებოდა. ეს სოფელს მშვიდობიან იერს აძლევდა. მერე გზაზე ორი კაცი გამოჩნდა. ისინი მძიმედ დატვირთულ ვირს მოსდევდნენ. ასეთ ხალხთან გამოლაპარაკება საშიში არ უნდა ყოფილიყო. ბიჭებმა ნაბიჯს აუჩქარეს. ამასობაში გამოჩნდნენ სოფლიდან მომავალი ბოხჩებწამოკიდებული ქალები და მამაკაცები.

— სოფლიდან მოდიან, — თქვა ტრინიმ. — ალბათ გარბიან.

მზვერავებმა ფეხს აუჩქარეს. გლეხები მათ ყურადღებას არ აქცევდნენ.

როცა ბიჭები ხალხის არეულ რიგებთან ახლოს მოვიდნენ, ერთი კაცი შედგა, უცნობებს დააკვირდა და ჰკითხა:

— საიდან მოდიხართ?

ბრაულიომ ხელით ზურგისკენ ანიშნა:

— იქიდან.

— მძარცველთა არმიას გამოექეცით?

— არა, ეგ არმია იქ არ არის.

მათ ირგვლივ ხალხმა უცბად მოიყარა თავი.

— მაშ რად მოდიხართ? — უნდობლად იკითხა პირველმა შემხვედრმა.

— გვინდა გავიგოთ, სად იმყოფებიან მძარცველები, — თქვა ბრაულიომ. ჯერ არ უნდოდა, სიმართლე ეთქვა.

— რაღა თქვენ გამოგგზავნათ სოფელმა? კაცები სად არიან? — იკითხა იმავე გლეხმა.

— ჩვენ იმიტომ გამოგვგზავნეს, რომ თქვენებურ ერიბერტოს ვიცნობთ.

— ვინ ერიბერტოს?

— აი იმას, სან ბარტოლდოს ბაღებში რომ იმყოფებოდა.

— ჰო, იმ ცრუპენტელას? გვითხრა, იქ წერა-კითხვა ვისწავლეო. მერე ისეთი ამბები მოყვა, კაციშვილმა არ დაუჯერა.

— მართლა სწავლობდა წერა-კითხვას, — თქვა ბრაულიომ.

— შენ რა იცი? — ჩაეკითხა კაცი და ბაგეების კუთხეები დაეშვა, სახეზე ეტყობოდა, აინტერესებდა. — თქვენ სან ბარტოლდოდან ხომ არა ხართ?

— დიახ.

ლაპარაკში მეორე კაცი ჩაერია.

— ერიბერტო გვარწმუნებდა, თითქოს თქვენ... ესე იგი ვიღაც იერონიმოს — ბატონმა ყურები და ცხვირი რომ დააჭრა, საპატას გლეხთა არმიისაგან ცნობა მიეღოს, მოვდივართ, რომ ბატონებისაგან დაგიხსნათო.

— სწორია, — თქვა ბრაულიომ. ერთხანს ენა დაება, მერე ხელი გაიშვირა იქითკენ, საიდანაც თვითონ მოვიდნენ. — გლეხთა არმია იქ არის, აქედან ორი საათის სავალზე.

ხალხი დუმდა და ერთმანეთს შესცქეროდა.

მერე ერთმა იკითხა:

— ხომ არ გვატყუებ?

— ვინმე გაგზავნეთ და გაიგებთ. მათ მხოლოდ ის აინტერესებთ, მძარცველთა არმია სად იმყოფება. ამას რომ გაიგებენ, თვითონვე მოვლენ.

ისევ დუმილი ჩამოვარდა. მერე ისევ იმ კაცმა დაიწყო:

— ეგ არმია გუშინ აქედან ხუთი საათის სავალზე იყო... ახლა არ ვიცით, საით წავიდა. ამიტომ სოფლიდან მივდივართ. მძარცველები რომ შემოგვესიონ, საპატა გვიშველის?

— ჩვენ თვითონ საპატამ გამოგვგზავნა.

ეს კი არ უნდა ეთქვა ბრაულიოს, აბა ვინ დაუჯერებდა,

რომ დიდი ბელადი საპატა ამ ორ გლეხის ბიჭს გამოგზავნიდა მათთან.

გლეხებმა ერთმანეთს რჩევა ჰკითხეს, როგორ მოვიქცეთო. ერთმა თქვა, ერთი-ორი კაცი გავგზავნოთ და ვნახოთ, მართლა თუ არიან იქ დაბანაკებულებიო.

— აი, ბიჭებო, აქედან ორ კაცს გაგატანთ, მათ საპატასთან მიიყვანთ. მაგრამ იცოდეთ, თუ თქვენი ნათქვამი ტყუილი გამოდგა, ვაი თქვენს ტყავს.

სანამ ტრინი და ბრაულიო იმ ორ კაცს უცდიდნენ, საიდანღაც ერიბერტო გამოჩნდა და ბიჭებისკენ გამოემართა, მაგრამ მერე შეჩერდა. თვალებზე ეტყობოდა, მათი ნახვა ძალიან უხაროდა.

— ახლა მაინც დამიჯერებენ, — ჩუმად თქვა ერიბერტომ და მერე ბიჭებს ჰკითხა: — საპატა მართლა ახლოა?

— ორი საათის სავალზეა.

— ვნახავთ? როგორია?

— ჩვეულებრივი გლეხია.

— ცოტა მაინც არ განსხვავდება მათგან?

— ჰო, რა ცხენზე ზის. ძია იერონიმოც ცხენით დადის.

გაოცებულმა ერიბერტომ თავი გადააქნია.

ახლა სოფლიდან აღარავინ მიდიოდა. გადაწყვიტეს, დაეცადათ, ეგებ საპატა მართლა მოვიდეს და დაგვეხმაროსო. მთელი სოფელი გაცხარებით მსჯელობდა ამაზე.

●

ნოპალელმა შიკრიკებმა ტრიალ მინდორზე შორიდანვე შენიშნეს საპატასა და მისი ამალის ცხენები. ახლა კი შეფიქრიანდნენ. ვაითუ გლეხთა არმია კი არა, მძარცველთა არმია იყოს, მაშინ რაღა ვქნათო.

ამალას ერთი კაცი გამოეყო, ცხენზე ამხედრდა და მათკენ გამოემართა.

როგორც კი მხედარი მოახლოვდა, ნოპალელებმა შეამჩნიეს, რომ მას ჩალის სომბრერო ეხურა. ამან დაამშვიდა ორივენი. მალე იცნეს ყურებ და ცხვირდაჭრილი კაცი. იგი იერონიმო იყო.

დიდხანს არ გაუვლია, გლეხთა არმია დაიძრა. ნოპალას ველზე ჯარისკაცები დამშრალი ნაკადულის კალაპოტში აქა-იქ დარჩენილ გუბეებს შემოეხვივნენ და სოფელშიც ასე არეულ-დარეულები შევიდნენ.

ნოპალელები გზის პირას გამოფენილიყვნენ, რომ თეთრ ცხენზე ამხედრებული გლეხთა განთქმული გენერალი ენახათ. ღობეს ამოფარებული ერიბერტოც ხარბი თვალებით შესცქეროდა საპატას.

იერონიმომ იცნო ბიჭი და ხელი დაუქნია. მთელი სოფელი მაშინვე მიხვდა, ერიბერტო მართალს ამბობდა.

საღამოთი საპატასთან გლეხები მოვიდნენ. საპატა ესაუბრა მათ და დაწვრილებით გაიგო სოფლის ამბავი. გლეხებს ძალიან გაუკვირდათ, როცა გენერალმა ერიბერტო იკითხა.

ბოლოს, როცა მარტონი დარჩნენ, იერონიმომ უთხრა საპატას:

— როგორც ვატყობ, აქ ჩემმა ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ თავისი საქმე ვერ გააკეთა.

— როგორ ვერ გააკეთა, იერონიმო, — შეეკამათა საპატა. — ამ ერიბერტომ ყველაფერი გააკეთა, რაც მისი ასაკის ბიჭს შეეძლო. მაგრამ ახლა ეს სამუშაო მამაკაცებმა უნდა განაგრძონ. რამდენიმე კაცი უნდა გავგზავნოთ ყოველდღე. ბრაულიოსა და ტრინის გამოგზავნა შეცდომა იყო. ეს შენ უნდა დაგავალოთ, შენ რომ დაგინახავენ, მიხვდებიან, როგორ ექცევიან ბატონები გლეხებს. თან ლაპარაკიც გეხერხება. ამიერიდან ეს საქმე შენ უნდა იკისრო. ყველგან მეგზურები გავიჩინოთ, თან გლეხებს აუხსენი, გვინდა ბატონების უღლისაგან გაგანთავისუფლოთ-თქო. ამიტომ ერთ-ორ დღეს თავშესაფარი უნდა მოგვცენ და შეგვინახონ. მათაც უნდა გაგზავნონ ახლო-მახლო სოფლებში მზვერავები. ახლა ხომ ხვდები, ეს თოფის სროლაზე უფრო მნიშვნელოვანი დავალებაა.

— ვხვდები, ემილიანო, მაგრამ ამ საქმეს მარტო მე ვერ გავუძღვები. წინ უნდა გაგისწროთ, გლეხებს ველაპარაკო, მერე თქვენ გელოდოთ, მზვერავები ვგზავნო და ისევ გაგისწროთ. ორი ფეხის მეტი ხომ არა მაქვს. პაკო და მისი ვაჟი ბრაულიოც დამახმარე!

საპატამ გაიცინა.

— რაღა თქმა უნდა, ორივეს მოგცემ. ამბროსიაც ხომ გეპირდება?

— ემელიანო, ამბროსია შენთან დარჩეს. შენ არ იცი, რა ჭკვიანი ქალია. თუ რამე გაგიჭირდეს, იმას ჰკითხე რჩევა.

საპატამ სერიოზული სახე მიიღო.

— სწორედ ასე ვიზამ. კარგად ვიცი ამბროსიას ფასი.

ამ საუბრის შემდეგ იერონიმომ თავისი დედა და სხვა ხალხი მოინახულა და აუხსნა, რა უნდა გაეკეთებინათ.

ტრინიც იქვე იჯდა. ბოლოს ბიჭმა იკითხა:

— მე რაღას მავალებ?

— შენ ჯერ ძალიან პატარა ხარ, — უთხრა იერონიმომ.

ტრინის სახეზე შეეტყო, რომ ბიძის პასუხი მაინცდამაინც არ ესიამოვნა.

მაშინ ამბროსიამ თქვა:

— ორი დღის წინ ბიძაშენი იერონიმო უკმაყოფილო იყო, საპატამ თოფი რომ არ მისცა. დღეს კი ისეთი საქმე აბარია, ბევრს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს. შენთვისაც გამოიძებნება, ტრინი, რაიმე.

ტრინი მიუხვდა დიდედას ნათქვამს. მაგრამ გულისტკივილი ასე იოლად არ გაუვლიდა, თავისი სათაყვანებელი, სახეგაცისკროვნებული კანდელარია რომ არ დაენახა. ქალი გაღიმებული თვალებით შესცქეროდა მისკენ მომავალ მამაკაცს. ამ ტანმორჩილი, კუნთებიანი მამაკაცის გარუჯულ, ოდნავ გვერდზე მოქცეულ სახეს კეხიანი ცხვირი ვაჟკაცურ იერს აძლევდა. ბავშვური სიხარულით შესცქეროდა იგი კანდელარიას. ნუთუ ეს იყო ამ ქალის ქმარი, საპოტეკების მეთაური?

— საჭმელი მზადაა, ბალთასარ, — ალერსიანად უთხრა ქალმა.

მაშ, მართლა გლეხთა არმიის მეთაური ყოფილა.

— ამაღამ აქ დავრჩები, — თქვა ბალთასარმა და სკამზე ისე მოხერხებულად დაჯდა, გეგონებოდათ, კარგა ხანია, აქ ცხოვრობსო.

ტრინი ახლა შეამჩნია და ღიმილით ჰკითხა:

— შენ ვინა ხარ?

— ტრინი ვარ, ამბროსიას შვილიშვილი, იერონიმოს დისწული.

— აჰა, — ბალთასარმა თვალები სასაცილოდ დააჭყიტა. — შენ იმ ბაღების სკოლაში სწავლობდი, არა? კითხვა ხომ იცი?

— ცოტ-ცოტა.

— მე კი სულ არ ვიცი, — წამოიძახა ბალთასარმა და ბიჭს ეშმაკური ღიმილით შეაცქერდა. — ალბათ, მეც ვისწავლი მერე, ომი რომ დამთავრდება.

ტრინი სუფრას ბალთასარის გვერდით მიუჯდა. ბალთასარი წამდაუწუმ ცოლისკენ გააპარებდა თვალს. ტრინის ეგონა, ბალთასარი თითქოს ამბობდა: „ხომ კარგია ჩემი ცოლი? ხომ ლამაზია?"

## ბრძოლა

მზე მაგრად აცხუნებდა. ტრინიმ დაინახა, რომ ბალთასარმა თავის დიდ რაზმთან ერთად მარჯვნივ გაუხვია და თვალუწვდენ ველზე გავიდა.

შორს ცა შავმა ღრუბლებმა დაფარა.

ამბროსიამ იქით გაიხედა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— დღეს წვიმები იწყება, — მერე გარშემო მიიხედ-მოიხედა, სადმე თავის შეფარება თუ შეიძლებაო, მაგრამ ვერაფერს მოჰკრა თვალი.

მზე ისევ აცხუნებდა. უცბად გრუხუნი მოისმა. ნუთუ დაიქუხა?

იმ მხარეს, საითაც გლეხები წავიდნენ, ტრინიმ მიწის პირას თეთრი ქულები დაინახა. მოისმა უცნაური ხმაური. ნეტა რა იყო?

მზეს ბურუსი გადაეფარა. კვლავ გამოჩნდა თეთრი ქულები და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჭახანის ხმაც გაისმა.

— ქვემეხებს ხომ არ ისვრიან? — იკითხა ტრინიმ, თუმცა პასუხს არავისგან ელოდა. გზაზე ქარს მტვერი წამოეხვეტა. ყველამ თვალები დახუჭა.

წინ მიმავალი გლეხები სადღაც გაქრნენ. ატყდა შაშხანების ბათქი, ჯერ წვიმის წინწკლები წამოვიდა, მერე კი კოკისპირულად დაუშვა.

შორს, მთის ზემოთ, ცა ელვამ გაჰკვეთა. დაიქუხა. ახლა უკვე ვეღარ გაარკვევდით, ქვემეხები ისროდნენ, თუ ჭექა-ქუხილის ხმა იყო.

კანდელარიას სახედარს წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. ტრინის ქურთუკი მთლად დაუსველდა. ჩალის ქუდიდანაც ჩამოსდიოდა წყალი წურწურით. გზის პირებში ნაკადულები წამოვიდა. როზა დაძაბული შესცქეროდა გლეხებს.

გუბეებში ფეხების ტყაპუნით მოვარდა იერონიმო.

— აბა, ყველამ უკან დაიხიეთ!

ამ დროს უცნაური შხუილი გაისმა. ათიოდე ნაბიჯის მოშორებით ქალი წაიქცა, მის გარშემო სისხლის გუბე დადგა. ბავშვი აწივლდა.

როზამ დაჭრილს მიაშურა.

— სახედარი წაიყვანეთ! — უთხრა იერონიმომ დედას. ცდილობდა, დამშვიდებით ელაპარაკა, მაგრამ ხმაზე ეტყობოდა, საშინლად ღელავდა. — ჩქარა გაეცალეთ აქაურობას!

კვლავ გაისმა შხუილი, კიდევ და კიდევ.

შეშინებული ქალები და ბავშვები გაიქცნენ. ტრინიმ სახედრის კისერზე მობმულ თოკს წაავლო ხელი. ეკლიან ბუჩქებს გვერდს უვლიდნენ, მაგრამ ქვებზე ფეხს იმტვრევდნენ, წელამდე გუბეებში ვარდებოდნენ. ქუხდა და ქუხდა, ისმოდა სტვენა, ჭახანი.

იერონიმო წინ წავიდა, რომ ამ გაუვალ, ეკლიან ბუჩქნარში გზა გაეკვლია. წინ დიდი ტბორე იდგა, იქიდან გაშიშვლებული ბუჩქები ამოჩრილიყო.

მათ ზურგს უკან კვლავ მოისმა შხუილი.

წყალდაწყალ მიმავალ იერონიმოს ტრინი უკან მისდევდა. წინ ბორცვი გამოჩნდა. იქიდან უკვე სახნავი იწყებოდა, ფეხს უფრო თავისუფლად გადაადგამდა კაცი. ამ თავსხმასა და ჭექა-ქუხილში ამბროსია მშვიდად მიდიოდა, წელგამართული. მის შეხედვაზე კაცი იფიქრებდა, არც საშიშროება აკრთობს და არც ეს კოკისპირული წვიმა აშინებსო.

ბორცვს რომ მიაღწია, იერონიმო შეჩერდა.

— აქ დარჩით! თუ კიდევ ატყდა სროლა, მინდვრის ბოლოს რომ ქვებია, იმას ამოეფარეთ. მე საპატასთან დავბრუნდები. შენ გამოგვყევი, ტრინი, ეგებ დაგვჭირდე.

უკანვე გამოტოპეს გუბეში. წყალი ახლა მუხლამდე მოსწვდათ. ისევ კოკისპირულად წვიმდა. სროლა ცოტა მიწყნარდა.

გზაზე როზა დაინახეს. ის დაჭრილის წინ ჩაჩოქილიყო, ჭრილობაზე სიმინდის ფუჩეჩი დაედო და შარვლის ტოტს ახევდა, რომ ჭრილობა შეეხვია. სხვა თან არაფერი ჰქონდა.

იერონიმო და ტრინი გუბეებში მიტოპავდნენ და ძლივს მიიკვლევდნენ გზას. სანდლები ტალახში ეფლობოდათ და ფეხის ამოწევისას ჭყაპა-ჭყუპი გაუდიოდათ.

საპატა ქვებზე შემდგარიყო და შორს იცქირებოდა, თუმცა ვერაფერს ხედავდა, ჰორიზონტს წვიმის კედელი ჩამოჰფარებოდა.

უცბად იერონიმოს მიუბრუნდა.

— ყაჩაღების გენერალი, ჩვენ რომ მოულოდნელად ხელში ჩავეგდეთ, იმ ნაწილს დასხმია თავს, სადაც ქალები გვყავდა. მაგრამ ჩვენ დროულად დავძარით საპოტეკები. მაინტერესებს, ახლა რაღას აპირებენ, ქვემეხები კი მიწყნარდა.

მოვარდა ლაფში ამოსვრილი შიკრიკი, საპატას გვერდით შეჩერდა და მოახსენა:

— ბალთასარის რაზმმა არტილერიისაგან მძიმე დანაკლისი განიცადა.

— რა თქვი? — იკითხა საპატამ. — მათი ქვემეხები აღარ ისვრის, აღარც თოფების ხმა ისმის. იერიში მოაქვთ?

— არა, ახლა სიმშვიდეა.

— ბალთასარმა საპოტეკების პატარა ჯგუფი მარჯვნივ გაგზავნოს და დაზვეროს, მტერი იქიდან ალყის შემორტყმას ხომ არ აპირებს. დაჭრილებს რას უშვრებით?

— გამოვიყვანეთ.

— რატომ გზაზე არ მოიყვანთ?

— ეგ რას უშველით? სადაც არიან, იქ მაინც დავეხმარებით ცოტას.

— ერთი ექიმი რომ გვყავდეს! — წარმოთქვა საპატამ. — ექიმიც რომ გვყავდეს, შესახვევი მასალა არა გვაქვს, სხვა არმიებში სანიტარული ფორნებიც კი აქვთ.

საპატა დანანებით ლაპარაკობდა, წვიმას გასცქეროდა და ჩალის შლიაპიდან წყალი წურწურით ჩამოსდიოდა.

წვიმამ ისევ მოულოდნელად გადაიღო, როგორც დაიწყო.

წვიმის სეზონზე იცის ხოლმე, თავდასხმის შემდეგ ორ-სამ საათში კამკაშა მზე გამოანათებს. ახლაც ასე მოხდა: გადაიღო თუ არა წვიმამ, ორი საათის შემდეგ კამკაშა ცაზე მზემ გამოანათა. პატარ-პატარა გუბეები უცბად დაშრა.

წვიმამ გადაიღო და ბრძოლაც შეწყდა. საპატა ცხენს მოახტა და იერონიმოს უთხრა:

— შენ აქ დარჩი! საკუთარი თვალით უნდა ვნახო, რა მდგომარეობაა მარცხენა ფრთაზე.

იერონიმომ და ტრინიმ სველი ტანსაცმელი გაიხადეს და გასაშრობად მზეზე გაფინეს.

მარცხენა ფრთაზე საპატას სრული სიწყნარე დაუხვდა. აქ თურმე მტრის საკმაოდ სუსტი დაჯგუფება ყოფილიყო ჩასაფრებული და მცირე ბრძოლის შემდეგ უკან დაეხია.

— ჯერჯერობით აქ დარჩით, — ბრძანა საპატამ. — ამასობაში ბალთასარის ნაწილს უკანვე დავახევინებ. მათ დანაკლისი განიცადეს და სადმე სოფელში უნდა დავაბანაკო, რომ დაჭრილებს მივხედოთ.

ამ სიტყვებზე საპატამ ცხენი შემოაბრუნა და გზაზე გაიჭენა. იმ ადგილას, სადაც ჰარტილერიამ ბავშვებსა და ქალებს ცეცხლი დაუშინა, გზაზე როზა გადაუდგა. საპატამ ცხენი შეაჩერა.

— ასე არ შეიძლება, ემილიანო! — უთხრა როზამ.

— რა არ შეიძლება? — საპატა გააკვირვა ამ მაღალი, გამხდარი გოგონას დაბეჯითებულმა ლაპარაკმა.

— დაჭრილებზე არავინ ზრუნავს. შესახვევი მასალაც არა გვაქვს!

— სად ვიშოვოთ?

— სად ვიშოვოთ? — გაიმეორა როზამ. — ერთი სახედარი მომეცი და რაც საჭიროა, ყველაფერს ვიშოვნი. ჭრილობის მოსაბანად არაყი გვჭირდება. წვავს, მაგრამ კარგია. სისხლისდენის შესაჩერებელი ფოთლებიც საჭიროა. თუ ვეტყვით, დაჭრილი ინდიელებისათვის გვჭირდებაო, ექიმბაში ქალები ყველაფერს გვიშოვნიან. ჭრილობის შესახვევ ჩვრებსაც სადმე ვიშოვნი.

ამ ლაპარაკისას საპატა თან იქვე დაგდებულ, ტყვიამფრქვევით დაჭრილ ქალს შესცქეროდა. დაჭრილი, ეტყობოდა,

საშინლად იტანჯებოდა, ამ სურათმა მხედართმთავარს დედის სიკვდილი მოაგონა. მეტად მძიმე სურათი იყო, მშველელიც არავინ ჩანდა.

თუმცა მძიმე მოგონებებმა აუფორიაქა სული, მაგრამ საპატამ გაიღიმა და როზას ჰკითხა:

— რა გქვია?

— როზა.

— როზა, სახედარს დღესვე მოგცემენ. მკურნალობისა თუ გესმის რამე?

— არა, მაგრამ არც არის საჭირო. ჭრილობაზე დაადე ფოთოლი, შეუხვიე და სოფელში წაიყვანე. იქ არიან ქალები, ვინც გაცილებით მეტი იცის. მერე ისინი მიხედავენ.

საპატამ იცოდა მკურნალობის ეს ხერხი და ისიც კარგად მოეხსენებოდა, რაც მას მოსდევდა. ცოტა როდი უნახავს დაჭრილები, ტეტანუსით რომ იხოცებოდნენ და სიცხისაგან გათანგულები შესცქეროდნენ, მაგრამ რომ არ შეეშინებინა, რო-

ზასათვის არაფერი უთქვამს, მისმა მონდომებამ ძალიან გაახარა, თავი დაუქნია და უთხრა:

— მაშასადამე, როზა, დაჭრილებზე შენ იზრუნებ. თუ რაიმე დაგჭირდეს, მე მომმართე!

## მარიოს დაბრუნება

მრავალმა თვემ განვლო. სანიტრის მოვალეობას როზა გულმოდგინედ ასრულებდა. მარტო მამაკაცის ქუდი კი არ ეხურა, შარვალიც ეცვა. ზურგიდან თუ შეხედავდით, გამხდარი ბიჭი გეგონებოდათ, მაგრამ მკვირცხლ სახეზე მაშინვე შეატყობდით, რომ გოგონა იყო. მარშზე ყოველდღიურად როზა თავის სახედარს გვერდით მიჰყვებოდა. სახედარს უნაგირზე წითელი ჯვარი ეხატა. როზა ცდილობდა, მუდამ რაზმის თავში ევლო, რომ საჭიროების დროს დაჭრილებს მალე მიშველებოდა. საღამოს ამბროსიას მოძებნიდა და გვერდით მიუწვებოდა.

როზა იშვიათად იცინოდა ხოლმე, უმეტესად მოღუშული დაიარებოდა. დაკვირვებული თვალი უცბად შეამჩნევდა, რომ ამბროსიას მოკრძალებით ეპყრობოდა, ტრინი ძალიან უყვარდა და მასზე ზრუნვა სიამოვნებას ჰგვრიდა. ბიჭი კი თავისი საქმიანობით უკმაყოფილო იყო. აღალს მიჰყვებოდა, არ იცოდა, წინ რა ხდებოდა, რატომ ჩერდებოდნენ დიდი ხნობით, ან საით მიდიოდნენ.

ერთ საღამოს სოფელში შეჩერდნენ. ვიღაც ცხენოსანი ბატონი მოვიდა, ტანთ შავი კოსტუმი ეცვა. ბატონი მათ წინ გაჩერდა. ტრინიმ მაშინვე იცნო მარიო. მარიო ტრინის შორიდან მიესალმა და საპატასაკენ გასწია.

რამდენიმე საათის შემდეგ მარიო ამბროსიასთან მივიდა..

— შეიძლება ღამე ძველებურად თქვენთან გავათიო? — ჰკითხა მარიომ და სიწითლემ გადაჰკრა.

— რატომაც არა, თუ ამ ხნის განმავლობაში არ გამოცვლილხარ, — უპასუხა ამბროსიამ და მარიო ცივად აათვალჩაათვალიერა.

— მართალს ამბობ, — თქვა ცოტათი შემკრთალმა მარიომ, — მაგრამ ისე თავისუფლად არსად მიგრძვნია თავი, როგორც თქვენთან. იმასაც კი ვფიქრობ, ხომ არ ჯობდა, ისევ აქ, თქვენთან დავრჩენილიყავი-მეთქი.

ამ საღამოს მარიო ძალიან ალერსიანი იყო. სანამ ისინი მშვიდს შეექცეოდნენ, პაკო და არაკუნეც მოვიდნენ. აინტერესებდათ, ახალი რა ამბებიაო.

ვამას რომ მორჩნენ, ფარდულში დასხდნენ და შესაქროდნენ, როგორ ნელ-ნელა ჩადიოდა მზე და წყვდიადი ეფინებოდა დედამიწას.

— მარიო, მეხიკოში იყავი? — იკითხა პაკომ.

— იქაც ვიყავი. თქვენ წარმოდგენაც კი არა გაქვთ, რა ამბები ხდება იქ. დღისით ცხოვრება თითქოს თავისი კალაპოტით მიდის, ღამეები კი ძალიან შფოთიანია. არავინ იცის, ვის დაიჭერენ ან ვის დახვრეტენ. მიუხედავად ამისა, მაინც ბევრი რამ სდება ისეთი, რაც ამ სისხლისმსმელ მხეცს, გენერალ გვამებს შორის. ამ სურათს ჩუმ-ჩუმად ყველგან ჰყიდიან. ხატავენ ქსელში გაბმულ ობობად, რომელსაც ხელში თავის ქალა უპყრია. ანდა ცხენს დააჭენებს სისხლის მორევში მცურავ გვამებს შორის. ამ სურათს ჩუმჩუმად ყველგან ჰყიდიან. განსაკუთრებით გრავიორ პოსადას ნახატებს იტაცებენ. დილდილობით ამ სურათებს ნახავთ სახლების კედლებზე. ეკლესიის თეთრ კედლებზე დიდ სურათებს ხატავენ. მაგალითად, თავმოტვლეპილ ჩასუქებულ ვაუბატონს თავზე ელვა ეცემა. მოტვლეპილი თავები მხოლოდ უცხოელებს აქვთ, თავმოტვლეპილ ინდიელს ვერ ნახავთ. იმ თავმოტვლეპილს ხელში მათრახი უჭირავს. ყველაფერს ამას იმიტომ ხატავენ, რომ ჩვენმა ხალხმა კითხვა არ იცის. ზოგჯერ ასეთ ნახატსაც წააწყდებით: გაბღენძილ მღვდელს ხელი გაუწვდია, რომ სულის ხსნისათვის ფული მისცენ, იქვე სიმინდით სავსე ტომრებს შორის მებატონე ჩამდგარა, თავი მოუყრიათ ზედამხედველებს, მძარცველთა არმიის ოფიცრებს; გვერდით ამერიკელი დამდგარა, წინ ფულით სავსე დიდი ტომარა უდგას.

— რატომ ამერიკელი? — იკითხა პაკომ.

— უერტამ მადერო მოკლა თუ არა, უცხოელმა ელჩებმა გენერალი პრეზიდენტად აკურთხეს, მაგრამ მერე ელჩებს შო-

რის უთანხმოება ჩამოვარდა. ამერიკელი ელჩი განრისხდა, რადგან უერტა ინგლისის ელჩს მაამებლურად ექცეოდა. მაშინ ამერიკის ელჩმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს მადეროს მკვლელობაში მას წილი არ ედო. იმუქრებოდა, ფლოტს გავგზავნი და თქვენს საზღვაო ქალაქ ვერაკრუსს ცეცხლის ალში გავახვევ, თუ უერტას არ მოაშორებთ და კანონიერი გზით ახალ პრეზიდენტს არ აირჩევთო.

— ეს სწორია, — თქვა პაკომ.

— სწორია, ოღონდ მაშინ ამერიკელები მართლა უნდა ისწრაფოდნენ სამართლიანობის დამყარებისაკენ. მაგრამ მათი მიზანი ეს კი არ არის. ამერიკელებს სურთ ისეთი პრეზიდენტი აირჩიონ, ვინც მხოლოდ მათ სიტყვას გაიგონებს.

— შენა, მარიო, შენ რაღას აკეთებ ამჟამად? — ჰკითხა პაკომ. დიდი ხანია აინტერესებდა ამის გაგება.

— მე ხომ აქედან იმიტომ წავედი, რომ ლიბერალებისათვის ამეხსნა, სისულელეს სჩადიხართ, გლეხების წინააღმდეგ რომ იბრძვით-მეთქი. მეხიკოში რომ ჩავედი, ბევრი ჩემი ძველი მეგობარი აღარ დამხვედრია. უერტას გაეყარა სამსახურიდან და თავისი მომხრეებით, უუნარო და მექრთამე სალხით შეეცვალა. ერთ მათგანს, თქვენს ყოფილ მებატონე ტორესს,— შენც იცნობ, პაკო! საერთოდ, სულელი არ არის, მაგრამ სამსახურში ფხიზელს იშვიათად ნახავთ და ხშირად ტეხს ალიაქოთს.

— ეგ ისეთი ბოროტი და გაიძვერა მაინც არ არის, როგორიც მისი ვაჟიშვილია, — გააწყვეტინა პაკომ.

— ის ახლა უერტას არმიის ოფიცერია,—თქვა მარიომ.— დამაცადე, ბოლომდე მოგიყვეთ. თითქმის ყველა ლიბერალი გაიქცა ქალაქიდან და ჩრდილოეთში უერტას წინააღმდეგ ახალი არმია შექმნეს. მისი მეთაურია ჩემი ძველი ნაცნობი ვენუსტიანო კარანსა და მეც მასთან გავეშურე.

— მაშასადამე, ახლა უერტას წინააღმდეგ სამი არმია იბრძვის, ორი გლეხთა არმია და ერთიც ვენუსტიანო კარანსასი?— იკითხა პაკომ.

— დიახ, — დაუდასტურა მარიომ. — მე შევასრულე საპატას დავალება. ვენუსტიანო კარანსამ მთხოვა, ჩემთან დარჩი, მალე მე თვითონ უნდა გავგზავნო ელჩი საპატასთან. ამიტომ

დავრჩი მასთან ამდენ ხანს. ახლა საპატასთან და პანჩო ვილასთან გამომგზავნა. მათ ორივეს წინადადებას აძლევს, შემომიერთდით და ერთი ძლიერი არმია შევქმნათო.

— საპატა რაღას ამბობს?

— იმას ისე არ გახარებია, როგორც მე ველოდი, და მაშინვე ისა მკითხა, ხელმძღვანელი ვინ იქნებაო.

სიბნელიდან ამბროსიას ხმა გაისმა:

— საპატა სწორია. აქამდე ჩვენ გვებრძოდით, ახლა კი თქვენთვის ვიბრძოლოთ? არა! ეს არ ივარგებს!

— მეც ხომ თქვენს წინააღმდეგ არ ვიბრძვი? — იკითხა აღელვებულმა მარიომ.

— მაგრამ დღეს იმათგან მოგაქვს ამბავი, ვინც ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა, — უთხრა ამბროსიამ. — ჩაცმულობაზევე გეტყობა, იმათ მხარეზე ხარ. შენ თვითონაც ხომ კარგად იცი, რომ ეგრე გამოწყობილი ბატონს ჰგავხარ?

— მაგას კი მართალს ამბობ, ამბროსია, — უკმაყოფილოდ დაეთანხმა მარიო, — მაგრამ გულით ხომ თქვენ გეკუთვნით?

— გულით ჩვენ გვეკუთვნი? — გაიმეორა ულმობელმა ამბროსიამ. — მე კი მგონია, ჩვენთან დარჩენას რომ აპირებდე, მაგ ტანისამოსით არ მოხვიდოდი. ალბათ ისევ კარანსასთან აპირებ გაბრუნებას.

— ვაპირებ, მოვალე ვარ. თვითონ საპატას სურს, რომ უკან გავბრუნდე და პასუხი მივუტანო.

— მჯერა. საპატას შენ კარანსას ელჩად უფრო მიაჩნიხარ, ვიდრე თავისად.

— ჩემს პატიოსნებაში ეჭვი რატომ გეპარებათ? — წამოიძახა მარიომ. — თუ დავინახე, ისინი თქვენს მოტყუებას აპირებენ, ავდგები და ისევ თქვენთან მოვალ.

— მართლა? — მიუგო პაკომ. — მაშინ საკითხავი ის იქნება, გვენდომება თუ არა კიდევ შენი მიღება.

მარიო ცდილობდა, თავი როგორმე დაეცვა, მაგრამ ეჭვი ვერავის გაუფანტა. როცა დაწვნენ და ყველას დაეძინა, მარიო კვლავ დიდხანს ფიქრობდა, შემდეგში როგორ მოქცეულიყო.

„ამჟამად მართლაც ვენუსტიანო კარანსას ელჩი უფრო ვარ, ვიდრე საპატასი. ამაზე აქამდე არც კი მიფიქრია. უკან უნდა გავბრუნდე, ალბათ კარანსას არმიაში მომიწევს დარჩე-

ნა. მაგრამ ის ხომ მართალია, რომ ჩემი გული გლეხებს უფრო ეკუთვნის?“ — ფიქრობდა მარიო.

მას ძალიან სწყინდა, ტრინიმ ღამე ნებისა რომ არ უსურვა, მაგრამ ის კი აღარ იცოდა, ინდიელებს ჰქონდათ თუ არა ეს წესად. წინათ, სულ ამათთან რომ იყო, ამისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

დილით გზას გაუდგა. გლეხების მზერას თვალს არიდებდა. შერცხვენილი ბრუნდებოდა ლიბერალების არმიაში.

## არაკუნეს ახალი თანამდებობა

მარტო ტრინი როდი იყო უკმაყოფილო იმით, რომ მხოლოდ სახედრებს მიერეკებოდა და ბრძოლაში კი მონაწილეობას არ იღებდა. არაკუნეც ამასვე ფიქრობდა. ამ ცოტა ხნის წინ სამხედრო მეთაურს ჰგავდა, — ასეთი შემთხვევა სხვას იშვიათად მისცემია, — ახლა კი? ესკადრონის ლოთობა და მათი ოფიცრების წინდაუხედაობა არაკუნემ კარგად გამოიყენა და ტეპოტლას მამული მალე აიღო. ამის შემდეგ ეგონა, რომ გლეხთა არმიაში ბევრი ასეთი შემთხვევა მიეცემოდა, მაგრამ ამის ნაცვლად არმია შეუჩერებლად მიდიოდა წინ და მხოლოდ ერთხელ შეეჯახა მძარცველებს. ეს შეჯახებაც მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ გაცოფებულმა უერტამ თავის გენერლებს უბრძანა, გლეხთა არმია საბოლოოდ გაანადგურეთო. საპატამ ვერ გამოიყენა მძარცველთა არმიის ყოყმანი. მის მეთაურებს თავდაცვა კი შეეძლოთ, მაგრამ რეგულარულ არმიაზე თავდასხმას ვერ ბედავდნენ. ამას გარდა, საპატა ხშირად უხვევდა ძირითად გეზს, მასთან ხშირად მოდიოდნენ სოფლებიდან გამოგზავნილი გლეხები და სთხოვდნენ, მემამულის დამხობაში მოგვეშველეთ, ჩვენი ძალებით მისი შეიარაღებული ბანდის დამარცხება არ შეგვიძლიაო. ასეთი შემთხვევების გამო გლეხთა არმია უერტას არმიას დიდი მანძილით შორდებოდა და მშვიდად და უბრძოლველად გადადიოდა სოფლიდან სოფელში. მემამულეები, ზედამხედველები და მათი დამქაშები სოფელში გლეხთა არმიის შესვლამდე გარბოდნენ. საგმირო

საქმეებისათვის მოწოდებულ არაკუნეს სავაჟკაცო არაფერი რჩებოდა.

ზოგჯერ ისეთ ადგილებში უხდებოდათ გავლა, სადაც ცხოვრება მთელი საუკუნით ჩამორჩებოდა, გლეხები ყმებად ჰყავდათ მებატონეებს. აქაურ ინდიელებს ესმოდათ, რისთვის იბრძოდა საპატა, მაგრამ თვითონ ვერ ბედავდნენ, რამე ეღონათ თავის გასანთავისუფლებლად. იერონიმო იძულებული იყო, სოფელ-სოფელ ევლო და გლეხებისათვის ყველაფერი აეხსნა. ეს სახედამახინჯებული კაცი გლეხებში ჩადგებოდა და უხსნიდა მათ საპატას ლოზუნგის „მიწისა და თავისუფლების“ შინაარსს.

— ნუ დაელოდებით, რომ მიწა გლეხთა არმიამ მოგცეთ, თქვენ თვითონ წაჰგლიჯეთ და თუ ბატონები წართმევას შეეცდებიან, დაიცავით კიდეც.

ტრინი დაყვებოდა ბიძამისს გლეხთა შეკრებაზე, ზეპირად იცოდა, რასაც ძია იერონიმო იტყოდა. გლეხები, მართალია, ყურადღებით ისმენდნენ, მაგრამ ხმას არ იღებდნენ. საკითხავი კი რამდენი ჰქონდათ. ხედავდა დასნეულებულ ადამიანებს, ძლივს რომ დალასლასებდნენ. მართალია, სან ბარტოლდოშიც იყვნენ სნეულები, მაგრამ ახლა ტრინიმ თავისი თვალით ნახა, რამდენი სნეული ყოფილა მის სამშობლოში.

ისეთი სოფლები უფრო ხშირად ხვდებოდათ, რომელთაც ბრძოლის კვალი აჩნდა. მძარცველთა არმიას ქოხები გადაეწვა, საქონელი კი გაეტაცა. მერე გლეხთა არმია მოდიოდა და მემამულის სახლ-კარსა სწვავდა. ეს ამბავი ამბროსიას ჯერ ბუნებრივად მიაჩნდა, შემდეგ კი თანდათან დაუფიქრდა.

ერთ საღამოს საპატა და იერონიმო მამასახლისის ოთახში ისხდნენ. კარები არ დაუკეტიათ, რადგან სოფელში მათ ქოხებს კარები, საერთოდ, არ ჰქონდა. ამგვარად, ყველას შეეძლო თავისუფლად მოესმინა მათი მსჯელობა, რომელი მიმართულებით წასულიყვნენ.

ზღურბლზე ამბროსია გამოჩნდა. ორივე მიხვდა, რაღაც დიდი ამბავი იყო. ამბროსიამ მაგიდასთან სკამი მისწია და იკითხა:

— ემილიანო, შენ სწორად იქცევი?

— რა მოხდა? — ჰკითხა გაოცებულმა საპატამ.

— მძარცველთა არმია აღმა-დაღმა დაეხეტება, ჩვენც ასევე დავეხეტებით. ისინი ქვეყანას ანადგურებენ. ჩვენა? ჩვენ კი არ ვანადგურებთ? აბა, შეხედე, ხალხი როგორ წვალობს და შიმშილობს!

— ამბროსია, ჩვენ გლეხების სახლ-კარს კი არ ვანადგურებთ, მეგატონეებისას ვწვავთ, ამასაც იმიტომ ვშვრებით, რომ მათ უკან დაბრუნების საშუალება მოვუსპოთ.

— სწორია, — დაეთანხმა ამბროსია. — მაგრამ რამდენი წელი დაგჭირდება, რომ ქვეყანა ამ გზით გაანთავისუფლო?

საპატამ თავი ჩაქინდრა:

— აბა, როგორ დავაჩქაროთ?

ამბროსიამ არაფერი უპასუხა, მოწყენილი იჯდა სკამზე და ხმას არ იღებდა.

●

ამ საუბრის შემდეგ იერონიმომ მეზობელ სოფელში დაბანაკებულ არაკუნესთან ტრინი გაგზავნა და დაბარა, არაკუნემ თავისი რაზმი სხვას გადააბაროს და ჩემთან გამოცხადდესო.

ტრინიმ არაკუნეს იერონიმოს დანაბარები რომ გადასცა, გაოცებულმა არაკუნემ იკითხა:

— იქ რა უნდა გავაკეთო?

— არ ვიცი, — მიუგო ტრინიმ.

არაკუნე უხალისოდ მივიდა მეორე ქოხთან და ერთ ტეპოტლელ ბიჭს უთხრა:

— ჩემი რაზმის მეთაური შენ იქნები.

განცვიფრებული ამხანაგის შეკითხვებზე არაფერი უპასუხნია და ტრინისთან ერთად ღორღიან გზას დაადგა. ტეპოტლელების რაზმის მიტოვებამ არაკუნეს გული ჩასწყვიტა.

იერონიმომ მას ახალი დავალება მისცა. გლეხთა არმიის ზურგში თავდაცვის რაზმები უნდა შეექმნა. არაკუნეს, რაღა თქმა უნდა, ესიამოვნა, რომ საპატას მახლობელთა წრეში იტრიალებდა, მაგრამ ამ საპატიო დავალების მიღებას არ გაუხარებია. სულ თავისი ტეპოტლელი მეგობრები ედგა თვალწინ.

იერონიმომ სოფლის მოსახლეობა შეჰყარა. თვითონ, არაკუნე და ტრინი კი სოფლის პატარა მოედანზე ჭის თავზე შედგნენ. იერონიმოს ეგონა, არაკუნე რაღაცას იტყოდა, მაგრამ იგი ისე შეკრთა, ხმა ვერ დასძრა.

იერონიმო იძულებული გახდა, თვითონ ელაპარაკნა.

— მეგობრებო, — დაიწყო მან, — ხვალ ან ზეგ ჩვენ აქედან წავალთ და თქვენ უნდა დაიცვათ თავი მემამულისა და მისი დამქაშებისაგან. ამიტომ სოფელში თავდაცვის რაზმი უნდა შეიქმნას. თქვენ რას იტყვით?

ხმა არავის ამოუღია.

— ჰა, რას გაჩუმებულხართ! — დაიძახა იერონიმომ. — ნუთუ თქვენი ახალგაზრდებიდან არავის უნდა საკუთარი იარაღით დაიცვას სოფელი?

— იარაღი სადა გვაქვს? — წამოიძახა ვიღაცამ.

აყლაყუდა არაკუნე ახლა კი აწრიალდა.

— რაო? — იყვირა მან. — ტრინი, შენ... — მან გზისკენ ხელი გაიშვირა, — იქიდან მოდიხარ. ქამარზე პისტოლეტი გკიდია. ნამდვილი მოურავი ხარ და სოფელში მიდიხარ, რომ გლეხებს ღალა გადაახდევინო. მე კი სოფლის რაზმელი ვარ. აქ, კაქტუსების ძირას უნდა დავიმალო და ხელში მაჩეტე მოვიმარჯვო, ეგ თოფებითა და პისტოლეტებით შეიარაღებული სისხლისმსმელები ახლო უნდა მოვუშვა. აი, ხომ ხედავთ, მოდის მოურავი, ეგ არამზადა!

ტრინი მშვიდად მიაბიჯებდა გზაზე, იგი არამზადას სულაც არ ჰგავდა. ათი წლის სანდომიანი ბიჭუნა იყო. გლეხებმა ჩაიხითხითეს.

ტრინი არაკუნეს მიუახლოვდა, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერ ხედავდა.

აყლაყუდა არაკუნემ უცბად ისკუპა. გრძელი მარჯვენა, რომელშიც ვითომ მაჩეტე ეჭირა, მაღლა ასწია, სისხლისმსმელის როლის შემსრულებელს ეცა და მიწაზე გააგორა.

— აი ხომ დაინახეთ! — არაკუნე გლეხებს მიუბრუნდა, მათი ხარხარისათვის ყურადღება არ მიუქცევია. — აი, ასე უნდა. იქითაც თქვენი ხალხი იქნება ჩასაფრებული, აქეთაც. ახლა რას იტყვით. მაჩეტე ცუდი იარაღია? მთავარი ის არის, არამზადები ახლოს მოუშვათ. მიწაზე რომ დასცემთ, თოფ-

იარაღიც აჰყარეთ. ჰოდა, იარაღიც გაგიჩნდებათ. ვის უნდა რაზმში ჩაეწეროს? გამოდით!

იმ წუთს ერთი სულ ახალგაზრდა ბიჭი გამოვარდა. მას სხვები მიჰყვნენ.

— აი, ესეც თქვენი სოფლის თავდაცვის რაზმი! — შესძახა არაკუნემ. — ახლა მეთაურია საჭირო და თქვენ თვითონ აირჩიეთ.

იერონიმოს გაეცინა. საწყალი ტრინი კი ფიცხმა არაკუნემ ისე დაახეთქა მიწაზე, ხელი იტკინა და როზას შეახვევინა.

## დოქტორი პეპე

არმია ველზე დაეშვა. აქ შუადღისას ისეთი აუტანელი სიცხე იდგა, უეჭველად უნდა შეესვენათ. აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად მდგარი აშოლტილი პალმების ცოცხივით გაფარჩხული ფოთლები ქარს დაეწეწა. ღამ-ღამობით ისე თბილოდა, კაცი საბანს ვერ დაიხურავდა. აქა-იქ შაქრის ლერწმის ვრცელი პლანტაციები გადაჭიმულიყო. ბანანების ძირას, მათ გოლიათურ ღია მწვანე ფოთლებქვეშ, სახელდახელო ქოხები აეგოთ. აქაური მცხოვრებლები მკვირცხლნი და მხიარულები ჩანდნენ.

ერთ დღეს პაკომ თავი ცუდად იგრძნო, ლუკმა არ გადასდიოდა ყელში. მზვერავებსა და მათ მოტანილ ამბებს ყურადღებას ვეღარ აქცევდა და აღალთან ერთად ძლივს მილასლასებდა. ჩამქრალ თვალებში წრეები უტრიალებდა. მეორე დილას ბრაულიო შეუდგა მხარში და ძლივს ადგამდა ფეხს. შეისვენებდა თუ არა, ჩამოეძინებოდა. თუმცა მზე აცხუნებდა, ტანში მაინც აჟრიალებდა. კანდელარიამ, აქამდე ქმრის მოვლის მეტი რომ აღარაფერი ახსოვდა, ჩაიჩოქა, თავი ნაზად გაუსწორა და რამდენიმე ტკბილი სიტყვა უთხრა.

საღამო ხანს პაკო ძალიან შეწუხდა. ამბროსიამ ტრინის ექიმბაში მოაყვანინა. თვალებმოხუჭულმა ექიმბაშმა შეხედა პაკოს.

— ჩაი დაალევინეთ! — უთხრა ამბროსიას და უკმაყოფილო სახით გაეცალა იქაურობას.

— ჩაი რომ უნდა დავალევინო, ეს მეც კარგად ვიცი, — წარმოთქვა ამბროსიამ და ტრინისა და ბრაულიოს მიუბრუნდა: — იცით, ასე მალე რად გაბრუნდა? — პასუხს არ დალოდებია, თვითონვე განაგრძო: — არ იცის, რა დაავადებაა, ან რითი ეშველება.

კანდელარია და ორივე ბიჭი პაკოს შეშფოთებით დასცქეროდნენ.

— ექიმები გვჭირდება, ჩვენი საკუთარი, ინდიელი ექიმები, — განაგრძო ამბროსიამ, — და არა ის კეთილშობილი ესპანელი ბატონები, ქალაქებში რომ ჩამსხდარან და გლეხებს არ ეკარებიან, რახან ისინი ბევრ ფულს ვერ მისცემენ.

— არ შეიძლება, მე ექიმი გავხდე? — იკითხა ტრინიმ.

ამბროსია ბიჭს ყურადღებით მიაჩერდა.

— ექიმობის შესწავლა ქალაქში შეიძლება, ამისთვის ბევრი ფული უნდა გქონდეს. ჩვენ გლეხთა არმიას მივყვებით, ის გვასმევს და გვაჭმევს, სხვა არაფერი გაგვაჩნია.

მზე რომ ჩავიდა, იერონიმომ დედა მოძებნა.

— ბევრი ავადმყოფი გვყავს, — ხმადაბლა უთხრა მან ამბროსიას. — ისინიც პაკოსავით დავარდნენ. საპატამ გადაწყვიტა, აქ დავრჩები, სანამ ესენი არ გამოჯანსაღდებიანო. ქალაქში კაცი გაგზავნა, იქნებ ვინმე ექიმი მოსძებნო, გლეხთა არმიაში დარჩენა რომ ისურვოსო. მაგრამ არ იცის, როგორ მოუაროს: ექიმიც ხომ ჩვენსავით ვერ იცხოვრებს.

დაღამდა. მაგრამ ბრაულიო არ დგებოდა, კარგა ხანს იყო ჩაჩოქილი მამის წინ. უძრავად. რახან ეს მოუსვენარი კაცი ასე მკვდარივით იწვა, ალბათ ძალიან ავად იყო.

მეორე დღესაც გამომჯობინება არ დასტყობია. კანდელარიამ და ბრაულიომ პაკო ბუჩქის ჩრდილში დააწვინეს.

მეორე დღეს შუადღისას ვილაც მხედარი გამოჩნდა. ექიმი იყო. ასე, საშუალო ხნის კაცი იქნებოდა. ტრინიმ ყურადღება მიაქცია მის შეშფოთებულ, მაგრამ დაკვირვებულ გამოხედვას. ექიმი საპატასთან მიიყვანეს, საპატამ ექიმისა და იერონიმოს თანხლებით ავადმყოფები შემოიარა.

პაკოსთან რომ მივიდნენ, ექიმმა იკითხა:

— ამასაც ის ნიშნები აქვს?

— დიახ, — მიუგო იერონიმომ.

ექიმი საპატას მიუბრუნდა:

— როგორც უკვე მოგახსენეთ, მეც ვერაფერს ვუშველი. საჭირო წამლები არ გამაჩნია. იმის გამო, რომ სამოქალაქო ომი წლების მანძილზე გრძელდება, ასე ადვილად ვერც იშოვი წამლებს.

— ჩვენთან არ დარჩებით? — ჰკითხა საპატამ. — გლეხთა არმიაში ერთი ექიმიც კი არა გვყავს.

— ამაზე ახლა ვერ გიპასუხებთ, ჯერ უნდა გავიგო, ცხოვრების რა პირობები გაქვთ. ერთ-ორ დღეში მოგახსენებთ. წამლების შესაძენად რამე საშუალება უნდა გამოვძებნოთ.

გლეხები დარცხვენილები იდგნენ და არ იცოდნენ, ექიმთან კიდევ რაზე ელაპარაკათ.

მაშინ ამბროსიამ უთხრა ექიმს:

— მე და კანდელარია მოგივლით.

ექიმმა ამბროსიას შეხედა და თავი დაუქნია:

— კარგი, ჯერჯერობით დავრჩები.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ამბროსიამ როზა მიუყვანა ექიმს.

— შენ აი, იმ ქოხში იცხოვრებ. ლაშქრად რომ მივდიოართ, როზას შესახვევი მასალით დატვირთული სახედარი დაჰყავს. კიდევ რა გინდა? რა გქვია?

ექიმი შენობით ლაპარაკს მიჩვეული არ იყო, მაგრამ ახლა მეტად გამხიარულდა.

— პეპე დამიძახეთ. ერთი მაჩვენე, როზა, რა დაგაქვს შენი სახედრით!

ტრინის ეშინოდა, ექიმი როზას ჩვრებსა და ფოთლებს რომ დაინახავდა, დასცინებდა. ის კი ყურადღებით შეუდგა თვალიერებას.

— მაშ ჭრილობებს პირველად ამითი უხვევ არა, როზა? ან სხვა რა საშუალება უნდა გქონდეს? — მერე ამბროსიას მიუბრუნდა: — ერთი დამხმარე კიდევ მჭირდება, რომ სოფელში ჩამოიაროს და ავადმყოფებს შეატყობინოს, ჩემთან მოვიდნენ.

— აი, ეს ბიჭი დაგეხმარება. ტრინი ჰქვია.

— უცნაური საქციელი გაქვთ! მაგრამ კარგი, არა უშავს, ტრინი დამეხმარება. ავადმყოფებს რჩევა-დარიგება უნდა

მივცე. რახან კითხვა არ იცი, ისე გეტყვი. გამეორებას ხომ მაინც შესძლებ?

— კითხვა ვიცი, — თქვა ტრინიმ.

— ბიჭოს! ჩვენს ხალხში იშვიათად შეხვდები კაცს, რომ კითხვა იცოდეს. ჩემს ნაწერს ალბათ მაინც ვერ წაიკითხავ. წერაც იცი?

— დიახ, ექიმო პეპე, ცოტა.

— კეთილი. აი, ქაღალდი, შენ თვითონ დაწერე. მერე ნაწერი სხვებს წაუკითხე.

●

რამდენიმე დღის შემდეგ პაკო გარდაიცვალა. ბრაულიო ერთი წუთითაც არ მოშორებია. ჩაცუცქულიყო მამის წინ და მის ტანჯვას უყურებდა. ახლა ისიც წაიღეს სხვებივით და მიწას მიაბარეს.

ერთხელ, დილით საპატა დოქტორ პეპეს ეწვია ქოხში.

— აქაურობას უნდა გავეცალოთ. არმია შიმშილობს. ჯერ ისევ ბევრი ავადმყოფი გვყავს. იმათთან ერთად ხომ ვერ ვივლით?

— მე მგონი, ავადმყოფები გაუძლებენ გზას. მხარში უნდა შევუდგეთ, ხშირ-ხშირად დავასვენოთ.

— თქვენ რას იზამთ? — იკითხა საპატამ. — დარჩებით ჩვენთან?

— დავრჩები.

საპატას ეშინოდა, ვაითუ ექიმმა მიგვატოვოსო. ვერ მიმხვდარიყო, რა აიძულებდა აქ დარჩენას, მაგრამ არაფერს ეკითხებოდა. ტრინისაც ვერაფერი გაეგო მისი. ყველას მიუხვდებოდა, რა სწყინდა, რა უხაროდა, ამ კაცისა კი ვერაფერი გაეგოთ. ლაპარაკში დოქტორ პეპეს ხშირად ნაღველი ემჩნეოდა ხოლმე. საღამოობით ისიც სხვებივით იჯდა და ვარსკვლავებს შესცქეროდა, ან მთვარით განათებული მიდამოს მზერით ტკბებოდა. თავისთავზე კი არასოდეს არაფერი უთქვამს. არავინ იცოდა, ცოლშვილიანი იყო თუ უცოლშვილო.

## ბრძოლა მენახშირეთა დასახლებასთან

საპატას გლეხთა არმია ისე გაიზარდა, რომ დედაქალაქში მოკალათებულ სისხლისმსმელ უერტას ციებ-ცხელება შეუდგა. მის საქმეს ისიც ართულებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიც ემუქრებოდა. ამერიკის მსხვილ საქმოსნებს არ სურდათ, მეხიკოში ინგლისელთა მიერ მოსყიდული პრეზიდენტი მჯდარიყო.

მიუხედავად იმისა, რომ მექსიკის სამხრეთით გლეხთა არმია საშიშ ძალად იქცა, საპატა მაინც ძველებურად გულკეთილი, მორიდებული და უბრალო ადამიანი იყო. იერონიმო შტაბის უფროსის მოვალეობას ასრულებდა: მზვერავებს დავალებებს აძლევდა, ცნობებს აგროვებდა და არმიის მომარაგებაზე ზრუნავდა. მის თანაშემწეს იარაღის განაწილება ჰქონდა დავალებული. ის ძალიან უხეში, მაგრამ საქმიანი კაცი იყო და ყოველი ფუჭად დახარჯული ვაზნის გამო მოურიდებლად იგინებოდა.

საპატასთვის პირველ ხანებში ამბროსია მხოლოდ ერთი სიმპათიური მოხუცი იყო. მაგრამ მის მიერ მიცემული სხარტი შენიშვნებით საპატა მალე მიხვდა, რომ ამბროსია კარგად იცნობდა თავის ხალხს. ამის გამო საპატა ხშირად ეკითხებოდა რჩევას, განსაკუთრებით მაშინ, როცა შეიტყობდა, რომ რომელიმე მისი მეთაური დაკისრებულ მოვალეობას კარგად ვერ ასრულებდა. მაგალითად, ერთხელ ამბროსიამ საპატას ურჩია, ადგილობრივი თავდაცვითი რაზმების შექმნას არაკუნეს ნუ მიანდობო.

— ამ საქმისათვის სხვა, უფრო მშვიდი ხასიათის კაცი შეარჩიე, რომელიც, თუ საჭირო იქნება, არმიას ჩამორჩება და თავის საქმეს უფრო საფუძვლიანად და მოფიქრებით გააკეთებს.

— კეთილი. შენ ვის მირჩევ?

— ბალთასარს.

საპატა დაფიქრდა.

— ბალთასარი კარგი მეთაურია, მაგრამ ხანდახან ზედმეტად ფრთხილია.

— სწორედ მაგის გამოა შესაფერისი, — თქვა ამბრო-

სიამ. — საპოტეკების მეთაურობა არაკუნეს გადააბარე. ის გამბედავია, ბალთასარმა კი უკეთ იცის გლეხებთან სალაპარაკო ენა და არმიის ზურგში თავდაცვის რაზმების შექმნასაც მალე ისწავლის, თანაც ისეთ რაზმებს ჩამოაყალიბებს, სიძნელე შეხვდება თუ არა, მაშინვე არ მიიფანტ-მოიფანტება.

საპატამ მეთაურთა თათბირი მოიწვია. ისე ცხელოდა, თათბირზე მამაკაცები ფოთლებით ინიავებდნენ. საპატამ რომ გამოაცხადა, ბალთასარის ადგილს არაკუნე დაიკავებსო, გაოცებისაგან ერთი წუთით ყველა გაშეშდა. სხვებზე მეტად ბალთასარი იყო გაოცებული და დარცხვენილი მიწას დასცქეროდა.

საპატა ბალთასარს მიუბრუნდა:

— ბალთასარ, მე შენს დაქვეითებას არ ვფიქრობ. შენ თვითონაც კარგად გესმის, რა მნიშვნელობა აქვს განთავისუფლებული რაიონების განმტკიცებას, რომ იქაურმა გლეხობამ უკანდაბრუნების მოსურნე მემამულეთა შეტევები მოიგერიოს. ამის გაკეთება კი, ბალთასარ, აქ მყოფთაგან, როგორცა ჩანს, ყველაზე კარგად შენ შეგიძლია. — მერე ყველა შეკრებილს მიმართა: — ამჟამად ომის მსვლელობაში გარდატეხის მომენტია. წინათ სუსტები ვიყავით და ავაზაკთა არმიის შეტევებს გავურბოდით. ამჟამად სახელმწიფოს შუაგულისკენ სამი არმია მოიწევს. მე პანჩო ვილასთან კავშირი შევკარი, რათა სისხლისმსმელი უერტა დავამხო. თუმცა პანჩო ვილაზე მაინცადამაინც დიდი წარმოდგენისა არა ვარ. ის ჯერჯერობით ყაჩაღების ხელმძღვანელს უფრო წააგავს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მასთან ერთად ქალაქ მეხიკოში ეგრეთ წოდებულ პრეზიდენტს უნდა შევებრძოლოთ. დღეიდან უკან აღარ დავიხევთ. ახლა შეტევაზე გადავდივართ! აქ, ამ დაბლობში, სიცხე გაწუხებთ. ამიტომ ამ გადახრუკულ ადგილებს დავტოვებთ და მაღალ მთებში წავალთ. იმ მხარეს ავაზაკთა არმიას დასაყრდენი პუნქტები გააჩნია. ისინი შეეცდებიან, უღელტეხილებზე შეგვაჩერონ. მძიმე ბრძოლები მოგვიწევს.

გლეხთა არმიის მეთაურებმა თავები დაიქნიეს, მაგრამ ეს ამბავი არაკუნესავით არც ერთს არ გახარებია.

●

გადახრუკულ ველზე რამდენიმე დღის სიარულის შემდეგ დაიწყო მთები. გზის მარცხენა მხარეს სუფთა ქვებსა და კენჭებზე კამკამა ნაკადული მოჩხრიალებდა. ინდიელები აღმართს მძიმე-მძიმედ მიუყვებოდნენ. ამ ადგილებში ბანანების ღია მწვანე ფოთლებს თვალს ვერ მოჰკრავდით, სამაგიეროდ ხარობდა წითლად აფეთქებული ბუჩქნარი და ლაღად გადაშლილი ხეები. უკან მოიტოვეს დაცემული ვაკე, სულისშემხუთველი სიცხე. შორს, თვალუწვდენ ველს იქით, რუხ მოცისფრო ნისლში მთაგრეხილები გადაჭიმულიყო. ზედ ჰორიზონტთან კონუსის ფორმის თეთრი ღრუბლის ქულებშემოჯარული მთა — ვულკანი აღმართულიყო. აქედან, ალბათ, ზღვაც კარგად ჩანდა. ტრინი მხნედ მიაბიჯებდა, მის წინ დაჭრილთა სახეევებით დატვირთული სახედარი მიჩაქჩაქებდა.

ამ დამქანცველი მგზავრობისას უკვე რამდენჯერმე შეისვენეს. ახლაც გაჩერდნენ. შემდეგ ისევ ტყეს აუყვნენ. აქ ისეთი ციცაბო აღარ ჩანდა. ირგვლივ დამწვარი შეშის სუნი იდგა. მალე ბილიკის პირას გამოჩნდა ერთიერთმანეთზე დაწყობილი მხრჩოლავი მორები. მარჯვნივ რამდენიმე ქოხი იდგა.

მენახშირეები გლეხთა არმიას მხიარულად შეხვდნენ.

— ექიმი გყავთ? — იკითხა ერთმა გამურულმა მენახშირემ.

— ჩემს უკან მოდის, — მიუგო ტრინიმ.

— დედა მყავს ავად. არ გასინჯავს? — ისევ ჰკითხა შეწუხებულმა მენახშირემ.

მათ ჩამოძონძილი ბავშვები შემოეხვივნენ. ისინი ინდიელთა რომელიღაც დიალექტზე ლაპარაკობდნენ. ტრინის მათი არაფერი ესმოდა. უცბად ბავშვები ტრინის მიუბრუნდნენ და რაღაც ჰკითხეს. ტრინიმ მათ თავის ენაზე უპასუხა. ბავშვებმაც ვერაფერი გაუგეს. ამაზე ყველას გაეცინა.

●

ამ სოფელში იმ ღამეს ექიმი და აღალში მყოფი ქალები დარჩნენ. მენახშირეები ნახშირს უფრო დასახლებულ სოფლებში ჰყიდდნენ და ესპანური იცოდნენ. ამიტომ მალე გაუგეს ერთმანეთს.

იერონიმო დედასთან მივიდა და მჭადები სთხოვა.

— მე და საპატა ამაღამ გზაზე ვდგავართ. არმიის ნაწილი საიდუმლო გზებით მთაგრეხილებზე გადავა. არ დაგავიწყდეს, ამ სიმაღლეზე ღამ-ღამობით ძალიან ცივა. კარგად შეიფუთნეთ!

პატარა სოფელში ამდენი ხალხის სამყოფი ქოხი სად იქნებოდა. სამაგიეროდ ხეები და ტოტები იყო ბევრი. მენახშირეებმა და მათმა შვილებმა ხელი გამოიღეს და სიცილ-ყიჟინით ეხმარებოდნენ არმიელებს სახელდახელო ქოხების აგებაში. მშვენიერი რბილი საწოლები მოუწყვეს. ტყუილად ეშინოდა იერონიმოს. თუმცა გარეთ საკმაოდ ციოდა, მაგრამ შტოებსა და ფოთლებქვეშ ისე არ შესცივნიათ, როგორც თავიანთ ქოხებში სციოდათ ხოლმე.

ჯერ ისევ ბნელოდა, როცა ტრინი ხმაურმა გააღვიძა. მიდამოს რაღაც უცნაური სინათლე მოჰფენოდა. ხის ტოტებიდან მთვარე ანათებდა. შორიდან მოისმოდა შაშხანებისა და ქვემეხთა უწესრიგო სროლა.

ტრინი ერთხანს ყურს უგდებდა, მაგრამ მერე ჩაეძინა. გათენებისას გაეღვიძა და უცბად ვერ მიხვდა, საიდან მოისმოდა ხმაური. ახლა ზურგის მხრიდან მოესმა სროლის ხმა. მაგრამ ეს როგორ მოხდა?

მაშინვე გარეთ გამოვარდა. სხვებიც გამოცვენილიყვნენ და დილის სუსხისაგან აცახცახებულნი ყურს უგდებდნენ სროლის ხმას.

ერთი მენახშირე ამბროსიას შინაურულად ესაუბრებოდა:

— უნდა გითხრა, მთებში ხმა კაცს იოლად ატყუებს. თუ არ ვცდები, სროლა ამჟამად სან ავგუსტინის ხეობაში უნდა იყოს.

— ეს კარგია ჩვენებისათვის? — იკითხა ამბროსიამ.

— კი, კარგია, მაგრამ ეს ველარ გამიგია, მძარცველების გენერალმა ქვემეხები იქ როგორ აიტანა, ძალიან ვიწროა ეგ ხეობა.

●

არაკუნე თავისი ნაწილით წინა საღამოთი გაუდგა გზას. წინ ტეპოტლელებისა და სან ბარტოლდოელების ასეულები მი-

დიოდა. მათ საპოტეკები მიჰყვებოდნენ. მეგზურობდა ერთი მოხუცი, სიტყვაძუნწი მენახშირე, რომელზეც ამბობდნენ, ამ მთებში ყოველი ქვა და ბუჩქი ხუთი თითივით იცისო.

სანამ ღამის სიბნელეში საპოტეკები გზას გაუდგებოდნენ, მეგზურმა ასე გააფრთხილა:

— ხმა არ ამოიღოთ! სანამ ნაბიჯს გადავდგამდეთ, წინ დაიხედეთ, სად უნდა დაადგათ ფეხი. ძნელი სავალია, მაგრამ ნელა ვივლით.

ეს ესპანურად ნათქვამი სიტყვები საპოტეკებს გადაუთარგნეს. მეგზური და არაკუნე ავანგარდთან ერთად მიაბიჯებდნენ მეტისმეტად ვიწრო ბილიკზე. აქ თითო კაცი თუ გაივლიდა. ამიტომ იყო, ათასეული ძალზე გაიწელა.

ასეთი დიდი ჯარის ნაწილს ამგვარი ლაშქრობა, რა თქმა უნდა გაუჭირდებოდა. მენახშირემ მალე შეუხვია ბუჩქნარმოდებულ, წვიმისაგან დახრამულ ხევში, რომლის ოკრო-ბოკრო კლდოვანი ფსკერი მაღლა-მაღლა ციცაბოდ მიემართებოდა.

თანდათან ჩამობნელდა. კარგა ხნის სიარულის შემდეგ ხრამის ძირი შედარებით სწორი გახდა. თუმცა ისევ ხვდებოდათ უზარმაზარი ლოდები. ქვა-ღორღიან ფსკერზე ინდიელებს სანდლები უცურდებოდათ და მთლად ამოწუწულიყვნენ წყალში.

ბოლოს კლდეში გამოჭრილი ბუნებრივი დარბაზის პირისპირ აღმოჩნდნენ, რომლის შვეულ კედლებს შორის პატარა ტბორი დამდგარიყო. ერთი შეხედვით იტყოდით, გზა გადაკეტილიაო. მაგრამ მენახშირე მარცხნივ შებრუნდა, მიწიდან ამოჩრილ ფიჭვის ფესვს ჩაეჭიდა და კლდის ვიწრო ნაწიბურს გაუყვა. აქ კარგა ხანს შეყოვნდნენ. ბევრი ბარად ცხოვრობდა და კლდეებზე ცოცვას ჩვეული არ იყო. თან ზურგზე შაშხანები და დაგორგლილი საბნები ეკიდათ.

უკან მომავლები რომ არ ჩამორჩენილიყვნენ, კლდის ნაპირას მენახშირე ძალიან ნელა მიდიოდა. მარცხნივ ღრმა ხეობა ჩანდა. აქ უკვე საპოტეკები შეგროვილიყვნენ. ზემოდან მკრთალად მოჩანდნენ, უკეთ ისმოდა მათი სანდლების ტყაპა-ტყუპი და წყლის ჭყაპუნი, ცივი სილიდან ფეხს რომ ამოიღებდნენ.

მენახშირე ახლა ციცაბო ტყიან ფერდობს დაადგა. ბუჩ-

ქების ტოტებსა და ფესვებზე რომ არ წაგეცლოთ ხელი, აქაც შეუძლებული იყო ასვლა.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მეწინავეებმა მწვერვალს მიაღწიეს და ხშირ, წიწვოვან ტყეში უკან დარჩენილთ დაელოდნენ.

მენახშირემ არაკუნე იმ ადგილას მიიყვანა, გამეჩხერებული ხეებიდან ბადრი მთვარე რომ მოჩანდა. ხელი წინ გაიწოდა და ჩაიჩურჩულა:

— მძარცველთა არმია იქ არის!

ისინი უერტას საძულველი არმიის მარჯვენა ფრთას ზურგში მოქცეოდნენ. მარცხნივ მენახშირემ სან ავგუსტინის ვიწრო ხეობა დაანახვა. არაკუნე ცოტა ხანს ჩაფიქრდა და სან ბარტოლდოელ და ტეპოტლელ ახალგაზრდებთან ერთად გზას გაუდგა, საპოტეკებს კი დაუბარა, აქ მოგროვდითო. ყმაწვილები უხმაუროდ მიდიოდნენ, გრძნობები წინ გაურბოდათ. აყლაყუდა არაკუნეს გზა რომ არ დაბნეოდა, წამდაუწუმ მთვარეს უყურებდა.

უცბად წინ რაღაც ხმაური მოისმა. მიმავალნი შესდგნენ და სუნთქვა შეიკრეს.

მარჯვნიდან ფეხის ხმა და ლაპარაკი ისმოდა. მათგან ასე, ორმოცდაათ ნაბიჯზე, ორი კაცი ერთმანეთს ესაუბრებოდა. ეტყობოდა, ამ ადგილას გადიოდა ის ერთადერთი გზა, რომლითაც შეიძლებოდა უკან დაეხია მძარცველთა არმიის მარჯვენა ფრთას.

მიწყდა თუ არა ფეხის ხმა, ტეპოტლელები წინ გაემართნენ და მალე მიაღწიეს ვიწრო ბილიკს, სადაც ორი კაცი თუ გაივლიდა მხარდამხარ. ცოტა მოშორებით, მარცხნივ, ტყეში განაკაფი ჩანდა. არაკუნე იქეთ გაემართა. ეშინოდათ, მთვარის შუქზე არ გამოჩენილიყვნენ და ფრიალო კლდის გაყოლებაზე ფრთხილად მიხოხავდნენ. მალე მათ წინ ფლატე გამოჩნდა. დაბლა, ვიწრო ხეობაში, ერთადერთი ფართო გზა გადიოდა, რომლითაც ამ ადგილებში უღელტეხილზე შეიძლებოდა გადავლა. ამ გზაზე ხალხი დადიოდა, მაგრამ იმის გამო, რომ ხეების უმეტესი ნაწილი ბნელში იყო მოქცეული, არაკუნემ გარკვევით ვერაფერი დაინახა.

არაკუნეს რაზმმა უჩუმრად დაიკავა პოზიციები კლდის

გაყოლებაზე. მეთაურმა მებრძოლებს ხელით ანიშნა, სანამ მტრის არმიის ზურგში ბრძოლის ხმას არ გაიგონებთ, თოფი არ გაისროლოთო.

ამის შემდეგ არაკუნე უკანვე გადახოხდა მთვარით განათებულ განაკაფზე და ბნელ ტყეში ხელის ცეცებით იმ ადგილას დაბრუნდა, სადაც, ამასობაში, ძნელად სავალ გზებზე სიარულისაგან მოქანცული, დაწალიკებული საპოტეკები შეკრებილიყვნენ. მაშინვე ოცმეთაურები შეკრიბა და განუმარტა, როგორ უნდა დაერტყათ მტრის მარჯვენა ფრთის ზურგისთვის.

— ნელა, ჩუმად უნდა მივეპაროთ, — უთხრა მათ არაკუნემ, — ოცეულები ერთმანეთის მხარდამხარ იქნებიან, მეთაურები ოცეულებს არ დასცილდეთ. წინ მე წავალ. — მერე ხელი მთვარისაკენ აიშვირა და შეტევის მიმართულება განსაზღვრა. — პირველი გასროლის ხმას რომ გაიგონებთ, ხალხს იერიშზე წაიყვანთ.

სანამ საპოტეკები ტყეში კატასავით მიიპარებოდნენ, სან ბარტოლდოელი და ტეპოტლელი ყმაწვილები ფრიალოს ძირში გაწოლილიყვნენ და თვალს ადევნებდნენ, რა ხდებოდა ხეობაში. დამის ნიავმა დაჰქროლა. აცივდა.

დროის მსვლელობას გზაზე კლდის ჩრდილის გადანაცვლებით იგებდნენ.

უცბად მარჯვენა მხრიდან სროლის ხმა მოისმა. ყმაწვილები შეკრთნენ, თუმცა სწორედ ამ ხმას ელოდნენ მოუთმენლად. ტყე და კლდეები ისეთ გამოძახილს იძლეოდა, თითქოს ყოველი მხრიდან ისვრიანო. ამან ყველა ააღელვა.

მთვარე დანათოდა ხეობას. გზაზე ხალხი გარბოდ-გამორბოდა. არაკუნეს რაზმელები სათითაოდ იღებდნენ მათ მიზანში და ესროდნენ.

მარჯვენა მხარეს ქვემეხების გრიალი ატყდა. მაგრამ ამ მიუდგომელ ადგილებში ინდიელებს რას დააკლებდა?

ქვემეხების გრიალი ხან ჭექა-ქუხილს მოგაგონებდათ, ხან ძაღლების ყეფას. ტყვიამფრქვევები კაკანებდნენ.

აღმოსავლეთით ცას მტრედისფერი შეეპარა.

შუქმა რომ იმძლავრა, ბრძოლის ხმაური თანდათან მიწყდა. ეს რას ნიშნავდა?



დაბლა, მარჯვნივ, უღელტეხილზე გადამავალ გზაზე, ჯარისკაცების არეული ჯგუფები გამოჩნდა. მაშასადამე, მტრის არმია უკან იხევდა. ფეხოსნებს უკანიდან ქვემეხებში გაბმული ცხენთა ოთხეული მიაწყდა.

არაკუნეს რაზმმა ისევ ცეცხლი გახსნა. ერთი ცხენი ძირს დაეცა. უკანდახეულები დაფრთხნენ და ერთმანეთში აირივნენ. ჯარისკაცები კლდეს აეკვრნენ და კისრისტეხით გაქუსლეს.

კუთხიდან ცხენოსნებმა ერთი ქვემეხი კიდევ გამოაგელვეს, მაგრამ ერთმანეთში არეულ-დარეულ ცხენებისა და ხალხის გროვის წინ ერთბაშად შედგნენ.

●

ტრინი მენახშირეთა სოფელში იყო, რომ ბრძოლის ხმაური მოესმა.

მასთან მივიდა დოქტორი პეპე და უთხრა:

— ჩვენი სამუშაო ახლა იწყება. თუ არა ვცდები, დღეს ცხარე დღე გველის. მეშინია, ვაითუ ბევრი დაჭრილი იქნეს. წავედით!

გზაზე რომ გამოვიდნენ, მზე უკვე ანათებდა. ქვემოთ ხეობა კი ჯერ ისევ ნისლში იყო გახვეული. გზა მარცხნივ უხვევდა. აქ ტრინიმ ბრძოლებში დახოცილი ჯარისკაცები დაინახა.

ისა და დოქტორი პეპე სწრაფად გაემართნენ კლდის ქიმისაკენ, რომლის უკანაც დაფლეთილმუნდირებიან, მსუბუქად დაჭრილთა დიდ ჯგუფს გადააწყდნენ. ამათ თვითონ შეეძლოთ სიარული, სხვის დაუხმარებლად,

ვიღაც უცხო ექიმმა ამ ჯგუფში რომ დატრიალებდა, დოქტორ პეპეს გამოსძახა:

— თქვენ იქით წადით, ბატონო კოლეგავ! აქ მეც ვეყოფი, იქ კი!..

მიწაზე გასისხლიანებული ხალხი იწვა. ზოგიერთებს სახელდახელოდ შეუხვიეს ჭრილობები. დოქტორი პეპე მაშინვე საქმეს შეუდგა. მის წინ უცბად გაჩნდა მსუბუქად დაჭრილების რიგი. ზოგი საკაცეებით მოჰქონდათ. მტრის არმიის

ზოგიერთი ჯარისკაცი გლეხთა არმიის ჯარისკაცებს ეხმარებოდა, მათი ეშინოდათ და კეთილი განწყობილების დამტკიცებას ცდილობდნენ. ვინ იცის, ესენი იქნებ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მებატონეთა დაქირავებული სასტიკი ზედამხედველები იყვნენ.

ტრინი ექიმს ინსტრუმენტებს აწვდიდა და თან, თითქოს სხვათა შორის, აკვირდებოდა ყველაფერს.

## ბრძოლის შემდეგ

საპატა ხეობის ყელამდე მივიდა. ხეობა ფორნებით, ადამიანების გვამებითა და ცხენებით იყო ამოვსებული. იგი მოუთმენლად ელოდა თავისი ქვედანაყოფის ამბავს. ამ ქვედანაყოფს უბრძანა, მტრის გაქცეულ არმიას დასდევნებოდა.

ხეობის მარცხენა კედლის გაყოლებით ტყვეთა დაუსრულებელი ნაკადი მოედინებოდა. საპოტეკების ერთმა ჯგუფმა მას ტყვე ოფიცრები წარუდგინა. ლაფში ამოსვრილი ოფიცრები მის წინაშე შიშისაგან ფერწასულები იდგნენ. მან მხოლოდ თვალი გადაავლო ტყვე ოფიცრებს, მათთან დალაპარაკება კი არ ისურვა. რამდენიმე დღის წინ ბევრი რამ უამბეს მტაცებელთა არმიის ოფიცრების მხეცობაზე.

— უკან წაიყვანეთ კუთხის იქით! — ბრძანა საპატამ. — იქ დაიცადონ.

წაიყვანეს თუ არა ტყვეები, საპატამ იერონიმო მოიხმო და უთხრა:

— ოფიცრები დაჰკითხე. უნდა ვიცოდეთ, მხოლოდ ავანგარდი გავანადგურეთ და სიფრთხილე გვმართებს, თუ მთელი არმია მოვსპეთ, სამხრეთში ჩვენს წინააღმდეგ რომ იბრძოდა.

იერონიმო ფლატესთან თავშეყრილ ოფიცრებთან მივიდა. მათ წინ მტრის არმიის ორი მკვდარი ჯარისკაცი ეგდო. იერონიმომ თვალი შეასწრო ერთ ოფიცერს, რომელიც ცდილობდა ზურგსუკან ამოფარებოდა მეორეს.

— ჰეი, შენ, რას მემალები? აბა, წინ გამოდი! სინდისი ხომ არა გაქვს დამძიმებული?

ოფიცერი, დამალვას რომ ცდილობდა, წინ გამოვიდა და იერონიმოს უტიფრად შეხედა. იგი ჯანღონიანი ლეიტენანტი იყო. იერონიმო, მართალია, არ იცნობდა, მაგრამ მაინც უნდობლად უმზერდა.

— რომელი ნაწილები იბრძოდა აქ ჩვენს წინააღმდეგ? — იკითხა იერონიმომ.

ლეიტენანტს არაფერი უპასუხნია, მოხუცმა მაიორმა კი ყველა ნაწილი ჩამოთვალა. ამით იერონიმო ბევრს ვერაფერს მიხვდა და ჩაფიქრდა, რა უნდა ეკითხა მერე.

მაიორმა სამხედრო ნაწილების ჩამოთვლა რომ გაათავა და გაჩუმდა, იერონიმომ უთხრა:

— თქვენ არაფერი გითქვამთ პაბლო გონსალესის ნაწილზე.

ეს გენერალი გლეხთა არმიის ყველაზე საშიშ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა.

— მისი ჯარი, — თქვა მაიორმა, — შორს იმყოფება, ჩრდილოეთში.

— ჩვენს პირისპირ რომელი ნაწილები დგას? — ისევ იკითხა იერონიმომ.

— რა თქვით? რეზერვებზე მეკითხებით?

— დიახ, რეზერვებზე.

— რეზერვები არა გვყოლია. ყველა ნაწილი მონაწილეობდა ბრძოლაში.

იერონიმომ ისეთი გულგრილი სახე მიიღო, თითქოს ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაიორი ასე ხალისიანად იმიტომ ლაპარაკობს, ალბათ თავის გადარჩენა უნდაო, — ფიქრობდა იერონიმო. ეს მართლაც იყო საფიქრალი, რადგან მძარცველთა მიერ ტყვეების სასტიკმა ტანჯვა-წამებამ გლეხებიც ულმობელნი გახადა და ახლა ორივე მხარე ულმობლად იბრძოდა.

იერონიმო ფიქრობდა: „ერთიც ვნახოთ, ამ მაიორმა წმინდა წყლის სიცრუე ჩამომიფქვა, მაშინ?“ — ამის თავიდან ასაცილებლად, სხვებსაც დაჰკითხა, სად იმყოფებოდნენ ესა თუ ის მაღალი რანგის ოფიცერი და შემთხვევით ყურმოკრულ გვარებს ასახელებდა. რადგან ყველამ ერთი და იგივე გაიმეორა, იერონიმომ დაკითხვა შეწყვიტა, რომ შედეგი საპატასთვის მოეხსენებინა.

მთელი ამ ხნის მანძილზე იერონიმოს მიერ შემჩნეული ლეიტენანტი მწკრივის წინ იდგა. ახლა ეს ლეიტენანტი მაიორს მიუბრუნდა და ხმადაბლა, თუმცა ისე, რომ სხვა ოფიცრებსაც გაეგონა, უთხრა:

— გლეხების გულის მოგება გნებავთ, არა? კეთილშობილი წარმომავლობის ხალხის აზრით, ამას გამცემლობა ეწოდება.

— ლეიტენანტო ტორეს, — პირში მიახალა გაცოფებულმა მაიორმა, — სწორედ თქვენი ავკაცობის გამო ვცახცახებთ ჩვენ. ესეც იცოდეთ, თქვენ ძალიან როდი გაგიჭირდებათ გმირის როლი ითამაშოთ, ოჯახში შიმშილით ბავშვები არ აგიტირდებათ.

მაიორს ლაპარაკი არ დაემთავრებინა, რომ ტორესმა გზაზე რაღაც დაინახა და ფაცხა-ფუცხით ისევ თავისი მეგობრის ზურგს ამოეფარა. ხევიდან უჩვეულოდ მაღალი ინდიელი ამოდიოდა, მხარიღლივ ჯვარედინად ორი პატრონტაში გადაეკიდა, ჩექმებზე კი დეზები უჟღარუნებდა. მის მიხრა-მოხრასა და გამოხედვაში გაბედულება იგრძნობოდა. ტორესმა მეგობარს წასჩურჩულა:

— დღეს მაგან მეორედ ჩამიგდო ტყვედ. კარგადაც მცნობს: ერთი მხრიდან ვართ.

— ვინ არის?

— არაკუნეს ეძახიან. ჩვენი მამული ტეპოტლაში მაგის წყალობით ჩაიგდეს ხელთ.

— მაშინ როგორ დაუძვერი?

— ტყვე გლეხებში გაგვცვალეს.

მეორე ოფიცერს გაეხარდა:

— მაშასადამე, შეიძლება ჩვენც გაგვცვალონ, არა?

— შენ შეიძლება გაგცვალონ კიდეც, — ჩაიბურტყუნა გაბოროტებულმა ტორესმა, — მე კი, რა მოგახსენო. იქ ერთი ისეთი ამბავი მოხდა, რომ... ახლა ვერ მოგიყვები. რამდენიმე თვის წინ სამი გლეხი დავიჭირეთ. მათ შორის ერთი ჩვენი ყოფილი მუშაც იყო.

— ეს ამბავი ხომ არაკუნეს არ ეცოდინება?

— ინდიელების თვალი და ყური ყველგან სწვდება. ყურადღებით მოისმინე! — ტორესმა ხმას სულ დაუწია. — ახლა მი-

წაზე დავეცემი და თავს მოვიმკვდარუნებ. თქვენ რომ წაგიყვანენ, მე აქ დამტოვეთ. მზე უკვე ჩასვლაზეა. აი, იმ მკვდარს საბანი გადახადე და მე წამაფარე თავზე.

●

ბალთასარი საპატასთან გამოცხადდა და თან მტრის არმიის სამი ჯარისკაცი მოიყვანა. სხვა ჩამოფლეთილ ჯარისკაცებთან შედარებით, ესენი კარგად გამოწყობილები იყვნენ და თან ერთი ყუთი მოჰქონდათ.

— ეს ერთი პოლკის სალაროა, — თქვა ბალთასარმა. — ხაზინის მდივნებიც შევიპყარით. ისინი გვთხოვენ, თქვენთან დაგვტოვეთ, თქვენთან ვიმსახურებთო.

საპატა იერონიმოს მიუბრუნდა:

— გამოიყენებ რამეში?

— გამოყენება კი შეიძლება, მაგრამ... — მცირე ფიქრის შემდეგ დაიწყო იერონიმომ და სათქმელი აღარ დაასრულა.

— მაგრამ რა?

— ამას ცალკე გეტყვი, ემილიანო. უკვე აგრილდა. კანდელარიამ ღამის გასათევი მოგვიწყო.

მაღალ ფიჭვებქვეშ სახლი გაეკეთებინათ ძელებისაგან. ქვის კერიაზე ცეცხლი ენთო.

— საჭმელს ჭამთ? — იკითხა კანდელარიამ.

— ცოტა ხანს გვადროვე, — მიუგო საპატამ. — ცალკე რა უნდა გეთქვა, იერონიმო?

— პანჩო ვილას არმიამაც გამოიყენა საწერ სამუშაოებზე ტყვე მდივნები, მაგრამ ეს ამბავი ცუდად დამთავრდა. ზუსტად არ ვიცი, იქ რა მოხდა, ის კი ვიცი, რომ გაქცეული მწერლებიდან ორი შეიპყრეს და ორივე პანჩო ვილამ თავისი ხელით დახვრიტა.

— ეგ მწერლები რაღაში გჭირდებათ? — იკითხა ამბროსიამ.

— პოლკის სალარო ჩავიგდეთ ხელთ. ხომ არ შეიძლება, ყველა ხელს ყოფდეს შიგ? ასე არ ივარგებს.

— იერონიმო, იქიდან შენი ნებართვის გარეშე კაპიკსაც ვერავინ ამოიღებს, — თქვა საპატამ.

— მაგრამ საქმე ის არის, ემილიანო, რომ თუ ყველა-

ფერს ისე გააკეთებ, როგორც საჭიროა, მაშინ ყველაფერი უნდა აღრიცხო და დაწერო. მე ჯერ კარგად ვერ ვწერ, მაინც-დამაინც ანგარიშიც არ მეხერხება. ჩვენთვის ხომ არაფერი უსწავლებიათ.

— ეგ ყმაწვილები, — თქვა საპატამ, — არც მე მომსვლია თვალში. საიდან აცვიათ ეგეთი კარგი მუნდირები?.. მაგრამ შენ რომ მდივნები გჭირდება?! მოდი, აიყვანე, რაც იქნება-იქ-ნება.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, არაკუნეც შემოვიდა. საპატა წამოდგა და ორივე ხელი ჩასჭიდა.

— ძალიან ყოჩაღად კი მოიქეცი დღეს! ტყვე ოფიცრების გაცვლაზე რომ მიდგება საქმე, ზოგიერთ პირობას წავუყენებ მათ და საკმაოდ მკაცრ პირობებსაც.

მოღუშული არაკუნე მიწას დასცქეროდა:

— ემილიანო, მე, რასაკვირველია, მესმის, რასაც შენ ამ-ბობ, მაგრამ ყველას გაცვლა არ შეიძლება. წარმოიდგინე, რა მოხდა. გახსოვს, ერთხელ მე მოგიყევი, რომ ჩვენი ყოფილი მემამულის ვაჟმა ტორესმა სამი ჩვენიანი შეიპყრო და ისე აწა-მა, სამივე დაიხოცა. დღეს შემატყობინეს, მაგრამ საკმაოდ გვიან, რომ ეს სისხლის მსმელი ტყვედ ჩაუგდიათ. მაშინვე გა-ვეშურე მის სანახავად, მაგრამ კვალსაც ვერ მივაგენი. ახლა ვფიცავ, თუ მესამედ ჩამივარდა ხელში, ცოცხალი ვეღარ წამოვა.

— სწორი ხარ, — უთხრა საპატამ. — დაჯექი, რა ფეხზე დგახარ. ვახშამზე დაგვეწვიე.

წაიხემსეს და ყველა დასაძინებლად მიწვა ამბროსიას გარ-და. იგი ტრინის ელოდა. ცხოვრებამ მოთმინება ასწავლა და თუმცა დღეს განცდილი ამბები ძალიან აღელვებდა, ამბროსია ჩვეულებისამებრ წელგამართული იჯდა, მკაცრ სახეზე ერთი ძარღვიც კი არ უთრთოდა და არ ამჟღავნებდა მის მღელვარე-ბას. ვერავინ მიხვდებოდა, როგორ სწუხდა ტრინიზე, რამე ხი-ფათს ხომ არ გადაეყარაო. ერთი შეხედვით, თითქოს არც კი აგონდებოდა ტრინი, თითქოს ტრინი მინდვრის ბალახივით იზრდებოდა მის თვალსა და ყურს მოცილებული. მაგრამ დი-დედა სულ იმას ფიქრობდა, რა უნდა ეღონა, რომ ტრინი ისეთ ცნობილ კაცად გამოეყვანა, როგორიც მათ გვარს არ ჰყოლია.

ნეტავ თუ გახდება როდესმე ექიმი? ტრინის, რაღა თქმა უნდა, რაც დოქტორ პეპეს თანაშემწე გახდა, ძალიან უნდოდა ექიმი გამხდარიყო. ამბროსია კი ეჭვობდა, გაჰყვებოდა თუ არა იგი ამ გზას.

დრო გადიოდა. ამბროსიამ ცეცხლს ორჯერ შეუკეთა შეშა, რომ არ ჩამქრალიყო. ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, შეწუხე-

ბული ქალი გარეთ გამოვიდა. ვარსკვლავებით მოჭედილი ღამე იყო. ისე ციოდა, ამბროსიას შეაკანკალა. გზაზე და ტყეში ცეცხლის ენები ანათებდა. ცეცხლის პირას საბნებში გახვეული გლეხები იწვნენ. მარცხნივ, კლდის ძირას, ამბროსიამ თეთრი შუქი შეამჩნია და იქით გაემართა. გზის მოსახვევში კარბიდის ლამპის შუქმა მოსჭრა თვალი. ძლიერი შუქის ირგვლივ ჩრდილები დაბორიალობდნენ. დოქტორი პეპე დაჭრილებს ოპერა-

ციას უკეთებდა. როზა და ტრინი ეხმარებოდნენ. ტრინის სიცივისა თუ დაღლილობისაგან აცახცახებდა.

ამბროსიამ ერთ ხანს უყურა ამას. მერე მივიდა და იკითხა:

— საჭმელი ხომ არ მოგიტანოთ?

ექიმმა რაღაც ჩაილუღლუღა და თითქოს მისი შეკითხვა არც გაუგონიაო, მუშაობა განაგრძო, მაგრამ უცბად თვალი მოჰკრა თავშალმოხვეულ ამბროსიას.

— აი, ეგენი, ყველანი ჩვენ გველიან, — ექიმმა პინცეტიანი ხელი დაჭრილებისკენ გაიშვირა, — და ზოგი მათგანი... — ეტყობოდა, უნდოდა ეთქვა: ალბათ მზის ამოსვლამდე ვერც გააღწევს, თუ არ დავუჩქარეო. — ჰო, ტრინი წამოვიდეს, მერე კი დაბრუნდეს და როზა შესცვალოს.

— მე არ წავალ, — თქვა ტრინიმ. — ლუკმა არ გადამივა ყელში.

— არც მე, — დაუმატა როზამ.

ამბროსია ცოტა ხანს ჩუმად იყო, მერე კი ალერსიანად თქვა:

— საქმეს რომ მორჩებით, აუცილებლად გამაღვიძეთ.

უკანმიმავალი ამბროსია თავისთვის ფიქრობდა: „რამდენ უბედურებასა და სისხლს ხედავს ეს ათი წლის ბიჭი! მაგრამ რომ არც დოქტორი პეპე ზოგავს თავს?!“

## დოქტორ პეპეს ახალგაზრდობა

საპატას არმია ისევ უღელტეხილისკენ გაემართა. უღელტეხილის თავი შიშველი და მოტიტვლებული იყო, მის გადაღმა კი დიდი ტყე მოჩანდა, აქა-იქ, ხეებს შორის კლდის ბასრი ნაწიბურები ამოშვერილიყო. ამ მიდამოში ტრინი თავს მოჯადოებულად გრძნობდა. როგორც ყოველთვის ლაშქრობის დროს, ახლაც დოქტორ პეპეს გვერდით მიაბიჯებდა.

— მე ამ მხარეში დავიბადე, ბავშვობაც აქვე გავატარე, — ხმადაბლა თქვა ექიმმა.

— ძალიან ლამაზი მხარე ყოფილა, — მიუგო ტრინიმ.

— სანამ დედობილი მომიკვდებოდა, კარგად ვიყავი, —

დოქტორი ჩაფიქრებით გასცქეროდა მარცხნივ, ტყიდან ამოშვერილ რუხ კლდეს. — დედობილი-მეთქი რომ ვთქვი, მთლად სწორი არაა. მშობლები ჩემზე დიდად არც ზრუნავდნენ და ჩემი აღზრდა მარგარიტას მიანდვეს.

— რას ამბობთ, მშობლები ყურადღებას არ გაქცევდნენ? — გაიოცა ტრინიმ.

— ამას შენ ვერ წარმოიდგენ, ტრინი, თქვენს ხალხში ამგვარი რამ არ ხდება. ჩემი მშობლები მდიდრები იყვნენ და უმეტესად ქალაქ მეხიკოში ცხოვრობდნენ. დედაჩემს უნდოდა, ხალხს მუდამ ახალგაზრდა სჩვენებოდა. იქნებ მართლაც ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ თავსაც უვლიდა, ვირის რძეში ბანაობდა, მასაჟებს იკეთებდა, სახეზე ცხელ კომპრესებს იდებდა, რომ საღამოთი, გარეთ რომ გამოვიდოდა, სახის კანი ქორფა და ვარდისფერი ჰქონოდა. მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდა და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე დაემალა, შვილი რომ ჰყავდა. რაც უფრო ვიზრდებოდი, მით მეტად ვაგონებდი თავის წლოვანებას, ამიტომ სტუმრებთან გამოჩენა თანდათან სულ ამიკრძალეს. ამიყვანეს და მამისეულ მამულში გადამმალეს. სახლი საკმარისად დიდი იყო და ალბათ სულ მარტოდმარტო აღმოვჩნდებოდი, მარგარიტას რომ არ ეზრუნა ჩემზე. იგი ოტომების ტომიდან იყო და ესპანურად მოლაპარაკეთა შორის თავს უცხოდ გრძნობდა. მარგარიტა თავისი ხალხის ძველ სიმღერებს მიმღეროდა და ზღაპრებს მიყვებოდა. ეს ყველაფერი ცოტა მოსაწყენი იყო, მაგრამ მათში ძალიან დიდი სითბო და სიყვარულიც იგრძნობოდა. ცოტა რომ წამოვიზარდე, ათასი რამით დავინტერესდი. ჩემს დედობილს ადამიანებზე ცუდს ვერ ათქმევინებდი, მაგრამ მე ისედაც ვგრძნობდი, რა უსამართლობაც ხდებოდა ჩვენს გარშემო. იქნებ სწორად ვერა ვთქვი, რადგან თვითონ მე, როგორც ბატონის შვილს, ეს უსამართლობა უშუალოდ არ მეხებოდა, მაგრამ მე ხომ უკვე ინდიელის თვალით შევცქეროდი ყველაფერს?

მერე ერთი ამბავი მოხდა. ერთ დღეს ქალაქიდან ჩემი მშობლები გვესტუმრნენ და იმათ უნდა მივსალმებოდი. მაგრამ ისინი ჩემთვის უკვე უცხონი გამხდარიყვნენ, აღარც ესპანური ოჯახის ბავშვის ჩვევები გამაჩნდა, მთლად ინდიელივით

ვიქცეოდი. დედა ისეთი უკმაყოფილო თვალით შემომყურებდა, ვახშამზე სულ იმაზე ვფიქრობდი, აქედან როგორ გავიპარო-მეთქი. ამ დროს შემოვიდა მარგარიტა და, ჩვეულებისამებრ, რძე შემომიტანა. დედაჩემმა მარგარიტა უკან გააბრუნა, რადგან ფეხშიშველი იყო, და ქალაქიდან რომ მოჰყვა, იმ ლაქიას უბრძანა, ჩემთვის რძე მოერთმია. ლაქია მარგარიტას ზურგს უკან დაეღრიჯა. აღარ მახსოვს, ეს როგორ მოხდა, მაგრამ მაშინვე წამოვხტი და გარეთ გავვარდი. მაშინ კი ატყდა წყევლა-კრულვა: „ოჰ, შე უზრდელო, ხელიდან წასულო! ახლავე აქ დაჯექი!“

როცა, ბოლოს და ბოლოს, დედაჩემთან და გულგრილად მჯდარ მამასთან ერთად ამ აუტანელ ვახშამს მოვრჩი და წასვლის ნება მომცეს, მაშინვე მარგარიტასთან გავიქეცი, თავი კალთაში ჩავუდე და ავქვითინდი. ის თავზე ხელს მისვამდა, მაგრამ ხმას კი არ იღებდა. ან კი რა უნდა ეთქვა? ის ეთქვა, ეგ მემამულეები კარგა ხანია შენი მშობლები აღარ არიანო? ამ საღამოს მივხვდი, რომ მარგარიტას მეტი არავინ მიყვარდა...

დოქტორი სადღაც შორს იყურებოდა.

— შემდეგშიც არასოდეს არ დავახლოვებივარ მშობლებს. ისინი მალე მამულიდან გაემგზავრნენ კიდეც. შემდეგ მარგარიტაც მოკვდა. თუმცა ექიმი ვარ, მაგრამ ახლაც არ ვიცი, რა ავადმყოფობამ მოკლა. დამწუხრებულმა იქაურობა მივატოვეცოტა ფული მქონდა, მაგრამ მალე შემომეხარჯა. როცა მეკითხებოდნენ, ვისი შვილი ხარო, დედაჩემის ძმის გვარს ვასახელებდი, თუმცა იმასაც არ ვიცნობდი რიგიანად, მაგრამ ჩემი მშობლების გამოჩენა არ მინდოდა. ბიძაჩემი ვექილი იყო და მახლობელ ქალაქში ცხოვრობდა. ერთხელ მასთან მიმიყვანეს. ბიძია დიდხანს მელაპარაკა და მერე თავის ინდიელ მოახლეს უთხრა, — მოასვენეთო. კარგა ხნის შემდეგ გავიგე, რომ ბიძაჩემს იმავე საღამოს თავისი დისთვის, ე. ი. დედაჩემისთვის, მაგარი წერილი მიუწერია და განუცხადებია, ამიერიდან შენს შვილზე მშობლის უფლება დაკარგული გაქვსო. მერე ჩემი აღზრდისათვის მისგან ყოველთვიურად გარკვეული თანხა მოითხოვა. ამ თანხას შემდგომში ბიძაჩემს სისტემატურად უგზავნიდნენ.

— შემდეგ თუ შეხვდით დედას? — ჰკითხა ტრინიმ.

— როგორ არა, შევხვდი, მაგრამ უკვე რამდენიმე წლის მერე, — ბიძამ მაიძულა მენახა.

— რატომ?

— ბიძაჩემს თავისი სიძე, ე. ი. მამაჩემი, ძალიან სძულდა. საერთოდ, მემამულეებსა და სასულიერო ხალხს ძალიან აუგად იხსენიებდა. „უსიამოვნო მოგონებები უნდა დაივიწყო, შენს თავს აჯობო და დედაშენს პირდაპირ თვალებში უყურო". — მეუბნებოდა იგი. მეც დავემორჩილე. მაშინ უკვე საექიმოზე ვსწავლობდი და ბიძაჩემის მსგავსად, მეც ლიბერალების ჯგუფს ვეკუთვნოდი. დედაჩემი ძალიან შეცვლილიყო, თვალები ჩასცვენოდა და შიშით შემომცქეროდა. მე დავიხარე, ხელზე ვეამბორე და საერთოდ, თავაზიანად ვექცეოდი. ვერ მივმხვდარიყავ, სად გამქრალიყო ასე უკვალოდ მისი სილამაზე. იქნებ იმიტომ დამახინჯებულიყო, რომ სილამაზის შესანარჩუნებლად ძალიან ბევრ საშუალებებს ხმარობდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ ავდექი და წამოვედი. სალაპარაკო აღარაფერი გვქონდა.

— მამათქვენი? — იკითხა ტრინიმ, — მას ხომ დიდი მამული ჰქონდა?

დოქტორს გაეცინა და ტრინის წასჩურჩულა:

— ჰო, ჰქონდა, მაგრამ საპატამ გადაუწვა.

ტრინი დაბნეულად შეაჩერდა დოქტორს, ის კი მხიარულად იღიმებოდა.

— შენ ალბათ გგონია, ტრინი, რომ ამის გამო საპატაზე ნაწყენი ვარ, არა? ასე რომ იყოს, მაშინ აქაც არ ვიქნებოდი. მამულ-დედულის მემკვიდრე მე ვიყავი და ამის გამო ბევრი თავშისახლელი მქონდა. ეს რომ კარგად გაიგო, ჩემი ცოლის ამბავიც უნდა გიამბო, — თქვა პეპემ და ნაღვლიანად გააქნია თავი. — მაგრამ ამის თქმა შენთვის არ მინდა. იმას კი გეტყვი, ჩემი ცოლი ინდიელი იყო. ის რომ შევირთე, ნათესავებმა ერთი ამბავი ამიტეხეს. გაბოროტებულები მეუბნებოდნენ: როგორ შეიძლება ამ მამულის ქალბატონი ყავისფერკანიანი ინდიელი დედაკაცი იყოსო. ეს ჩემი ბიძაშვილების მოგონილი თავხედური მიზეზი იყო, რათა ჩემთვის მემკვიდრეობა წაერთმიათ. სამართალი ჩემს მხარეზე იყო, მაგრამ ერთი ჩემი ბიძაშვილი იმ მხარის ქალაქის თავი იყო და რასაც მოისურვებდა,

იმას აკეთებდა. შენ კარგად იცი, რაც დიქტატორ პორფირიო დიასის დროს ხდებოდა... ქალაქის თავს მისი ვექილი ძმაც ეხმარებოდა. დავამ მემკვიდრეობის გამო მრავალი ფული და უფრო მეტი მოთმინება შეიწირა. საპატამ კი ეს საქმე უცბად მოაწესრიგა.

— საპატამ თუ იცის ეს ამბავი?

— მგონი არ იცის და არც საჭიროა იცოდეს.

## უმამულოდ დარჩენილი მემამულენი

ტორესების ოჯახს ქალაქ მეხიკოში სახლი ჰქონდათ. თუმცა ოთახები საკმაოდ მაღალჭერიანი იყო, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში აშენებულს, იმჟამად, 1914 წელს, ძველებური იერი დასდებოდა და საკმაოდ უსიამო შესახედაობისა ჩანდა.

ქალბატონი ტორესი თავის ოთახში იჯდა და თეთრეულს აკერებდა. გვირისტი კარგად ვერ გამოუდიოდა, რადგან მისი წრის ქალიშვილებისათვის ეს შეუფერებელ საქმედ ითვლებოდა და არც არასოდეს ეკერებინა თეთრეული.

კარებზე დააკაკუნეს. ქალბატონმა ტორესმა თეთრეული კომოდის უჯრაში ჩატენა. კარებზე კვლავ გაისმა კაკუნი. ქალი ყოყმანობდა, კარი გავაღო თუ არაო. სტუმრის მოსვლისა ეშინოდა, ვაითუ ჩემი ქმარი შეეფეთოთო. საქმე ის იყო, რაც ბატონი ტორესი ლოთობის გამო სამსახურიდან გამოაბრძანეს, სულ მთვრალი იყო და შეიძლებოდა ძალიან უხეში და უადგილო რამ წამოეყრანტალებინა.

— ისევ გაისმა კაკუნი. ქალბატონი ტორესი კარებთან მივიდა და გაუწმენდავი შუშებიდან დაინახა, კარს ვილაც კაცი მოსდგომოდა, „ნუთუ ჩემი ვაჟია?“

კარები სწრაფად გააღო.

— ჩქარა შემოდი, — ჩურჩულით უთხრა დედამ, — მამაშენთან არ შეხვიდე. გესმის, როგორ ბორგავს და ღმუის? აბა, მომიყევი, როგორა ხარ, ეგრე რატომ გამხდარხარ? ამ ლაფში სადღა ამოევლე?

სანამ ახალგაზრდა ტორესი თავგადასავალს ყვებოდა, როგორ მოიმკვდარუნა თავი და როგორ გაუძვრა გლეხთა არმიას, დედამ ტანისამოსი გაუწმინდა და დახეული შარვლის დაკერებაც დააპირა, რომ კარი გაიღო და ოჯახის უფროსი შემოვიდა.

მამამ გაკვირვებით შეხედა ვაჟიშვილს.

— ბიჭოს, ლეიტენანტი ტორესი მოსულა? აი, შენს იდეალსაც მიაღწიე, გაქუცულ ოფიცრად იქეცი, სწორედ ისეთად, მე რომ გიწინასწარმეტყველებდი. — ოჯახის უფროსმა ჩახრინწული ხმით გაიცინა და სკამზე ჩამოჯდა. შემდეგ შეცვლილი კილოთი თქვა: — რისა გეშინია, კარლოტა, თითქმის არაფერი არ დამილევია.

— ღმერთო ძლიერო! — ამოიოხრა ქალმა და ქმარს დააშტერდა. — არაფერი არ დამილევიაო! მაშ რატომ ღმუოდი?

— მიზეზიც მქონდა, თუ ვღმუოდი! ჩვენი ძველი მეზობელი, გრაფი არიოლა უნდა მოვინახულო, იგი ისევ ძველებურად ფუფუნებით ცხოვრობს.

— რა, სამათხოვროდ მიდიხარ? — ზიზღით ჰკითხა ქალმა.

— ტორესი არ მათხოვრობს, — ისეთი სიამაყით თქვა უფროსმა ტორესმა, რომ მის გარეგნობას არ შეეფერებოდა. — პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო მინდა ვინახულო.

— ყოველ შემთხვევაში, რიგიანი კოსტუმი მაინც ჩაიცვი.

— რიგიანი კოსტუმი? დე, იმ ნეხვის ჭიამ ნახოს, ეკლესიის თაგვი როგორ ცხოვრობს.

ყოფილი მებატონე ამ სიტყვებით ოთახიდან გავიდა. ახლა მართლაც ჩვეულებრივზე მეტად ბორძიკობდა.

ქმარი რომ გავიდა, ცოლს მკლავები ძირს ჩამოუცვივდა და იატაკს ჩააჩერდა.

— დები სად არიან? — იკითხა ლეიტენანტმა.

— მუშაობენ, — ოდნავ გასაგონად წარმოთქვა დედამ.

სანამ ვაჟი იკითხავდა, რა სამუშაოზე მოეწყვნენო, დედამ განაგრძო:

— მამაშენი რამდენსამე ხანს აქ არ იქნება. მკითხავთან ვერ გამომყვები?

— შენ რა, უკვე მკითხავების ლათაიებს უგდებ ყურს?

— ოჰ, ჩემო ბიჭო! ადრე მათი არაფერი მწამდა და არც მჯეროდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მამაშენისაგან ამდენი უსია-

მოვნება მხედება... და შენი დებისაგანაც... მითხრეს, ისეთი მკითხავია, ყველაფერს იგებსო. შენა? შენ რას აპირებ?

— რას ვაპირებ? აქეთ რომ მოვდიოდი, გზაში ყური მოვკარი, პრეზიდენტი უერტა გლეხების შიშითა და კიდევ სხვა გარემოებათა გამო გადამდგარა. ახლა ვიღა მეთაურობს საელმწიფოს? გამოვძებნი რომელიმე სამხედრო ნაწილს და მივეკედლები, ჩემი პოლკი უკანასკნელ კაცამდე ტყვედ ჩაიგდეს.

— ოჰ, ნეტავ ეს საშინელი სამოქალაქო ომი დროზე დამთავრდებოდეს! — ამოიოხრა დედამ.

— რას ამბობ, დედა! — წამოიძახა ახალგაზრდა ტორესმა და ლამაზი სახე საშინლად დაემანჭა. — ომი დამთავრდესო? შენ გინდა ქალაქში კანცელარიის მოხელე გავხდე? გინდა, ამ საშინელ ყოფაში ამომხდეს სული? არა, გეთაყვა, თავისუფალ ცხოვრებას გემო უკვე გავუგე. ფიქრი და ყოყმანი აღარ მჭირდება!

— მაშ აღარ ყოყმანობ? — ჰკითხა დედამ.

— აღარ ვყოყმანობ, — დაუდასტურა თვალებგაბრწყინებულმა ლეიტენანტმა. — თუმცა ომი საშინელებაა, მაგრამ ომით ვირჩენთ თავს.

დედა ვაჟიშვილს შეშინებული და ნაღველჩამდგარი თვალებით შეჰყურებდა. ქმარი იყო და ისე ულმობლად ეპყროობდა მოჯამაგირეებს. ჰოდა, აი, სადამდე დაეცა! ნაღვლიანი თვალებით შეჰყურებდა ვაჟიშვილს და სხვა რომ ვეღარაფერი უთხრა, ესღა ჰკითხა: მკითხავთან ხომ წამომყვებიო.

●

გრაფის სადარბაზო კარებთან ბატონ ტორესს პისტოლეროსთან შეჯახება მოუხდა, რადგან ამ უკანასკნელს გრაფთან ჩამოძონძილი კაცის შეშვება არ სურდა. არიოლამ ხმაურს ყური მოჰკრა და ფერად შორენკეცმოგებულ ფართო წინკარში გამოვიდა.

— ბატონო გრაფო! — შეჰყვირა ტორესმა. — ნუთუ არ შემიძლია, როგორც მეზობელს გვსტუმროთ?

— მობრძანდით, — შეიპატიჟა არიოლამ. — ჩემი სახლის

კარი მუდამ ღიაა თქვენთვის, ისე მოისვენეთ, როგორც საკუთარ ოჯახში.

გრაფმა ძველი ესპანური ჩვეულებისამებრ დაუწყო პატიჟი, თუმცა მთელი საუკუნეა, ასე აღარავის ეპატიჟებოდნენ, თან გულში ფიქრობდა, როგორ მოეშორებინა თავიდან ეს უსიამოვნო სტუმარი. გრაფმა ტორესი სამუშაო კაბინეტში შეიყვანა და პისტოლეროს წასჩურჩულა:

— თხუთმეტ წუთში მომახსენებ, თქვენთან ინგლისის ელჩს სასწრაფო საუბარი სურს-თქო.

მერე არიოლაც კაბინეტში შევიდა და ტორესს სანაქებო სიგარა შესთავაზა.

სიგარას რომ მოუკიდა, ტორესმა დაიწყო:

— კარგად მოგეხსენებათ, როგორ დასრულდა პრეზიდენტ უერტას მოღვაწეობა. ეგ მხეცი არ მიყვარდა, მაგრამ ახლა როგორ იქნება საქმე?

— რომელიმე სხვა გენერალი გამოაცხადებს თავს პრეზიდენტად, — თითქოს სხვათა შორის თქვა არიოლამ.

— ჰო, რომელიღაც გენერალი მოემართება აქეთ... მგონი, ობრეგონია გვარად, მაგრამ საპატა და პანჩო ვილაც გვიახლოვდებიან. რამე უნდა ვიღონოთ, ისეთი გმირობა უნდა ჩავიდინოთ, რომ მთელი ქვეყანა აღაფრთოვანოს.

„რა საზიზღარ კომედიას მართავს ეს ლოთი! — იფიქრა გრაფმა. — მაგრამ ნეტავ რა სურს? მგონი სამათხოვროდ არ მოსულა“.

— გმირობა, გმირობა, რომ სამშობლო განსაცდელისაგან იხსნას! — თავისსავე სიტყვებმა ტორესს გული ისე აუჩუყა, თვალებზე ცრემლები მოადგა. — ახალი არმია უნდა შეიქმნას, რომელიც ბოლოს მოუღებს მაგ ავსულებს, გლეხთა ხელისუფლებას. გრაფო არიოლა, ჩვენს შორის, ვინც მამული დავკარგეთ, თქვენ ყველაზე მდიდარი ხართ. ჩაუდექით იმ ხალხს სათავეში, ვინც მზად არის ამ საშვილიშვილო საქმისათვის ფული გაიღოს; შეაიარაღეთ ახალგაზრდობა, იგი დღესაც მზად არის, სიცოცხლე შესწიროს ჩვენს ძველ იდეალებს!

გრაფს კარებისაკენ ჰქონდა ყური, პისტოლერო ხომ არ მოდისო.

— ომი სახელმწიფოს საქმეა, კერძო პირს ეგ არ შეუძლია, — ცივად თქვა მან.

— მაშასადამე, თქვენ სულ ცოტა რამეს გაკეთებაც არ გინდათ?! — შესძახა ტორესმა. ყოველდღე იმდენს ლაპარაკობდა გრაფზე, გულზე ბოღმა შემოსწოლოდა. — თქვენ, მილიონერი და მაღაროების მფლობელი, მაგაზე უარს აცხადებთ? — თქვა მუქარითა და ფეხზე წამოდგა.

ამ დროს კარიც გაიღო. პისტოლეროს გრაფის ნაბრძანების გამეორება სურდა, მაგრამ გრაფმა დაასწრო:

— ბატონო ტორეს, ჩემს საკუთარ სახლში იმყოფებით და მე მემუქრებით?

— მოღალატევ! — იყვირა ტორესმა. — კარს უკან კაცს მალავ?

არიოლამ პისტოლეროს ოდნავ შესამჩნევად ანიშნა.

ახალგაზრდა კაცი ტორესს ცხვირწინ აეტუზა, ორივე ხელი ჯიბეში ჩაიყო და უტიფრად განუცხადა:

— აბა, ახლა ჯობია ჩემს ჩაურევლად მოუსვათ აქედან!

თვალებდაჭყეტილმა ტორესმა ჯერ პისტოლეროს შეხედა, მერე გრაფს, შემდეგ თავი მკერდზე ჩამოუვარდა და ესღა ჩაილუღლუღა:

— ასე ეპყრობიან გაღარიბებულ, ჯანგატეხილ ადამიანს!

აღშფოთებისა და საკუთარი უსუსურობის შეგრძნებისაგან ატირებულმა ტორესმა იქაურობა მიატოვა.

არიოლამ მცველს მკაცრად უბრძანა:

— მაგის ფეხი აქ აღარ ვნახო!

## მეხიკოს ალება

საპატას გლეხები ისევ მთებს შეუდგნენ. ქალაქი მეხიკო დაბლობზე მდებარეობს და ოთხივ კუთხივ მაღალი მთები აკრავს. საპატას ეგონა, მემამულეთა არმია მას უღელტეხილს ჩაუკეტავდა. მაგრამ იმის გამო, რომ მეორე უღელტეხილს პანჩო ვილას არმია მიადგა, ხოლო მესამე მხრიდან ვენუსტიანო კარანსა მიიწევდა მეხიკოსაკენ, მძარცველთა არმიის ნაწი-

ლებს ქალაქის მისადგომებთან მოუყარეს თავი. როგორც გამოცდილებით დამტკიცდა, მთებში ბრძოლა მათ არ გამოუდიოდათ, ხოლო დაბლობ ადგილებში ქვემეხებსაც უკეთესად გამოიყენებდნენ.

ლაშქრობის დროს საპატამ დაადგინა მტრის არმიის ადგილსამყოფელი და გადაწყვიტა, ღამე მთებში, უღელტეხილზე გაეთია, დღისით კი ქალაქისკენ დაშვებულიყო.

კლდეებსა და ტყის შუა მოქცეული დაკეცილი გზა დაბლა ნელ-ნელა ეშვებოდა. მერე უცბად გაივაკა. ტრინი უცნობ გარემოში მოხვდა. ორივე მხარეს ტყემ უკან დაიხია. მსხვილი ფიჭვის ხეები ცისკენ ისარივით აღმართულიყვნენ. ტყისპირებში, ჩამავალი მზის სხივებზე, მოლი ბიბინებდა. მისგან ცოტა მოშორებით გზაზე რამდენიმე ხის სახლი იდგა. ყინვიან ღამეებში ამ სახლებს მგზავრები თავს აფარებდნენ, რძიან ყავას სვამდნენ და თბებოდნენ.

ამ სახლებში გლეხთა არმიის მხოლოდ ძალიან უმნიშვნელო ნაწილი თუ მოთავსდებოდა. დანარჩენები მთელი ღამე გარეთ იყინებოდნენ, თუმცა ცეცხლი ენთოთ.

მეორე დღეს გზას ადრე გაუდგნენ. გზა ისევ დაიკლაკნა და ქვემოთ დაეშვა. ტრინი ცდილობდა ქალაქი დაენახა, მაგრამ ვაკეს მტვერი და ბურუსი მოსდებოდა. ბოლოს, როცა ქვაღორღიანი დაღმართები ჩამოათავეს და სიმინდის ყანებს გაუსწორდნენ, ტრინიმ შესანიშნავი ეკლესიის გუმბათების კონტურები გაარჩია. ო, რა ბევრი იყო!

შორიდან ქვემეხების გუგუნი მოისმა. პანჩო ვილას არმიის ავანგარდი უკვე მტრის არმიას ეომებოდა.

●

ქალაქ მეხიკოს მოსახლეობა ღელავდა.

წინათ მოქალაქეები სისხლიან ქოფაკ უერტას წყევლა-კრულვით ვერ გამძღარიყვნენ, ახლა კი ნატრობდნენ კიდეც მას, რადგან გლეხებისა ეშინოდათ, — გაგვძარცვავენ და ყველაფერს აიკლებენო.

გრაფინია არიოლა თავის ოთახში ჭრელი ბალიშებით მოფენილ სავარძელში იჯდა. ისე შეშინებული იყო, მოახლე გაგზავნა ფრანგი ქალის, თავისი შვილების გუვერნანტის დასაძახებლად.

— ჯერჯერობით ქვემეხების გუგუნი მიწყდა., ერთი მითხარით, მადმუაზელ, საფრანგეთშიც შეიძლება კაცი ასეთ საშინელებას გადაეყაროს, მეხიკოში რომ ხდება?

— ო, ქალბატონო გრაფინია, ჩვენთანაც დიდი უბედურებანი მოხდა. კარგა ხანია საფრანგეთის ნაწილი გერმანელებმა დაიპყრეს და არავინ იცის, ამ საშინელ მსოფლიო ომს ბოლო როდის მოეღება!

გრაფინია უცბად ფეხზე წამოიჭრა და წამოიძახა:

— აი, ჩემი ქმარიც მოდის! — მერე კარისაკენ გაიქცა და ფრანგულად გასძახა: — სიგი, ახალი რა არის?

არიოლა ოთახში შემოიჭრა.

— ყველა ფანჯრის დარაბები დახურეთ. ჩვენი ჯარი დამარცხდა. ასეთი ნაყარნუყარა ხალხისაგან სხვას რას უნდა მოელოდე კაცი. ყველაფერი მიატოვეს და კუდამოძუებულები გარბიან გლეხების შიშით. სახლში ძვირფასეულობა თუ დარჩა კიდევ?

— ჩემი დიდი ბრილიანტის გულქანდი, დიადემა და სხვა მისთანები ბანკის სეიფებშია ჩაკეტილი.

— ოჰ, ეგ სეიფები! — ამოიძახა გაჯავრებულმა გრაფმა.— მე რომ საპატა ვიყო, პირველ რიგში მეხიკოს ბანკს ავიღებდი და იქიდან ყველაფერს წამოვიღებდი. თუ იქ შენახულ თანხას ჩამომართმევენ, მაშინ საზღვარგარეთ შენახული კაპიტალიღა შემრჩება. მართლა, ახლა გამახსენდა, მაგ არმიაზე ზოგი რამ შევიტყვე. გახსოვს ჩვენი მებაღე იერონიმო, ერთხელ სან ბარტოლდოში მთელი ღამით კედელზე რომ დავაკიდინე? იცი, ახლა სად არის? საპატას მარჯვენა ხელია. ხოლო ჩვენთვის შესაძლოა უფრო საშიში ვენუსტიანო კარანსას მახლობლები და მეგობრები იყვნენ, მაგალითად, მარიო პუენტე. შენ იმასაც იცნობ. ის ჩემი ინგლისელი მდივანი იყო და ჩემს მიერ უერტასათვის ინგლისელებისაგან შესყიდული იარაღის ამბები დაწვრილებით იცის. ის ლიბერალური პარტიის ერთ-ერთი რადიკალური წევრია, მექრთამეობა ფანატიკურად სძულს და, ამასთანავე, ჩვენი სახლის ყოველი კუნჭული კარგად იცის.

გრაფინიამ ცხვირსახოცი შეშფოთებით მიიდო პირზე, მაგრამ მაინც იფრთხილა, — პუდრი არ გადამეცალოსო.

შემოვიდა მათი ქალიშვილი. წარბები მოეპარსა და მათ ად-

გილას წვრილი ხაზი გაევლო. ეტყობოდა, ამისთანებში კარგად გაწაფული პირისფარეში ჰყავდა.

— ღმერთო ჩემო, ელენა! — წამოიძახა გრაფინიამ. — ეს რა კაბა ჩაგიცვამს? ყოველ წუთს მოსალოდნელია მეამბოხე გლეხები შემოგვიცვივდნენ.

— მათთან შეხვედრას როგორმე შევძლებ, დედა, — უდარდელად უთხრა ქალიშვილმა.

— არა, ვერ შეძლებ! — დაიყვირა დედამ.—უბრალო კაბა ჩაიცვი და გლეხის ქალების თავსაფარი მოიხვიე.

ამ დროს ვაჟიშვილი შემოვარდა.

— მთავრობა გარბის! გლეხები გარეუბნებში შემოიჭრნენ!

●

საუკუნის წინ გარდაცვლილ იმპერატორ იტურბიდეს სასახლის ახლომდებარე დიდი მაღაზიების ფანჯრებზე ხმაურით დაეშვა რკინის ჟალუზები. ქალები ფქვილის ფარდულებსა და საცხობებში შეცვივდნენ, რომ რამდენიმე დღის მარაგი ეშოვათ. ყველაფერი უცბად გაიყიდა, მერე ფარდულები დაკეტეს და შიგნიდან ურდულები გაუყარეს. ჯერ დაბინდებულიც არ იყო, რომ ქუჩები დაცარიელდა. ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. ბოლო ხანებში ყველა მიეჩვია იმ ამბავს, რომ ქალაქში სროლა ხან აქ ატყდებოდა, ხან იქ. იმ ღამეს კი ისეთი სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა, გეგონებოდათ, ქალაქში ძეხორციელი აღარ არისო. მძარცველთა ჯარის ნაწილებმა მოქუსლეს. დიდი ბატონები, მათი მცველი პისტოლეროები და სხვა მსახურები მიიმალ-მოიმალნენ.

მოსახლეობას ეჩოთირებოდა ეს სიმშვიდე, მაგრამ დილით უფრო მეტი მოულოდნელი ამბები ელოდათ. გეგონებოდათ, ქალაქში სიცოცხლე ჩაკვდაო. დარაბების ჭუჭრუტანებიდან მომზირალი მამაკაცები უცქეროდნენ ქუჩებში მოსიარულე, თეთრ სამოსში გამოწყობილ, ჩალისქუდიან გლეხებს, რომლებსაც მცირე რამ, უმნიშვნელო იარაღიც კი არ ჰქონდათ თან.

გლეხებსაც აოცებდათ ეს სიწყნარე და სიცარიელე. მათ გაგონილი ჰქონდათ, ქალაქში ქუჩების ორივე მხარეს განუწყვეტელ ნაკადად მიედინება ხალხი, შუაში კი ეტლები და კარეტები დაჰქრიანო. დღეს კი არც ერთი ჩანდა და არც მეორე.

მიწისპირა სახლში, ერთადერთ ოთახში, სახელოსნოც რომ იყო, სამზარეულოცა და საძინებელიც, ერთი ხარაზის ოჯახი ცხოვრობდა. კარებისა და დარაბების ჭუჭრუტანებში მცირე შუქი აღწევდა. ხარაზის ცოლი მიწაზე დახორავებულ დახეული ფეხსაცმელების გვერდით ჩაცუცქულიყო და მაყალს უბერავდა, რომ საჭმელი მოემზადებინა.

უცბად კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

— არ გააღო! — წასჩურჩულა ქალმა ქმარს.

— იქიდან რომ გვესროლონ, ან კარი შემოამტვრიონ? — უპასუხა კაცმა და კარი ოდნავ გამოაღო.

ზღურბლზე ორი გლეხი იდგა. ხარაზის დანახვაზე ქუდები მოიხადეს და ჰკითხეს: საჭმელი ხომ არაფერი გაქვთო.

ქალმა აჩქარებით ხელში მიაჩეჩა რამდენიმე მწადი.

გლეხებმა მადლობა გადაუხადეს და იქაურობას ვაეცალნენ.

ხარაზმა კარი ისევ ჩარაზა და ბინდბუნდში ცოლს დააცქერდა. გაოცებული ქალიც ქმარს შესცქეროდა და უცბად ორივემ გულიანი ხარხარი მორთო.

ეს ამბავი მარტო აქ როდი მომხდარა. საპატამ და პანჩო ვილამ გლეხები საჭმლის სათხოვნელად ქალაქში დაატარეს. ყოველ შემთხვევაში, ქალაქის მოსახლეობა ამას მათხოვრობას ეძახდა. მათ ვერ გაეგოთ, რატომ მათხოვრობდა გამარჯვებული არმია, ძარცვით არავის სძარცვავდა და კუჭის დაკმაყოფილების სხვა საშუალებას არ იყენებდა.

●

რამდენიმე ხნის შემდეგ გლეხთა ორივე გენერალი ერთმანეთს შეხვდა და გამცილებელთა თანხლებით ქალაქის შუაგულისაკენ გაემართა. მოსახლეობა უკვე დარწმუნდა, რომ გამარჯვებულები მათ არას ერჩოდნენ. უღებდნენ და უღებდნენ სახლის კარებს. მალე კაფეებიცა და პატარ-პატარა დუქნებიც გახსნეს.

საღამო ხანს ქალაქის ქუჩები, ჩვეულებისამებრ, ხალხის ნაკადმა აავსო. გლეხი ჯარისკაცები მაღაზიების წინ ჩერდებოდნენ და ვიტრინებში გამოფენილ მშვენიერ ქსოვილებსა და

ნაირნაირ ნივთებს გაოცებულები შეჰყურებდნენ. ყიდვით კი, აბა, რას იყიდდნენ, კაპიკი ფული ჯიბეში არ ედოთ.

ბრაულიოსა და ტრინის თანხლებით, ბალთასარიც ქალაქში დაეხეტებოდა. ამდენი რამის ნახვამ ისინი დაქანცა. ერთბაშად ვეღარ გაარკვიეს, სად იყვნენ. ქალაქის იმ უბანში, სადაც ისინი იმყოფებოდნენ, საშინელი მყრალი სუნი იდგა. აქ თუნუქის, ფიცრებისა და ტომრების ნაჭრებისაგან ქოხმახები აეხუხულავებინათ. ბავშვები, ღორები და ქათმები ლაფში ამოსვრილიყვნენ, ქალებს თმები გასჩეჩოდა, ხოლო ტანს დაფლეთილ-დაკონკილი კაბები ძლივს უფარავდათ.

ბრაულიო და ტრინი თვალებდაჭყეტილები შესცქეროდნენ ამ სიღატაკეს და თანდათან რაღაც შიშის გრძნობა ეუფლებოდათ. მათ კი ეგონათ, ქალაქში მდიდრულად და ფუფუნებით ცხოვრობდნენ.

გულკეთილი ბალთასარიც გვარიანად შეკრთა. მის მოვალეობას ის შეადგენდა, რომ ყველგან, სადაც კი საპატას არმია გაიელიდა, მოსახლეობისაგან ბატონების წინააღმდეგ საბრძოლველად სახალხო რაზმები შეედგინა. აბა, აქ თავისი საქმე როგორ გაეკეთებინა? მან აბა რა იცოდა, რომ თავის დროზე ეს უსახლკარო ღატაკებიც გლეხები იყვნენ. ახლა ისინი შემთხვევით ნაშოვნი სამუშაოთი ძლივს გადიოდნენ. ბალთასარი ალღოთი მიხვდა, რომ ამ გაუბედურებული ხალხისაგან სახალხო რაზმების შექმნა არ შეიძლებოდა.

წვირიანი კვარტალი თანდათან გარეუბნის უბადრუკ ქუჩაში გადაიზარდა. ხელოსნების ნაწილი პირდაპირ ქუჩაში იჯდა, ნაწილი კი სახლებში მუშაობდა.

ბალთასარი მეტისმეტად პატიოსანი კაცი იყო, დაკისრებულ მოვალეობასაც მთელი გულისყურით ასრულებდა, მაგრამ ამ მდგომარეობის შემხედვარე მაშინვე მიხვდა, რომ აქ ვერაფერს გააწყობდა. ამის გამო იგი ძალიან შეწუხებულიყო და მოსვენებას ვერ პოულობდა.

ამ დროს საპატა და პანჩო ვილა ერთ უბრალო კაფეში ისხდნენ. ახლა ორივე გენერალს გლეხის ქურთუკები გადაეყარა და შავი პიჯაკები და ძალიან ვიწრო შარვლები ეცვათ. პანჩო ვილამ ხელი მაგიდას დაჰკრა:

— ამ დაწყეველილ ქალაქს ახლა რა ვუყოთ? კარგი იყო, გადაგვეწვა.

რაც მეტს აკვირდებოდა საპატა პანჩო ვილას, მით მეტად აღშფოთებდა მისი მოუფიქრებელი სიტყვა და საქმე.

— გადავწვათო? — იკითხა მან. — ჩვენ ისედაც ბევრი რამ დავანგრიეთ. უკვე ოთხი წელია ბატონებს ვებრძვით. მამულების უმეტესობა ნანგრევებად იქცა. მაგრამ მიწა კანონის ძალით ისევ მებატონეებისაა. როგორც კი იქაურობას გავშორდებით, ისინი ისევ მამულის დაბრუნებას ცდილობენ. ჩემი არმიის ლოზუნგია: „მიწა და თავისუფლება". სინამდვილეში კი როგორაა საქმე, ან მიწა გვაქვს ან თავისუფლება?

— შენ სწორს ამბობ, ემილიანო, — რიხით დაეთანხმა პანჩო, — სოფლებში ჯერაც ბევრი ნაყარ-ნუყარი ხალხი დაძრწის. ერთი გვარიანად უნდა გავწმინდოთ.

— პანჩო, — დაიწყო ისევ საპატამ, — გადავწყვიტე, ქალაქს გავეცალო. რაში გეჭირდება? სოფლებში კი წესრიგს დავამყარებ. გლეხებს მიწა სამართლიანად უნდა გავუნაწილოთ. შენ რას აპირებ?

— მეც მაგას ვიზამ. ეშმაკსაც წაუღია ეგ ბატონებიცა და მათი დამქაშებიც.

## რაღაც მზადდება

პანჩო ვილას არმია ჩრდილოეთისაკენ გაემართა და თვალუწვდენელ დაბლობებზე გაიშალა. მიწა აქ ალაგ-ალაგ ნაყოფიერი, უმეტესად კი გადახრიოკებული იყო და გვალვების გამო ზედ ყოვლად გამოუსადეგარი ბუჩქნარი თუ იზრდებოდა. საპატა სამხრეთისკენ წავიდა, თავის პროვინცია მორელოსისაკენ, საიდანაც სამი წლის წინათ დაიძრა, რომ ცნობილი აიალის გეგმა განეხორციელებინა. ამ გეგმამ მისი მომხრეები საერთო ლოზუნგით: „მიწა და თავისუფლება" გააერთიანა. რახან მოწინააღმდეგე აღარა ჰყავდა, საპატა არმიას თავში ჩასდგომოდა და მშვიდობიანად წინ მიუძღოდა. სოფლებში გლეხკაცობა მოკრძალებითა და დუმილით ესალმებოდა, გლეხი ქალები კი ხელზე კოცნიდნენ.

როცა რამდენიმე კვირის წინ გლეხთა არმია ქალაქ მეხიკო-

ში შევიდა, ლეიტენანტმა ტორესმა სამხედრო ფორმა გაიხადა და სამოქალაქოდ გადაცმულმაც ვერ გაბედა ქუჩაში გამოსულიყო, რომ ტეპოტლელ არაკუნეს კიდევ არსად გადაჰყროდა.

გლეხთა არმიის წასვლის შემდეგ ქალაქს ვენუსტიანო კარანსას არმია უახლოვდებოდა. მასთან ტორესის მეორე მტერი იმყოფებოდა, კარანსას მრჩეველი მარიო პუენტე. ვაჟს მოერიდა მამისათვის მოეგონებინა, რომ ეს ის მარიო იყო, ტეპოტლის მამულზე უარის თქმის ხელწერილი რომ დაადებინა. მამამისი ისედაც მოურიდებლად აგინებდა ლიბერალებს. ვაჟიშვილი კი მზად იყო თავი ლიბერალად გამოეცხადებინა, თუ ისინი არმიაში ოფიცრად ჩარიცხავდნენ. იგი ასე ფიქრობდა: „ომის წარმოებისა მაგ ინტელიგენტუშკებმა რა იციან. ადვილად შემიძლია დავუმტკიცო, რომ მათთვის აუცილებლად საჭირო ვარ".

●

დოქტორი პეპე, როზა და ტრინი ზეთის ჭრაქის სუსტი შუქით განათებულ სამზარეულო ფარდულში ისხდნენ, ყავისფერი ქილებით სოფლურ ჩაის მიირთმევდნენ და ზედ მჭადს აყოლებდნენ. მალე იერონიმოც მოვიდა და ქვაზე ჩამოჯდა. ვახშმის დამთავრებამდე ასე იჯდა, მერე ტრინის ანიშნა, წამომყევიო.

ქუჩას გაუყვნენ და ერთ ქოხს მიადგნენ. აქ მათ ამბროსია ელოდათ.

„ნეტა რა უნდათ?" — ჰკითხა თავის თავს ტრინიმ.

ამბროსიამ ხმადაბლა თქვა:

— საპატას უნდა, ვინმემ გაზეთები უკითხოს. ამ დავალების შესრულება შენ მოგიწევს, ტრინი.

— დოქტორი პეპე ამას ჩემზე უკეთ შეძლებდა. იმას ხანდახან გაზეთებიც მოსდის.

— ჩვენ კი არ გვინდა, ეს საქმე დოქტორს მივანდოთ, — თქვა ამბროსიამ. — აი, ხომ ნახე, შენი მასწავლებელი მარიო როგორ მოიქცა, ერთგულებას ჩვენ გვეფიცებოდა, ვენუსტიანო კარანსასთან კი დარჩა.

საუბარში იერონიმო ჩაერია:

— გუშინ გავიგეთ, რომ კარანსა ქალაქ მეხიკოში შესულა და თურმე პრეზიდენტივით იქცევა. ჩვენთან დადებული კავშირი უცბად დაივიწყა, რადგან გლეხები აღარ სჭირდებოდა. საპატა ძალზე შეშფოთებულია, რომ მნიშვნელოვან ამბებს ჩვენ შემთხვევით ვიგებთ, თუმცა გაზეთებში კი ბეჭდავენ. ახლა ხომ გესმის, ტრინი, რატომ უნდა გვიკითხო გაზეთები?

— მესმის, ბიძაჩემო, — ხმადაბლა თქვა ტრინიმ, რადგან ამ დავალების შესრულება მას ძალიან საძნელოდ მიაჩნდა. — ისმაინც არ შემიძლია, თუ რამეს ვერ გავიგებ დოქტორ პეპეს ვკითხო ხოლმე?

— ეგ შეიძლება. გაზეთებს მე ვიშოვნი და შეგატყობინებ.

●

ახალგაზრდა ტორესი ამ არეული დროისათვის, ცოტა არ იყოს, მეტისმეტად კოპწიად გამოეწყო და მთელი დღეები ქალაქში დაეხეტებოდა.

რამდენჯერმე მოინდომა კარანსას არმიის ოფიცრებთან გამოლაპარაკება, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ გაბედა. ერთხელ კაფეში შეამჩნია ერთი ოფიცერი. იგი მაგიდას გოროზი და უკარებელი კაცის იერით მისჯდომოდა. „ეს ინტელიგენტუშკა არ იქნება", — გაიფიქრა ტორესმა, უცნობთან მივიდა, თავი ოდნავ დაუკრა და ჰკითხა:

— შეიძლება თქვენს მაგიდასთან დავჯდე?

ოფიცერმა მის ტანისამოსს თვალი შეავლო და გაიფიქრა, ალბათ ფული ექნებაო, ამიტომ თავაზიანად უთხრა:

— გთხოვთ დაბრძანდეთ! რით შემიძლია გემსახუროთ?

— მინდა მოგახსენოთ, — ფრთხილად დაიწყო ტორესმა, — რომ თქვენი არმიისადმი უდიდესი სიმპათიით გახლავართ გამსჭვალული.

— ოჰ, რას ბრძანებთ? — წარბები აჯგიმა ოფიცერმა. — ნეტავ ვიცოდე, რითი იმსახურებს თქვენს ესოდენ სიმპათიას?

ტორესი შეაცქერდა ოფიცერს, ბოროტად რომ იღიმებოდა. „იღიმები, მაშ მე სხვა მხრიდან მოგივლი", — გაიფიქრა მან და თქვა:

— თქვენ რას ფიქრობთ, ვითომ კარანსა, როგორც კი პრე-

ზიდენტის სავარძელს დაიკავებს, გლეხების წინააღმდეგ არ გაილაშქრებს? ჩემი მხრივ, მე ამაში დარწმუნებული ვარ და თუ ასე მოხდა, უთუოდ მის არმიაში შესვლას მოვინდომებდი.

— მაშ ამისათვის თანაუგრძნობთ ლიბერალებს? — ჩაიცინა ოფიცერმა. — ჰო, მართლა, მე ალონსო მქვია. თუ თქვენი გარეგნობის მიხედვით ვიმსჯელებთ, თქვენც ჩემსავით მემამულის ვაჟი უნდა ბრძანდებოდეთ, არა?

ტორესმა თავი დაიქნია.

— ისეთი სახე გაქვთ, კაცს ეგონება, ფრონტზე ნამყოფიაო.

ტორესმა ახლა კი გულახდილად გადმოალაგა ყველაფერი. ალონსოს თანაგრძნობამ მიახვედრა, რომ მასთან მოსარიდებელი არაფერი ჰქონდა. წათამამებული იმასაც დაწვრილებით მოჰყვა, როგორ აწამა ერთხელ სამი გლეხი.

ალონსომ ტორესს მხარზე ხელი დაჰკრა მეგობრულად:

— ბოლოს არ ვნახე ერთი კაცი, ლიბერალური იდეებით რომ არ კოკობზიკობდეს! ხომ გესმით, რასაც ვამბობ? ჩვენი პოლკოვნიკი სწორედ ასეთებს ეძებს. — ალონსო ტორესისაკენ გადაიხარა და უჩურჩულა: — ამბობენ, ის კარანსასთან საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებსო. გლეხებმა დიდი შეცდომა ჩაიდინეს, დედაქალაქი რომ დატოვეს. ახლა შეგვიძლია, რომელიმე არმიით, — იქნებ ეს გენერალ ობრეგონის არმიაც იყოს, — აქედან ე. ი. ცენტრიდან, ჩრდილოეთით პანჩო ვილას შევუტიოთ, სამხრეთით კი საპატას. მე იმედი მაქვს, სამხრეთით გამგზავნიან, რადგან, როგორც ამბობენ, სამხრეთის არმიას პაბლო გონსალესი გაუძღვება. გონსალესი გაგიგონიათ?

— როგორ არა, მას ბევრი ლაილაი არ უყვარს. მეც სიამოვნებით წავიდოდი მასთან.

— წავიდეთ, მეგობარო! გადაიცვით ისევ თქვენი მუნდირი და პოლკოვნიკთან წავიდეთ. ის ბიძაჩემია და თავისუფლად შეგიძლია ყველაფერი უთხრა.

❦

დოქტორი პეპე მიეჩვია, ტრინი ყოველთვის გვერდით ჰყოლოდა. ამიტომ როცა ერთხელ, დილით, საქმეში მხოლოდ როზა მოესმარა, ტრინი კი არსად ჩანდა, ძალიან გაუკვირდა. რამ-

დენიმე ავადმყოფს მიხედა და შეშფოთებული პეპე ტრინის მოსაკითხავად გაემართა. ბიჭი ქალაქისთავის ერთ-ერთ ოთახში დაუხვედა. თავზე დიდი ჩალის ქუდი დაედო, ხელში გაზეთი ეჭირა.

— გაზეთი სად იშოვნე? — ჰკითხა პეპემ ტრინის.

ტრინიმ არ იცოდა, შეიძლებოდა თუ არა დოქტორისთვის სიმართლე ეთქვა, მაგრამ ტყუილის თქმაც არ შეეძლო, ამიტომ ენის ბორძიკით თქვა:

— ბიძაჩემმა იერონიმომ მომცა.

— უნდა წაუკითხო? მაშ განცხადებებს რას ჩასცქერი. რა უნდა წაუკითხო?

ტრინი უფრო დაიბნა. ბოლოს, როგორც იყო, თქვა:

— ყველაფერი, რაც ჩვენი არმიისთვის საყურადღებო იქნება.

„უცნაური დავალებაა ასეთი პატარა ბავშვისათვის", — გაიფიქრა ექიმმა, მაგრამ რაკიღა შეატყო, ტრინი დაბნეულიაო, გვერდით მიუჯდა. საუბარში გაირკვა, რა დავალება მიეცათ ტრინისთვის, უფროსებს კი წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ რა ძნელი იყო ათი წლის ბავშვისათვის მისი შესრულება. შეიძლება ასე პატარა ბავშვმა ეს დავალება შეასრულოს? უნდა გამოვცადოთ!

დოქტორმა პეპემ არ იცოდა, რომ საპატა, ამბროსია და იერონიმო მას მაინცდამაინც არ ენდობოდნენ. კარგიც იყო, რომ არ იცოდა, რადგან ახლა შეეძლო ტრინის ხალისით დახმარებოდა და გულში ტკივილი არ ეგრძნო. დოქტორი დარწმუნდა, რომ ტრინი ჯერ გამართულად ვერ კითხულობდა და სოფლის ამბების მეტი არაფერი იცოდა. სამაგიეროდ ყველაფერს, რასაც ეუბნებოდნენ და ასწავლიდნენ, კარგად ითვისებდა.

## მარიო კვლავ ელჩია

მარიომ პრეზიდენტის სასახლის გრძელი კიბე რომ აიარა, მაღალთაღებიან ვესტიბიულში მთხოვნელთა დარბაზში თავმოყრილი ხალხის ხმაური შემოესმა. აქ ყოველდღიურად უამ-

რავი ხალხი მოდიოდა. ვის არ ნახავდით: შავ კოსტუმებში გამოწყობილ გახამებულ საყელოიან და ჰალსტუხიან ბატონებს და უმწეო, ჩამოფლეთილ ადამიანებსაც, ხშირად ფეხშიშველები რომ მოდიოდნენ.

ერთი ულვაშიანი მოხუცი მარიოს მიადგა და ჰკითხა:

— იქნებ მიშველოთ რამე. მთელი თვეა აქ ვიცდი. მეტი ლოდინი აღარ შემიძლია, უკან უნდა გავბრუნდე.

— მე პრეზიდენტის მდივანი არ გახლავართ, — მიუგო შეშფოთებულმა მარიომ.

მან კარგად იცოდა, რა იყო საჭირო აუდიენციისათვის. ერთ მდივანს განსაზღვრულ თანხას ჩაუჯიბავდნენ, ის მთხოვნელს უფროს მდივანთან მიიყვანდა. ეს უფროსი საწერ მაგიდას უჯდა და ისეთი საქმიანი ჩანდა, გეგონებოდათ, ვერაფერს ხედავს და არც არაფერი ესმისო. მაგრამ საკმარისი იყო მაგიდაზე მომუჭული ხელი დაგედოთ ანდა ქაღალდქვეშ საბანკო ბილეთი შეგეცურებინათ, მდივანი მაშინვე გამოცოცხლდებოდა, მშვენიერი სმენა და მხედველობა უბრუნდებოდა.

მარიომ იცოდა, რომ მდივნებს იგი ძალიან სძულდათ, რადგან მან პრეზიდენტ კარანსას ყურადღება რამდენჯერმე მიექცევინა მისაღებ ოთახსა და მთელ სახელმწიფოში გამეფებულ მექრთამეობაზე. მაგრამ მდივნებს ჯავრის ამოყრის საშუალება ჯერ არ მიეცათ, რადგან იგი პრეზიდენტის უახლოეს ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა.

შემდეგი ოთახი თითქმის ცარიელი იყო. მდივნები საეარძლებში გადაწოლილიყვნენ და მხიარულად ლაქლაქებდნენ. ფართო საეარძელში მოწყენილი სახით გრაფი არიოლა იჯდა. ბოლო ხანებში მარიო ხშირად ხედებოდა ყოფილ უფროსს, მაგრამ თავს არიდებდა.

ამჟამად გრაფი ფეხზე წამოიჭრა და მარიოს ინგლისურად მიმართა, ცოტა ხნით ჩემს გვერდით დაბრძანდითო. მარიომ უხალისოდ შეასრულა გრაფის თხოვნა.

— ამ საომარ ისტერიაზე ბევრი ვიფიქრე, — დაიწყო გრაფმა. — ევროპის სახელმწიფოები ამ ეგრეთ წოდებულ მსოფლიო ომში ერთმანეთს ანადგურებენ და საშინელ უბედურებას განიცდიან. ჩვენს ქვეყანაშიც რომ ყველაფერი თავდაყირა არ დამდგარიყო, შეგვეძლო ევროპაში საქონელი შე-

გვეზიდა, დიდი საქმეები გვეწარმოებინა. თქვენ, ბატონო პუენტე, პრეზიდენტის დაახლოებული პირი ხართ. ხომ არ ისურვებდით ახლაც ჩემთან გეთანამშრომლათ, რასაკვირველია, ამჟამად სხვა პირობებში, ვიდრე წინათ.

მარიო სიამოვნებით მიახლიდა უარს, მაგრამ თავი შეიკავა და ესლა იკითხა:

— მერე და ასეთი თანამშრომლობისაგან თქვენ რას გამოელით?

— დიდი გარიგებანი მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა სახელმწიფოში მშვიდობა დამყარდება. წარმოიდგინეთ, მაგალითად, ინგლისს საჭირო ხორბლის უმეტესი ნაწილი რუსეთიდან შეჰქონდა, ახლა კი ერთ გირვანქასაც აღარ ყიდულობს. საპატასა და პანჩო ვილას რომ გაანადგურებენ, ხორბალი ჩვენც გვექნება. — გრაფი მარიოს შეჰყურებდა და უსიტყვოდ ეკითხებოდა, ჰა, აბა, ამაზე რას იტყვიო.

პრეზიდენტის ოთახიდან მთხოვნელი გამოვიდა და მარიოს სთხოვეს, შებრძანდითო.

კარანსა მკვირცხლად წამოდგა და მარიოს შეეგება:

— ძვირფასო პუენტე, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია გლეხებთან მოლაპარაკების წამოწყება. ბოლოს და ბოლოს, საჭიროა ეს ხალხი გონს მოვიყვანოთ. ჩემი სახელით საპატასთან ხომ ვერ წახვალთ? თქვენ ხომ ერთმანეთთან კეთილგანწყობილებაში იმყოფებით.

მარიომ საკმაოდ ცივად მიუგო პრეზიდენტს:

— მოლაპარაკება მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ გლეხთა უფლებებს აღიარებთ. საპატა და პანჩო ვილა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ნაწილის გამგებლები არიან.

— ძალიან მარტივი და უბრალოა მათი გამგებლობა!—თქვა კარანსამ. — მე გამოვცემ კანონს, რომლის ძალითაც გლეხები მემამულეთა მიწებს მიიღებენ. საერთოდ, ისეთ კანონებს გამოვცემ, მისი პროგრესულობა თქვენც კი გაგაკვირვებთ, ძვირფასო პუენტე. ამრიგად. მე მზად ვარ მივიღო საპატას ლოზუნგი „მიწა და თავისუფლება“ და მთელ სახელმწიფოში გავატარო იგი... მაგრამ ფეხზე რას დგახართ, დაჯექით! გაგიზიარებთ, რა კანონების გამოცემას ვაპირებ.

მარიო პრეზიდენტს ჯერ დიდი ინტერესით უსმენდა, მერე აღფროთოვანებითაც კი და ბოლოს აღუთქვა, საპატასთან წავალო.

გამოსვლისას მარიომ შეამჩნია, რომ პრეზიდენტთან ახლა გრაფს სთხოვეს შესვლა. რას ეტყვის პრეზიდენტი ამ სპეკულანტს? მარიო მისაღებ ოთახში გამოვიდა. აქ მას მთხოვნელები შემოეხვივნენ, — დაგვეხმარეთო. მარიო შესცქეროდა მათ კეთილ სახეებს, იცოდა, ისინი ენდობოდნენ, მაგრამ არ შეეძლო დახმარებოდა.

პრეზიდენტის სასახლიდან გამოსული მარიო უახლოეს კაფესკენ გაემართა და ჩაფიქრებული მაგიდას მიუჯდა. „კარანსა საპატას მმართველობას უბრალოსა და პრიმიტიულს უწოდებს, — ფიქრობდა მარიო. — ეს შესაძლოა ტყუილი არ იყოს, მაგრამ სამაგიეროდ საპატას ყოველი განზრახვა პატიოსნური და კეთილშობილურია. აქ კი? მექრთამეობა და ძმაბიჭობაა გამეფებული. პროგრესული კანონები ადრეც გამოუციათ, მაგრამ არ განხორციელებულა. ამას გარდა, ჩუმად ხმები დადის, კარანსა საპატასა და პანჩო ვილას წინააღმდეგ გასალაშქრებლად დიდ არმიებს აყალიბებსო. მგონი უგუნურობა ჩავიდინე, რომ საპატასთან გაგზავნაზე დავეთანხმე“.

საპატამ ნაწილის მეთაურები დაიბარა. როცა ისინი უბრალო, შეთეთრებულ დარბაზში შეეიდნენ და იქ საპატა და მათთვის კარგად ცნობილი ტრინი დაუხვდათ, ძალიან გაუკვირდათ. რა უნდოდა აქ ამ პატარა ბიჭს, ხელში გაზეთებიდან ამონაჭრებით?

საპატამ თათბირი გახსნა და თქვა:

— მნიშვნელოვანი ახალი ამბები გვაქვს. ვენუსტიანო კარანსა ჩვენ ორჭოფულად გვეთამაშება, ამავე დროს მისი გენერალი ობრეგონი პანჩო ვილას თავს დაესხა და გაანადგურა. ეს ყმაწვილი წაგიკითხავთ, რას წერენ გაზეთებში ამის თაობაზე.

სანამ ტრინი თავის წკრიალა ხმით გლეხებს ამონაჭრებს უკითხავდა, დარბაზში შეიარაღებული გლეხი შემოვიდა.

— ემილიანო, გარეთ ერთი კაცი იცდის, ამბობს, მარიო პუენტე ვარო, და შენთან ლაპარაკი უნდა. რესპუბლიკის პრეზიდენტმა საპატასთან დავალებით გამომგზავნაო.

— ო, ეგ თაღლითი! — წამოიძახა არაკუნემ და ყველა ერთბაშად ალაპარაკდა.

— სიჩუმე, — დაიძახა საპატამ. — სისულელე იქნებოდა, მისთვის არ მოგვეესმინა. ხომ უნდა ვიცოდეთ, რა ხდება.

შემოვიდა მარიო. შავ კოსტუმში გამოწყობილს ფეხზე მაღალყელიანი, დეზებიანი ჩექმები ეცვა. მხრებგაშლილი და წელში გამართული ნელი ნაბიჯით გაემართა საპატასაკენ, როგორც საერთოდ, ასეთი შემთხვევისას მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები იქცევიან ხოლმე, მაგრამ თავს მტკიცედ ვერ გრძნობდა, მით უფრო, რომ მოულოდნელად აღმოჩნდა ამდენ მეთაურთა წინაშე. მაგრამ მარიოს ასეთმა საზეიმო ნაბიჯით შემოსვლამ გლეხებზე უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან მათ ეს ყოყოჩობად მიიჩნიეს და ამის გამო მარიოსადმი უფრო მტრულად განეწყვნენ.

მარიო საპატას წინ შესდგა.

— აქ იმიტომ გამომგზავნეს, რომ გადმოგცეთ, კარანსას თქვენთან მოლაპარაკება სურს. მას განზრახული აქვს, გამოსცეს კანონები, რომელთა პროექტები თან მოვიტანე. ნებას მომცემთ, ეს პროექტები გაგაცნოთ?

— წაიკითხე! — მიუგო საპატამ ისე, რომ არ უთქვამს, დაჯექიო.

ასეთმა ცივმა მიღებამ მარიო კიდევ უფრო დააბნია. კითხვის დროს მშვენივრად გრძნობდა, რომ ამ იურიდიულ ფორმულირებებს გლეხთა მეთაურები ვერ გაიგებდნენ. ამიტომ გადაწყვიტა წაკითხულის შინაარსი აეხსნა, თავი ასწია და თქვა:

— პრეზიდენტი ვენუსტიანო კარანსა...

— კარანსა პრეზიდენტი არ არის,—გააწყვეტინა საპატამ.— არც ჩვენ, სამხრეთელებს და არც ჩრდილოეთელებს იგი არ აურჩევიათ. შენს ბატონს ასე გადაეცი: ეს ცარიელი ლამაზი სიტყვების რახარუხია-თქო. ჩვენ მიწას გვპირდება და არმიას კი პანჩო ვილას წინააღმდეგ გზავნის. მშვენივრად ვხვდებით, რისთვისაც გამოგგზავნა, ჩვენი მოტყუება უნდა და მეტი არაფერი!

გლეხთა მეთაურებმა ერთმანეთს გადახედეს და თავები დაქნიეს.

— შეიძლება განვაგრძო? — იკითხა დაბნეულმა მარიომ.

— არა,—მიუგო საპატამ, წამოდგა და გავიდა. სხვებიც მას გაჰყვნენ.

მარიო გაქვავებული იდგა, მერე ტრინის მზერა შეამჩნია და დაბნეულმა თავი დაუქნია. მაგრამ ბიჭი მაშინვე შებრუნდა და დარბაზიდან გავიდა. თავგზააბნეულმა მარიომ ქაღალდები წამოკრიფა, დარბაზიდან გამოვიდა და მხლებლებს უბრძანა, ცხენები შეეკაზმათ და წასასვლელად მომზადებულიყვნენ.

●

საღამოს მარიო უკვე ქალაქ მეხიკოში იყო. პრეზიდენტმა მაშინვე მიიღო.

პრეზიდენტთან რომ შევიდა, მარიოს ისეთი გაყინული, სერიოზული სახე ჰქონდა, მან მაშინვე ესა ჰკითხა:

— რა დაგემართათ, რა მოხდა?

მარიო სკამზე არ დამჯდარა, ისე თქვა:

— საპატამ დამავალა გადმოგცეთ, ვენუსტიანო კარანსა პრეზიდენტი არ არის, რადგან იგი არც მე და არც პანჩო ვილას არ აგვირჩევიაო; მეორეც, საპატას კარგად ესმის, რომ ახალი კანონები გლეხების მოსატყუებლად გამოდის.

კარანსას ფერი წაუვიდა, შებრუნდა და მექანიკურად ხელი .არწივის ფორმის პრესპაპიეს წაავლო, გველს რომ ახრჩობდა, და თქვა:

— კარგი, საპატა პასუხს მიიღებს. გრაფ არიოლასთან მე იარაღის შესყიდვის ხელშეკრულება დავდე!

— ესე იგი, — დაიწყო მარიომ, — ბატონო პრეზიდენტო, რაკიღა საპატას მოტყუება ვერ მოახერხეთ, გლეხთა წინააღმდეგ ომის წამოწყებას აპირებთ?

— თქვენ დამნაშავეებს უჭერთ მხარს? — შეჰყვირა. პრეზიდენტმა.

— დამნაშავეებს? — ჩაეკითხა მარიო. — აქეთ რომ მოვდიოდი, გზაზე ბევრი ვიფიქრე, და დავრწმუნდი, მთელი თქვენი პროგრესული კანონები ცხოვრებაში ვერ განხორციელდება. ბატონო პრეზიდენტო, იმის განსჯა თქვენთვის მიმინდვია, ვინ არის დამნაშავე, — საპატა, რომელსაც პატიოსან ხალხთან აქვს საქმე და თავისუფლებისაკენ ისწრაფვის, თუ...

— გაჩუმდით! საკმაოდ ილაყბეთ! — იყვირა კარანსამ.

— გთხოვთ, გამათავისუფლოთ, — ცივად თქვა მარიომ, — რადგან თქვენ მეც უპატიოსნოდ მომექეცით. მე მხოლოდ იმ პირობით ვმსახურობდი თქვენთან, რომ გლეხების მოთხოვნებს დააკმაყოფილებდით.

პრეზიდენტმა ბოროტად გაიცინა:

— კარგით, მიბრძანდით! ვნახოთ ერთი, ვინ უფრო დააფასებს თქვენს სამსახურს.

## მარიოს დაბრუნება

რახან ბრძოლებს აღარ აწარმოებდა, საპატას გლეხთა არმია ერთ ადგილას დიდხანს ვერ გაჩერდებოდა, რომ საკვების მთელი მარაგი არ გაენადგურებინა. ამიტომ არმიის ქვეგანაყოფები ერთმანეთისაგან საკმაოდ მოშორებით სხვადასხვა ადგილას დაბანაკდნენ. მათ შორის კავშირს ახალგაზრდა, მოხალისე გლეხები ამყარებდნენ. აქა-იქ გამოჩნდა მემამულეთა მიერ შექმნილი ბანდები. ისინი იჭერდნენ მეკავშირეებს და მხეცური წამებით ჰკლავდნენ.

საპატა ამბროსიას მოელაპარაკა:

— შენ რას იტყვი, ხომ არ აჯობებდა, მეკავშირეებად უფრო ქალები გამოგვეყენებინა?

— ეს კაცები უცნაური ხალხი ხართ. ხომ არ გგონიათ, ქალები მამაკაცებზე ნაკლებ გააკეთებენ საქმეს? თქვენ მხოლოდ ახალგაზრდა, ლამაზ გოგონებს ამჩნევთ, ჩვენ კი გაიწყდებით. ქალებს ნაკლებად მიაქცევენ ყურადღებას. ავიღებთ ორიოდ ქოთანს ანდა მწვანილს და გზას გავუდგებით. მოხერხებაში მამაკაცები ქალებს ვერ აჯობებენ.

— საქმე ის არის, ამბროსია, ქალების უმეტესობას სამხედრო საქმისა არაფერი გაეგება, — თქვა საპატამ, — ხოლო წერილობით ვერაფერს გაეგზავნით, რადგან გლეხთა მეთაურებმა კითხვა არ იციან.

— ეჰ, გეგონება ამის მოგვარება აღარ შეიძლებოდეს. ჩვენს ქალებს კარგად ესმით, რისთვისაც ვიბრძვით. ყველა ჩვენგანს ხომ ის უნდა, რომ ჩვენს ქმრებსა და შვილებს საშველი ჰქონდეთ. ბრძანება რამდენჯერმე უნდა გაუმეორო. თუ ისინიც ზუსტად გაიმეორებენ, მერე აღარ დაავიწყდებათ. ზოგჯერ ყველაზე სულელს ყველაზე უკეთესი მეხსიერება აქვს. საქმე მხოლოდ ის არის, რომ სანდო ადამიანი იყოს.

— კარგი, მოვიფიქრებ, — თქვა საპატამ.

მეორე დღეს ისევ გამოიძახა ამბროსია.

— მომისმინე, ამბროსია. შემირჩიე ისეთი ქალები, მეკავშირეებად რომ გამოდგებიან. შტაბი მათ დავალებას მისცემს. მაგრამ რახან შეიძლება ჩვენ ყოველთვის ადგილზე არ ვიყოთ, იმათ შენ მიიღებ. ხომ დაიმახსოვრებ ყველაფერს, რაც საჭიროა?

— დავიმახსოვრებ, მაგრამ, ამ საქმეში ტრინიც დამეხმაროს.

— ტრინი რაღაზე გჭირდება, იმან ხომ გაზეთები უნდა მიკითხოს!

— აი, საქმეც სწორედ ეგ არის. ის დაბეჭდილ ცნობებს მოაგროვებს, მე კი ზეპირს.

— ჰო, სწორია, ერთად უნდა იყოთ,—დაეთანხმა საპატა.— კარგი, ასე იყოს.

ამბროსიამ ტრინის დაუძახა და უთხრა:

— ტრინი, ამ ბოლო ხანებში კარგად გვიხსნიდი, რაც გაზეთებში სწერია. კიდევ გჭირდება დოქტორ პეპეს დახმარება?

ტრინიმ პასუხი შეაგვიანა, ამბროსიამ კი განაგრძო:

— მას შემდეგ, რაც ჩვენთან კარანსას დავალებით მარიო მოვიდა, — კარანსას ხომ ჩვენი მოტყუება სურდა, — ლიბერალებს აღარავინ უჯერის. საჭირო არაა დოქტორმა პეპემ ყველაფერი იცოდეს. მაგრამ როგორ ეტყვი, შენი დახმარება აღარ მჭირდებაო?

— ძალიან კი არ შემრცხვება, ვეტყვი, რომ ძია იერონიმოს წერა უნდა ვასწავლო-მეთქი.

— კარგი, ეგეც უთხარი და კიდევ რამე მოიგონე. შენ აქ ისეთ საქმეს აკეთებ, რასაც დიდებსაც ყველას არ მიანდობდნენ. შენც კრინტი არ უნდა დასძრა არავისთან.

ტრინი გაოცებით შესცქეროდა დიდედას, ამის გახსენება რად მჭირდება, მე რა მოლაყბე მნახაო.

●

ერთ უქარო დილას ტრინიმ ახალმიღებული გაზეთები ილლიაში ამოიჩარა და გზისპირას, ერთ პატარა კლდეზე აცოცდა, რომ ღამე სიცივისაგან გაყინული, ცოტა მზეზე გამთბარიყო.

გაზეთებს გულისყურით რომ კითხულობდა, უცბად რაღაც ხმაური შემოესმა. გაზეთს ჩრდილი დაეცა.

ტრინიმ მაღლა აიხედა და შეკრთა: მის წინ მარიო იდგა, მაგრამ რა ყოფაში იყო! გაუპარსავი, ლაფსა და ტალახში ამოსვრილი. მისმა დაბნეულმა მზერამ უფრო მეტად შეაკრთო ბიჭი. ჭკუაზე ხომ არ შეიშალაო.

— ტრინი, — ხმადაბლა უთხრა მარიომ,—ვიცი, გეჯავრები, მაგრამ თქვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო ამბავი მოვიტანე. შეგიძლია საპატასთან, იერონიმოსთან ან ამბროსიასთან მაინც შემახვედრო? ესეც იცოდე, ჩემსა და კარანსას შორის ყველაფერი დამთავრებულია. იძულებული გავხდი, ქალაქ მეხიკოდან გამოვქცეულიყავი. ამიტომ... — სასოწარკვეთილი მარიო შეტრიალდა. — ისევ თქვენ უნდა შემიფაროთ. მოგიყვებით, რაც მოხდა და ალბათ გამიგებთ, ისევ თქვენი ვარ. ტრინი, შენ მეც უნდა მიშველო და თქვენიანებსაც, ყველა თქვენგანს დიდი სიფრთხილე გელით.

— წამო ამბროსიასთან! — თქვა ტრინიმ. — იგი სხვებზე მეტად გაგიგებთ.

მართლაც, ამბროსიამ შეხედა თუ არა მარიოს, მაშინვე მიხვდა, რაც მომხდარიყო. მარიოს საჭმელი დაუდგა და ტრინი იერონიმოს დასაძახებლად გაგზავნა. იერონიმო მაშინვე საპატასთან გაეშურა და მალე ამბავი მოიტანა, გლეხების გენერალი თუმცა მარიოს აღარ ენდობა, მაგრამ მაინც მზად არის მიიღოს და მოუსმინოსო.

ნახევარი საათის შემდეგ მარიო საპატასა და მის მახლობელთა წინაშე იდგა. მარიო ისე გამოცვლილი ეჩვენათ, ყველა გაოცებული დარჩა. ოფიციალური სიმშვიდე და ღირსეული თავდაჭერა აღარ ემჩნეოდა. დევნისაგან ქანცგაწყვეტილმა, აღელვებულმა მარიომ დაიწყო:

— ერთი მნიშვნელოვანი ამბავი უნდა გითხრათ! თქვენ მართალი იყავით; კარანსას ყოველი სიტყვა ტყუილი იყო. სა-

ნამ თქვენთან გამომგზავნიდა, კარანსამ გენერალ პაბლო გონსალესს, ამ ყაჩაღსა და ბანდიტს, უბრძანა თქვენი გლეხთა არმიის წინააღმდეგ გასალაშქრებლად გამზადებულიყო. კარანსა იმედოვნებდა, შენ მის დაპირებებს დაუჯერებდი და ხალხს სახლებში გაუშვებდი. როგორც კი შენი დანაბარები გადავეცი, მისი ვერაგობა გამომჟღავნდა. იმავე დღეს ყაჩაღ გონსალესს უბრძანა, თქვენს წინააღმდეგ წამოსულიყო. გონსალესი პოლკოვნიკ ლივიოს ნაწილს დაესხა თავს. გლეხები თავდასხმას არ ელოდნენ და აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. ახლა ის ბანდიტები კარლოს რუბიოს ნაწილებისაკენ მიემართებიან...

საპატამ მკაცრად შეაწყვეტინა:

— მარიო, ერთხელ უკვე მოგვატყუე, ახლა კი შენი აღარ მჯერა!

საპატას გარშემო თავშეყრილი გლეხები მარიოს ყურადღებით შესცქეროდნენ.

მარიო მთლად გაფითრდა და სასოწარკვეთილმა თქვა:

— თუ გინდა, ახლავე დილეგში ჩამაგდეთ, მაგრამ დამერწმუნეთ, დიდი საშიშროება მოგელით, დიდი! რაღა თქმა უნდა, ყაჩაღი გონსალესი ქვეყნის შუაგულამდე ორ დღეში ვერ მოაღწევს, მაგრამ თუ არმიას ერთ ადგილას არ მოუყარეთ თავი, განაპირა მხარეებში ჩაყენებულ ნაწილებს გაგინადგურებდ, ზოგიერთები ჩუმ-ჩუმად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს.

— მე... — დაიწყო საპატამ, მაგრამ ამ დროს ამბროსია შემოვიდა და ყველა მას მიაჩერდა.

— რა ამბავია? — იკითხა საპატამ.

— ეს-ესაა მეკავშირე ქალი მოვიდა. დღე და ღამ ურბენია და ფეხზე ძლივს დგას. კარლოს რუბიო იტყობინება: მძარცველთა არმიის ძლიერი ნაწილები აღმოსავლეთიდან მოულოდნელად გამოჩნდნენ და თავს დაგვესხნენო. თვითონ ცდილობს, ჩრდილო-დასავლეთით დაიხიოს უკან და მთებს შეეფაროს.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ საპატამ თქვა:

— მარიოს ნათქვამის სისწორე დასტურდება. გვერდით ოთახში გავიდეთ. საჭიროა დაუყოვნებლივ ვიმოქმედოთ.

ისინი გავიდნენ. მარიომ არ იცოდა, მას რას უზამდნენ. თავი ჩაქინდრა და მარტოდმარტო იდგა შუა დარბაზში. იმ საშინელ დღეს. როცა მარიომ კარანსასთან დაბრუნება გადაწყვიტა,

პაკომ მკაცრად უთხრა: ერთი ის იკითხე, მიგიღებთ თუ არა, ჩვენთან დაბრუნებას რომ მოინდომებო. მართლაც ასე მოხდა. მართალია, საპატამ თქვა, მარიომ სწორი ამბავი მოგვიტანაო, მაგრამ შეეძლო თუ არა მარიოს მათთან დარჩენა? მეორე ოთახიდან იერონიმო გამოვიდა და მარტოდმარტო მდგარ, ჩამოძონძილ, ტალახში ამოსვრილ მარიოს შეხედა, მაგრამ უცბად ვერ მიხვდა, რატომ იყო ასე დანაღვლიანებული. ბოლოს, როცა მიხვდა, საპატასთან შებრუნდა.

— ემილიანო, ხომ იცი, ახლა რამდენი საქმე დამაწვა კისერზე. მოდი, მარიო დამახმარე.

— წაიყვანე!

როცა, მეორე დღეს, გლეხთა არმია ჩრდილოეთისაკენ დაიძრა, მარიოს წინანდებურად თეთრი გლეხური სამოსი ეცვა, თავზე კი უზარმაზარი ჩალის ქუდი ეხურა. სიამოვნებდა, ეს ტანისამოსი რომ ეცვა. იგი გლეხთა არმიას, ტრინისა და მის მეგობრებს ეკუთვნოდა.

## ამბროსია და ბრმა

ყაჩაღ გონსალესის შესახვედრად რომ გაემართა, გლეხთა არმიის შტაბში ახალი მეკავშირე ქალები და სხვადასხვა სოფლებიდან დიდძალი ახალგაზრდობა მოდიოდნენ. ყველას ერთი და იგივე ცნობები მოჰქონდა: მძარცველთა არმია შეუსვენებლად წინ მოიწევდა. ამ არმიის ზურგში მამულჩამორთმეული მემამულეები და ხალხის სხვა ექსპლოატატორები ქმნიდნენ ბანდებს, სოფლებს აწიოკებდნენ და სძარცვავდნენ, მოსახლეობას კი ხოცავდნენ.

სახემოღუშულმა საპატამ მოისმინა ამბროსიას მოტანილი ცნობები. მერე ტრინის მიუბრუნდა:

— ჩრდილოეთის ამბებზე გაზეთებში რაღა წერია? არ შეიძლება პანჩო ვილა საბოლოოდ და მთლიანად იყოს განადგურებული.

— პანჩო ვილა ობრეგონის დაწოლას ვერ უძლებს და უკან იხევს, — თქვა ტრინიმ. — იგი ამერიკის შეერთებული შტატე-

ბის საზღვარზე გადავიდა. ლანძღვით იხსენიებენ გენერალ პერშინგს.

— ეგ ვიღაა? ჩრდილო ამერიკელია?

— ჰო, გრინგოა. მას უბრძანეს, პანჩო ვილა ამერიკიდან გამოაძეოს. ახლა კი იმიტომ ლანძღავენ, რომ ვილა ხელიდან უსხლტება. პერშინგს ისინი უუნარო, ქაღალდების გენერალს უწოდებენ.

საპატამ გაიღიმა. მერე ხელები მომუშტა და ფეხზე წამოდგა.

— პანჩო ვილას იმედი ვეღარ გვექნება, საკუთარ თავს უნდა დავეყრდნოთ. გესმით, ეს რას ნიშნავს? იქნებ ისევ პატარ-პატარა რაზმებად დავიშალოთ? გამოვიყენებთ მტრის ყოველ გაუფრთხილებლობას და თავს დავესხმებით. ამგვარად, დავქანცავთ და დავასუსტებთ მტერს.

ამბროსიამ თავი დახარა და მკაცრად თქვა:

— ემილიანო, ხალხს შენი სჯერა და უფლება არ გაქვს მას იმედი გაუცრუო. ცხოვრებაში ყოველთვის ისე როდი ხდება, როგორც კაცი ფიქრობს. ნაფიქრალს რაღაც დაბრკოლებები ხვდება. არ შეიძლება არმიის ერთიანობაზე ნებაყოფლობით ვთქვათ უარი.

— არც მიფიქრია, — თქვა საპატამ და ამბროსიას მეგობრულად დაუქნია თავი. — მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ყაჩაღმა გონსალესმა უკანასკნელ ხანს რამდენჯერმე ისე მოულოდნელად შემოგვიტია, თითქოს ჩვენი გეგმები და განზრახვები გამოიცნოო.

— სწორედაც რომ გამოიცნო, — უცბად თქვა მარიომ.

ყველამ განცვიფრებით შეხედა მარიოს. მარიოს პასუხი არ გაუცია. კარისაკენ გაემართა, მოხურა და მერე თქვა:

— ყველაფერი ამ მდივნების ბრალია. მთავრობის სასახლეში მათი ამბები კარგად გავიგე: ზოგიერთმა არ იცის, ვინ გაიმარჯვებს, გლეხები თუ სხვები. ამიტომ ისინი ისეთ ხალხს უკავშირდებიან, ვისაც თავის მხრივ კავშირი აქვს მთავრობის სასახლესთან. ეგენი მათგან ფულსაც იღებენ, როცა მნიშვნელოვან ცნობებს მიაწვდიან თქვენი არმიის გეგმების თაობაზე.

— მაშასადამე, მთელი ამ მდივნების ბანდა უნდა გავრეკოთ? — იკითხა საპატამ.

პასუხი არავის გაუცია.

ბოლოს იერონიმომ თქვა:

— ჩვენ რომ ისევ ისეთი პატარა შენაერთი ვიყოთ, ადრე რომ ვიყავით, შეიძლებოდა გაგვერეკა კიდეც, ახლა კი ნამდვილი შტაბი გაგვაჩნია, ამიტომ მდივნებიც გვჭირდება.

— დაზვერვასა და ჯაშუშობას შენ, საერთოდ, ვერ მოსპობ, — თქვა მარიომ. — ეს დაავადება ყველა არმიაშია. ჩვენი შეცდომა ის არის, რომ მათ არმიაში ჩვენც არა გვყავს მზვერავები. ზოგიერთი მათი ოფიცერი ისე გაუფრთხილებლად ყბედობს, რომ ვერც წარმოიდგენთ. ბევრი ჩვენი მეგობარი ამას იგებს, ჩვენ კი არ გვატყობინებს. საჭიროა რაღაც ზომები მივიღოთ.

ამ, საერთოდ, გულკეთილი გლეხებისათვის ეს ახალი პრობლემა იყო და ჯერჯერობით არავის არაფრის თქმა არ შეეძლო.

ბოლოს საპატამ თქვა:

— ხვალამდე დავიცადოთ. დილის შარი სჯობია საღამოს ხეირს. დღეს კი ხვალ მოსაგვარებელ საკითხებზე ვიმსჯელოთ.

●

ამ საღამოს ტრინი იერონიმოსთან მივიდა და თათბირის დამთავრებამდე იცადა. შემდეგ კარი მიხურა, როგორც წეღან მარიომ ქნა, და ბიძას წასჩურჩულა:

— არ შეიძლება მზვერავად იქ მე გამიშვათ?

გაოცებულმა იერონიმომ ბიჭს ჰკითხა:

— მერე შენ რას გააკეთებ?

— მძარცველთა არმიის მტრები, უბრალო ადამიანები ხომ ჩვენი მეგობრები იქნებიან. ჰოდა, მათ საუბარს გავუბამ და გავიგებ, რაც იქ ხდება.

— მართლა ხომ არ გგონია, რომ შენისთანა ბიჭს რამეს მოუყვებიან?

— ვიღაცამ ხომ უნდა გააკეთოს ეს საქმე! — მოუთმენლად თქვა ტრინიმ.

იერონიმომ თავი გადაიქნ-გადმოაქნია.

— დიდედასთან წამო!

ამბროსიას ის იყო საპატას ერთი ქვეგანაყოფის დამარცხე-

ბის ამბავი მოსვლოდა. გუნებაწამხდარი მოწნულ სკამზე იჯდა. იერონიმომ მას ტრინის ნათქვამი გადასცა. დიდედამაც ის უთხრა ტრინის, რასაც იერონიმო ეუბნებოდა, და დაუმატა:

— მე გავაკეთებ, მე თვითონ წავალ!

შეშინებულმა ტრინიმ ჰკითხა:

— მერე როდისღა დაბრუნდები?

ამბროსიას იშვიათად ნახავდით გაღიმებულს. ახლა კი თავი ვეღარ შეიკავა და გაუღიმა:

— ჩემს ჩანაფიქრს რომ შევასრულებ, მაშინ.

ტრინიმ არ იცოდა, რომ დიდედამ მარიოს დაწვრილებით გამოჰკითხა, სხვა არმიებში როგორ მუშაობდნენ მეკავშირეები. თვითონ მარიომაც ბევრი რამ არა იცოდა რა ამისა და ამბროსიას რაღას ეტყოდა. ეს საკითხი ისე გაუგებარი იყო ამბროსიასათვის, რომ გადაწყვიტა, თვითონვე წასულიყო მტრის ზურგში.

●

მეორე დღეს ამბროსია გაქრა. კანდელარიამ ტრინის საუზმე მოუტანა და თან უთხრა:

— ბრაულიომ დამაბარა, მე არაკუნეს რაზმში გადამიყვანესო.

ბოლო ხანებში ეს ორი ბიჭი ისე აღარ მეგობრობდა ერთმანეთთან. ბრაულიო სწავლაში ისეთ სიბეჯითეს ვერ იჩენდა, როგორც მასზე გაცილებით უმცროსი ტრინი, ამიტომ ძალზე ჩამორჩა. სამაგიეროდ გაიზარდა, დავაჟკაცდა და პრაქტიკულ საქმიანობასა და იარაღით ბრძოლაში ვერავინ აჯობებდა.

ჩაფიქრებული ტრინი მჭადს შეექცეოდა, რომ საიდანღაც დოქტორი პეპე გამოჩნდა.

— დილა მშვიდობისა, კანდელარია! დილა მშვიდობისა, ტრინი! როზა ხომ არსად დაგინახავთ?

კანდელარიამ დარცხვენით შეანათა დიდრონი შავი თვალები. ტრინი მიხვდა, როზას ამბროსია წაიყვანდაო. დოქტორმა პეპემ მაშინვე შეამჩნია, როგორ დაირცხვინა ინდიელმა ქალმა.

— ნუ გეშინია, კანდელარია. რახან ყველანი გამირბიან, სხვა დამხმარეებს გამოვძებნი, — პეპემ ტრინის თვალი ჩაუკრა.

— მოემზადეთ! — მოისმა ქუჩიდან ძახილი.

ბოლო დღეებში მოკლე-მოკლე მანძილის გავლა უხდებოდათ. საპატა გრძნობდა, რომ მტრის არმიასთან შესაჯახებლად საკმარისი ძალა არ გააჩნდა.

ამბროსიას მაგივრად მზვერავებს ახლა ტრინი იღებდა. მან საპატას მოახსენა, მტრის არმია ამჟამად ბრძოლის სურვილს არ იჩენსო. ეტყობოდა, საპატას არმიის სიახლოვე ხელს უშლიდა, ძალები დაექსაქსა, და დათარეშობდა.

ტრინის ძალიან ანაღვლებდა დიდედას ბედი. ახლა კი მიხვდა, რომ დიდედასადმი მისი დამოკიდებულება შეცვლილიყო. ნეტავ რამდენმა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც საყვარელი დიდი დიდედა გარდაიცვალა, ისეთ მშვენიერ ამბებს რომ უყვებოდა ხოლმე, ან მას შემდეგ, რაც მან მძიმე ავადმყოფობა გამოიარა? მას შემდეგ უკვე კარგა გრძელი ხუთი წელიწადი გასულიყო. მაშინ ეშინოდა მკაცრი ამბროსიასი, ახლა კი ვერ მიმხვდარიყო, რა აშინებდა, თუმცა არასოდეს არ ეფერებოდა, მაგრამ იმის მეტი პატრონი ვინა ჰყავდა?

ამბროსია და როზა ორი კვირის შემდეგ დაბრუნდნენ. დაინახა თუ არა, ტრინი იმათკენ გაექანა. საწყალი დიდედა რას დამსგავსებოდა! გამხდარიყო, დაქანცულიყო. მაგრამ პირში ლუკმაც არ ჩაუდვია, მაშინვე საპატასაკენ გაეშურა.

საპატამ ტრინი, იერონიმო, მარიო და ბალთასარი იხმო. ყველანი მოვიდნენ და ამბროსიას პირდაპირ ჩამოსხდნენ.

ამბროსიამ დინჯად და სერიოზულად დაიწყო:

— ზოგი რამ გავაკეთეთ, თუმცა ყველაფერი ჯერ ვერ შევძელით. ყველაზე ძნელი ის იყო, ვისთვის მიგვემართა მტრის ზურგში. მაშინ ის მენახშირე გაგვახსენდა, სან აგუსტინის უღელტეხილის ბრძოლების წინ მნიშვნელოვანი ცნობები რომ მოგვაწოდა. ამის გამო, ავდექით და ახლაც ერთი მენახშირე მოვძებნეთ. მან გვირჩია, ბრმა მათხოვარი, სახელად ვალენტინი მოგვეძებნა ქალაქ მოლინოსში. იქ ყაჩაღ გონსალესის შტაბია დაბანაკებული. ამ ბრმა მათხოვრის ნახვა არ გაგვძნელებია.

— არ მესმის, ბრმა კაცი ჩვენ რაღა დახმარებას გაგვიწევს? — იკითხა საპატამ.

— მართალია, ბრმა თვითონ ვერაფერს ხედავს, მაგრამ დღედაღამ ერთ ამოჩემებულ ადგილას დგას. მისი ნახვა ძნელი არ არის. ბრმებს ყველაფერი ესმით, თანაც კარგი მეხსიერება აქვთ. ეს ბრმა რომ ვნახე, ამას მაშინვე მივხვდი. ვუთხარი, პაროლზე შეეთანხმდეთ-მეთქი. ბრმამ მომიგო: „რა საჭიროა პაროლი, სიტყვები. ბრმებს საუცხოო შეხების გრძნობა გაგვაჩნია. დაე, ჩვენმა მეგობრებმა ხელში ფულის მაგივრად კენჭი ჩაგვიდონ. არც არავინ დაეჭვდება, კაცმა რომ მათხოვარს ხელში რაიმე ჩაუდოს“.

საპატას გაეღიმა.

— ბიჭოს, ამას მეც ვერ მოვიფიქრებდი. მაგრამ შენ ესა თქვი, ახლა რას აპირებ?

— მე და როზა ისევ წავალთ, მაგრამ სხვადასხვა მიმართულებით. საჭიროა ჩვენი ხალხი სხვადასხვა აღგილას გავიჩინოთ, ვისთანაც მერე შიკრიკებს გავგზავნით. მხოლოდ ერთ-ორ დღეს დავისვენებთ. ძალიან ბევრი ვიარეთ.

— დაისვენეთ! — თქვა საპატამ. — საჭმელიც კარგად ჭამეთ ხოლმე. გატყობთ, გიშიმშილიათ. მართალი გითხრათ, ძალიან გამახარეთ.

# გლეხთა ომის დასასრული

## ტეპოტლელი აყლაყუდა

1915 წელს ყაჩაღი გონსალესი ისევ ცდილობდა, საპატასთვის რამდენიმე დამარცხება კიდევ ეგემებინა, მაგრამ მათ შორის მხოლოდ პატარ-პატარა შეტაკებებიღა ხდებოდა. მომდევნო 1916 წელს. ორივე მხარეს შორის ერთგვარი მშვიდობა ჩამოვარდა.

საპატასა და მის შტაბს ტრინი რეგულარულად ატყობინებდა ევროპაში მსოფლიო ომის მსვლელობის ამბებს. პირველად მას ეგონა, ეს ომი იქაც ისევე, როგორც მექსიკაში, მიწის მუშებსა და მებატონეთა შორის მიმდინარეობდა შიშველ მთებში, სადაც მხოლოდ კაქტუსი იზრდებოდა. მერე მარიომ უთხრა, ევროპა მექსიკას არა ჰგავსო. ამის შემდეგ მას ევროპის ამბებზე წარმოდგენა, საერთოდ, აღარ ჰქონდა. მეტ ინტერესს პანჩო ვილასადმი იჩენდა. ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთი საზღვრის გადალახვის შემდეგ თავისი ძალების ნარჩენებით ვილა ისევ მექსიკაში შემობრუნდა. მასა და მთავრობის ჯარებს შორის ბრძოლები კვლავ გრძელდებოდა, მაგრამ ამაზე გაზეთებში გარკვევით არაფერს წერდნენ.

ერთ საღამოს ტრინი იმ პატარა ქალაქის მთავარ ქუჩაზე მიდიოდა, სადაც საპატას შტაბ-ბინა მდებარეობდა. ქუჩაში ჩვეულებრივი ფაცი-ფუცი იდგა. ერთი სახლის კუთხესთან მაღალ-მაღალი, გამხდარი ჭაბუკი იდგა თავჩაქინდრული. გლეხური ქუდი სახეს უფარავდა. ისე ყანყალებდა, გეგონებოდათ,

მთვრალიაო. თავი ნელ-ნელა ასწია და ფართოდგახელილი, დაღლილი თვალები გარშემო მოავლო.

უცბად სახეზე ღიმილი მოეფინა და უცნაური, წკრიალა ხმით შესძახა:

— ტრინი!

— ტრინი ვარ. შენ საიდან მიცნობ?

— სან ბარტოლდოს ბაღებიდან. თქვენ ხომ მე ტეპოტლელ კნაპას მეძახდით!

კნაპა ისე შეცვლილიყო, ტრინიმ ძლივს მოიგონა ის ბიჭი, რამდენიმე წლის წინ საპატამ პანჩო ვილასთან რომ გაგზავნა. ის იქიდან აღარც დაბრუნებულა და არც რაიმე ამბავი შეუტყობინებია.

„ო, როგორ წამხდარა", — გაიფიქრა ტრინიმ და ჰკითხა:

— რატომ ლოთობ?

— არ ვლოთობ, — მიუგო კნაპამ. — ციებ-ცხელება მაქვს.

ტრინიმ ხელი მოჰკიდა. ბიჭი მართლაც ცხელი იყო.

— წამო, ექიმთან წაგიყვან!

კნაპამ თავი გააქნია.

— ვინც ექიმთან მივა, მოკვდება.

— ასე სოფლის დედაბრები ლაპარაკობენ, — მიუგო ტრინიმ. — თუ ექიმთან გვიან მიხვალ, როცა აღარაფერი გეშველება, მოკვდები, აბა რა იქნება. სოფლელ კუდიანებს ნუ უჯერებ, მე წამომყევი!

დოქტორმა პეპემ ავადმყოფს შეხედა და უთხრა:

— აი, აქ დაწექი. ტრინი, შენ თუ მაგასთან ლაპარაკი გინდა, ხვალ შუადღისას მოდი. მანამდე ალბათ სიცხეც დაუკლებს.

●

მეორე დღეს, ტრინი რომ მოვიდა, ავადმყოფი ჭილოფზე იწვა. შალის საბნის ქვეშიდან შეშინებულმა თვალებმა შემოანათა.

— დღეს როგორღა ხარ? — ჰკითხა ტრინიმ.

კნაპამ ჯერ არაფერი თქვა, მერე ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— დოქტორს არ უნდა ჩემი გაშვება, მაგრამ საპატასთან სალაპარაკო მაქვს. მან ხომ პანჩო ვილასთან გამგზავნა, ახლა

ამბავი უნდა მივუტანო. ისე გამაპარე აქედან, დოქტორმა ვერ გაიგოს.

— გაპარვა რა საჭიროა? მე მითხარი, რაც გინდა, პირობას გაძლევ, ყველაფერს სიტყვა-სიტყვით გადავცემ.

— ეჰ, შენ რომ შეგეძლოს! დიდი ხანია მოვიდოდი, მაგრამ შორს ვიყავით, სადღაც ცხელ ველებში. როცა გამაციებდა ხოლმე, აღალს ძლივს მოვდევდი. აქ როგორ მოვსულიყავი? მაგრამ დღედაღამ სულ იმას ვფიქრობდი, აქაური ამბები საპატას როგორ გავაგებინო-მეთქი. საპატა ძალიან მიყვარს, იგი ერთადერთი კაცია, პატიოსნად რომ გვეპყრობა.

— ძალიან საშინელი ამბები ხდება იქ? — იკითხა ტრინიმ.

— ძალიან. პირველად პანჩო ვილა გლეხთა დიდი ბელადი მეგონა, მაგრამ უნდა გენახა, როგორ დაამხეს! მაშინ იმათ სულ დაავიწყდათ, რას ნიშნავს „მიწა და თავისუფლება". დაიწყეს ძარცვა-გლეჯა, ლოთობა. აი, რას სჩადიან! გლეხების განთავისუფლებაზე კაცი არ ზრუნავდა. ბოლოს პანჩო ვილა რამდენიმე თავისი კაცით იქაურობას გაეცალა, ამბობენ თავის მამულში წავიდაო, ჩვენ კი ბედის ანაბარად მიგვატოვა. მაშინ სხვებიც მიიფანტ-მოიფანტნენ. იქ ყველაფერი დამთავრდა.

— აქამდე როგორღა მოაღწიე?

— ეჰ, ტრინი, არ იცი, რა დახმარება იციან ჩვენმა გლეხებმა, გაჭირვებულ კაცს რომ დაინახავენ? ერთხელ ერთ სოფელში ორი კვირა გავატარე. სიარული აღარ შემეძლო. არც ერთი იქაური გლეხი მდიდარი არ იყო, მაგრამ წარბიც არავის შეუხრია, არავის უგრძნობინებია, ამდენ ხანს კისერზე რომ ვაწექი. — უცებ შეშინებული თვალები ტრინის შეავლო. — თქვენთან როგორ მიმიღებენ?

ტრინი უცბად ვერ მიხვდა, რას ამბობდა, მაგრამ იფიქრა, ამას დამშვიდება სჭირდებაო. ამიტომ თქვა:

— აქაც კარგად შეგხვდებიან.

— მაგრამ შენ თვითონ ხედავ, ჯერ არც ბრძოლა შეგიძლია. და არც მუშაობა.

— რა დროს ეგ არის, ჯერ გამოკეთდი.

კნაჭა სულ იმას ფიქრობდა, არავის არაფერში ვარგივარო, და ეს სტანჯავდა, თუმცა ყველა ალერსიანად ექცეოდა, რადგან გრძნობდნენ, გულთან მიჰქონდა გლეხთა საქმე. საპატამაც კი ინახულა.

რამდენიმე დღის შემდეგ, ციებამ რომ გაუარა, ამბროსიამ უთხრა ტრინის:

— კნაჭას რამე თავისი შესაფერი საქმე უნდა გამოვუნახოთ. მოდი, ჯერ შენთან ერთად გაზეთები იკითხოს!

ეს აზრი ტრინის ჭკუაში დაუჯდა. კნაჭასაც ისე გაეხარდა, რომ ბავშვივით სიცილი დაიწყო. მაგრამ კითხვას რომ შეუდგნენ, გამოირკვა, კნაჭას ბევრი ვერაფერი შეეთვისებინა, ტრინი კი ახლა გამართულად კითხულობდა.

ამის გამო კნაჭა ისევ დანაღვლიანდა.

— ორი შენი სიმაღლე ვარ და კითხვა კი შენ უნდა მასწავლო, — მერე იმედიანად დაუმატა, — ხომ დამეხმარები?

ტრინი, რა თქმა უნდა, დახმარებაზე უარს როგორ ეტყოდა. კნაჭა ჭკვიანი ბიჭი გამოდგა. მთელი საათები გაზეთებს ჩასჩიჩინებდა. ნელ-ნელა კითხულობდა, გაუგებარ სიტყვებს მარცვლავდა და ტრინის ეკითხებოდა, — რას ნიშნავსო.

ერთ საღამოს, ნავახშმევს, კნაჭა თავის სათაყვანებელ ამბროსიასთან ქოხში იჯდა. უცებ დაუფიქრებლად წამოიძახა:

— რა კარგია თქვენთან ყოფნა!

ამბროსიამ დინჯად შეხედა:

— ვიცი. შენ ძალიან ცდილობ, მაგრამ უფრო მეტად უნდა მოინდომო, რომ ტრინი მალე შეცვალო.

— ტრინი შევცვალო? მერე ის რაღას გააკეთებს?

— ჯერ მე თვითონაც არ ვიცი, მაგრამ, აბა დაკვირვებით შეხედე! ხმა შეეცვალა, ჯანსაღია და ღონიერი. სულ მუდამ გაზეთებს ხომ არ უნდა უკირკიტოს?

## ჟარანსას დავალება

თითქმის სამმა წელმა განვლო. 1919 წლის დასაწყისი იყო. საპატას არმია თითქმის მთლად უმოქმედოდ იდგა გენერალ გონსალესის არმიის პირისპირ.

ჩასუქებული მოსამართლე, დოქტორი ედუარდო არისტა მართალია მეტად აღარ გასიებულა მას შემდეგ, რაც რამდენიმე წლის წინათ სან ბარტოლდოში გლეხებისგან გრაფისათვის ღალის აკრეფა მოიწადინა, მაგრამ პატივი და ღირსება კი მოემატა, — ახლა ის პრეზიდენტის უახლოესი თანამშრომელი იყო. არისტას იმედი ჰქონდა, მალე გუბერნატორი გახდებოდა. რაც უცებ გამდიდრების საუკეთესო საშუალებას მისცემდა. პრეზიდენტის კეთილი დამოკიდებულება რომ არ დაეკარგა, ის არავის ეუბნებოდა, რა ავლადიდების პატრონი იყო სახელმწიფოს მეთაური, რომელსაც თავისი თავის პატივცემულ პატრიარქად წარმოდგენა უყვარდა. დოქტორმა არისტამ კარგად იცოდა, რა მოიმკო მარიო პუენტემ პრეზიდენტის კრიტიკით. ასეთი საშიში ბატონის კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად უფრო დაფიქრებით მოქცევა იყო საჭირო.

სწორედ ამ კეთილი განწყობის გულისათვის იჯდა მოსამართლე დღეს პრეზიდენტის მისაღებ ოთახში. ჯერ მარტო იყო, მაგრამ მალე გრაფი არიოლაც გამოჩნდა. ისინი ერთმანეთს მიესალმნენ და სავარძლებში ჩასხდნენ.

„ამ იარაღის გადამყიდველს აქ რა უნდა? — გაიფიქრა არისტამ. — ამ ბოლო ხანებში ხომ პრეზიდენტთან კარგად ვეღარ არის?“

არისტას მოუნდა გრაფისათვის ეკბინა და თქვა:

— ყური მოვკარი, მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ევროპის დიდი სახელმწიფოები მექსიკის მსგავს ქვეყნებს დიდძალ იარაღს იაფ ფასებში სთავაზობენო.

გრაფს არ ესიამოვნა მისი ნათქვამი.

— დიდი სახელმწიფოები ჩვენთან რა ხეირს ნახავენ. ცხრა წლის რევოლუციამ და სამოქალაქო ომმა ჩვენი ქვეყანა გაღატაკების პირას მიიყვანა. ჩვენ უნდა მოვღონიერდეთ. მექსიკა ლითონითა და ნავთობით მდიდარი ქვეყანაა. შეგვიძლია, საზღვარგარეთ ხილიც გავიტანოთ, ბანანი, ქოქოსის კაკალი, ანანასი, ფორთოხალი.

„ოჰო! — გაიფიქრა დოქტორმა არისტამ. — გრაფი იარაღით ვაჭრობაზე უარს ამბობს და ექსპორტს უნდა მიჰყოს ხელი.“

— ამაზე თქვენი ინგლისელი მეგობრები რა აზრისანი არიან? მზად არიან ხილი შეისყიდონ?

— ინგლისელი მეგობრები? მზად არიან, მაშ! — გრაფი თითებში გარჭობილ აბოლებულ სიგარას დააცქერდა. — პირადად მე განათლებულ ინგლისელებთან მირჩევნია საქმის დაჭერა, ვიდრე ამ ბრიყვ ამერიკელებთან. მაგრამ სინამდვილეს თვალი უნდა გავუსწოროთ. მსოფლიო ომმა ინგლისს საკმაო ვალები დაუტოვა. ახლა ამერიკელებისთანა მდიდრები მსოფლიოში აღარავინაა.

— მერე ის იყიდის ჩვენგან რამეს?

— ერთი დაბრკოლებაა. საქმოსნები საღად აზროვნებენ. ისინი გვეკითხებიან: განა თქვენ შეგიძლიათ რაიმე მოგვაწოდოთ? თქვენთან ხომ მთავრობასაც ვერ გაიგებ, ვინ არის: ქვეყნის ერთ ნაწილს გლეხები მართავენ, მეორეს — გენერლები, რომლებიც გლეხებზე უარესები არიან.

— ისინი, რა, ეგრეთ წოდებულ მძარცველთა არმიას უარესს უწოდებენ, ბატონო გრაფო? ეს არმია ხომ თქვენი მებატონური ინტერესების დასაცავად იბრძვის?

— ო, ბატონო დოქტორო, ასეთი ძველი მოდების მიმდევარი როდი გახლავართ! თანამედროვე სახელმწიფოში მემამულეები ისეთი სამკაულია, რომელსაც ასე თუ ისე კიდევ ითმენენ. სინამდვილეში კი მართვა-გამგეობის სადავეები ახლა ინდუსტრიას და ბანკებს უჭირავთ ხელში. ახალ გზას დროულად უნდა დაადგე.

— როგორცა ჩანს, თქვენ იმ აზრზე დამდგარხართ, რომ მიწა გლეხებს მისცეთ, თუკი თქვენს მაღაროებში მადნეულის მოპოვებისა და ხილის ექსპორტირების ნებას მოგვცემენ, — მიუგო ვექილმა. — გამოდის, საპატამ გაიმარჯვა და მისი ლოზუნგი „მიწა და თავისუფლება“ შესრულებული იქნება.

— რამდენადმე ასეც არის, მაგრამ ეს რას შველის? ჩვენ მშვიდობა გვინდა.

არისტამ გრაფს განცვიფრებით შეხედა. ვინ იცის, იქნებ ეს ინგლისელებისა და ამერიკელების მეგობარი მათ აზრსაც გამოხატავს!

დოქტორი არისტა პრეზიდენტთან იხმეს. გონსალესი მას მეტისმეტად აღელვებული დაუხვდა.

— საჭიროა ბოლოს და ბოლოს ეს სამოქალაქო ომი დავამთავროთ! — ცხარედ თქვა კარანსამ. — ჩვენი სალაროები გა-

მოიფხიკა. ვალებს რით გადავიხდით? — მერე ცოტა დამშვიდდა და განაგრძო. — მაგრამ ისე ხომ არ შეგვიძლია, რომ ავდგეთ და ომი პირდაპირ შევწყვიტოთ? საპატას მოსყიდვა რომ შესაძლებელი იყოს, მზადა ვარ დიდი მამული ვუბოძო, მაგრამ მაგ კაცს ამის თაობაზე ჩვენი მიგზავნილი ხალხის გადაკრული ნათქვამის გაგებაც კი არ უნდა. მართალი გითხრათ, რაღაც საშინელი რამ მოხდა. გუშინ ამერიკის ელჩმა განმიცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მიაჩნია, უნდა ჩაქრეს ის შფოთის კერები, დღეს, ომის დამთავრების შემდეგ, ჯერ კიდევ რომ არსებობსო. ჩემს შეკითხვაზე, რა შფოთის კერებზე ლაპარაკობთ-მეთქი, ელჩმა მიპასუხა: „პირველ რიგში, ეს არის რუსეთის ბოლშევიზმი, — ელჩმა ეს ხაზგასმით აღნიშნა,—მექსიკა შეერთებული შტატების მეზობლადაა, აქ კი ჯერაც არსებობს ვილაც საპატა“.

ელჩის ეს შენიშვნა მე მუქარად მივიჩნიე. 1847 წელს გრინგოებმა ჩვენი ქვეყნის ნახევარზე მეტი დაიკავეს: კალიფორნია, სანტა-ფე, ტეხასი — რა საჭიროა ჩამოგითვალოთ. თქვენ ისურვებდით ისეთი ქვეყნის პრეზიდენტობას, რომლის ნახევარს მტაცებელი მეზობლები კიდევ ჩამოაჭრიდნენ? მე არ ვისურვებდი. საპატა უნდა განადგურდეს! მზად ხართ თუ არა, წახვიდეთ გენერალ პაბლო გონსალესთან და მას, არაოფიციალურად ჩემი განკარგულება გადასცეთ?

არისტამ ვერ გაიგო, რატომ აპირებდა პრეზიდენტი თავისი არმიისათვის არაოფიციალურად მიეცა ბრძანება შეტევაზე გადასვლისა. „ვინ იცის, — გაიფიქრა არისტამ, — იქნებ იმიტომ, რომ საპატას მოულოდნელად დაატყდნენ თავს?“ ყოველ შემთხვევაში, დოქტორი არისტა სიამოვნებით დაეთანხმა, მაგრამ შეეცადა, ეს სიამოვნება დაეფარა, რათა კარანსას არ გაეგო მისი სწრაფვა გუბერნატორის პოსტისაკენ — იქნებ საპატას დამარცხების შემდეგ მაინც მიიღოს ეს თანამდებობა რომელიმე ოლქში, ამჟამად საპატას სამფლობელოს რომ წარმოადგენს.

## წ ე რ ი ლ ი

ერთხელ, როცა ტრინი და კნაპა გაზეთში ამოკითხულ ცნობებს მოახსენებდნენ, საპატამ მარიოს უთხრა:

— შეგიძლია ამიხსნა, რუსეთში რა მოხდა? დიდია რუსეთი?

— ძალიან დიდი.

— მექსიკისოდენა იქნება?

— გაცილებით დიდი.

— მერე გლეხების ბელადი იქ ლენინია?

— ლენინი გლეხების ბელადი კი არ არის, მუშების ბელადი.

— მერე იმან რომ მებატონეთა მიწები გლეხებს დაურიგა? — იკითხა ისევ საპატამ. — მაშასადამე, იმათაც ეს მიზანი ჰქონიათ, რაც ჩვენ. არ შეიძლება, წერილი მივწეროთ? მე მგონი, უნდა შევატყობინოთ, რაც აქ გავაკეთეთ, და ავუხსნათ ჩვენი ლოზუნგის მნიშვნელობა. იმან კი ის გაგვიზიაროს, თვითონ რატომღა იბრძვის. გაზეთებიდან ჩანს, რომ ახლა გრინგოებიც ჩვენს წინააღმდეგ არიან, ეგ გრინგოები ლენინის წინააღმდეგაც ილაშქრებენ. გამოდის, რომ ჩვენ შეგვიძლია ლენინთან კავშირი დავამყაროთ.

გადაწყვიტეს, წერილს ინგლისურ ენაზე მარიო შეადგენდა. მაგრამ წერილი რომ გამზადდა, ერთი დაბრკოლების წინაშე აღმოჩნდნენ: როგორ გაეგზავნათ იგი მოსკოვში. ბოლოს, მარიომ წინადადება წამოაყენა, — ერთ-ერთ ჩემს მეგობარს ვთხოვ, წერილი როგორმე გაგვიგზავნოსო.

— ის იცნობს ერთ კაცს. მას შეუძლია ამ საქმის მოგვარება, მაგრამ ჩემს მეგობარს ვიღა მიუტანს ამ წერილს?

მას ლაპარაკი უცბად ამბროსიამ შეაწყვეტინა. მან პირდაპირ დაიწყო:

— როზა დაიჭირეს, ციხეში ჩააგდეს და ახლა საშინლად აწამებენ.

— მერე გაგვცემს? — იკითხა საპატამ.

ამბროსიამ თავი ასწია:

— არაფერს იტყვის. რაც არ უნდა საშინლად აწამონ, ხმას არ ამოიღებს. შენ უკვე იცი, რომ ახლახან ინესაც ჩაიგდეს. მას ძალიან მნიშვნელოვანი ცნობები ჰქონდა თავში, ის როზაზე სუსტიც არის და გულჩვილიც. შიმშილითა და წყურვილით კინაღამ სული ამოხადეს, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ დააცდენინეს, ბოლოს გაათავისუფლეს, რადგან მტერმა დარწმუნებით არ იცოდა, ინესა ჩვენი მზვერავი თუ იყო.

— ალბათ როზასაც გამოუშვებენ, — თქვა საპატამ.

ამბროსიამ თავი გაიქნია.

— შენ თვითონ წარმოიდგინე, ემილიანო, როზა კერპი და ჯიუტია. მეშინია, ვაითუ ვეღარ დაბრუნდეს.

იმავე დღეს საპატამ ტრინი დაიბარა და უთხრა:

— შენ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი წერილი უნდა წაიღო და აუცილებლად მარიოს მეგობარს გადასცე. მაგრამ მოკლე გზით არ წახვიდე, იქ მტრის ნაწილებია ჩასაფრებული. ამბროსია გამოგაყოლებს გამცილებელს. იგი უშიშარ ადგილამდე მიგიყვანს. შეგიძლია დავალება შეასრულო?

აღელვებისაგან ტრინის ალმური მოეკიდა: საპატა მას უშუალოდ აძლევს ასეთ მნიშვნელოვან დავალებას!

— შემიძლია!

საპატამ თავი დაუქნია:

— კარგი. ფულსაც მოგცემენ. მარიო, დაწვრილებით აუხსენი, სად ნახავს შენს მეგობარს. ხომ არ დაუწერ?

— არა, — თქვა ამბროსიამ. — დაწერა არ შეიძლება. მარიო იმდენჯერ ეტყვის, სანამ ტრინი ზეპირად დაისწავლიდეს.

— წერილს სადღა დამალავს? — იკითხა საპატამ.

— მე მგონი, ჯობია, ბადურაში ქოთნები ჩაალაგოს, შიგ სიმინდი ჩაყაროს და ერთ-ერთ ქოთანში ფსკერზე წერილი დამალოს.

იერონიმომ თავი გადააქნია.

— არა, ძნელი სატარებელი იქნება, თუმცა ტრინი თხუთმეტი წლის ბიჭის პირობაზე საკმაოდ ღონიერია.

ყველა ჩაფიქრდა.

უცბად ტრინიმ თქვა:

— დოქტორ პეპეს ერთი დახეული ექიმის ჩანთა აქვს. თვითონ აღარ ხმარობს. შიგ გამოუსადეგარ საფთიაქო ჭურჭელს ჩავალაგებ. ერთ ცარიელ შუშის ქილას ქაღალდს შემოვაკრავ, შიგ დახვეულ წერილს ჩავდებ, ზემოდან კი ხმელ, სუნიან ფოთლებს დავაყრი... თუ ვინმე მკითხავს, სად მიდიხარო, ვეტყვი: ქალაქში, წამლების საყიდლად მივდივარ-მეთქი. დოქტორ პეპეს რეცეპტებს გამოვართმევ და ჩემი გადაკარგვა აღარც მას გაუკვირდება.

— შენა გგონია, პეპე ეგეთი სულელია? — გაეცინა მარიოს.

— კარგი აზრია, — თქვა საპატამ. — როდის შეუძლია წავიდეს, ამბროსია?

— დღეს საღამოს.

## საშინელი ამბავი

დოქტორი ხოსე აგუას ლეონი ავადმყოფებს იღებდა სახლში. ეს სახლი პროვინციის მთავარი ქალაქის უზარმაზარ საკათედრო ტაძარსა და სანტა-როზას ეკლესიას შორის მდებარეობდა. ამ ქუჩაზე მდებარე ყოველი სახლი თეთრად იყო შეფეთქილი. ტრინი სახლში შევიდა. მისაღები ოთახის კარი ღია იყო. შიგ არავინ იმყოფებოდა.

ეკლესიიდან მსუქანი ქალი გამოვიდა, ტრინის გაცვეთილ ჩანთას თვალი შეავლო და თქვა:

— ჩემი ვაჟიშვილი ბალახ-ბულახს არ ყიდულობს.

— მე წამლების გასაყიდად არ მოვსულვარ, მინდა თქვენს ვაჟიშვილს მისი კოლეგის მეგობრული სალამი გადავცე.

— სხვა რა გინდა?

— წერილიცა მაქვს.

— შუადღისას შემოიარე.—ქალი სამზარეულოში მიიმალა.

ტრინი ბაზარზე გავიდა. ქუჩის პირას, დუქნების წინ, მედუქნეებს ცხარე მზის სხივებისაგან თავის დასაცავად ტილოები გაეჭიმათ. მწვანილეულობისა და ხორცის სავაჭროებს იქით სასაუზმეები იყო ჩამწკრივებული. გლეხები მაგიდებს მისხდომოდნენ. ტრინიც ერთ-ერთ მაგიდას მიუჯდა და გაოფლიანებულ ქალს ხორცჩახარშული ყავისფერი ლობიო შეუკვეთა.

— წიწაკიანი გინდა? — ჰკითხა ქალმა.

— ჰო, წიწაკიანი.

ქალმა მუცელგამობერილი თიხის ქოთნიდან მოწითალო ფერის „ჩილეს" ცხელი წვენი გადმოასხა.

ტრინი ჭამდა, თან ავაზაკთა არმიის ჯარისკაცებს თვალს არ აცილებდა. ბაზარში მდგომი გამყიდველი ქალები მათ მტრულად უმზერდნენ, რადგან ამ ჯარისკაცთაგან მხოლოდ ცუდს მოელოდნენ.

შუადღისას ტრინი ისევ დოქტორ აგუასს მიადგა. მაგრამ ის ჯერაც არ მოსულიყო. საღამოს პირას ვიღაც ახალგაზრდა კაცი სახლში შევიდა და სამზარეულოსაკენ გასძახა:

— დედა, მე საავადმყოფოში ვისადილე.

მაშასადამე, მარიოს მეგობარი ეს ახალგაზრდა კაცი იყო.

ტრინი მისაღები ოთახის კარებში გამოჩნდა. ექიმმა საწერ მაგიდაზე დახრილი თავი ასწია:

— რა ამბავია?

— მარიო პუენტე სალამს გითვლით.

— ერთი წუთით მომითმინე! — დოქტორი ფეხზე წამოხტა და ცოტა არ იყოს, ნაძალადევი ღიმილით თქვა: — აბა, როგორ გაგსინჯო, როცა ქუჩიდან ვისაც უნდა ის შემოიხედავს? — ექიმმა კარ-ფანჯარა დახურა და განაგრძო: — ღვთის გულისათვის, ამ სახელს აქ ნუღარ იტყვი. რა მოხდა?

ტყავის ჩანთიდან ტრინიმ ქილა ამოიღო, იქიდან კი დახვეული წერილი. ექიმმა კონვერტზე მისამართი წაიკითხა და გაოცებულმა იკითხა: — ლენინს?.. ჰო, გაგზავნა კი შემიძლია, მაგრამ... — ექიმი ფანქარს ნერვიულად ათამაშებდა, — ახლავე თუ შეგიძლია გაბრუნდე? ამაზე გაცილებით საჩქარო საქმეა.

— ახლავე შემიძლია გავბრუნდე.

— მაშ, მომისმინე. დღეს შუადღისას ერთ ოფიცერთან სასწრაფოდ გამომიძახეს. მას ზედმეტი დაელია და გულის შეტევა დამართნოდა. სანამ ქაფურს ვუკეთებდი, სხვა მთვრალი ოფიცრები ათას რამეს როშავდნენ. როგორც გავიგე, მათ გადაუწყვეტიათ, საპატა, ვითომ მოლაპარაკების მიზნით, თავიანთ ბანაკში მიიტყუონ და მოჰკლან. როგორმე ახლავე უნდა შეატყობინო, რომ არ დაეთანხმოს მათთან შეხვედრაზე.

შეშინებულმა ტრინიმ იკითხა:

— ხომ არ იცით, სად აპირებენ მის შეტყუებას?

— სამწუხაროდ, ეს აღარ ვიცი. ნეტა ისე როგორ გავიგო, რომ მათი ყურადღება არ მივიპყრო?

— მაშ მე დაუყოვნებლივ დავბრუნდები.

— მოიცა! — შესძახა ექიმმა. — რომელი გზით წახვალ?

ტრინის მისთვის ამის თქმა არ უნდოდა და ყოყმანობდა.

— მენდე! — თქვა დოქტორმა აგუასმა. — ალბათ პირდაპირ ალმოსავლეთით აპირებ წასვლას. თუმცა ეს უმოკლესი

გზაა, მაგრამ შენ ადგილას მე მაგ გზაზე არ წავიდოდი, რადგან ეგ გზა მძარცველთა არმიის ძირითადი სავალია. შენთვის ჯობდა... — ექიმი ჩაფიქრდა. — აბა, რას უპასუხებდი, ვინმეს რომ ეკითხა, სად მიდიხარო?

ტრინი ერთ ხანს ისევ შეყოყმანდა და მერე თქვა:

— მივდივარ უახლოეს ქალაქში დოქტორ ადოლფო სარაგოსა სოლერისათვის ასპირინისა და ამგვარი წამლების შესაძენად.

ექიმმა განცვიფრებით ჰკითხა:

— დოქტორი ადოლფო სარაგოსა სოლერი აქ მართლაც ცხოვრობს, მაგრამ შენ ეს როგორ გაიგე?

— მე ხომ თქვენს გვარს ვერ დავასახელებ. ყოველ შემთხვევაში, ქუჩაში რომ დავეხეტებოდი, ეგ გვარი აბრაზე წავიკითხე.

— ბიჭოს, კითხვაც იცი? კაი ეშმაკი ბრძანებულხარ! მაშ საფოსტო გზით წადი... ნაწერი რამ ხომ არაფერი გაქვს?

— მხოლოდ იმ წამლების რეცეპტები, ვითომ რომლის ყიდვასაც ვაპირებ.

— ეს კარგია, მაგრამ კიდევ რაღაც გამახსენდა. ეგ გზა მდინარესთან მიგიყვანს, ხიდზე გუშაგები დგანან. რა ძალა გადგია, მაგათ რომ არ შეეხეჩო. მდინარეზე გადასასვლელად სხვა გზას გიჩვენებ. ახლა ბაზარზე გადი. მე გვერდით ჩამოგივლი და ცოტა მოშორებით, უკან გამომედევნე.

ტრინი ბაზრისაკენ გაემართა. ექიმმა ფაცა-ფუცით ჩაალაგა ორიოდე შპრიცი და ამპულები და იმ გზას გაუყვა, ბაზრისაკენ რომ მიემართებოდა და მერე ქვემოთ ეშვებოდა. ქუჩის ბოლოს ნაგავი ეყარა. იქ ექიმმა დაბლა ჩაირბინა.

ტრინი მას მისდევდა. დაბლა, ორმოებს გვერდით, აგურები დაეწყოთ. ბალახმოდებულმა, დაკლაკნილმა ბილიკმა ისინი სქელ ფიცართან მიიყვანა. ეს ფიცარი ვიწრო, მაგრამ საკმაოდ ღრმა მდინარეზე ხიდად გაედოთ. ტრინი მეორე ნაპირზე გადავიდა.

დოქტორი უცბად შეჩერდა. ეტყობოდა, რაღაც გაახსენდა, და ერთ ახალგაზრდა მამაკაცთან მივიდა, რომელიც თავის ცოლთან ერთად ქოხს აშენებდა.

ტრინის მისთვის გაუგებარ, ინდიელთა კილოკავზე გაცხარებული ლაპარაკი შემოესმა.

ყმაწვილმა ქალმა ტრინის ხელი დაუქნია და ახლო მისულს ესპანურად უთხრა:

— დაჯექი, ახლავე მჭადს მოგიტან. წინ შორი გზა გიდევს, უნდა დანაყრდე.

მაშასადამე, ქალმა გაიგო მამაკაცების ლაპარაკი.

ტრინის დაყოვნება აღარ უნდოდა:

— ისედაც მაგვიანდება!

ექიმი მას მიუბრუნდა:

— დაწყნარდი! დომინგო შემპირდა, ორ სახედარს იშოვნის და უახლოეს ქალაქამდე მიგიყვანს. მერეც კარგა გზა გაქვს გასავლელი, ძალ-ღონე დაზოგე.

ქალს კოხტა ცხვირი და საოცრად მშვიდი, წყლიანი ფართო თვალები ჰქონდა. მან ტრინის მჭადი და რაღაც მწარე ბოსტნეული მოუტანა. მჭადი და შესატანებელი ტრინის ძალიან უყვარდა, მაგრამ ახლა ისე იყო აღელვებული, ჭამა აღარც ახსოვდა. ვიღაცის ხმა ჩასძახოდა: „საპატას უშველე, საპატას, მექსიკის საუკეთესო ადამიანს“.

## მათხოვარ ვალენტინთან

დაღამდა. ვირზე შემჯდარი, ჩაფიქრებული ტრინი დომინგოს ჩაქჩაქით მისდევდა გვერდით. მას უნდოდა, უკანაც იმავე გზით გამობრუნებულიყო, რომლითაც აქ ჩამოვიდა, ქალაქ მოლინოსთან ახლოს არ გაევლო. ეს ნახევარი დღით გაუგრძელებდა გზას. ამ ხნის განმავლობაში კი შეიძლებოდა საშინელი რამ მომხდარიყო: ვაითუ საპატა დათანხმებოდა მოლაპარაკებაზე.

— დომინგო! — ხმადაბლა დაუძახა ტრინიმ.

— ჰო, რა გინდა?

— მოლინოსზე მინდა გავიარო.

— ეგ ქალაქი ავაზაკ ჯარისკაცთა საბუდარია. გენერალი

გონსალესიც იქა ცხოვრობს. ქალაქის მისადგომებამდე კი მიგიყვანდი, მაგრამ მერე როგორ წახვალ?

— იქ ვინმეს ვიპოვნი და დამეხმარება.

დომინგომ ცოტა ხანს იყუჩა. ის შესცქეროდა თავის სახედრის ყურებს, სიბნელეში ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე რომ უპანტურებდა. მერე ჩურჩულით თქვა:

— აუცილებელია შენი იქ მისვლა? გესმის, რომ ეგ ძალიან საროსკოა?

— მესმის, როგორ არა, — მიუგო ტრინიმ. — ამას წინათ იქ ჩვენი ერთი მზვერავი გოგო შეიპყრეს. — ტრინის როზა გაახსენდა, მისი სახელი კი არ ახსენა.

— მერე რა უყვეს?

— არავინ იცის.

ამ ხნის მანძილზე ტრინი სულ როზაზე ნაღვლობდა.

— შენ მაინც გინდა, მოლინოსში შეიარო? — ჰკითხა დომინგომ.

— ხომ იცი, რატომაც. მოვალე ვარ.

●

შადრევნით დამშვენებული დიდი ბაზრის მოედანს სანახევროდ ჯერაც ისევ ჩრდილი ადგა. რამდენიმე ქალი ჩაჩოქილიყო და კალათებიდან ხილსა და ბოსტნეულს ალაგებდა. სასაუზმეებში მზარეულები ამთქნარებდნენ და მაყლებში ცეცხლის გაღვივებას ცდილობდნენ. ტრინიმ რამდენიმე ცალი ოქროსფერი ბანანი იყიდა და ჭამას შეუდგა, თვალით კი მოედანს ზვერავდა, განსაკუთრებით ქუჩის კუთხეს. ბაზარში მძარცველთა არმიის ჯარისკაცები ჯერ არ გამოსულიყვნენ. მოდიოდნენ ქვედატანებაკეცილი ფეხშიშველი ინდიელი ქალები, უფრო მეტად ორორნი, და თავიანთ ენაზე მშვიდად საუბრობდნენ.

მარცხნივ ვიღაც კაცი გამოჩნდა. ყოველ კუთხეში ჩერდებოდა და გზის გაგნება უჭირდა. იგი ბრმა მათხოვარი იყო. ტრინი მისკენ გაემართა ბანანის ღეჭვით. ამოთეთრებულ თვალებს მათხოვარი აქეთ-იქით ატრიალებდა.

ტრინი მათხოვართან მივიდა და უთხრა:

— მოდი, მამილო, ქუჩაზე მე გადაგიყვან.

მათხოვარმა ამოთეთრებული, ფართო თვალები ტრინის მი-

აპყრო და თავი დაუქნია. ტრინიმ მას მარჯვენა ხელი დაუჭირა და შიგ პატარა კენჭი ჩაუდო. ვალენტინი შედგა, თვალები საზარლად გადაატრიალა და მშვიდად და ხმადაბლა თქვა:

— ეკლესიაშიც მინდა შევიდე.

ტრინის ხელი ოდნავ მოსწია და უჩვენა, საითაც უნდოდა წასვლა. ქოხმახების გაყოლებით ციცაბო აღმართი აიარეს და ხეებით უწესრიგოდ შემორაგულ მოედანზე გავიდნენ. მოედნის შუაში საკმაოდ დიდი ეკლესია იდგა: ისინი შიგ შევიდნენ და პირჯვარი გადაისახეს.

ეკლესია შიგნიდან ნაირფრად იყო შეღებილი. საკურთხეველის ზემოთ, წმინდანთა ფრესკებს ოქროს ვარაყი ჰქონდა შემოვლებული.

— რომელი კუთხეა თავისუფალი? — იკითხა ბრმამ.

მარცხენა მხარეს არავინ ჩანდა. მაღლა, საკურთხეველს ქალი მტვერს სწმენდდა. მათ გვერდით, საკურთხეველის საფეხურზე ჩაიჩოქეს, პირჯვარი გადაიწერეს და საკურთხევლის ფრესკას შეაცქერდნენ.

ტრინი ვითომ ლოცულობდა, ჩურჩულით ყვებოდა, მძარცველები საპატას მოკვლას უპირებენო. ბრმა მოუსვენრად აწრიალდა და ამოთეთრებული თვალის კაკლები აატრიალა.

— ამბროსიას იცნობ? — იკითხა მან.

— ჩემი დიდედაა.

— რაც შენ მითხარი, ჩვენ ჯერ არ ვიცოდით, — განგებ გულგრილი კილოთი დაიწყო ვალენტინმა. — მაგრამ ეგ განზრახვა ალბათ მართლა აქვთ. სამი დღის წინათ ქალაქში უმაღლესი ოფიცრების შეკრება იყო. მათ ვილაც მეხიკოდან ჩამოსული კაცი ელაპარაკა. მე გატეხილ ფანჯარასთან ვიდექი, საიდანაც, თუ კარგი სმენა აქვს კაცს, ყველაფერს გაიგონებდა. ჩამოსულმა ბატონმა თქვა, ვენუსტიანო კარანსამ გამომგზავნაო. ჩემს ნათქვამს დაიმახსოვრებ, თუ კიდევ გაგიმეორო?

— არა, არ მინდა. დავიმახსოვრებ.

— პრეზიდენტმა ბრძანა, ოფიცრებისათვის გადაეცათ, საანგარიშო პატაკები მივიღე და ახლა უკვე ნათელია, რომ გლეხთა არმიის გასანადგურებლად ძალები არ გვეყოფაო. მერე ხმას ისე დაუწია, ძლივს გავიგონე, რასაც ამბობდა. ახლა განსაკუთრებულ ზომებს მივიღებთ და ძალთა თანაფარდობა ჩვენს სა-

სარგებლოდ შეიცვლებაო. დაიხსომე? განსაკუთრებულ ზომებს მივიღებთ, რითაც ძალთა თანაფარდობა ჩვენს სასარგებლოდ შეიცვლებაო. შეტევა რამდენიმე დღეში დაიწყება და არმია მზად უნდა იყოს. დაიხსომე?

— დავიხსომე მამილო.

— მერე პრეზიდენტის ელჩთან ერთად მთელი ღამე ღრეობაში გაატარეს. გუშინ შუადღისას ოფიცერთა და ცხენოსან ჯარისკაცთა ერთი ჯგუფი სადღაც გაემგზავრა.

— საით გაემგზავრა?

— აქეთ ჩაიარა, ეკლესიის გვერდით, მაგრამ საით, ამას ვერ გეტყვი. ალბათ სადმე ჩაუსაფრდება საპატას და მოკლავს.

— მაშ ახლავე უნდა გავიქცე! — წამოიძახა ტრინიმ. თუმცა ასე ყვირილი აქ არ შეიძლებოდა. — მამაო ვალენტინ, გამყოლს ხომ ვერ მიშოვნით? საპატას შველა ალბათ მარტო მე თუ შემიძლია.

## ტრინი საპატასაკენ მიეშურება

ვალენტინის ნაშოვნმა გამცილებელმა ტრინი შუადღისას ერთ სოფელში მიიყვანა. ამას იქით გზა აღარ იცოდა. მარჯვნივ შავი კლდეები აყუდებულიყო, რაც სოფელს კიდევ უფრო ნაღვლიან იერს აძლევდა, რადგან ალიზის ქოხები ისედაც შეუთეთრებელი იყო. სოფლის შუაში მტვრიანი და ხრიოკი მოედანი იყო. მოედნის ირგვლივ ქოხები იდგა. ქოხების სახურავებისთვის უხეშად გაჩორკნილი ხეები შეეყენებინათ, ვითომ სვეტებიაო.

მათ მეორე ქუჩაზე გაუხვიეს, სადაც თითქმის ქალაქური სახლების უკან გლეხური ქოხმახები იდგა. ერთი ქოხის წინ ქალი ჩამომჯდარიყო და მოყავისფრო-მოწითალო თიხიდან სურას ძერწავდა. მის გვერდით, მაგიდასთან, მამაკაცი იდგა და გამოუმწვარი ჭურჭლის ხორკლიან ზედაპირს ჯოხით ასწორებდა. უკან, თაროებზე, გამომწვარი და გამოუწვავი ქოთნები ელაგა.

ტრინის მეგზური მეთუნეს თავის ენაზე გამოელაპარაკა. ტრინს სიჩქარისაგან მოთმინება ეკარგებოდა, მექოთნე კი დინ-

ჯად და ნელა ლაპარაკობდა, ქოთნებს ჯოხს ნელ-ნელა უსვამდა და ესპანურად ღრიტინებდა:

— დაბლა, ვაკეზე მძარცველთა არმიის საგუშაგოებია. იქ ვერავინ გაიპარება. მთას უნდა შემოვუაროთ. იქ მიმავალ ბილიკზე გუშინ გუშაგი არ იდგა. გზა კი ძალიან ცუდია. — მან ტრინის გადახედა. — შენ ახალგაზრდა ხარ, თანაც კარგა ხანია მოდიხარ, იმ გზის გადავლას შეძლებ?

— შევძლებ, — თქვა ტრინიმ და დაუმატა: — საქმე საპატას ეხება, მაშასადამე, უნდა შევძლო.

მეთუნემ თითქოს გულგრილად მოისმინა ტრინის ნათქვამი. ჯოხი დასდო და ცოლს უთხრა:

— მჭადები ჩაგვილაგე, — მერე ტრინის მიმართა, — წყალი ხომ არ გწყურია?

— კი, ძალიან მწყურია, — მიუგო ტრინიმ.

— ერთი ქოთანიც მოგვეცი წყლისთვის. — მექოთნემ ნელა ჩაიცვა სანდლები.

ქალმა ქმარს მხარიღლივ ქოთანი გადაჰკიდა და სიტყვის უთქმელად სახეში შეაჩერდა. კაცმა ცოლს თავიანთ ენაზე რაღაც უთხრა, ალბათ არ შეგეშინდესო, დაუბარა.

მეთუნემ და ტრინიმ მოედანი გადაიარეს და ნელა გაუყვნენ გზას ქოხმახების გასწვრივ. სოფლის განაპირას რომ გავიდნენ, სადაც გზა ცუდი სავალი გახდა, მეთუნემ ნაბიჯს მოუმატა.

ბუჩქნარს რომ მიუახლოვდნენ, მექოთნემ თქვა:

— მართალია, აქ გუშაგები ვეღარ შეგამჩნევენ, მაგრამ მაინც ნუ ილაპარაკებ.

გზა ჯერ მაღლა მიიმართებოდა, მერე მთას უვლიდა ირგვლივ. მექოთნემ ნაბიჯს კიდევ მოუმატა. როცა იმ ადგილას მივიდა, საიდანაც ველი გამოჩნდა, მეგზურმა თვალი მოავლო იქაურობას, მაგრამ დაბლა, ეტყობოდა, არავინ იყო.

უცბად ერთ ადგილას მიეყინა და მერე აჩქარებით ჩაჯდა. ტრინიმაც მას მიბაძა.

კაცმა ხელი წინ გაიშვირა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საშიშროება იქიდან მოელოდათ. მერე ტრინი უკან გამოიყვანა და მთას ხოხვით აუყვნენ. ხოხვა ძალიან უჭირდათ, მაგრამ მალე გავიდნენ სწორ ადგილას. ინდიელმა ტრინის ქოთანი მიაწოდა და უთხრა:

— აჰა, დალიე და ცოტა წაიძინე. მეც მალე მოვალ. კარგად უნდა გამოიძინო. გესმის ჩემი? — მექოთნე ჩაფიქრებული უმზერდა ტრინის.

ტრინიმ თავი დაუქნია, გაგიგონებო. ისე იყო დაქანცული, ფეხზე ძლივს იდგა. მიხვდა, მექოთნე მარტოც მშვენიერად მოძებნიდა ბილიკს, რომ გუშაგებს გასხლტომოდნენ.

ტრინიმ არ იცოდა, რა ხანმა განვლო. ხელი წაჰკრეს თუ არა, მაშინვე გაახილა თვალები. უცნობის დანახვაზე ძალიან შეშინდა, მაგრამ თავსწამომდგარი ინდიელი ტრინის ალერსიანად უღიმოდა.

— ჩქარა წამოდი, მექოთნე იქ გელოდება, ზემოთ.

ტრინი ამ კაცს არ იცნობდა, მაგრამ მაინც გაჰყვა.

შუახნის, ჩასკვნილი მამაკაცი იყო. არც კი გასჭირვებია, ჯერ ტრინის შემოსვამდა კლდეზე, მერე თვითონაც აცოცდებოდა მარჯვედ. მაგრამ ორივე მალე ოფლში გაიწურა. სულ ცოცაბო კლდეზე მიდიოდნენ და მიდიოდნენ. შეიძლებოდა, საერთოდ, ასეთ ფრიალოზე ასვლა? უცნობმა, ეტყობოდა, გზა კარგად იცოდა. უცბად ტრინიმ განზე გამდგარ მექოთნეს მოჰკრა თვალი.

როგორც კი მიუახლოვდნენ, მექოთნემ თქვა:

— აბა, სწრაფად ვიაროთ.

ძნელად ასასვლელებზე ტრინის ორივე კაცი ეხმარებოდა. მაგრამ ტრინის მაინც უჭირდა მათი მიყოლა. მათაც შეამჩნიეს ტრინის დაღლა, მაგრამ, როგორც ჩანდა, აჩქარების მიზეზი ჰქონდათ. უცბად ბილიკი დაბლა დაეშვა. დაძაბულობისაგან ტრინის მუხლები უცახცახებდა. ღონიერმა ინდიელმა მას ხელი მიაშველა, რომ არ დაცემულიყო.

ბოლოს, როგორც იქნა, სწორ გზაზე გავიდნენ.

აჩქარებულ სიარულში უცნობმა უთხრა ტრინის:

— საშიშროებამ განვლო. მძარცველთა ჯარისკაცები აქ აღარ შეგხვდებიან. მაგრამ გზის ერთი ნაწილი მაინც სწრაფად უნდა გაიარო. შენს ბედზე შეკხვდი აქ მეთუნეს. ჩემი ბიჭი სოფელში გავგზავნე. ისინი იქიდან ჩვენსკენ მაცნეს გამოგზავნიან. იქაც მეორე მაცნე დაელოდება და ამბავს სხვას გადასცემს. ინდიელები მუდამ ასე შვრებიან. გასაგებია?

ტრინის ლაპარაკი აღარ შეეძლო და მხოლოდ თავი დაიქნია.

შუბლსა და კეფაზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. მეტისმეტად დაქანცულს ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა, მაგრამ ის მაინც გაიგო, რომ მის მაგივრად ახლა სხვები გაიქცეოდნენ.

ბუჩქს რომ შემოუარეს, დაინახეს მათკენ აჩქარებით მომავალი ახალგაზრდა.

ტრინი სულს ძლივს ითქვამდა და შიკრიკს სვენებ-სვენებით ძლივს დააბარა, რაც ბრმისაგან მოისმინა. ნეტავი არ დაიბნეს და ყველაფერი უთხრას.

შიკრიკს ტრინიმ სამჯერ გაუმეორა:

— კარანსას სურს, საპატა მოლაპარაკების გამართვის მიზეზით თავის ბანაკში მიიტყუოს და მოაკვლევინოს. იმას რომ მოკლავს, მძარცველთა არმია იერიშს მიიტანს უმეთაუროდ დარჩენილ გლეხთა არმიაზე.

## მწერლები

ბოლო შიკრიკმა ყველაფერი კარგად დაიმახსოვრა და ქალაქისაკენ გაეშურა, სადაც საპატა ცხოვრობდა. მზე უკვე დასავლეთისკენ გადახრილიყო.

შიკრიკი ქალაქისთავის შენობისკენ გაემართა, მაგრამ წინკარში არავინ შეხვედრია. ხომ არ ეახშმობდნენ? ხან აქ დააკაკუნა, ხან იქ, ზოგან კარებიც შეაღო და შევიდა: ძალიან საჩქარო საქმე იყო. ბოლოს ერთგან, ზემო სართულში, ერთი ახალგაზრდა კაცი შეხვდა, მას შავი შარვალი ეცვა, ქურთუკი კი გაეხადა.

— ემილიანო საპატას სად ვნახავ?

— აქ არ არის.

— მაშ ვის მივმართო?

— ყველა წასულია, — უგულოდ მიუგო მწერალმა.

— ძალიან საჩქარო საქმეა.

— მაშ მე მითხარი.

შიკრიკმა მას დანაბარები სიტყვა-სიტყვით გადასცა. მწერალი თვალებდაჭყეტილი უსმენდა.

— კარგი, გადავცემ, — საქმიანად თქვა მან და იმდენ ხანს

შეიცადა, სანამ შიკრიკი წავიდოდა. მერე ქურთუკი გადაიცვა და აჩქარებით შევიდა პატარა სამიკიტნოში, სადაც მისი ორი ამხანაგი პულკეს სვამდა.

— ჩქარა აქ მოდით!

— სამუშაო დღე დამთავრებულია. რა, საპატა ხომ არ დაბრუნებულა?

— არა, მაგრამ, — მწერალი დაიხარა და თავის ამხანაგებს წასჩურჩულა, — ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა.

უფროსთან გამოძახებაზე მნიშვნელოვანი რა უნდა ყოფილიყო? მაგრამ რაკიღა ამხანაგს მოუთმენლობა შეამჩნიეს, ფული გადაიხადეს და გამოვიდნენ.

თავიანთ ოთახში მათ გაიგეს, რომ საპატას მოკვლას უპირებდნენ და ალბათ გლეხთა არმიაზეც იერიშს მიიტანდნენ.

— ყველა მეთაური წასულია, — თქვა ერთმა. — ჩვენს არმიას ალბათ ბუღს აადენენ.

— ჩვენ კი, — დაუმატა მეორემ, — მძარცველთა არმიას ჩავუცვივდებით ხელთ. ისინი გვეტყვიან, ო, ვაუბატონებო, თქვენ ხომ აჯანყებულებს ემხრობოდით, აბა, კედელთან დადექით!

— მერე ჩვენ ხომ მათ ცნობებს ვაწვდიდით. განა არ გავაგებინეთ, რომ მათ ბანაკში ინესა და როზა დაზვერვაზე იყვნენ. როზა შეიპყრეს კიდეც.

— კი, ძმობილო, როგორ არა, ასე იყო, მაგრამ როცა მძარცველთა არმიის მეთაური ცხვირთან პისტოლეტს მოგიტანთ, მიდი და მერე ამტკიცე ეგეთი ამბები. არა, ბატონო, თავს ეგრე იოლად ვერ გავწირავ. ამაღამვე მოვცოცხავ აქედან.

— ესე იგი, მათ მხარეზე გადასვლა გინდა?

მწერალმა ეშმაკურად ჩაიცინა:

— მე სხვაგვარი გეგმა მაქვს. უფრო ჭკვიანური ის იქნებოდა, მარტო მე რომ გამეკეთებინა, მაგრამ თქვენი დახმარება მჭირდება. უპირველეს ყოვლისა, — მან ხმას დაუწია, — შიკრიკის მოტანილი ამბები არავინ არ უნდა გაიგოს, თორემ სასლში ხალხი აღარ გამოილევა და იმას ვეღარ გავაკეთებთ, რასაც ახლა გეტყვით.

ტრინიმ იცოდა, რომ შიკრიკები საპატას შტაბში მის დანაბარებს მალე მიიტანდნენ. მაგრამ ერთი-ორი საათი მაინც წაიძინა და ღამით ისევ გზას გაუდგა. ზურგზე ისევ ექიმის ჩანთა ეკიდა. ნეტავ საპატა თუ გააფრთხილეს?

მთვარე ამოვიდა, ღამეს შუქი მოჰფინა. ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა. როცა ტრინიმ ქალაქის მთავარ ქუჩას მიაღწია, არც ერთი სახლიდან შუქი არ გამოდიოდა, არც კაციშვილი ჩანდა სადმე. ტრინის გული გაუსკდა. ნუთუ არმიას განგაშის ნიშანი არ მისცეს?.. იმ სახლისაკენ გაემართა, სადაც ამბროსია ეგულებოდა. ოთახში მთვარის შუქი იჭრებოდა. ამბროსიას იატაკზე ჭილოფი გაეშალა და ზედ მიწოლილიყო.

— დიდედა! — ხმადაბლა დაუძახა ტრინიმ.

ამბროსიამ მაშინვე გაიღვიძა.

— ტრინი? უკვე დაბრუნდი? რა ჰქენი, ქალაქში ვერ ჩააღწიე? ლენინისათვის გასაგზავნი წერილი ვერ გადაეცი?

— გადავეცი. ჩემი შემონათვალი არ გადმოუციათ თქვენთვის?

— რა შემონათვალი?

— საპატას მტრის ბანაკში შეტყუება და მისი მოკვლა სურთ. მერე ჩვენს არმიაზეც იერიშს მოიტანენ.

ამბროსია ზეზე წამოიჭრა:

— რაო? საპატა და იერონიმო უკვე წავიდნენ, მათ მარიო და ნაწილის მეთაურებიც გაჰყვნენ.

— მოლაპარაკებაზე? — იკითხა შეძრწუნებულმა ტრინიმ.

— ჰო, ახლავე საპატას სახლში გავიქცეთ.

გზაში ტრინიმ უამბო, როგორ გამოგზავნეს ბანაკში შიკრიკი.

ამბროსია ხმას არ იღებდა და საპატას ბინისკენ გაჩქარებით მიაბიჯებდა. შევიდნენ სახლში. არც მარცხნივ და არც მარჯვნივ ოთახებში არავინ იყო. მერე ზემოთ აირბინეს. იქაც არავინ იყო.

ამბროსია ერთი წამით შედგა.

— ნეტავი მწერლები სადღა არიან? — მერე ტრინის მიუბრუნდა: — ბალთასარი სად ცხოვრობს, თუ იცი?

— ვიცი.

— ახლავე აქ მოიყვანე! არა, არ გინდა! სჯობს, ჩვენ მივიდეთ მასთან.

ბალთასარი გააღვიძეს და შეატყობინეს, საქმე ცუდად არისო. საპატას გაფრთხილება აღარ შეიძლებოდა. მტრის იერიშის მოსაგერიებლად აუცილებელი იყო არმიის მომზადება.

— დიდი ქვეგანაყოფის მეთაურთაგან ადგილზე ვინა დარჩა? — იკითხა ამბროსიამ.

— ყველა წასულია.

— მაშასადამე, არმიის მეთაურობა შენ უნდა ითავო.

თავზარდაცემულ ბალთასარს უარის თქმა უნდოდა. სიბნელეში არ ჩანდა მისი სახის გამომეტყველება.

ამბროსიამ პასუხი აღარ აცალა, გადაჭრით უთხრა:

— შეიძლება მძარცველთა არმია გათენებისას დაგვესხას თავს. მანამდე კიდევ ორიოდ საათი გვრჩება. ახლავე გავგზავნი ინესას მოლინოსში, ყაჩაღ გონსალესთან. ინესას გულუბრყვილო სახე აქვს, თორემ, ისე ძალიან ეშმაკია. უნდა გავიგოთ, რას უზამენ საპატას, ან ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებას თუ ფიქრობენ. მე საპატას ბინაში გადავალ. ყველა ცნობა იქ მოდის. ბალთასარ, გათენებამდე არმიის მომზადებას მოასწრებ?

— ყველა ნაწილისას ვერა. ყველგან ახალი მეთაურის დანიშვნაა საჭირო. მაგრამ ამისი ნუ გეფიქრება, ამბროსია, თავდაცვით ბრძოლებში კარგად გავიწაფეთ.

ინესას რომ მოელაპარაკნენ, ამბროსია და ტრინი ქუჩაში გამოვიდნენ. კაშკაშა მთვარის შუქზე არმიის ნაწილებს უკვე თავმოყრა დაეწყოთ და გასამგზავრებლად ემზადებოდნენ.

ამბროსიამ ჭრაქი მოძებნა საპატას ბინაში და აანთო. ნეტა ეს მწერლები რაღა იქნენ? ეგებ გამოთვრნენ და სადმე მიეყარნენ?

დიდედა და შვილიშვილი ოთახების ჩხრეკას შეუდგნენ. აქაიქ ქაღალდების დასტები ეყარა, ძველი ქალაქისთავის საქმიანი ქაღალდები.

იერონიმოს ოთახს რომ მიადგნენ, ამბროსიამ ტრინის უთხრა:

— ერთი აქეთ მომინათე ეგ ჭრაქი!

აქ დამტვრეული ყუთი იდგა. ქალი დააცქერდა. იგი გლეხთა არმიის საველე სალარო აღმოჩნდა. სალარო გაეტეხათ და დაეცარიელებინათ.

— აი, ამიტომ აღარსად ჩანან მწერლები, — თქვა ამბროსიამ და მკაცრი, შავი თვალები ტრინის მიაპყრო. — მწერლის მოვალეობას ახლა შენ შეასრულებ.

— ცუდად რომ ვწერ? — მიუგო დაბნეულმა ბიჭმა.

— სალაროს ხომ არ გაძარცვავ!

ტრინი დაქანცული იყო, მაგრამ რა დააძინებდა, როცა სხვები ბრძოლის ველზე მიდიოდნენ. ვთქვათ  და საპატა მოკლან? ან იერონიმო? ან მარიო? ტრინი ყველას იცნობდა, ვინც კი საპატას გაჰყვა. ხშირად  ეხუმრებოდნენ ხოლმე: ერთი ამ ფეხმარდ ტრინის დამიხედეთ, ნასწავლი კაცი გაგვიხდაო.

ნუთუ ყველანი დახოცეს?

ტრინიმ უკან მოიხედა და კარებთან აჩრდილივით ატუზული კნაჭა დაინახა.

— უკვე მობრუნდი? — ჰკითხა მან. — რა ამბავია? ჯარი საით მიდის?

ტრინის ყველაფერი თავიდან უნდა ეამბნა და საშინელი გულისტკივილი იგრძნო. ნუთუ აღარაფერი ეშველება, საპატას მოკლავენ?

კნაჭა თვალებგაფართოებული შესცქეროდა ტრინის და ხმას ვერ იღებდა. ორივენი სკამებზე მიყინულიყვნენ. ოთახში გრილი ღამის სიო იჭრებოდა, მაგრამ ტრინი ვერაფერს გრძნობდა.

ინათა. მათი ადგომის დრო მოსულიყო, ტრინი კი ჯერ არც დაწოლილიყო. ამომავალმა მზემ ყმაწვილებს ნაღველი ვერ გაუფანტა. რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი ამბროსიას და კანდელარიას სანახავად გაემართნენ. ორივეს ჯავრისაგან სახეზე მკვდრისფერი დასდებოდა და კრიჭა შეჰკვროდათ.

## მკვლელების ნადიმი

ლეიტენანტმა ტორესმა ჩაბნელებულ ქუჩაზე მისკენ მომავალი მხედრები შეამჩნია. გენერალ გონსალესის სახლის წინ ცხენებიდან რომ ჩამოხტნენ, ოფიცრებში ტორესმა თავისი მეგობარი ალონსო შეიცნო. ეს ის ალონსო იყო, რომლის შემწეობითაც თავის დროზე მეხიკოში ტორესი არმიაში ისევ ლეიტენანტის ჩინით მიიღეს. ამ ხნის მანძილზე ისინი საერთო საქმეშ ერთმანეთთან მჭიდროდ დააკავშირა. მათი საქმე კი არ იყო კეთილი საქმე. ტორესი ალონსოსთან მივიდა.

— საიდან მოდიხართ ასე გვიან?

ალონსომ პირზე თითი დაიდო, გაჩუმდიო. ტორესმა ახლალა შეამჩნია, რომ მოსულთა შორის თვით გენერალი გონსალესიც იმყოფებოდა. როგორც კი გენერალი მაღალი ჩინის ოფიცერთა თანხლებით სახლში შევიდა, ალონსომ თქვა:

— რაღაც დალევის ხასიათზე ვარ.

— აი, იმ დარბაზში შევიდეთ. იქ მაიორი სალვო კანო თავის დაბადების დღეს ზეიმობს.

— არა, იქ არ მინდა! — თქვა ალონსომ.

— რა დაგემართა? დღეს კაცი ვერ მოგეკარება.

— ნუ მეკითხები, — თქვა აღელვებულმა ალონსომ. — არ მინდა, იმ ზეიმის დამსწრე ოფიცრებმა ახლა გამოკითხვები მომიწყონ.

— რა მოხდა? რაშია საქმე?

ალონსო დაიხარა და ტორესს წასჩურჩულა:

— საპატას შევხვდით და...

— გლეხებს მოლაპარაკებაზე შეხვდით? მერე გენერალმა რა თქვა?

— მოლაპარაკებაზე კი არა! ყველანი მივაწვინეთ! კაციშვილი ცოცხალი არ გაგვიშვია!

— დიდებული საქმე გიქნიათ! — წამოიყვირა ტორესმა.

— ნუ ყვირიხარ, კაცო! ყველას ხომ არ გავაგებინებთ, ეგ საქმე ვინ ჩაიდინა.

— მაშ შენც... მონაწილეობდი მაგ საქმეში?

— ამისათვის წამიყვანეს, აბა რა!

ორივე გაჩუმდა, რადგან ვიღაცის აჩქარებული ფეხის ხმა შემოესმათ.

— ოჰ, ეს თქვენა ხართ? — თქვა კაპიტანმა. — ახალი ამბავი იცით? გლეხთა არმიის მეთაურები გაწყვიტეს. დასალევი მიზეზი გაგვაჩნდა.

— რას ამბობ?! — გაიოცა ალონსომ, თითქოს ამ ამბისა არაფერი გაეგებოდა და ახლა კი გაბედულად შეჰყვა კაპიტანს მოქეიფეთა დარბაზში.

სახლი მალე გაივსო ოფიცრებით, ყველა აგზნებული ლაპარაკობდა და ერთმანეთს არ აცდიდნენ. ალონსომ ერთი ჭიქა პულკე გადაჰკრა.

— აქეთ მოდით! — ყვიროდა კაპიტანი. — მაიორის სადღეგრძელო დავლიოთ! აი, ზეიმი ეს არის. ახლა კი ეგრეთ წოდებულ გლეხთა მოძრაობას წირვა გამოუვიდა!

მოქეიფეებს მუსიკა მოუნდათ.

ოფიცრები სავსე ჭიქებით მაიორს მიეახლნენ სადღეგრძელოს შესასმელად. იგი მათ ფეხზე წამოუდგა და ერთი წამით გაიღიმა, მერე კი სახეზე საშინელმა ფერმა გადაჰკრა.

როცა ახალგაზრდა ოფიცრები კვლავ თავთავიანთ ადგილებზე მილაგდნენ, ტორესმა ალონსოს წასჩურჩულა:

— გლეხების დახოცვის გამო მაიორს სინდისი ხომ არ ქენჯნის? ნუთუ იმდენი არ ესმის, რომ ახლა ჩვენი მამულები ისევ ჩვენს ხელთ გადმოვა? ალონსო, ჩემო მეგობარო, როცა მე ისევ ჩემს მამულში ფეხს მოვიკიდებ, — ჩემი მამული ძალიან დიდია და ჯერაც ყველაფერი ხელუხლებელი, — აუცილებლად უნდა მესტუმრო. სანადიროდ წაგიყვან... არყის სახდელი ქარხანაც მაქვს. აი, ახლა კი უზრუნველი ცხოვრება გვექნება!

— ლეიტენანტო ალონსო! — დასჭექა კაპიტანმა. — აქეთ მოდით! განსაკუთრებული დამსახურების გამო თქვენ კაპიტნობა მოგანიჭეს!

ალონსო შეკრთა. ახლა მის ნამოქმედარს ყველა გაიგებს. ამჟამად ტორესისთვისაც ცხადი შეიქნა, რომ ამ ამბავში მის მეგობარ ალონსოს უთამაშია მთავარი როლი. ტორესს გული დაუმძიმდა და სკამზე ჩამოემხო. „ხომ არ მშურს მეგობრისა? — ფიქრობდა იგი. — მერედა როგორ შეიძლება, ეგ ხომ ჩემი მეგობარია, ამას გარდა...“ — ტორესმა თავი მაღლა ასწია და დაინახა ალონსო, რომელსაც ყველანი გარს შემოხვეოდნენ, ჭიქას ჭიქაზე უჯახუნებდნენ და მის სადღეგრძელოს სვამდნენ. ალონსო დარცხვენილი აღარ გამოიყურებოდა. თავი მაღლა აეწია და სახეზე ალმურმოდებული ჭიქას ჭიქაზე ცლიდა.

„ხედავ, რაში ყოფილა საქმე? — ფიქრობდა ტორესი. — ალონსოს, როგორც ჩანს, ეშინოდა, რომ მის მიერ ჩადენილი საქმის შემდეგ ყველა ალმაცერად დაუწყებდა ცქერას. ახლა კი მიხვდა, რომ ამის გამო გენერალი გონსალესი ყველას დასანახავად აჯილდოებდა. მე კი...“ ტორესი სიამოვნებით წავიდოდა აქედან, მაგრამ მეგობრები დასცინებდნენ, შეგშურდა, რადგან ეს საქმე შენ არ მოგანდესო.

ინდიელი მუსიკოსები შემოვიდნენ. მხარზე, ძველი ჩვეულებისამებრ, შალის ჭრელი საბნები ჰქონდათ გადაფენილი. ახოვან ოფიცრებთან შედარებით ყველა ტანმორჩილი ჩანდა. ადვილად მიხვდებოდით, რომ ინდიელები გამუდმებით შიმშილობდნენ.

„წყეული ბანდა, — ფიქრობდა ტორესი. — ვინ იცის, ეს ნა-

ყარ-ნუყარი ხალხი აქ ჩვენს დასაზვერავად შემოვიდა? ყველა გლეხების სასარგებლოდ მუშაობს.“

გამხიარულებული კაპიტანი უცბად ტორესს გამოეჭიმა.

— ჩვენთან წამოდით!

— რატომ, ბატონო კაპიტანო?

— როგორ თუ რატომ? — კაპიტანს უკვე თვალები ამღვრეოდა. — განა თვითონ არ გესმით? ჩვენ ხომ ორი მიზეზი გვაქვს ზეიმისა: მაიორის დაბადების დღე და საპატას მოსპობა, მაგრამ ღმერთს სამება უყვარს! ორი აჯანყებული გვყავს ჩაკეტილი და თოკი უნდა დავუგრიხოთ.

ტორესი ფეხზე წამოხტა. დღეს ყველაფერზე ხელს მოაწერდა, ოღონდ ამ მძიმე ფიქრებიდან გამოეყვანა.

ამასობაში მუსიკოსები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. თუ ვინმე ოფიცერი მიუახლოვდებოდა, ხმამაღლა დაიწყებდნენ მსჯელობას, რა დავუკრათო. ერთი ინდიელი ამხანაგებს გაცხარებით ელაპარაკებოდა:

— ოჯახი მეცა მაქვს, მაგრამ მაგათთვის არაფრის გულისთვის არ დავუკრავ. ჩვენ გვითხრეს, დაბადების დღეს ვზეიმობთო, ახლა კი ხომ გაიგონეთ, რასაცა ზეიმობენ! ჩვენი გმირის, საპატას მოკვლას ზეიმობენ! — ინდიელს თვალები ცრემლებით ევსებოდა.

ერთმა ოფიცერმა ჰკითხა:

— მაგას რა აღმუვლებს?

— ოჰ, ბატონო ლეიტენანტო, — მიუგო მანდოლინისტმა,— ხანდახან, როცა დალევს ხოლმე, ეგრე იცის აღმუვლება.

— მაგისთანა ამბები შენ მე მკითხე! — გაეცინა ოფიცერს.

— აბა, წავიდეთ! — წასჩურჩულა მანდოლინისტმა დანარჩენებს. — თუ გვკითხეს, რად მიდიხართო, ვუთხრათ: გენერალმა დაგვიბარაო.

კარგა გამობრუჟული მაიორი ახლადგამომცხვარ კაპიტან ალონსოს მიუჯდა და ყაყანი რომ დაეფარა, ხმამაღლა დაიღრიალა:

— თქვენ, ჭაბუკო, საერთოდ, ვერ ხვდებით, რა საქმე გაკეთდა! თქვენა გგონიათ, საპატას მოკვლა ჩვენთვის, ოფიცრებისათვის, ბედნიერებაა. სინამდვილეში კი დიდი უბედურებაა. ამჟამად ომი დასრულდა. ჩვენ კი რითი ვიცხოვრებთ? ომით ვირჩენთ თავს! ჩვენვე დავუშავეთ ჩვენივე თავს.

საპატას ოთახში გლეხთა არმიის ახლად დანიშნული მეთაურების თათბირი მიმდინარეობდა. ისინი ისხდნენ გაწყობილი საწოლის გვერდით, საპატა ამ საწოლზე არ წვებოდა, ქვეშავებში წოლა კაცს ანაზებსო. აგურის იატაკზე ჭილოფს აშლევინებდა და იმაზე იძინებდა.

საწოლის თავზე დღესაც ეკიდა საპატას მაჩეტე, როგორც მისი პატრონის გლესობის დამადასტურებელი ნიშანი.

ბალთასარი და ამბროსია კარის პირდაპირ ისხდნენ, ერთმანეთის გვერდით. თუმცა ალერსიანად უციმციმებდა, ბალთასარს თვალებში ნაღველი ჩასდგომოდა. ამბროსია მსრეგაშლილი, წელში გამართული იჯდა, მკაცრი სახით. ყველა დუმდა.

— ახლა როგორ მოვიქცეთ, აზრი გამოთქვით!—თქვა ბალთასარმა.

ერთი ჩასკვნილი, დაბალი გლეხი წამოდგა. თვალებიდან ცრემლები ჩამოსდიოდა.

— საპატა მოგვიკლეს. ის ჩვენი თავი იყო. უთავოდ ხელი რას იზამს, წასულია ჩვენი საქმე.

მერე არაკუნე წამოხტა. მეტისმეტად ახოვანი არაკუნე დანარჩენებს ზემოდან დასცქეროდა.

— ჩვენ, ახალგაზრდები, საკუთარ მამასავით ვცემდით პატივს. ახლა ვინ იქნება ჩვენი მეთაური. — თავი მოწყვეტით დაჰკიდა და დაჯდა.

დამწუხრებულ მეთაურებს თავები ჩაეკიდათ და ცხარედ ტიროდნენ.

ტრინი და კნაუა მათ ზურგსუკან იდგნენ. ტრინისაც ვული უკვნესოდა, მაგრამ არ ტიროდა, რადგან მისი დიდება გაბრაზებული ჩანდა. ამბროსია ხან ერთს გადახედავდა და ხან მეორეს. მერე ბალთასარს მიუბრუნდა და რაღაც წასჩურჩულა. ადგა და ოთახიდან გავიდა.

ერთი მეთაური, რომლის შავი სახე თვალში გეცემოდათ, წამოდგა და თქვა:

— ბრძოლა უკვე აღარ შეგვიძლია. სოფლებში მიწა ელის კაცის მარჯვენას. შინ უნდა დავბრუნდეთ.

ამბროსია ოთახში შემობრუნდა. მას ახლა მამაკაცის შარვა-

ლი ჩაეცვა და წელზე სატყვიაწამლე შემოეკრა. თავზე ფართოფარფლიანი სომბრერო დაეხურა. ასე გამოწყობილმა ამბროსიამ ჩაუარა დაძმარებულ მეთაურებს. მათ გაოცებით გააყოლეს თვალი.

ბალთასარამდე რომ მიაღწია, შებრუნდა და ქუდი მოიხადა.

— მამაკაცები რომ ქალებად იქცევიან, მაშინ ქალებმა უნდა გაანძრიონ ხელი. თქვენ ამბობთ, ჩვენი საქმე დაღუპულიაო. ამ ქალაქის გარშემო მდებარე სოფლებში ჩვენი არმიაა განლაგებული. იარაღი აქვთ? აქვთ. მეთაურები ჰყავთ?—ამბროსიამ იქ შეკრებილთ მკაცრად გადაავლო თვალი. ხმა ვერავინ ამოიღო. ყველა იმას ელოდა, თვითონ ამბროსია რას იტყოდა. აღარავინ ტიროდა. — დიახ, მეთაურები ჰყავს, თანაც ისეთი, რომელთაც ბრძოლა კარგად იციან. ეს მეთაურები თქვენა ხართ! თქვენ კი დგახართ და მოსთქვამთ და გოდებთ. იქ კი სოფლებში მძარცველთა არმია დაპარპაშებს. იქაურმა გლეხებმა თქვენზე უკეთ იციან, რაც უნდა ქნან. ისინი ჩუმჩუმად ეპარებიან მტრის გუშაგებს და ჩვენთან ახალ-ახალი ცნობები მოაქვთ. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ მძარცველთა გენერალი მოულოდნელად თავს არ დაგვესხას და არ გაგვანადგუროს. თქვენ კი ახლა გინდათ მიიფანტ-მოიფანტოთ! აბა, თქვენ იცით, ვენუსტიანო კარანსას, ჩვენი საპატას მკვლელს გულს თუ არ ატკენთ. მერე მოგდგებათ და სათითაოდ გამოგიჭერთ. იმედია, ტყვიასა და გასანთლულ თოკს არ დაიშურებს თქვენთვის.

— ჰოდა, არმიასაც შენ გაუძეხი, ამბროსია!—შესძახა ერთმა მეთაურმა.

— მე სროლა არ ვიცი, მაგრამ ვისწავლი. არმიას კი არ გავუძღვები. აი, არმიას ეს გაუძღვება, — ამბროსიამ ბალთასარისაკენ გაიშვირა ხელი.

ბალთასარი ფეხზე წამოდგა. სახეზე სამხედრო მეთაურისთვის შეუფერებელი ღიმილი დასთამაშებდა.

— ამბროსია, იმედი მაქვს, შენთან ერთად გავუძღვე ამ საქმეს. შენ ხომ უკვე შარვალი ჩაიცვი. ჰოდა, იყავი პოლკოვნიკი! — თქვა მან. გახარებული გლეხები თავს უქნევდნენ. ამბროსიამ ხელი მბრძანებლურად ასწია.

— სათქმელი ჯერ არ დამისრულებია. ერთი მზვერავი გოგონა მატყობინებს, ყაჩაღ გონსალესს ჰგონია თურმე, თავგზა

დაგვებნა. მართალია, აქამდე არ დაგვსხმია, მაგრამ გვიპირებს თავდასხმას. შევიძლებთ ბრძოლას, თუ უკან დავიხიოთ?

— ხელსაყრელი პოზიციები გვიკავია, — თქვა ბალთასარმა. — მარცხნივ თითქმის მიუდგომელი მთა გვიცავს, მარჯვნივ კი გზა.

## ღამის იერიში

გლეხთა არმიის ჯარისკაცებს ისევე, როგორც არმიის მეთაურებს, თავიანთი საქმე დაღუპულად მიაჩნდათ. მაგრამ ახლა, თათბირის შემდეგ, ახალმა მეთაურებმა და მათმა უფროსებმა— ბალთასარმა და ამბროსიამ ბრძანება გასცეს, თავდაცვითი ბრძოლები აწარმოეთო. ამან ყველა გაახარა და გამოაცოცხლა.

გენერალმა პაბლო გონსალესმა გადაწყვიტა, იმ აღვირახსნილი ღრეობის შემდეგ დრო აღარ დაეკარგა. იგი აპირებდა უმეთაუროდ დარჩენილ გლეხთა არმიას თავს დასხმოდა და ქვა ქვაზე აღარ დაეტოვებინა. ამ საკითხის განხილვისას გენერალი ხელქვეითებს უხეშად ეჭცეოდა, რადგან მეთაურთა ერთი ნაწილი ჯერაც ისე გალეშილი იყო, რომ ყოველგვარ სისულელეზე იკრიჭებოდნენ.

ორი საათის დაღამებულიც არ იყო, რომ გენერალი ერთ გზაჯვარედინს მიადგა. აქ უნდა გაჩერებულიყო, რადგან გზაზე ის პოლკი მიდიოდა, რომელიც საბრძოლო პოზიციაზე უკვე ერთი საათის წინ უნდა განლაგებულიყო. გენერალი შეეცადა კოლონისათვის წინ გაესწრო, და შესძახა:

— მარჯვნივ მიდექით!

მაგრამ ჯარისკაცები ლანძღვას მოჰყვნენ:

— აბა, ერთი შენა სცადე ამ ოღრო-ჩოღრო გზებზე ფეხით წანწალი.

სიბნელეში ჯარისკაცებმა გენერალი ვერ იცნეს. ეს წამოძახილი მას მაინც ავისმაუწყებლად ენიშნა. ასეთ საუბარსაც მოჰკრა ყური: „თუ ჩვენს მეთაურებს ისე ჰგონიათ, რომ ვლეხთა არმია თავისითაც მიიფანტ-მოიფანტება, მაშინ ცეცხლში რაღას გვერეკებიან?“

მას ნაბრძანები ჰქონდა, ჯარს საბრძოლო პოზიციები სრულიად უხმაუროდ დაეკავებინა. მაგრამ იმის გარდა, რომ ჯარისკაცებს ბრძოლის არავითარი სურვილი არ გააჩნდათ, საკმაოდ გაუფრთხილებლად ილანძღებოდნენ და ყაყანებდნენ.

## G'

ერთი სოფლიდან, სადაც მძარცველთა არმიას მოუხდა გავლა, ვიწრო ბილიკს ფრთხილად მოუყვებოდა ახალგაზრდა ინდიელი. ბავშვობისას მას ამ მიდამოებში ხშირად უმწყემსია თხები და ყოველ ბილიკს კარგად იცნობდა. ის ადგილებიც კარგად ახსოვდა, სადაც გლეხთა არმიის გუშაგები წინა დღეს იდგნენ. ამიტომ ძალიან გაუკვირდა, როცა წინიდან ხმაური შემოესმა. ნუთუ აქ უკვე მძარცველები იდგნენ? გზა მეტი სიფრთხილით განაგრძო, შიშველ ფეხებს ჩუმ-ჩუმად ადგამდა. უცბად მისთვის გაუგებარ ინდურ ენაზე ჩურჩული შემოესმა.

ყმაწვილი ბუჩქებს ამოეფარა და ნელ-ნელა, ხელის ცეცებით ორიოდე ნაბიჯი კიდევ გადადგა. უცბად მარცხენა მხარეზე რაღაც მოთეთრო შეამჩნია. ეს ალბათ გლეხი იყო. მარჯვნივაც ასევე. გლეხთა არმიის მზვერავები ასე შორს გამოსულან? ჭაბუკი წინ წამოდგა. სიბნელეში მისი მოსვლა ვერ შეამჩნიეს, მაგრამ როცა ესპანურად იკითხა, მეთაური რომელიაო, გლეხები მისი ლაპარაკის კილოზე მიხვდნენ, რომ ადგილობრივი ინდიელი იყო. ერთ-ერთმა მას ხელი წაავლო, ბუჩქები შემოატარა და მეტისმეტად მაღალ კაცთან მიიყვანა.

— არაკუნე, ამ კაცს შენთან რაღაც სათქმელი აქვს.

— მე აი, თქვენს წინ რომ სოფელია, იქიდანა ვარ, — თქვა მაღალმა კაცმა. — მძარცველთა არმია აქეთ მოდის. ახლა, მგონი, შორს აღარ უნდა იყოს.

— ეგ ამბავი ჩვენ უკვე ვიცით, — ხმადაბლა თქვა არაკუნემ. — მაგრამ კარგია, რომ ასე უცბად გვატყობინებთ. ახლა აქ დარჩი, თორემ შეიძლება ვისიმე ცეცხლში მოხვდე. მძარცველებს ჩვენი ასე შორს წამოსვლა გაუკვირდებათ, — ჩაიცინა არაკუნემ.

გენერალმა გონსალესმა ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია გზაჯვარედინს. ეს გზაჯვარედინი საკმაოდ შორს მდებარეობდა იმ ხაზისაგან, სადაც შეჯახება იყო მოსალოდნელი, თუ გლეხთა არმიას ბრძოლა კიდევ შეეძლო. ისიც მოსალოდნელი იყო, რომ მას სადღაც სოფლებში მიმოფანტულს ეძინა.

აღელვებული გენერალი ბოლთას სცემდა. თუმცა ზუსტად არ იცოდა, მეწინავე საიერიმო რაზმები სად იმყოფებოდა. მაგრამ ცხადი იყო, ძალიან დაიგვიანეს და თანაც მეტისმეტი უწესრიგობა სუფევდა. ბრძოლის მოგება კი დღეს წინანდელზე მეტად სჭირდებოდა. მაჯაზე საათის მანათობელ ისრებს დაჰყურებდა. მთვარე მალე ამოვიდოდა, ხოლო ამ დროისთვის იგი უკვე გლეხთა არმიის მიერ დაკავებულ სოფლებში უნდა ყოფილიყო.

სადღაც მარჯვნივ, სულ ახლოს, შაშხანის ჭახანი მოისმა.

„ვინ ძაღლიშვილმა გაისროლა ნეტავ?“ — გაიფიქრა გენერალმა.

პირველ გასროლას კიდევ რამდენიმე მოჰყვა, მერე ერთი ჭახა-ჭუხი ატყდა. ისევ მარჯვნივ ისროდნენ, ახლოს. „რას ნიშნავს ეს? მისთვის მიწოდებული ცნობებით იქ გლეხთა არმიის ნაწილები არ უნდა მდგარიყვნენ. ჰო, აი, სროლა ჩაჩუმდა კიდეც. ალბათ ვიღაცას ნერვებმა უღალატა და სხვები კი მას აჰყვნენ. ცუდია, ცუდი! მოულოდნელი თავდასხმის იმედი ახლა ტყუილია.“

გენერალი თანდათან ნერვიულობდა.

შაშხანების ტკაცა-ტკუცი ახლა მარცხნივ და წინ ატყდა. გენერლის ირგვლივ ტყვიების წუილი გაისმა და მან უნებურად თავი დახარა. მაგრამ მაშინვე გასწორდა: მას ხომ ჯარისთვის მაგალითი უნდა ეჩვენებინა! მისი გონება გამალებით მუშაობდა. ძნელი სარწმუნოა, რომ მოწინააღმდეგემ ორი კილომეტრის მანძილიდან დაიწყოს სროლა, მაგრამ ასე ახლო როგორ გაჩნდნენ? ცეცხლი კი ძალზე ინტენსიური იყო. ნუთუ მზვერავებმა ყველაფერი ასე მალე შეატყობინეს გლეხებს? მათი მზვერავები ყველგან არიან, გენერალს კი მისიანები თითქმის არაფერს უკეთებენ. ხანდახან ეჭვობს კიდეც, რომ მზვერავები ყალბ ცნო-

ბებს აწვდიან. შეჩვენებული ინდიელები, ყველა საპატას უჭერს მხარს!

მხარმარჯვნივ მთვარე ამოვიდა. მისი დიდი, მოწითალო ბურთი გადახრიოკებულ მინდვრებს თავს დაადგა.

მარცხნივ ქვემეხების გუგუნი ატყდა. მაგრამ ნეტა საით ისვრიან? თუ გლეხების არმია მზად არის საბრძოლველად და ასე ახლო იმყოფება, არტილერია ალბათ მათ თავს ზემოთ ისვრის.

„დღეს ყველაფერი უკეღმა მიდის, — ფიქრობდა გენერალი, — მაგრამ რა ვიღონო? ერთმა პოლკმა რომ რაიმე შემატყობინოს, კიდევ ჯანდაბას. ის მაინც მეცოდინება, სად განლაგდნენ".

ქვემეხები ყურისწამღებად გრიალებდნენ.

მთვარე უფრო მეტად კაშკაშებდა.

გენერალს მოეჩვენა, თითქოს თოფების სროლა თანდათან მიწყდა. გარშემო ტყვიები აღარ ზუზუნებდნენ. მადლობა ღმერთს! მაშასადამე, გლეხებმა უკან დაიხიეს.

უცებ შორს აჩოჩქოლებულ ხალხს მოჰკრა თვალი. აქეთ მოიწევდნენ. ნუთუ მისი ჯარისკაცები გამორბოდნენ?

გენერალმა შტაბის ოფიცრებს სასწრაფო ბრძანება მისცა: დაიყავით და უკანდახეულთა სელა შეაჩერეთო. თვითონ კი ერთ გამოქცეულს მიაძახა:

— უკან რატომ იხევ?

— წინ მხოლოდ დახოცილებია! — ჯარისკაცი არც შეჩერებულა, გვერდით ჩაურბინა და მიიმალა.

ნირწამხდარმა ახლა სხვა უკანდახეულის შეჩერება სცადა. მას იარაღიც გადაეგდო და ისე გამორბოდა. შტაბის ოფიცრებიც ვერაფერს გახდნენ. ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად გარბოდნენ გზაზე, ზოგს დაჭრილები მოჰყავდა. ყველა მათგანი დაბნეულ-შეშინებული გამოიყურებოდა.

უცბად ქვემეხების გუგუნი შეწყდა. ეს რაღას ნიშნავს? გენერალმა გარშემო მიიხედ-მოიხედა. ერთი ოფიცერი წინ აეტუზა და ქუდის საჩიხთან ხელი მიიტანა.

— თქვენო აღმატებულებავ, ჩვენს წინ აღარავინ დარჩა!

აღელვებულმა გენერალმა ბრძანება გასცა:

— უკან!

გენერალი ცხენს უკან მოაჭენებდა და გაგულისებული ფიქრობდა, ამ დამარცხებამ სამუდამოდ დამიკარგა იმედი, ვეღარასოდეს ვეღარ გავხდები უძლიერესი კაცი სახელმწიფოშიო.

## ჯანუი

მოლინოსში დაბრუნებულ გენერალ გონსალესს ქალაქის ცენტრი ჯარით გაჭედილი დაუხვდა. ჯარისკაცები ყვიროდნენ და იგინებოდნენ. ეს მან ჩვეულებრივ ამბად მიიჩნია და ცხენი გაუფრთხილებლად წინ მიუშვა, რომ გზა ძალით გაეკვლია.

— უკან დაიხიე! აქ გასასვლელი არ არის! — შეჰყვირა ვილაც ჯარისკაცმა.

გენერალს სისხლი აუვარდა თავში.

— თქვენ ალბათ არ იცით, ვინა ვარ. გამატარეთ!

ახლა მეორემ დაუყვირა:

— ჯერ ჩასახეთქი მოგვეცით! შიმშილით მუცლები გვიყამუის!

— ამ საკითხზე თქვენს მეთაურს მიმართეთ! — მოუთმენლად მიახალა გენერალმა. — ეს მისი საქმეა.

— ერთი ამას უყურეთ! — გაცხარდა მესამე. — საჭმელისათვის გამოყოფილ ფულს სულ თვითონ იჯიბავს, ახლა კი გაიძახის, თქვენს მეთაურს მიმართეთო!

ერთი ჯარისკაცი ამხანაგების ზურგს ამოეფარა და დაიყვირა:

— ჩვენც საპატასავით ვერაგულად გვეპყრობიან. მას ჯერ პატიოსანი სიტყვა მისცეს, შემოიტყუეს, მერე კი მოკლეს!

გენერალი მიხვდა, რომ საშიში მდგომარეობა იქმნებოდა.

უკანიდან ახალ-ახალი ნაწილები აწვებოდა. გენერალს არ უნდოდა ამ აღელვებულ ბრბოში მოქცეულიყო და ოფიცრებს განკარგულება მისცა:

— უკან დაიხიეთ!

ზურგს უკან ვილაცამ მიაძახა:

— კაცისმკვლელო გონსალეს!

ეს წამოძახილი ჯარისკაცებს ისე მოეწონათ, ყველამ ერთად აიტაცა და გაიმეორა:

— კაცისმკვლელო გონსალეს! კაცისმკვლელო გონსალეს!

გაცოფებულ გენერალს სახე გვერდზე მოექცა და მეზობელ ქუჩაზე შეუხვია, რომ სხვა გზით მაინც მისულიყო თავის სახლამდე, მაგრამ მალე დარწმუნდა, ვერც აქ გააღწევდა, და უფრო შორიდან მოუხდა შემოვლა. ბოლოს გზის საძებნელად ოფიცერი გაგზავნა, თვითონ კი პატარა სამიკიტნოში შეიცადა. მომხდარი ამბავი აქ შეიტყო.

მღელვარება ჯერ კიდევ საღამოთი დაიწყო. ერთი კაპიტანი მკაცრი დასჯით დაემუქრა იმ ჯარისკაცებს, ვინც იარაღს გადაყრიდა.

ჯარისკაცები კაპიტანს აუყვირდნენ:

— გვითხარით, თავს მოუმზადებელ გლეხებს დავესხმითო, ისინი კი მზად არიან საბრძოლველად. ოფიცრებმა იმდენიც არ იცით, რომ ჯერ დაზვერვაა საჭირო, მერე კი შეტევა!

ჯარისკაცები ისე გაღიზიანებულები იყვნენ, რომ ამ რაზმის ოფიცრები ბრძანების გაცემასაც ვეღარ უბედავდნენ. რაზმი უმეტესად ძალით მობილიზებულ გლეხებისაგან შედგებოდა. მათ თავიანთ ოჯახებში დაბრუნება სურდათ და ფიქრობდნენ: ამას ყველაზე ადვილად იმით მივაღწევთ, თუ თოფებს გადავყრით და ოფიცრებს თავს მოვაბეზრებთო.

ასეთი განწყობა მალე გადაედო სხვა ნაწილებსაც. ამასთან, ერთ ბატარეაში პანიკა ატყდა, რამაც მოიცვა უკანდახეული ფეხოსნები და, როცა ვიღაცამ დაიყვირა: გლეხები მოდიანო!— გზაც ჩაიხერგა.

არტილერისტებმა ცხენების გაჭენება მოინდომეს, ფეხოსნები კი უფრო შეშინდნენ და უარესად აირივ-დაირივნენ. ახლა არტილერისტებიც ვეღარ ასერხებდნენ ადგილიდან ფეხის მოცვლას. მძიმე ქვემეხები ხელს უშლიდათ. მაშინ არტილერისტებმა ხმლებით ჭაანები აჭრეს, ცხენებს მოასხდნენ და გაქცეულ ფეხოსნებში შეიჭრნენ. ატყდა ერთი ჯგლეთა და ლანძღვა-გინება. ფეხოსნებსაც ტვირთის შემსუბუქება სურდათ და მათაც ყველაფერი მოიცილეს, რაც სირბილში ხელს უშლიდათ: შაშხანები, პატრონტაშები, ზურგჩანთები, საბნები.

მეწინავე ნაწილები შუადღისას დაღლილ-დამშეულები ქალაქ მოლინოსს მიადგა. ყველა სამზარეულოს მიაწყდა. ამ უწესრიგობასა და არეულობაში ზოგი ბევრ საჭმელს იღებდა,

ზოგს მცირეც არ ხვდებოდა. ამის გამო ახლა აქ ატყდა ყვირილი და მუქარა. ახალმოსულ ნაწილებს მხოლოდ ეს ღრიანცელი ესმოდა. ერთბაშად ხმა გავრცელდა, საჭმელ-სასმელზე გამოყოფილი ფული ინტენდანტმა გაიტაცა და მიიმალა, საპატას სიკვდილის შემდეგ, სულ ერთია, ომი მაინც მალე დამთავრდებაო. მაგრამ როცა ინტენდანტი ხალხს დაენახვა, — აქა ვარო, ახლა გენერალ გონსალესს დააბრალეს, ფული მაგას შეუჭამიაო. ახლა აჯანყებულებს მიემხრნენ ის ნაწილებიც, სოფლებში რომ მიდიოდნენ და გზად მოლინოსში მოუხდათ გავლა.

გენერალი ისევ სამიკიტნოში იჯდა, როცა კაპიტანმა ალონსომ თავგატეხილი და მუნდირშემოხეული ოფიცერი შემოიყვანა.

— თქვენო აღმატებულებავ, — შესძახა ალონსომ, — სურსათის საწყობებს ძარცვავენ!

— ამ ლეიტენანტს რა დაემართა? — თქვა გენერალმა. მას ალონსოს დანახვა არ ეჭაშნიკა, რადგან იგი ვერაგულად დარღვეულ პატიოსან სიტყვას ახსენებდა, მით უფრო ახლა, როცა ჯარისკაცებმა ეს ამბავი სრულიად გარკვევით პირში მიახალეს.

ალონსომ ლეიტენანტს თვალი შეავლო და თქვა:

— ტორესი ძარცვის წინააღმდეგ წავიდა და ერთ-ერთი მონაწილე იქვე მიახვრიტა. ამის გამო დანარჩენები ამას ეცნენ და აი, რა მოხდა.

— ჰო, ყმაწვილო, — გულგრილად თქვა გენერალმა, — თქვენი საქციელი კანონიერების მიხედვით სწორია, მაგრამ ამ ვითარებაში?! რას მიაღწიეთ იმ ერთი ჯარისკაცის დახვრეტით?

ტორესი სრულიად სხვაგვარ მიღებას ელოდა და აღელვებულმა თქვა:

— აბა, აჯანყების ნება მივცეთ? სხვას არავის ეყო ვაჟკაცობა, მათ წინააღმდეგ ხმა აემაღლებინა! — ტორესმა ენა დიდხანს ატრიალა და სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა.

გენერალმა იგი ცივად აათვალიერ-ჩაათვალიერა. ტორესის თაობაზე ცოტა რამ უკვე გაეგო. სულ რაღაც ორიოდე დღის წინ მას და ერთ კაპიტანს ორი ტყვე გლეხი ჩამოეხრჩოთ და შესასვლელის აქეთ-იქით ჩამოეკიდათ, თვითონ კი ღრეობა გაეგრძელებინათ. ასეთი ხალხი, რასაკვირველია, საჭიროა, მაგრამ...

რამდენიმე ხნის შემდეგ გენერალმა შტაბის უფროსს ტორე-

ნი სხვა პოლკში გაამწესებინა. ახლა მთავარი ჯარის დაშოშმინება იყო, ნეტავ მოლინოსში მომხდარი ამბები დედაქალაქს მაინც არ მიაღწევდესო! გენერალს ბევრი მტერი ჰყავდა: ქალაქისთავი, ფული რომ გამოსძალა, ვაჭრები, რომელთაც ნავაჭრში ფულს არ უხდიდა. ამას გარდა, ბევრმა ისიც იცოდა, რომ ჯარისკაცების ჭამა-სმისთვის გათვალისწინებული ფულიდან ის უფრო მეტს იჯიბავდა, ვიდრე, საერთოდ, მიღებული იყო.

## დოქტორ პეპეს ნაღვლიანი ფიქრები

ტრინი დოქტორ პეპესთან მიდიოდა. იმ სახლებს რომ ჩაუარა, საცა დაჭრილები იწვნენ, ერთი დაჭრილის ღმუილი შემოესმა. ღრიჭოდ დარჩენილი კარიდან თვალი მოჰკრა დოქტორს. იგი წერილს კითხულობდა: „ნეტა ამ გაჭირვებულ კაცს რატომ არ ეხმარება?“ — გაიფიქრა ბიჭმა.

ტრინი რომ ოთახში შესული დაინახა, დოქტორმა თავი დაუქნია. დოქტორი მოწყენილი ჩანდა.

— ეს კაცი რატომ ყვირის ასე?

— მარიჰუანას ეწევა, — მიუგო პეპემ. — დაჭრილი ჩაგვივარდა ტყვედ. მარიჰუანას ითხოვს. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა მორფი გამეკეთებინა და რამდენიმე საათით დამშვიდდებოდა, მაგრამ ამის ნება არა მაქვს. ასეთებს ეს შხამი რომ მოუნდებათ, თავგზას ჰკარგავენ, ღმუიან და შველას ითხოვენ... შენ რად მოხვედი?

— ამბროსიამ დამაბარა, ღამის ბრძოლაში რამდენი კაცი დაგვეჭრაო?

— რამდენიმე კაცი დაიჭრა, ისიც მსუბუქად. ყველანი მწყობრში ჩადგებიან მალე. ტრინი, თუ დრო გაქვს, აქ დაჯექი. მინდა გულის დარდი გაგიზიარო. ღამე, დაჭრილებს რომ დავტრიალებდი, ერთმა კაცმა წერილი მომიტანა. მაშინ წერილი ჯიბეში ჩავიდე, მერე დამავიწყდა კიდეც, და მხოლოდ ახლა წავიკითხე. უკვე გითხარი, ცოლი მომიკვდა-მეთქი. ახლა ისიც გავიგე, ერთადერთი ჩემი მახლობელი ადამიანი გარდაიცვალა.— მან ტრინის ალერსიანად შეხედა, — თქვენღა ხართ ჩემი ნათე-

სავები, თუ ნებას მომცემთ, ასე გიწოდოთ. მაგრამ აი, საქმე რაშია. ჯერ არ მომხდარა, რომ დაწყებული ომი როდისმე არ დამთავრებულიყოს. ჰოდა, ომი რომ დამთავრდება, მე რა მომელის? ყველა თქვენგანს აქვს სახლ-კარი, სოფელი, მე კი აღარავინ, აღარაფერი გამაჩნია.

— ჩვენთან წამოდით! — წამოიძახა ტრინიმ. — ჩვენს სოფლებში ერთი ექიმიც კი არა გვყავს.

პეპემ თავი ნელა გადაიქნია:

— ვიცი, ტრინი, ჩემთვის კარგი გინდა, მაგრამ თუმცა სხვა შეგობრები არ გამაჩნია, თქვენ მაინც არ გეკუთვნით.

— ექიმო, ეს ვერ გავიგე. მაშ ამდენი წლის მანძილზე რაღად იყავით ჩვენთან?

— გეტყვი. იმიტომ, რომ თქვენ გჭირდებოდით. ამასთანავე საპატამ, შევხედე თუ არა, ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. და ბოლოს, ყველანი მალე შემიყვარდით. მაგრამ როცა ერთ მშვენიერ დღეს თქვენს არმიას დაშლიან და სახლებში დაბრუნდებით, მე რაღა გავაკეთო? ეს აზრი ძალიან მაღონებს... ჰო, მართლა, კნაჭას ამ რამდენიმე დღის წინ ისევ დააწყებინა ციებ-ცხელება. მაღალი სიცხეები ჰქონდა. დღეს როგორ არის?

— უკეთესად, მაგრამ ერთი რამ დიდი ხანია მინდოდა მეკითხნა: როგორ ფიქრობთ, საერთოდ, გამოჯანსაღდება?

— ძალიან სუსტია, ტრინი. არა მგონია, დიდხანს იცოცხლოს.

სწორედ ამ დროს კარებში კნაჭა გამოჩნდა და ყველაფერი გაიგონა. უცბად ისევ უკან დაიხია და ერთხანს შემკრთალი იდგა. მაგრამ აუცილებელი საქმე ჰქონდა და წელში გამართული ღიმილით შევიდა კარებში. ორივემ შეამჩნია, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, მაგრამ არ გაჰკვირვებიათ. ძალიან ფიცხი ხასიათისა იყო და ასე ხშირად ემართებოდა.

— ტრინი, — თქვა მან, — არ მინდოდა ხელი შემეშალა, ვხედავ, ერთმანეთს ემშვიდობებით, მაგრამ პოლკოვნიკი ამბროსია სასწრაფოდ გიბარებს.

— ტრინი, იცოდე, უფლება გაქვს, როცა გინდა მოხვიდე ჩემთან, ყოველთვის სასურველი სტუმარი იქნები, — გრძნობამორეული პეპე ესპანელისთვის დამახასიათებელი მგზნებარებით მოეხვია ტრინის.

გულაჩუყებულმა ტრინიმ თავი შეიკავა და ექიმს მიმართა:

— დიდი მადლობელი ვარ თქვენი, დოქტორო პეპე, მადლობელი ვარ თქვენი იმ გულკეთილობისა და მზრუნველობისათვის, ჩემდამი რომ იჩენდით.

ტრინიმ ქუდი დაიხურა და კნაჭასთან ერთად გარეთ გამოვიდა. ექიმმა ორივეს თვალი გააყოლა. „ეს ბიჭი გონივრულად რომ აღეზარდათ, რა თავაზიანი იქნებოდა," — გაივლო მან გულში.

●

გზაში, სანამ ბიჭები ამბროსიასთან მივიდოდნენ, კნაჭა გაუთავებლად ლაპარაკობდა. უნდოდა დაევიწყებინა იმ სიტყვების აზრი, წეღან რომ გაიგონა, — დიდხანს ვეღარ იცოცხლებსო. მან ტრინის უამბო, ახლომახლო სოფლებიდან გლეხები მოვიდნენ და ამბროსიასთან იჩივლეს — სიმინდის მარაგი გვითავდება, ახალი მოსავლის აღებამდე რამდენიმე თვე კიდევ დარჩა, არმიას ვეღარ შევინახავთო.

სანამ გლეხები თავისას ჩიოდნენ, ინესაც მოვიდა და ამბროსიამ კნაჭა ტრინისთან გაგზავნა, მოვიდეს, მზვერავს მოუსმინოსო.

დაქანცული ინესა სკამზე ჩამომჯდარიყო. ტრინის შესვლამ ინესა გამოაფხიზლა. ღამის ბრძოლების შემდეგ მტრის ბანაკში არეულ-დარეულობააო, მოკლედ აცნობა ინესამ. ეს ამბავი გლეხებმა ჯერაც არ იცოდნენ, თურმე უმნიშვნელო ბრძოლას მტრისთვის მძიმე შედეგები მოეტანა, მძარცველთა არმიაში ქაოსი დატრიალებულიყო, ახალგაზრდა გლეხი ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად გარბოდნენ არმიიდან და თავთავიანთ სოფლებში ბრუნდებოდნენ.

მალე ერთი სოფლიდან, სადაც უკანდახეულ მძარცველთა არმიას გაევლო, მოხუცი გლეხი მოვიდა. სულს ძლივს ითქვამდა და ხვითქი ასკდებოდა.

— მთელი სოფელი გზაზე გამოვიდა და მძარცველების მიერ გადაყრილ საბნებსა და სხვა საოჯახო ნივთებს აგროვებენ. მაგრამ ამ იარაღს რაღა ვუყოთ? რამდენიმე თოფი სოფელში შევინახეთ, დანარჩენს რა ვუყოთ, თქვენ ხომ არ წამოიღებთ?

— ამას ჩვენ ვერ გადავწყვეტთ, — თქვა ტრინიმ. — წამო, არმიის ხელმძღვანელებთან წავიდეთ!

ბალთასარმა ყველაფერი ყურადღებით მოისმინა. შავი თვალები ახლაც, ჩვეულებისამებრ, უღიმოდა.

— რას ამბობთ? — თქვა ბოლოს. — ჩვენმა არმიამ მძარცველთა თვალწინ იარაღის შეგროვება დაიწყო?! ეს ხომ საშიშ შეხლა-შებოხლას გამოიწვევდა?!

— მაშ მტერს დრო უნდა მისცე, რომ იარაღი ისევ თვითონ აკრიფოს? — უკმაყოფილოდ თქვა მოხუცმა.

— რასაკვირველია, არა, მაგრამ ნუთუ არ შეგეძლოთ, ღამით მოგეგროვებინათ და მიწაში ჩაგეფლათ? თუ დაგჭირდებოდათ, უცებ ამოიღებდით და გამოიყენებდით.

მოხუცის სახის გამომეტყველებაზე შეიძლებოდა მიმხვდარიყავით, რომ არ მოსწონდა ეს ამბავი. გლეხმა ცოტა ხანს იყუჩა და მერე თქვა:

— აბა სოფლებში ხალხს მე როგორ ავუხსნა, ასე მოიქეცით-მეთქი? ლაპარაკი არ მეხერხება. ჩვენს სოფლელებს ლაპარაკი არ ეხერხებათ. ეს ჩვენ არ გვისწავლია.

კნაჭამ გალეული კისერი წაიგრძელა:

— ბალთასარ, მოდი, მე დავივლი მაგ სოფლებს! ლაპარაკს მე მოვახერხებ.

— მერე ისინი რომ არ გიცნობენ?

— არა უშავს, ბალთასარ! აი, ეს ეტყვის თავიანთ ენაზე, რომ მე გლეხთა არმიიდან გამგზავნეს, — უთხრა და მოხუცს ალერსიანად გადახვია ხელი.

ბალთასარი ისევ ყოყმანობდა. მაგრამ კნაჭა ისე მგზნებარედ ალაპარაკდა, გლეხთა მეთაურმა თვალები დააჭყიტა და თქვა:

— კარგი, თუკი იქაც ასე ილაპარაკებ, წადი!

ამ დროს ამბროსიამაც დაამთავრა გლეხებთან ხანგრძლივი მოლაპარაკება.

— ეგენი მოითხოვენ, აქაურობას გავეცალოთ, მაგრამ მე არ გირჩევ, ბალთასარ. ცოტა ხანს კიდევ უნდა დავრჩეთ აქ და მტერს ვუჩვენოთ, თუმცა საპატა მოგვიკლეს, მაგრამ ჩვენ ისევ ძლიერები ვართ. ესეც ერთგვარი გამარჯვებაა.

ბალთასარი ჩაფიქრდა და გადაწყვიტა:

— დავრჩეთ!

საპატასა და მისი თანმხლები პირების დახოცვის ამბის დამალვა არ შეიძლებოდა და იგი მთელ ქვეყანას მოედო. ამან გლეხობის უმრავლესობას გული გაუტეხა და სასო წარუკვეთა. ისხდნენ მთელი დღეები და ხმას არ იღებდნენ. გლეხის ქალებს სახე ხელებში ჩაერგოთ და ტიროდნენ.

ლიბერალური პარტიის რიგებში უთანხმოება ჩამოვარდა. ზოგი ამბობდა:

„ვერაგულად მკვლელობისათვის ჩვენ მემამულეებს, ეკლესიასა და ოფიცრებს ვზრახავდით. ეს ზნეობრივი დაცემის ნიშანია. ახლა ამასვე სჩადის პარტიის ხელმძღვანელობა".

ზოგი პროტესტის ნიშნად პარტიიდან გამოვიდა კიდეც.

სხვები აცხადებდნენ:

— როგორ გაბედა ვენუსტიანო კარანსამ, ასე მოუფიქრებლად მოქცეულიყო. რახან მან გენერალს უბრძანა, სიტყვა გასტეხე და საპატა მოკალიო, ამითი ხომ იმისი ნებაც მისცა, მასაც ასე მოქცეოდნენ. გენერალმა უერტამაც ხომ მოკლა პრეზიდენტი მადერო?

დოქტორმა არისტამ კარანსას მიკიბულ-მოკიბულად მიახვედრა, ხალხი თქვენდამიც ბოროტად არის განწყობილიო. ამ დროს შემოვიდა პრეზიდენტის პირადი მდივანი და აცნობა:

— გრაფი არიოლა ხანმოკლე აუდიენციას ითხოვს.

— დოქტორო არისტა, გთხოვთ, ცოტა ხანს გარეთ დამელოდოთ! — თქვა კარანსამ, — ვინ იცის, იქნებ მნიშვნელოვანი ამბები მოიტანა.

არიოლამ პრეზიდენტს შემოსვლისთანავე პატრიარქალური წვერის ცახცახზე შეატყო, რომ აღელვებული იყო. რამდენიმე თავაზიანი მისასალმებელი სიტყვის შემდეგ თქვა:

— შემთხვევით გავიგე, რომ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, შეერთებული შტატებისათვის მექსიკის სახელმწიფო ვალის პროცენტების გადახდის ვადის გადადება გითხოვიათ. მეგობრებისაგან ისიც შევიტყვე, რომ... — გრაფმა ცოტა ხანს შეისვენა: უნდოდა პრეზიდენტი მიმხვდარიყო, რომ მეგობრებში იგი პირველ რიგში თვით ამერიკელ ელჩს გულისხმობდა,—არც ამერიკა და არც რომელიმე სხვა სახელმწიფო არ მოისურვებს

ვადის გადადებაზე მოლაპარაკება აწარმოოს, სანამ მექსიკაში მშვიდობა არ დამყარდება.

კარანსას ცეცხლი მოეკიდა. ნუთუ მას ისე აბუჩად იგდებენ, ელჩი არ ატყობინებს ამ მოთხოვნას და ჭუჭყიანი საქმეებით სახელგატეხილ საქმოსანს უგზავნის?

გაჯავრებულმა პრეზიდენტმა თქვა:

— მაშინ მებატონეებს როგორღა დავუბრუნო მამულები? აი, თქვენი სან ბარტოლდოც ხომ გლეხებს უკავიათ?

არიოლამ ცივად მიუგო:

— საქმოსნებისათვის სულ ერთია, ვისგან იყიდონ—სიმინდი იქნება ეს თუ ბანანი, გლეხებისაგან თუ მემამულეებისაგან. იმათ ისიც კი ჰგონიათ, გლეხებისაგან უფრო იაფად შევისყიდითო. ბატონო პრეზიდენტო, თუ თქვენ იტყვით, გლეხების წინააღმდეგ ბრძოლას კვლავ ვაპირებთო, მაშინ ამერიკელები თქვენდამი მტრობას ჩაიდებენ გულში. — არიოლამ ეს სიტყვები ცივი ტონით თქვა, მერე პრეზიდენტს უცბად თავი დაუკრა და თავაზიანად დაუმატა: — ვამაყობ იმით, რომ მსხვილ საქმოსანთა იმ ჯგუფს ვეკუთვნი, რომლებიც მექსიკაში კაპიტალის დაბანდებას თავს არ მოარიდებს, თუ დარწმუნდა, სახელმწიფოში ბოლო მოეღება არეულობას, სულ ერთია, რომელი მხარეც უნდა იყოს მისი გამომწვევი.

პრეზიდენტი არიოლას ბოლო სიტყვებზე ახლა აღარ ბრაზობდა, რადგან თვითონ მას აბრალებდნენ არეულობას და იკითხა:

— მერედა, ამ სესხის პროცენტი როგორი იქნება?

არიოლამ ქედმაღლურად განაცხადა:

— სესხის პირობებს კრედიტორები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაადგენენ, როცა მათ მექსიკაში მოვლენათა შემდგომ მსვლელობაზე ნათელი წარმოდგენა შეექმნებათ.

აღშფოთებული კარანსა ფეხზე წამოიჭრა და მოკლედ თქვა:

— მაშ ახლა სათქმელი აღარაფერი დაგვრჩენია.

— მე მაინც ვფიქრობ, — არიოლამ პრეზიდენტს თავი დაუკრა და მერე დამცინავად მიაპყრო თვალები, — კრედიტორთა ჯგუფი თავის წინადადებას ერთი თვით დაიცავს. მაშინ კი პირობები გაცილებით ნაკლებ ხელსაყრელი იქნება.

— გმადლობთ. გასაგებია, — თქვა პრეზიდენტმა.

ამ აუდიენციის შემდეგ კარანსა არისტას დიდხანს ეთათბირა.

— ამ სპეკულანტს, — გაცხარებული ყვიროდა პრეზიდენტი, — თავხედობა ჰყოფნის და ვადიან ულტიმატუმს მიყენებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, თუ ჩემი არმია ერთ თვეში გლეხებთან ომს არ დაამთავრებს, სესხს ვერ მივიღებთ, ან თუ მივიღებთ, არახელსაყრელ პირობებში. შეერთებულ შტატებში იციან, რომ საპატას მოკვლის შემდეგაც ვერ მივაღწიე სამხედრო გამარჯვებას. იძულებული ვარ, დავუთმო. მე ვისურვებდი, დოქტორო არისტა, ხვალვე წასულიყავით გენერალ გონსალესთან ერთად ჩემი ბრძანება გადაგეცათ: არმია უკან გამოიყვანოს და ყველა ჯარისკაცი შინ გაუშვას, რადგან მშვიდობიანობის დროს ჯარისკაცები არ გვჭირდება.

— ამაში საშიშროებას ვხედავ, ბატონო პრეზიდენტო!

— სახელდობრ რაში?

— ეს გენერალი თავისი ჯარისკაცების ხარჯზე მდიდრდება, — მიუგო არისტამ. — მშვიდობიანობის დროს ამდენ ქონებას ვერ დააგროვებდა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ უერტამ პრეზიდენტს ჯერ უღალატა და მერე დაახვრეტინა კიდეც.

კარანსამ გაიცინა:

— თუ მაგ კაცს ფული უყვარს, საქმეს ადვილად ეშველება. ომის ყოველი დღე გაცილებით ძვირი გვიჯდებოდა, ვიდრე გენერლის ყველაზე ძვირი საჩუქარი დაგვიჯდება. საპატას მოკვლისათვის მის წინაშე ისედაც ვალში ვართ. არმიის დემობილიზაციის ბრძანებასთან ერთად მას კარგა დიდი თანხაც გადაეცით.

მძარცველთა არმიის ოფიცრებში ხმა დაირხა, მეხიკოდან ისევ ის ფერმკრთალი სახის მსხვილი ბატონი ჩამოვიდა, საპატას მოკვლამდე რომ იყო, და გენერალმა მაშინვე მიიღოო. ერთ ოფიცერს მისი სახელიც სცოდნოდა — დოქტორი არისტა. ის პრეზიდენტის დავალებით ჩამოსულა. გენერლის ერთ-ერთ ადიუტანტს ჰკითხეს, მისი ჩამოსვლა რის მაუწყებელიაო. ადიუტანტმა კი მხოლოდ ეს უპასუხა:

— საუბრისას არავინ დაისწრეს, მაგრამ ერთი კი შევამჩნიე, — გენერალი სტუმარს ძალიან ციევად მიეგება, მაგრამ რომ მიაცილებდა, ოთხად იკეცებოდა.

ამ ამბავმა ოფიცრები ცოტა დააეჭვა. ერთმა ხმამაღლა თქვა კიდეც:

— ძლივს დავამყარეთ წესრიგი არმიაში, ახლა კი ვიღაც ქალალდის ჯღაბნია ლიბერალი მობრძანდა. მაგ დაწყეველილი მოქალაქის სამხედრო საქმეებში ჩარევა კარგს არაფერს გვიქადის!

მეორე დღეს ჯარმა უკანდახევის ბრძანება მიიღო. სადამდე უნდა დაეხიათ, არავინ იცოდა.

ის პოლკი, ამჟამად ლეიტენანტი ტორესი რომ ირიცხებოდა, მოლინოსიდან საკმაო მანძილზე იმყოფებოდა და ამიტომ არ შეეძლო თავისი მეგობრის, საპატას მკვლელის, ალონსოს ნახვა. ვისთვის გაეზიარებინა თავისი შიში? საით შეიძლებოდა ჯარის დახევა, თუ არა უკან? მაშასადამე, თუმცა საპატა მოუკლეს, გლეხები მაინც იმარჯვებდნენ. ტორესს ის უფრო აწუხებდა, რომ გენერალი ჯარისკაცების მოთხოვნას ასრულებდა და ჯარი ისეთ რაიონებში გადაჰყავდა, სადაც საჭმელს იშოვნიდნენ. მაგრამ რახან გენერალი დათმობაზე მიდიოდა, ვინ იცის, ეს სად დამთავრდებოდა.

პოლკში ტორესი სულ ახალი მისული იყო, როცა შეამჩნია, რომ ჯარისკაცები ცნობისმოყვარედ ათვალიერებდნენ. მეორე დღეს უკვე მძულვარებით აღსავსე თვალებით შესცქეროდნენ. მაშასადამე, ის უკვე სამარცხვინო ბოძზე იყო გაკრული, როგორც თავისი ხელქვეითის მკვლელი.

ამან კიდევ უფრო მეტი უნდობლობით განმსჭვალა ახალგაზრდა ინდიელი ჯარისკაცებისადმი, რომლებსაც, ეჭვი არ იყო, გლეხთა განთავისუფლებისათვის უძგერდათ გული.

## შეიარაღებული გლეხობა

ერთმა მზეერავმა ამბროსიას მძარცველთა არმიის უკანდახევის ამბავი შეატყობინა. სამხედრო ფორმისმაგვარ სამოსში გამოწყობილი ამბროსია უძრავად იჯდა და თვალებს ახამხამებდა. თავზე გლეხური შლაპა ეხურა.

ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა და ტრინისთან მივიდა. იგი ჭილოფზე მიწოლილ კნაჭას წინ ჩაჩოქილიყო. კნაჭა ცახცახებდა

და კბილს კბილზე აცემინებდა, მაგრამ ცდილობდა, დაწვრილებით მოეთხრო იმ მოლაპარაკებაზე, ორ არმიას შორის მდებარე სოფლებში რომ აწარმოვა. მან მოახერხა გლეხების დარწმუნება, რომ ისინი მოვალენი იყვნენ, მტრის ჯარისკაცთა მიერ გადაყრილი იარაღი მოეგროვებინათ და მიწაში ჩაეფლათ.

ამბროსია დაელოდა, სანამ კნაჭა დიდის გაჭირვებით დაამთავრებდა სათქმელს. მას ძალიან ეცოდებოდა ეს ბიჭი, ავადმყოფობას თავს რომ არ უდებდა, მერე ტრინის ჰკითხა:

— გაზეთები მიიღე?

— მივიღე. რა საოცარია, ყველა სამოქალაქო ომის დამთავრებას მოითხოვს.

— მძარცველთა არმიამაც უკან დაიხია, — ნელა დაუმატა ამბროსიამ. — რახან ის იხევს, ჩვენც შეგვიძლია დავიხიოთ და ამით ჩვენი სოფლელების მოთხოვნა შევასრულოთ. წამო, ბალთასართან წავიდეთ!

ტრინიმ შეშფოთებით შეხედა დიდედას, მერე იატაკზე დაწოლილ კნაჭას გადახედა, ფეხზე წამოდგომას რომ ცდილობდა. კნაჭას არ უნდოდა ავადმყოფობას დანებებოდა და გაღიმებას ცდილობდა, მაგრამ ღიმილის ნაცვლად სახე საშინლად ემანჭებოდა.

ამბროსია მიხვდა, რა აწუხებდა ტრინის. კნაჭასაკენ დაიხარა და თავზე ხელი გადაუსვა.

— ცხელი ხარ, ნუ ადგები! შენი მოვალეობა კარგად შეასრულე.

ეს სიტყვები კნაჭას სხვის დანუგეშებაზე მეტად ესიამოვნა.

კარგა მანძილი რომ გაიარეს, გლეხები მდინარის პირას გაშენებულ ერთ პატარა ქალაქს მიადგნენ. მდინარე მაღალ ხეებსა და ლელიანებში მოედინებოდა. დალაგდნენ თუ არა, ბალთასარმა არმიის მეთაურები შეკრიბა. ახლო-მახლო სოფლებიდან მათ თავმოყრას რამდენიმე საათი დასჭირდა.

ძალიან ცხელოდა. მიუხედავად ამისა, ბრძანების მიხედვით, ტრინიმ სხდომის დარბაზის ფანჯრები დახურა, რათა გამვლელთ არ მოესმინათ. ამას გარდა, გარედან კარებს გუშაგები იცავდნენ, შიგნიდან კი ტრინი და კნაჭა აყუდებულიყვნენ.

ბალთასარი ფეხზე წამოდგა:

— პოლკოვნიკ ამბროსიას თქვენთან საქმე აქვს.

ფეხზე წამოდგა მხრებში გაშლილი, სახემოღუშული ამბროსია.

— თქვენ უკვე იცით, რომ ორიეე არმიამ უკან დაიხია, მაგრამ ჩვენ ისევ ერთმანეთის პირისპირ ვდგავართ, როგორც მრავალი წლის წინათ ვიდექით და აღარც ვიბრძვით, მაგრამ არც ზავი დაგვიდვია. როგორ მოვიქცეთ? ბევრ თქვენგანს უნდა სოფელში დაბრუნდეს. თქვენ რას იტყვით?

არაკუნე აღშფოთებული წამოხტა.

— ომის შეწყვეტა როგორ შეიძლება? ეგრეთ წოდებულმა პრეზიდენტმა ვენუსტიანო კარანსამ საუკეთესო ხალხი დაგვიხოცა. ამისთვის სახრჩობელაზე უნდა ჩამოვკიდოთ!

წამოდგა ტანმორჩილი, ჩასკვნილი ინდიელი:

— თითქმის ათი წელია ვომობთ. სოფლები გაჩანაგდა. თუ საპატას შურს ვიძიებთ, კიდევ წლობით მოგვიწევს ხეტიალი. მე მგონი, სჯობს, სახლებში დავბრუნდეთ.

ზოგი მომხრე იყო სოფლებში დაბრუნებისა, ზოგი არა. ზოგი არაკუნესავით ფიცხად ლაპარაკობდა, ბევრი, ძველ ინდიელთა ჩვეულებისამებრ, დინჯად და მძიმედ.

ამბროსია ყველას უსმენდა. მერე ისევ წამოდგა.

— რაც ცნობები გაგვაჩნია, იმას თუ ვერწმუნებით, მძარცველთა არმიას ბრძოლა აღარ სურს. ჩვენ შეგვეძლო მათ კვალდაკვალ მივყოლოდით, მაგრამ რას მოვიგებდით? აბა გაიხსენეთ, რა ხშირად გზავნიდა ჩრდილოეთ ამერიკა ჩვენში თავის ჯარებს. უკანასკნელ წლებში ამერიკა ევროპის საქმეებით იყო დატვირთული და თავისი ჯარებიც იქ ჰყავდა გაგზავნილი. ახლა ეს ჯარები უკანვე დაბრუნდნენ. იარაღი ბლომად მოეპოვებათ. ტრინი, წაიკითხე გაზეთში ის ადგილი, ამერიკა რომ გვემუქრება!

ყველა ტრინისკენ შებრუნდა.

— „რამდენიმე სენატორმა ვაშინგტონში მოითხოვა: საჭიროა ამერიკამ მექსიკაში ჯარები გაგზავნოს, რათა იქ სამოქალაქო ომს ბოლო მოუღოს, რომ ამ ქვეყანასთან ვაჭრობა ვაწარმოოთ“.

— ჰო, აი, საქმე რაშია, — განაგრძო ამბროსიამ. — ეს მუქარა კარანსასაც ეხება და ჩვენც. შეგვიძლია ამჟამად კბილებამდე შეიარაღებულ გრინგოსთან ბრძოლა? მე ვამბობ, არა,

არ შეგვიძლია-მეთქი. მაშ რახან ბრძოლა არ შეგვიძლია, სოფლებს უნდა მივაშუროთ. აქ დამსწრეთა უმეტესობასაც ესა სურს. მაგრამ იარაღს რა ვუყოთ?

დაბალი ტანის, ჩაფსკვნილმა მეთაურმა თქვა:

— იარაღი მძიმეა, ჩვენ კი გრძელი გზა გვიდევს. იარაღი რაღად გვინდა, როცა ბრძოლას აღარ ვაპირებთ? მიწაში დავმალოთ და პატარ-პატარა ჯგუფებად სახლებში წავიდეთ.

ამბროსიამ მკაცრად უთხრა:

— ამდენი წლის ბრძოლებმა არაფერი არ გასწავლა? ბატონმა რომ მიწის წართმევა ისევ მოგინდომოს, უიარაღოდ რას იზამ? გლეხობამ იარაღი ისევ უნდა შეინარჩუნოს! ამას გარდა, ერთმანეთთანაც მჭიდრო კავშირი უნდა გვქონდეს!

ერთ წუთს ხმა არავის ამოუღია. მერე ისევ არაკუნე წამოხტა:

— ვინ არის კიდევ მომხრე, რომ იარაღი მიწაში ჩავფლათ, ფეხზე ადგეს! ერთი შევხედავთ მაინც, ვინა ბრძანდება.

ჩასკვნილმა მეთაურმა არაკუნეს მიაძახა:

— ფეხზე შენ თვითონ დგახარ!

არაკუნე იმ წუთასვე ჩაჯდა და უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა:

— მე რა, იმიტომ ვდგავარ, რომ იარაღი მიწაში ჩავფლათ?!

ატყდა სიცილი.

ტრინი თვალს არ აშორებდა დიდედას. ასეთი მკაცრი სახე არასოდეს ჰქონია ამბროსიას.

ამბროსია წამოდგა:

— ომი დასრულდა, ხალხი კი ისევ შეიარაღებული რჩება!

## გლეხთა არმია დაიშალა

დილას ამბროსიამ და მამაკაცებმა დაინახეს, რომ, ჩვეულებისამებრ, წყნარი და თავდაჭერილი კანდელარია იდგა და ტიროდა.

— ახლა უნდა დავშორდეთ ერთმანეთს,—ქვითინით ამბობდა იგი.

მარტო ამისთვის ტიროდა? ყველა დანაღვლიანებული იყო. ნეტავ რა ელოდათ, საკუთარ სოფლებს რომ დაუბრუნდებოდნენ? სამხრეთ პროვინციებში საპატა მრავალი წლის მანძილზე მბრძანებლობდა ნამდვილ პრეზიდენტივით. ახლა ალბათ ისევ ძველებურად მოაწყდებიან ათასი ჯურის მექრთამე ჩინოვნიკები.

არც საუზმეზე ამოუღიათ ხმა. კანდელარიამ მცირეოდენ საოჯახო ნივთებს თავი მოუყარა და სახედარს გადაჰკიდა. მერე შემობრუნდა, ამბროსიას მიეჭრა და ყელზე შემოეჭდო.

— ამბროსია! — თქვა ცრემლების ყლაპვით. მერე იქ მდგომ მამაკაცებს ჩამოუარა და გადაკოცნა. პირველად კი ტრინის აკოცა, იგი უკვე მისი სიმაღლე გამხდარიყო. კნაპა კი დაიხარა, კანდელარიას ნაღვლიანი თვალები შეანათა და უთხრა:

— კეთილი გული გაქვს, კანდელარია!

ბალთასარი ცდილობდა, რიხიანად ელაპარაკნა და ამითი დაეფარა მღელვარება.

— ჩვენი, საპოტეკების სახლი, შორსაა. არაკუნე და მისი რაზმი შენ გამოგყვება, პოლკოვნიკო ამბროსია. თქვენ ხომ მეზობლად ცხოვრობთ.

კარებში დოქტორი პეპე გამოჩნდა, თვალი მოავლო იქ მყოფთ და თქვა:

— მიდიხართ? მე რა ვქნა?

— მივდივართ. თქვენ არ გინდათ იმ ქალაქში დაბრუნება, საიდანაც ჩამოხვედით? — ჰკითხა დაბნეულმა ამბროსიამ.

— იქ უკვე აღარავინ მყავს, — დოქტორმა გაიღიმა. — გეტყობათ, უკვე დამივიწყეთ. არა, არა მწყინს, მაგრამ რა გზას დავადგე?

— ექიმო, — დაიწყო ამბროსიამ და მას გამომცდელად შეხედა, — სან ბარტოლდოსა და ტეპოტლაში ბევრნი ვბრუნდებით. შენც გვიცნობ და ჩვენც გიცნობთ. მთელ ჩვენს ახლომახლო ერთ ექიმსაც ვერ ნახავთ, წამოდი ჩვენთან!

— ეს ტრინიმაც მითხრა ამასწინათ, მაგრამ თქვენ რომ ჩემი შესანახი ფული არა გაქვთ, რითი ვიცხოვრო?

— თუ მარტო ეგ გიშლის ხელს, არა უშავს! — მიუგო ამბროსიამ. — მე მეგონა კარგი ბინა გჭირდებოდა. აი, ეს კი არ გაგვაჩნია.

— ამაზე მე უკვე ვიფიქრე. არა, კარგი ბინა როდი მჭირდება, ფულია საჭირო, რომ წამლები და წიგნები შევიძინოთ ხოლმე.

— თუ მემამულეთაგან წართმეულ მიწას შევინარჩუნებთ, ამდენს კი მოგიგროვებთ, ექიმო! აი, მთავარი ეს არის.

— კარგი, ამბროსია, წამოვალ, — მან ალერსიანად მოავლო თვალი გარშემო მყოფთ. — სიამოვნებით წამოვალ თქვენთან!

●

რამდენიმე დღის სიარულის შემდეგ მძარცველთა არმიამ უკეთეს ადგილებს მიაღწია. იმავე სალამოს ხმა დაირხა, არმიას შლიანო. გახარებული ახალგაზრდა გლეხი ჯარისკაცები ქუჩებს მოედვნენ, ძალიან ეჩქარებოდათ შინ დაბრუნება. მაგრამ აქაიქ დაინახავდით პატარ-პატარა ჯგუფებად თავშეყრილთა მოღუშულ სახეებსაც. ესენი მემამულეთა ყოფილი ზედამხედველები და სხვა შავბნელი წარსულის მქონე ხალხი იყო. მათ რა-

ღა ექნათ? იმ სოფლებში, სადაც ადრე პარპაშებდნენ, რაღაც თქმა უნდათ, აღარ მიესვლებოდათ.

ერთ ოთახში ნავთის ლამპის შუქზე მაგიდას სამი ხაზინადარი უჯდა და საუკეთესო მექსიკურ საჭმელებს თქვლეფდა: ტაკოს, ენჩილადასა და ყველაზე გემრიელ, ძარღვებად ჩახარშულ თეთრ ხორცს, რომელსაც ამ მხარეში „დამბალ თეთრეულს“ უწოდებენ. ბოლოს მათ მოწითალო-მოყავისფრო საამო საჭმელი მიართვეს: კაკაოს ფხვნილში ჩაზელილი, ზეთში შემწვარი სხვადასხვა სახის წიწაკა.

მსახურმა სუფრა ააალაგა და მოსაუბრენი მარტო დატოვა.

ერთ-ერთმა მასპინძელმა თავი ეშმაკურად წინ წამოსწია და ხმადაბლა თქვა:

— რაღაც გავიგე... ის ამბავი უკვე იცით, დოქტორი არისტა რომ მეორედ მივიდა გენერალ გონსალესთან. პირველად საპატას მოკვლის ბრძანება მოიტანა. მის მკვლელს, მაგ ცხვირაწეულ ლეიტენანტ ალონსოს, კაპიტნობა უბოძეს, ხოლო გენერალმა, თქვენ როგორ გგონიათ, პატიოსანი სიტყვის დარღვევისა და საპატას ვერაგულად მოკვლისათვის არაფერი მიიღო? მას არისტამ პრეზიდენტის სახელით ხუთასი ათასი პესო გადასცა.

— რას ამბობ, კაცო? ეგ რა დასაჯერებელია. ეგეთი უნამუსობა გაგონილა? მერე ასეთი თანხა?!

— თანხა დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან ეგ საჩუქარი გარკვეულ პირობებს ითვალისწინებს: გენერალი მოვალეა არმია მშვიდობიან მდგომარეობაზე გადაიყვანოს და ჯარისკაცთა უმეტესი ნაწილი დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს.

— მხოლოდ უმეტესი ნაწილი? — იკითხა ერთმა. — ჯარისკაცები ამბობენ, ყველას ათავისუფლებენო?

— ეგ ხმა ერთმა ჩვენიანმა დაყარა, ჰოდა, ახლა ყურადღებით მომისმინე, ამაში თქვენი დახმარებაც გვჭირდება.

— რაში?

— ახლავე გაიგებთ. ამას წინათ რომ მღელვარება მოხდა, მაშინ ბევრი გლეხი-ჯარისკაცი გაიქცა არმიიდან, მაგრამ სიებში ისევ ირიცხებიან.

— ეგეთები ჩემთანაც ირიცხებიან, — წამოიძახა მეორემაც. — მე ზემოდან მივიღე მითითება, არ ამოშალოთო.

— მეც ასეთი ბრძანება მივიღე, — თქვა ისევ პირველმა

მოსაუბრემ. — როგორცა ჩანს, ეგ ბრძანება თვით გენერალისაგან მომდინარეობს. მაგრამ თუკი მას განზრახული აქვს არმიიდან გაქცეული ჯარისკაცების ხელფასი სულ თვითონ ჩაიჯიბოს, ნურას უკაცრავად, ჭკუა და ეშმაკობა ხაზინადარებსაც გააჩნია, მაგალითად, მე გაქცეული ხალხის მხოლოდ ნახევარი გამოვაჩინე.

— მერე და შენმა მაიორმა ხომ მაინც ზუსტად იცის, რამდენიც გაიქცა? — დაინტერესდნენ სხვები. — იმას რამდენს აძლევ?

— ერთ მესამედს. ამითაც კმაყოფილია. ამას გარდა, — მოსაუბრემ ხმას კიდევ დაუწია, — სხვა საძვრომებიც არის, რაც მარტო ჩვენ ვიცით.

სამივემ გაიცინა და თითო ჭიქა ტეკილი გადახუხა.

— ერთი რამ ვერ გავიგე, რაში დასჭირდა იმ ჩვენს კოლეგას, ეგ ხმა რომ გაავრცელა, მთელ არმიას ითხოვენო? — იკითხა ერთმა.

— აბა წარმოიდგინე, რა მდგომარეობაში ცვივიან ჯარისკაცები. წვეევამდელი გლეხები ფიქრობენ, რომ ახლავე შინ გაუშვებენ. თუ არ გაუშვეს, ბევრი გაიქცევა. ასეთები ვერც დათხოვნის ანგარიშს მოგვთხოვენ და ისიც შეგვეძლება, ერთხანს ისევ სიებში ვიყოლიოთ. რაც შეეხება ყოფილ ზედამხედველებს, მწერლებსა და მათ მსგავს ნაყარ-ნუყარს, აქ საქმე პირიქითაა. მათ არმიაში დარჩენა სურთ, მაგრამ ისე უნდა მოვახერხოთ, რომ მძიმე პირობები შევუქმნათ. ისინი ჯერ თავიანთი ხელფასის ერთ მეოთხედს შეგვპირდებიან, მერე ნახევარს და მეტსაც კი. ახლა ხომ ხედავთ, რად დავარხიეთ ხმა, მთელ არმიას უშვებენო. თქვენც უნდა დაგვეხმაროთ, რომ უფრო მეტი ქაოსი და უწესრიგობა დატრიალდეს, მაშინ გლეხები დეზერტირობას მოუმატებენ, ჩვენ კი ჯიბეებს გავისქელებთ!

ლეიტენანტ ტორესს ოფიცრებმა ურჩიეს, გარეთ არ გამოხვიდეთო, რადგან ჯარისკაცებმა თავი სულ აიწყვიტეს და ეშინოდათ, მკვლელს არ წასეოდნენ. ტორესიც ერთ პატარა ოთახში ჩაკეტილიყო და მოთმინებით ელოდა, როდის მოუტანდა მსახური ხოზე სადილს.

ოთახის კარს ვიღაც მოადგა. თვალი მოჰკრა თუ არა ბატალიონის მეთაურსა და მის ადიუტანტს, ტორესი ფეხზე წამოხტა.

მაიორი ბოროტად იმზირებოდა და ყოველვვარი შესავლის გარეშე თქვა:

— უსიამოვნო ამბავი უნდა შეგატყობინოთ: სამსახურიდან გაგათავისუფლეს. მის აღმატებულებას მიაჩნია, რომ ამჟამად არსებული განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, არმიაში ისეთი ოფიცრის შემდგომი ყოფნა, თავისი ქვეშევრდომების ესოდენ დიდი ანტიპატია რომ დაიმსახურა, მიზანშეწონილი არ არის.

— მათქმევინეთ, ბატონო მაიორო! — გაცხარებით შესძახა ტორესმა. — ჯარისკაცები ძარცვა-გლეჯაზე იყვნენ და ნუთუ იმისათვის უნდა დავისაჯო, რომ მხოლოდ მე გავბედე მათ წინააღმდეგ გალაშქრება?

— მაშასადამე, თქვენ გსურთ, — მაორი უფრო მეტად მოიღუშა, — რომ თქვენს ამხანაგებს, სხვა ოფიცრებს, ლაჩრობა დააბრალონ?

დაბნეულმა ტორესმა ამოილუღლუღა:

— არა, ეს არა მსურს.

— და არც შეგიძლიათ. სხვათა შორის, მინდა გირჩიოთ, რომ დაღამებამდე არ გახვიდეთ ამ სახლიდან. ჯარისკაცები ძალიან ღელავენ. ამ კონვერტში თქვენი კუთვნილი ხელფასია.

მაიორი კარებისკენ შებრუნდა და მაშინღა შეამჩნია, რომ კარებთან ხოზე ატუზულიყო, ხელში თეფშები ეჭირა და შეშინებული იმზირებოდა.

ორივენი ისე გავიდნენ ოთახიდან, ერთმანეთს არ ვამომშვიდობებიან.

— შენ ჭამე, მე არ მშია! — უთხრა ტორესმა ხოზეს.

— მეც სწორედ ახლა მითხრეს, დათხოვნილი ხარო, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ხოზემ.

— შენ რაღას გერჩოდნენ?

— მარიჰუანას გამოუსწორებელი მწეველი ხარო.

— სხვებიც დაითხოვეს?

— კი, უფროსი თაობის წარმომადგენელთაგან ყველა, ვისაც თავისი მშობლიური კუთხე აღარ გააჩნიათ. ძალათი მობი-

ლიზებულ გლეხებს რა უშავთ, თავიანთ თემში მიწის ნაკვეთს მიიღებენ და ცოლსაც შეირთავენ. ჩვენ რაღა ვქნათ?

ტორესი ხოზეს დაკვირვებით შეაჩერდა. ხოზე უკვე საკმაოდ დაძაბუნებული ინდიელი იყო. მისი ბედი ტორესის ბედს წააგავდა. თუმცა ტორესს საკუთარი კუთხისმაგვარი რამ კიდევ გააჩნდა. მამამისი სულ ვალებში იყო, ძველი დიდი სახლი გაყიდეს, მაგრამ მეორე სახლიც ჰქონდათ, გაცილებით პატარა. ვიწრო ეზო, ერთი ოთახი და მომცრო სამზარეულო ჰქონდათ. ნუთუ იქ ცხოვრება მოუწევდა?

შეშფოთებული ბოლთას სცემდა ოთახში. უცბად ხოზეს წინ შესდგა. იგი ცხიმიან წვენში ყვითელ ლობიოს მარცვლებს დასდევდა კოვზით.

— ჩემს მამულს დავიბრუნებ ტეპოტლაში, ოღონდ შენ მხარი უნდა დამიჭირო. ცალ-ცალკე ჩვენი ყოფნა არ ივარგებს. შეგიძლია სხვებსაც მოელაპარაკო, ვინც დათხოვნილია? რასაკვირველია, მხოლოდ ისეთებს, შენსავით სახლ-კარი რომ არ გააჩნიათ.

— შემიძლია. ბევრი ალბათ დათანხმდება, მაგრამ ფულს საიდან მისცემ?

— ჯერჯერობით, რასაკვირველია, ვერ მივცემ. მერე კი, როცა მამულსა და არყის სახდელს დავიბრუნებ, ურჩი გლეხების დასამორჩილებლად შეიარაღებული ზედამხედველები დამჭირდება.

ხოზე მაშინვე მიხვდა, ტორესი რასაც გულისხმობდა: მათ ჩვეულებრივ, უნდა შეედგინათ ყაჩაღების ბანდა. ეს ბანდა, სანამ მამულს დაიპყრობდნენ, ძარცვით გაიტანდა თავს. მერე ვინ იცის, დაიპყრობენ კია? მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდათ.

## სანტა ანაში

მზე გადაიხარა, არაკუნეს რაზმი სოფელ სანტა ანას რომ მიუახლოვდა. არაკუნე ჯიშიან ცხენზე იჯდა. ჯიშიან ცხენს მექსიკაში იშვიათად შეხვდებით. მას ჩუმად მიჰყვებოდნენ მხარზე თოფგადაკიდებული ამბროსია და ტრინი. მათ კი ტეპოტლელე-

ბი მისდეედნენ, რომელთა შორის ორი სან ბარტოლდოელი მებრძოლიდა დარჩენილიყო. დანარჩენები გონსალესის არმიასთან ერთ-ერთ მძიმე შეჯახების დროს დაიღუპნენ ოთხი წლის წინათ.

კოლონას ბოლოში რამდენიმე ქალი მიჰყვებოდა და დატვირთულ სახედრებს მიერეკებოდნენ. კნაჭაც მათთან იმყოფებოდა. დღეს თავს ძალიან სუსტად გრძნობდა და სახედარს კუდზე ეჭიდებოდა, რომ კოლონას არ ჩამორჩენოდა. გაწამებული კნაჭა იმაზე ფიქრობდა, ტეპოტლაში რა საქმეს მიუჩენდნენ. ბევრი-ბევრი კიდევ სამ დღეს მონდომებოდნენ იქ მისვლას. ტრინი ისევ იმ ბაღებში იმუშავებს, სადაც ბიძამისი ცხოვრობდა და მუშაობდა. ისიც მიეშველებოდა ცოტას. ყანაში მუშაობა აღარ შეეძლო.

მის უკან დოქტორი პეპე სახედარს მოათოხარიკებდა. ვერც ის იყო დღეს მაინცადამაინც კარგ გუნებაზე. უცბად თვალი მოჰკრა, რომ კნაჭა შეტორტმანდა და კუდს ხელი გაუშვა. ექიმი გადმოვიდა და კნაჭა აიძულა, სახედარზე შემჯდარიყო. ამაში თვითონაც დაეხმარა. დოქტორი მთელი გზა იმაზე ფიქრობდა, ნეტა სოფელში მუშაობას თუ შევძლებო.

გლეხები სანტა ანაში შევიდნენ. მაგრამ იქაური გლეხები არ გამოგებებიან. ამან ყველა გააოცა. სოფელს დაუარეს, მაგრამ არც ერთ ქოხში კაცის ჭაჭანება არ იყო. ერთ ბოსტანში ახლად მოჭრილი ფიჩხის გროვა მოხვდათ თვალში. ნეტა რისთვის აუჩეხიათ და რისთვის დაულაგებიათ ასე საგულდაგულოდ? იქნებ მის ქვეშ სიმინდს მალავენ?

ფიჩხი რომ გადასწიეს, გაოცებისაგან პირი დააღეს: ქვეშ ერთი ძალიან მოხუცი კაცი იწვა და შეშინებული ახამხამებდა თვალებს.

— მანდ რას აკეთებ, პაპა? — ჰკითხა ერთმა.

მოხუცი შეკრთა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

ამბროსიას დაუძახეს. ამბროსიამ მის წინ ჩაიჩოქა, მაგრამ პატრონტაშებმა საბრალო მოხუცი უფრო შეაშინა.

— რად გეშინია, მოხუცო? — ჰკითხა ამბროსიამ ინდიურად. — ჩვენ საპატას არმიელები ვართ და ახლა შინ ვბრუნდებით. არავის არ ვძარცვავთ.

— ნუთუ თქვენ?.. — მოხუცს შეეშინდა და ისევ გაჩუმდა.

— რა დაგემართა, პაპილო! — მოხუცის გასამხნევებლად გაიცინა ამბროსიამ. — აბა შემომხედე! შენი მტრები განა ჩემნაირები არიან? იქნებ ამ მიდამოებში მემამულეთა ბანდა დათარეშობს და იმას დაემალე?

— სწორედ რომ ეგრეა! სხვებიც იმიტომ გაიქცნენ, მე კი აღარ შემიძლია, მუხლი აღარ მერჩის და აქ დამმალეს.

— რა იცი ბანდაზე? უკანასკნელად სად ნახე?

— აი, იქით. იქ ერთ სოფელს დაესხნენ თავს, გლეხებს თხები დაუხოცეს და შეწვეს, მერე ვირებიც წაართვეს.

ამბროსია ფეხზე წამოდგა:

— ჩქარა არაკუნეს დაუძახეთ!

ტეპოტლელებმა დამბლადაცემული მოხუცი ფიჩხის ქვეშიდან გამოიყვანეს. აქვე ნახეს მჭადები და კოკით წყალი. ეს ამ საბრალოსთვის დაეტოვებინათ. მოხუცი მოხერხებულად დასვეს და მჭადები გვერდით მიუწყეს. ერთი მჭადიც არ აუღიათ, თუმცა ყველას შიმშილით კუჭი ეწვოდა. ამით მოხუცის საბოლოო ნდობა მოიპოვეს.

ამბრო' ›ამასობაში არაკუნეს ელაპარაკა და გადაწყვიტეს, სოფელი ›.ვდაცვისათვის მოემზადებინათ. ბანდიტები ალბათ იმავე გზით დაბრუნდებოდნენ. მოხუცისთვის უნდა ეთქმევინებინათ, სად იყო თავშეფარებული სოფლის მოსახლეობა. საშიშროებაში რად უნდა ჩაცვენილიყვნენ, როცა მათი დაცვა სოფელშიც შეიძლებოდა?

ბებერს სიტყვები ძლივს ამოაგლიჯეს პირიდან და როცა გაიგეს, სად იმალებოდნენ, სოფლელების დასაძახებლად ტრინი გაგზავნეს. ტრინიმ თოფი დატოვა და ისე წავიდა.

კაქტუსის ბუჩქებიდან ორმა გლეხმა ამოჰყო თავი.

ტრინი შედგა და ინდიურად მიმართა:

— ჩვენ მძარცველები არ გეგონოთ, საპატას არმიის ჯარისკაცები ვართ.

გლეხები არ ენდვნენ და ბიჭს რამდენიმე შეკითხვა მისცეს. მერე ერთ ხევში შეიყვანეს, სადაც სოფლის მოსახლეობას შეეფარებინა თავი. იქ ახალ-ახალი შეკითხვები დააყარეს, რომლებზეც ტრინი, ჩვეულებისამებრ, გულიანად პასუხობდა. სოფლელების გული განსაკუთრებით იმით მოიგო, რომ ესპანურად კი არ ელაპარაკებოდა, თავის მშობლიურ ენაზე—ინდიურზე.

უცბად ერთმა, ძალიან მკაცრი შესახედაობის მოხუცმა ჰკითხა:

— საპატას მოკვლის შემდეგ რაღა მოხდა?

ტრინი მიხვდა, რომ ეს მოხუცი სოფლის თავკაცი უნდა ყოფილიყო. ეტყობოდა, მას ბიჭის გამოცდა უნდოდა.

როცა ტრინიმ ამ კითხვაზეც უპასუხა, მოხუცს მეორე კაცმა მიმართა:

— ატა ტომას, მე მგონი, ეგ ბიჭი არ სტყუის.

მოხუცმა თავი დააქნია. „ატას“ განსაკუთრებით პატივცემულ ადამიანს უწოდებენ.

●

ორი საათის შემდეგ სოფლელები ისევ თავიანთ ფარდულებქვეშ ისხდნენ და ტეპოტლელებს უბრალოდ, სოფლურად უმასპინძლდებოდნენ.

ატა ტომასის ქოხთან ამბროსიამ, არაკუნემ და ტრინიმ მოიყარეს თავი.

— უნდა დავაზუსტოთ, ყაჩაღების ბანდას საით აქვს აღებული გეზი, — თქვა არაკუნემ.

— სჯობს, ახლაც ისე მოვიქცეთ, ბაღებში ყოფნისას რომ ვიქცეოდით, — თქვა ტრინიმ. — მეზობელ სოფლებში აქაური ახალგაზრდები დავაგზავნოთ. ისინი გზას ღამითაც კარგად გაიკვლევენ.

ატა ტომასმა ტრინის დაკვირვებით შეხედა.

— მაშ აქაურ ბიჭებს გინდა მოელაპარაკო? ვინმეს მოგიყვან, — და კმაყოფილი მოხუცი სიბნელეში გაუჩინარდა.

ხანდაზმულმა, სქელ-სქელმა ინდიელმა ქალმა, — იგი ალბათ ატა ტომასის ცოლი იყო, — მათ ქოთნებით ჩაი მიართვა. სტუმრები მაშინვე ხვრეპას შეუდგნენ.

უცბად ტრინის ცალთვალა ბიჭი ამოუდგა გვერდით და უთხრა:

— წამომყევი!

ცალთვალა ბიჭმა ტრინის ხელი ჩაავლო, რადგან კუნაპეტი ღამე იდგა და ასე ხელჩაკიდებული ოღროჩოღრო გზებზე ატარა. ტრინის მხოლოდ ტოტების ლაწალუწი და შიშველი ფეხების ტყაპატყუპი ესმოდა. მეგზური უცბად შედგა და ხმადაბლა თქვა:

— წეღან გისმენდით, ხევში რომ ლაპარაკობდი. რით შეგვიძლია დაგეხმაროთ?

ტრინიმ მათ ხმადაბლა უამბო, რამდენიმე წლის წინ სან ბარტოლდოდან და სხვა სოფლებიდან ბიჭებს როგორ მოჰქონდათ ცნობები ტეპოტლაში მძარცველთა არმიის შესახებ.

უცებ ტრინი შეკრთა: ნეტა ვინმე თუ უსმენს? გარშემო მდუმარება სუფევდა.

— მზადა ხართ საკუთარი და ახლობელი სოფლების დასაცავად?

ბიჭებმა ჩურჩული ატეხეს. დახმარება ყველას სურდა.

ტრინიმ ცალ-ცალკე დავალებანი გაანაწილა. იგი ახლა მიხვედა, გლეხთა არმიაში მზვერავებთან მუშაობით რამდენი გამოცდილება შეეძინა.

— ხვალამდე, სანამ ინათებდეს, ბანდაზე სწორი ცნობები

უნდა შევაგროვოთ. აი, მაშინ კი შევიძლებთ მათ შეპყრობას.

ცალთვალა ბიჭმა ტრინი ისევ ატა ტომასთან წაიყვანა. უკან გამობრუნებისას ფარდულთან ერთი ტეპოტლელი შეამჩნიეს, იგი გლეხებს არაკუნეს ამბავს უყვებოდა, ეშმაკურად რომ აიღო მემამულის სახლ-კარი. მერე ტეპოტლელი მენახშირეების სოფელთან გამართული ბრძოლის, ტყვეების შეპყრობის, მეხიკოს აღებისა და მძარცველ გონსალესთან ჩატარებულ მძიმე ბრძოლების ამბებს მოჰყვა.

ამავე ღამეს ქოხებთან თავი შეეყარა ხალხს. ისინი შინ დაბრუნებულების ნაამბობს ისმენდნენ, ის კი ვეღარ გაეგოთ, რომ მათი შვილები სადღაც გამქრალიყვნენ.

ყველაზე ბევრი ხალხი იმას შემოსეოდა, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა მოსვენება, — კნაჭას, აღტაცებულ კნაჭას თავისი გაჭირვება დავიწყნოდა. საპატას მშვიდ სიდიადეს იგი შმაგ პანჩო ვილას ადარებდა. მერე საპატას მკვლელობის ამბავი გაიხსენა და ისევ ეტკინა გული, მის მსმენელებს კი აცრემლებულ თვალებზე ქუდები და თავშლები ჩამოეფარებინათ.

## ᲨᲕᲘᲗᲘᲐᲜᲘ ᲦᲐᲛᲔ

ტორესი უცნაურად იყო გამოწყობილი, სამხედრო ფორმისა თუ მემამულის ტანსაცმლის მსგავსი რაღაც ეცვა. თავზე დიდი, ამოქარგული შლიაპა ედო. რახან გლეხებს არ ენდობოდა, სოფლის ერთი ნაწილიდან მოსახლეობა აჰყარა და თავისი რაზმი დააბინავა. სახლების გადაწვა სასტიკად აკრძალა, მას კარგად ახსოვდა ამ რამდენიმე წლის წინ სან ბარტოლდოსა და ტეპოტლაში მძარცველთა არმიის მიერ ჩადენილი შეცდომები: აკვამლებული სოფლები შორიდანვე ჩანდა და მათ ადგილსამყოფელს ააშკარავებდა.

მისი ბანდის თითქმის ყველა წევრი მარიჰუანას ეწეოდა, რაც ბანდიტებში დაუსრულებელი განხეთქილების წყაროდ იქცა. სოფლებში მარიჰუანა არ იშოვებოდა, ამიტომ დახარბებული ბანდიტები ერთმანეთს პარავდნენ. ვისაც მარიჰუანა აღარ გააჩნდა, გაგიჟებამდე მიდიოდა და სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა.

ტორესი ლანძღვა-მუქარით ძლივს აჩერებდა მათ საგუშაგოებზე, ან სხვა რამ დავალებას აძლევდა. მათთან სიახლოვეს გაურბოდა და განდევნილ, გვირგვინოსან მეფესავით თავისი ქოხის წინ მარტო იჯდა. პისტოლეტის ბუდეს ძილშიც არ იცილებდა.

მეორე დღეს ტორესმა გლეხებს უბრძანა, მჭადები დაგვიცხვეთ და მარაგი შეგვივსეთო.

ის იყო თენდებოდა, რომ გუშაგის ყვირილი და სროლის ხმა შემოესმა. ტორესი ზეზე წამოიჭრა, ხელის ცეცებით მოძებნა კარი და სიბნელეში გაუჩინარდა. გუშაგი თავის ადგილზე ვეღარ იპოვნა. მიიხედ-მოიხედა და გვერდზე გამდგარი ნახა.

— რას ემალები?

— აქ ყველაფერი წესრიგში ვერ უნდა იყოს, ბატონო! ესესაა, ხალხმა ჩაიარა. გადავძახე, მაგრამ ხმა რომ არ ამოიღეს, ვესროლე. ისინი უცბად გაუჩინარდნენ.

— შენი თვალით თუ დაინახე?

— არ დამინახავს, მხოლოდ ფეხის ხმა გავიგონე. მერე ჩამიჩუმი მიწყდა.

„ავსულები ელანდება", — გაიფიქრა ტორესმა და ქოხში შებრუნდა. მაგრამ მის თვალებს ძილი აღარ მიჰკარებია. უსიამოვნო ფიქრები აეკვიატა და მოსვენება აღარ მისცა. მომავალი სანუგეშოს არაფერს უქადდა.

ორი ბიჭი გაუფრთხილებლად მიადგა სოფელს. უცბად ვიღაცამ ესპანურად შეუყვირა:

— შესდექ! ვინ მოდის?

ბიჭები იმავე წამში შედგნენ. გუშაგს ვერ ხედავდნენ. გაისმა სროლის ხმა, ტყვიამ ყურთან გაუზუზუნა. ბიჭები მაინც არ განძრეულან.

მოულოდნელად გუშაგის ფეხის ხმა შემოესმათ. ბიჭები მეორე მხარეს გადაძვრნენ და ბაღისაკენ მოქუსლეს. გარბოდნენ და თან წამდაუწუმ ჩერდებოდნენ, ბოლოს თავისიანების ჩურჩული შემოესმათ. ბიჭები ნელა გამოძვრნენ.

სიბნელეში ვიღაც ქალმა დაიძახა ინდიურად:

— ვინა ხართ?

— დედილო, ერთი ამბავი მოგიტანეთ.

— ამბავი? — მათ ახლა კაცი გაეპასუხა. — სოფელში ისეთი ნეტა რა ხდება, რომ ყველამ არ იცოდეს?

ახალგაზრდები უფრო ახლო მიდგნენ.

ჩვენ გვესროდნენ.

— გავიგონეთ. ამ ღამე რას დაეხეტებით? ხომ იცით, იქ გუშაგი დგას?

— არ ვიცოდით, ჩვენ სანტა ანადან მოვდივართ. მეგობრებმა რაღაც დაგვაბარეს თქვენთან.

●

ტორესს, როგორც იქნა, დიდი წვალებით ჩაეძინა, რომ ხოზე მოვიდა.

— ბატონო, სოფელში რაღაც ხმაური ისმის.

— რა ხმაური?

— ხალხი აქეთ-იქით დაძრწის და თავიანთ ენაზე ლაპარაკობს. გლეხებს კი, ჩვეულებრივ, ღამით სძინავთ, არ ლაპარაკობენ.

— დილას ვნახოთ, — მიუგო ტორესმა. ეშინოდა ამ შუაღამისას სოფლის გაჩხრეკა.

„საშიშია, — გაიფიქრა მან, — ჩვენ ერთი მეგობარიც არ გაგვაჩნია, გლეხებს კი ეშმაკებთან აქვთ შეკრული პირი.“

ამის შემდეგ მთელი ღამე სიმშვიდე სუფევდა. რამდენიმე ბანდიტი დილით სოფელში გავიდა მჭადების წამოსაღებად, მაგრამ სოფელში აღარავინ დახვედრიათ. ის სახედრებიც. ეუშინ გლეხებს რომ მიაბარეს, სადღაც გადაემალათ.

ეს ამბავი ტორესს შეატყობინეს. იგი ერთ ხანს გაქვავებული იჯდა, მერე კი მკაცრი ბრძანება გასცა, გზას გასდგომოდნენ, თუმცა ეს სიფიცხე აღარ იყო საჭირო. მას სურდა თავისი ხალხისთვის სახედრები ეშოვნა, რადგან ეშინოდა, გლეხთა არმიის დაშლის შემდეგ ტეპოტლაში იქაურ მკვიდრთ არ მიესწროთ მისთვის. განა სარწმუნო არ იყო, რომ არაკუნეც ტეპოტლისკენ მიეშურებოდა? ტორესმა გადაწყვიტა, სახედრები მახლობელ სოფელში შეევსო. არავის დავზოგავ და მაინც ვიშოვნი, მერე კი ტეპოტლისკენ გავეშურებიო, — ფიქრობდა ტორესი.

ძუადღე ახლოვდებოდა. ტრინი ორღობეში გარბოდა და არაკუნეს ეძებდა. არაკუნემ ორი-სამი საათის წინ ბაღებში კაქტუსებს უკან და ქვის ყორეებთან თავისი მსროლელები ჩაასაფრა, თვითონ ერთ ქოხთან იდგა და ამბროსიასა და სოფლის თავკაცს ელაპარაკებოდა.

— შენ ნუ გეშინია, ატა ტომას! მაგ ბანდის მოგერიება ჩვენი გამოცდილი მსროლელებისთვის ძნელი საქმე არ არის.

სწორედ ამ დროს მასთან ტრინი მიიჭრა:

— არაკუნე! — შეაწყვეტინა ტრინიმ. — ეს-ესაა შიკრიკი მოვიდა. ბანდა აქეთ მოიწევს.

— ამაზე უკეთეს შემთხვევას ვერც ინატრებდი, ტრინი. მე უკვე ვშიშობდი, ვაითუ რომელიმე არამზადამ გაგვცა-მეთქი, რომ აქ ჩავსაფრდით. ხომ არ იცი, რა ძალები გააჩნიათ?

— როგორც ჩანს, ჩვენზე მეტი ხალხი არ უნდა ჰყავდეთ.

— ძალიან კარგი. ახლა აქედან გაგვეცალეთ.

— რად? — იკითხა ატა ტომასმა.

— ვისაც თოფი აქვს, ბრძოლაც იმას შეუძლია.

— მართალია, თოფი არა მაქვს, მაგრამ მთელი სოფელი მე შემომცქერის. თუმცა ბრძოლა თქვენ მოგიწევთ, მაგრამ მეც თქვენთან უნდა დავრჩე.

— ჰო, კარგი, — დაეთანხმა არაკუნე. — მაგრამ იცოდე, ორღობეში არ გამოჩნდე. ბანდიტებს არავინ არ უნდა დაენახოს. ტრინი, შენ შენს ქოხში წადი, სადაც მზვერავებს ცნობები მოაქვთ!

ტრინი ყოყმანობდა. მას ამბროსია წამოეშველა.

— მე თოფი მაქვს და გამოვიყენებ, შენ კი წადი!

ორღობეში მალე გამოჩნდნენ სახედრებზე შემსხდარი ბანდიტები, მათ შუაში კი თავზე ფართოველიან შლიაპაჩამოფხატული კაცი ცხენს მოათოხარიკებდა. ეს კაცი მძარცველების მეთაური უნდა ყოფილიყო. მხედრებს ორღობეში ფართოდ გაშლილი ფეხოსნები მოსდევდნენ.

ბანდიტები წინ მოიწევდნენ. უკვე მკაფიოდ შეიძლებოდა მათი სახეების გარჩევა. არაკუნემ უცბად ხელი აიქნია და მჭექარე ხმით შესძახა:

— ცეცხლი!

თვითონ ფეხზე წამოხტა და ზეზეულა დიდშლიაპიან კაცს დაუშინა. მას ცხენი წაექცა, მისი მხლებელნი აქეთ-იქით მიიფანტ-მოიფანტნენ.

ბანდიტებმაც რამდენიმე გასროლა მოახერხეს, მაგრამ ტყვიებმა ჰაერში ამაოდ გაიწუილა.

ინდიელები სროლას არ წყვეტდნენ და ვინც ორღობიდან თავს წამოყოფდა, ცეცხლს უშენდნენ. ორღობეში რამდენიმე მოკლული კაცი და ერთი ცხენი დარჩა. ბრძოლა დამთავრდა.

არაკუნემ ატა ტომასს ხელი გაუწოდა.

— ბანდიტები აქ ვეღარ მოვლენ. რაც შევიძელით, დაგეხმარეთ. ახლა თქვენა გთხოვთ დახმარებას.

— რა გჭირდებათ?

— სასწრაფოდ რამდენიმე სახედარი.

— გაჩუქოთ?

— არა, გვათხოვეთ!

— გაჩუქებთ. თქვენ არ დაგვიფარეთ, რომ არ გაველარცეთ?

არაკუნე თავის რაზმელს მიუბრუნდა:

— ახლავე ტრინისთან გავარდი და მოიყვანე! დაჭრილები უნდა დაჰკითხოს. რამდენიმე მცველსაც გავაყოლებ. მაგნაირი ბანდიტები სიკვდილის პირასაც რომ იყვნენ, მაინც ისვრიან.

ტრინი მალე გამოჩნდა, სახედარიც უკვე მზად იყო. ტრინი ვირზე შეჯდა, სოფლიდან შარაზე გავიდა და გააჭენა.

დაჭრილი ცხენის ახლო-მახლო რამდენიმე მკვდარი ჯარისკაცი ეგდო, მაგრამ ის ფართოშლიაპიანი კაცი არსად ჩანდა. ტეპოტლელებმა ორღობის პირებში ბუჩქნარი გადასინჯეს და ერთი პირქვეჩამხობილი კაცი იპოვეს. რომ გადმოაბრუნეს, კაცმა შეშინებული თვალები შემოანათა.

— თქვენი მეთაური სად არის? — ჰკითხა ტრინიმ ესპანურად.

— გაიპარა, — მიუგო კაცმა.

— რა ჩვენებურად ლაპარაკობ, აქაური ხარ?

— ჰო, ტეპოტლელი.

ტრინის ერთ-ერთი მცველი წინ წამოდგა, დააკვირდა და თქვა:

— შენ ხომ დომინგო ხარ? აფსუს, რატომ ეგ თავი არ გაგიხვრიტეს!

— მოიცათ! — თქვა ტრინიმ. — აბა ეს თქვი დომინგო, თქვენი ბანდა საითკენ მიემართება?

— ტეპოტლაში. ტორესს თავისუფალი მამულის დაბრუნება უნდა.

ტრინიმ იერონიმოსაგან ისწავლა, რომ დაკითხვის დროს გაოცება არ შეემჩნიათ, მაგრამ მის მცველებს მაინც ემჩნეოდათ გაბრაზება და ზიზღი. ისინი დაჭრილს მისცვივდნენ, მაგრამ ტრინიმ შეაჩერა და დომინგოს ჰკითხა:

— ის ვირები რაღად გინდოდათ, ღამე რომ გაგირეკიათ?

მიწაზე განრთხმულმა კაცმა გაოცებისაგან პირი დააღო: ეს ახალგაზრდა გლეხი, მას რომ ეკითხებოდა, არა მარტო ინდიურად, ესპანურადაც ისე ლაპარაკობდა, როგორც ბატონები ლაპარაკობენ ხოლმე.

— გეტყვი, — თვალები აახამხამა დაბნეულმა. — ბატონ ტორესს ერთი კაცისა ეშინოდა, ხომ არ მომკლავთ, მისი სახელი რომ გითხრათ?

— არა, ამისთვის არ მოგკლავთ.

— მისი ნამდვილი სახელი არ ვიცი, ისე კი არაკუნეს ეძახიან.

ტეპოტლელებმა ერთმანეთს გადახედეს და გაიცინეს.

— ეგ კი სწორი უფიქრია, — თქვა ერთმა. — არაკუნემ დაიფიცა, მაგ არამზადას მესამედაც თუ დავიჭერ, აუცილებლად წირვას გამოვუყვანო. ლამის გამოჭერილიცაა.

დომინგო ახლა კი მიხვდა, რომ არაკუნეს ხელში იყო და უფრო შეშინდა.

— ჰო, იმდენი ვირები რისთვის გინდოდათ? — ისევ ჰკითხა ტრინიმ.

— გვინდოდა ტეპოტლაში არაკუნესათვის მიგვესწრო. ახლა მე რას მიზამთ?

— სოფელი გადაწყვეტს, — მიუგო ტრინიმ, სახედარს მოახტა და სოფელში დაბრუნდა.

ამბროსია და არაკუნე ელოდნენ.

— რა ამბავი მოიტანე?

— ეგ ახალგაზრდა ტორესი ბრძანებულა, ტეპოტლაში ჩვენზე ადრე განუზრახავს ჩასვლა, რომ იქ თავისი ბუნაგი გაანაახლოს. სამწუხაროდ, გაპარულა.

— ეს ბანდა უნდა განადგურდეს, თორემ მთელ მხარეს გაძარცვავს და მოსვენებას არ მოგვცემს, — გადაჭრით თქვა ამბროსიამ...

— აი, ამაში გვჭირდება თქვენი დახმარება, ატა ტომას, — მიმართა მას არაკუნემ. — რაც ვირები გყავთ, მოგვეცით, რომ მეზობელ სოფელში სასწრაფოდ მივიდეთ. იქიდან თქვენს ვირებს დაგიბრუნებთ და იქაურებს წავიყვანთ. ამრიგად, სწრაფად და დაუღალავად დღესვე მივაღწევთ ტუსპანამდე, ხვალ კი

ტეპოტლაში ვიქნებით. ტრინი, შენ მუდამ წინ გაგვიძღვები, ხომ გესმის, რატომ?

— მესმის. ყოველ სოფელში ახალგაზრდებს შევკრებ, ჯობია, უფრო მოზრდილები იყვნენ, ვისაც მეტი სირბილი შეუძლია. ბანდიტებს ყოველი სოფელი დაცლილი უნდა დახვდეს. გლეხების დაყოლიება ახლა უფრო ადვილია, რადგან ტორესი სოფლებს არა სწვავს, ეშინია, თავისი თავი არ გასცეს. დღეს შუადღემდე ჩვენს შესახებ, საერთოდ, არაფერი არ იცოდა, ახლაც მხოლოდ ეჭვით თუ ხვდება, ვინ ჩაუსაფრდა.

— სწორია, — თქვა ამბროსიამ. — მაგრამ ძალიან სწრაფი მოქმედებაა საჭირო.

## ალყა

ცხენი რომ წაექცა, ტორესი ორღობესთან მიხოხდა და ბუჩქნარს შეერია. ფრთხილად მიძვრებოდა და თან ფიქრობდა: „იერიშის მოტანის ყოველი წესი დაიცვეს. ბრძანება ინდიურ ენაზე გაიცა, ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ სანტა ანაში გაწვრთნილი რაზმია. იქნებ საპატას ყოფილი გლეხთა არმიის ერთი ნაწილია. მათი თოფების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ოცდაათი კაცი მაინც იყო.“

შორიახლოს მეორე ბანდიტი მიიპარებოდა, მარჯვენა ხელზე მარცხენა წაევლო. მებრძოლად აღარ ვარგოდა.

„ამას გარდა, — ფიქრობდა ტორესი, — თავდასხმაზე ჩანს, რომ გველოდნენ. იქნებ ამიტომ გაჰქრნენ ღამით სოფლელები და ვირებიც გადაიკარგა. ეტყობა, უხილავი ხელი განაგებს საქმეს. ნეტა ძველი მტერი ხომ არ არის, არაკუნე?“

უცბად გაახსენდა, რომ საპატასთან ერთი საოცარი ქალი, ამბროსია იყო. მერე პოლკოვნიკი გახდა. მძარცველთა არმიაში მას ზოგი ბებერ ალქაჯს ეძახდა, სხვებს კი ულამაზეს ქალად მიაჩნდა, რომელსაც ყველა მამაკაცის მოჯადოება შეეძლო. მათ ეს პოლკოვნიკი არასოდეს ენახათ, მაგრამ მისი ყველას ეშინოდა, თვით გენერალ გონსალესსაც, რომელმაც ერთხელ თავის ადიუტანტს უთხრა: „ეგეთი დაზვერვის უფროსი რომ მყავდეს, რაღა გვიშავს! ჩვენი მზვერავები კაპიკად არა ღირან“.

თავის ხალხს ტორესმა ერთი ბორცვის უკან მოუყარა თავი. ბანდიტები მეთაურს მიაცქერდნენ, — ახლა რა ვქნათო. ტორესს გულგრილი სახე ჰქონდა, დინჯად ეჭირა თავი.

მოკლული ცხენის შესაცვლელად ერთ-ერთ რაზმელს სახედარი წაართვა. რაზმელმა ერთი კი შეუბღვირა, მაგრამ უნდა მიეცა, სხვა რა გზა ჰქონდა. თავდასხმის გამო ბანდიტების უმეტესობას სახედრები გაქცეოდა და ერთ-ორ კაცსღა შერჩენოდა.

ბანდა ისევ უკან იხევდა. გზამ მარცხნივ მიუხვია და ტორესიც მას გაუყვა, რომ ტუსპანში სასწრაფოდ მისულიყო. შემთხვევით უკან მოიხედა და ორ ბიჭს მოჰკრა თვალი. ბიჭებმა გზაზე გადაირბინეს. სანტა ანასაკენ გარბოდნენ, იქნებ პოლკოვნიკ ამბროსიასთანაც, ვინ იცის? მაშ მის მტრებს ერთ საათში ისევ ეცოდინებოდათ ტორესის ადგილსამყოფელი.

ბანდიტების უფროსს ფერი ეცვალა. აი, ახლა კი საკუთარი თვალითა ნახა, რას ნიშნავს ჭკვიანურად და უხმაუროდ მოწყობილი დაზვერვა. ხომ არ სჯობდა, განზრახვაზე ხელი აეღო? მაგრამ სხვა რაღა რჩებოდა? ტორესი შეეცადა, გულში შეპარული შიში ამ სიტყვებით ჩაეხშო: „რახან გავყაჩაღდით, უშიშრები მაინც უნდა გვერქვას.“

ორიოდ საათში რომელიღაც სოფელს მიადგნენ. ტორესი შორიახლო გაჩერდა და სამი კაცი დაზვერვაზე გაგზავნა. აღარ სურდა, გაუფრთხილებლობის გამო ისევ ცეცხლში მოხვედრილიყო.

სამივე მზვერავი გზის პირებს მიუყვებოდა და სოფელს ნელა უახლოვდებოდა. სოფელი დაცარიელებული იყო. ახლა კი გაბედულად შევიდნენ სოფელში, ქოხებს მიეფარნენ, მერე ისევ გამოჩნდნენ და თოფები დაიქნიეს, რითაც ანიშნეს, — საშიშროება არ არისო.

ეს სოფელიც ისე იყო გაცლილი, რომ ბანდიტებმა მცირეოდენი უმწიფარი ხილის მეტი ვერაფერი ნახეს. ამრიგად, იძულებულები იყვნენ ისევ მშივრებს ევლოთ. შემდეგი სოფელი ტუსპანი იყო, მაგრამ იქამდე მიღწევა დღეს საეჭვო იყო.

მარჯვნივ ტორესმა მემამულის სახლ-კარის ნანგრევებს მოჰკრა თვალი. ბავშვობაში აქ ხშირად ყოფილა ხოლმე.

ზურგს უკან ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო:

ნეხვის ჭია ჯარისკაცი
ძლიეს დაღღავს
მარიჭუანას თუ არ მოსწევს,
ფეხსაც ვეღარ გადაადგამს.

— შეწყვიტეთ! — დაიღრიალა გაცოფებულმა ტორესმა.

ეს სიმღერა მძარცველთა არმიის ჯარისკაცებმა სამოქალაქო ომის დროს იმის ნიშნად შეთხზეს, რომ თავიანთი უკმაყოფილება გამოეთქვათ.

ჯარისკაცებმა მელოდიის ღიღინი განაგრძეს, სიტყვებს კი აღარ აყოლებდნენ.

## პირველი მილება

ტუსპანში გლეხები არაკუნეს რაზმს სიამოვნებით დაეხმარნენ და საჭირო სახედრები მაშინვე გამოუძებნეს. ბევრი ამათ შორის რამდენიმე წლის წინ თვითონ იყო ტეპოტლელების ლტოლვილი სტუმარი თხის სახტომის მაღალ მთებში.

იმავე საღამოთი ბრაულიო, ტრინი და რამდენიმე კაცი ვირებით ტეპოტლასკენ გაემართნენ. ჰაერი არ იძვროდა. ძალიან ბნელოდა.

სოფელში სამარისებური სიჩუმე იდგა. შუქი არსად ჩანდა. გლეხებს გაუკვირდათ, ნუთუ აქამდე არ გაუგიათ, ჩვენ რომ ᲫᲝᲕᲓᲘᲝᲓᲘᲗᲝ.

ვირები სოფელში შეაჭენეს. ეკლესიას რომ მიუახლოვდნენ, ყოველი მხრიდან ხალხი შემოეხვია.

— ვინა ხართ?

— ტეპოტლელები ვართ! — მხიარულად მიუგო ერთმა.

— ვინა? ვინა?

— პორფირიო, პანკრატიო, ხუანი, ბრაულიო, ტრინი, თუმცა ეს სან ბარტოლდოელია.

გახარებულმა ტეპოტლელებმა მოსულები ვირებიდან ჩამოყარეს. მოედანი უცბად კაცებით, ქალებითა და ბავშვებით გაიჭედა. ვიღაცამ ხმამაღლა იკითხა:

— ჩემი ბიჭი სად არის?

— მამა ბენიამინო, შენი შვილი ახლა ტუსპანშია!

— მითხარით, როგორ იბრძოდა?

— არ იცი, მამა ბენიამინო? ის ხომ გლეხთა არმიის ერთ-ერთი მეთაური იყო.

— კარგი ამბავი მომიტანეთ! კეთილი იყოს თქვენი მოსელა! რომელ ქოხშიც შეხვალთ, ყველგან გულკეთილი მასპინძელი დაგხვდებათ.

— მადლობელი ვართ, მამა ბენიამინო. მაგრამ აქ იმისთვის კი არ მოვსულვართ, რომ ჩვენი დაბრუნება ვიზეიმოთ. იმისთვის მოვიჩქაროდით, რომ შეგვეტყობინებინა, ახალგაზრდა ტორესი თავისი ბანდით აქეთ მოემართება, მამულის ხელში ჩაგდება უნდა ისევ. ჩვენ იქ გავმაგრდებით და დავიცავთ. ტრინი კი თქვენთან დარჩება, სოფელში.

ამ საუბარში მოულოდნელად სოფლის მღვდელი წამოდგომოდათ თავს. სოფელში მას პატივს უკვე აღარავინ სცემდა, რადგან ახსოვდათ, მძარცველთა არმიის მოახლოება რომ შეიტყო, როგორ გაიქცა ქალაქში, მზარეული და მისი გოგონა კი უყურადღებოდ დაყარა. ასეთი საქციელი გლეხების ზიზღს იწვევდა. ახლა მღვდელი ცდილობდა ტეპოტლელთა დაბრუნება გამოეყენებინა და მათ მეგობრულად მისალმებოდა. მაგრამ ყველა შემოეცალა. როგორც კი ტრინიმ მის შავ ანაფორას მოჰკრა თვალი, არაკუნეს მამას წასჩურჩულა:

— რაღაც უნდა გითხრა, მაგრამ მაგ ხუცესთან ვერ გეტყვი.

ბენიამინმა თავი დაუქნია და ისა და ტრინი წავიდნენ. სხვებიც მიხვდნენ, რომ იმათთვის უნდა მიებაძათ და ყველამ ზურგი შეაქცია ხუცესს. ბრაულიო და მისი თანამგზავრები კი ვირებს მოასხდნენ და მამულისაკენ გაჰქუსლეს.

იქაურობას რომ გაეცალნენ, ტრინიმ არაკუნეს მამას უთხრა:

— მამა ბენიამინო, შენ ვაჟიშვილსა და სხვა თქვენებურებს ახლავე არ შეეძლოთ სოფელში მოსულიყვნენ, რადგან ტუსპანელებს საკმარისი სახედრები არ გაეჩნდათ. შენმა ვაჟმა მოკითხვა შემოგითვალა და გთხოვს, ვირები მალე გამომიგზავნეო. ტორესი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ თქვენ მოულოდნელად თავს დაგესხათ. არაკუნესა და პოლკოვნიკ ამბროსიას კი უნდათ, ტორესი აქ შემოიტყუონ, ხაფანგში მოაქციონ და გაანადგურონ.

— გასაგებია. ეგ პოლკოვნიკი ამბროსია ვიღაა?

— დიდედაჩემია.

ბენიამინს უნდოდა გადაეხარხარა, მაგრამ გაახსენდა, ალბათ ამ ქალს დიდი დამსახურება აქვს, რახან პოლკოვნიკობა შიანიჭესო.

— ვირებს ახლავე შევაგროვებთ. მთელი სოფელი ფეხზე დგას, — თქვა ბენიამინმა.

— კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს, — დაიწყო ისევ ტრინიმ. — თუ გვინდა ბანდა მთლად გავანადგუროთ, მზვერავები საკმარისად უნდა გვყავდეს. ამისთვის ახალგაზრდები გამოდგებიან, მაგრამ ხანდაზმულებიც მჭირდება.

— შენა გჭირდება, ტრინი, ისინი?

— გლეხთა არმიისათვის მე და პოლკოვნიკი ამბროსია ვაგროვებდით ცნობებს.

„რა ოჯახია!" — აღტაცებით გაიფიქრა ბენიამინმა და იკითხა:

— ყურებდაჭრილი იერონიმოც თქვენთან არის?

— იგი საპატას ახლდა თან და მასთან ერთად მოკლეს.

ამ ამბავმა ბენიამინი დაამწუხრა, მაგრამ არ გამოუმჟღავნებია.

— სახედრებსა და მზვერავებს მალე გავაჩენთ, მაგრამ სად მოგიყვანონ? შენ ხომ ჩემთან იქნები?

— არა, მამა ბენიამინო, არ ივარგებს. შენთან არაკუნე დარჩება. მე ცალკე ვიცხოვრებ, თორემ მზვერავების წასვლა-მოსვლა აღარ მოგასვენებს. ბრაულიოს ქოხში არ შეიძლება გავჩერდე?

— რატომაც არა, — ხმადაბლა თქვა მოხუცმა. ამხელა კაცია და თვითონ ასეთ რამეებზე ჯერ არასოდეს არ უფიქრია, ამ ბიჭმა კი უკვე ყველაფერი იცის.

## ნაპოვნი

კარგა ხანი იწრიალეს ბიჭებმა ტეპოტლის განაპირას, იმ ადგილას, საიდანაც ტუსპანისკენ მიმავალი გზა იწყებოდა. ღამდებოდა. ახალგაზრდები თანდათან ჰკარგავდნენ მოთმინებას.

ბოლოს გზაზე რაღაც გამოჩნდა. მალე მათ ვირებზე შემსხდარი მხედრები გაარჩიეს და სოფელში ყვირილით შეცვივდნენ.

— ჩვენები მოდიან!

ინდიელები ქოხებიდან გამოცვივდნენ და სოფლის თავში შეგროვდნენ. სულ მალე მხედრებიც მოუახლოვდნენ სოფელს. მათ წინ ცხენზე ამხედრებული წარმოსადეგი მამაკაცი მოუძღოდათ.

ბენიმინი ცხენოსანს დააკვირდა: „ნუთუ ეს ჩემი ვაჟიშვილია?“ ვერ წარმოედგინა, არაკუნე თუ ასე გაიზრდებოდა.

მაგრამ სოფლელებს იმედი გაუცრუვდათ, რადგან რაზმმა მამულისაკენ გაუხვია და თვალს მიეფარა. რამდენიმე ბიჭი მათ გაედევნა, ბიჭებს ქალებიც გაჰყვნენ, ბოლოს კი მამაკაცებიც იქით გაეშურენ. ბენიამინი ცოტა არ იყოს გაბრაზდა კიდეც, რადგან უნდოდა შინ დაბრუნებულებს ისე შეხვედროდა, რო-

გორც ინდიელების ძველი ადათი მოითხოვდა. ასეთი მიღება კი სოფლის განაპირას აბა როგორ მოხერხდებოდა.

როცა ბენიამინი მამულის ეზოში შევიდა, დაინახა, მისი ვაჟი ხალხში ჩამდგარიყო და სთხოვდა, — დაიშალენითო.

— დედილო, დამიჯერე, ახლა ჭამა არ შეგვიძლია. ხომ შეიძლება უცბად ბანდიტები შემოგვესიონ? ისინი თქვენ დაგიშენენ. ნუ გგონიათ, იმის გამო მოგერიდებიან, რომ ჩვენი მოსვლა გიხარიათ!

არაკუნემ უცბად მოხუცი ბენიამინი დაინახა და დეზების წკარაწკურით მისკენ გაემართა.

— მამა, ძალიან გთხოვ, დამიჯერო, ახლა ზეიმის დრო არ არის, მაგისთვის ახლა არა გვცალია. ეს ხალხი როგორმე უნდა გავიყვანოთ აქედან.

— ის მაინც ხომ შეიძლება, მოხუც მამას მიესალმო? — ღიმილით უთხრა ბენიამინმა.

— რაღა თქმა უნდა, მოგესალმები, მაგრამ მერე, ბრძოლა გველის, ვინ იცის, მაგარი ბრძოლაც მოხდეს, თუმცა უკანასკნელი კი იქნება. ზეგ კი შეიძლება ზეიმიც მოვაწყოთ! საჭმელს ხომ იშოვნით?

— თქვენთვის ყველაფერს ვიშოვნით.

— კარგი, მამა. ახლა კი მიშველე, რომ ეს ხალხი დაიშალოს, თორემ უცებ ბანდიტები რომ დაგვესხან თავს, ერთ თოფსაც ვერ გავისვრით.

თავიანთ ძმებსა და ვაჟიშვილებს რომ შეავლეს თვალი, ძნელი აღარ იყო ტეპოტლელების დარწმუნება, რომ არაკუნეს განკარგულება სწორი იყო. ასეთი ხანმოკლე შეხვედრა თითქოს უფრო გულწრფელი და გულითადი გამოვიდა. ხან ერთი დედა შემოვარდებოდა ეზოში, ხან მეორე, და თავიანთი შვილებისა და მისი ამხანაგებისთვის მოჰქონდათ რამე პირის ჩასაგემრიელებელი. მერე შვილის წინ ჩამოსხდებოდნენ და სიხარულით შეაცქერდებოდნენ სახეში.

სოფელში კი, ბრაულიოს ქოხის წინ კნაჭა დამჯდარიყო და არავის აძლევდა უფლებას, ტრინი შეეწუხებინა. ტრინის დღეს მთელი ღამის გათენება უწევდა, რომ დაგზავნილი შიკრიკებისაგან ცნობები მოეგროვებინა. რამდენიმე ღამე ზედიზედ არ უძინია.

გავიდა ეს დღე. გათენდა. დილით არაკუნე ტრინისთან მივიდა და ჰკითხა:

— მძარცველთა ბანდისა ვერაფერი გაიგე?

— ჯერ მხოლოდ ის ვიცით, რომ გუშინწინ საღამოს ტუსპანის ახლოს ყოფილან.

— მიწაში ხომ ვერ ჩაძვრებოდნენ. ერთხელ კიდევ დაგზავნე ყველა სოფელში შენი მზვერავები.

— მეც მაგას ვფიქრობდი. მაგრამ საოცარია, შენც ხომ თქვი, ბანდა წუხელ საოცრად ფრთხილად მოიპარებოდა, რომ თავს დასხმოდა მამულს იმ მხრიდან, საიდანაც ყველაზე ნაკლებ მოელოდნენ. ტორესი აქ ყოველ ბორცვსა და ხეს მშვენივრად იცნობს.

არაკუნე ტრინის დაეთანხმა.

მალე უკანვე დაბრუნდა, მამულში. წარამარა სახლის ბანზე ავიდოდა და მიდამოს ათვალიერებდა, მაგრამ საეჭვო არაფერი ჩანდა. ის დღე და ღამეც ასე მიიწურა.

დილით ტრინი ქოხის წინ დამჯდარიყო. გუნებაზე ვერ იყო. უცბად მისკენ მომავალი ამბროსია და არაკუნე დაინახა.

— ისე ვერ არის საქმე, როგორც ჩვენ გვგონია,—თქვა ამბროსიამ. — ბანდას არც ერთ სოფელში საჭმელი არ დახვედრია, ეტყობა, ოთხი დღეა შიმშილობენ.

თანხმობის ნიშნად ტრინიმ თავი დააქნია და თავის მხრივ დაუმატა:

— საქმეც სწორედ ეგ არის. ერთი სიძნელეც შეიქნა. გახიზნული გლეხების უმრავლესობას სურს უკანვე დაბრუნდნენ, სოფლებში. ამბობენ: მტერს თუ ვერ ვხედავ, მაშასადამე, არც არსებობსო, ამიტომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავადგინოთ, საით წავიდა ბანდა. ეს მხოლოდ ტუსპანში არის შესაძლებელი, სადაც ბოლოს ნახეს. არაკუნე, მომეცი ორი შეიარაღებული კაცი ვირებიანად, ტუსპანში უნდა წავიდე. იქ კი ვნახავ, როგორ მოვიქცე.

— არა, მე წინააღმდეგი ვარ, — თქვა ამბროსიამ. — ტრინიმ ყველა ჩვენგანზე მეტი იცის ამ ამბისა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ის ბანდიტებს ჩაუვარდეს.

— პოლკოვნიკო ამბროსია, — დაიწყო არაკუნემ, — თუკი ბანდა, საერთოდ, სადმე ახლოს იმყოფება, ჩვენსკენ შარაგზით ხომ არ წამოვა, მაშინ მას შორიდანვე დავინახავდით. მაშასადამე, საშიში არაფერია, დაე, წავიდეს, ოღონდ შარაგზით.

ამბროსია ახლა კი დათანხმდა. ცოტა ხნის შემდეგ ვირზე ამხედრებული სამი კაცი სოფლიდან გავიდა.

სოფელი ტუსპანი ტრინის აჩოჩქოლებული დაუხვდა: გახიზნული ოჯახები დედაბუდიანად და ათასგვარი ბარგი-ბარხანით სახლებს უბრუნდებოდნენ. მალე მოაყვანინა ბანდიტების მნახველი ორი ბიჭი. მათ ტრინის უჩვენეს, საითაც მიდიოდა ტორესის ჯგუფი.

— მაშასადამე, იმ ვაჟბატონებს თქვენი სოფლისთვის თავი აურიდებიათ, რომ ტეპოტლაში შეუმჩნევლად მისულიყვნენ. გზა თუ არის მაქეთ?

— ვიწრო, საცალფეხო ბილიკია. სიმშრალეში კარგი სავალია.

— წამოდით, მიჩვენეთ!

ტრინი ბიჭებს მისდევდა და ფიქრობდა: „სადაც ბანდა გაივლის, რაღაცას აუცილებლად იპოვნი. შეიძლება სადმე შეისვენეს. რაღაც ნიშანს უთუოდ დასტოვებდნენ“.

სოფლიდან მინდორს გაუყვნენ. სიმინდის ყანა უკვე მოეჭრათ და მინდორზე გამხმარი, მოთეთრო ფერის კაჭაჭებიღა ჩანდა. ცოტა რომ გაიარეს, ბორცვები გამოჩნდა. ბორცვები ქვაღორღით იყო სავსე, აქა-იქ ბუჩქნარიც მომაგრებულიყო. მალე ბილიკს მიაღწიეს და პირი ტეპოტლისკენ ქნეს. გზა ოდნავ მაღლა იწევდა და შემდეგ მარცხნივ უხვევდა. აქ, მიწაზე, სვავები დამსხდარიყვნენ და, როგორც ჩანდა, ლეშს ძიძგნიდნენ. ხალხის დანახვაზე სვავები ფრთების ტყლაშატყლუშით წამოიშალნენ. იმ ადგილს რომ მიაღწიეს, ბიჭებმა უწესრიგოდ მიმობნეული რაღაც საგნები დაინახეს. ეტყობოდათ, აქ შეჩერებულიყვნენ. სვავები რომ არ ყოფილიყვნენ, ამ ადგილს ალბათ დიდი სიფრთხილით თუ მიუახლოვდებოდნენ. მაგრამ რახან აქ სვავები იყვნენ, მაშასადამე, ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო.

— აი, შეხედე, თოფი! — წამოიძახა ერთმა ბიჭმა.

— მუნდირებიც! — დაუმატა მეორემ.

ორი ბიჭი წინ გაიქცა. მალე მათ უკან დარჩენილებს გამოსძახეს:

— აქ ვიღაც მკვდარი აგდია!

მალე ყველა უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილ სამხედრო საჭურვლისა და იარაღის გროვასთან იდგა.

— ეტყობა, ეს ყველაფერი ბანდიტების დანატოვარი უნდა იყოს, — თქვა ტრინიმ და ბიჭებს ჰკითხა: — ერთი ეს მითხარით, აქ როდისმე ხომ არ გაუვლია რომელიმე სამხედრო რაზმს?

— არა, რამდენიმე წელია აღარავის გაუვლია. ეს იარაღი კი აქ დიდი ხნის დაყრილი არა ჩანს.

— ნეტავი რატომ გადაყარეს ბანდიტებმა იარაღი? — იკითხა ერთმა ტეპოტლელმა.—აბა ერთი ეს კაცი ვნახო, რამ მოკლა. სახეზე არაფერი ეტყობა, სვავებს უღმერთოდ დაუძიძგნიათ.

სანამ ტეპოტლელი მკვდარს მუნდირს უხსნიდა, ერთმა ბიჭმა დაიყვირა:

— ეგერ კიდევ ერთი მკვდარი!

— ეს ტყვიით არის მკვდარი, როგორც ეტყობა, დაუხვრეტიათ, — თქვა ტეპოტლელმა.

დანარჩენები მეორე მკვდართან მივიდნენ. ერთმა იცნო და მაშინვე თქვა:

— ეს ხომ ტორესია!

ამას მისი კარგი მუნდირიცა და მის ახლო დაგდებული ამოქარგული შლიაპაც მოწმობდა, სახე საშინლად დამახინჯებოდა, ალბათ სვავებს დაეძიძგნათ.

ვიღაცამ შლაპა გადააბრუნა. შიგნიდან გამხმარი სისხლისაგან მთლად გაშავებული იყო. ბიჭს უცბად რაღაც აზრმა გაუელვა, დაიხარა და მკვდარს კარგად დააკვირდა.

მერე წამოდგა და თქვა:

— ამისთვის თავის ქალა ჩაუმტვრევიათ.

## ტეპოტლას მამულში

ტეპოტლაში ტრინი ღამით დაბრუნდა და მაშინვე ბრაულიოს ქოხისკენ გასწია. კნაპა კართან ჩამჯდარიყო და მის დანახვაზე წამოხტა.

— ტრინი, იცი, ბენიამინმა ჩემთვის შესაფერი სამუშაო გამოძებნა?

— რა სამუშაო?

— სოფელში ვიმასწავლებლებ. ჩვენ ხომ მასწავლებელი არასოდეს გვყოლია. ახლა ჩვენი ბავშვები წერა-კითხვას ისწავლიან!

— ეს ძალიან კარგია, მაგრამ ამჯერად უფრო მნიშვნელოვანია მითხრა, არაკუნეს და სხვებს სად ვნახავ?

— მამულში არიან, თათბირობენ. სოფელში დაბრუნებულებს მიწებს ურიგებენ.

მემამულისეული სახლის სასადილო ოთახში ზეთის სანთლები ენთო და იქაურობას მკრთალ შუქს ჰფენდა. ოთახში ამბროსია, ბენიამინი, არაკუნე და სოფლის უხუცესი გლეხები შეკრებილიყვნენ. ტრინის შესვლაზე ყველამ მისკენ მოიბრუნა პირი და შეაცქერდნენ.

ტრინი მათ წინ შესდგა, ქუდი მოიხადა და საზეიმო კილოთი განაცხადა:

— სამი დღის წინ ბანდიტებს ტუსპანის ახლოს თავიანთი ატამანი დაუხვრეტიათ. მანამდე ამ მხეცს, როგორც ეტყობა, ერთი ბანდიტი მოუკლავს. ამის შემდეგ მათ გადაუყრიათ იარაღი, სამხედრო ტანსაცმელი და დაფანტულან. ამჟამად ტუსპანელი გლეხები ყველაფერს სოფელში ეზიდებიან. მე კი ვუთხარი: საჭიროა თქვენს სოფელში სახალხო რაზმი შექმნათ და სხვა შეიარაღებულ სოფლებთან კავშირი შეკრათ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა-მეთქი.

ამბროსია ფეხზე წამოდგა:

— სწორი ხარ, ტრინი. ათი წელი ვიბრძოლეთ მიწისა და თავისუფლების მოსაპოვებლად. ამ ბრძოლაში ბევრი საუკეთესო ადამიანი დაგვეღუპა, მაგრამ ჩვენც შევიცვალეთ. თვითონ ბანდიტები რატომ დაერივნენ ერთმანეთს? იმიტომ, რომ იგრძნეს შეიარაღებული ხალხის ძალა. ამ ძალას, აი, ამ ბიჭშიც ხედავთ თქვენ. ჯერ თექვსმეტი წლისაა და სოფლებში ადგილობრივი შეიარაღებული რაზმების შექმნაზე ზრუნავს. მაგრამ, ტრინი, ერთი იცოდე: საპატა მუდამ თავმდაბალი იყო. შენ იბრძოდი ჩვენი დიდი საქმის გამარჯვებისათვის და ახლა არ დაწვრილმანდე!

# შინაარსი

ლუდვიგ რენი — ძვირფასო საბჭოთა ბავშვებო 3

ნაწილი პირველი
აჯანყება 5

ნაწილი მეორე
იავარქმნილი მამულის ბაღები 87

ნაწილი მესამე
საპატას გლეხთა არმიაში 216

ნაწილი მეოთხე
გლეხთა ომის დასასრული 297

## შეცდომის გასწორება

236-ე გვერდზე, ზემოდან მე-17 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „რალ უერტას აგიუებს. ჩუმად ბეჭდავენ მოწოდებებს. უერტას“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.

---

**Людвиг Реин** **ТРИН**

**(На грузинском языке), Детгиздат Грузинской ССР, «Накадули», Тбилиси, 1971**

**რედაქტორი ნ. კალანდარიშვილი, მხატვარი კურტ ციმერმანი, მხატვრ. რედაქტორი შ. დოლიძე, ტექრედაქტორი ნ. შელიძე, კონტროლიორ-კორექტორი დ. კალანდარიშვილი, კორექტორი ბ. შალვაშვილი, გამომშვები ც. ზაზაშვილი**

**ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VI-70 წ., ქაღალდის ზომა 84×108 1/32, ნაბეჭდი თაბახი 23,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18,37, ტირაჟი 10.000, შეკვ. 2931 ფასი 1 მან. 36 კაპ.**

**გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5**
**Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 5**
**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 2 „ნაკადული“, ფურცელაძის ქ., 5**
**Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по печати, Тбилиси, Пурцеладзе, 5**